

ს ა რ ჩ ე ვ ი

ახალი ორიგინალური ავტორი - თეორიული, ემპირიული

ზურაბ გახანია

განწყობის თეორიის ტრადიციული ექსპერიმენტული საფუძვლების განახლება.....3

ირაკლი იმედაძე

1952 წლის დისკუსია დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის გარშემო18

მერაბ მაღრაძე

მოთხოვნების სუბიექტის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში44

ქეთევან მაყაშვილი, ნანა ცხვედაძე

ეკოსისტემის პარადოქსები მარგინალობის რისკის მქონე მოზარდების
სკოლასთან დაკავშირებული შიშსა და შფოთვისაში.....50

დავით ჩარკვიანი, დავით პიპიშვილი

რაოდენობრივ და ალბათურ მსჯელობაზე შეფასებითი ეტალონების შემოქმედება66

ბელა არშთინოვი, ნინო ჩხაიძე

პერფექციონიზმის სტრუქტურა და მისი მიმართება
ავექტური ხასიათის ფენომენებთან190

ახალი მოსაზრებები, მასალების განხილვა, მსჯელობა პერსპექტივაზე

მარინა ბალიაშვილი

ობიექტივაცია ქრონიკული დეპრესიის მეურნეობაში74

ნოდარ ბარამიძე

ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართებისათვის84

იათაგო კოტეტიშვილი, ჯამარა უზულაშვილი, ქეთევან ჩიბოგიძე

მწვრთნელ-მასწავლებელთა წიგნიერების, კოგნიტური უნარის დონისა და
კომუნიკაბელურობის განმასზღვრელი ტესტების ბატარეის შედგენა-შემოწმება90

გუგული მაღრაძე

ნორმალიზაცია და კონფორმიზმი95

დომიტრი ნადირაშვილი

მიზნის ფენომენი განწყობის ფსიქოლოგიაში.....99

დიმიტრი ნადირაშვილი, შოთა ნადირაშვილი

შემოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება განწყობის თეორიის თვალსაზრისით103

შოთა ნადირაშვილი

სოციალური განწყობის თავისებურებანი.....108

მარინე ჯაფარიძე, მაია ბიჭაძე, მაია წერეთელი

მასწავლებლის პროფესიული გამოფიტვა - გამომწვევი ფაქტორები,
პიროვნული და სოციალური მახასიათებლები113

ნანა ცხვედაძე, დალი ბერეგაშვილი

განწყობის თეორიისა და ემპირიული მასალის გამოყენებითი ასპექტები124

ნინო ჭავჭავაძე

მედიაგანათლების ძირითადი თეორიები135

მიმოსილვა, რეფერატი, რეცენზია

ნოდარ ბელქანია

ნეოსოკრატული საუბარი როგორც ჯგუფური დისკუსიის მეთოდი.....141

რეზო კორინთელი

ფსიქოთერაპიის და სოციალური ფსიქიატრიის ნეირობიოლოგიური ასპექტები.....147

ხათუნა მარწყვიშვილი, მაია მუსტაფიშვილი

ემოციური ინტელექტი - უნარი, პიროვნული ნიშანი და კომპეტენცია –
– რას გვთავაზობენ მკვლევრები157

ТАТЬЯНА ТИТАРЕНКО

ПРОГНОЗИРОВАННОЕ САМООСУЩЕСТВЛЕНИЕ И КАЧЕСТВО ЖИЗНИ ЛИЧНОСТИ

(УКРАИНСКИЙ КОНТЕКСТ)166

პოლემიური სტატია, სამეცნიერო დისკუსია

ირაკლი იმედაძე

ნებისყოფის თეორიის აქტუალური პრობლემების შესახებ
(დ. ნადირაშვილის წერილთან დაკავშირებით)179

ახალი ორიგინალური ავტორი - თეორიული, ემპირიული

ზურაბ მახანია

დოქტორი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

განწყობის თეორიის ტრადიციული ექსპერიმენტული საფუძვლების განახლება

საკვანძო სიტყვები: ფსიქირეული განწყობის დ. უზნაძის კლასიკური ექსპერიმენტი, კონტრასტული ილუზია, ასიმეტრიული ილუზია, შეხებითი ალქმის ველი, გენერალიზაცია, ირადიაცია

§ 1. საპიოხის ღასმა

განწყობის თეორიაში მრავალი სიძნელე და წინააღმდეგობაა დაგროვილი [18][20][21]. უფრო მეტიც, ამ თეორიის თვით სახელგანთქმული ტრადიციული ექსპერიმენტული საფუძვლებიც კი გადასამუშავებელი და დასახვეწია, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებს ვერც ფსიქოლოგიური სიწმინდის (კორექტულობის) თვისებრივ მოთხოვნებს [30] და ვერც სტატისტიკური სანდოობის რაოდენობრივ მოთხოვნებს [15]. განწყობის თეორიის დახვეწა და განმტკიცება ქართული ფსიქოლოგიის ყველაზე საშური საქმეა.

ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს თეორიული გამოკვლევები, რომლებშიც ახლებურად გააზრებული და დაზუსტებულია განწყობის თეორიის ზოგიერთი ძირითადი ცნება [27][28][29]; გვაქვს ექსპერიმენტული გამოკვლევებიც [30][31][32]. ამჯერად ექსპერიმენტულ მიმართულებას განვაგრძობთ. ძირითადად დავეყრდნობით შ. ნადირაშვილის, შ. ჩხარტიშვილის, ვ. გრიგოლავას და აგრეთვე ჩვენს ძველ (გამოქვეყნებულ) და ახალ ექსპერიმენტულ გამოკვლევებს.

ჩვენი ყველა ექსპერიმენტი ჰაბტურ მოდალობას ეხება.

ჩვენ მიერ გამოკვლეულია [33], რომ ცდის ჩატარების ინსტრუქციისა და მეთოდიკის წვრილმანებსაც კი არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ცდის შედეგებზე. ეს განსაკუთრებით ეხება, კერძოდ, ფიქსირებული განწყობის დ. უზნაძისეულ, კლასიკურ ექსპერიმენტს (*შემოკლებით – ფგჟჟ*), რადგან ქართულ ფსიქოლოგიაში არ ყოფილა დადგენილი და აღწერილი **ფგჟჟ**-ს ზუსტი ინსტრუქცია და მეთოდიკა [34]. ჩვენ ჩატარებული გვაქვს ათასობით **ფგჟჟ** და მისი სახესხვაობანი (რამდენიმე ასეთი ექსპერიმენტი უკვე აღწერილი გვაქვს [35]-ში). ამის საფუძველზე შევარჩიეთ ოპტიმალური ინსტრუქცია და მეთოდიკა, მოვახდინეთ მათი დახვეწა და სტანდარტიზაცია.

მკაცრი სტანდარტიზაციის გარეშე ჩატარებული ცდები არსებითად არაერთგვაროვან შედეგებს გვაძლევს [36] და ამ შედეგების ერთმანეთთან შედარება დაუშვებელია. სამწუხაროდ, ეს ხშირად ხდებოდა, რაც ექსპერიმენტის სიწმინდეს აფუჭებდა. უფრო მეტიც, არსებითი მნიშვნელობა აქვს ექსპერიმენტის ჩატარების გარემოს, ცდისპირის გუნება-განწყობილებას, მცდელის ქცევას (ზოგჯერ უბრალო ჩახველებაც კი ახდენს გავლენას ცდისპირის პასუხზე)... ამ ყოველივეს სტანდარტიზაცია თითქმის შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა თვითეულ ცდისპირზე ცდების რამდენიმე წყების ჩატარება და შედეგების გასაშუალოება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ექსპერიმენტის გარემოთი გამოწვეული არაერთგვაროვნება.

§ 2. პაპტურ მოდალობაში ფიქსირებული განწყობის ღ. უზნაპისეული,
კლასიკური ექსპერიმენტის სტანდარტიზებული ინსტრუქცია და მეთოდის აღწერა

ფაქა-ს პაპტურ მოდალობაში ვატარებთ არა ტრადიციული ბურთებით, არამედ ცილინდრებით. ეს გაცილებით უფრო მოსახერხებელია და ცდის ისეთ სახესხვაობათა საშუალებას გვაძლევს, რომლებიც ბურთებით შეუძლებელი იქნებოდა [იხ. ქვემოთ, § 5.4-5.7]. მომზადებული გვაქვს დაახლოებით 12 სმ სიგრძის მქონე ხის ცილინდრები (სიგრძეს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა), სხვადასხვა დიამეტრებისა, დაახლოებით: 10 მმ, 18 მმ, 20 მმ, 22 მმ, 30 მმ, 38 მმ, 40 მმ, 42 მმ, 45 მმ, 50 მმ, 60 მმ, 70 მმ, 75 მმ. ამასთან, ცილინდრები დამზადებულია სამი სხვადასხვა ჯიშის ხისგან. ამის შედეგად ცილინდრებს განსხვავებული ზედაპირი აქვს: ოდნავ ხაოიანი (კოპიტი), საშუალოდ გლუვი (ფიჭვი) ან ძალიან პრიალა (ბზა). თვითუფიცი სახის ცილინდრი ორ-ორ ან ოთხ-ოთხ ცალადაა (სხვადასხვა ჯიშის ხისგან, წყვილ-წყვილად, მაგალითად: 40 სმ-იანი ორი კოპიტისა და ორი ფიჭვის ცილინდრი). ცილინდრების საერთო რაოდენობაა 60. ისინი აწვევია ცელოფნის გამჭვირვალე პარკში, ან მათი ნაწილი მაგიდაზე ყრია. არსებითია, რომ ცდისპირი ცდის დაწყებამდე ხედავდეს მათ დიდ მრავალფეროვნებას.

ცდისპირი ჯდება, მას ხელებს წინ გამოვაწვევინებთ, ხელისგულებს გავაშლევინებთ და გადმოვბრუნებინებთ. ცდისპირს ნელა და გამოკვეთილად ვუყალიბებთ ამ ნიშნის ინსტრუქციას:

„დახუჭე თვალები! ახლა მე მოგაწვდი, ხელებში ჩაგიდებ ამ ხის ცილინდრების სხვადასხვა წყვილებს. შენ უნდა შეადარო მათი სიმსხო. რომელიც უფრო მსხვილი იქნება, ის მაღლა აწიე, ხოლო თუკი გოლებია, მითხარი, რომ გოლია. ოღონდ არ დაიწყო რაიმეს გამოცნობა, არც გულდასმით სინჯვასა საჭირო – უნდა მიპასუხო სწრაფად, პირველი შთაბეჭდილების მიხედვით! ყველაფერი გასაგებია? მაშ დავიწყოთ.“

ჩვენი თვითუფიცი ცდა მოიცავდა გარკვეულ ცვლილებებს ჩვეულებრივ, კლასიკურ პაპტურ უზპმ-სთან შედარებით. ვარკვევით, ეს ცვლილება რა ცვლილებას იწვევდა შედეგებში. შესაბამისად, ჩვენი საკონტროლო ცდები იყო ჩვეულებრივი, კლასიკური პაპტური **ფაქა** იმავე ცდისპირებზე.

- ამრიგად, ვატარებდით: I. საკონტროლო ცდებს (ჩვეულებრივი, კლასიკური პაპტური **ფაქა**);
- II. ძირითად საგანწყობო ცდებს: ცდისპირს 10-ჯერ ვაწვდით ცალ ხელში დიდ ცილინდრს (ან სხვა ფორმის ნივთს), მეორეში – პატარას, საჭირო ზომებით;
- III. ძირითად კრიტიკულ ცდებს: ცდისპირს იმდენჯერ ვაწვდით ტოლ (ან თითქმის ტოლ) ცილინდრებს, სანამ ის მათ ტოლობას ზედიზედ 5-ჯერ დაადასტურებდეს, უყოყმანოდ და გარკვევით. ვიწვრდით ცდისპირის ყველა პასუხს.

ჩვენმა გამოცდილებამ დაგვანახვა ძალიან მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელიც თითქოს წვრილმანია და მასზე არავის გაუმახვილებია ყურადღება. როგორც საგანწყობო, ისე კრიტიკულ ცდებში არსებითია, რომ ცდისპირს ესმოდეს ცილინდრების მაგიდაზე დაწობა-აღების ხმები (რაც ექსპერიმენტისთვის თითქოს სულ არაა საჭირო, რადგან ცდისპირს მრავალჯერ ერთიდაიგივე წყვილი მიეწოდება); თანაც, მას სხვადასხვა ჯიშის ხის ცილინდრებს ვაწოდებთ. უფრო მეტიც, საგანწყობო ცდებში 10-დან 2-ჯერ (მაგალითად, მესამედ და მეექვსედ) ოდნავ ვცვლით ერთერთი მიწოდებული ცილინდრის დიამეტრს: 40 მმ-ს – 38-ით ან 42-ით; 20 მმ-ს – 18-ით ან 22-ით. ეს ყოველივე საჭიროა იმისათვის, რათა ცდისპირს ჰქონდეს სიახლის განცდა, მოქმედებები არ მოყირტდეს და პასუხების გაცემა მექანიკურად არ დაიწყოს. ანდა უკმაყოფილება არ იგრძნოს იმის გამო, რომ სულ ერთიდაიმავე წყვილებს ვასინჯვინებთ. ამის გაუთვალისწინებლობა ცდისპირს ცდაში მონაწილეობის ხალისს უკარგავს, მისი პასუხები

დაუზუსტებელი, ზერელე, უგულო, თითქმის შემთხვევითი ხდება. ეს კი ექსპერიმენტის ფსიქოლოგიურ სიწმინდეს აფუჭებს.

§ 3. ექსპერიმენტების სტატისტიკური სანდოობა

სულ გვყავდა 40 ცდისპირი: 15-დან 80 წლამდე ჯანმრთელი ადამიანები (ფსიქოპათოლოგიის შესწავლა ცალკე გამოკვლევის საგანია, ძალიან საინტერესო). თვითეული სახის ცდას თითო ცდისპირზე ვატარებდით ხუთ-ხუთჯერ (ცდებს შორის შუალედით რამდენიმე საათიდან ორ კვირამდე); ამასთან, მარჯვენა-მარცხენა ხელების მონაცვლეობით: თუკი ცდისპირს ერთხელ დიდი ცილინდრი მიეწოდებოდა მარჯვენა ხელში, მაშინ მომდევნო ცდაში მიეწოდებოდა მარცხენა ხელში (ბუნებრივი ასიმეტრიის გასანეიტრალებლად). ხუთივე წყებაში მიღებულ შედეგებს შევაჯერებდით და ვასაშუალებდით. შემდეგ ამ შედეგებს ვადარებდით საკონტროლო ცდების (ანუ კლასიკური პაპტური **ფაქა**-ს) შედეგებს.

უაღრესად საინტერესოა, რომ ჩვენი ექსპერიმენტების შედეგები არსებითად არ იცვლება, თუნდაც რომ ცდისპირი ხელაღდეს ცილინდრებს და იცოდეს ის, რაც ხდება. ყველა ადამიანს შეუძლია, საკუთარ თავზე შეამოწმოს ეს – აიღოს სათანადო ცილინდრები, ან ბურთები, ან ძელაკები და საკუთარ თავზე ჩაატაროს ექსპერიმენტი.

ჩვენი დასკვნები, რომლებიც ზოგადად ცდისპირებს ეხება, სტატისტიკურად სანდოა მაღალი სანდოობით. ეს პირდაპირაც კი ჩანს სათანადო პროცენტების ძალიან მკვეთრი განსხვავების გამო (მაგალითად, 0 % შედარებით 90 %-თან). ხოლო ზოგი შედეგი ცდისპირების მხოლოდ ნაწილს ეხება და ჩვენი დასკვნა მხოლოდ ისაა, რომ ზოგი ადამიანი ზოგჯერ ასეთ თვისებას ამჟღავნებს; ანდა ის, რომ ადამიანები განსხვავდებიან სათანადო თვისებით. ამ დასკვნის საფუძველი ისაა, რომ ზოგი ცდისპირი იმავე ცდებში ზუსტად საპირისპირო თვისებას ამჟღავნებდა.

თუმცა ეს უკვე ტიპოლოგიის საკითხებია, რომელთა სტატისტიკური სანდოობის მოთხოვნები გაცილებით მკაცრია. განწყობის ტრადიციულ თეორიაში ეს მიმართულება ძალიან სუსტი და დაუსაბუთებელი იყო. მისთვის ამჟამად არც ჩვენ ვართ მზად. ამჯერად ჩვენ ვიფარგლებით მხოლოდ იმის ჩვენებით, რომ ამათუიმ ვითარებაში ადამიანები განსხვავებულ, სულაც საპირისპირო თვისებებს ამჟღავნებენ. ამას სტატისტიკური განმტკიცება არ სჭირდება, რადგან ამჟამად ჩვენ არ ვასაბუთებთ, რომ ეს თვისება ამ ადამიანის მყარი ტიპოლოგიური მახასიათებელია. ჩვენ არც ამას გამოვრიცხავთ და არც იმას, რომ ეს თვისება ძალიან ცვალებადი აღმოჩნდეს და ტიპოლოგიურ მახასიათებლად არ გამოდგეს.

ამრიგად, მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ჩვენი საპირისპირო **ზოგადი** დასკვნა (ტრადიციულად მიღებული) მცდარია. ზოგადი დებულების დასაბუთებას დიდი სტატისტიკა სჭირდება, ხოლო ზოგადი დებულების უკუსაგდებად კანონზომიერად განმეორებადი მხოლოდ ცალკეული შემთხვევებიც კი კმარა. მაგალითად, ჩვენი ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ, გარკვეულ ვითარებაში, ფიქსირებული განწყობის ამათუიმ სახის ირადიაცია დასტურდება ცდისპირების მხოლოდ 5 %-თან; სამაგიეროდ, ცდისპირების 48 %-მა გამოამჟღავნა „ანტიირადიაცია“ [იხ. ქვემოთ, § 5.7]. აქედან, ყოველგვარი სტატისტიკური ანალიზის გარეშეც, გამომდინარეობს, რომ მცდარია ტრადიციული ზოგადი დებულება: „ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს ირადიაცია“. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ **ზოგიერთ** ადამიანს (განსაკუთრებით, ფსიქოპათოლოგიების შემთხვევაში) **ზოგ** ვითარებაში შეიძლება მართლაც ახასიათებდეს ირადიაცია. ოღონდ ამას დამტკიცება სჭირდება სათანადო მკაცრი სტატისტიკური კრიტერიუმებით და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად წმინდა ექსპერიმენტებით [30]. მაგრამ, ყოველგვარი სტატისტიკის გარეშეც, ის უკვე უდავო ხდება, რომ ირადიაცია ვერ იქნება ფიქსირებული განწყობის **ზოგადი** მახასიათებელი.

განწყობის თეორია უნდა განიწმინდოს მცდარი და დაუსაბუთებელი დებულებებისგან.

§ 4. შიშვითი ანოთიზი

ფიქსი – ფიქსირებული განწყობის დ. უზნაძისეული, კლასიკური ექსპერიმენტი.

ფი – ფიქსირებული განწყობა (იგულისხმება **ფიქსი**-ში ფიქსირებული, და არა ზოგადად).

მ – ცდისპირი; **მ** – საგანწყობო ცდა; **მ** – კრიტიკული ცდა; **მ** – საკონტროლო ცდა.

40-20 | 20-20 – ცდისპირის საგანწყობო ცდებში მიეწოდება 40 მმ დიამეტრის მქონე ცილინდრი მარცხენა ხელში და 20 მმ დიამეტრის მქონე ცილინდრი – მარჯვენაში, ხოლო კრიტიკულ ცდებში მიეწოდება 20 მმ დიამეტრის მქონე ცილინდრების წყვილი, ერთნაირი ორივე ხელში.

საგანწყობო ნაწილი

კრიტიკული ნაწილი

--	--	--	--

40-0 | 20-20 – ცდისპირის საგანწყობო ცდებში მიეწოდება მხოლოდ 40 მმ დიამეტრის მქონე ცილინდრი მარცხენა ხელში (მარჯვენაში – არაფერი), ხოლო კრიტიკულ ცდებში მიეწოდება 20 მმ დიამეტრის მქონე ცილინდრების წყვილი, ერთნაირი ორივე ხელში.

კრიტიკულ ცდაში პირველი მიწოდებისას ცდისპირის პასუხი:

+ - კონტრასტული ილუზია; - - ასიმეტრიული ილუზია; = - ტოლობის დადასტურება;

? - გაურკვევლობა, მერყეობა (ცდისპირი ვერ გვპასუხობს პირველი შთაბეჭდილებით – ეს საკმაოდ ხშირად ხდება და უცნაურია, რატომ არ იყო აღრიცხული ტრადიციულ ექსპერიმენტებში, რომლებშიც მხოლოდ სამი შესაძლებლობაა: +, - ან =).

S – ფიქსაციის სიმტკიცე, რომელიც იზომება +-ების პირველი უწყვეტი მწკრივის წევრთა რაოდენობით (ანუ **მ**-ს ზედიზედ რამდენჯერ აღმოაჩნდა კონტრასტული ილუზია) – გასაშუალოებული.

§ 5. ჩვენი ექსპერიმენტები

5.1 ექსპერიმენტი – 3. ბრიგოლავას ექსპერიმენტის [5] გაიმეორება, ოღონდ სტანდარტიზებული სახით).

მ-ში **მ**-ს ეთხოვთ მიწოდებული ორი ცილინდრის არა სიმსხოს, არამედ მათი ზედაპირის ფაქტურის შედარებას – ერთნაირი ხისაა თუ სხვადასხვა ხისა: „...შენ უნდა შეადარო მათი ზედაპირის ფაქტურა. თუკი ერთნაირი ხისაა, მითხარი, რომ ერთნაირია, თუკი სხვადასხვაა, მითხარი, რომ სხვადასხვაა...“ (**მ** მხატვრულ იკავებს ცილინდრებს და თითების მიცაცუნებით სინჯავს მათ). ხოლო **მ**-ში ცპ-ს ეთხოვთ, როგორც ჩვეულებრივ, ცილინდრების სიმსხოს შედარებას, ჩვეულებრივი ინსტრუქციით. ცდის სქემა ჩვეულებრივია: **40-20 | 20-20**.

მ-ში **მ**-ს ვაწოდებთ სათანადო დიამეტრების მქონე ცილინდრებს, რომლებიც ხან ერთნაირი ხისაა, ხან სხვადასხვისა. **მ**-ები უმეტეს შემთხვევაში მართებულად აღარებენ ხის ზედაპირის ფაქტურას. თუმცა ექსპერიმენტისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ **მ**-მა ათჯერ შეიგრძნოს საჭირო ზომების მქონე ცილინდრების შეხება.

ამ ექსპერიმენტის არსია განწყობის ფიქსირება გაუცნობიერებელი, არაყურადღებული (ირრელევანტური) შეგრძნებებით (შდრ. [32]). საკმე ისაა, რომ, როგორც წესი, **მ**-ს შემდეგ **მ**-ს არ ახსოვს ის, თუ რომელ ხელში რამხელა ცილინდრს ვაწოდებდით, რომელში ეკავა მსხვილი თუ წვრილი – რადგან **მ**-ის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო არა ზომაზე, არამედ ზედაპირის ფაქტურაზე (თუკი, იშვიათ შემთხვევაში, **მ**-ს ახსოვდა, თუ რომელ ხელში ეკავა მსხვილი ცილინდრი, მას გამოვითიშავდით ექსპერიმენტიდან და მის შედეგებს აღარ ვითვალისწინებდით).

ექსპერიმენტი ცხადად ამტკიცებს, რომ გაუცნობიერებელი, არაყურადღებული შეგრძნებებით განწყობის არანაკლებ ძლიერი ფიქსაცია ხდება, ვიდრე გაცნობიერებულებით:

ცხრილის პირველ ოთხ სვეტში მოცემულია შესაბამისი დამრგვალებული პროცენტები **სპ**-თა საერთო რაოდენობიდან, ხოლო ბოლო სვეტში – **S**-ის საშუალო მაჩვენებელი.

	+	–	=	?	S
ძირითადი ცვლები	91	0	3	6	4,5
საპონტროლო ცვლები	90	0	3	7	6

შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო გავამკვეთრეთ შედეგი, შევცვალებთ რა ექსპერიმენტის სქემა – ჩატარეთ **40-20 | 40-38** და **40-20 | 22-20**. ჩვეულებრივ პირობებში ადამიანი ადვილად არჩევს 2-მილიმეტრიან განსხვავებას. მაგრამ ჩვენს **სპ**-ში პირიქით მოხდა: **სპ**-თა 80 %-ზე მეტს მარჯვენა 38-იანი ცილინდრი მოეჩვენა უფრო მსხვილი, ვიდრე 40-იანი; ასევე, მარცხენა 22-იანი ცილინდრი მოეჩვენა უფრო წვრილი, ვიდრე 20-იანი.

	+	–	=	?	S
ძირითადი ცვლები	82	2	6	10	3
საპონტროლო ცვლები	80	1	8	11	4

ეს კონტრასტული ილუზიის **სიდიდის** საკითხს უკავშირდება, რაც საფუძვლიანადაა შესწავლილი ჟ. პიაჟეს, შ. ნადირაშვილისა და ა. გრიგოლაგას მიერ [24][16][14]. ჩვენ კი ეს მოვლენა გვჭირდება მხოლოდ ძირითადი დასკვნის გასამკვეთრებლად და **შპ**-ს მოქმედების ანუ კონტრასტული ილუზიის სიდიდის საჩვენებლად.

დასკვნა 1. კონტრასტის ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ იგი გადაფარავს ზომების 2 მმ-იან განსხვავებასაც კი და უფრო წვრილ ცილინდრს უფრო მსხვილად მოგვაჩვენებს. საამისო **შპ**-ს გასაფიქსირებლად კი სულ არაა საჭირო ზომების შედარება. საკმარისია სათანადო საგნების თუნდაც **გაუცნობიერებელი აღქმა**. სრულიად გამოირიცხა განწყობის ახსნა მოლოდინის საშუალებით, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს **განწყობის გაუცნობიერებლობას** და შ. ნადირაშვილის იმ დასკვნას, რომ **შპ**-ში არ ფიქსირდება მეტნაკლებობის მიმართება [18]. ჩვენი ექსპერიმენტებით ეს კიდევ მრავალჯერ დამტკიცდება [იხ. ქვემოთ].

5.2 **ექსპერიმენტი – შპ** – ში ფიქსირებული განწყობის დროში არაბამძლეობა (არასტაბილურობა).

დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ერთ **შპ**-ში **შპ**-ც კი ინახება დღეების, კვირების, ზოგჯერ თვეების განმავლობაშიც კი [1:38]. ეს დებულება უკრიტიკოდ გაიზიარა თითქმის ყველა ქართველმა ფსიქოლოგმა. მაგრამ ცდების ხანგრძლივად ჩატარების გამოცდილების დაგროვების შემდეგ ჩვენ ეჭვი შეგვეპარა ამ დებულებაში.

ექსპერიმენტი ადვილია: ჩვეულებრივი **შპ** ტარდება **გპ**-სა და **სპ**-ს შორის 5-წამიანი, 1-წუთიანი ან 5-წუთიანი შუალედებით. ამ დროის განმავლობაში **სპ** საუბრობს, დადის ოთახში ან სასურველ რამეს აკეთებს.

	+	–	=	?	S
ძირითადი ცვლები - 5 წთ	0	0	80	20	0
ძირითადი ცვლები - 1 წთ	25	0	41	34	0,5
საპონტროლო - 5 წამი	90	0	3	7	6

ცდის სქემა ჩვეულებრივია: **40-20 | 20-20**. მისი შედეგები იმდენად ცხადია, რომ განხილვა არ სჭირდება. არაა გამორიცხული გამონაკლისი ტიპების არსებობა, რომლებსაც უფრო გამძლე ფიქსირებული განწყობა ექნებათ, მაგრამ ჩვენ ასეთი არ შეგვხვედრია.

დასკვნა 2. ჯანმრთელ ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის **შპ**-ში **შპ**-ის სიმტკიცე არ აღემატება ორიოდე წუთს.

5.3 **ექსპერიმენტი – შპ** – ში ფიქსირებული განწყობის რაობის დაუშტაბა.

შ. ნადირაშვილისა და თ. ნონიაშვილის გამოკვლევის თანახმად, კონტრასტულად ის კრიტიკული საგანი განიცდება, რომელიც განსხვავებულია შესაბამისი საგანწყობო საგნისგან. მეორე, უცვლელი საგანი კი ადეკვატურად აღიქმება. იგი, უბრალოდ, ერთგვარი ეტალონივითაა, რომელიც ექსპერიმენტის დროს უფრო **თვალსაჩინოდ ავლენს** კონტრასტს [12:33]. ამავე დასკვნას განამტკიცებს რ. საყვარელიძის ერთი ექსპერიმენტი: ჰაპტურ **შპ**-ში **სპ**-თა შეგრძნებები

მოწმდებოდა არა სიტყვიერი პასუხების მეშვეობით („ტოლია / დიდია / პატარაა“), არამედ **მზ**-ის წინ ხილულად დალაგებული სხვადასხვა ზომის ეტალონური ბურთების რიგით. **მზ**-ში **მზ**-ს ევალბოდა, მათგან აერჩია ის ბურთები, რომელთა ტოლი ბურთებიც მას ხელში ეკავა. აღმოჩნდა, რომ **მზ**-ები უცვლელ ბურთს ადევნებდნენ, ხოლო კონტრასტული ილუზია უჩნდებათ მხოლოდ მეორე, **მზ**-ში შეცვლილი ბურთის მიმართ [22].

შ. ჩხარტიშვილის დასკვნით: „ბურთების სიდიდე ილუზორულად აღიქმება მანამდეც, სანამ გაჩნდებოდეს მიმართება მეტი-ნაკლები“ [3:259].

ჩვენც გამოცდილებამ და აგრეთვე ინტროსპექციულმა დაკვირვებამ დაგვანახა, რომ **ფაჟაჟ**-ს კონტრასტულ ილუზიებში ერთერთი ბურთის (ცილინდრის) მეტობის განცდა მეორეული მოვლენაა და იგი სხვა, უფრო არსებითი განცდის შედეგია. ექსპერიმენტმა სავსებით დაასაბუთა ეს ვარაუდი.

ჩვეულებრივი **ფაჟაჟ**-ს ჩატარებისას **მზ**-ს პირველივე **+**-ის შემდეგ **მზ**-ს ცილინდრებს არ ვართმევთ ხელიდან, არამედ დამატებით ვეკითხებით: „შენ მიპასუხე, რომ მარჯვენა ცილინდრია უფრო მსხვილი. გთხოვ, ახლა ყურადღებით დაუკვირდე საკუთარ განცდებს – მაინც რატომ აღიქვი, რომ მარჯვენაა უფრო მსხვილი: ეს მარჯვენაა თითქოს გაბერილივით თუ პირიქით, მარცხენაა დაწვრილებულივით, რაღაც რომ თითქოს აკლია?“.

მზ-თა 100 % პასუხობს, რომ: I. მარჯვენაა თითქოს გაბერილივით, ხოლო მარცხენა ჩვეულებრივად – თუკი სქემა იყო **40-20 | 40-40** ტიპისა; II. მარცხენაა დაწვრილებული და მას რაღაც აკლია, ხოლო მარჯვენა ჩვეულებრივად – თუკი სქემა იყო **40-20 | 20-20** ტიპისა.

ეს მოვლენა ასე თუ ისე ცნობილი იყო. ჩვენ კიდევ უფრო გავამკვეთრეთ იგი, შევცვალეთ რა ექსპერიმენტის სქემა – ჩავატარეთ **40-20 | 40-38** და **40-20 | 22-20**. ჩვეულებრივ პირობებში ადამიანი ადვილად არჩევს 2-მილიმეტრიან განსხვავებას. მაგრამ ჩვენს **მზ**-ში პირიქით მოხდა: მარჯვენა 38-იანი ცილინდრი **მზ**-ს მოეჩვენა გაბერილივით, თუმცა იგი, შესადარებელ 40-იანთან შედარებით, სინამდვილეში **წვრილია!** ასევე, მარცხენა 22-იანი ცილინდრი მოეჩვენა დაწვრილებული, თუმცა იგი, შესადარებელ 20-იანთან შედარებით, სინამდვილეში **მსხვილია!**

დასკვნა 3. კიდევ ერთხელ მტკიცდება ვ. გრიგოლვასი [5:87] და შ. ნადირაშვილის [16:147] დასკვნა: **ფაჟაჟ**-ში **ფა**-ის საფუძველია არა დიდ-პატარას **შედარება**, არამედ ის, რომ ცალ ხელში პატარის შემდეგ დიდი კონტრასტულად კიდევ უფრო დიდად აღიქმება, ხოლო დიდის შემდეგ პატარა – კიდევ უფრო პატარად.

ადამიანის აქტიუობა შეიძლება იყოს შიგა (ფსიქიკური პროცესები) ან გარე (მოქმედება, ქცევა). ორივე სახის აქტიუობას ყოველთვის, უგამონაკლისოდ წინ უძღვის სათანადოდ გადასხვაფერებული პირველადი განწყობა [27:§3]. კერძოდ, ყოველ სენსორულ-პერცეპტულ ქმედებას, მაგალითად, ცილინდრის ხელში აღებას, წინ უძღვის სათანადო მზაობა. **მზ**-ს დაწყებამდე ადამიანი უკვე წინასწარვე მოგეზილია ანუ განწყობილია ისე, რომ აიღოს სწორედ ისეთი ცილინდრი, როგორსაც იღებდა 10 საგანწყობო, საფიქსაციო მიწოდებისას. და როცა ჩვეული დიდი ცილინდრის ნაცვლად უეცრად ხელში პატარა აღმოაჩნდება, უჩნდება ნაკლულობის განცდა. სწორედ ეს განცდაა კონტრასტული აღქმის საფუძველი. მსგავსად, როცა 10 პატარა ცილინდრის შემდეგ უეცრად ხელში დიდი აღმოაჩნდება, „გაბერილობის“ განცდა უჩნდება.

ჩვენ მიერ, საგანგებო ექსპერიმენტული ანალიზის საფუძველზე [31], გამოკვეთილია **ფაჟაჟ**-ში **ფა**-ის ორი მთავარი შემადგენელი – კუნთურ-მოტორული და სენსორულ-პერცეპტული. ზოგ ვითარებაში ისინი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებენ, ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ კი. ამასთან, კონტრასტული ილუზიისთვის წამყვანია მეორე, სენსორულ-პერცეპტული [31]. ესე იგი **ფაჟაჟ**-ში ვითარება ფსიქოლოგიურად ისეთივეა, როგორიცაა

ყოფაცხოვრებიდან კარგად ცნობილი: ჩვეული გადატვირთული ოთახიდან მოვაშორეთ ერთი კარადა (თუმცა ოთახი მაინც გადატვირთული რჩება); შევდივართ ამ ოთახში და უეცარ სიხალვათეს განვიცდით. და პირიქითაც: ხალვათ ოთახში დავდგით ერთი კარადა, შემდეგ შევედით ოთახში და იგი უჩვეულოდ გადატვირთული გვეჩვენა.

5.3 ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ **ფაჟაჟა**-ში კონტრასტულ ილუზიას ისეთივე ფსიქოლოგიური ბუნება აქვს, როგორიც საზოგადოდ კონტრასტის განცდას. მაგალითად, როცა სიცივიდან შევდივართ გრილ ოთახში, იგი კონტრასტულად თბილი გვეჩვენება. როცა წინასწარ ზედმეტად შეგვიქებენ ჩვენი გემოვნებისთვის საშუალო ფილმს, ნახვის შემდეგ იგი უფრო უარესი გვეჩვენება. ასევე, როცა წინასწარ განწყობილი ვართ მარცხენა ხელში დიდი ცილინდრის ასადებად და ხელში კი პატარა მოგვსვდება, იგი კიდევ უფრო პატარა გვეჩვენება. მეორე ხელი არაარსებითია.

არამხოლოდ სენსომოტორულ ქმედებას, არამედ აღქმის ერთ აქტსაც კი წინ უძღვის განწყობის ასიმილაციური მოქმედებით წარმოქმნილი სათანადო მზაობა – პირველადი, აქტუალური განწყობის სათანადო სახესხვაობა ანუ **პერცეპტული მზაობა** (ამდაგვარ ცნებას იყენებდა აგრეთვე ჯ. ბრუნერი [25:30-46]). ეს ხდება ადრე ფიქსირებულ ან თანდაყოლილ განწყობათა აქტუალიზაციის გავლენით (ამგვარი ფიქსირებული განწყობა – ესაა აღქმის მზა სქემა, ანდა ბაზისეტალონი, შ. ნადირაშვილის ტერმინით [16]).

ყოველივე აქედან გამომდინარე საკვებით ბუნებრივია, რომ **ფაჟაჟა**-ში კონტრასტის განცდის გასაჩენად სულ არაა საჭირო მეორე ხელი და **ფაჟაჟა** **ცალ ხელშიც ფიქსირდება**. მართლაც, ვ. გროგოლავამ [5:51,176,177] და შ. ჩხარტიშვილმა [3:თავი VIII] ექსპერიმენტულად დაამტკიცეს: კონტრასტის განცდა წარმოიქმნება ყოველგვარი წინასწარი შედარების გარეშეც – საკმარისია, ადამიანმა 10-15-ჯერ აიღოს, ანდა 1 წუთის განმავლობაში თუნდაც **უწყვეტად დაიკავოს** ცალ ხელში დიდი ბურთი. ამის შემდეგ, ორივე ხელით მცირე ბურთების აღებისას, ადამიანს ჩვეულებრივი კონტრასტის განცდა უჩნდება. ასევეა მხედველობით მოდალობაშიც, ოღონდ უფრო სუსტად [5:245-246].

ამ მსჯელობას ვ. გროგოლავა [5:87-88] მართებულად უკავშირდებს რ. ნათაძის ერთ შედეგს [9]: **ფაჟაჟა**-ში **გმ** ტარდება **მპ**-ის გადაჯვარედინებული ხელებით (მარჯვენა ხელი მარცხნივაა და პირიქით), ხოლო **კმ** – ჩვეულებრივად. შედეგად უკლებლივ ყველა **მპ**-ს კონტრასტის განცდა უჩნდება არა მარჯვენა-მარცხენა ხელების მიხედვით, არამედ საკუთარ ხელებში შეგრძნებათა მიხედვით.

დაბოლოს: რაკი არ ხდება მეტ-ნაკლებობის მიმართების ფიქსირება, მაშ როგორღაა შესაძლებელი ირადიაცია მხედველობიდან შეხებაში ან პირიქით? [იხ. ქვემოთ, § 5.6 და 5.7]

5.4 ექსპერიმენტი – ფაჟაჟა-ში ფიქსირებული ბანწყობის ბენეფიციუზაციის ღარღვევა ზომის მხრივ.

განწყობის თეორიაში მიღებული იყო, რომ **ფაჟაჟა**-ში ერთი ფორმის ნივთებით **ფაჟაჟა** გადავრცელდება სხვა ფორმის ნივთებზეც [2]. მაგრამ რამდენიმე ფსიქოლოგის მიერ სხვადასხვა დროს დამოუკიდებლად მიღებული შედეგები საეჭვოდ ხდის ამას. ვ. გროგოლავამ [5:62-64] და ნ. ადამაშვილმა [9] აჩვენეს, რომ თუკი მხედველობით **ფაჟაჟა**-ში **კმ**-ს ორი ტოლი წრე მკვეთრად უფრო დიდია, ვიდრე დიდი საგანწყობო წრე, ან მკვეთრად უფრო მცირეა, ვიდრე მცირე, მაშინ **ფაჟაჟა**-ს მაჩვენებელი კონტრასტული ილუზია ან სულ არ ჩნდება, ან ჩნდება ძლიერ შესუსტებულად. პატარა მოდალობაშიც ასეა, როგორც აჩვენეს ვ. გროგოლავამ [5:57-62] და ნ. ქოჩიაშვილმა [11]. მათ მარტივი ცდებით გამოავლინეს: როდესაც **კმ**-ს ბურთები ორჯერ უფრო მცირეა, ვიდრე მცირე საგანწყობო ბურთი, მაშინ **ფაჟაჟა** გამოუმუშავდება **მპ**-თა მხოლოდ 30 %-ს; ხოლო როცა 1,2-ჯერ დიდია, ვიდრე დიდი საგანწყობო ბურთი, მაშინ – მხოლოდ 35 %-ს (ნაცვლად ჩვეულებრივი 95 %-

ისა). შესაბამისად მცირდება **S**-იც, ან **შპ**-ს საშუალო სიმტკიცე. რაც ყველაზე საყურადღებოა: ყველაზე ძლიერი ფიქსაცია მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო თითქოს მაშინ, როცა **ჰმ**-ს ბურთები საშუალოა **შპ**-ს ორ ბურთს შორის, მაგალითად **40-20 | 30-30** პირობებში. მაგრამ ამ პირობებშიც კი **შპ** გამოუმუშავდება **შპ**-თა მხოლოდ 80 %-ს, თანაც **S** იკლებს 20 %-ით.

ჩვენი 5.4 ექსპერიმენტის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს ეს პროცენტები და როგორია გენერალიზაცია განსხვავებული ზომისა და განსხვავებული ფორმის ნივთებზე.

შპ-ს კენტი რიგის მიწოდებებზე (I, III, V, ... , XIX) **შპ**-ს ვაწოდებდით **75-40** ცილინდრებს, ხოლო ლუწებზე (II, IV, VI, ... , XX) – **10-20** (მომდევნო ცდაში, როგორც ყოველთვის, იცვლება მარჯვენა-მარცხენა ხელები: **40-75** და **20-10**). **შპ**-შიც კენტი რიგის მიწოდებებზე ვაწოდებდით **40-40** ცილინდრებს, ხოლო ლუწებზე – **10-10**.

აღმოჩნდა, რომ **შპ**-თა 15 %-ს გამოუმუშავდა „წინააღმდეგობრივი“ **შპ**: **40**-იან კრიტიკულ ცილინდრებზე ეჩვენებოდა, რომ მარჯვენაა უფრო დიდი, ხოლო **10**-იანებზე – რომ მარცხენაა დიდი. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ **შპ**-ში არ ხდება მეტ-ნაკლებობის ფიქსირება.

დანარჩენი **შპ**-თა პასუხებში ერთმანეთს უწესრიგოდ ენაცვლება +, -, = და ?, ან ნაწილობრივ სძლევს ერთერთი მათგანი. ყოველ შემთხვევაში, ცხადად ჩანს ორი საწინააღმდეგო ძალის ვერშეთავსების შედეგად **შპ**-ს „აჭრა“ და „არევა“.

დასკვნა 4. ნ. ქონიაშვილის ცდებში **შპ**-თა ის 30 % და 35 %, რომლებმაც გამოამუშავეს გენერალიზაცია, ავლენენ არა ზოგადფსიქოლოგიურ კანონზომიერებას, არამედ მხოლოდ ზოგი ადამიანისთვის და მხოლოდ ზოგ ვითარებაში (ან, შესაძლოა, ყველა ვითარებაში – რასაც დამტკიცება სჭირდება) დამახასიათებელ მიდრეკილებას ძლიერი გენერალიზაციისკენ. სამაგიეროდ, მოიძებნებიან საპირისპირო თვისების მქონე ადამიანებიც: რომლებიც ადვილად ითავსებენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო **შპ**-ს: „მარჯვენას აკლია – ამიტომ პატარაა“ და „მარცხენას აკლია – ამიტომ პატარაა“ – ორ-ორი ტოლი ნივთის სხვადასხვა ზომის წყვილებისთვის.

5.5 ექსპერიმენტი – შპ – ში ფიქსირებული განწყობის გენერალიზაციის ღარღვევა ფორმის მხრივ.

5.4 ექსპერიმენტში ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ირდევდა **შპ**-ის გენერალიზაცია იმავე ფორმის, მაგრამ განსხვავებული ზომის საგნებზე. ასევეა დაახლოებით იმავე ზომის, მაგრამ განსხვავებული ფორმის საგნების შემთხვევაშიც.

ცდების სქემა ჩვეულებრივია – **40-20 | 20-20**, მაგრამ **ჰმ**-ში **შპ**-ს გლუვი ცილინდრების ნაცვლად მიეწოდება კუთხოვანი სხეულები – ოთხკუთხა პრიზმები დაკეჭნილი წახნაგებით. მათი სიგრძე და სიმაღლე კი დაახლოებით ისეთივეა, როგორც 20-იანი ცილინდრებისა.

გენერალიზაცია **შპ**-თა ნახევარზე ნაკლებს შეესო.

უფრო მეტიც, 5.4 ექსპერიმენტის მსგავსი

„შერეული“ ექსპერიმენტით დავადასტურეთ

„ანტიგენერალიზაციის“ არსებობა: კენტი

	+	-	=	?	S
პირითაღი ცდა	40	2	43	15	1
საპონტროლო ცდა	90	0	3	7	6

რიგის **შპ**-ში **შპ**-ს მიეწოდება **40-20** ცილინდრები, ხოლო ლუწი რიგის **შპ**-ში კი პირიქით – **20-40** პრიზმები; შედეგად **შპ**-თა 10 %-ს გაუფიქსირდა „წინააღმდეგობრივი“ **შპ**: 20-იან ცილინდრებზე ეჩვენებოდა, რომ მარჯვენაა უფრო მსხვილი, ხოლო იმავე ზომის, 20-იან პრიზმებზე – რომ მარცხენაა უფრო მსხვილი; დანარჩენი **შპ**-ების პასუხები კი უწესრიგოდაა „აჭრილ-არეული“, როგორც იყო 5.4 ექსპერიმენტში – აშკარაა ორი საწინააღმდეგო ძალის მოქმედება.

ჩაგატარეთ კიდევ ერთი ექსპერიმენტი: **შპ**-ში ჩვეულებრივად, **40-20** ცილინდრებით, ხოლო **ჰმ**-ში – დაკეჭნილი პრიზმებით, თანაც სხვა ზომისა – **30-30**. ესე იგი შეიცვალა როგორც ფორმა, ისე ზომა. ამ პირობებში გენერალიზაცია თითქმის აღარ ხდება.

დასკვნა 5. **სპ**-თა ის 40 % და 8 %,

რომლებმაც გამოამუშავეს გენერალიზაცია
ცილინდრებიდან იმავე ზომის დაკეჭნილ
პრიზმებზე, ავლენენ არა ზოგადფსიქოლოგიურ

	+	-	=	?	S
ბირთვული ძაბვა	8	4	65	23	1
საპონტროლო ძაბვა	90	0	3	7	6

კანონზომიერებას, არამედ მხოლოდ ზოგი ადამიანისთვის და მხოლოდ ზოგ ვითარებაში (ან, შესაძლოა, ყველა ვითარებაში – რასაც დამტკიცება სჭირდება) დამახასიათებელ მიდრეკილებას ძლიერი გენერალიზაციისკენ. სამაგიეროდ, მოიძებნებიან საპირისპირო თვისების მქონე ადამიანებიც: რომლებიც ადვილად ითავსებენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო **შპ**-ს: „მარჯვენაა დიდი“ და „მარცხენაა დიდი“ – ორ-ორი ტოლი ზომის ნივთის სხვადასხვა ფორმის წყვილებისთვის.

5.6 ექსპერიმენტი – შპუკა-ში ფიქსირებული განწყობის ხელშიან ხელში ირადიაციის დარღვევა.

სპ-ს მარჯვენა ხელში 10-15-ჯერ ვაწოდებთ, ანდა 2 წუთის განმავლობაში უწყვეტად ვაკავებთ ბინებთ 40-იან ცილინდრს. შემდეგ კი იმავე ხელში ვაწოდებთ 20-იანს. **სპ**-ს 20-იანი ცილინდრის ნაკლულობის განცდა გაუჩნდება [იხ. დასკვნა 3]. ესე იგი, სათანადო **შპ** წარმოქმნილია. შემდეგ ვამოწმებთ, **სპ**-ს ასეთივე კონტრასტის განცდა აქვს თუ არა მარცხენა ხელში.

ანდა, **სპ**-ს მარცხენა ხელში 10-15-ჯერ ვაწოდებთ, ანდა 2 წუთის განმავლობაში უწყვეტად ვაკავებთ ბინებთ 20-იან ცილინდრს. შემდეგ კი იმავე ხელში ვაწოდებთ 40-იანს. **სპ**-ს 40-იანი ცილინდრის გაბერილობის განცდა გაუჩნდება [იხ. დასკვნა 3]. ესე იგი, სათანადო **შპ** წარმოქმნილია. შემდეგ ვამოწმებთ, **სპ**-ს ასეთივე კონტრასტის განცდა აქვს თუ არა მარჯვენა ხელში.

ერთი ხელიდან მეორე ხელში კონტრასტის განცდა ანუ **შპ** არ გადასვლია არცერთ **სპ**-ს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თ. ნონიაშვილის ექსპერიმენტის შედეგი: ადამიანს ოპტიკურ მოდალობაში კონტრასტის განცდა (ანუ **შპ**) არ გადასდის მხედველობითი ველის ერთი ნაწილიდან სხვა, დაშორებულ ნაწილში. ირადიაცია დარღვეულია. მაგრამ გადასდის ერთი თვალისა და მეორე თვალში, ოღონდ იმ პირობით, თუკი კრიტიკული საგანი ველის იმავე ადგილასაა, სადაც იყო საგანწყობო საგანი [12:56].

დასკვნა 6. თითქმის არ ხდება ან სულ არ ხდება კონტრასტის განცდის ირადიაცია ერთი ხელიდან მეორეში – განსხვავებით მხედველობითი აღქმისგან. როგორც ჩანს, სივრცის (სამი განზომილების) აღსაქმელად ორი თვალის მოქმედება იმდენად მჭიდროდაა შეკავშირებული-კოორდინირებული, რომ ერთი თვალით მიღებული შთაბეჭდილება მეორე თვალით აღქმულზეც ზემოქმედებს. ოღონდ ზემოქმედებს მხოლოდ მხედველობითი ველის იმავე ადგილას. ხოლო სხვა ადგილას ზემოქმედება იმდენად სუსტია, რომ არ კმარა კონტრასტის განცდის გადასატანად. რაღაც ზომით ხელების მოქმედებაც შეკავშირებულია. მაგალითად, ჩვენ გვიჭირს მარცხენა ხელის ქნევა მარჯვენა ხელის ქნევის რიტმისგან აცდენილი რიტმით. მაგრამ ხელების შეხებით მიღებული შეგრძნებანი არ ყოფილა ასე მჭიდროდ შეკავშირებული.

5.7 ექსპერიმენტი – შპუკა-ში ფიქსირებული განწყობის ირადიაციის დარღვევა ერთი ხელის ფარგლებში.

შეხებითი აღქმის ველი

შპ-ის ცალ ხელში ფიქსირების შესაძლებლობის აღმოჩენის შემდეგ ვ. გრიგოლავა იძულებული გახდა, დაეშვა, რომ **შპუკა-ში** **შპ** თვითივე ხელში ცალ-ცალკე ფიქსირდება [5:50-51] (თუმცა არ გამოუკვეთია ის მრავალი წინააღმდეგობა განწყობის ტრადიციულ თეორიასთან, რომლებიც ამგვარ დაშვებას მაშინვე ხედავს). ვ. გრიგოლავას მომდევნო ექსპერიმენტი კი თითქმის გამორიცხავს **შპუკა-ში** **შპ**-ის ირადიაციის შესაძლებლობას ჰაპტურიდან ოპტიკურ მოდალობაში ან პირიქით. სხვათა შორის, შ. ნადირაშვილმა და მისმა თანაავტორებმა ამგვარ ირადიაციაში აღრევე შეიტანეს ეჭვი – აღმოჩნდა, რომ ის პროცენტული მონაცემები, რომლებიც დ. უზნაძესა და მის

მოწაფეებს ჰქონდათ მიღებული პაპტურ-ოპტიკური ირადიაციის დასამტკიცებლად, არ აკმაყოფილებს სტატისტიკური სანდოობის ჩვეულებრივ კრიტერიუმებს [15].

გ. გრიგოლავამ გონებაშეზღუდული ექსპერიმენტი ჩაატარა: **მმ-ში მმ** ერთმანეთს უდარებს, ორი ჩხირის სიგრძეს, ოდნოდ მარცხენა ჩხირს ხედავს და მის სიგრძეს მხედველობით აფასებს, ხოლო მარჯვენა ჩხირს ვერ ხედავს და მას სინჯავს გაჭიმული ცერისა და საჩვენებელი თითის მიდებით, უხილავად. ასევე უხილავად ისინჯება ორივე ჩხირი **მმ-ში**. ექსპერიმენტი ორგვარი სქემით ტარდება: **20-10 | 6-6** და **20-4 | 10-10**. შეჰველად და ცხადად გამოჩნდა, რომ **მმ-ს** კონტრასტის განცდა უნდება არა მარჯვენა-მარცხენა ჩხირების შეფარდებითი ზომების მიხედვით, არამედ მხოლოდ მარჯვენა ხელში საგანწყობო და კრიტიკული ჩხირების სიგრძეთა თანაფარდობის მიხედვით [5:178-181].

ამ ექსპერიმენტში პაპტური და ვიზუალური აღქმა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან **მმ** მხოლოდ ცალ ჩხირს ხედავდა. რ. ნათაძის ექსპერიმენტში [9] კი პაპტური აღქმა და ვიზუალური აღქმა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. მაშინ, როგორც წესი, **მმ-ის** პასუხები ვიზუალურ აღქმას შეესაბამებოდა. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანისთვის, ჩვეულებრივ, წამყვანია ვიზუალური აღქმა (განსხვავებით, მაგალითად, ძაღლისგან, რომლისთვისაც წამყვანია ყნოსვა; ხოლო მხედველობადაქვეითებული ადამიანისთვის წამყვანია სმენა და შეხება). პაპტური აღქმისა და ვიზუალური აღქმის დაპირისპირებისას ადამიანი, როგორც წესი, უკუაღებებს პაპტურს და ხელმძღვანელობს ვიზუალურით, როგორც ეს აჩვენა შ. ჩხარტიშვილმა [3:თავი IX].

შ. ნადირაშვილის ექსპერიმენტში **მმ-ებს** **მმ-ში** პაპტურად მიეწოდებდა **40-20**, ხოლო ოპტიკურად – პირიქით – **20-40**. ამის შედეგად **მმ-ებს** წინააღმდეგობრივი **მმ** გამოუმუშავდათ: **მმ-ში** პაპტურ მოდალობაში ეჩვენებოდა, რომ მარჯვენაა უფრო დიდი, ხოლო ოპტიკურ მოდალობაში – რომ მარცხენაა უფრო დიდი [19]. ამით საბოლოოდ გამოირიცხა პაპტურ-ოპტიკური ირადიაცია.

უფრო მეტიც, რამდენიმე ფსიქოლოგმა დაასაბუთა, რომ თვით მხოლოდ ოპტიკური მოდალობის ფარგლებშიც კი გაძნელებულია ირადიაცია. გ. ზინჩენკომ [26] და შემდეგ უფრო მარტივი ცდებით და უფრო დაწვრილებით თ. ნონიაშვილმა [12] გამოიკვლიეს, რომ მხედველობითი ველის ერთი ნაწილის შესაბამისი **მმ** არ გადადის ან სუსტად გადადის ველის სხვა, დაშორებულ ნაწილებში. გ. გრიგოლავამ ასეთივე შედეგი მიიღო იმ პირობებში, როდესაც **მმ-ს** წრეები ერთმანეთთან ახლოსაა, **მმ-ს** წრეები კი – შორს (ან პირიქით) – ხოლო მათი ადგილმდებარეობა მხედველობით ველში კი არ იცვლება, სულ ცენტრშია [5:64-65].

ჩვენი ექსპერიმენტები ადასტურებს ასეთსავე მოვლენებს პაპტურ მოდალობაშიც.

ექსპერიმენტების მთავარი სიახლე ისაა, რომ **მმ** და **მმ** ტარდება ხელის სხვადასხვა ადგილას. ანუ ჩვენ, ოპტიკური მოდალობის მხედველობითი ველის მსგავსად, შემოვიღეთ ცნება „შეხებათი აღქმის ველი“ და ამ ველში ვცვალებთ საცდელი ცილინდრების მდებარეობა – I, II და III.

მმ-ს მიწოდებული ცილინდრები უკავია:

I – ხელისგულითა და ოთხი თითით და ასევე სინჯავს (უმოქმედო ცერი კი გვერდითაა გაშვებული)



II – მხოლოდ წინაწვეული ცერითა და საჩვენებელი თითით



III – მხოლოდ ნეკსა და არათითის შორის, თითების გვერდითა ზედაპირებით (ყველაზე მოუხერხებელი მდებარეობა)



ჩავატარეთ ექსპერიმენტების 9 წყება:
 გასაშუალოებული დასკვნა: ირადიაცია
 მოხდა **მკ**-თა მხოლოდ 12 %-ს შემთხვევაში.

უფრო მეტიც, 5.4 ექსპერიმენტის მსგავსი
 „შერეული“ ექსპერიმენტით დავადასტურეთ
 „ანტიირადიაციის“ არსებობა: კენტი

	საპონტროლო			პირიმთაჲი ცაჲბი					
მკ	I	II	III	I	I	II	II	III	III
მკ	I	II	III	II	III	I	III	I	II

	+	-	=	?	S
პირიმთაჲი ცაჲბი	12	4	48	36	0,2
საპონტროლო ცაჲბი	78	3	7	12	2

რიგის **მკ**-ში **მკ**-ს 40-20 ცილინდრები I მდებარეობაში მიეწოდება, ხოლო ლუწი რიგის **მკ**-ში კი პირიქით – 20-40 ცილინდრები II მდებარეობაში; შედეგად **მკ**-თა 25 %-ს მყარად უმუშავდება „წინააღმდეგობრივი“ **მკ**: ერთიდაიმავე 20-იან ცილინდრებზე I მდებარეობაში ეჩვენებათ, რომ მარჯვენაა უფრო მსხვილი, ხოლო II მდებარეობაში – რომ მარცხენაა უფრო მსხვილი; დანარჩენი **მკ**-ების პასუხები კი უწესრიგოდაა „აჭრილ-არეული“, როგორც იყო 5.4 და 5.5 ექსპერიმენტებში – აშკარაა ორი საწინააღმდეგო ძალის მოქმედება.

ამ ცდის გონებახილური სახესხვაობა მოიგონა რ. საყვარელიძემ (ჩვენ მიერ ექსპერიმენტების შედეგების ერთობლივად განხილვისას). მან მოიგონა შეხებით აღქმის ველში კიდევ ორი სხვა მდებარეობა:

მკ-ს **მკ**-ში მარჯვენა ხელში ვაწვდით 20-იან ცილინდრს I მდებარეობაში; ხოლო მარცხენა ხელში ვაწვდით რიგ-რიგობით, კენტ-ლუწი რიგზე, 40-იან ცილინდრს IV მდებარეობაში და 10-იან ცილინდრს V მდებარეობაში.

მკ-ში ორივე ხელში ვაწვდით

IV – ხელისგულის ზედა ნახევრით, ცერით, სახვენებელი თითითა და შუათითით



V – ხელისგულის ქვედა ნახევრით, არათითა და ნეკით



20-იან ცილინდრებს ჩვეულებრივად, ხუთივე თითისა და ხელისგულის შეხებაში.

მკ-თა 33 % მკაფიოდ აღიქვამს ძალიან უცნაურ რამეს: მარჯვენა ხელში ცილინდრი ჩვეულებრივად, მაგრამ მარცხენაში ეჩვენება, რომ უკავია არა ცილინდრი, არამედ კონუსი – ცილინდრის ზედა ნაწილი ძლიერ გაწვრილებულია, ხოლო ქვედა – გამსხვილებული! მერე, თუკი **მკ** განაგრძობს იმავე ცილინდრის ხელში ჭერას, „კონუსი“ მარცხენა ხელში თანდათან „ამოძრავდება“ – მისი ზედა ნაწილი მსხვილდება, ქვედა კი წვრილდება, სანამ კვლავ ცილინდრად იქცეოდეს.

დასკვნა 7. **მკ**-თა ის 12 %, რომლებმაც გამოამუშავეს ირადიაცია ერთი ხელის ფარგლებში შეხებითი აღქმის ველის სხვადასხვა მდებარეობებს შორის, ავლენენ არა ზოგადფსიქოლოგიურ კანონზომიერებას, არამედ მხოლოდ ზოგი ადამიანისთვის და მხოლოდ ზოგი ვითარებაში (ან, შესაძლოა, ყველა ვითარებაში – რასაც დამტკიცება სჭირდება) დამახასიათებელ მიდრეკილებას ძლიერი ირადიაციისკენ. სამაგიეროდ, გაცილებით მეტია საპირისპირო თვისების მქონე ადამიანები: რომლებიც ადვილად ითავსებენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო **მკ**-ს: „მარჯვენაა დიდი“ და „მარცხენაა დიდი“ – ორ-ორი ერთნაირი ნივთის ერთიდაიმავე წყვილისთვის სხვადასხვა მდებარეობაში. თანაც, ამას მკაფიოდ განიცდიან ერთდროულადაც კი.

შენიშვნა 7. შეინიშნება კორელაცია 5.4-5.8 ექსპერიმენტებში გამოვლენილ პასუხებს შორის: ის ადამიანი, ვისაც ახასიათებს ძლიერი გენერალიზაცია იმავე ზომისა და განსხვავებული ფორმის საგნებზე, როგორც წესი, ახასიათებს ძლიერი გენერალიზაცია იმავე ფორმისა და განსხვავებული ზომის საგნებზეც, და პირიქითაც. მასვე ახასიათებს უფრო მეტი ირადიაცია. ასევე, ვინც პირველ ვითარებაში „ანტიგენერალიზაციას“ ავლენს, როგორც წესი, მეორე ვითარებაშიც

ავლენს. მას „ანტიირადიაცია“ ახასიათებს. მაგრამ მონაცემების სიმცირის გამო ამ დასკვნას აკლია სტატისტიკური სანდოობა, რის გამოც სავარაუდო დებულებად რჩება.

ყოველ შემთხვევაში, ძალიან საინტერესო საკვლევი საკითხია: დასაბუთდეს, რომ ეს თვისებები მართლაც ადამიანის ტიპოლოგიური მახასიათებლებია, შედარდეს ფსიქოპათოლოგიის მონაცემებს და შემდეგ შედარდეს ადამიანის სხვა, ცნობილ ტიპოლოგიურ მახასიათებლებს.

ჩვენი ვარაუდით, ეს თვისებები შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგალითად, მიღების ზონის სიდიდეს [23]: ძლიერი გენერალიზაცია-ირადიაცია – მიღების ვიწრო ზონა; ანტიგენერალიზაცია-ანტიირადიაცია – მიღების ფართო ზონა.

§ 6. შეჯამება და ბანზოგაფება

შევიმუშავეთ ფიქსირებული განწყობის დ. უზნადისეული, კლასიკური ექსპერიმენტის ოპტიმალური, თან სტანდარტიზებული ინსტრუქცია და ზუსტი მეთოდოკა. ჩავატარეთ ათასობით ცდა.

დადასტურდა ვ. გრიგოლავას შედეგი: ფიქსირებული განწყობის დ. უზნადისეულ, კლასიკურ ექსპერიმენტში გაცნობიერებელი შეგრძნებებით ისეთივე ძლიერი განწყობის ფიქსაცია ხდება, როგორც გაცნობიერებულებით.

რამდენიმე სხვადასხვა მხრივ დადასტურდა შ. ნადირაშვილისა და ვ. გრიგოლავას დასკვნები: ამ ექსპერიმენტში არ ხდება მეტნაკლებობის მიმართების ფიქსირება; კონტრასტის განცდის საფუძველია არა დიდ-პატარას შედარება, არამედ ის, რომ ცალ ხელში პატარის შემდეგ დიდი კონტრასტულად კიდევ უფრო დიდად აღიქმება, ხოლო დიდის შემდეგ პატარა – კიდევ უფრო პატარად; ესაა საზოგადოდ კონტრასტის განცდის საფუძველი ყველა მოდალობაში, მათ შორის პიროვნულ და სოციალურ შეფასებებშიც. შ. ნადირაშვილის მიერ დამტკიცებულია, რომ თვითონ ამ მოვლენის საფუძველია განწყობის ასიმილაციური მოქმედება. ჩვენ მიერ დაკონკრეტებულია: ასიმილაციური მოქმედება კერძოდ პერცეპტული მზაობის მხრივ (ამდაგვარ ცნებას იყენებდა აგრეთვე ჯ. ბრუნერი). არამხოლოდ სენსომოტორულ ქმედებას, არამედ აღქმის ერთ აქტსაც კი წინ უძღვის განწყობის ასიმილაციური მოქმედებით წარმოქმნილი სათანადო მზაობა – პირველადი, აქტუალური განწყობის სათანადო სახესხვაობა. ეს ხდება ადრე ფიქსირებულ ან თანდაყოლილ განწყობათა აქტუალიზაციის გავლენით (ამგვარი ფიქსირებული განწყობა – ესაა აღქმის მზა სქემა, ანდა ბაზისეტალონი, შ. ნადირაშვილის ტერმინით).

ჯანმრთელ ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის დ. უზნადისეულ, კლასიკურ ექსპერიმენტში ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე არ აღემატება ორიოდე წუთს.

გენერალიზაცია (ფიქსირებული განწყობის გადავრცელება განსხვავებული ფორმისა და ზომის საგნებზე) და ირადიაცია (ფიქსირებული განწყობის გადატანა სხვა მოდალობებში) არაა განწყობის ზოგადი მახასიათებლები (ამას ასაბუთებდა შ. ნადირაშვილიც). ისინი შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგიერთი ადამიანისთვის ზოგ ვითარებაში დამახასიათებელი თვისებები. უფრო მეტიც, ზოგი ადამიანი ამჟღავნებს „ანტიგენერალიზაციას“ და „ანტიირადიაციას“. საკმაო მონაცემები გვაქვს, რათა ვივარაუდოთ, რომ ეს ყოველივე – ადამიანის მყარი ტიპოლოგიური მახასიათებლებია. ოღონდ ამას დამტკიცება სჭირდება სათანადო მკაცრი სტატისტიკური კრიტერიუმებით და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად წმინდა ექსპერიმენტებით.

შემოვიღეთ ცნება „შეხებითი აღქმის ველი“ (მხედველობითი ველის მსგავსად). აღმოჩნდა, რომ ჰაპტურ მოდალობაში კიდევ უფრო მკვეთრად ხდება იგივე, რაც ოპტიკურ მოდალობაში: აღქმის ველის ერთი ადგილის შესაბამისი ფიქსირებული განწყობა არ გადადის იმავე ველის სხვა ადგილას.

ამრიგად, მცდარი აღმოჩნდა ის მრავალი დებულება, რომლებიც განწყობის თეორიის ექსპე-

რიმენტულ საფუძვლებში მიხნეული იყო ფიქსირებული განწყობის მთლიანობითი, მთლიანინდივიდური ბუნების დამასაბუთებელ მახასიათებლებად [2]. აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტულადაც დასტურდება ჩვენ მიერ თეორიულად დასაბუთებული დებულება: ფიქსირებულ განწყობას არა აქვს მთლიანობითი, მთლიანინდივიდური ბუნება, იგი კერძოობითია, კერძო მოღალობის ფარგლებში არსებული. შესაბამისად, არსებობს ფიქსირებული განწყობა: პერცეპტულ-მხედველობითი, პერცეპტულ-სმენითი, პერცეპტულ-ჰაპტური...; სხვადასხვაგვარი მოტორული თუ სენსომოტორული; სხვადასხვაგვარი სამეტყველო თუ სააზროვნო; სხვადასხვაგვარი ესთეტიკური, სოციალური, პიროვნული თუ სხვა მოღალობისა. ზოგ ვითარებაში და ზოგი ადამიანისთვის ისინი, შესაძლოა, ვრცელდებოდნენ სხვა მოღალობებში და ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ. თვით ამ ინტერმოღალური კავშირების საფუძველი არის პირველად-აქტუალური განწყობის ფსიქოფიზიოლოგიური მთლიანობითობა და, შესაბამისად, ინდივიდის მთლიანობითობა, მისი სულისა და სხეულისა. მაგრამ ზოგი ადამიანი ზოგ ვითარებაში საპირისპირო თვისებებს ავლენს: სხვადასხვა მოღალობაში ადვილად ითავსებს ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქსირებულ განწყობებს.

დაქსაქსულ და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქსირებულ განწყობათა გამაერთიანებელი და კონკრეტული აქტივობისთვის მომგეზავი – ესაა პირველად-აქტუალური განწყობა. სწორედ მას, და არა ფიქსირებულ განწყობას, აქვს მთლიანობითი, მთლიანინდივიდური ბუნება. ამის კონკრეტული შინაარსი უკვე აღწერილია ჩვენ მიერ [27:§6].

ჩვენი დასკვნებიდან ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა დარჩეს, რომ ინდივიდის ყოველგვარ გარე ან შიგა აქტივობას სჭირდება თავისი საკუთრივი ფიქსირებული განწყობა. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით. ზოგ აქტივობას მართლაც შეესაბამება საკუთრივი ფიქსირებული განწყობა, მაგრამ ზოგ აქტივობას – არა. ასეთი აქტივობისთვის მთლიანი ინდივიდის შემზადებისას პირველად-აქტუალური განწყობა გამოაცოცხლებს და თავის შემადგენლობაში ჩაირთავს იმ მოვლემარე (ლატენტურად შენახულ) ფიქსირებულ განწყობებს, რომლებიც წარსულში მსგავს ვითარებაში გაფიქსირებულან და მათ საფუძველზე მიზანშეწონილი (წარმატებული) ქცევა განხორციელებულა. ამ ფიქსირებულ განწყობათაგან მრავალი შეიძლება სხვა აქტივობიდან იყოს გადმოტანილი (ტრანსფერი ანუ ტრანსპოზიცია [33:§5]). შემდეგ განწყობა ახორციელებს ასიმილაციურ ქმედებას. თუკი ახალი ვითარება მხოლოდ არაარსებითად ჰგავს ძველს, მაშინ ასიმილაციური ქმედება მიზანშეუწონელი აღმოჩნდება და წარმოიქმნება კონტრასტული ილუზია. შ. ნადირაშვილის თანახმად [18], ეს ილუზია ინდივიდს ეხმარება მიზანშეუწონელი ქმედების სწრაფ აღკვეთაში, ფიქსირებულ განწყობათა გააქტიურებული მტევნის დიფერენციაში და, საბოლოოდ, მიზანშეუწონილების სწრაფ მიღწევაში. ამის თანმდევი ინდივიდის გამოცდილების გამდიდრება – ფიქსირებულ განწყობათა უფრო დიფერენცირებული მტევნების შექმნა.

გამოცდილება – ესაა სხვადასხვაგვარ ფიქსირებულ განწყობათა მტევნები [27][33]. ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს ახალ ვითარებათა ასიმილაციისა და მათში გადანაცვლების (ტრანსფერის) ძლიერი უნარი [33:§5]. ეს იძლევა უდიდეს ეკონომიურობას როგორც დროში (სწრაფი ქმედება), ისე ფსიქიკურ ძალებში (სულ ახალ-ახალი და ახლებური ქცევები ფიქსირებულ განწყობათა შეზღუდული ერთობლიობის საფუძველზე). უამისოდ ინდივიდის ცხოველქმედება ძნელად წარმოსადგენია. მაგრამ ეკონომიურობასა და სისწრაფეს საფრთხეც ახლავს: ზედმეტი ასიმილაცია და მიზანშეუწონელი ქმედება, რომელმაც იშვიათად ინდივიდის დაღუპვაც კი შეიძლება გამოიწვიოს.

ამრიგად, ინდივიდის ყოველ ქმედებას წინასწარ სჭირდება – არა საკუთრივი ფიქსირებული განწყობა, არამედ – პირველად-აქტუალური განწყობის სათანადო გადაკეთება, სახესხვაობა. ეს თავისთავად მოიცავს საჭირო ფსიქიკური ძალების თავმოყრასა და მოგეზავს, ანუ ფიქსირებულ განწყობათა სათანადო ნაკრების გამორჩევასა და აქტუალიზაციას.

განწყობის თეორიის ტრადიციული ექსპერიმენტული საფუძვლები – ესაა, არსებითად, მხო-

ლოდ ფიქსირებული განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ხოლო პირველად-აქტუალური განწყობის თეორიის საფუძვლებად მხოლოდ ირიბად თუ გამოდგება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია შ. ჩხარტიშვილის ბრწყინვალე ექსპერიმენტებით [4].

საჭიროა განწყობის თეორიის გაწმენდა მცდარი დებულებებისგან და ლოგიკურად მწყობრი თეორიის აგება, რის შემდეგაც მის წინაშე უდიდესი პერსპექტივები გაიშლება.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. - შრომები, ტ. 6. თბ.-1977.
2. დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები. - შრომები, ტ. 6. თბ.-1977.
3. Ш. Н. Чхартишвили. Некоторые спорные проблемы психологии установки. Тб.-1971.
4. Ш. Чхартишвили. Влияние потребности на восприятие и установка. - "Вопросы психологии", 1971, № 1.
5. В. В. Григолава. Контрастная иллюзия, установка и бессознательное. Тб.-1987.
6. И. Бжалава. Установка и поведение. Тб.-1968.
7. И. Бжалава. Контрастная иллюзия или эффект последствия фигуры. - "Экспериментальные исследования по психологии установки", т. 3. Тб.-1966.
8. И. Бжалава. О природе контрастной иллюзии. - "Вопросы психологии", 1958, № 4.
9. Р. Натадзе. Установочное действие иллюзорно воспринимаемой величины рисунков. - "Вопросы психологии", 1971, № 2.
10. Н. Адамашвили. Отражение в фиксированной установке соотношения величины и отдаленности предметов. - "Вопросы психологии", 1960, № 3.
11. Н. Кочиаши. Фактор вертикального и горизонтального различия в ассимилятивном действии установки. - "Экспериментальные исследования по психологии установки", т. 3. Тб.-1966.
12. თ. ნონიაშვილი. სენსომოტორული აქტივობა და ფიქსირებული განწყობა. თბ.-1980.
13. Т. Нониаши. Оптимальные условия для проявления иллюзии фиксированной установки. - "Экспериментальные исследования по психологии установки", т. 5. Тб.-1971.
14. ა. გრიგოლავა და სხვანი. განწყობის ქარაქტეროლოგიური სტატუსის თავისებურებანი... - კრებულში „თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“, თბ.-2001.
15. შ. ნადირაშვილი, თ. ნონიაშვილი, ნ. თომეიშვილი, ზ. ბიგვაჟა, მ. როგოვსკაია, რ. საყვარელიძე. განწყობის შემსწავლელი მეთოდის შემდგომი დაზუსტების ცდა. - „ფსიქოლოგია“, ტ. XV, თბ.-1980.
16. შ. ნადირაშვილი. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. 1. თბ.-1983.
17. შ. ნადირაშვილი. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. 2. თბ.-1985.
18. შ. ნადირაშვილი. განწყობის ანთროპული თეორია. თბ.-2001.
19. შ. ნადირაშვილი. - *ზეპირი შეტყობინება*.
20. ი. იმედაძე. ქცევის პოლიმოტივაციის საკითხისათვის. - „მაცნე“, 2003, № 1.
21. რ. საყვარელიძე. მოქმედების გეგმა და განწყობა. - „ფსიქოლოგია“, ტ. XXII, თბ.-2010.
22. რ. საყვარელიძე. - *ზეპირი შეტყობინება*.
23. ნ. ბურდული. დამოკიდებულება დისპოზიც. განწყობის ძირითად მახასიათებელთა შორის. - „მაცნე“, 2007, № 1.
24. Piaget J., Lambercier M. Essai sur un effet d'Einstellung survenant au cours de presentations visuales successives (Effect Uznadze). - "Arch. Psychol." XXX, 1944.
25. Брунер Дж. Психология познания. М.-1977.
26. В.П. Зинченко. Движение глаз и формирование зрительного образа. - "Вопросы психологии", 1958, № 6.
27. ზ. ვახანია. განწყობის ცნების განსაზღვრება შ. ჩხარტიშვილის ნააზრევზე დაფუძნებით. - „ფსიქოლოგია“, ტ. XXII, თბ.-2010.
28. ზ. ვახანია. ლაპიერის ექსპერიმენტი და სოციალური განწყობის ცნება. - „მაცნე“, 2007, № 1.
29. ზ. ვახანია. განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები - ობიექტივაციის ცნება დ. უზნაძისა და შ. ნადირაშვილის თეორიებში. - „ფსიქოლოგია“, ტ. XX, თბ.-2007.
30. ზ. ვახანია. ინსტრუქციის ზეგავლენა დ. უზნაძისეული კლასიკური ექსპერიმენტის შედეგებზე. - „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“. ბათუმი-2006.
31. ზ. ვახანია. ი. ბუალავასეული „კუნთური ფაქტორი“ ფიქსირებული განწყობის კლასიკურ ცდებში. - „ფსიქოლოგია“, ტ. XIX, თბ.-2004, 49-56.
32. ზ. ვახანია. არაყურადღებულ შეგრძნებანი, განწყობა და ცნობიერება. - „მაცნე“, 2003, № 1.
33. განწყობა, გადატანა, ინტუიცია და ნიჭიერება - „მაცნე“, 2009, № 1.

We developed an optimal instruction and rigorous methodology for D. Uznadze's classical experiment on the fixation of set and carried out numerous experiments (for example see the photos above - in the Georgian text).

Our experiments support V. Grigolava's following result: In the Uznadze classical experiment the set fixated through **unconscious** sensations is as intense as the set fixated via conscious sensations.

Our results partially support the conclusions made by Sh. Nadirashvili and V. Grigolava: The 'bigger-smaller' relationship is not fixated in this experiment; contrast is not experienced because of the **comparison** of a small and a big object; a big object is perceived as much bigger after a small object (where one hand takes part in the experiment) and a small object is perceived as much smaller after a big object. This is the bases of **experiencing contrast as such** in all the modalities, including social evaluations. Sh. Nadirashvili has proved that the basis of this phenomenon is the assimilative action of set. We also add that it is an assimilative action specified as **perceptual readiness** (the term used also by J. Bruner). The state of readiness formed by the assimilative action of set (a variety of primary-actual set) precedes not only a sensory-motor activity, but also a single perception act. This happens as a result of the actualization of previously fixated or inborn sets (Such a fixated set is a ready perceptual scheme or the 'basic- standard', to use Sh. Nadirashvili's term).

In the vast majority of healthy people, the duration of the effect of the set fixated in Uznadze's classical experiments **does not exceed a couple of minutes**.

Generalization (spreading of set to the objects of different shape and size) and **irradiation** (transportation of fixated set to other modalities) are not general characteristics of set. They are the attributes of some people in some conditions. Moreover, some of the people manifest **anti-generalization** and **anti-irradiation**. There are enough data to assume that these are the individual's stable characteristics, but this has to be proved using rigorous statistical criteria, and, what is most important, through rigorous psychological experiments.

We introduced the notion of '**Perceptual field of touch**' (analogue of the 'Visual field'). It was found out that exactly the same thing happens in the haptic and optical modalities: fixated set, corresponding to one area of the perceptual field, does not transfer to another area of the same field.

Consequently, many statements, that, according to the experimental bases of set theory, were supposed to prove an integral character of fixated set (or described fixated set as the state of the individual as a whole) have turned out to be false. Therefore, the statement that has been theoretically substantiated by us can be also experimentally supported: **It is just actual set that may have integral nature, but not fixated set. As for fixated set it is a specific set limited to a single modality**. Therefore, there are different kinds of fixated sets: perceptual-visual, perceptual-auditory, perceptual-haptic...; motor and sensory-motor; also various linguistic, intellectual, aesthetic, personal, social, and other sets limited to other modalities. Fixated sets can spread to other modalities and influence each other in some individuals and in certain situations. The basis of such **inter-modal** links is the **psycho-physiological wholeness** of the primary-actual set, and, consequently, the **individual's** wholeness, the unity of our body and soul. But some people manifest different, opposite qualities in some situations. They easily combine opposite fixated sets in different modalities.

The function of primary-actual set is to integrate isolated and sometimes opposite fixated sets and direct them for the purpose of a specific activity.

After being refined, the theory of set will be able to face more many challenges.

ირაკლი იმედაძე

*დოქტორი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი***1952 წლის დისკუსია დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის გარშემო**

საგვანაო სიტყვები: პაპოლოგის მოძღვრება; ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია; განწყობის თეორიის იდეალისტურობა; ფსიქოლოგიური კანონზომიერება; განწყობის ფსიქიკურობა, არასწორი მართობა, მთლიანობა;

დოქტორი უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკული განხილვა-შეფასება და დისკუსია მის გარშემო დაიწყო მისი დამუშავების ადრეულ სტადიაზე და განსხვავებული ინტენსივობითა და მასშტაბით გრძელდებოდა თითქმის მთელი ხნის მანძილზე, რაც დ. უზნაძის სკოლა არსებობდა. ამ სამეცნიერო სკოლის აღმოცენების ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ, სავარაუდოდ და მიახლოებით, მისი არაოფიციალური გაფორმების საწყის ეტაპად “საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების” (თავდაპირველად მას ასე ერქვა) შექმნა შეიძლება მივიჩნიოთ (1927 წ.). როგორც ჩანს, ამ დროისთვის დ. უზნაძემ მიიჩნია, რომ საქართველოში უკვე საკმარისად ბევრი კვალიფიცირებული სპეციალისტი მუშაობს ფსიქოლოგიასა და მომიჯნავე სფეროებში, რათა ისინი გაერთიანდნენ ერთი საზოგადოების ფარგლებში. საზოგადოების დანიშნულება იყო საქართველოში ფუნდამენტური და გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარების ხელშეწყობა. დ. უზნაძემ ამ მომენტისთვის უკვე საკმარისად წინ წასწია კვლევა-ძიება ფსიქოლოგიის რამდენიმე მიმართულებით, ესენია: ზოგადი, გენეტიკური, პედაგოგიკური (პედოლოგია), შრომის (ფსიქოტექნიკა) ფსიქოლოგია. მაგრამ ნამდვილი სამეცნიერო სკოლა ყოველთვის გარკვეული მეცნიერული მიმართულების გამომხატველია, ახალი იდეის, თვალსაზრისისა თუ კონცეფციის გამტარებელია და მის გარშემო არის კონსოლიდირებული. ამ კუთხით თუ შევხედავთ, დ. უზნაძის სკოლა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული ერთეული, XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა. განწყობის თეორიამ, როგორც ამ სკოლის გამაერთიანებელმა და მასაზრდოებელმა წყარომ, ექსპერიმენტულ ნიადაგზე დაფუძნებული მოძღვრების სახე მაშინ მიიღო. ამ თეორიული სისტემის პირველი მონახაზი და ვარიანტი (ე. წ. ბიოსფერული კონცეფცია) დ. უზნაძემ ოცდაათიან წლების პირველ ნახევარში მოგვცა. მაგრამ მისი ექსპერიმენტული ბაზის დამუშავება ოცდაათიანების მიწურულსა და ოცდაათიანების დასაწყისში დაიწყო. რაც მთავარია, ამ პროცესში თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართული დ. უზნაძის მოწაფეები. ამ პროცესის თვითმხილველისა და დ. უზნაძის ყველაზე ავტორიტეტული ბიოგრაფის, ნადეჟდა ბერუღავას ცნობით, კვლევის “მიზნის, ამოცანის და მეთოდის განსაზღვრა და ზოგადი ხელმძღვანელობა დ. უზნაძეს ეკუთვნოდა: განწყობის ყველა ექსპერიმენტის ის თავისი ძირითადი იდეის მიხედვით აყალიბებდა და მოპოვებული ფაქტი განწყობის ცნების საერთო კონტექსტში შეჰყავდა; მაგრამ ჩატარებულ ექსპერიმენტზე გაწეულ შრომას იგი ცდის უშუალო მწარმოებელ თანამშრომელს აკუთვნებდა და ამ საკითხის ავტორობას მას აკისრებდა” [3: 57]. აქედან ჩანს, რომ დ. უზნაძე სპეციალურად ზრუნავდა საკუთარი მეცნიერული სკოლის შექმნაზე, რაც შემდგომი მოვლენების ფონზე, ერთობ შორსმჭვრეტელურად გამოიყურება. საქმე ისაა, რომ მისი შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი მონაპოვარის, განწყობის თეორიის დაცვა უამრავი შემოტევისაგან და ფართო ფსიქოლოგიური საზოგადოებრიობისთვის მის ღირსებათა წარმოჩენა, უმთავრესად, სწორედ ამ მეცნიერული სკოლის წარმომადგენლებს ხვდა წილად.

ყოველივე ეს დ. უზნაძის გარდაცვალების (1950 წ.) შემდეგ დაიწყო. ახრთა სხვადასხვაობა სკოლის შიგნით, ცხადია, მანამდეც არსებობდა. მაგალითად, ა. ბოჭორიშვილი თავიდანვე

განსხვავებულ პოზიციაზე იდგა დ. უზნაძის თეორიის ზოგიერთ ძირეულ ასპექტთან დაკავშირებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დ. უზნაძის სოცოცხლეში ამ უთანხმოებას ღია დისკუსიის სახით თავი არ უჩენია. ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. ა. ფრანგიშვილი იყო პირველი, ვინც საჯაროდ გააკრიტიკა დ. უზნაძის შეხედულებები 1932 წელს ვრცელ წერილში [21]. მასზე საგანგებოდ სხვა დროს ვისაუბრებთ, მაგრამ ობიექტურობა აქვე მოითხოვს ითქვას, რომ ეს კრიტიკა, ძირითადად, მიმართული იყო დ. უზნაძის თეორიის პირველი (ბიოსფერული) ვარიანტის მიმართ, რომელიც, საბოლოოდ, მისმა ავტორმაც უარყო. როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, თეორიის ეს ვერსია სამიზნედ სხვა კრიტიკოსებმაც გაიხადეს.

ამჟამად შეგვიჩნდება არა სკოლის შიგნით არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, არამედ სკოლის გარედან მომდინარე კრიტიკულ შეფასებებზე. ისინი გამოითქმოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სპეციალური თათბირებისა და დისკუსიების სახით. პირველი ასეთი დისკუსია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით მოეწყო თბილისში, 1952 წლის 8-11 აპრილს სახელწოდებით “საბჭოთა ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი” [27]. იმისთვის, რათა გასაგები გახდეს პაექრობის შინაარსი და ხასიათი, საჭიროა გავითვალისწინოთ საერთო ფონი, რომელზეც დისკუსია მიმდინარეობდა და კონკრეტული ვითარებები, რომელთაც მისი პროვოცირება მოახდინეს.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში იდეოლოგიური ატმოსფერო დაიძაბა. ამის ერთერთი გამოხატულება იყო მეცნიერებაზე პარტიული კონტროლის გამაღრმავება. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ სოფლისმეცნიერებათა აკადემიის 1948 წლის გახმაურებული სესია, რომელზეც, ფაქტობრივად, განადგურებულ იქნა გენეტიკა. მას მოჰყვა 1950 წელს სტალინის უშუალო დავალებით მალენკოვისა და ჟდანოვის მიერ ორგანიზებული ე. წ. ორი აკადემიის (დიდი და სამედიცინო აკადემიის) გაერთანებული სესია. იგი მიეძღვნა იმას, რომ ივანე პავლოვის მოძღვრება გამოცხადებულიყო ერთადერთ ჭეშმარიტ სწავლებად, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო ბიოლოგია, მედიცინა და ფსიქოლოგია. სესიამ ბიძგი მისცა მოძრაობას ფსიქოლოგიის პავლოვურ ყაიდაზე გადაყვანის მიმართულებით. ამაზე მსჯელობა გაიმართა სესიიდან რამდენიმე თვის მერე მოსკოვში პედაგოგიკური აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე (მისი სტენოგრამა დაეგზავნა წამყვან სამეცნიერო ცენტრებს, მათ შორის თბილისის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს, რომლის თანამშრომლები გულდასმით გაეცნენ მას): 1951 წლის დასაწყისში პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზეთ “პრავდის” წერილში მკაცრი შეფასება გაკეთდა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ჩამორჩენის თაობაზე, რასაც მოჰყვა აზრთა გაცვა-გამოცვლა “უნიტელსკაია გაზეტას” ფურცლებზე. ბოლოს, 1952 წელს მოსკოვში გაიმართა თათბირი ქვეყნის წამყვანი ფსიქოლოგების მონაწილეობით. მას წინ უძღოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწვობილი აღნიშნული დისკუსია. იგი გამოძახილი იყო ზემოთ მოყვანილი მოვლენებისა. მაგრამ მას უშუალო ბიძგი მისცა ერთი თვით ადრე “ლიტერატურულ გაზეთში” საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფიზიოლოგ დიმიტრი გედევანიშვილის წერილმა: “ერთი იდეალისტური კონცეფციის შესახებ ფსიქოლოგიაში”. წერილი მიმართული იყო დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. მას საგრძნობი რეზონანსი ჰქონდა მეცნიერულ წრეებში. განსაკუთრებული გაღიზიანება და შეაშფოთება გამოიწვია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებში. წერილში გამოთქმული შეფასებები და ბრალდებები, ისედაც მწვავე იდეოლოგიურ ფონზე, აუცილებლად მოითხოვდა პასუხს.

რეაგირების ყველაზე ოპტიმალურ და ეფექტურ ფორმად მიიჩნიეს საჯარო დისკუსია. იგი იშვიათი ოპერატიულობით მომზადდა. ერთ თვეში მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში დაისტამბა დისკუსიის მოხსენების თეზისები. ამ მცირე ზომის კრებულში წარმოდგენილია სულ ხუთი ავტორის (ალექსანდრე ფრანგიშვილის, რევაზ ნათაძის, ანგია ბოჭორიშვილის, დარეჯან რამიშვილის, იოსებ ბჟაღავას) გაშლილი თეზისები [7]. როგორც ჩანს, ისინი ითვლებოდნენ ძირითად მომხსენებლებად. ძირითად მომხსენებლებს, თანამომხსენებლებს და მათ ოპონენტებს,

რეგლამენტის თანახმად, პრაქტიკულად განუსაზღვრელი დრო მიეცათ. კამათში გამომსვლელებს გარკვეული შეზღუდვები ჰქონდათ დროში. როგორც სტენოგრაფიული მასალა მოწმობს, დისკუსიაში სულ 28 მეცნიერი გამოვიდა. რამდენიმე მათგანს ორი მოხსენება ჰქონდა (დამასრულებელი სიტყვა). ოთხსაათიანი სხდომები ტარდებოდა დილით და საღამოს. შესავალი და შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკო ბერძენიშვილმა. იგი თავმჯდომარეობდა სხდომების დიდ ნაწილს, თუმცა მას ენაცვლებოდნენ აკადემიის სხვა ხელმძღვანელებიც (მაგალითად, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი). თვითმხილველთა გადმოცემით, სხდომებმა მთელი თბილისის ინტელეგენცია ააფორიაქა. ფურცელადის ქუჩაზე მდებარე ე. წ. “მასწავლებელთა სახლის” დარბაზი მსმენელს ვერ იტევდა. ატმოსფერო უკიდურესად დაძაბული იყო. ყველას ესმოდა, რომ სასწორზე იყო შემოდებელი არა მხოლოდ ყველას მიერ სათაყვანებელი მეცნიერის, დიმიტრი უზნაძის სახელი და ღირსება, არამედ, შესაძლოა, მთელი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ბედი. ამ სამეცნიერო სკოლის მუშაობა, ცხადია, მისი ფუძემდებლის ხაზს მიჰყვებოდა და მაშინ უკვე სოლიდური ავტორიტეტი ჰქონდა. ამრიგად, დისკუსიაზე, არსებითად, ორი დიდი საკითხი განიხილებოდა: 1) ი. პავლოვის მოძღვრება და ფსიქოლოგია და 2) დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის იდეოლოგიური კორექტულობა. ვინაიდან მეორე საკითხი პირველთან კავშირში განიხილებოდა, ამიტომ გამომსვლელთა დიდი ნაწილი, არსებითად, ორივე საკითხს შეეხო.

პირველ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე პრინციპული მოსაზრება გამოითქვა, თუმცა მთლიანობაში ქართველი ფსიქოლოგების პოზიცია ერთსულოვანი იყო. კერძოდ, აღინიშნა, რომ პავლოვის მოძღვრებასთან ფსიქოლოგიის მიმართების ანალიზს ფსიქიკის ორგანული, ფიზიოლოგიური საფუძვლების და, საბოლოო ჯამში, ფსიქოლოგიის საკვლევი სფეროს, მისი დამოუკიდებელ მეცნიერებად არსებობის პრობლემებთან მივყავართ. ეს მიმართება და მისგან გამომდინარე პრობლემები ერთმნიშვნელოვნად და მართებულად ვერ იქნა გააზრებული იმ განხილვათა მსვლელობაში, რომლებიც „პავლოვურ სესიას“ მოჰყვა. ქართველი ფსიქოლოგების კრიტიკის ძირითად სამიზნედ ბორის ტეპლოვი გახდა. სწორედ მან გააკეთა მთავარი მოხსენება მოსკოვის ფსიქოლოგთა თავყრილობის წინაშე და წარმოადგინა გარკვეული ფორმულირებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ბ. ტეპლოვი ამტკიცებდა, რომ ფსიქოლოგიის საგანია “ფსიქიკური შინაარსები მათ ერთიანობაში ფსიქიკური მოქმედების მექანიზმებთან”. ამასთან საგანგებოდ განმარტავდა, რომ “ფსიქიკური პროცესების მექანიზმები – ესაა ადამიანის ტვინის უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონები”; “თანმიმდევრული მარქსისტისთვის არაა და არც შეიძლება არსებობდეს ტვინის მოქმედების მექანიზმებისაგან განსხვავებული, რაიმე სპეციალური ფსიქოლოგიური მექანიზმები”.

ამ დებულებების ბიოლოგიზმი და რედუქციონიზმი თვალში საცემია. “პავლოვური ფსიქოლოგიის” ამგვარი გაგება ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანას და მის გაუქმებას ნიშნავს. ფსიქიკური მოვლენების (“შინაარსების”) მექანიზმების გარკვევა მათ ახსნას, ანუ სათანადო კანონზომიერების დადგენასა და შესწავლას გულისხმობს. თუ ეს კანონები ფიზიოლოგიურია (თუნდაც პავლოვის ფიზიოლოგიის მნიშვნელობით), მაშინ ფსიქოლოგია საკუთარი კანონების გარეშე რჩება და, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, არსებითად, უქმდება. კანონზომიერების საკითხი მეცნიერების საგნის საკითხია. სადაც არაა სპეციფიკური კანონზომიერება, იქ არც სპეციალური (დამოუკიდებელი) მეცნიერებაა. ასე შეიძლება განზოგადდეს ქართველი ფსიქოლოგების პოზიცია, რომელიც მრავალ გამოსვლაში გაჟღერდა.

მოცემული თვალსაზრისის და საზოგადოდ ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანის წინააღმდეგ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა არგუმენტი. ითქვა, რომ ნერვული მოქმედების კანონზომიერებათა, ფსიქიკური პროცესების მექანიზმების სახით ფსიქოლოგიური კვლევის საგნად გამოცხადება ორივე მეცნიერებას (ფსიქოლოგიას და ფიზიოლოგიას) ტოვებს საგნის გარეშე. გამოდის, რომ თავის ტვინის ფიზიოლოგიაში გარკვევა ფსიქოლოგიის საქმეა. არც

ფსიქოლოგია იძენს ამით არაფერს. პირიქით, ის თავისი მექანიზმების (კანონზომიერებათა) გარეშე რჩება (რ. ნათაძე, ა. ბოჭორიშვილი, ს. წერეთელი და სხვა).

ნერეული სისტემის პროცესებს ფიზიოლოგია შეისწავლის. გასარკვევია, რატომ უნდა გადაიქცეს იგი სხვა მეცნიერებად, თუ ამას დაუშვამთ იმ მოვლენების აღწერას, რომელთა ახსნით მექანიზმებსაც ეს პროცესები შეადგენს (დ. რამიშვილი). ამასთან მიხედვით, რომ “ფსიქიკური შინაარსების” აღწერა თავისთავად, ფიზიოლოგიური მექანიზმების მოშველიების გარეშე, არაფერს ფსიქოლოგიურს არ შეიცავს. აქედან გამომდინარე გაუგებარია, რატომ ეწოდება “ფსიქოლოგიური შინაარსი” ისეთ რაიმეს, რაც ფსიქოლოგიურ გარკვეულობას ფიზიოლოგიურ მექანიზმებთან მიმართებაში იღებს. როგორ იძენს ფსიქოლოგიურ ხასიათს “ფსიქოლოგიური შინაარსი” (რომელიც რატომღაც არაფსიქოლოგიურია) ფიზიოლოგიურ მექანიზმებთან დაკავშირების გზით (ა. ბოჭორიშვილი).

ფსიქიკური პროცესების ფიზიოლოგიური მექანიზმების ცოდნა საჭიროა, მაგრამ ეს ვერ ამოწურავს და ვერ შეცვლის ამ პროცესების ფსიქოლოგიურ ახსნას. საკმე ისაა, რომ ფსიქიკას თავისი სპეციფიკა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც წარმოიქმნებოდა. ეს სპეციფიკა, პირველ რიგში, ისაა, რომ ფსიქიკური მოვლენების სფეროში შინაარსეული (საზრისული) კავშირებია მოცემული. მათი გამოყვანა უშუალოდ ნერეული პროცესების მექანიკური კავშირებიდან შეუძლებელია. ფსიქიკური შინაარსის სპეციფიკა არ აისახება ფიზიოლოგიურ სუბსტრატში მიმდინარე აგზნების პროცესის თავისებურებაში, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივად ცვალებადობს. აგზნების ნერეული პროცესი ისევე აუცილებელია ფსიქიკური პროცესისთვის, როგორც ჰაერი სუნთქვისთვის. მაგრამ როგორც ჰაერის არსებობა ვერ აგვიხსნის სუნთქვას, ისევე ფიზიოლოგიური პროცესი ვერ გახსნის ფსიქიკურის სპეციფიკურ ბუნებას (ნ. ჭრელაშვილი). იგივე ითქმის მოქმედების ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაზე. ამ უკანასკნელის შინაარსი, მისი საზრისული მხარე სრულებით არ ჩანს თანმდევ კუნთურ პროცესებში. ფიზიოლოგიამ მხოლოდ მექანიკური კავშირები იცის.

ფსიქიკის შინაარსეული მხარე უშუალოდ არის დაკავშირებული მის სოციალურ ბუნებასთან. საზოგადოდ ფსიქიკის გარემოსეული და, კერძოდ, საზოგადოებრივი დეტერმინაცია არ ჩანს ფსიქოლოგიის საგნის იმ განმარტებაში, რომელიც პავლოვის ფიზიოლოგიურ სწავლებას ეფუძნება. არა და ამის გარეშე რა მარქსიზმი; მას ხომ ცნობიერება ყოფიერებიდან, კონკრეტულად კი წარმოებით ურთიერთობათა თავისებურებებიდან გამოჰყავს. აქ უკვე ფსიქიკის სხვა, ფართო გაგებით მატერიალური, მაგრამ არაფიზიოლოგიური მიზეზებია საძებარი. ამ გარემოებაზე მიუთითებს ბ. ტეპლოვს მოსკოვშიც (მაგ. ვ. კოლბანოვსკი და სხვა). ამასვე მიაქცია ყურადღება ბევრმა გამომსვლელმა თბილისში. მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ტეპლოვმა შემდეგნაირად განმარტა თავისი პოზიცია: “ფსიქოლოგებმა უნდა დაძლიონ თავისი სახის დაკარგვის უსაფუძვლო შიში. უნდა საბოლოოდ აღმოიფხვრას ყბადაღებული დუალიზმი, რომელიც ფსიქიკური პროცესების თავისებურების თეზისის უკან იმალება”. რადგან დუალიზმის დაძლევა ფსიქიკურის თავისებურების დაკარგვას უკავშირდება, ეს პოზიცია მართლაც იმსახურებს კრიტიკულ შეფასებას. ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ ამ თემაზე.

თბილისის დისკუსიაზე ბ. ტეპლოვს, პროფესორ ლიუბა ასათიანის სახით, თავგამოდებული დამცველი გამოუჩნდა, მათ შორის ამ საკითხშიც. საზოგადოდ, იგი დაჟინებით მოუწოდებდა ქართველ ფსიქოლოგებს, გაეზიარებინათ მოსკოველი კოლეგების აზრი, კერძოდ ბ. ტეპლოვისაც. თავის გამოსვლაში ლ. ასათიანი ამტკიცებდა, რომ პირობით კავშირებსაც შეუძლიათ ასახონ სოციალური გარემო. მაგალითად, ე. წ. “მეორე სასიგნალო სისტემა” სოციალური გარემოს პროდუქტია და ადამიანის სამეტყველო მოქმედების საფუძველში მდებარე რეფლექტორული კავშირების წარმოქმნას განსაზღვრავს. ეს პოზიცია შეფასდა, როგორც “ნამდვილი უოთსონიზმი”. ჯ. უოთსონსაც მიაჩნდა, რომ მეტყველება არის ისეთივე მექანიკური ჩვევა, როგორც ყველა დანარჩენი. საზოგადოდ კი “სოციალური კანონზომიერებები ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა ჭერს ზემოთ არიან” (დ. რამიშვილი). შეიძლება ითქვას, რომ ლ. ასათიანის მცდელობას,

დაერწმუნებინა საზოგადოება გარკვეულ დებულებების ჭეშმარიტებაში იმის საფუძველზე, რომ ისინი ავტორიტეტულ მოსკოველ კოლეგებს ეკუთვნის, წარმატება არ მოჰყოლია.

დუალიზმის აღმოფხვრის საკითხს მოსკოვში სერგეი რუბინშტეინიც შეეხო. მისი აზრით, ი. პავლოვის სწავლებამ ზედმეტი გახადა ადამიანის ცნობიერების ახსნა ორი ფაქტორის – ტვინისა და საზოგადოებრივი ცხოვრების – მეშვეობით. ვინაიდან, ი. პავლოვის მიხედვით, ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება რეფლექტორული ბუნებისაა, ხოლო რეფლექსი გარემოს ზემოქმედებაზე ტვინის საპასუხო რეაქციად განიხილება, საჭირო აღარ არის, ვილაპარაკოთ ცალკე გარემოზე და ცალკე ბიოლოგიურ ფაქტორზე. ერთი სიტყვით, ფიზიოლოგიური რეაქცია “აერთიანებს” ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს. ეს თეზისი ს. რუბინშტეინის მიერ განიხილება, როგორც “გარეგანისა და შინაგანის ერთიანობის” დებულების ერთგვარ კონკრეტიზაცია. აღნიშნული დებულება მის მიერ ადრე იყო წამოყენებული, და მარქსისტი ფსიქოლოგების ერთ ნაწილში საკმაოდ გავრცელდა. საინტერესოა, რომ იგი, არსებითად, მისაღები აღმოჩნდა დ. უზნაძის სკოლის წარმომადგენლებისთვისაც. ეს არ არის გასაკვირი. განწყობის ცნების გააზრება შინაგანისა და გარეგანის ერთიანობის პრინციპის საფუძველზე ხომ დ. უზნაძის თეორიის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ა. ბოჭორიშვილმა ნათლად გამოხატა ქართველი ფსიქოლოგების პოზიცია: “ეს იდეა პრინციპში თანაგრძნობას იწვევს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც პროფ. ბ. ტეპლოვი და არც პროფ. ს. რუბინშტეინი არაფერს ამბობენ იმაზე, თუ როგორ ხდება, რომ ერთი ფაქტორი სწევს სხვადასხვა კატეგორიის რეალობისადმი ეკუთვნილი ორი ფაქტორის მაგიერობას. ფაქტიურად, იდეა ფსიქიკური პროცესის ახსნისა ერთი ფაქტორით, რომელიც უნდა შეიცავდეს ბიოლოგიურსაც და სოციალურსაც, ხსენებულ ავტორებთან დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ფიზიოლოგიური ფაქტორით ახსნის იდეაზე” და შემდგომ “განწყობის ცნება შესაძლებელყოფს იმ კანონების გათვალისწინებას, რომლებითაც სწარმოებს ბიოლოგიურისა და სოციალური მოვლენების ურთიერთმიმართება და ურთიერთკავშირი. განწყობა ამ რეალობის კონკრეტული გამოვლინებაა”¹.

როგორც ვნახეთ, ფსიქოლოგიის ზოგადმეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობამ განწყობის ცნებამდე მიგვიყვანა. ეს ბუნებრივია. განწყობის თეორია დიდი ზოგადფსიქოლოგიური თეორიაა და მას უნდა ჰქონდეს პასუხი ძირეულ მეთოდოლოგიურ საკითხებზე. ამასთანავე დისკუსიის ყველაზე მწვავე თემა იყო განწყობის თეორიის განხილვა ფსიქოლოგიის გარშემო მიმდინარე კამათის კონტექსტში. დაისვა კითხვა, თუ დ. უზნაძის სკოლაში მიმდინარე კვლევა-ძიება რამდენად შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებას უყენებს. ასე დასვა საკითხი ძირითადად “მბრალდებელმა” დ. გედევანიშვილმა. ასეთივე იყო დისკუსიის კიდევ ორი ფიგურანტის, ფილოსოფოსების ალექსანდრე ქუთელიასა და კონსტანტინე აკბარდიას მოხსენების მიზანდასახულობაც. კრიტიკული იყო, აგრეთვე სიმონ ყიფშიძის გამოსვლებიც, თუმცა აქ იდეოლოგიური სარჩული თითქმის არ ჩანდა. პაექრობაში მონაწილეობა მიიღო დ. უზნაძის სკოლის თითქმის ყველა წამყვანმა მეცნიერმა. სხვა სპეციალობებიდან წამომადგენილი იყო ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ნევროლოგია, ფიზიოლოგია და მედიცინა.

¹ ფსიქოლოგიის პავლოვურ გარდაქმნებთან დაკავშირებით სხვა საკითხებიც განიხილებოდა. მაგალითად, რამდენიმე გამოსვლაში საკმაო ადგილი დაეთმო მეთოდის პრობლემას. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიური რევიზიის კონტექსტში ხაზი გაესვა ე. წ. “ობიექტური მეთოდის” დამკვიდრების საკითხს, რომელიც მთლიანად უნდა ჩანაცვლებოდა “სუბიექტურ მეთოდს”, ანუ თვითდაკვირვებას (ა. ლეონტიევი, ბ. ტეპლოვი). განსაკუთრებით ფართოდ შეეხო ამ საკითხს ა. ბოჭორიშვილი. მან განმარტა, რომ ობიექტურია და მეცნიერული ის მეთოდი, რომელიც თავისი კვლევის საგანს ისე ასახავს, როგორიც ის არის. ფსიქიკური პროცესების, როგორც ასეთების ასახვა, პირდაპირი დაკვირვება, მხოლოდ ინტროსპექციით შეიძლება. იგი ფსიქიკური მოვლენების აღწერას გვაძლევს. მათ ასახსნელად არსებობს სხვა მეთოდები, კერძოდ ექსპრიმენტი ან ინტერპრეტაცია. ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ ორივე მათგანი, ასე თუ ისე, მაინც თვითდაკვირვებაზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი ზშირად ექსპრიმენტის სტრუქტურის ნაწილია (მაგ. ვ. ვუნდტი, ვიურცბურგის სკოლა), ხოლო ინტერპრეტაცია თავისი არსით მეორეული შემეცნებითი აქტია და, როგორც ფსიქოლოგიური მეთოდი, ინტროსპექციის მონაცემებს ემყარება.

ზემოთ ითქვა, რომ დ. გედევანიშვილმა დისკუსიამდე გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი. ის კარგად იყო ცნობილი დისკუსიის მონაწილეებისთვის. დ. გედევანიშვილთან მოპაექრები ევრდნობოდნენ როგორც ამ დაბეჭდილ წყაროს, ისე მისი ავტორის ვრცელ მოხსენებას დისკუსიაზე, რომელიც, არსებითად იმეორებდა წერილის შინაარსს. დ. გედევანიშვილის ყველა კრიტიკული მოსაზრება, საბოლოოდ, მთავარი ბრალდების – განწყობის ფსიქოლოგიის იდეალისტურობის დამტკიცებას ემსახურება. ძირითადი არგუმენტი შემდეგშია: დ. უზნაძემ მოიპოვა საინტერესო ფაქტები, რომლებიც აღქმის ილუზიებს ეხება. მაგრამ ამ ფაქტების ამხსნელი “უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფცია თავის საფუძველში არის იდეალისტური, ანტიპავლოვური”. ე. წ. განწყობისეული ფაქტები შეიძლება სწორად და ამომწურავად აიხსნას მხოლოდ ი. პავლოვის მიერ აღმოჩენილი უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონებით”. ხოლო ამ მოძღვრებას დ. უზნაძე არ ცნობს, ყოველ შემთხვევაში არსად არ მოიხსენიებს. მოკლედ, დ. უზნაძე იდეალისტი, რამდენადაც ფსიქიკურ მოვლენებს, მათ შორის საკუთარ ექსპერიმენტულ ფაქტებს, ხსნის არა ი. პავლოვის ფიზიოლოგიით, არამედ გაუგებარი წარმოშობისა და ბუნების განწყობით.

დ. უზნაძის სკოლის წარმომადგენლებმა რამდენიმე გამოსვლაში განმარტეს, რომ, მართალია, დ. უზნაძეს თვითონ არ უკვლევია განწყობის ფიზიოლოგიური საფუძვლები, მაგრამ ამის საჭიროებას ხედავდა და დიდი ინტერესით აკვირდებოდა ი. პავლოვის სკოლაში მიმდინარე კვლევებს (ასრატიანის, სკიპინას, ზევალდის გამოკვლევები და სხვა). იგი ირონიულად უდგებოდა ვიწრო ლოკალიზაციურ ინტერპრეტაციებს და ტვინში “განწყობის ცენტრების” ძიებას, რასაც, რ. ნათაძის გადმოცემით, ა. ლურია ეწეოდა თავისი მორფოლოგიური კონცეფციის ფარგლებში. სამაგიეროდ, დ. უზნაძე მთელი სერიოზულობით აფასებდა ე. წ. “დინამიკური სტერეოტიპის” პავლოვისეულ კონცეფციას, რომელიც ტვინის სისტემურ მოქმედებას გამოხატავს. მოქმედების დაწყების წინ ქერქში ყალიბდება აგზნება-შეკავების პროცესების ორგანიზებული სისტემა, რომელიც აღიბეჭდება, ი. პავლოვის სიტყვებით, ერთგვარი “ფუნქციონალური წინასწარგანწყობილების”, რაც იგივეა, “დინამიკური სტერეოტიპის” სახით. ფსიქიკის პლანში იგი გამოხატავს ორგანიზმის ფსიქოფიზიკური ძალების მომართვას, მზაობას გარკვეული მოქმედებისადმი. არაერთგზის აღინიშნა, რომ დ. უზნაძე და მისი მიმდევრები სწორედ აქ ხედავენ განწყობის ნეიროფიზიოლოგიურ კორელატს (ი. ბუღავა, რ. ნათაძე, ა. ფრანგიშვილი, ზ. ხოჯავა და სხვ.).

განსაკუთრებით მკაფიოდ გაიჟღერა განწყობის ფსიქოლოგიის ბიოლოგიური საფუძვლების თემამ ი. ბუღავას გამოსვლებაში. დ. უზნაძემ თვითონ დაუსახა ი. ბუღავას კვლევის ეს მიმართულება, რომელსაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვებოდა. მოცემული პერიოდისთვის უკვე დაგროვებულიყო სოლიდური ემპირიული მასალა სენსომოტორული მოქმედების, ნეიროფსიქოლოგიის და პათოფსიქოლოგიის სფეროში, რომელიც დამარწმუნებლად აჩვენებდა განწყობის ფენომენის კავშირებს ბიოლოგიურ სუბსტრატთან.

ი. ბუღავას ემპირიული არგუმენტაციის გარდა გამოითქვა თეორიული არგუმენტებიც. ისინი იმავე ხასიათისა იყო, რაც ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები საზოგადოდ ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის მიმართების შესახებ. ამ კონტექსტში გამოირჩეოდა ფილოსოფოსების, საგლეწერეთელის, კოტე ბაქრაძისა და ვენორ ქვაჩხიას გამოსვლები, რომელთაც “დიამატისა” და “ისტმატის” მასტერ კლასი ჩაუტარეს არა მხოლოდ დ. გედევანიშვილს, არამედ აგრეთვე თავიანთ კოლეგა ფილოსოფოსებს, ა. ქუთელიასა და კ. აკბარდიას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ს. წერეთელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ როცა სპეციალური მეცნიერების წარმომადგენელი აფასებს სხვა სპეციალურ მეცნიერებას, მას უნდა ეცდუნება, მონახოს იქ კანონზომიერებანი, რომელთაც მისი მეცნიერება შეისწავლის. როდესაც ასეთს ვერ ნახულობს, ამტკიცებს, რომ აქ სულ არაა რაიმე კანონზომიერება და ეჭვს გამოთქვამს შესაბამისი მეცნიერების კანონიერებაში. ეს შეცდომა მოსდის ჩვენ შემთხვევაში ფიზიოლოგ დ. გედევანიშვილს ფსიქოლოგიასთან მიმართებაში. ის, არსებითად, ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიაზე დაყვანას მოითხოვს, რაც ვულგარული მატერიალიზმია. ფსიქიკურს, მათ შორის განწყობას, აქვს ფიზიოლოგიური საფუძველი. ამას აქ არავინ უარყოფს. განა ამიტომ შეიძლება იმის თქმა, რომ

განწყობის (ფსიქიკის) მოვლენა ამომწურავად აიხსნება ფიზიოლოგიური კანონზომიერებებით? “საფუძველი ყოველთვის რაღაცის საფუძველია, და მან უნდა ახსნას თავისი მოქმედების შედეგი, რომელიც საკუთრივ მისგან განსხვავებულია ... უაზრობაა ვეძებოთ ფსიქიკის საფუძველები ფიზიოლოგიაში და, ამავე დროს, უარყოთ საკუთრივ ფსიქიკურის თავისებურება”. გ. ქვანახიაც ასე მსჯელობს: “შედეგი ნიშნავს, რომ ის ყოველთვის მეტია, ვიდრე მიზეზი, მისგან რაღაცით განსხვავდება ... მიზეზის ცოდნა არ ამოწურავს შედეგის არსებას, ვინაიდან მასში რაღაც ახლიც არის ... ფიზიოლოგია აუცილებელია ფსიქიკურის გაგებისთვის, მაგრამ არ არის საკმარისი”.

ი. პავლოვის ფიზიოლოგიისა და დ. უხნაძის ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხის ძალზე დახვეწილი, ოპონენტებზე ზუსტად გათვლილი და მცირეოდენი სოფისტიკით შეზავებული ანალიზი გააკეთა ერეკლე აბაშიძემ, ამიტომ სწორედ მას აღვწერთ მაგალითად. პირველ რიგში მან მკაფიო და ლაკონური ფორმით ჩამოაყალიბა ი. პავლოვის მოძღვრების ძირითადი პრინციპები: 1) ტვინი მუშაობს რეფლექტორულად, ანუ მისი მუშაობა გაპირობებულია გარემოს ზეგავლენით; 2) ტვინის მოქმედების მექანიზმი დროებითი კავშირებისა; 3) ტვინი მუშაობს სისტემურად, ანუ ყოველ მოცემულ მომენტში ტვინი მუშაობს, როგორც ერთიანი სისტემა; 4) ტვინის მუშაობა ხასიათდება დინამიკური სტერეოტიპით, ანუ ერთხელ გამომუშავებული სისტემა, გარკვეულ პირობებში, მისწრაფვის აღდგენისკენ იმავე სახით; 5) არსებობს ორი სასიგნალო სისტემა, ანუ ადამიანის ტვინს აქვს სპეციფიკა, რომელიც მას ცხოველის ტვინისაგან განასხვავებს.

როგორ მიმართებაშია ეს ყველაფერი ფსიქოლოგიასთან, კერძოდ განწყობის ფსიქოლოგიასთან? პირველი – რეფლექტორულობის პრინციპი. მისი გამართლება ფსიქოლოგიაში მოითხოვს ვაჩვენოთ, რომ ყოველგვარი ფსიქიკური მოვლენა სუბიექტზე გარემოს ზემოქმედებითაა პირობადებული. აღქმის შემთხვევაში ეს შედარებით ადვილი საჩვენებელია. მაგრამ სხვა ფსიქიკური ფუნქციების შემთხვევაში (მეხსიერება, აზროვნება და ა.შ.) ტრადიციული (არაპავლოვური) ე. წ. “ფუნქციონალური ფსიქოლოგია” ამას ვერ ახერხებს; ის ვერ აჩვენებს, მაგალითად, რომ ჩემი ამჟამინდელი მეტყველება გარემოთია განსაზღვრული. დავეუშვათ, რომ ჩვენ მოვნახეთ პრინციპი, რომელიც გაგვაგებინებს უკლებლივ ყველა ფსიქიკურ ფაქტს, როგორც გარემოს ზემოქმედებით გაპირობებულს. ხომ გვექნებოდა მაშინ უფლება გვეთქვა, რომ გავაკეთოთ კიდევ ერთი ნაბიჯი პავლოვის სწავლების ათვისების მიმართულებით. ვინც იცის განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, კერძოდ ის, რომ განწყობა ყველა ფსიქიკური მოვლენის წინაპირობაა და თავად სიტუაციის საფუძველზე აღმოცენდება, დაგვეთანხმება, რომ იგი სწორედ ასეთი ფსიქოლოგიური თეორიაა.

მეორე – სისტემურობის პრინციპი. არ არის საკმარისი იმის დადგენა, რომ სუბიექტს გარემოსთან აქვს კავშირი. ი. პავლოვის მიხედვით, ყოველ კერძო შემთხვევაში, გარემოსთან ურთიერთობს მთელი ტვინი, როგორც სისტემა, და არა მისი ცალკეული კერები. წარმოვიდგინოთ, რომ ფსიქოლოგიამ მონახა ი. პავლოვის ფიზიოლოგიის სისტემურობის შესატყვისი პრინციპი. დავეუშვათ, დადგინდა, რომ ყოველ მომენტში მუშაობს არა რაიმე ფუნქცია, არამედ მთელი ფსიქიკა. განა ეს არ იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი პავლოვური მეცნიერებისკენ? დ. უხნაძის თეორია, თავისი საერთო მთლიანობითი სულისკვეთებით, განწყობის როგორც სუბიექტის მთლიანი მდგომარეობის ცნებით და მისი დამადასტურებელი ემპირიული მონაცემებით, უთუოდ, ასეთი ფსიქოლოგიაა.

მესამე – დინამიკური სტერეოტიპის პრინციპი. ადამიანი ხშირად ასრულებს გარკვეული სახის მოქმედებას იმის გამო, რომ ადრე, ანალოგიურ პირობებში ასევე აკეთებდა. დავეუშვათ, რომ მონახულია ამ მოვლენის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური საფუძველი. ეს უნდა ნიშნავდეს, რომ მონახულია პრინციპი, რომელიც ფსიქიკის სფეროში შეესაბამება ი. პავლოვის ფიზიოლოგიის დინამიკური სტერეოტიპის პრინციპს. ამ შემთხვევაში იგულისხმება ფიქსირებული განწყობის ეფექტები.

და ბოლოს – განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის. ი. პავლოვმა დაადგინა, რომ ადამიანის ტვინში არსებობს სპეციფიკური განყოფილება, რომლის მუშაობა აუცილებლად არის დაკავშირებული სიტყვასთან. ახლა დავეუშვათ, რომ ფსიქოლოგიაში ეს პრინციპიც მოინახა – ადამიანისა და ცხოველის განმასხვავებელი პრინციპი. საუბარია ობიექტივაციის კონცეფციაზე.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე დაისმის კითხვა: რითი არაა პავლოვური დ. უზნადის ფსიქოლოგიური კონცეფცია? მაგრამ “კრიტიკა” შემდეგნაირად იშლება: თუ ფსიქოლოგიის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი შეესაბამება პავლოვურ ფიზიოლოგიას, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ფსიქოლოგია ხდება ზედმეტი, ვინაიდან ეს მოვლენები მშვენივრად აიხსნება ფიზიოლოგიით; რად გვინდა განწყობის კანონზომიერებანი, თუ მათი “ამომწურავი” ახსნა შეიძლება პავლოვური ფიზიოლოგიით.

და ეს ეხება არა მხოლოდ დ. უზნადის კონცეფციას, არამედ მთელ ფსიქოლოგიას. გამოდის ასე – ფსიქოლოგიის აუცილებლობის აღიარება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ მოხდება მისი განსვლა ი. პავლოვის ფიზიოლოგიის მონაცემებისაგან. მაგრამ ამავე დროს, თუ იქნება განსვლა – თუ ფსიქოლოგია იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ ესა თუ ის მოვლენა აიხსნება “ღვთიური სულით” – თავისთავად ცხადია, ასეთ “ფსიქოლოგიას” ჩავთვლით მცდარად და უარყოფთ. მოკლედ, გამოდის, რომ ფსიქოლოგიის საშველი არ არის: თუ ის ჭეშმარიტია, მაშინ ზედმეტია, ხოლო თუ მცდარია – მიუღებელი. ამგვარ სოფისტურ “კამათს”, ფსიქოლოგიის კანონიერებისა და დამოუკიდებლობის ასეთ ხელყოფას ადგილი ჰქონდა ოცდაათიან წლებში და მეორდება ორმოცდაათიანებშიც. სადამდე უნდა მეორდებოდეს ეს უბედურება მზის დაბნელებათა პერიოდულობით?

განწყობის თეორიის დაცვა არაფიზიოლოგიურობის, არაპავლოვურობის, და, მაშასადამე, “იდეალისტურობის” ბრალდებისაგან შედარებით ადვილია. მაგრამ უფრო რთულადაა საქმე იმ შენიშვნებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება განწყობის ონტოლოგიური ბუნების ცხადყოფას. საქმე ისაა, რომ აქ მართლაც იჩენს თავს რეალური პრობლემები, რომლებიც დღესაც კი არაა ბოლომდე გადაჭრილი. არსებულ სირთულეებს აცნობიერებდა თავად დ. უზნაძეც. მისი მიმდევრებიც მუშაობდნენ ამ პუნქტებში თეორიის დახვეწის მიმართულებით. ეს ნორმალური კვლევითი პროცესია და იგი ამჟამადაც გრძელდება. მაგრამ ოპონენტებს პრობლემის მეცნიერულ მხარეზე უფრო მისი იდეოლოგიური კვალიფიკაცია აინტერესებდათ. განსაკუთრებით მძაფრი შემოტევის საგანი გახდა დ. უზნადის ის გამონათქვამები განწყობის ბუნების შესახებ, რომლებიც გაკეთდა იქამდე, სანამ განწყობა ფსიქიკურ ფენომენად იქნებოდა მიჩნეული. საქმე ეხება მის ბიოსფეროს (ქვეფსიქიკურის) კონცეფციას და მომდევნო პერიოდის რამდენიმე ფორმულირებას.

დავიწყოთ წმინდა იდეოლოგიური ხასიათის კრიტიკის ერთი მაგალითით. ადრინდელ შრომაში “Impersonalia” (1923 წ.), დ. უზნაძე ამბობს, რომ მიაკვლია სინამდვილის სრულიად ახალ “ქვეფსიქიკურ არეს”, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირება მოხსნილია. ვინაიდან ჩვენი ცნობიერებისთვის მარტო ობიექტურისა და სუბიექტურის პოლუსებია ცნობილი, ამ რეალობის არსებობას მხოლოდ ზოგიერთი ფილოსოფოსი გრძნობდა, ისიც ინტუიციურად. ამაზე მოწმობს პლატონის მოძღვრება, რომლის თანახმად შემეცნება გახსენების პროცესია, რაც ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება შემეცნების აქტამდე და შემეცნებისთვის გამზადებული სახით არსებობს; იგივე ითქმის ლაიბნიცის შესახებ, როდესაც იგი მატერიალურისა და სულიერის პარმონიის წინასწარდაწესებულობაზე მსჯელობს [19].

კ. აკბარდიასთვის სრულიად საკმარისია, რომ პლატონიცა და ლაიბნიციც იდეალისტები არიან. ამიტომ ის გარემოება, რომ დ. უზნაძემ მათ მიერ თუნდაც ბუნდოვნად ნაგრძნობი სინამდვილის დადასტურება და მეცნიერების შესწავლის არეში შემოყვანა გაბედა, ამ უკანასკნელის იდეალისტობაზე მეტყველებს. რა უნდა უპასუხო ამგვარად “არგუმენტირებულ” ბრალდებას, რომელიც მაშინ იმდენად მძიმე და სახიფათო იყო, რომ აუცილებლად მოითხოვდა დეზავუირებას. ა. ბოჭორიშვილი იძულებული გახდა მოეყვანა მაგალითები, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმის ავტორები თავად იღებდნენ და ამუშავებდნენ იდეალისტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და ლენინის სიტყვებიც კი მოიშველია, რომ “იდეალიზმი სულაც არ არის სისულელე”.

სხვა ამბავია, როცა ამ რეალობის ნამდვილი ბუნების გარკვევის ამოცანა დგება. აქ ნამდვილ სირთულეს ვაწყდებით. საქმე ისაა, რომ დ. უზნადის ნამდვილი პოზიციის დადგენა ამ საკითხში ერთობ რთულია, თუკი საერთოდ შესაძლებელი. ამას თვით დ. უზნადის სკოლაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა მოწმობს.

დ. უზნაძის ოპონენტებმა ვრცლად განიხილეს მისი კონცეფციის პირველი, ადრინდელი ვერსია, სადაც ქვეფსიქიკური არეს, ან ბიოსფეროს სახით დაშვებულია ისეთი რეალობის არსებობა, რომელიც მატერიალურისა და ფსიქიკურის მიმართ ნეიტრალურია, მათ შორისაა, მათ ურთიერთობას აშუალებს. იგი არც ერთზე არ დაიყვანება, ახალია, სხვაა. ასეთი მესამე რეალობის არსებობა, რომელიც არც ობიექტურია და არც სუბიექტური, დიალექტიკური მატერიალიზმისთვის დაუშვებელია. გაუგებარია, როგორ შეიძლება მისი შესწავლა, თუ ის არც ფიზიკურია და არც ფსიქიკური; ბუნებაში ამგვარი მოვლენები არ არსებობს, ასეთი რამ მხოლოდ რწმენის, რელიგიის და არა მეცნიერების საგანი შეიძლება იყოს. ამიტომ ბიოსფერული თვალსაზრისი “აშკარად იდეალისტურია და რეაქციული” (კ. აკობაძე). მაგრამ არა მხოლოდ ის, არამედ მთლიანად განწყობის თეორია, ვინაიდან კრიტიკოსების მტკიცებით, მოცემული თვალსაზრისი, არსებითად, არ იქნა დაძლეული დ. უზნაძის მიერ.

ასეთი მტკიცების საშუალებას, მათი აზრით, ის გარემოება იძლევა, რომ განწყობის თეორიის ავტორი არასდროს გამიჯნულა თავისი ადრინდელი შეხედულებებისაგან, არ უარუყვია ისინი, როგორც მცდარი. პირიქით, თავისი ბოლო ნაშრომის წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ამ წიგნის ძირითადი იდეა ჯერ კიდევ “Impersonalia”-ში იყო მოცემული და მისი თანდათანობითი განვითარების შედეგია. მაშასადამე, განწყობის თეორიის საფუძველი ბიოსფერული შეხედულებაა და როგორ შეიძლება იდეალისტურ საფუძველზე მატერიალისტური კონცეფცია დაშენდეს? მაგრამ კრიტიკოსები ამით არ შემოიფარგნენ და მოიყვანეს გამონათქვამები დ. უზნაძის გვიანდელი ნაშრომებიდან იმის საჩვენებლად, რომ თეორიის დედააზრი არ შეცვლილა – განწყობის მთავარი ნიშანი ისაა, რომ იგი არ მიეკუთვნება ცალსახად არც ობიექტურს (ფიზიოლოგიურს) და არც სუბიექტურს (ფსიქიკურს). მაგალითად, 1941 წლის ნაშრომში “განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები” წერია შემდეგი: “ადამიანი, როგორც მთელი, ფსიქიკისა და სხეულის, ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ჯამს როდი წარმოადგენს, მათ შენაერთს, ასე ვთქვათ ფსიქოფიზიკურ არსებას, არამედ დამოუკიდებელს თავისებურ რეალობას, რომელსაც თავისი სპეციფიკური რომელობა, თავისი სპეციფიკური კანონზომიერება აქვს. და აი როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს, იგი, როგორც მთლიანი, უპასუხებს მას, როგორც ეს სპეციფიკური თავისებური რომელობა, რომელიც წინ უსწრებს კერძოულს ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს და მათზე არ დაიყვანება”. განწყობა, როგორც ეს “მთლიანობითი ცვლილება, მისი ბუნება და მიმდინარეობა იმდენად სპეციფიკურია, რომ მის შესასწავლად არც ფსიქიკურის ჩვეულებრივი ცნებები და კანონზომიერებები გამოგადგება და არც ფიზიოლოგიურის” [14: 24-25]. თვით ბოლო, განმაზოგადებელ ნაშრომშიც “განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები”, მოინახა ფორმულირებები, რომლებიც ასეთი შეფასების გამართლებად შეიძლება გამოიყენოს კაცმა. დ. უზნაძე ამობობს – “უმთავრესი დებულება ასეთია: ცნობიერი ფსიქიკური პროცესების აღმოცენებას წინ უსწრებს მდგომარეობა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება ... განწყობა პირველადი, მთლიანი უდიფერენციაციო მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირების საჭიროება ჯერ კიდევ არ განიცდება” [17:107-108].

დისკუსიაზე დ. უზნაძის მოწაფეები ცდილობდნენ, დაეცვათ განწყობის ფსიქიკურობის თეზისი, რომელიც თეორიის ავტორმა ბოლო ნაშრომში წარმოდგინა. ამ ნაშრომიდან საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამოხატველი ციტატების კომენტირებას ფაქტობრივად ყველამ (ა. ბოჭორიშვილისა და შ. ჩხარტიშვილის გარდა) თავი აარიდა. მათი ბიოსფერული ჟღერადობა იმდენად თვალში საცემია, რომ ნაშრომის რუსულ გამოცემებში (1961, 1966) რედაქციამ, რომელსაც ა. ფრანგიშვილი ხელმძღვანელობდა, ჩამოჭრა ფრაზის ბოლო ნაწილი, სადაც განწყობაში სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირების უქონლობაზეა ლაპარაკი. როგორც არ უნდა შეფასდეს ეს აქამდე სპეციალურ ლიტერატურაში დაუფიქსირებელი ფაქტი, იგი უთუოდ მრავლისმთქმელია.

ოპონენტების მიერ გაკრიტიკებული დ. უზნაძის იმ თვალსაზრისთან დაკავშირებით, რომ განწყობა ფსიქიკურ მოვლენად არ მოიაზრება, რამდენიმე მიდგომა გამოიკვეთა. მაგალითად, რ. ნათაძემ თავის დასკვნით სიტყვაში პირდაპირ განაცხადა, რომ დისკუსია ეხება ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებს და არა ფსიქოლოგიის ისტორიას. განწყობის ფსიქოლოგია ამჟამად განწყობის ფსიქიკურობის იდეოლოგიურად გამართულ პოზიციაზე დგას. ამიტომ “ადამისდროინდელი შრომების”, მაგალითად “იმპერსონალიის” და ა.შ. მოშველიება ოპონენტების მიერ საერთოდ უადგილოა (თუკი ქვეფსიქიკური ან ბიოსფერული ეტაპის ნაშრომების ასეთი კვლიფიკაცია კიდევ აზრიანია, რა უნდა ითქვას ორმოციანი წლების გამონათქვამებზე, რომელთაც დისკუსიის მომენტისთვის “ადამისდროინდელს” ნამდვილად ვერ ვუწოდებდით).

მეორენი გვერდს არ უვლიდნენ დ. უზნაძის ნაშრომებში განსხვავებული შეხედულების არსებობას. პირიქით, ეს გარემოება საგანგებოდ აღინიშნა და შეფასდა, როგორც შეცდომა, რომელიც მოგვიანებით გამოსწორდა. თუმცა, ა. ფრანგიშვილმა საჭიროდ მიიჩნია მიეთითებინა, რომ ეს საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, რამდენადაც “უზნაძის არც უკანასკნელ შრომაში, და არც სხვა შრომებში განწყობის ფსიქოლოგიის საკითხებზე, არ არის მოცემული წინანდელი შეცდომებისა და დაუზუსტებელი პოზიციების კრიტიკა”. თვითონ ა. ფრანგიშვილმა, როგორც აღინიშნა, მოცემულ დისკუსიამდე ოცი წლით ადრე სერიოზულად იღვაწა ამ სარბიელზე [21]. ხოლო საკუთრივ თეორიის ავტორმა, ა. ფრანგიშვილის რწმენით, უბრალოდ ვერ მოასწრო ამის გაკეთება.

ერთი რამ ცხადია: როგორც ამ, ისე სხვა დისკუსიებზე, რომლებზეც განწყობის თეორიის იდეოლოგიურ გამართულობას ამოწმებდნენ, ყველაზე უფრო მომგებიანი იყო განწყობის ფსიქიკურობის ვერსიაზე დგომა, მისი დაცვა და დამკვიდრება. დ. უზნაძის სკოლის წარმომადგენელთა უდიდესი უმრავლესობა ასეც იქცეოდა (როგორც დავინახეთ, განსხვავდება მხოლოდ რეაგირების ფორმა, არგუმენტაცია, თორემ პოზიცია ყველას ერთი აქვს – განწყობა ფსიქიკური მოვლენაა). მაგრამ ქართულ ფსიქოლოგიაში ყოველთვის იყვნენ ისეთებიც, ვინც არ იზიარებდა ამ დებულებას. ამ უმცირესობაში შედიოდა ისეთი სოლიდური მეცნიერი, როგორც იყო ა. ბოჭორიშვილი (მას რამდენიმე მიმდევარიც ჰყავდა). ა. ბოჭორიშვილი, საზოგადოდ, არ ცნობდა არაცნობიერი ფსიქიკურის ცნების კანონიერებას. აქედან გამომდინარე, თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა განწყობის თეორიის მიმართაც. მას მიაჩნდა, რომ სწორი იყო თეორიის ის ვერსია, რომელიც დ. უზნაძემ ადრეულ შრომებში წამოაყენა (და რომელიც დისკუსიაზე კრიტიკის საგნად იქცა). განწყობის სახით დ. უზნაძემ გამოავლინა ახალი რეალობა, რომელიც არც მატერიალურია და არც ფსიქიკური, თვისებრივად თავისებურია და ამიტომაც შეუძლია სუბიექტსა და ობიექტს, ფსიქიკასა და ტრანსფსიქიკურ სამყაროს შორის შუამავლობა. განწყობის თეორიის ძირითადი მეთოდოლოგიური ამოცანა (ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაწყვეტა, უშუალოების პოსტულატის დაძლევა) განწყობის ბუნების სწორედ ასეთ გაგებას მოითხოვს. ამიტომ დ. უზნაძის მიერ ბოლო ნაშრომში თვალსაზრისის რადიკალური შეცვლა არ არის ლოგიკური განვითარება თეორიისა. იგი ეწინააღმდეგება მის სულისკვეთებას, მისი შექმნის უმთავრეს ამოცანას [4][5]. ამ პოზიციის გამზიარებელთა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ცვლილება და “განწყობის ფსიქიკურობის თვალსაზრისზე” გადმოსვლა ნაკარნახევი იყო არა იმდენად მეცნიერული, რამდენადაც ფსიქოსოციალური ფაქტორებით, იდეოლოგიური კორექტულობის მოსაზრებებით [10][30].

აქ არ არსებობს ამ თემის გაშლის საშუალება, მაგრამ მოკლედ უნდა ითქვას, რომ სპეციალური ანალიზი ვერ ადასტურებს რაიმე სერიოზულ მეცნიერულ სტიმულებს დ. უზნაძის პირვანდელი პოზიციის ძირფესვიანი ტრანსფორმაციისთვის. ასეთები შეიძლება გამხდარიყო ახალი ფაქტები, ახალი თეორიული მოსაზრებები ან ახალი მეთოდოლოგიური ამოცანები. განწყობის თეორიის ემპირიული ბაზა, ცხადია, მუდმივად ფართოვდებოდა, მაგრამ ძირითადი მონაცემი, რომელიც, ასე თუ ისე, განწყობის ონტოლოგიურ ბუნებას ეხება, უკვე 1936 წელს იყო მიღებული პოსტპიანოტური მეთოდიკით. მასზე დაყრდნობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ განწყობა არაცნობიერი ან არაფენომენალური მოვლენაა, მაგრამ რას წარმოადგენს იგი ონტოლოგიურად,

არის იგი ფსიქიკური თუ რაიმე სხვა სახის სინამდვილეს მიეკუთვნება, ამაზე ექსპერიმენტული მასალა ვერაფერს ამბობს; წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემული საკითხი უკვე მაშინ იქნებოდა ერთმნიშვნელოვნად და საბოლოოდ გადაწყვეტილი.

თეორიაში ბოლო პერიოდის სიახლე ობიექტივაციის, ანუ ფსიქიკის მუშაობის ორი პლანის შესახებ შეხედულება გახდა. მისი პირველი მონახაზი უკვე 1936 წელსაა მოცემული ნაშრომში “ძილი და სიზმარი” [12]. “შენიშვნების რეგულები” გვჩვენებს, როგორ იხვეწებოდა იგი თანდათანობით [20]. საბოლოო ნაშრომებში მოცემული თვალსაზრისი საყოველთაოდ ცნობილია. მისი ანალიზი ცხადყოფს, რომ ობიექტივაციის კონცეფციის ფარგლებში საკითხი განწყობის ონტოლოგიური ბუნების შესახებ საერთოდ არ დაისმის. აქტივობის ორივე დონეს (იმპულსურს და ცნობიერს) განსაზღვრავს არაფენომენალური განწყობა, რომელიც, პრინციპში, შეიძლება იყოს როგორც ბიოსფერული, ისე ფსიქიკური ბუნებისა. დ. უზნაძე ობიექტივაციაზე მსჯელობდა მაშინაც, როცა განწყობას არაფსიქიკურად მიიჩნევდა, და მაშინაც, როცა მას ფსიქიკური გარკვეულობა მიანიჭა. მაშასადამე, ობიექტივაციის კონცეფცია პარადიგმის შეცვლის თეორიულ მოტივად ვერ მივიჩნევთ.

არ ჩანს პარადიგმის შეცვლის მეთოდოლოგიური მოტივაციაც. 1925 წელს ახალი თეორიის აგების მეთოდოლოგიურ ამოცანად, არსებითად, ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრა დაისახა [15]. მომდევნო წლების ძირითად ნაშრომებში [13][14][16][17][18][20] დაიხვეწა ფორმულირებები, გამოიყო დასაძლევი მცდარი მეთოდოლოგიური პოსტულატები, რაც მთავარია, ამ კონტექსტში ე. წ. “უშუალობის პოსტულატი”. მაგრამ ზოგადმეცნიერული, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ამოცანა, რომელსაც უნდა უპასუხოს განწყობის ცნებამ, ბიოსფეროს მსგავსად, იგივე დარჩა – მისი საშუალებით უნდა შეიქმნას “გაშუალებული ურთიერთშემოქმედების თეორია” [22]. უკანასკნელ შრომებში თითქოს გაჩნდა ახალი ამოცანაც – ფსიქიკის განვითარების პრობლემის გადაჭრა. გავრცელებული შეფასებით, რომელიც დ. უზნაძის გამონათქვამებს ეყრდნობა, ეს გახდა განწყობის ფსიქიკურ რეალობად გამოცხადების მიზეზი. შესაძლებელია სხვა ინტერპრეტაციაც: იქნებ ჯერ გაჩნდა ცნების შინაარსის შეცვლის სხვა (მაგ. სოციალურ-იდეოლოგიური) მოტივაცია, ხოლო მერე მოინახა მისი გამამართლებელი მეთოდოლოგიური ამოცანა? ასეთი დაშვების სასარგებლოდ მეტყველებს ის უდავო გარემოება, რომ განვითარების მეთოდოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული ფსიქიკის გენეზისის საკითხები, დ. უზნაძის წინაშე, თეორიის განვითარების საწყის ეტაპზე იდგა [25]. ეს სულ არ უშლიდა მას ხელს, თითქმის მთელი მეცნიერული მოღვაწეობის განმავლობაში, უარყო არაცნობიერი ფსიქიკურის არსებობაც და განწყობის არაცნობიერობაც.

ასეა თუ ისე, ა. ბოჭორიშვილს არც თბილისის და არც მოსკოვის საჯარო დისკუსიაზე ეს თავისი პოზიცია არ გაუმჟღავნებია. მხოლოდ ერთხელ, საბოლოო სიტყვაში არ დამალა, რომ ბევრ რამეში თავიდანვე არ ეთანხმებოდა დ. უზნაძეს, ბევრს ეკამათებოდა მას და არც საკუთრივ განწყობის პრობლემატიკას იკვლევდა. “ფორმალურად არაფერი, არავითარი გარეგანი მოტივი არ მკარნახობდა მე გამოვსულიყავი აქ განწყობის თეორიის დასაცავად, ისევე როგორც არაფერი აიძულებდა აქ გამომსვლელ ფილოსოფოსებს ასე ენერგიულად დაეცვათ უზნაძის განწყობის თეორია. ეს მოხდა იმიტომ, რომ მე და ამ ამხანაგებს ამისკენ გვიბიძგებდა ჭეშმარიტების სიყვარულის შინაგანი მოტივი. განწყობის ცნება ნაყოფიერი, მეცნიერული, მარქსისტული ცნებაა და მისი დაცვა, როცა მის წინააღმდეგ გამოდიან ცილისმწამებლური “კრიტიკით”, ყველა საბჭოთა მეცნიერის ვალაა”.

თავისებური შეხედულება გამოთქვა შალვა ჩხარტიშვილმა. იგი ეყრდნობოდა სწორედ დ. უზნაძის საბოლოო ნაშრომში მოცემულ დებულებას, რომ განწყობა ვერ ჩაითვლება არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად. ეს ნიშნავს, რომ განწყობას აქვს ფიზიოლოგიური მხარე, მაგრამ ამით იგი არ ამოიწურება, განწყობა არ არის არც მხოლოდ იდეალური რიგის მოვლენა, როგორც წარმოდგენა, აზროვნება, წარმოსახვა და ა.შ. ასე რომ ყოფილიყო, განწყობა უნდა მიგვეჩნია “წმინდა ფსიქიკურ” ფენომენად. ასეთი რაიმეს არსებობას დ. უზნაძე კატეგორიულად არ უშვებდა. ასეც რომ არ იყოს, ამგვარი დაშვება მიგვიყვანს ერთ სიბრტყეში განლაგებული სამი

ფენის – ფიზიოლოგიურის, განწყობისა და ცნობიერების არსებობისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხამდე. მათ შორის მიზეზობრივი კავშირის აღიარება ფსიქიკის სუბსტანციონალიზაციის ტოლფასია, რაც, ცხადია, მიუღებელია. თავისთავადაც, განწყობის წარმოდგენა დამოუკიდებელ მესამე რეალობად გაუმართლებელია, იმ პირობებში, როდესაც მარქსიზმის მიხედვით ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ერთი სინამდვილის ორ სხვადასხვა მხარედ არის მიჩნეული. ამდენად, განწყობა არ შეიძლება იყოს არც წმინდად ფიზიოლოგიური, არც წმინდად ფსიქიკური და არც რაიმე სრულიად განსხვავებული.

“ფსიქიკური მაღალგანვითარებული მატერიის თვისებას წარმოადგენს. მაღალგანვითარებული მატერია არის ინდივიდი, კერძოდ მისი ნერვული სისტემა. უმაღლესი მატერიალური პროცესები – ნერვული მოქმედების პროცესებია. ფსიქიკური, ცნობიერება ამ პროცესების თვისებაა. თვისება კი ვერ მოიაზრება თავისი სუბსტრატის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება თვისების სუბსტრატად გადაქცევის საშიშროება. თავის ტვინის ქერქში მიმდინარე უმაღლესი ნერვული პროცესები არ არიან მხოლოდ ფიზიოლოგიური ან მხოლოდ ფსიქიკური. მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკური, წმინდად ფსიქიკური მარტო აბსტრაქციაში შეიძლება არსებობდეს. უმაღლეს ნერვულ, ქერქულ პროცესებზე პავლოვი ამბობდა, რომ ისინი ერთი და იმავე დროს ფსიქიკურიც არიან და ფიზიოლოგიურიც. ასე უყურებდა იგი პირობით რეფლექსაც. მას კარგად ესმოდა, რომ წმინდა ფიზიოლოგიურ ცნებებში არ თავსდება ამ პირველადი მთლიანობის მთელი ბუნება და მისი შემეცნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერულ ამოცანად მიიჩნევა ფიზიოლოგიურის ფსიქიკურთან, სუბიექტურის ობიექტურთან შერწყმას, გაიგივებას, რაც, როგორც ბევრ გამოსვლაში აღინიშნა, შესაბამისი მეცნიერებების გაუქმებას სულაც არ ნიშნავს.

განწყობის საშენი მასალა სწორედ ეს, უმაღლესი რიგის მატერიალური პროცესია. განწყობა ასეთი მასალიდან აიგება, რომელიც ერთი და იმავე დროს არის ფსიქიკურიც და ფიზიოლოგიურიც. განა სწორედ ეს არა აქვს მხედველობაში უზნაძეს, როცა გვეუბნება, რომ განწყობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად?”.

მოხსენებაში შ. ჩხარტიშვილმა ეს თავისი შეხედულება ძალზე მოკლედ ჩამოაყალიბა. მოგვიანებით მან იგი სხვადასხვა მოსაზრებებით შეავსო და გაფართოებული სახით წარმოადგინა რამდენიმე გამოკვლევაში [23][31]. მისი დედააზრი ისაა, რომ განწყობის ონტოლოგიური ბუნების გასაგებად უნდა ამოვიდეთ ერთიანი, მთლიანი პროცესიდან, ტვინის უმაღლესი მოქმედებიდან, რომლის ახალ და სპეციფიკურ თვისებას სულიერი ცხოვრების პროდუცირება შეადგენს. ეს ერთიანი სინამდვილე პროცესია, რომელსაც აქვს მატერიალური (ფიზიოლოგიური) და სულიერი (ფსიქოლოგიური) მხარე. ამ შემთხვევაში მოხსნილია ფსიქოფიზიკური პრობლემის სირთულეები, ვინაიდან ამ მხარეების ურთიერთობაზე ლაპარაკი ისევე შეიძლება, როგორც მაგალითად, მაგნიტისა და მისი მიზიდულობის ძალის ურთიერთობაზე; ამ უკანასკნელის გარეშე მაგნიტი უბრალო რკინად გადაიქცევა. ასევე, უმაღლესი მატერიალური პროცესის უმთავრესი და სპეციფიკური ნიშანი და თვისება არის ფსიქიკა. ამიტომ, ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს ფსიქიკური. ამით მოვლენას ისეთ სახელწოდებას მივცემთ, რომელიც მის არსებით ნიშანს გამოხატავს. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ასე იქცევა ი. პავლოვიც და დ. უზნაძეც, როდესაც პირველი რეფლექსს, მეორე კი განწყობას მიიჩნევს ფსიქიკურ ფაქტად, რომელიც, იმავე დროს, ფიზიოლოგიურიცაა. ესაა თავისი არსით ფსიქოფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც განწყობის საშენ მასალას, მის “ნივთიერ” ბუნებას წარმოადგენს. განწყობა, მაშასადამე, ისეთი ფსიქიკური ფაქტია, რომელიც იმავდროულად ფიზიოლოგიურიცაა. მაგრამ ტვინის მოქმედებისა და ფსიქიკური აქტივობის კანონზომიერებათა დადგენა სხვადასხვა ამოცანაა. რა ფსიქიკური პროცესები აღმოცენდება და როგორ გაიშლება სულიერი ცხოვრება “ეს მთლიანად ცხოვრების რეალურ პირობებზეა დამოკიდებული და არა ტვინის უნარსა და შესაძლებლობებზე. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის გარეშე არავითარი ფსიქიკური მოვლენა არ მიიღება, სწორედ ისე, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტის ... გარეშე არავითარი მელოდია არ განხორციელდება, მაგრამ როდის რა მელოდია იქნება შესრულებული, ეს ინსტრუმენტის ბუნებაზე არაა დამოკიდებული” [23 :

198]. ამავე დროს, ხაზგასასმელია, რომ შ. ჩხარტიშვილი უარს არ ამბობს არაცნობიერის ცნებაზე და იმას, რასაც არაცნობიერი ფსიქიკური ეწოდება, აღნიშნულ ფსიქოფიზიკურ გარკვეულობად (განწყობად) წარმოგვიდგენს.

სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი გახდა მიუღებელი ა. ბოჭორიშვილის ხაზის გამგრძელებელთათვის. განწყობის დახასიათება ფსიქოფიზიკურ მოვლენად შეუძლებელს ხდის მის გაგებას არაცნობიერ ფსიქიკურ ფაქტად. “თუკი ტერმინით – ფსიქოფიზიკური აღინიშნება რაღაც ახალი სინამდვილე, რა საფუძველი არსებობს ის გამოვაცხადოთ საერთოდ ფსიქიკურად და კონკრეტულად არაცნობიერ ფსიქიკურად? თუკი ტერმინით ფსიქოფიზიკური აღინიშნება ფსიქიკურისა და ფიზიკურის უბრალო დაკავშირება, ერთად არსებობა, როგორღა დასაბუთდება ამ მთლიანის ფსიქიკური ნაწილის არაცნობიერობა (არაგანცდით დონეზე არსებობა)?” [10: 66]. ამავე დროს, შ. ჩხარტიშვილის თანამოაზრეთა შორის არიან მკვლევარები, რომლებიც ფაქტობრივად აიგივებენ ა. ბოჭორიშვილისა და შ. ჩხარტიშვილის პოზიციებს და ამ საკითხში მათ “სოლიდარობაზე” ლაპარაკობენ [2].

როგორც უნდა შეფასდეს შ. ჩხარტიშვილის პოზიცია თავისთავად, მოცემული დისკუსიის კონტექსტში მისი გამოსვლა დროული და სასარგებლო იყო, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მასში ჩანდა გულწრფელი მცდელობა განწყობის თეორიის ძირითადი ცნების დასაბუთებისა მატერიალისტური მსოფლმხედველობისა და პავლოვიური ფიზიოლოგიის შესატყვისად.

რამდენიმე გამომსვლელმა დ. უზნაძის სკოლიდან სცადა თავისებური ინტერპრეტაცია მიეცათ დ. უზნაძის მიერ განწყობის მითოდ “არაფსიქიკური” დახასიათებებისთვის. მაგალითად, ი. ბუაღავა, ზ. ხოჯავა, მათ არც უგულებელყოფენ და არც შეცდომად რაცხავენ. ზოსიმე ხოჯავამ დიდი ადგილი დაუთმო ზემოთმოყვანილი პასაჟის ანალიზს 1941 წლის ნაშრომიდან, რომელიც ა. ფრანგიშვილმა შეცდომის მაგალითად დაასახელა. იქ გამოთქმულია მოსაზრება განწყობის განსაკუთრებულ სპეციფიკურობაზე, რაც შეუძლებელს ხდის მისი შესწავლისას ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ჩვეულებრივი ცნებების გამოყენებას [14]. ზ. ხოჯავა ცდილობს, აჩვენოს, რომ ეს გამონათქვამი იმას კი არ ნიშნავს, რომ განწყობის სპეციფიკური ბუნება მას ფსიქიკური (იდეალური) და ფიზიოლოგიური (მატერიალური) სინამდვილის მიღმა აყენებს (რაც იდეალიზმია), არამედ მხოლოდ იმას, რომ განწყობა უცდილობდა ფსიქიკური მოვლენაა, მაგრამ იმდენად თავისებური, რომლის დახასიათებისას ახალი, ტრადიციული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ცნებებისაგან განსხვავებული ცნებები უნდა იქნას გამოყენებული. ასეთებია, მაგალითად, ფიქსირებულობა, ირადიაცია, გენერალიზაცია, აგზნებადობა, დინამიკურობა, სტატიკურობა, პლასტიკურობა, კონსტანტურობა, სტაბილობა და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ დ. უზნაძის მსჯელობის ამგვარი ინტერპრეტაცია დამარწმუნებლად არ გამოიყურება. გაუგებარია, კერძოდ, რატომ არის მოყვანილი ცნებები ფიზიოლოგიისთვის ახალი? ეს ხომ სწორედ “ჩვეულებრივი” ფიზიოლოგიური ცნებებია. არ არის მართებული ისიც, რომ ტრადიციული ფსიქოლოგიური ცნებებით საერთოდ არ შეიძლება განწყობის დახასიათება. განა განწყობის დახასიათება არ არის ის, რომ იგი არაცნობიერია, აიგება მოთხოვნილებისა და სიტუაციის საფუძველზე, ან რომ იგი სუბიექტის, პიროვნების მდგომარეობაა და ა.შ. ვინ იტყვის, რომ ცნობიერება, არაცნობიერი, მოთხოვნილება, სიტუაცია, სუბიექტი, პიროვნება ფსიქოლოგიის “ჩვეულებრივი” ცნებები არ არის? ამდენად, საფიქრებელია, რომ სინამდვილეში პრობლემა ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ცნებებს კი არ ეხება, არამედ მოვლენის ბუნებას, რომელიც იმდენად თავისებურია, რომ ამ მეცნიერებათა ტრადიციულად აღიარებულ კომპეტენციაში ვერ თავსდება.

საზოგადოდ, დ. უზნაძის სკოლაში, განწყობის ონტოლოგიური ბუნების გარკვევის პროცესი ამაზე არ შეჩერებულა. მოგვიანებით ისეთი თვალსაზრისიც გამოჩნდა, რომლის მიხედვით განწყობა არა მხოლოდ არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილეა, არამედ შეიძლება ცნობიერი მოვლენის ფორმაშიც არსებობდეს (შ. ნადირაშვილი). ამრიგად, ქართულ ფსიქოლოგიაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს: 1) განწყობა ახალი, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური რეალობაა; 2) განწყობა ფსიქოფიზიკური ორბუნებიანი ერთიანი

პროცესია; 3) განწყობა არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე; 4) განწყობა არა მხოლოდ არაცნობიერი ფსიქიკურია, არამედ ცნობიერიც.

მოცემულ დისკუსიაზე პირველი სამი თვალსაზრისი იქნა წარმოდგენილი. პირველს, ფაქტობრივად, ყველა გაემიჯნა, თუმცა კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ რეალურად განწყობის ფსიქოლოგია ამ თვალსაზრისზე დგას. დ. უზნაძის სკოლის ფსიქოლოგების დიდი უმეტესობა ამტკიცებდა, რომ იგი განვლილი ეტაპია და განწყობის თეორიის ნამდვილი სახე განწყობის ფსიქიკურობის დებულებაში უნდა ვეძებოთ.

დ. გედევანიშვილის ზოგიერთი “არგუმენტი” განწყობის ფსიქოლოგიის წინააღმდეგ მაშინაც თითქმის ანეკდოტურად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, მათზე ბევრს მსჯელობდნენ – ზოგი სერიოზულად, ზოგიც ირონიულად. კერძოდ, დ. გედევანიშვილი ამტკიცებდა, რომ განწყობის თეორია ეფუძნება ექსპერიმენტულ, ხელოვნურად გამოწვეულ და, მაშასადამე, არანამდვილ, არაცხოვრებისეულ მოვლენას. ამიტომ მისი დებულებების განზოგადება მთელ ფსიქიკურ ცხოვრებაზე აბსოლუტურად არამართებულია. ეს მით უფრო დაუშვებელია, რადგანაც ასეთ პირობებში მოპოვებული განწყობის ფაქტები ვლინდება ილუზიებში, ამიტომაც განწყობა სხვა არაფერია თუ არა ილუზიების ფაქტორი. ამავე ექსპერიმენტებით ისიც დასტურდება, რომ ერთ ანალიზატორში წარმოქმნილი განწყობა (ილუზია) გადადის მეორე ანალიზატორზე და იქაც ილუზიას ქმნის (ე. წ. განწყობის ირადიაცია). კიდევ უარესი – ეს ილუზიები, თურმე, შეიძლება დღეები და თვეები გრძელდებოდეს. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი აღქმა ილუზორული ხდება. ჩვენ ვერ ავსახავთ სწორად სინამდვილეს. ასე რომ დ. უზნაძის კონცეფციის გაზიარებას იდეალიზმამდე მივყავართ.

ოპონენტს აუხსნეს, რომ ზოგიერთი განწყობის მოქმედება თვეები კი არა წლებიც გრძელდება და სწორედ განწყობის ფიქსაციის თვისება ქმნის აღზრდის შესაძლებლობას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი სულ ილუზიაში ცხოვრობს. შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში განწყობა ადექვატურ აღქმას ემსახურება. ის გარემოება, რომ განწყობა ილუზიის მასალაზე შეისწავლება, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ განწყობის კანონზომიერებებზე დაკვირვება ილუზიების მასალაზეა უფრო მოსახერხებელი. ფსიქიკური კანონზომიერებანი პათოლოგიურ მასალაზეც შეისწავლება, მაგრამ ამის გამო არავინ ამტკიცებს, რომ ქვეყნად მხოლოდ ფსიქოპათები არსებობენ, მიუგო შ. ჩხარტიშვილმა. იდეალიზმი ხომ აქ საერთოდ არაფერ შუაშია. რაც შეეხება იმას, რომ განწყობის მონაცემების მიღება და განზოგადება არ შეიძლება მათი ექსპერიმენტული ხასიათის გამო, ასეთი რაიმის მოსმენა არა უბრალოდ მეცნიერისაგან, არამედ ექსპერიმენტული მეცნიერების წარმომადგენლისაგან, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს. ხომ არ ფიქრობს ფიზიოლოგიის პროფესორი გედევანიშვილი, იკითხა რ. ნათაძემ, რომ ი. პავლოვის ძაღლები ფისტულებით იბადებიან, ასე დარბიან ქუჩებში და გამოყოფენ ნერწყვს გაგონილ ზარებსა თუ ანთებულ ნათურებზე საპასუხოდ?

დ. გედევანიშვილმა, ა. ქუთელიამ და კ. აკებარდიამ გაილაშქრეს განწყობის თეორიაში მოცემული გაშუალების პრინციპის წინააღმდეგ და მიიჩნიეს იგი მარქსიზმის ასახვის თეორიასთან შეუსაბამოდ. ამ უკანასკნელის მიხედვით ფსიქიკა შეგრძნებათა საშუალებით უშუალოდ ასახავს სინამდვილეს. “უზნაძე კი ამტკიცებს, რომ ცნობიერების კავშირი გარე სამყაროსთან პირდაპირი და უშუალო კი არ არის, არამედ ირიბი და გაშუალებული. ცნობიერებასა და სინამდვილეს შორის იგი ათავსებს ყბადაღებულ განწყობას” და ფიქრობს, რომ ცნობიერების შინაარსებიცა და აქტუოზაც განწყობის უშუალო მოქმედების შედეგია. ამას მივყავართ “ცნობიერების სინამდვილესაგან მოწყვეტასთან”, და, მაშასადამე, “ფსიქიკის შინაარსის უაღრესად იდეალისტურ გაგებასთან”. მოკლედ, შეგრძნება და საზოგადოდ ფსიქიკური მოქმედება გარე სინამდვილეს კი არ ასახავს, არამედ განწყობას.

პასუხად ნათქვამი იყო, რომ განწყობაა წარმოშობს გარემოს (სიტუაციის) უშუალო ზემოქმედება შეგრძნების ორგანოებზე. სიტუაცია უშუალოდ ასახება შეგრძნებათა გზით. განწყობის თეორიის ავტორი ხაზგასმით მიუთითებს ამაზე: “რამდენადაც სუბიექტის მთლიანობითი ცვლილება (განწყობა – ი.ი.) ამ სიტუაციის უშუალო ზემოქმედების ეფექტს

წარმოადგენს, არ შეგვიძლია არ ვიგულისმოდ, რომ სუბიექტის მთლიანობითი ცვლილება – ვიმეორებთ, როგორც სიტუაციის ზემოქმედების უშუალო ეფექტი – ამ სიტუაციის აქტუალური მოთხოვნების ფონზე ასახვას წარმოადგენს: უშუალო ეფექტი არ შეიძლება იმის მკაფიო დადს არ ატარებდეს, რისი უშუალო ეფექტიც არის იგი” [14: 6]. ამრიგად, განწყობა უშუალოდ და ადექვატურად ასახავს სინამდვილეს და ამიტომაც შეუძლია შეასრულოს მიზანშეწონილი ქცევის საფუძვლის ფუნქცია.

გამოთქმული იყო წმინდა ფილოსოფიური მოსაზრებებიც. სწორედ “დიამტან” შეუსაბამოდ შეფასდა დებულება, რომ შემეცნების საგანი უშუალოდ არის მოცემული. ცნობიერების სინამდვილესთან ასეთი უშუალო კავშირის აღიარება ინტუიცივიზმის და მეტიც, ობსკურანტიზმის საფრთხეს შეიცავსო, უთხრეს ოპონენტებს (ა. ბოჭორიშვილი, ს. წერეთელი). იქ, სადაც ასახვის სრული უშუალობაა, პრინციპულად გამორიცხულია შეცდომა; მაშინ არც ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხი დაისმის და ზედმეტი ხდება შემეცნების მარქსისტული თეორიის ძირეული დებულება – პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმი. “სინამდვილეში ყველაფერი გაშუალებულია. მაგალითად, ადამიანი საზოგადოდ გაშუალებულად, სახელდობრ, იარაღის მეშვეობით შევიდა ურთიერთობაში ბუნებასთან. იგი მხოლოდ მაშინ გამოეყო ცხოველს, როცა მოათავსა ბუნების ნაწილი ადამიანსა და ბუნებას შორის. აქაა ნამდვილი კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის. საზოგადოდ, ნამდვილი კავშირი გაშუალებულია და თავის თავში უშუალობის შემცველია. გაშუალებული კავშირის უარყოფა საერთოდ კავშირის უარყოფაა” (ს. წერეთელი).

კრიტიკოსებს არ მოსწონდათ განწყობის თეორიის სხვა დებულებებიც, მაგალითად თეზისი განწყობის მთლიანობის შესახებ. დ. გედევანიშვილს პიროვნების მთლიანობის იდეა უ. მაკ-დაუგოლის “ჰოლიზმს”, ხოლო კ. აკბარდიას ვ. შტერნის პერსონალიზმს აგონებს. ანალოგია დ. უზნაძესთან მხოლოდ იმის საფუძველზე კეთდება, რომ ყველა ისინი მთლიანობაზე ლაპარაკობენ, ხოლო პერსონალიზმი და ჰოლიზმი რომ იდეალიზმია, ეს “თავისთავად ცხადია”. ასეთი “არგუმენტაციის” ტენდენციური და პასკვილური ხასიათი შესაბამისად იქნა შეფასებული. დაისვა კრიტიკოსების არაკომპეტენტურობის საკითხიც, ვინაიდან, მიუხედავად კატეგორიული მოთხოვნისა, დ. გედევანიშვილმა არ განმარტა თუ როგორ ესმის ტერმინი “ჰოლიზმი”. მაშინ ეს ფუნქცია თავის თავზე აიღო ი. ბჟალავამ და ექსპრომტის სახით ჩაუტარა ოპონენტებს გაკვეთილი ფსიქოლოგიის ისტორიაში. მან ჩამოთვალა პერსონისა და ჰოლიზმის ნიშნები: ორივე წარმოადგენს პირველად, ინსტიქტურ, ემოციების სამყაროს; ორივე მოწოდებულია წარმართოს არაცნობიერი და ვიტალური სფეროები; ორივე არის უფაქტორო და ტოტალური მთლიანობა; ისინი არ იცვლებიან გარემოს ზემოქმედებით; ორივე აღიარებულია ინდივიდუალურ, განუმეორებელ, ერთიან და უცვლელ სინამდვილედ; სინამდვილეს ორივე ამ სფეროს აქვს თავისი ცნობიერება – მე-ს ცნობიერება; “რა აქვს საერთო, – იკითხა ი. ბჟალავამ, – ამ მეტაფიზიკურ ცნებას და ლაყობას, ცნებასთან, რომელიც აღნიშნავს ტვინის სისტემურობას და განწყობას?! რა თქმა უნდა არაფერი! მაშასადამე, განწყობის ცნების კრიტიკოსებმა ან არ იციან, რა არის ჰოლიზმი და პერსონა, ან კიდევ იციან და შეგნებულად ამახინჯებენ სინამდვილეს”.

შესაბამისი ფილოსოფიური განმარტებები გააკეთა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ს. წერეთელმა. “დებულება – ყველაფერი მოცემულია მთლიანობაში და ერთიანობაში – არის დი-ალექტიკის ელემენტარული დებულება, რომელიც პირველკურსელებმაც კი იციან ... ნამდვილი მთლიანი გარკვეული მომენტების ერთიანობაა ... მთლიანი მოქმედებს ყოველ თავის ნაწილში, მაგრამ მათზე არ დაიყვანება. მათ შორის დიალექტიკური კავშირია ... უზნაძესთან ფსიქიკური მოვლენები განიხილება ურთიერთკავშირში, ერთიანობასა და მთლიანობაში ... ეს მთლიანობა (საუბარია სუბიექტის მთლიანობაზე) ფსიქიკური მოვლენების საფუძველს წარმოადგენს. თვით ფსიქიკური მოვლენები უნდა განვიხილოთ არა თავისთავად, არამედ სწორედ მთლიანობაში, ადამიანში ... უზნაძის თეორიის მიხედვით, ცნობიერების ცალკეული მოვლენების საფუძველში მდებარეობს მთლიანი ერთიანი პიროვნება. ეს მთლიანობა არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცალკეული ცნობიერი

მოვლენის სახით (მხოლოდ ამ მნიშვნელობითაა აღიარებული განწყობა არაცნობიერ მოვლენად, და არა ფროიდისტული ... მნიშვნელობით, როგორც აქ ზოგიერთებს ეჩვენება)”.

ყურადღება უნდა მიექცეს ს. წერეთელის ბოლო რემარკას, სადაც მოცემულია დ. უზნაძისა და ზ. ფროიდის არაცნობიერის ცნებების სრულიად მართებული გაგება, რადგანაც ეს თემა აქტუალური იყო დისკუსიაზე. ოპონენტები, რასაკვირველია, არ აუვლიდნენ გვერდს ისეთ იდეოლოგიურ საფრთხობელას, როგორც იყო ფროიდიზმი. სამწუხაროდ, პოლიზმისა და პერსონალიზმისა არ იყოს, კრიტიკა ამ შემთხვევაშიც არაკომპეტენტური და ტენდენციური იყო. არსებითად, იგი დაიფვანება შემდეგ სილოგიზმზე: რეაქციონერი და იდეალისტი ზ. ფროიდი ლაპარაკობს არაცნობიერზე, საბჭოთა მეცნიერი დ. უზნაძეც ლაპარაკობს არაცნობიერზე, მაშასადამე ისიც იდეალისტია. დ. უზნაძის ინტერესი ფსიქოანალიზისადმი სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ისიც და განწყობის თეორიაც, არსებითად, არაცნობიერის თეორიებია. დ. უზნაძემ თავისი თეორიის მშენებლობის პირველივე ეტაპზე დაიწყო ზ. ფროიდის თეორიის კრიტიკული ანალიზი [12][15] და ბოლოს ჩამოაყალიბა თვალსაზრისი განწყობისა და ფსიქოანალიზური არაცნობიერის ცნებათა ურთიერთიმართებასთან დაკავშირებით [17] [18]. ეს თემა სხვა მრავალი სერიოზული გამოკვლევის საგანი გახდა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში [6][26][32] და სხვა. დ. უზნაძის პოზიცია უკვე მაშინ კარგად იყო ცნობილი: ზ. ფროიდის არაცნობიერის ცნება კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან იგი ეხება ცნობიერებას მოკლებულ ჩვეულებრივ ფსიქიკურ შინაარსებს, განცდებს. დ. უზნაძე არ უშვებს ასეთი რაიმეს არსებობის შესაძლებლობას და მიაჩნია, რომ არაცნობიერი ფსიქიკის სახით რეალურად არსებობს მთლიანპიროვნებისეული მდგომარეობა – განწყობა. აქედან გამომდინარე იგი იმასაც კი აცხადებს, რომ არაცნობიერი ზედმეტი ცნებაა და მხედველობაში აქვს არაცნობიერის ფროიდისეული განმარტება (ეს პოზიცია მთლიანობაში შეიძლება გარკვეულ შენიშვნებს იწვევდეს [8][9], მაგრამ მასზე იმის თქმა, რომ ფროიდისტულია, არაფრით არ შეიძლება). განწყობის ცნება უნდა ჩაენაცვლოს არაცნობიერი ფსიქიკურის ყველა გაგებას, მათ შორის ფსიქოანალიზურს. “რომ მოხერხდებოდეს, – წერს დ. უზნაძე, – არაცნობიერის ცნების განთავისუფლება ცნობიერი ცხოვრებისთვის ჩვეული ფსიქიკური შინაარსისაგან, რომ მოხერხდებოდეს მისთვის სხვა უფრო შესაფერი შინაარსის მოძებნა, მაშინ ხელთ გვექნებოდა იარაღი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, უფრო ღრმად ჩავწვდომოდით საქმის ნამდვილ ვითარებას. ჩვენ დავინახეთ, რომ განწყობის ცნება სწორედ იმ კონცეპტს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე უკეთ უდგება ამ ამოცანის გადაჭრის მიზანს” [17: 47].

ამ ამოცანის დასმით, ოპონენტების აზრით, “უზნაძე ფროიდის “კრიტიკაში” კი არ უარყოფს ამ უკანასკნელს, არამედ ცდილობს მის გაღრმავებას, განვითარებას ... პროფ. უზნაძე არ აკრიტიკებს ფროიდს მის მიერ არაცნობიერის მისტიკური სწავლების აღიარების გამო, ვინაიდან თვითონაც აღიარებს მას. უზნაძე იმაზე წუხს, რომ ფროიდმა ღრმად არ განასხვავა ცნობიერი და არაცნობიერი” და მხოლოდ იმას საყვედურობს, რომ “იგი ვერ ხედავს განსხვავებას ცნობიერისა და არაცნობიერის შინაგან ბუნებასა და სტრუქტურაში” (ა. ქუთელია). “ფროიდის სწავლებამ ბუდე გაიკეთა დ. უზნაძის განწყობის კონცეფციაში” (დ. გელვანიშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ ამ აშკარად პროვოკაციულ “კრიტიკაზე” გამოზომილი რეაგირება ძნელია, ვ. ნორაკიძეს ეყო თავშეკავება ასეთი კომენტარისთვის: “დ. უზნაძეს შეგვიძლია მხოლოდ უსაყვედუროთ, რომ არ მოგვცა ფროიდის თეორიის მეკეთრი პოლიტიკური კრიტიკა. სამაგიეროდ, თავისი კვლევებით მან, არსებითად, გამოაცალა საფუძველი ფროიდის არაცნობიერის ცნებას”. სხვა დისკუსანტები ნაკლებად დელიკატურები იყვნენ. მაგალითისთვის მხოლოდ შ. ჩხარტიშვილის გამოსვლას მივმართოთ, რომელმაც ორი საკითხი გამოიყენა ერთმანეთისაგან: არაცნობიერი ფსიქიკურის ცნების მართებულობა საზოგადოდ და დ. უზნაძის თეორიის დამოკიდებულება სხვადასხვა სახის “იზმებთან” (პოლიზმი, ფროიდიზმი).

არის თუ არა თავისთავად არაცნობიერის ცნების აღიარება იდეალიზმი (სულერთია, როგორი მნიშვნელობითაც უნდა ვიაზროთ იგი), როგორც ამას ამტკიცებენ დ. უზნაძის სკოლის ოპონენტები? ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად არ არის საჭირო არაცნობიერი

ფსიქიკურის ურთულესი საკითხის ჩადრმავებული ანალიზი. საკმარისია ვიკითხოთ, აქვთ თუ არა ცხოველებს ფსიქიკა? მარქსიზმის კლასიკოსებისა და ი. პავლოვის მიხედვით – უთუოდ აქვთ. ეს ფსიქიკა ცნობიერი ვერ იქნება, ვინაიდან იმავე მარქსიზმის კლასიკოსების თანხმად, ცნობიერება საზოგადოებრივი პროდუქტია და ისევე ძველი, როგორც ენა. გამოდის, რომ ცხოველის ფსიქიკის შემთხვევაში მაინც ვალდებული ვართ, ვადიაროთ არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა. ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკური ფორმა ცნობიერებაა. მაგრამ იგი ვერ წარმოქმნებოდა პირდაპირ ფიზიკურიდან (ფიზიოლოგიურიდან). არაცნობიერი ფსიქიკური ფსიქიკის განვითარების ცნობიერებამდელი სახეობაა. ხოლო, რაც მოპოვებული იყო ცხოველის განვითარების საფეხურზე, არ იკარგება ადამიანის საფეხურზე. არაცნობიერი ფსიქიკური სფერო საერთოა ცხოველისა და ადამიანისთვის. განწყობის სახით დ. უზნაძემ ასეთი, გენეტიკურად პირველადი ფსიქიკის არსებობის ფორმა დაახასიათა, როგორც თეორიულად, ისე ემპირიულად.

ამრიგად, დ. უზნაძის „განწყობა“, როგორც არაცნობიერი ფსიქიკური, იდეოლოგიურად საგვებით კორექტული ცნებაა. მაგრამ ოპონენტები ამ ცნებას მაინც არ შეიწყნარებენ, ვინაიდან არაცნობიერის გაგონებაზე მხოლოდ ზ. ფროიდი ახსენდებათ. აქ უკვე ლოგიკა და რაციონალური არგუმენტი უძლურია, ვინაიდან საქმე გვაქვს ცნობიერების მუშაობის პრიმიტიულ, ასოციაციურ სახეობასთან: თეთრი გვაგონებს შავს, ღამე – დღეს, მაღალი – დიდს. ორი სრულიად განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი დასახელების მოვლენა ერთმანეთს გვაგონებს. განწყობა მთლიანობითაა. ჰოლიზმიც – მთლიანობითაა. განწყობის ფსიქოლოგიაში საუბარია არაცნობიერზე, ზ. ფროიდიც არაცნობიერზე ლაპარაკობს. ამიტომ განწყობის თეორიაში მთლიანობაზე მსჯელობა ზოგიერთებს ჰოლიზმს აგონებს, არაცნობიერზე კი – ზ. ფროიდს. ესაა პიაჟეს მიერ აღწერილი ტიპური მსჯელობა, რომელიც 3-5 წლის ბავშვს ახასიათებს: ძროხა გვაძლევს რძეს, თხაც გვაძლევს რძეს, ორივეს რქები აქვს, ამიტომ თხა არის ძროხა.

განსჯის ობიექტი გახდა დ. უზნაძის ობიექტივაციის კონცეფცია. კრიტიკა ამ შემთხვევაშიც წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით უსაგნო იყო და მხოლოდ იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ასე ითქვა, რომ “უზნაძეს მცდარი პოზიცია უკავია აზროვნების მიმართაც ... მარქსიზმი ამოდის იქიდან, რომ ადამიანების ცხოვრების წესი განსაზღვრავს მათ აზრთა წყობას. უზნაძე კი ცდილობდა აზროვნება “განწყობიდან” და “ობიექტივაციიდან” გამოეყვანა” (დ. გედევანიშვილი).

პასუხად ითქვა – რა თქმა უნდა, მართალია, რომ ადამიანების ცხოვრების წესი განსაზღვრავს მათ აზრთა წყობას, მაგრამ რა შუაშია აქ განწყობა და ობიექტივაცია. განა დ. უზნაძეს სადმე უთქვამს, რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ცხოვრების წესთან? დ. უზნაძის კონცეფციას წითელ ზოლად გასდევს მტკიცება, რომ განწყობა, როგორც მოქმედებისადმი მზაობის კონკრეტული ფსიქიკური მდგომარეობა, წარმოიქმნება გარემოსა და მოთხოვნილების გავლენით. რას უნდა ნიშნავდეს გარემო და მოთხოვნილება, თუ არა ცხოვრების წესს და მაშასადამე, განწყობის განსაზღვრულობას ცხოვრების წესით? ხოლო ობიექტივაცია, როგორც სპეციფიკურად ადამიანური აქტივობის უნარი, დ. უზნაძე მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ჩაისახა მხოლოდ სოციალურ არსებაში, მხოლოდ სოციალური ცხოვრების პირობებში და ენასთან მჭიდრო კავშირში. ობიექტივაცია სოციალურობის გაგრძელებააო, ამბობს დ. უზნაძე, და როგორ შეიძლება მისი დაპირისპირება “ცხოვრების წესისადმი”, რომლის შედეგიცაა იგი?

არსებითად, იგივე “ბრალდება” გაიმეორა მეორე კრიტიკოსმაც – კონცეფცია იდეალისტურია, რამდენადაც მასში აზროვნება გამოიყვანება ობიექტივაციიდან და იგნორირებულია ადამიანთა საზოგადოებრივ-მატერიალური წარმოება, როგორც ცნობიერებისა და აზროვნების აღმოცენებისა და განვითარების საფუძველი (ა. ქუთელია). თუმცა ეს კრიტიკოსი უფრო შორს მიდის. იგი ამ კონცეფციას, არც მეტი არც ნაკლები, აგნოსტიკურსა და მეტაფიზიკურს უწოდებს და აცხადებს, რომ მას “არ ეშინია ასეთი მაგარი კვალიფიკაციის”. ამის დასამტკიცებლად მოყვანილია უზნაძის გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ლოგიკური აზროვნება თავის საფუძველში გულისხმობს იგივეობის აქსიომატურ დებულებას (ყველაფერი არის ის, რაც არის, რომ ყველაფერი თავის თავს უდრის ($A=A$)). ობიექტივაცია შეჩერებაა, იმისთვის, რომ აზროვნება დაიწყოს. აზროვნების პირობაც

მსოფლიოს მარადიული, უწყვეტი მდინარებიდან თავის დაღწევა, რათა შესაძლებელი გახდეს რისამე განმეორება, თავის თავთან იდენტურობის ცხადყოფა. ეს წინმძღვარი “უდავოდ მიუთითებს, რომ ლოგიკური აზროვნება სინამდვილეს, როგორც ასეთს, ე.ი. განმეორებადს ინამდვილეს ეხება – სინამდვილეს, როგორც ობიექტს, და არა როგორც მარად ცვალებად მდინარეს” [17: 163]. დ. უზნაძის ამ სიტყვებს მოსდევს ა. ქუთელიას შემდეგი კომენტარი: “ნათქვამი არ შეიძლება დახასიათდეს სხვაგვარად, თუ არა მეტაფიზიკის აგნოსტიციზმი ... იგი გამორიცხავს სინამდვილის, როგორც ცვალებადობის მუდმივი პროცესის შემეცნების შესაძლებლობას. ამასთან, ობიექტივაციის თეორია აშენებულია იგივეობის მეტაფიზიკურ ცნებაზე და, თავის მხრივ, ცდილობს მის ფსიქოლოგიურ გამართლებას”.

ს. წერეთელის პასუხში ყველაფერი თავის ადგილზეა დასმული: იმის თქმა, თითქოს დ. უზნაძე უარყოფს განვითარებას, მოძრაობას და აქტივობას, არის მისი ობიექტივაციის ფსიქოლოგიური კონცეფციის სრული გაუგებრობა. დ. უზნაძე გამოთქვამს დებულებას, რომ აქტივობის პროცესში შეიძლება მოხდეს შეფერხება, შეჩერება. რას ნიშნავს ეს შეჩერება? თუ არ შეჩერდი რამეზე, ანუ არ გაცნობიერე რაიმე, მაშინ, ცხადია, ვერც შემეცნება განხორციელდება. მაგრამ დაისმის კითხვა – არის თუ არა ეს შეჩერება მოძრაობისა და აქტივობის უარყოფა? არა – ეს თავისებური აქტივობაა და არა აქტივობის უარყოფა, მეტიც, ეს “გამძაფრებული აქტივობაა”. ფსიქოლოგიურად ასეა და ჩვენ არ უნდა აუვრიოთ ფსიქოლოგიისა და შემეცნების თეორიის ან სხვა მეცნიერების საკითხები. ასეთი აღრევა მხოლოდ კრიტიკოსის მოუსაზრებლობას ამტკიცებს.

ეს საყვედური არანაკლებ მიესადაგება ამ კრიტიკოსის მსჯელობათა კიდევ ერთ ნაწილს, სადაც ნაცადია დ. უზნაძის თეორიის იდეალისტურობის დამტკიცება იმის საფუძველზე, რომ ეს კონცეფცია მოთხოვნილების ფაქტიდან (ცნებიდან) ამოდის, ხოლო მარქსისტული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი ადამიანის ფსიქიკური მოქმედების და მისი განვითარების განხილვას წარმოების ცნებით იწყებს. მოყვანილია არაერთი ციტატა მარქსის და ენგელსის შრომებიდან ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში წარმოების გადამწყვეტი როლის და მოთხოვნილებათა მიმართ მისი პირველადობის საჩვენებლად. ერთერთ მათგანში, მაგალითად, ლაპარაკია იმაზე, რომ სიცოცხლისთვის აუცილებელია საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი და კიდევ ზოგი რამ, ამდენად “პირველი ისტორიული საქმე ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო საშუალებების, თვით მატერიალური ცხოვრების წარმოებაა”. აქედან დასკვნა – მთავარი და პირველადი მატერიალური ცხოვრების წარმოებაა.

საინტერესოა, რომ ამავე ციტატიდან შ. ჩხარტიშვილს ზუსტად საწინააღმდეგო დასკვნა გამოჰყავს, კერძოდ: აქტივობის (ცხოვრების) საწყისი პუნქტი მოთხოვნილებაა და არა წარმოება. საზოგადოდ, მისი პოლემიკა ქუთელიასთან ამ დისკუსიის ერთერთ დასამახსოვრებელ მომენტად იქცა, შესაძლოა იმიტომაც, რომ მათ შორის ნამდვილი ციტატების ომი გაიმართა. რაკი თეორიული არგუმენტები არ ჭრიდა, შ. ჩხარტიშვილმა დასაბუთების ისეთსავე, მარქსიზმის კლასიკოსების გამო-ნათქვამების მოშველიების მეთოდს მიმართა და დიამატის სპეციალისტი მისსავე მინდორზე დაამარცხა.

“უზნაძის ბანაკის” ერთერთმა ფილოსოფოსმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ შ. ჩხარტიშვილის ა. ქუთელიასთვის პასუხმა დაამტკიცა, რომ კერძო მეცნიერებათა ზოგიერთი სპეციალისტი უკეთაა დაუფლებული მარქსიზმს, ვიდრე თვით მარქსიზმის სპეციალისტები (ა. ქუთელია იმხანად სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის გამგე იყო, ხოლო ამ ამბებიდან სულ მცირე ხანში, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი გახდა).

შ. ჩხარტიშვილის თქმით, ეკონომისტ მარქსს მართლაც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ “მოთხოვნილების გარეშე არ არის წარმოება” და, რომ “მოხმარება ბადებს წარმოებას, კმნის რა ახალი წარმოების მოთხოვნილებას, ანუ წარმოების იდეალურ, შინაგან აღმძვრელ მოტივს, რომელიც მისი წინაპირობაა”. ცხადია, რომ ორგანიზებული მოთხოვნილებები საზოგადოდ აქტივობის წინაპირობაა. მაგრამ ადამიანური მოთხოვნილებები ცხოვრების პროცესში, გარემოს

თავისებურებებით გაპირობებულ მოხმარების პროცესში ყალიბდებიან. მოთხოვნილებასა და წარმოებას მოხმარება აშუალებს. ადამიანის ყოველგვარი ქცევა პირველადი და მეორადი მოთხოვნილებებით აღიძვრება და, ამ აზრით, ისინი პირველადნი არიან ფსიქოლოგიური ანალიზისთვის. საზოგადოებრივ-სოციალური რიგის დისციპლინები იმ კანონზომიერებებს შეისწავლიან, რომლებიც ადამიანურ მოთხოვნილებებს ქმნიან. დ. უზნაძე ფსიქოლოგი იყო, ამიტომაც იწყებს მოთხოვნილების ანალიზით და იმასაც აჩვენებს, თუ როგორ ხდება ვიტალურ მოთხოვნილებათა “გაკულტურება” ცხოვრების პირობების, ანუ მოხმარების შესაბამისად. წყურვილი, როგორც უბრალოდ სითხის საჭიროება, ლუდის ან ღვინის წყურვილად იქ გადაიქცევა, სადაც, შესაბამისად, ქერი ან ვაზი იზრდება, ამბობს დ. უზნაძე და დასძენს, რომ მით უფროა დამოკიდებული მოხმარების გარემოებებზე ე. წ. მაღალი ანუ სპეციფიკურად ადამიანური მოთხოვნილებებით [16: 245].

გარდა ამისა, აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მოთხოვნილება მხოლოდ ერთი ფაქტორია განწყობა. მეორე ფაქტორია სიტუაცია, რომლის შინაარსში როგორც ფიზიკური, ისე სოციალური გარემო შედის. ამდენად, განწყობის თეორიაში გათვალისწინებულია ადამიანის საზოგადოებრივი ბუნებაც და მისი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც. ამავე დროს, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ განწყობის თეორია ფსიქოლოგიაა და არა პოლიტეკონომია. მოხმარება, წარმოება და ა.შ. ამ უკანასკნელი სფეროდანაა. მათი დეკლარაციული გამოყენება ფსიქოლოგიაში არაფრისმომცემია. ფსიქოლოგიამ მათი კორელაციური საკუთარი ცნებებით უნდა იმუშაოს. ასეთებია სწორედ მოთხოვნილება და სიტუაცია (ვ. ქვანახია).

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ იდეოლოგია და მსოფლმხედველობა. ეს ადამიანის საზოგადოებრივი დეტერმინაციის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგრამ ფსიქიკის საზოგადოებრივ დეტერმინაციაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სფერო (ისევე როგორც ფიზიოლოგია) არ არის თავისთავად ფსიქიკური სინამდვილე, იგი ფსიქიკაში აისახება, მაგრამ ფსიქიკის გარეთაა. ფიზიკურ გარემოზე მსჯელობისას გარეგანი და შინაგანი არავის ეშლება. იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის შემთხვევაში კი ხშირად ხდება მათი აღრევა – გარეგანი, ობიექტური ფაქტი ფსიქიკურად განიხილება. კ. ბაქრაძემ ამ მიმართებაში სოციოლოგიზმის საშიშროებაზე გაამახვილა ყურადღება. ე. აბაშიძე კიდევ უფრო შორს წავიდა და, ფაქტობრივად, კრიტიკულ კონტექსტში შეეხო საბჭოთა ქვეყანაში ფსიქიკის გადაჭარბებული იდეოლოგიზაციის თემას, რაც მაშინ არანახულ მკრეხელობად შეიძლება მონათლულიყო. მან თქვა: “დაუშვებელია მსოფლმხედველობისა და ფსიქოლოგიის აღრევა. საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიის თავისებურ, სპეციფიკურ მეცნიერებად გამოცხადება იმის საფუძველზე, რომ ძლიერი ნებისყოფა და პატრიოტიზმი საბჭოთა ადამიანის მონოპოლიურ საკუთრებას წარმოადგენს, არასწორია ფაქტიურადაც და თეორიულადაც ... ჩემი სტუდენტები, რომლებიც ფსიქოლოგიას არსებული რუსული სახელმძღვანელოებით შეისწავლიან, დარწმუნებულები არიან, რომ ნებისყოფა მარტო ჩვენა გვაქვს, რომ სამშობლო მხოლოდ ჩვენ გვიყვარს ... არ შეიძლება საკითხის ასე დაყენება: რა არის კლასობრივი ფსიქიკაში და არა. ფსიქიკაში არაფერია კლასობრივი ... კლასობრივი შეიძლება იყოს სინამდვილე, რომელიც ფსიქიკაში აისახება და არა თვით ფსიქიკა”.

ამ სიტყვების სრული ჭეშმარიტების მიუხედავად, სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, სულ გაისმოდა შეგონებები ფსიქიკის კლასობრივი ბუნებისა და ფსიქოლოგიის პარტიულობის თაობაზე. ოთხმოციან წლებში ამ სიტყვების ავტორი თავის ქართველ კოლეგებთან ერთად, რუსეთის ერთერთ ქალაქში ესწრებოდა კონფერენციას, რომელიც ეძღვნებოდა ახალი ადამიანის ფსიქოლოგიის განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ძირითადი მომხსენებელი იყო საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთერთი მთავარი იდეოლოგი პროფესორი ე. შოროხოვა. მან აუწყა დამსწრე საზოგადოებას, რომ პიროვნება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა ადამიანი და ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა ერთმა ახალგაზრდა და ეტყობა ქვეყნის ფსიქოლოგიის იერარქიაში ნაკლებად გარკვეულმა სპეციალისტმა იკითხა – იყო თუ არა პიროვნება კარლ მარქსი, რომელიც, როგორც ცნობილია, ვერ მოესწრო სოციალისტურ საზოგადოებას?

დ. უზნაძე ამოდიოდა ფსიქიკის ბიოსოციალური ბუნების თეზისიდან. იგი წერს: “ფსიქოლოგიის საგნად ჩვენ ფსიქიკური, როგორც წმინდა სუბიექტური მოცემულობა, როდი უნდა ჩავთვალოთ, არამედ, როგორც ობიექტური თან ერთიანობაში მყოფი სინამდვილე” [16: 19]. ობიექტურში ორგანიზმიც (ფიზიოლოგია) შედის და გარემოც (საზოგადოება). ამას ისევ ზოგადი ფსიქოლოგიის ამონარიდები ადასტურებს: “რაკი ფსიქიკა ტვინის “პროდუქტს” წარმოადგენს, თითქოს უდავო ხდება, რომ ფსიქიკურის ახსნა ყოველთვის ფიზიოლოგიურ პროცესებში უნდა ვეძიოთ. უეჭველია, ფსიქიკური ფაქტების მატერიალური სუბსტრატის, ფიზიოლოგიური პროცესების დადასტურება საჭიროა, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური ამით საკამრისად იქნება ახსნილი? ... თუ ადამიანის ფსიქიკა ცნობიერების სახით არსებობს, ხოლო ცნობიერება საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს, მაშინ ფსიქოლოგიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება თავისი ახსნითი ამოცანების სწორი გადაწყვეტა, თუ იგი თავის კვლევა-ძიებას ჩვენი ცნობიერების ისტორიულ საფუძველზე და სოციალური განსაზღვრულობის იდეას დაუდებს საფუძვლად” [16: 20]

ეს ყველაფერი დისკუსიაზე გარკვევით იქნა ნაჩვენები. აქედან გამომდინარე, განწყობის ფსიქოლოგიის განადგურების მოსურნეებს, როგორც ფიზიოლოგიის, ასევე ისტმატ-დიამატის მხრიდან, ობიექტურად არ გააჩნდათ რამდენადმე დამარწმუნებელი მეცნიერული არგუმენტები თავიანთი მიზნის მისაღწევად.

შესაძლოა სხვა მიზანი ამოძრავებდა სიმონ ყიფშიძეს. როგორც გამოცდილი და ახლის მაძიებელი კლინიცისტი იგი გულწრფელად იყო დაინტერესებული დ. უზნაძის სკოლის ემპირიული კვლევით, განსაკუთრებით სამედიცინო ფსიქოლოგიის ნაწილში, მაგრამ არ იღებდა ამ ემპირიკის ამხსნელ განწყობის თეორიას. ისიც სათქმელია, რომ ეს ინტერესი უცებ არ გაჩენილა. მას წინ უძღვოდა განწყობის სამედიცინო ფსიქოლოგიაში ჩატარებული სამუშაოს სრული მიუღებლობა. ასეთი “განწყობის” მკვეთრი დემონსტრირება ს. ყიფშიძემ მოახდინა 1945 წელს ი. ბუღალავას სადოქტორო დისერტაციის ოპონირებისას, სადაც მან კატეგორიულად გაილაშქრა ფიქსირებული განწყობის მეთოდით მოპოვებული კლინიკური მონაცემების წინააღმდეგ. დ. უზნაძე ესწრებოდა ამ ბატალიებით სავსე თორმეტსაათიან დაცვას, თუმცა, სიტყვით არ გამოსულა. ეტყობა მიიჩნია, რომ დისერტანტი “თავისი ძალებითაც” წარმატებით გაართმევს თავს განწყობის ფსიქოლოგიის მონაპოვარის დაცვის ამოცანას და არც შემცდარა. ეს დაცვა, არსებითად, შეიძლება ჩაითვალოს პირველ საჯარო დისკუსიად განწყობის ფსიქოლოგიაში. ს. ყიფშიძის გარდა, უარყოფითი შეფასება მისცა შრომას ავლიზ ზურაბაშვილმაც.

შემდეგ, როგორც თავად ს. ყიფშიძემ აღნიშნა გამოსვლაში, იგი დაინტერესდა ამ მეთოდით (ერთერთი მისი ახლობელი კოლეგა ამბობდა დისკუსიაზე, რომ უწინ ს. ყიფშიძეს გაგონებაც არ სურდა საგანწყობო ბურთებისა, ახლა კი ხელიდან ვერ გაავდებინებო). შეამოწმა მისი დიაგნოსტიკური შესაძლებლობები სხვადასხვა ფუნქციონალურ და ორგანულ ნერვულ დაავადებებზე და, პრინციპში, დაადასტურა მისი გამოყენების სარგებლიანობა, როგორც მკურნალობის დანიშნულების, ისე მკურნალობის შედეგიანობის შეფასების საქმეში.

ამასთან ერთად ს. ყიფშიძემ არ მიიღო დ. უზნაძის ეფექტების განწყობისეულ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია. მას მიაჩნდა, რომ ის, რასაც განწყობას უწოდებენ, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა პირობითი რეფლექსი. განწყობა არ წარმოადგენს ქცევის მთლიანპიროვნულ საფუძველს, ხოლო კონტრასტული ილუზიის ფაქტები უნდა აიხსნას ფიზიოლოგიურად – აგზნებისა და შეკაების ურთიერთინდუქციით.

ამ დებულებათა დასამტკიცებლად ს. ყიფშიძემ მოიყვანა თავისი ცდები, რომლებშიც კონტრასტული ილუზია წარმოიქმნება ცალ ხელში ერთი დიდი ბურთის ექსპონირების პირობებში. ვინაიდან აქ არ ხდება შედარება, ამიტომ ამ ეფექტის დ. უზნაძისეული ინტერპრეტაცია გამორიცხულია; “განწყობის ცნება არ გამომდინარეობს ექსპერიმენტიდან, ის აპრიორულად არის დაშვებული” და უნდა აიხსნას ე. წ. “უარყოფითი ინდუქციის” კანონით. ამ უკანასკნელის მიხედვით

ძლიერი გამღიზიანებელის გარშემო თავის ტვინის ქერქში იქმნება დაბალი აგზნებადობის ზონა. ამიტომ, როცა კრიტიკულ ცდებში ცდისპირს ტოლი ბურთები ეძლევა იმ ხელში, სადაც მანამდე დიდი ბურთი ეჭირა, ხდება აგზნების შემცირება და ბურთიც უფრო პატარა ეჩვენება. ამ ეფექტებს ს. ყიფშიძემ “შემცირების ფენომენი” უწოდა, ხოლო პავლოვურ ფიზიოლოგიაზე დამყარებული ეს კონსტრუქცია “განწყობის ახალ თეორიად” მონათლა.

ს. ყიფშიძის გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჯერ ერთი აღინიშნა, რომ ეს “ახალი თეორია” სულაც არ არის ახალი. ასეთივე “აღმოჩენა” გააკეთა 1947 წელს აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა. წიგნში “ნერვული და ფსიქოგენური მოქმედების ძირითადი ფორმები” იგი პირდაპირ ამბობს, რომ “ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში, ფაქტობრივად, ადგილი აქვს არა პიროვნების მთლიანობით ცვლილებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სენსორულ სფეროში დროებითი კავშირის დამყარებას”. ი. ბუაღავას თქმით, მას მერე, რაც ი. ბერიტაშვილს გააცნეს განწყობის ირადიაციის ფაქტები, მან განაცხადა, რომ პირობითმა რეფლექსმა არ იცის ასე შორს მიმავალი ირადიაცია და ურთიერთინდუქციის კანონი ამ შემთხვევაში ვერ გამოდგება ამხსნელ ცნებად.

ი. ბერიტაშვილის მიერ თავისი თავდაპირველი თვალსაზრისის შეცვლა, როგორც ჩანს, სიმართლეს შეეფერება, ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ იგი ესწრებოდა დისკუსიას და არ გაუპროტესტებია ეს სიტყვები. ისიც აღსანიშნია, რომ პავლოვური სესიის დროს შერისხულ ი. ბერიტაშვილს არ გამოუთქვამს რაიმე კრიტიკული მოსაზრება ამ დისკუსიის მსვლელობისას, მიუხედავად თავისი კოლეგის, დ. გედევანიშვილის დაჟინებული მოწოდებებისა ფიზიოლოგებისადმი, მხარი აეხათ მისთვის.

თუმცა არც ს. ყიფშიძის “ახალი ფაქტები” იყო ახალი. ცალი ხელის ეფექტები კარგა ხნით ადრე დ. უზნაძის სკოლაში იქნა აღმოჩენილი შ. ჩხარტიშვილის მიერ. დისკუსიის მსვლელობაში წარმოდგენილ იქნა ამ ფაქტების განწყობისეულ-ფსიქოლოგიური ახსნის მცდელობაც (ზ. ხოჯავა). მის დეტალებზე აღარ შევჩერდებით, მითუმეტეს, რომ მოგვიანებით დ. უზნაძის სკოლაში, ამ და სხვა ეფექტებს, რომლებიც თითქოს არ ექვემდებარება განწყობისეულ ინტერპრეტაციას, მოენახა სხვა ახსნა: ე. წ. “განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონის” ფარგლებში [11].

განწყობის ეფექტების არაფსიქოლოგიური, წმინდა ფიზიოლოგიური ახსნის წინააღმდეგ მეტყველებს ასიმილაციური ილუზიებისა და ირადიაციის ფაქტებიც, რომელთაც ს. ყიფშიძე არც კი ახსენებს. საზოგადოდ კი ითქვა, რომ განწყობის ეფექტები ილუზორულ განცდას, ანუ ფსიქიკურ ფენომენს ეხება. ეს არ არის უბრალოდ ორგანიზმის სეკრეტორული ან მოტორული რეაგირება, რომელიც შეიძლება რეფლექსის ცნებით დახასიათდეს (ვ. ნორაკიძე).

ს. ყიფშიძის გარდა დისკუსიაზე გამოვიდა კიდევ სამი კლინიკის წარმომადგენელი პროფ. პ. სარაჯიშვილი, ექიმი ნ. რუხაძე (პროფ. ა. გოცირიძის კლინიკიდან) და ექიმი გ. ნადარეიშვილი (პროფ. ქავთარაძის კლინიკიდან). ყველა მათგანმა მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, დიდ მასალაზე დაყრდნობით დაადასტურა განწყობის მეთოდის უდავო ღირებულება განსხვავებულ დაავადებათა დიაგნოსტიკის პრაქტიკაში. საზოგადოდ, კლინიკისტების გამოსვლებმა მეტი დამაჯერებლობა შესძინეს განწყობის თეორიას იმ დისკუსიაზე, სადაც არაერთხელ გაიმეორეს დიამატის ცნობილი თეზისი: “პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმი”.

დისკუსია ჭეშმარიტების ძიებას არ ემსახურებოდა. აქ იყო ე. წ. “პოზიციური აზროვნების” ასპარეზი – ორივე მხარე თავის თვალსაზრისზე იდგა, მხოლოდ გარკვეული პოზიციის დაცვაზე ზრუნავდა და არც აპირებდა მის შეცვლას. პაექრობა იყო დაუნდობელი და უშეღავათო. მბრალდებელი მხარის მიერ გამოიყენებოდა ყველაფერი – აშკარა სიცრუე, ტექსტების გაყალბება, იდეოლოგიური იარაღების მიწება. ოპონენტების გამოსვლების ზოგიერთი მომენტი მოინათლა “ბინძურ ცილისწამებად”. ამ ფონზე ძნელია დაადანაშაულო ცალკეული ფსიქოლოგი, რომელიც აჰყვა ოპონენტების პროვოკაციას და ჩაება “კომპრომატების ომში”. მაგალითად, ერთერთი ოპონენტი ამტკიცებდა, რომ განწყობის თეორიის ავტორი არ იცნობდა პავლოვის მოძღვრებას, ხოლო მეორე, რომ იგი მას არ ცნობდა. ამის დასამტკიცებლად გამოამხეურეს

ამონარიდი დ. უზნაძის ძველი შრომიდან, სადაც ი. პავლოვის შეხედულებები რეფლექსოლოგიად ანუ, არსებითად, ბიჰევიორისტული თვალსაზრისის ნაირსახეობად არის შეფასებული: “პავლოვი და მისი სკოლა სავსებით უარყოფს სულიერ ფენომენტთა შესწავლის თვალსაზრისს და მის ნაცვლად ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების, ანუ, როგორც პავლოვი ამბობს, მისი ქცევის კვლევას აწარმოებს: “მხოლოდ ობიექტური კვლევის გზითაა შესაძლო, თანდათანობით იმ საზღვარდაუდებელი შეგუების სრულ ანალიზს მივაღწიოთ, რომელიც აქ, დედამიწაზე სიცოცხლეს შეადგენს ... შეგუების უმარტივესი ფორმების ანალიზი ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით ხდება, რა საბუთი გვაქვს შევცვალოთ ეს გზა უმაღლესი რიგის (ე.ი. ფსიქიკური მოვლენების – დ.უ.) შესწავლის დროს?”. ეს პავლოვის სიტყვებია და აქედან სრულიად ცხადად ჩანს, რომ, პავლოვის აზრით, ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლამ ადგილი ცოცხალი ორგანიზმის ქცევის კვლევას უნდა დაუთმოს. ეს უკანასკნელი კი სავსებით ფიზიოლოგიური ბუნების კვლევაა; მაშასადამე, ფსიქოლოგიას, როგორც ასეთს, ადგილი არ რჩება და მის საქმეს ფიზიოლოგიამ უნდა მოჰკიდოს ხელი” [15: 30-31]. ეს შეფასება, სავსებით შესაძლებელია, სინამდვილესთან ახლოც იყოს, მაგრამ, როგორც ითქვა, მაშინ ჭეშმარიტებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. ან კიდევ ვის დაუმტკიცებდი რაიმეს, იმ ვითარებაში, როცა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ი. პავლოვის სწავლება დოგმატურად გამოაცხადა ერთადერთ ჭეშმარიტებად და რეპრესიული საშუალებებით ღამობდა ფსიქოლოგებისთვის მის თავზე მოხვევას.

ი. პავლოვის დამოკიდებულება ფსიქოლოგიის მიმართ მრავალჯერ გამხდარა მსჯელობის საგანი [24][25][29]. ი. პავლოვი მკაცრ ბუნებისმეტყველურ პოზიციაზე იდგა, ებრძოდა მეტეფიზიკური აზროვნების ყველა გამოვლინებას, რომელთან, არც თუ იშვიათად, ფსიქოლოგიურ ცნებებსაც აიგივებდა. ცნობილია, მაგალითად, რომ იგი აჯარიმებდა თავის თანამშრომლებს ფსიქოლოგიური ტერმინების გამოყენებისთვის ძაღლის ქცევის აღწერისას. მეცნიერული კარიერის პირველ ეტაპზე იგი საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი ფსიქოლოგიური კვლევის მიმართ მისი სუბიექტურობის გამო და, ბიჰევიორისტების მსგავსად, მართლაც, მხოლოდ ობიექტურ მეთოდოლოგიას ცნობდა. მოგვიანებით მისი პოზიცია ერთგვარად შერბილდა. იგი ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის შერწყმაზეც (ქორწინებაზეც) კი საუბრობდა. თუმცა, როგორც ეს ამ დისკუსიაზეც გამოჩნდა, ბევრი ფსიქოლოგი დარწმუნებული იყო, რომ ი. პავლოვს, საბოლოოდ, ფიზიოლოგიის მიერ ფსიქოლოგიის შთანთქმა ჰქონდა მხედველობაში. საზოგადოდ, ალბათ, ადექვატურია ლორენს გრეჰემის შეფასება, რომ “პავლოვი მაინც ეჭვის თვალით უყურებდა ფსიქოლოგიის მეცნიერულობას, თუმცა არ იყო მის მიმართ ისე მტრულად განწყობილი, როგორც სურთ წარმოდგინონ მისი შემოქმედების ზოგიერთ მკვლევარს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად აკეთებდა გაფრთხილებებს რედუქციული მიდგომისაგან, მოწოდებებს “ორგანიზმის მთლიანობითი” შესწავლისკენ და გამოთქვამდა რწმენას “ადამიანის რაოდენობრივი და თვისებრივი უნიკალურობის” შესახებ, პავლოვის შეხედულებებისთვის, მაინც, დამახასიათებელი იყო ტენდენცია ფსიქიკური მოვლენების განხილვისა ... გამარტივებული, მექანიკური წარმოდგენებისა და ცნებების საშუალებით” [25: 166]. ისიც აღსანიშნავია, რომ ი. პავლოვი მხოლოდ ცხოვრების მიწურულს გახდა მეტ-ნაკლებად ლოიალური საბჭოთა ხელისუფლებისადმი. რევოლუციის შემდგომ პერიოდში იგი ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს იდეოლოგიურ ჩარევას მეცნიერებაში და მარქსისტული ფილოსოფიის კრიტიკასაც კი ბედავდა. ყოველ შემთხვევაში, ღრმადმორწმუნე ი. პავლოვის გამოცხადება მარქსისტული მეცნიერების მებრძოლ სიმბოლოდ აშკარად საბჭოთა იდეოლოგიის გაუკუღმართებული ლოგიკის ნიმუშია.

ამ სიტუაციაში დ. უზნაძის მოყვანილი სიტყვები სერიოზულ კომპრომატად იქცა. ფსიქოლოგებმა განმარტეს, რომ ეს შეფასება ძალიან ძველ ნაშრომში გაკეთდა და არ გამოხატავს ავტორის შემდგომდროინდელ პოზიციას. ამის საჩვენებლად გაახმოვანეს ამონარიდები დ. უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგიიდან“, სადაც დადებით კონტექსტშია დახასიათებული ი. პავლოვის მიერ დადგენილი ტემპერამენტის ფიზიოლოგიური მექანიზმები. თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო და მზის სინათლეზე ამოიტანეს კრიტიკოსის

“ცოდვები”, კერძოდ დ. გედევანიშვილის მტკიცება, რომ ნიკო მარმა ერთადერთმა სწორედ გადაწყვიტა საკითხი ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების შესახებ. ამაზე დიდი მკრეხელობა მაშინ ძნელად წარმოსადგენი იყო. საქმე ისაა, რომ სტალინის ახალ გამოსულ ნაშრომში ენათმეცნიერების საკითხებთან დაკავშირებით, დაგმოილი იყო ნ. მარი და ყველა საბჭოთა მეცნიერს უნდა ეხელმძღვანელა ამ “გენიალური ნაშრომის” დებულებებით. ისიც აღმოჩნდა, რომ განწყობის თეორიის არაპავლოვურობაზე განრისხებული ოპონენტი, პავლოვურ სესიამდე დაბეჭდილ სქელტანიან ნაშრომებში ქერქული მოქმედების ფიზიოლოგიაში, არც ტექსტში და არც ლიტერატურის სიაში სულ არ მოიხსენიებს ი. პავლოვსა და მის მიმდევრებს.

კრიტიკოსების მიერ გამოყენებული კიდევ ერთი კომპრომატი იმას ეხებოდა, რომ თითქოს დ. უზნაძე უმაღლესადაა ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობას თავის თეორიას და შეგნებულად არ აწვდიდა კოლეგებს მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე ფსიქოლოგიური კვლევის შესახებ. ესეც მონაჭორი იყო. დ. უზნაძის მოწაფეებმა და თანამშრომლებმა, რომელთა თვალწინ იქმნებოდა განწყობის ფსიქოლოგიის ისტორია, ამომწურავად გააშუქეს ეს საკითხი (ა. ავალიშვილი, ბ. ხაჭაპურიძე, რ. ნათაძე, ა. ფრანგიშვილი). ამ ანალიზიდან ორ მომენტს გამოვყოფთ. პირველი დ. უზნაძის ბოლო განმაზოგადებელი ნაშრომის “განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები” გამოცემას ეხება და საშუალებას გვაძლევს გარკვეულად დავაზუსტოთ მისი შექმნის დრო. ეს მნიშვნელოვანია განწყობის ფსიქოლოგიის ისტორიისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ აქ იქნა პირველად წარმოდგენილი რამდენიმე ახალი იდეა, სახედობრ შეხედულება განწყობის ფსიქიკურობის შესახებ. ცნობილია, რომ ეს ნაშრომი თავიდან დაიწერა რუსულად და განკუთვნილი იყო პირველ რიგში იმისთვის, რომ დაეკმაყოფილებინა დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდნენ თბილისელი ფსიქოლოგების მუშაობის მიმართ ქვეყნის სხვა ფსიქოლოგიურ ცენტრებში მომუშავე კოლეგები. იგი გადაეცა დასაბეჭდად მოსკოვის პედაგოგიკური აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს მათივე მოთხოვნით. ნაშრომი განხილული იქნა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე წამყვანი მოსკოველი ფსიქოლოგების თანდასწრებით. მაშასადამე, მათ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია დ. უზნაძის სკოლის კვლევის თაობაზე. გაუგებარი მიზეზების გამო ნაშრომმა წელიწადზე მეტ ხანს დაჰყო მოსკოვში და, საბოლოოდ, არ გამოქვეყნდა. ამის შემდეგ იგი ითარგმნა ქართულად და გამოიცა თბილისის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომების მეექვსე ტომში 1949 წელს. თუ გავითვალისწინებთ გამოკვლევის მასშტაბს, მის დაწერაზე, მოსკოვის განხილვაზე, თარგმანსა და გამოცემაზე დახარჯულ დროს, მიგვაჩნია, რომ მისი დასრულების თარიღი 1947 წლით უნდა განისაზღვროს.

ამავე კონტესტში აღინიშნა, რამდენად მართებული იყო დ. უზნაძის მხრიდან ზრუნვა იმაზე, რათა მისი კვლევის შედეგები გავრცელებულიყო საზღვარგარეთ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბეჭდავდა წერილებს უცხოურ ჟურნალებში ჩვენში აღმოჩენილ რამდენიმე ექსპერიმენტულ ფაქტზე პრიორიტეტი გამოაცხადეს უცხოელმა სპეციალისტებმა. ასეთების რიგში დასახელებული იქნა ჯეხონის გამოკვლევა აღქმის გარკვეულ ილუზიებზე, რომელსაც წინ უძღოდა დ. უზნაძის ანალოგიური ცდები, გამოქვეყნებული გერმანულ ჟურნალში; ნარცის ახის ორმოციანი წლების გამოკვლევა დაწოლის ილუზიებზე, რომელსაც წინ უსწრებდა ა. ბოჭორიშვილის ცდები (1933 წ.); დაბოლოს 1945 წელს გამოქვეყნებული ჟან პიაჟეს ნაშრომი, რომელსაც “უზნაძის ეფექტები” ეწოდება, რაც, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია. მაგრამ, ჯერ ერთი, ბევრ მონაცემს განწყობის გენერალიზაციის, ირადიაციის, ტრანსპოზიციის, ფაზურობის და ა.შ. შესახებ იგი თავის აღმოჩენებად რაცხავს. ამასთან, რაც ძალიან ნიშანდობლივია, არაა გაზიარებული მათი უზნაძისეული ინტერპრეტაცია განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან. აქედან მოცემული დისკუსიის სულისკვეთების შესაბამისი დასკვნა – ალბათ საბჭოთა მეცნიერის დ. უზნაძის კონცეფცია იდეალისტი ფსიქოლოგებისთვის მიუღებელია.

ახლა შეფასებები შეიცვალა – ჟ. პიაჟეს მიერ განწყობის ექსპერიმენტული მონაცემების “უზნაძის ეფექტად” მანათვლა ჩვენი ფსიქოლოგიის დიდ აღიარებად მიიჩნევა. დ. უზნაძის დროს ამაში არაფერ განსაკუთრებულს არ ხედავდნენ. პირიქით, როგორც დისკუსიის მასალებით ირკვევა,

ქართველი ფსიქოლოგები არ იყვნენ კმაყოფილნი არც ჩვენში მოპოვებული მონაცემების დ. უზნაძის სკოლისადმი კუთვნილების სრულფასოვანი დადასტურებით და არც მათი განწყობისეული ინტერპრეტაციის გაუზიარებლობით.

დღევანდელი გადასახედიდან წარმოდგენილი დისკუსიის ბევრი ძირეული მომენტი, მაგალითად მარქსიზმთან ან პავლოვურ სწავლებასთან ფსიქოლოგიის, კერძოდ უზნაძისეული ფსიქოლოგიის, შესაბამისობის საკითხი იმდენად არააქტუალურია, რომ მათ გარშემო ატეხილმა ვნებათაღელვამ გაკვირვებაც კი შეიძლება გამოიწვიოს¹ მაგრამ აღწერილი სამეცნიერო-ისტორიული მოვლენა, პირველ ყოვლისა, მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის, კულტურული-იდეოლოგიური კლიმატის, როგორც მეცნიერების ისტორიაში ამბობენ – “ეპოქის სულის” (Zeitgeist) გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. იმ დროს კი ეს ყველაფერი არა უბრალოდ ანაგარიშგასაწევი, არამედ უადრესად სერიოზულ საფრთხეთა შემცველი ფაქტორები იყო მეცნიერების არსებობისა და განვითარებისა. ამის გაცნობიერების გარეშე ძნელია იმის გაგება, თუ რატომ ნერვიულობდნენ ასე გამომსვლელები, კამათში მონაწილენი და მთლიანად დამსწრე საზოგადოება. ეს რომ ნამდვილად ასე იყო ადასტურებენ თვითმხილველები². ამის შემწნევა შეიძლება სხდომების სტენოგრაფიული ოქმების მიხედვითაც (მოხსენებებს თან ახლდა წამოძახილები და რეპლიკები დარბაზიდან, პირდაპირი შელაპარაკება, რომელთა დასაცხრომად სხდომის წამყვანებს შესვენებების გამოცხადებაც კი უხდებოდათ და სხვა).

დისკუსიამ დადებითი შედეგები გამოიღო რამდენიმე თვალსაზრისით. მან განამტკიცა ჩვენი ფსიქოლოგიური სკოლის პოზიციები რესპუბლიკურ დონეზე. პოლიტიკურ პლანში ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იმ ქვეყანაში, სადაც აღწერილი მოვლენები ვითარდებოდა, სერიოზულ საორგანიზაციო თუ საკადრო გადაწყვეტილებებს, მაშინაც, როცა ისინი ცენტრიდან იყვნენ ინიცირებული, მაინც უთანხმოებდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას.

სოციალურ პლანში მან ხელი შეუწყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონსოლიდაციას. ფუძემდებლის გარდაცვალების შემდეგ ეს მას ნამდვილად ესაჭიროებოდა. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო ერთიანობის შენარჩუნება და მისი დემონსტრირება საერთო მოწინააღმდეგის წინაშე. აქტუალური იყო ლიდერის საკითხიც, რაზეც პრეტენზიას რამდენიმე ამბიციური და ავტორიტეტული მეცნიერი აცხადებდა. იყო გარკვეული შიდა უთანხმოებები და ინტერესთა დაპირისპირება, რაც საზოგადოდ ყოველგვარ სამეცნიერო (და არამხოლოდ სამეცნიერო) გაერთიანებას ახასიათებს, მაგრამ ამას არ უნდა დაეწრილა საერთო ამოცანა – განწყობის ფსიქოლოგიის შენარჩუნება და განვითარება, რაც იყო პირობა ქართული ფსიქოლოგიის აღიარებისა და წარმატებისა.

ინტელექტუალურ პლანში ამ დისკუსიამ შეასრულა ერთგვარი პოლიგონის ფუნქცია, სადაც გამოიცადა, დაზუსტდა და დაიხვეწა არგუმენტაცია უფრო სერიოზულ ოპონენტებთან საკამათოდ, ბევრად უფრო რთულ სიტუაციაში და სოციალურ გარემოში. აქ აღსანიშნია, რომ თბილისში აუდიტორიის უდიდესი ნაწილი ქართველ ფსიქოლოგებს თანაუგრძნობდა. ასე არ იყო მოსკოვის დისკუსიაზე (თათბირზე) 1955 წელს, სადაც აუდიტორია შეუდარებლად უფრო კრიტიკული იყო და რომლის გადაწყვეტილებები პირდაპირი მნიშვნელობით საბედისწერო შეიძლებოდა გამდარიყო დ. უზნაძის სკოლისთვის [28]. ამ პაექრობის პერიპეტეიებზე მომავალში ვისაუბრებთ, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ქართველი ფსიქოლოგები საკმაოდ მომზადებულები დახვდნენ ამ განსაცდელს და ამაში თავისი დადებითი როლი უთუოდ ითამაშა მოცემულ წერილში აღწერილმა დისკუსიამაც.

¹ დისკუსიაზე განიხილებოდა ისეთი საკითხებიც, რომელთა ძალიან აქტიური განხილვა და კვლევა დღესაც მიმდინარეობს (ფსიქიკის დამოკიდებულება მატერიალურ (ნერვულ) სუბსტრატთან, სოციალური გარემოს როლი ადამიანის ფსიქიკის ფორმირებაში, ფსიქიკის შესწავლის სუბიექტური და ობიექტური მეთოდების გამოყენების საზღვრები და შესაძლებლობები, არაცნობიერის კატეგორიის შინაარსი და მნიშვნელობა, განწყობის ცნება და მისი მიმართება ცნობიერებისა და ქცევის კატეგორიებთან და ბევრი სხვა) და, რომელთაც აქტუალობა არასდროს დაეკარგება.

² მაგალითად, ამჟამად ცნობილი ფილოსოფოსი სერგი ავალიანი, მაშინ ახალგაზრდა მკვლევარი, რომელიც ესწრებოდა სხდომებს, იხსენებს, რომ “როცა ა. ქუთელიას ჯგუფის შეტევებმა კ. ბაქრაძის, ა. ბოჭორიშვილის, ს. წერეთელის გამოსვლების შემდეგ ფაქტობრივად მარცხი განიცადა, მაშინ ა. ქუთელიამ დ. უზნაძის მონოგრაფია სკამზე დადო და ზედ დააჯდა” [1: 23].

ლიტერატურა:

1. ავალიანი ს. ინსტიტუტის ევოლუციის ძირითადი ეტაპები. ფილოსოფიის ინსტიტუტი. რედ. ი. კალანდია, მ. მახარაძე. ბათუმი, 2007. გვ. 9-47.
2. ბარამიძე ნ. კიდევ ერთხელ განწყობის თეორიის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ. ფსიქოლოგიური გამოკვლევები. ტ.2. ბათუმი, 2006. გვ. 28-39.
3. ბერულავა ნ. დიმიტრი უზნაძე. თბილისი, 1967.
4. ბოჭორიშვილი ა. არაცნობიერის პრობლემა დ. უზნაძის განწყობის თეორიაში. თხზულებები, ტ.1. თბ., 1991.
5. ბოჭორიშვილი ა. არაცნობიერის პრობლემა განწყობის თეორიაში (დ. უზნაძე). თხზულებები, ტ.1. თბ., 1991.
6. ბუაღაძე ი. ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში. თბ., 1976.
7. დისკუსია თემაზე: “საბჭოთა ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი” (მონსენებათა თეზისები). თბილისი, 1952.
8. იმედაძე ი. მასალები ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორიის შედარებითი ანალიზისათვის. “მაცნე”, 2004, №1. გვ. 54-75.
9. იმედაძე ი. არის თუ არა არაცნობიერის ცნება ზედმეტი ცნება. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2008, №1. გვ. 67-78.
10. კაკაბაძე ვ. განწყობის ფსიქოლოგია და არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა. თბილისი, 1990.
11. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია. თ.1. თბილისი, 1983; ტ.2. თბილისი, 1985.
12. უზნაძე დ. ძილი და სიზმარი. ტფილისი, 1936.
13. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიისათვის. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ.7, 1938. გვ. 17-50.
14. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები. თბილისის სახ. ნივერსიტეტის შრომები, ტ.19, 1941. გვ. 17-45.
15. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. შრომები, ტ.2, თბილისი, 1960.
16. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ.3-4, თბილისი, 1964.
17. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. შრომები, ტ.6. თბილისი, 1977.
18. უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. შრომები, ტ.6, თბილისი, 1977.
19. უზნაძე დ. იმპერსონალიზ. შრომები, ტ.9, თბილისი, 1986.
20. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული. “მაცნე”, 1988, №2, გვ. 72-91, №4, გვ. 54-71; 1989, №1, გვ. 75-94.
21. ფრანგიშვილი ა. იდეალიზმის ერთი სისტემის შესახებ ფსიქოლოგიაში (პროფ. უზნაძის “ბიოსფერული ფსიქოლოგია”). ”კომუნისტური აღზრდისათვის”, 1932, №5-7, გვ. 71-80; №8-9, გვ.81-88.
22. ქოჩორაძე ბ. დ. უზნაძის განწყობის თეორიის სისტემატოლოგიური ანალიზი მეტაგანზომილების მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1993.
23. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება. თბილისი, 1975.
24. Будилова Е.А.Философские проблемы в советской психологии. М., 1972.
25. Грехем Л. Естествознание, философия и науки о человеческом поведении в Советском Союзе. М., 1991.
26. Какабадзе В.Л. Теоретические проблемы глубинной психологии. Тбилиси, 1982.
27. Некоторые вопросы советской психологии. Стеногр. отчет совещания в АН ГрССР. Тбилиси, 1952.
28. Обсуждение докладов по проблеме установки на совещании по психологии. Вопросы психологии. 1955, 6. С. 72-112.
29. Психологическая наука в России XX столетия: проблемы теории и истории. Под ред. А.В.Брушлинского. М., 1997.
30. Сарджвеладзе Н.И. Еще раз об онтологическом статусе неосознаваемой психической деятельности. Бессознательное: природа, функции, методы исследования. Под ред. А.С.Прангишвили, А.Е.Шерозия, Ф.В.Бассина. Т.4, Тбилиси, 1985. С.56-66.
31. Чхარтишвили Ш.Н. К вопросу об онтологической природе бессознательного. Бессознательное: природа, функции, методы исследования. Под ред. А.С.Прангишвили, А.Е.Шерозия, Ф.В.Бассина. Т.1, Тбилиси, 1978. С. 95-110.
32. Шерозия А.Е. Психика. Сознание. Бессознательное. Тбилиси, 1979.

Irakli Imedadze
1952 year discussion on Uznadze's psychology of Set

Resume

The work presents a detailed analysis of all aspects of the discussion titled 'Actual problems of soviet psychology'. The discussion was organized by Georgian Academy of sciences in Tbilisi in 1952. Apart from the discussion itself, some preceding events are also described in the research. The discussion focused on two main issues: transformation of psychology taking into consideration the results of the so called 'Pavlovian session' and ideological correctness of Uznadze's theory of set. In fact, these issues were interrelated and most participants referred to both of them. The arguments of those opposing the theory of set were chiefly based on the clichés of historical and dialectical materialism. In contrast to this, the representatives of Uznadze's school presented scientifically substantiated theses. Moreover, thanks to their deep knowledge of the relevant sources, they were able to find supporting arguments in Marxism itself and showed the inconsistency between their opponents' views and those expressed by Marxist classics. The discussion clearly ended 'in favor' of the school of set. At the social level it resulted in the consolidation of the Georgian psychological school. At the intellectual level it served as a kind of training field where the arguments to defend the theory of set were tested, ascertained and refined. It was a considerable experience for future debates with more serious opponents, in much more difficult situations and social environment. The discussions will be analyzed in further works.

მერაბ მაღრაძე

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი***მოთხოვნის სუბიექტის პრობლემა განწყობის უსიძოლობაში**

საკვანძო სიტყვები: სუბიექტი, განწყობა, უმჯობესი განწყობა, მოთხოვნის, მოთხოვნის მიღების, ორგანიზაციის საჭიროება

მოთხოვნის სუბიექტი შეიძლება ეწოდოს სულიერ არსებას იმ მდგომარეობაში, როდესაც იგი რაიმე სახის მოთხოვნას განიცდის. სიტყვა „განიცდის“ ამ კონტექსტში იხმარება მხოლოდ ფსიქოლოგიური მნიშვნელობით და აღნიშნავს სპეციფიკურ ფსიქიკურ პროცესს, რომლის მიმდინარეობაც, ამა თუ იმ ფორმით (ცნობიერად ან გაუცნობიერებლად), პრეგნანტურულია ინდივიდის სულიერ სამყაროში. განწყობის ფსიქოლოგიის თანახმად, ყოველი ასეთი პროცესის უშუალო მიზეზი და საფუძველია განწყობა – სუბიექტის მთლიანობითი ფსიქოფიზიკური მოდიფიკაცია მის განსახორციელებლად. მოთხოვნის სუბიექტიც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა მოცემული მოთხოვნის განცდისთვის შეცვლილი (განწყობილი) სუბიექტი. საჭიროა აქვე ისიც დავაზუსტოთ, რომ ტერმინში „სუბიექტი“ გვულისხმობთ ყოველგვარი დონის (თეორიული თუ პრაქტიკული, იმპულსური თუ ნებელობითი და სხვ.) ქცევისა თუ მოქმედების ავტორს და არა მხოლოდ ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევის ორგანიზატორს, რადგან ქცევის დონეების დიფერენცირებულად განხილვის საჭიროება ჩვენს კვლევაში არ დგება.

განწყობის თეორიის თანახმად, განწყობა, თავის მხრივ, მოთხოვნისა და სიტუაციის ფაქტორთა ნიადაგზე იქმნება. მაგრამ ეს ფაქტორები არა რაღაც იმანენტური მოცემულობაა, არამედ სუბიექტის აქტივობის პროცესი, გარემოსადმი მისი აქტიური მიმართვის ფორმაა, რასაც თავისი განწყობა ესაჭიროება. განწყობის გარე ფაქტორთან მიმართებაში ეს პრობლემა თავად **დომიტრი უზნაძემ** დააყენა [6:274-278]: განწყობის შესაქმნელად საჭიროა სიტუაციის აღქმა, მაგრამ აღქმას, თავის მხრივ, სათანადო განწყობა უნდა ედოს საფუძველად. დგება საკითხი სიტუაციის განწყობამდელი აღქმის შესაძლებლობისა და რაობის შესახებ.

თუ მოთხოვნის იმ დახასიათებას შევიწყნარებთ, რომლის მიხედვითაც მასაც ფსიქოლოგიური შინაარსი აქვს (მოცემულია განცდის სახით) და სუბიექტის აქტივობის თავისებური ფორმაა, გასარკვევი ხდება მის საფუძვლადმდებარე განწყობის საკითხიც: განწყობა იქმნება მოთხოვნის ნიადაგზე, მაგრამ მოთხოვნის განცდას, თავის მხრივ, სათანადო განწყობა უნდა ედოს საფუძველად. გასარკვევია, როგორ იქმნება და როგორია თვითონ მოთხოვნის პროცესის საფუძვლადმდებარე განწყობა. ვაზუსტებთ: ეს საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის ფსიქიკურ პროცესთა რიგში განიხილება. თუ მოთხოვნის მხოლოდ წინ უსწრებს განწყობას, როგორც მისი ფაქტორი და თვითონ საკუთარ განწყობას არ საჭიროებს, მაშინ იგი არაფსიქიკურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. ამიტომაც, რომ განწყობის ფსიქოლოგიის წარმომადგენლები განწყობას ხშირად არაფსიქიკური ფაქტორების (მოთხოვნის-სიტუაციის) გავლენით ფორმირებულ მდგომარეობად ახასიათებენ, თუმცა, როდესაც ამ ფაქტორებზე სხვა კონტექსტში უხდებათ საუბარი, სრულიად არ გაურბიან მათ ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

ამ საქმეში არც თვითონ განწყობის თეორიის ავტორია სავსებით თანმიმდევრული. ეს, ვფიქრობთ, იმის ბრალი უნდა იყოს, რომ მან მოთხოვნის ბუნების დეტალური ანალიზი არ განახორციელა და პირდაპირ მიიღო მოთხოვნის ის დაუზუსტებელი ცნება, რომელიც იმ

ხანის ფსიქოლოგიურ აზროვნებაში იყო დამკვიდრებული. ეს ხანა კი, როგორც ცნობილია, გამსჭვალული იყო ბიპევიორისტული სულისკვეთებით, რომელიც მოთხოვნილებას ერთმნიშვნელოვნად არაფსიქიკურ მოვლენად, მხოლოდ ორგანიზმში შექმნილ ობიექტურ მდგომარეობად (საჭიროებად) მიიჩნევდა და ძირითადად ჰომეოსტაზის დარღვევას უკავშირებდა. განწყობის თეორიის ავტორიც მოთხოვნილების ცნებას უმეტესწილად ასეთი, როგორც თვითონ ამბობს, „ფართო მნიშვნელობით“ [6:54], ხმარობს. ამიტომაც, რომ მოთხოვნილების სუბიექტის (მოთხოვნილების პროცესის საფუძვლადმდებარე განწყობის) საკითხი მისი მეცნიერული პრობლემატიკის თვალსაწიერში არ ექცევა.

მოთხოვნილება არის განწყობის „სუბიექტური“ ფაქტორი. ეს მოკლე თეზისი, რომელიც სულ ხუთი სიტყვით გამოითქმის, **დ.უზნაძის** მიერ შექმნილი თეორიული კონსტრუქციის ქვაკუთხედი. ვფიქრობთ, განწყობის ფსიქოლოგიაში სათანადო ყურადღება არ დასთმობია საკითხს, თუ რა შინაარსს დებს **უზნაძე** ტერმინში „სუბიექტური ფაქტორი“. სიტყვა „სუბიექტური“, თუ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს მკაცრად დავიცავთ, მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის მატარებელი შეიძლება იყოს. მოვლენა, რომელიც იწოდება „სუბიექტურად“, ლოგიკურადაც ვეღარ ჩაითვლება არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიკური (ფიზიოლოგიურის მნიშვნელობით) ბუნების მქონე მოცემულობად. სუბიექტურ პროცესს თავისი სუბიექტი უნდა ჰყავდეს. ამდენად, განწყობის სუბიექტურ ფაქტორად მოთხოვნილების გამოცხადება ლოგიკურად აყენებს საკითხს მისი სუბიექტის შესახებ.

დასმული საკითხის კანონიერებას ისიც ადასტურებს, რომ განწყობის თეორიაში, როგორც ითქვამს, მოთხოვნილების ცნება ხშირად იხმარება თითქმის მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსით, როგორც თეორიის ავტორის, ისე მისი მიმდევრების ნაშრომებში. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს **დ.უზნაძის** მოძღვრება ზოგად, თითქოს „განყენებულ“ მოთხოვნილებათა შესახებ, რომლებიც, ავტორის თანახმად, ადამიანის ნებელობითი ქცევის მოტივის ძირითადი დეტერმინანტებია [5:211]. განყენება ინტელექტუალური პროცესია და რანაირად შეიძლება განყენებული მოთხოვნილება (თუკი ასეთის არსებობის შესაძლებლობას ვუშვებთ) არაფსიქიკურ მოვლენად იქნეს მიჩნეული? ვფიქრობთ, სწორედ ამ უხრეხელობის გამო დასჭირდა ავტორს სიტყვა „განყენებულის“ ბრჭყალებში ჩასმა და წინ სიტყვის „თითქოს“ დამატება.

ავტორი იქვე საუბრობს მაღალ მოთხოვნილებათა მნიშვნელობაზე ადამიანის ნებელობითი ქცევის ენერგეტიკული უზრუნველყოფის საქმეში. ასეთი მოთხოვნილებები (პიროვნების ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური მოთხოვნილებები), ცხადია, ვერანაირად ვერ მოთავსდება ფსიქიკის საზღვრებს მიღმა. მათ რომ მაინც თავანთი სუბიექტური საფუძველი ესაჭიროებათ (თუნდაც ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მიმართ ასეთი საჭიროების აუცილებლობლობა გამოვრიცხოთ), ამას ავტორიც კარგად ხედავს და ასეთ საფუძვლად პიროვნების ცხოვრების განმავლობაში ფიქსირებულ განწყობებს მიიჩნევს. მისი აზრით, „ადამიანის პიროვნებას, სხვათა შორის, განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან: ისინი არიან მიზეზი, რომ ზოგისთვის მოთხოვნილებათა ერთი სისტემა ენერგიის მთავარი წყარო და ზოგისთვის მეორე“ [5:213]. ამის მიუხედავად, მოთხოვნილების სუბიექტის პრობლემა **დ.უზნაძის** ნაშრომებში საგანგებოდ არსად დაყენებული და განხილული არაა.

დ.უზნაძის კვალდაკვალ, მოთხოვნილების საფუძვლადმდებარე განწყობის პრობლემა შეუმჩნეველი დარჩათ განწყობის თეორიის პოზიციებზე მდგომ სხვა მკვლევარებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი მოთხოვნილების დახასიათების დროს ძირითადად მისი ფენო-მენოლოგიიდან ამოდის და მას ფსიქიკურ განცდათა რიგში ათავსებს. მაგალითად, **ვიტალი კაკაბაძე**, რომელიც მოთხოვნილებას საგანგებოდ განასხვავებს ორგანიზმის საჭიროებისაგან და არგუმენტირებულად ემხრობა იმ მკვლევარებს, რომლებიც მოთხოვნილებად მხოლოდ განცდაში ასახულ საჭიროებას (საჭიროების განცდას) მიიჩნევენ [2:13-21]. ის გვერდს უვლის საკითხს ამ ასახვისათვის საჭირო განწყობის შესახებ. ახასიათებს რა მოთხოვნილების მიმართებას განწყობასთან, ის უპირისპირდება მკვლევარებს, რომლებიც ცდილობენ მოთხოვნილების განწყობის ფორმით არსებობა დაასაბუთონ. მისი აზრით, მოთხოვნილება მხოლოდ კერძოული ფსიქიკური პრო-

ცესია, განსხვავებით განწყობისაგან, რომელიც მთლიანპიროვნული მდგომარეობაა [2:118]. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ყოველი კერძოული ფსიქიკური პროცესი აღიძვრის და მიმდინარეობს განწყობის საფუძველზე და დებულებიდან, რომ მოთხოვნილება კერძოული ფსიქიკური პროცესია, ლოგიკურად გამომდინარეობს საკითხი მის საფუძველადმდებარე განწყობის შესახებ.

შალვა ჩხარტიშვილის თანახმად, მოთხოვნილების პროცესი სათანადო მიდრეკილების ნიადაგზე აღმოცენდება განსაზღვრულ პირობებში და ინდივიდს ისეთი აქტივობისაკენ უბიძგებს, რომელიც მოცემულ სიტუაციაში მისი დაკმაყოფილების საქმეს მოემსახურება. თვით ეს მიდრეკილება არის „ერთგვარი დისპოზიციური მდგომარეობა“, რომელიც ან თანშობილია, ან აქტივობის შესაბამისი ფორმის ხშირი განმეორების გზით შეიძინება. ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ „მოთხოვნილების მიდრეკილება, თავისთავად, მოქმედების ყოველგვარ ძალას მოკლებულია. შესატყვის პირობებში ქცევის ორგანიზაციის ძალა და შესაძლებლობა მხოლოდ ამ მიდრეკილების ნიადაგზე აღმოცენებულ მოთხოვნილების პროცესს აქვს“ [7:97], მაგრამ უყურადღებოდ ტოვებს საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის თვითონ მიდრეკილება და როგორია ამ დისპოზიციური წარმონაქმნის ნიადაგზე მოთხოვნილების პროცესის აღძვრისა და მიმდინარეობის კონკრეტული მექანიზმი.

რაკი მოთხოვნილების პროცესი შესაბამისი მიდრეკილების ნიადაგზე აღიძვრის, ხოლო ყოველგვარი ფსიქიკური (ან ფსიქოფიზიკური) პროცესის უშუალო მიზეზი განწყობაა, ლოგიკურად ჩნდება აზრი მოთხოვნილების მიდრეკილებისა და მოთხოვნილების პროცესის საფუძველადმდებარე განწყობის იგივეობის შესახებ. სანამ ასეთი მოსაზრების დეტალურ განხილვას შევუდგებით, საჭიროა იმის დაკონკრეტება, თუ რა იგულისხმება მიდრეკილების ნიადაგზე მოთხოვნილების აქტუალური პროცესის აღძვრაში. მოთხოვნილების მიდრეკილება, როგორც ითქვა, დისპოზიციური წარმონაქმნია და „თავისთავად, მოქმედების ყოველგვარ ძალას მოკლებულია“. ამიტომ, იგი, თავისთავად, ვერც მოთხოვნილების პროცესს წარმოქმნის. მის გასააქტიურებლად სრულიად განსაზღვრული პირობებია საჭირო. გამოდის, რომ მიდრეკილება შეიძლება იყოს არა თავად მოთხოვნილების პროცესის საფუძველადმდებარე აქტუალური განწყობა, არამედ ასეთი განწყობის აღმოცენების დისპოზიციური საფუძველი, ანუ ის, რასაც განწყობის ფსიქოლოგიაში ფიქსირებული (დისპოზიციური) განწყობა ეწოდება. ყოველგვარი ფსიქიკური პროცესის, მათ შორის მოთხოვნილების, განხორციელება შეუძლია მხოლოდ აქტუალურ (სიტუაციურ) განწყობას, როგორც სუბიექტის მთლიანობით დინამიკურ მდგომარეობას. ფიქსირებული განწყობა აქტივობას განსაზღვრავს მხოლოდ აქტუალიზაციის შედეგად, როგორც აქტუალური განწყობის ერთერთი ფაქტორი [9].

ჩვენ ვიცავთ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილების მიდრეკილება არსებობს ფიქსირებული (დისპოზიციური) განწყობის ფორმით [3]. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მოთხოვნილების პროცესის აღმოცენებისა და მიმდინარეობის მექანიზმი ასე წარმოგვიდგება: მოთხოვნილების მიდრეკილების სახით შენახული ფიქსირებული განწყობა, გარკვეულ პირობებში, აქტუალიზდება და აჩენს აქტუალურ (სიტუაციურ) განწყობას, რომელიც რეალიზდება მოთხოვნილების კონკრეტულ პროცესში, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, წარმოდგება, როგორც მისი დაკმაყოფილებისთვის საჭირო ქცევის განწყობის სუბიექტური ფაქტორი. **შ.ჩხარტიშვილის** მიერ დამუშავებულ განწყობის სტრუქტურის დინამიკური ცვალებადობის მოდელს [8] თუ გამოვიყენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქცევის სუბიექტი (განწყობა) თავიდან მოცემულია მოთხოვნილების სუბიექტის (მოთხოვნილების განცდის განწყობის) სახით. ამის შემდეგ იცვლება (მოდულირდება) იგი სიტუაციის მოთხოვნების და მასში მიმდინარე ცვლილებათა შესაბამისად და განახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც ამ სიტუაციაში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება გახდება შესაძლებელი.

შეგნილი მოთხოვნილების მიდრეკილება რომ მხოლოდ ფიქსირებული განწყობის ფორმით შეიძლება არსებობდეს, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ცნებებში ნაგულისხმევი მოვლენების აღმოცენების, განმტკიცება-დიფერენციაციის და აქტუალიზაციის პირობები და კანონზომიერებები ერთმანეთის ანალოგიურია:

1) მოთხოვნების მიდრეკილებაც და ფიქსირებული განწყობაც ერთნაირად მეორეული წარმონაქმნებია. ორივე შესაბამისი აქტივობის პროცესში წარმოიქმნება და მით უფრო მტკიცე და გამოკვეთილ ფორმას იღებს, რაც უფრო ხშირად იქნება ეს აქტივობა განმეორებული. მოვიშველიოთ უზნაძესეული მაგალითი. ვისაც ლუდი არასდროს არ დაუღვია, მას შეუძლებელია, წყურვილის ლუდით მოკვლის მოთხოვნილება ჰქონდეს. ასეთმა პირმა ლუდი პირველად შეიძლება დააგემოვნოს ცნობისმოყვარეობის, სხვებისადმი მიბაძვის, წყურვილის მოკვლის სხვა საშუალების არქონის და სხვა (ლუდის დაღვვისადმი პეტეროგენული) მოტივაციის საფუძველზე. მხოლოდ მოგვიანებით, ლუდის დაღვვის აქტის რამდენიმეჯერ განმეორებისა და სიამოვნების მიღების შემდეგ, გაუჩნდება მას ლუდისადმი მიდრეკილება, რაც დროდადრო ლუდზე მოთხოვნების პროცესს დაედება საფუძვლად.

აღვწერთ ეს მოვლენა (ლუდისადმი მიდრეკილების გაჩენა) განწყობის თეორიის ტერმინებით. ლუდის პირველად დასაღვად საჭიროა, რომ სუბიექტმა სათანადოდ განაწყოს საკუთარი თავი. ეს განწყობა, რეალიზაციის შემდეგ, აქტუალობას კარგავს, მაგრამ უკვალოდ არ ქრება. იგი ინახება ინაქტიური, ლატენტური მდგომარეობის სახით და თუ იმავე პირს მეორედაც დასჭირდება ლუდის დაღვვა და ამისთვის საკუთარი თავის განწყობა, ეს შენახული განწყობა გააქტიურდება და ახალი განწყობის შექმნას გააადვილებს. ასეთი აქტის ყოველი განმეორება უზრუნველყოფს მისი განწყობის მყარად ფიქსაციას და დიფერენციაციას. ასე ყალიბდება ლუდის მსმელი სუბიექტი, ანუ პირი, ვისაც წყურვილის ლუდით დაკმაყოფილების მიდრეკილება აქვს. ლუდის დაღვვის მოთხოვნილება, რაც ასეთ პირთან დროდადრო იჩენს ხოლმე თავს, სწორედ ამ მიდრეკილების, ანუ შესაბამისი ფიქსირებული განწყობის აქტივაციის შედეგია.

2) არსებითად ერთმანეთის ანალოგიურია მოთხოვნების მიდრეკილების აქტივაციისა და ფიქსირებული განწყობის აქტივაციის (აქტუალურ სიტუაციურ განწყობაში ჩართვის) პირობებიც: ფიქსირებული განწყობა, როგორც წესი, აქტივირდება იმ სიტუაციაში, რომელიც გარკვეული ნიშნებით ემსგავსება სიტუაციას, სადაც მისი პირველადი აღმოცენება და ფიქსაცია მოხდა. მოთხოვნების ფენომენოლოგიიდან ცნობილია, რომ მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ქცევის გაშლისათვის ხელსაყრელი სიტუაცია უკვე დაკმაყოფილებულ და დროებით მიძინებულ მოთხოვნებასაც აღვიძებს და აქტუალურს ხდის. ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში ანალოგიური მოვლენების სხვადასხვა ტერმინებით აღწერასთან გვაქვს საქმე.

ის ვითარება, რომ მოთხოვნების მიდრეკილების სახით შენახულ ფიქსირებულ განწყობას აღვიძებს იმ სიტუაციის მსგავსი სიტუაცია, რომელშიც მისი ფიქსირება მოხდა, მოითხოვს ისეთ ანალიზს, სადაც მოთხოვნების აღძვრის მეტნაკლებად ყველა ძირითადი პირობა იქნება გათვალისწინებული. საქმე ისაა, რომ მოთხოვნების სიტუაციური გააქტიურების შემთხვევები (არ განვიცდიდი, მაგალითად, შიმშილს, მაგრამ საჭმლის დანახვამ, ან მისმა სურნელმა, მომაშივა) რამდენადმე იშვიათია და გამონაკლისად ითვლება. ჩვეულებრივ, მოთხოვნილება კანონზომიერად იჩენს ხოლმე თავს სიტუაციისაგან სრულიად დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში მოთხოვნების პროცესი ასახავს ორგანიზმში შექმნილ ამ თუ იმ საჭიროებას. მაგრამ საჭიროებაც ობიექტური ვითარებაა და მისი სუბიექტური ასახვაც მხოლოდ განწყობის მეშვეობითაა შეძლებელი.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მსჯელობის მიმართულება იქით იხრება, რომ ფიქსირებული განწყობის სახით შენახული მოთხოვნების მიდრეკილების სპონტანური გააქტიურებაც სიტუაციის გავლენით ხდება. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ორგანიზმის გარეშე არსებული გარემო პირობების, არამედ თვითონ ორგანიზმში შექმნილი ობიექტური პირობების სიტუაციად ფორმირების ფაქტთან. აღვწერთ ეს ვითარება რომელიმე ორგანული მოთხოვნების, ვთქვათ შიმშილის, მაგალითზე. შიმშილის განცდა, ჩვეულებრივ, მაშინ ჩნდება, როდესაც საჭმლის მომწელებელ სისტემას ფუნქციონირებისთვის საჭირო ნივთიერებები (საკვები) შემოაკლდება, ე.ი. შეიქმნება საკვების მიღების საჭიროება. შიმშილის სუბიექტურ განცდაში საკვების მიღების საჭიროების ობიექტური ვითარება აისახება. სწორედ ამ ასახვისთვის არის აუცილებელი შესაბამისი განწყობის აღმოცენება, რადგან საჭიროება მხოლოდ ობიექტური მოვლენაა, მოთხოვნილება კი სუბიექტური და ისინი უშუალოდ ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება. საჭიროება ჯერ განწყობაში უნდა შევიდეს,

რათა შემდეგ ეს განწყობა მოთხოვნილების განცდაში იქნას რეალიზებული.¹ სხვაგვარად, ჯერ სუბიექტი უნდა განეწყოს საჭიროების განსაცდელად, შემდეგ კი ამ განწყობის საფუძველზე აღმოცენდება ამ ობიექტური მდგომარეობის სუბიექტური ასახვის ფორმა, ანუ მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საფუძვლად დაედება მოცემულ სიტუაციაში მისი დაკმაყოფილებისთვის საჭირო ქცევის განწყობას. ამიტომაც, რომ ორგანიზმის ისეთი აქტივობები, რომელთა გზითაც საჭიროება პირდაპირ გვარდება, სუბიექტის (განწყობის) მონაწილეობის გარეშე, ქცევად არ ითვლება და ფსიქოლოგიური კვლევის არეალში არ შემოდის. ასეთია, მაგალითად, ჩვენი ორგანიზმის მიერ უკვე მიღებული საკვების გადამუშავება, მცენარისაგან ნიადაგში არსებული წყლისა და მინერალების შეთვისება და სხვა ამ რიგის (ფიზიოლოგიური) პროცესები.

საჭიროებას, როგორც ობიექტურ მოვლენას, თავისთავად, სუბიექტის მონაწილეობის გარეშე, ქცევის გამოწვევა რომ არ შეუძლია, ამაზე ისეთი შემთხვევებიც მეტყველებს, როდესაც საჭიროების ფაქტი სახეზეა, მაგრამ მოთხოვნილების ფსიქიკური პროცესი არ აღიძვრის და არც ქცევა ორგანიზდება. მაგალითად, გარკვეულ პირობებში (ავადმყოფობის, ძლიერი ემოციების, აკლიმატიზაციის სირთულეების და სხვ.) ადამიანს შეიძლება მაღა დაეკარგოს. ამ შემთხვევაში საკვები მან შეიძლება თვითიძულების გზით მიიღოს (რაც სრულიად სპეციფიკური ადამიანური დონის ქცევაა) და არა შიმშილის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ნორმალურ პირობებში, როგორც ითქვა, საჭიროება მოთხოვნილების განცდაში აისახება განწყობის გზით.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ საჭიროება და სიტუაცია ერთნაირი კანონზომიერებით ცვლიან სუბიექტს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სიტუაციის კონკრეტული მახასიათებლები ექსტროცეფციის გზით შედის განწყობაში, საჭიროების რაობა და ინტენსივობა კი – ინტროცეფციის გზით. როგორ ხორციელდება ეს პროცესი (განწყობის შესაქმნელად საჭიროა სიტუაციის აღქმა, რასაც, თავის მხრივ, განწყობა ესაჭიროება), როგორც ითქვა, განწყობის ფსიქოლოგიის ერთერთი პრობლემური საკითხია. რაკი საჭიროების განწყობაში შესვლა იმავე ბუნების მოვლენაა, როგორიც სიტუაციის შესვლა, ცხადია, ორივე ერთი და იმავე მექანიზმის მოქმედებით უნდა აიხსნას. თუ გავიზიარებთ **დ.უზნაძის** მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღქმაში სიტუაციის ასახვისთვის საჭირო განწყობას საფუძვლად უდევს ამ სიტუაციის „შეგრძნება“, როგორც აღქმის უდაბლესი საფეხური, მაშინ საჭიროების შესახებაც უნდა ითქვას, რომ მოთხოვნილებაში მისი ასახვისთვის საჭირო განწყობასაც საფუძვლად მისი „შეგრძნება“ უდევს. თუ დავეთანხმებით განწყობის საფუძვლადმდებარე აღქმის პრობლემის **შ. ჩხატიშვილის** უფადაჭრას, რომლის მიხედვითაც, განწყობა (სუბიექტი) თავად მიმართავს შემეცნებით აქტივობას (კერძოდ, აღქმას), სიტუაციის უკეთ ასახვისათვის [8], მაშინ საჭიროების ობიექტური ფაქტის მოთხოვნილების სუბიექტურ პროცესში ასახვის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ამ საქმესაც თავად სუბიექტი აგვარებს: იგი ისევე არკვევს საკუთარ საჭიროებებს, როგორც გარემოს კონკრეტულ მახასიათებლებს, რათა მათ შესატყვისად შეიცვალოს და მომზადდეს მოქმედებებისთვის პრაქტიკული.

იმის მიუხედავად, თუ რომელ მოდელს გავიზიარებთ და გამოვიყენებთ მოთხოვნილების განცდის საფუძვლადმდებარე განწყობის აღმოცენების პროცესის დახასიათებისთვის, ორივე შემთხვევაში დგება ახალი პრობლემა: რა აიძულებს სულიერ არსებას, განიცადოს საკუთარი საჭიროებები. საქმე იმაშია, რომ საჭიროება, როგორც ვიცით, შეიძლება ფსიქიკაში ასახვის გარეშეც მოიხსნას, როგორც ეს ხდება არასულიერ ცოცხალ ორგანიზმებში. რამდენადაც სულიერი სიცოცხლის არსს თვითაქტივობის უნარი შეადგენს, ამდენად ფსიქიკური განვითარების სათავე, როგორც **შ. ჩხატიშვილს**, ჩვენი აზრით, მართებულად აქვს დასაბუთებული, ზოგადად აქტივობის მოთხოვნილება უნდა იყოს [7:33]. ამაზე დაყრდნობით, **ზურაბ გახანია** აყალიბებს მოსაზრებას, რომ

1 საჭიროების მოთხოვნილებაში ასახვასთან დაკავშირებულ თეორიულ პრობლემას **რ. საყვარელიძე** ასე აყალიბებს: „თუ დაუშვებთ, რომ ფსიქიკისაგან დამოუკიდებელი ბიოლოგიური სისტემის ჰომეოსტაზის დარღვევით გამოწვეული საჭიროება („ნიღ“-ი) უშუალოდ წარმოქმნის სუბიექტის წარმართველ მოთხოვნილებას („დრაივ“-ს), ფსიქოფიზიკური პარალელიზმის ნაღმს წავაწყდებით, რადგან ფიზიკური სხეული და ფსიქიკა სხვადასხვა ბუნებისანი არიან. ჰომეოსტაზის დარღვევა ჯერ უნდა აისახოს შესაბამის რეცეფტორულ სისტემაში, მერე გამოიწვიოს შესაბამისი აგზნება ტვინში და შემდეგ ჩნდება ის ფსიქიკური ფენომენი, რასაც ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას ვუწოდებთ“ [4:200]. აქვე ავტორი აყალიბებს მოთხოვნილების (ზოგადად განწყობის ფაქტორების) დეტერმინაციის ორიგინალურ ვერსიას, რასაც ამჯერად საგანგებოდ ვერ განვიხილავთ.

ფსიქიკის გაჩენა (ფილოგენეტიურადაც და ონტოგენეტიურადაც) ნიშნავს აქტივობის მუდმივი განწყობის აღმოცენებას. ეს განწყობა ცოცხალი ორგანიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი, რომელიც აქამდე მხოლოდ სიცოცხლის ნიშნის მქონე იყო, გადაიქცა სულიერ (ფსიქიკის მქონე) ცოცხალ ორგანიზმად. ბავშვთან, ავტორის თანახმად, აქტივობის მუდმივი განწყობა ჩნდება ჯერ კიდევ დედის მუცელში და მოქმედებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში [1]. სწორედ ეს მუდმივაქტიური განწყობა უნდა იყოს ის სულიერი ინსტანცია, რომელიც შექმნილ გარემოებათა (საჭიროებათა) მიხედვით მოდიფიცირდება და რეალიზდება ჯერ აქტივობის კონკრეტულ ფორმაზე მოთხოვნილების განცდაში, შემდეგ კი, იღებს რა კონკრეტული სიტუაციის სტრუქტურას, მოცემული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის საჭირო პრაქტიკულ მოქმედებებს ბადებს.

მოთხოვნილების განცდის საფუძვლადმდებარე განწყობის პრობლემის ასეთი გადაჭრა მთელი რიგი საკითხების დაზუსტებას მოითხოვს. ეს ეხება აქტივობის მოთხოვნილების მიმართებას ფუნქციონალურ მოთხოვნილებებთან, რომლებიც, **დ.უზნაძის** თანახმად, ინდივიდის გვარის განვითარების პროცესში ფიქსირებული განწყობებია და მას მემკვიდრეობით ეძლევა [6:63]. გარდა ამისა, თუ განვითარების სათავე მართლაც აქტივობის მოთხოვნილებაა (უფრო ზუსტად, აქტივობის მუდმივი განწყობა, რომლიდანაც აქტივობის კონკრეტულ ფორმებზე მოთხოვნილება იჩენს ხოლმე თავს), მაშინ დგება საკითხი: ხომ არ უქმდება განმასხვავებელი ნიშანი ფუნქციონალურ და სუბსტანციონალურ მოთხოვნილებებს შორის და გადახედვას ხომ არ მოითხოვს ამ ნიშნით მოთხოვნილებათა კლასიფიკაციების (შესაბამისად, ქცევის ფორმათა კლასიფიკაციის) **უზნაძისეული** პრინციპი? ეს და სხვა საკითხები, რომლებმაც ჩვენი პრობლემის კონტექსტში შეიძლება იჩინოს თავი, დამატებით კვლევას და საგანგებო განხილვას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. ზ. ვახანია. განწყობის ცნების განსაზღვრება შ. ჩხარტიშვილის ნააზრევზე დაფუძნებით, კრებული „ფსიქოლოგია“, დ.უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXII, თბ. 2010.
2. ვ. კაკაბაძე. მოთხოვნილების ფსიქოლოგია, თბ., 1988.
3. მ. მალრაძე. მოთხოვნილების მიდრეკილება, როგორც დისპოზიციური განწყობა, კრებ. „თანამედროვე მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, ქუთაისი, 2008.
4. რ. საყვარელიძე. მოქმედების გეგმა და განწყობა, კრებული „ფსიქოლოგია“, დ.უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXII, თბ. 2010.
5. დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998.
6. დ. უზნაძე. შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
7. შ. ჩხარტიშვილი. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.
8. შ. ჩხარტიშვილი. განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975.
9. Чхартишвили Ш.Н. некоторые спорные проблемы психологии установки, Тб., «Мецниереба» 1971.

Merab Magradze

The Problem of the Subject of Need in the Psychology of Set

Resume

According to the theory of set, set is the basis of any kind of mental and psychophysical processes. It is the psychophysical modification of the whole person for the purpose of activity. Since need is a psychic experience (differently from necessity which is reflected in it), the question arises regarding the set underlying this or that specific need. But, on its part, need is a necessary and leading factor for the formation of set. This creates a sort of controversy: Need is a precondition for the formation of set for the individual's activity; on the other hand, experiencing need (just like anything else) requires the existence of the corresponding underlying set. It is well known that need is formed on the basis of disposition. The article attempts to characterize need disposition as a form of fixated set. It also discusses the difficulties related to the given solution of the problem.

ქეთევან მაყაშვილი, ნანა ცხვედაძე

*დოქტორი უზნაძის უსიძოლობის ინსტიტუტი**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.***ეკონისტემის კარადოქსები მარბინალობის რისკის მქონე მოზარდების
სკოლასთან დაკავშირებული შიშსა და უფოთვასი****საკვანძო სიტყვები:**

უსიძოპური ჯანმრთელობა, პრეპერატაბი, ემონია, შიში, სასკოლო შიში და უფოთვა, მონივანია, მარბინალობის რისკი, ეპო სისტემა, მფო ბარემო. ასაპობრივი ბარემო, უსიძოლობის ბანდენია

1. საკითხის დასმის თეორიული წანამდვრები და აქტუალობა

დღეს, სოციალური კატაკლიზმებით აღსავსე პერიოდში, ჭარბი ინფორმაციის, მზარდი ძალადობის, მშობლების უკიდურესი მოუცლელობის, ოჯახური ტრადიციების რღვევის პირობებში მოზარდი თავის ფსიქიკური ჯანმრთელობის¹ უზრუნველყოფა მნიშვნელოვან პრობლემად გვევლინება. აღნიშნული რეალობა პრობლემის კვლევისა და მის დაძლევაზე ორიენტირებული შრომების აქტუალობას განაპირობებს. მრავალი კვლევა, რომელიც მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციფიკური მდგომარეობის ანალიზს და მასთან დაკავშირებული რთული პრობლემების შესწავლას ეთმობა [3][4][5][20][28][34][35], ხაზს უსვამს საკითხის მულტიფაქტორული ბუნებით განპირობებულ სირთულეს და პროცესის წინააღმდეგობრივ ხასიათს. ამ თავისებურებიდან გამომდინარე, პრობლემის დასაძლევად უპირატესობას პრევენციაზე ორიენტირებულ ჩარევით სტრატეგიებს ანიჭებენ. მაგალითად, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოზარდთან ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთერთი ინდიკატორის – ადაპტური ქცევითი მოდელების ჩამოყალიბება უფრო ადვილია, ვიდრე უკვე ფორმირებული არადაპტური ქცევის მოდელების რეკონსტრუქცია ან მათი შეცვლა-ჩანაცვლება.

ფსიქიკური ჯანმრთელობისადმი პრევენციული მიდგომისას იცვლება კვლევის პრიორიტეტებიც. კერძოდ, ფოკუსში ექცევა ფსიქიკური ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე რისკების შეფასებისა და იმ ფსიქიკური ძალების და რესურსების გამოვლენა, რომელთა მიზანმიმართული მართვა შესაძლებელს გახდის არსებული რისკების დაძლევის ან მათ მინიმალიზაციას. პრიორიტეტები, თავის მხრივ, განაპირობებს პრევენციაზე მიმართული კვლევების სისტემურ ხასიათს და იმ თეორიების აქტუალობას, რომლებიც ინდივიდის საკუთარ გარემოსთან ერთობლიობაში განიხილავს. წინამდებარე შრომაში წარმოდგენილი მოზარდის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების კვლევას მეთოდოლოგიურ საფუძველად სწორედ ამ

¹ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცნება, თანამედროვე გაგებით, ფსიქიკური აშლილობის არქონის ეკვივალენტი არ არის. ფსიქიკური ჯანმრთელობა საკუთარი თავის ისეთი საშუალებებით გამოხატვას ნიშნავს, რომელიც თვით ინდივიდს და მის გარშემო მყოფებს კმაყოფილებას ანიჭებს. ფსიქიკური ჯანმრთელობა გადაწყვეტილებების მიღებისა და მათზე პასუხისმგებლობის უნარს უკავშირდება.

ბოლო დროის ადამიანისა და საზოგადოების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პროფესიულ ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად ვხვდებით ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საშუაო ტერმინს „ფსიქოლოგიური კეთილდღეობა“ (Well being). ამ ტერმინში ისეთი ფენომენი მოიაზრება, რომელიც გარემო ან შიდა ფიზიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებისგან ადამიანს, მის ერთიან ემოციურ, ინტელექტუალურ და სულიერ მდგომარეობას გარკვეულ დამოუკიდებლობას ანიჭებს [5][27][28]. ამგვარი დამოუკიდებლობის მაგალითად შეიძლება გამოდგეს თუნდაც ადამიანის მიერ შინაგანი წონასწორობის შენარჩუნება მისთვის მნიშვნელოვან რომელიმე სფეროში განცდილი მარცხის მიუხედავად.

ტიპის ცნებები დაგუდეთ. კერძოდ, ბრონფენბრენერის განვითარების ეკოლოგიური სისტემების კონცეპტი და უზნაძის ასაკობრივი გარემოსა და ფუნქციონის ტენდენციის ცნებები.

ამერიკელი ფსიქოლოგის, ბრონფენბრენერის ეკოლოგიური სისტემების მოდელი სადღეისოდ ადამიანის განვითარების ერთერთ ყველაზე გავლენიან მოდელად არის აღიარებული. ავტორის მიხედვით ადამიანის განვითარება დინამიური, ორი მიმართულებით რეციპროკულად მიმდინარე პროცესია. განვითარებადი ინდივიდი ჩართულია მრავალდონიან იერარქიულ გარემოში, სადაც მასზე ზემოქმედი გავლენები მომდინარეობს არამხოლოდ უშუალოდ მისი გარემომცველი შრიდან (მიკრო და მეზო სისტემები), არამედ შედარებით ფართო ენდო და მაკროგარემოდან (ცხოვრებისეული ღირებულებები და იმ კულტურის კანონები და ტრადიციები, რომელშიც ამ ინდივიდს უხდება განვითარება). ბრონფენბრენერის მიხედვით განვითარების ეკოლოგიური გარემო ოთხი ერთი მეორეში მოთავსებული სისტემისაგან შედგება, რომლებიც გავლენათა მრავალმხრივი უკუკავშირებით არის წარმოდგენილი. ამ გავლენებიდან ავტორი ყველაზე უფრო დიდ როლს მაკროსისტემის ღონეს ანიჭებს, რადგან, მისი აზრით, სწორედ ეს ღონეა აღჭურვილი უნარით გავლენა მოახდინოს ყველა სხვა ღონეზე და, შესაბამისად, გავლენები ქვემდებარე ღონეებიდანაც მიიღოს [17].

თუ ბრონფენბრენერის მოდელში სოციალური გარემოს სტრუქტურაა აქცენტირებული, დ. უზნაძის და მისი სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება მსგავს სტრუქტურირებულ სოციალურ გარემოში მოზარდის განვითარების მექანიზმთა შესწავლასა და ახსნას ეთმობა [8][9][10]. დ. უზნაძის ასაკობრივი გარემოს ცნება ე.წ. „კონციდენციის“ პრინციპზეა დაფუძნებული. უზნაძე მიიჩნევდა, რომ როცა საუბარი აქტივობისა და განვითარების პროცესების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედებას ეხება, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ მათი თავდაპირველი, არსებითი და დაუნაწევრებელი ერთიანობა ე.წ. კონციდენცია: ინდივიდის ყოველგვარი ფსიქიკური ფუნქცია იმთავითვე მოიცავს, გულისხმობს გარემოში არსებულ რაიმე მოვლენას ან გამდიზიანებელს. მაგალითად, მოთხოვნილება მის დამაკმაყოფილებელ საგანს გულისხმობს, შეგრძნების ორგანო სათანადო გამდიზიანებელს და ა.შ. მოზარდის შინაგანი სისტემების (როგორც ფსიქოსოციალური, ისე პიროვნული) ორგანიზაცია გარეგანი პირობების თავისებურებებთან მიმართებაში განიხილება, ხოლო განვითარება ამ კავშირების საფუძველზე მიმდინარე პროცესების რეალიზაციის სახით არის წარმოდგენილი [10]. განვითარების ამ მოდელის მიხედვით ბავშვზე დაბადებიდან ის გამდიზიანებლები იწვევს მოქმედებას, რომლებიც მოცემულ სოციალურ გარემოში მიღებული აღზრდის წესით შეირჩევა. ეს შერჩევა ხანგრძლივი მორგების შედეგად ყალიბდება და სწორედ იმ შინაგანი ძალებისა და ფუნქციების აქტუალიზაციას იწვევს, რომლებიც არსებულ სოციალურ გარემოში აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი. სხვა სიტყვებით, ბავშვს პოტენციური სახით მოცემულ ძალთა და თვისებათა ფართო რეპერტუარიდან, უპირატესად ისინი უვითარდება, რომლებიც საადამიანურ სისტემაში სოციალური გარემოს, ზოგადად კულტურის მიერ შეირჩევა.

განვითარების „გარეგანი და შინაგანი, თანდაყოლილი და შეძენილი“ ფაქტორების ერთიანობის, აგრეთვე, განვითარების პროცესში მათი ურთიერთქმედების თავისებურება, მნიშვნელობა და დინამიკა შ. შხარტიშვილის შრომებშია გაშლილია [8][9]. მისი თქმით, როცა რომელიმე შინაგანი შესაძლებლობა იწვევს განვითარებას, მისგან წარმოიქმნება ფუნქციონის მოთხოვნილება, რომელიც ერთბაშად ვერ ახერხებს ახალი სიტუაციის შესატყვისი ორგანიზაციის მიღებას და ისეთი განწყობა აღმოცენდება, რომელშიც ქცევის სიტუაცია და ქცევის შინაგანი შესაძლებლობანი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. ასეთი განწყობის მიერ ნაწარმოები ქცევის აქტები მიზანს ვერ აღწევს და ფუნქციონის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. ამ

მიზეზის გამო „მოთხოვნილება აქტიობის იმპულსს უშვებს კიდევ და კიდევ და სიტუაციას უფრო გარკვევით ასახავს განწყობაში და ბოლოს, იგი იღებს მოცემული სიტუაციის შესატყვისს სტრუქტურას. შედაგადად, ინდივიდი ამ სიტუაციის ღონემდე ვითარდება და წინააღმდეგობაც იხსნება მასა და გარესინამდვილეს შორის, რის საფუძველზეც შესატყვისი სიტუაციაში სათანადო ქცევის განწყობა იწყებს აღმოცენებას” [8, გვ.47]. ამრიგად, განვითარება ასაკობრივი გარემოს ცნების მიხედვით განწყობათა ისეთი სისტემის ფორმირებას ნიშნავს, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს ადეკვატურად ასახოს და საკუთარი მოთხოვნილებები და საკუთარი ეკოსისტემის მიერ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები თავსებადი გახადოს.

რომ დაუგებრუნდეთ მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხს, განვითარების განხილული მოდელების თვალთახედვით ეკოსისტემასთან ინდივიდის ოპტიმალური თანაარსებობისთვის საჭირო განწყობათა ფორმირებისთვის ყველაზე მაღალ რისკ-ასაკად პუბერტატის პირველი პერიოდი უნდა გამოვეყნოთ ამ ასაკისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებათა სისტემის გართულებისა და სხვა შინაგან ახალწარმონაქმნთა სიჭარბის გამო. ეს ახალწარმონაქმნები კი ძირითადად სამ კატეგორიად შეიძლება დავაჯგუფოთ:

ა) სხეულებრივ-ფიზიოლოგიური (ჰორმონალური) სფეროს რევოლუციური ცვლილებები და შემეცნების სფეროში მიმდინარე გარდაქმნები (აბსტრაქტული აზროვნება), რაც ახალ განცდათა სიჭარბეში ვლინდება.

ბ) პიროვნულ-ღირებულებით ღონეზე გაწეული ინტენსიური მუშაობა. ერიკ ერიქსონის თქმით, აღნიშნული გამოწვეულია ამ ასაკში მიმდინარე ეგო-იდენტურობის ინტეგრაციით. ავტორის თანახმად, გარდამავლობის ასაკში ეგო-იდენტურობის ინტეგრაცია უფრო მეტია ვიდრე ბავშვობის იდენტიფიკაციების ჯამი, შესაბამისად ეს პროცესი ბავშვობის ასაკთან შედარებით მოზარდისგან ობიექტურად მეტ ძალისხმევას ითხოვს [18][19].

გ) მოზარდის გაზრდილ მგრძნობელობას სოციო-კულტურული გავლენის მიმართ. მოზარდის პიროვნების ფორმირებაზე საზოგადოების ინსტიტუტების გავლენის მნიშვნელობას ბევრი კლასიკური კვლევა უსვამს ხაზს. ლ.ს. ვიგოტსკი მაგალითად, მოზარდობის პერიოდს როგორც კულტურულ წარმონაქმნს განიხილავდა. მისი აზრით, მოზარდობის ასაკის დინამიკის ხასიათი და ხანგრძლივობა შესამჩნევად ცვალებადობს საზოგადოების განვითარების დონის მიხედვით [4].

ამრიგად, გამოდის, რომ როგორ მოერგება ადამიანი ასაკობრივად სპეციფიურ ფსიქო-ფიზიოლოგიურ ახალწარმონაქმნებს (შინაგან შესაძლებლობებს), როგორ ჩამოაყალიბებს საკუთარ იდენტობას და უზრუნველყოფს საკუთარ ფსიქიკურ ჯანმრთელობას განხილულ ასაკობრივ პერიოდში, არსებითად, სწორედ მისი ეკოლოგიური სივრცის მაკრო დონის – სოციო-კულტურული ვითარებითა და საზოგადოებრივი შეხედულებებით არის განსაზღვრული.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ ფართო სოციო-კულტურული კონტექსტში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების შეფასება საქართველოში მცხოვრები მოზარდების სპეციფიკური ჯგუფებისთვის, კერძოდ, მარგინალობის რისკის მქონე და ამ რისკის არმქონე მოზარდებში.

კვლევის არჩეულ ფოკუსთან დაკავშირებით ეკოსისტემის, კერძოდ, მისი მაკრო შრის პერსპექტივით გააზრებული ქართული სინამდვილიდან გამოყვავით **ეთნიკური ნიშნით განსხვავებულობა (ეთნიკური უმცირესობა) და ლტოლვილობის აქტუალური სოციალური სტატუსი**. ამ ფაქტორების მარგინალობის რისკად შეფასება ქართული სინამდვილის სიტუაციური ანალიზის გარდა, ეფუძნება ამ ჯგუფების საყოველთაოდ ცნობილ სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების სპეციფიურობას [5];[7];[21][29][32][35].

პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ადამიანს ინდივიდუალობის განცდა აქვს. სხვა სიტყვებით, გრძნობა იმისა, რომ საკუთარი იდენტობა მას სხვა ადამიანებისგან განასხვავებს. ქულის (1864–1929) სარკული „მე“-ს იდეის თანახმად, ინდივიდუალობის განცდას საკუთარი თავის სხვების მეშვეობით დანახვა ქმნის. ამ დროს ადამიანი აცნობიერებს, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ და როგორ ექცევიან, რას ფიქრობენ მასზე სხვები. ამგვარად, გარშემომყოფები ასრულებენ ერთგვარი სარკის დანიშნულებას ჩვენს მიერ საკუთარი თავის შეფასებაში. ამ თვალსაზრისით მარგინალიზაციის ორივე რისკგუგუს – ეთნიკურ უმცირესობებს და იძულებით ადგილნაცვალ პირებს ეკოლოგიური სისტემის მაკრო დონეზე განსხვავებულად ნიუანსირებული სპეციფიურობა ახასიათებს.

მრავალეთნიკურობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მსოფლიო გამოცდილების ანალიზის თანახმად, ახალმოსულთა კულტურაში ჩართვა ეტაპობრივი პროცესია. კერძოდ ჩართულობის პირველ ეტაპს ახასიათებს ბრძოლა არსებობისთვის, ხოლო შემდგომ ეტაპზე ეს პროცესი იღებს უკეთესი საცხოვრებელი პირობებისთვის, რესპექტაბელურობისთვის ბრძოლის სახეს. სწორედ ამ ეტაპზე ყველაზე უფრო ტიპური ხდება ე.წ. მარგინალური ეთნიკური იდენტობა. ამ დროს ადამიანი ორ კულტურას შორის იმყოფება – სრულად ვერ ითვისებს ვერც ერთის და ვერც მეორის ნორმებსა და ფასეულობებს. ასეთი მარგინალები განიცდიან შიდაპიროვნულ კონფლიქტებს, თვითშეფასებასა და სხვათა შეფასებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც მათში გარიყულობის, იზოლირებულობისა და მსხვერპლად ყოფნის განცდას იწვევს. შედეგად ისინი ხშირად აგრესიულად განეწყობიან საკუთარი და/ან სხვისი ჯგუფის მიმართ [21][29][32].

რისკის მეორე ჯგუფი დევნილობი, პირველისგან განსხვავებით, საქართველოს უახლეს წარსულში გაჩნდა. დევნილობის პრობლემისადმი მიძღვნილი კვლევებიდან [7][14][35] ცნობილია, რომ დევნილი მოსახლეობისთვის გადატანილი ომის ტრავმის, სტრესული გამოცდილების და ემოციურ, კოგნიტურ და ქცევით-მოტივაციურ სფეროზე მისი გრძელვადიან ეფექტებთან ერთად („ნარჩენი“ ფაქტორები) მეტად მტკივნეულია დევნილობის სტატუსი და ამ სტატუსიდან გამომდინარე ახალი („აქტუალური“) სტრესორები. „ნარჩენი“ და „აქტუალური“ სტრესორების ურთიერთქმედება დევნილებში ქმნის სპეციფიკურ ემოციურ კლიმატს. „ომი, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოების რეალური მუქარა → მწვავე, სპეციფიკური ემოციური განცდები (შიში) → მოსალოდნელი და მოულოდნელი საფრთხის შიში, სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვით აქტივირებული უსუსურობისა და უმწეობის განცდები (სტრესი) → პოსტტრავმული შფოთვა, + დევნილობის აქტუალურ სტატუსთან ასოცირებული მატერიალური, სოციალური პრობლემები (აქტუალური სტრესორები) ბუნდოვანი მომავლის მტანჯველი განცდები (აქტუალურ სტრესორებთან არაეფექტურად გამკლავების შემთხვევებში) → მე-ს იდენტობების რღვევით გამოწვეული ფსიქოლოგიური კრიზისი, მარგინალიზაცია → დეპრესია, ფსიქო-სომატური დარღვევები, მე-ს დევალვაცია/გაუფასურება → დევნილთა ფსიქიკური სტატუსის ფორმირება“[14]. რაც გავრცელებული აღწერის მიხედვით, აგრეთვე „ხასიათდება ...სხვებისგან განსხვავებულობის განცდის, იზოლირებულობის, გარიყულობისა და მსხვერპლობის ანუ ვიქტიმურობის განცდით“ და დევნილებში „... აყალიბებს ე.წ. „მტრის ხატს“, ომში დამარცხებულობის სინდრომს, უჩენს დიდი ქაღალჩის სტრესს“[7].

ამ ორი ჯგუფის პიროვნულ-ფსიქოლოგიური სტატუსის არასასურველი მიმართულებით განვითარების ზემოთაღწერილი შესაძლებლობა აჩვენებს, რომ იძულებით ადგილნაცვალ პირთა და ეთნიკური უმცირესობების პრობლემათა განსხვავებული წარმომშობი მიზეზების მიუხედავად, ეს

ორი ჯგუფი ნიშანდობლივ მსგავს მახასიათებელს ავლენს. კერძოდ, ეს მსგავსება პრობლემათა მეზო სისტემიდან წარმომავლობაა, რომლის კვალი ადამიანის ეკო სისტემის ქვედა, მიკრო შრემდე აღწევს და, სავარაუდოდ, ყველაზე თვალსაჩინოდ მეზო სისტემაში (მიკრო სისტემათა დამაკავშირებელ შრეში) უნდა გამოვლინდეს, ანუ იმ სივრცეში, სადაც ფუნქციონის ტენდენციათა ადეკვატურ განწყობებად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს.

წინა პუბერტული პერიოდის მოზარდის ეკო სისტემაში ინსტიტუციონალიზებული მეზოსისტემა არის სკოლა. ტრადიციულად, სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მიზნით საზოგადოებრივი რესურსებისა და ძალების კონსოლიდაცია ხდება. აღნიშნული მიზანი მოსწავლის პიროვნების განვითარებასა და პოზიტიური იდენტობის ფორმირებაზე ზრუნვას აუცილებლად გულისხმობს. საგანმანათლებლო მიზნების ეს ფოკუსი მეტად კომპლექსურია და ამდენად, მასზე პასუხისმგებლობის აღება დიდი გამოწვევაა როგორც პედაგოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით, ისე საზოგადოდ, სასკოლო კულტურისთვის. ფაქტობრივად, სკოლა როგორც მეზო სისტემა კრიბავს ოჯახის მიკრო და სახელმწიფო მოწყობის მაკრო სისტემიდან მომდინარე სტიმულებს და სწავლა-სწავლების, მოსწავლისთვის დაძაბულ, მიღწევაზე ორიენტირებულ სიტუაციაში მათ ფოკუსირებას ახდენს. სკოლის სისტემისა და მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, საგანმანათლებლო ზემოქმედება განხორციელებული გავლენის იგივე არ არის. ამიტომ დისკურსი, რომელიც მოსწავლეს ექმნება სასკოლო გარემოსა და მასში მიმდინარე პროცესების თუ მასთან დაკავშირებულ პირთა მიმართ ყველაზე სენსიტიური და ამაღროულად ვალიდური მაჩვენებელია მოზარდის მთლიანი ეკოსისტემის პრობლემებისა თუ მიღწევების შესაფასებლად.

ნათქვამიდან გამომდინარე, მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების შეფასებისა და პროგნოზის ერთერთ შესაძლებლობად ან ხერხად მივიჩნევთ მაკროგარემოს გავლენაში მოქცეული სასკოლო მეზოსისტემის დისკურსის ანალიზს. იმ კონკრეტული განწყობების/ატიტუდებისა თუ აფექტურ-კოგნიტურ სტრუქტურებში ასახულსა და განიშნებულ სკოლის ვითარებას, რომელსაც ექსპერიმენტატორისა და მოსწავლის პროექციული დისკურსი გამოავლენს.

ემოცია არაერთ თეორიულ მიმდინარეობაში განიხილება, როგორც გარემოს აქტივატორთა სუბიექტური მნიშვნელობების ცნობიერებაში ასახვის შედეგი ან პირველი რეაქცია. მაგალითად, უზნაძის მიერ ემოცია განმარტებულია, როგორც „პირველადი განწყობის ასახვა ცნობიერებაში“ და, წარმოადგენს „სუბიექტური მდგომარეობის (ისეთ) განცდას, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს; მე მეშინია რისიმე, გაჯავრებული ვარ უთუოდ რაიმეზე, მიყვარს ან მძულს უსათუოდ ვინმე და სხვა“ [11;12]. (აგრეთვე, Izard, Leeper, Mowrer, Rapaport, Sehachter, Tomkins.). ამიტომ კვლევის **საგნად მარგინალობის რისკის მქონე და ამ რისკის არმქონე მოზარდთა ემოციებში ასახული მნიშვნელობების მსგავსება-განსხვავებების დადგენა და გამოვლენა ვაქციეთ**. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ბაზისური პირობა ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების განცდაა, სხვადასხვა ემოციურ-მოტივაციური მდგომარეობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შიშის საბაზო ემოციას და შფოთვის კომპლექსს, როგორც რეალურ (ან მოსალოდნელ) საფრთხეზე პასუხისმგებელ რეაქციას ან სიგნალს მივანიჭეთ.

შიშის პირველადი ფუნქცია მოტივაციაა, სპეციფიკური კოგნიტური და ქცევითი აქტების, უსაფრთხოების განმტკიცებისა და დარწმუნებულობის განცდის უზრუნველსაყოფლად [22][24][25][30][31]. შიში ცნობიერებაზე მოქმედებს და იწვევს ე.წ. „გვირაბის“ ეფექტს, რაც, თავის მხრივ, არსებითად ავიწროვებს ქცევითი სტრატეგიების არჩევანს, ამ ეფექტის მიუხედავად, თუ იგი

ძალზე ინტენსიური არ არის, ის მაინც ადაპტურ ფუნქციას ასრულებს – ზომიერი შიშის შემთხვევაში იგივე „გვირაბის“ ეფექტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარემოს განუსაზღვრელობის შემცირებაზე მიმართული რეაქცია, რომელიც ინდივიდს აიძულებს, შესაძლო საფრთხეთა ასარიდებელი სტრატეგიების ძიებაზე კონცენტრირდეს. ხოლო შიშის ან შფოთვის პროსპექტიული მომართულობა, მომავლის წინასწარტკერება შესაძლებელია იქცეს „მე“-ს გაძლიერების იმპულსად – მომართოს ადამიანი თვითსრულყოფისაკენ საკუთარი უმწეობის განცდის შემცირების მიზნით [22:324].

აღნიშნულის გარდა ბევრ თეორიულ სისტემაში სოციალური რეგულატორები (სუპერეგოს ფენომენები) გაგებულია როგორც სხვა ემოციებთან შიშის კომბინაციები, ხოლო შფოთვის კომპლექსი შიშისა და მოლოდინის ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ ადამიანში შიშის აღმძვრელი სიტუაციების ანალიზისა და ამ სიტუაციების მიმართ ადამიანის მიერ გამოვლენილი მოლოდინები ერთი მხრივ შფოთვის დინამიკის, მეორე მხრივ პიროვნული მახასიათებლების შეცნობის შესაძლებლობას იძლევა [33].

ამასთან დადავშირებით, კვლევის მიზანი შეიძლება შემდეგი ამოცანების სახით წარმოვადგინოთ: ა) ემოციის სიგნიფიკაციური ფუნქციიდან გამომდინარე – გავარკვიოთ მარგინალიზაციის რისკის მქონე და ამ რისკის არმქონე მოზარდების მეზოგარემოში არსებული შიშის აღმძვრელი სიტუაციები და ამ სიტუაციების მიმართ მათი მოლოდინები, ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების მოძიება/შეფასების მიზნით; ბ) ემოციის მარგინალიზებული და მამოტივირებული ფუნქციიდან გამომდინარე – გავარკვიოთ მარგინალიზაციის რისკის მქონე და არმქონე მოზარდების შიშებსა და შფოთვაში ასახული შიშის აქტივატორებისა და მათი მნიშვნელობების მსგავსება-განსხვავება სასურველი ფსიქოლოგიური კლიმატის ფორმირებისთვის საჭირო ადაპტური რესურსებისა და ძალების გამოვლენა/მართვის მიზნით.

2. ცდისპირები, კვლევის მეთოდი და პროცედურა

კვლევა ჩატარდა 9-13 წლის 135 ცდისპირზე თბილისის ქართულ და რუსულენოვან სკოლებში და სკოლებში, სადაც დევნილი ბავშვები სწავლობენ. მიზნის შესაბამისად, **საკვლევ ჯგუფებად** შეირჩა მარგინალიზაციის რისკის მქონე ა) საქართველოში, კერძოდ თბილისში მცხოვრები მოზარდები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს განეკუთვნებიან ბ) 2008 წლის აგვისტოს კომფლიქტის შემდეგ სამხრეთ ოსეთიდან იძულებით ადგილნაცვალი მოზარდები. **საკონტროლო ჯგუფად** (მარგინალიზაციის დაბალი რისკი) – გ) ძირითად საკვლევ ჯგუფში მონაწილე მოზარდების თანატოლი, თბილისში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოზარდები საშუალო ფენის სრული ოჯახებიდან.

კვლევისთვის ვალიდურ მეთოდად მივიჩნიეთ გერმანელი მკვლევარის ერიკ ჰუსლინის ბავშვთა და მოზარდთა სასკოლო შიშის ტესტი – SAT (Der Schulangst-Test (SAT)) [36] და ის შედეგები, რომელიც ჩვენ მიერ იქნა მიღებული ზოგადად ამ ტესტისა და მისი ინსტრუმენტის – სასკოლო სიტუაციების აღმწერი ათი ბარათის ადაპტაციისას ქართულ პოპულაციაში (იხ.[15]).

SAT თემატური აპერცეპციული ტექნიკის ნაირსახეობაა. იგი მოხრობელსა და მსმნელის დისკურსში ავლენს მოსწავლის შიშს, როგორც ერთერთი ფუნდამენტური „მამოტივირებული შუალედური პროცესის“ ან ცვლადის შემდეგ ასპექტებს: ა) მოსწავლის შიშის ფენომენოლოგიას - შიშის სუბიექტურ განცდისეულ კომპონენტს; ბ) შიშის და შფოთვის სომატურ და ფიზიოლოგიურ კომპონენტს; გ) მოსწავლის შიშის როგორც ბუნებრივ, ისე სუბიექტურ აქტივატორებს; დ) შფოთვის და შიშის კაუზალურ მიმართებებს კოგნიტურ და მოტივაციურ-ქცევით მიდრეკილებებთან; ე)

წარმატების მომთხოვნ სიტუაციებზე მოსწავლის რეაგირების დომინანტურ ტენდენციებს და ქცევით სტრატეგიებს.

SAT- ის შემთხვევაში ინდივიდი-გარემოს მრავალმხრივი ურთიერთობა შემოფარგლულია მოსწავლე-სკოლის მიმართებით, ხოლო მოსწავლის შიშები, როგორც მისი ფუნდამენტური მოტივაციური მდგომარეობა, ამ ურთიერთობათა პროცესში შეისწავლება, ეს ქმნის ოპტიმალურ პირობას წინამდებარე კვლევის ძირითადი ორი ჯგუფის შესადარებლად საკონტროლო ჯგუფთან ადაპტაცია-დეზაპტაციის თავისებურებათა თვალსაზრისით. გარდა ამისა, მეთოდი კვლევის ამოცანისთვის სანდოობის პირობებს ქმნის რადგან, ის მოზარდის ცხოვრების მიმდინარე ეტაპისთვის დამახასიათებელი ქცევის წამყვან ფორმასთან (სწავლა) და მის შესატყვის ასაკობრივ გარემოსთან (სკოლა) დაკავშირებით არის მიზანშეწონილი. სკოლა მოზარდის წამყვანი ქცევის – სწავლა – სწავლების რეალიზაციის გარემოა. ამ თვალსაზრისით ჩვენი სამივე ჯგუფი ჰომოგენურად შეძლება მივიჩნიოთ.

კვლევის მეთოდი ოპტიმალურ პირობებს ქმნის კვლევის მეთოდოლოგიისთვისაც, რადგან SAT ის მეთოდია, რომელშიც სისტემატიზებული და ინტეგრირებულია როგორც შიშის კონსტრუქტის შესახებ ფსიქოლოგიაში არსებული დომინანტური თეორიული ხედვები და ორიენტირები, ისე შიშის კვლევის განსხვავებული ტექნიკები. შიშის სპეციფიკური ემოციური მდგომარეობისადმი SAT-ის ასეთი სისტემური მიდგომით შესაძლებელია, ერთდროულად შეისწავლებოდეს მისი გამოვლინების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრი ასპექტით [15]. ამით მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც ტრადიციული TAT მეთოდიკებისგან ისე შიშის კვლევის რაოდენობრივი ტექნიკებისგან (შედარებისთვის იხ. [26][36]). ეს მკვლევარსაც საშუალებას აძლევს SAT-ით მოპოვებული მასალის განზოგადებისას თავისუფალი იყოს ამა თუ იმ თეორიული დოგმებისგან [15, §4].

მეთოდის მიხედვით, სასწავლო აქტივობასთან დაკავშირებით მოსწავლეში აქტივირებული შიშის ემოციური მდგომარეობა განიხილება, როგორც ხუთ განზომილებად დიფერენცირებული შიშის კონსტრუქტი:

EB – შიშის ფენომენოლოგიური ასპექტი: ეს სკალა ზომავს შიშის ემოციის ლაბილობას და აერთიანებს ისეთ გრძნობად-ემოციურ მდგომარეობებს როგორიც არის: სიძულვილის და ზიზღის გრძნობა; უსაგნო საშინელება (შფოთვა); ღრმად გამჯდარი მოუსვენრობა; შინაგანი მღელვარება (გაღიზიანება); უსიამოვნო დაძაბულობა; აგრეთვე, სხვა ადამიანის ემოციების გამძაფრებული აღქმა.

KZ – შიშის სხეულებრივი ნიშნების ასპექტი: შიშს გარკვეული სხეულებრივი გამოვლინებები ახასიათებს: გახშირებული გულის მუშაობა და პულსის სიხშირე; გულისცემა, კანკალი, სისხლის წნევის მომატება, პულსის აჩქარება; შესამჩნევად მომატებული გარეგნული დაძაბულობა; მუსკულატურის კრუნხვა და მოღუნება, კანის მადალი “გამტარუნარიანობა”: კანის ახორკვლა, დაბურბგვლა, გაფერმკრთალება და გაწითლება; საჭმლის მომნელებელი და გამოყოფი სისტემების მოშლილობა: გულისრევა, პირღებინება, უმადობა, კუჭისა და სხეულის ტკივილი, მოშლილი შარდვა და დეფეკაცია.

IA – „მე“-ს გაუფასურების (დევალუაცია) ასპექტი. ამ ასპექტში შიში გვევლინება, როგორც არასრულფასოვნების განცდა, „მე“-ს სისუსტე და თვითდაკნინებისა და თვითდადანაშაულებისკენ თვალშისაცემი მიდრეკილება; სისუსტის, უღონობის და მძაფრი არასრულფასოვნებისადმი ტენდენცია; გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი დანაშაულის განცდა; დაურწმუნებლობის, დაბნეულობისა და გაღიზიანებულობის გრძნობა; უნდობლობის და ყოყმანის, არჩევანის გაკეთების უუნარობა და საკუთარი უმწეობის, უსუსურობის გრძნობა.

SA – სოციალური შიშის ასპექტში შიში განიცდება როგორც: სოციალური კონტაქტების დარღვევა ან შეწყვეტა, სოციალური იზოლირებულობა/ მარგინალიზაცია, სხვებისთვის არასასურველობა; განცდა იმისა, რომ რომელიმე ახლობელ პიროვნებას დაშორდება; განცდა იმისა, რომ დაეკარგება უსაფრთხოება, ნდობა და კომპრომენტირდება, განცდა იმისა, რომ ამხელენ.

ZB – სამომავლო მუქარა ან წინასწარგანჭვრეტელი საფრთხის ასპექტი. ამ ასპექტით შიშის განცდა განიხილება როგორც: მომავალში რეალური ან წარმოსახული მუქარები მტკივნეული მოლოდინი, რომლებიც შეიცავს ტკივილს და საშიშროებას.

შიშის განზომილებათა იდენტიფიცირება ტესტში შინაარსთა ანალიზის სპეციალური კოდების დახმარებით ხდება, ხოლო იდენტიფიცირებული კომპონენტების გამოვლინების ხარისხის შესაფასებლად გამოყენება შეიძლება იანი სკალა: 0-დან (არ არის გამოხატული) 6-მდე (უჩვეულოდ ძლიერ გამოხატული).

შიშის ზემოთაღწერილ განზომილებათა გარკვევასთან ერთად SAT-ი არკვევს იმ მიზეზებს ან მიზნებს, რომლებსაც უკავშირდება აქტივირებული შიშის ემოციური მდგომარეობა (ან რომლის ნეიტრალიზაციაზეცაა მიმართული მოსწავლის შიშის რეაქცია). ეს მიზეზები SAT-ში მოსწავლის ინდივიდუალური გარემოს, სკოლისა და ოჯახიდან მომდინარე, ოთხი კატეგორიის სტრესორებად არის დაჯგუფებული:

მასწავლებლის პერსონასთან დაკავშირებული სტრესორები: მასწავლებლის კეთილგანწყობის დაკარგვა; მასწავლებლის მხრიდან ლანძღვა-ძაგება; სასჯელად დაკისრებული სამუშაო; ფიზიკური დასჯა; შენიშვნა ან საყვედური.

გაკვეთილის პროცესთან დაკავშირებული სტრესორები: წარმატებაზე უარის თქმა (ინიციატივაზე უარი); საკონტროლო და ახალი დავალება; ნიშანი/შეფასება; სხვა კლასში გადასვლის შესახებ ბრძანება.

სასწავლო ჯგუფი და მისგან მომდინარე სტრესორები: თანატოლებში აღიარების დაკარგვა; მეგობრების წინაშე გამოაშკარავება და დაცინვა; გარიყვა; მეგობრის დაკარგვა; მეგობრების მხრიდან სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა.

ოჯახიდან (მშობლები დედა და მამა) მომდინარე სტრესორები: მშობლების კეთილგანწყობის ან ნდობის დაკარგვა; ოჯახის წევრების მხრიდან ლანძღვა, ჩხუბი, ძაგება; აკრძალვა; ფიზიკური დასჯა; მშობლების მხრიდან უფლების აყრა.

SAT-ის სატესტო ინსტრუმენტი სასკოლო ცხოვრების 10 სხვადასხვა ეპიზოდის დასურათებული ბარათისგან შედგება, რომლებიც ცდისპირებს გარკვეული თანმიმდევრობით მიეწოდებოდათ. გაცნობისა და გასაუბრების შემდგომ ბავშვებს ევალებათ ბარათს დათვალიერება და თითოეულ ბარათზე დასურათებულ სიუჟეტზე დაყრდნობით მოთხრობის მოეფიქრება და მოყოლა. მოთხრობების ჩანაწერს ცდის ხელმძღვანელი ცდისპირთან შეთანხმებით იწერდა. ამრიგად, ეს მეთოდი აგებულია ცდისპირთა ნარატივებზე, რომლებიც სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ დისკურსებს ასახავს.

მოზარდების შემთხვევაში მიღებულმა მასალამ ჯამში შეადგინა 1350 მოთხრობა. ისინი ტესტის სპეციალური შინაარსთა კოდების მიხედვით თვისებრივად გაანალიზდა და სტატისტიკურად დამუშავდა.

ცდის პროცედურა. ტესტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერიმენტი ტარდებოდა სკოლაში და თითოეულ ცდისპირთან ინდივიდუალურად. კვლევა განხორციელებულია ავტორების მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის მიმართულების

კურსდამთავრებულთა და დოქტორანტ თ. ფანჭულიძის დახმარებით. მოზარდების ექსპერიმენტში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო.

3. მიღებული შედეგების აღწერა და ანალიზი

მოსწავლის ნარატივი ფასდება მასში გამოყენებული ემოციის ამსახველი გამონათქვამების მიხედვით, სადაც მთავარ მახასიათებლად გამოტანილია სკოლისთვის ბუნებრივ ემოციების აქტივატორებზე საპასუხო რეაქციის ტიპი და ინტენსივობა. ინტენსივობის შეფასებისთვის შეიღბალიანი სისტემის გამოყენება მონაცემთა კონტინუუმს სამ ინტერვალად ყოფს: 0-დან 3-მდე ემოციური სუბ-რეაგირება, 3-სა და 4-ს შორის ოპტიმალური ემოციური რეაგირება და 4-დან ზემოთ ჭარბი, ჰიპერ-რეაგირება. ემოციური რეაგირების ამგვარი დაყოფა ეფუძნება ემოციის ცნობილ მოტივაციურ მოდელებს, სადაც შიში და შფოთვა მიღწევის მოტივაციის ერთერთ მნიშვნელოვან მდგენელად განიხილება [15][24][25].

ცხრილი №1-ში ასახულია შიშისა და შფოთვის ჯამური ინტენსივობები შიშის ხუთივე განზომილებისთვის, როგორც საკონტროლო, ისე ძირითად ჯგუფებში.

	ცხრილ №	EB	IA	SB	ZB	KZ
დემონი	33	3.3	3.1	2.8	3.0	2.5
ეთნიკური უმცირესობა	31	3.0	3.0	2.4	3.2	2.5
საკონტროლო ჯგუფი	60	3.2	3.3	2.7	3.3	2.3

ცხრილიდან ჩანს, რომ მონაცემთა უმეტესობა ემოციის ოპტიმალური რეაგირების ინტერვალშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ოპტიმუმიდან გადახრის გარკვეულ ტენდენციების ანალიზი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მონაცემთა საერთო სურათიდან, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას SB (სოციალური შიში) და KZ (შიშის სხეულებრივი ნიშნები) სვეტები იპყრობს. მონაცემების მიხედვით, სამივე ჯგუფის მოზარდები სოციალური შიშებსა (SB) და შიშის სხეულებრივ გამოხატვას (KZ) ნაკლებად ავლენენ. მაგრამ თუ მოტივაციური თეორიების კონტექსტში გავიზარებთ ამ დაბალ, ერთი შეხედვით ოპტიმისტურ შედეგს, მათში პიროვნული განვითარებისა და სოციალური ადაპტაციის რისკფაქტორები შეიძლება დავინახოთ. კერძოდ, სოციალური შიშის ნორმაზე დაბალი მაჩვენებელი (სვეტი SB) სოციალური არაკომპეტენტურობის ერთერთი მახასიათებელია. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრებ მოზარდებში გამოვლენილი სოციალური შიშის დაბალი ინტენსივობა შეიძლება განვიხილოთ სოციალური ქცევის იმპულსურობის რისკის მაჩვენებლად. ამასვე გვიჩვენებს შიშის სხეულებრივი (სომატო-ვეგეტაციური) გამოხატვის მაჩვენებლების აგრეთვე დაბალი ინტენსივობა (იხ. სვეტი KZ). იმპულსურობას უკავშირდება საკვლევი ჯგუფების მოზარდებთან ემოციაზე მოტორული რეაგირების სიჭარბის ტენდენცია.

სამივე ჯგუფში გამოვლენილი ტენდენციების დიდი მსგავსება გვაფიქრებინებს: საქართველოში მცხოვრები მოზარდების სუბკულტურა (და, შესაძლოა, მთელი საზოგადოებაც) ტოლერენტულია სასკოლო სტრესორებზე პასუხად მოტორული და იმპულსური სოციალური ქცევების მიმართ. შესაბამისად, სოციალური და სხეულებრივი შიშის სუბსკალებზე გამოვლენილი ეს არასპეციფიური გადახრა დომინანტურ სუბკულტურის გავლენას შეიძლება მიეწეროს და დაკვალიფიცირდეს, როგორც ეთნიკურად ქართველი მოზარდების აუტენტური ემოციური პროფილი.

გარდა ამისა, მარგინალობის და ამ რისკის არმქონე მოზარდებში პოტენციურ სტრესულ სიტუაციებზე რეაგირების გამოვლენილი მსგავსი ტენდენციები-იმპულსური ქცევისკენ

მიდრეკილება საქართველოს მულტიენიკურ და სოციალური სტატუსით დაპირისპირებულ საზოგადოებაში შეიძლება შეფასდეს, როგორც გარკვეული საფრთხე ამ ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობისთვის. ჩვენი აზრით, საქართველოში მცხოვრებ მოზარდებში გამოკვეთილი ამ ტენდენციის საფუძველი ქართველი მოზარდების მიერ სოციალური გარემოში არსებული შიშის აქტივატორების – სოციალური საფრთხეების შეუფასებლობა და სხეულებრივი იმპულსების – შიშის სხეულებრივი ნიშნების შეუმჩნეველობა/შეუფასებლობაა. რაც თავის მხრივ მაჩვენებელია ამ მიმართულებით ქართველი მოზარდების დაბალი რეფლექსიის დონის და საქართველოში მცხოვრები მოზარდების ემოციური რეგულაციისთვის საჭირო რესურსის დეფიციტის.

ამ მონაცემებით, აგრეთვე, შესაძლებელია იდენტიფიცირდეს ძირითადი საკვლევი ჯგუფების შესატყვისი პოპულაციის (ეთნიკურ უმცირესობათა და დევნილთა) ასაკობრივად ვალიდურ სტრესორებზე (სკოლა, ოჯახი, თანატოლები) ემოციური რეაგირების სპეციფიური პროფილები:

ა) დევნილი მოზარდები, საკონტროლო ჯგუფებისგან განსხვავებით ავლენენ მომავალზე ორიენტირებული საფრთხეების მიმართ შედარებით დაბალი ინტენსივობის განცდას (ZB=3.02). ეს შეიძლება აიხსნას „დევნილობის მდგომარეობისთვის” დამახასიათებელი სპეციფიკით: აწმყოს აქტუალური და მწვავე პრობლემები მომავლის რეფლექსიისთვის ნაკლებ რესურსს ტოვებს.

ბ) ეთნიკური უმცირესობისთვის შიშის დემენსიებიდან ყურადღებას ემოციური მგრძნობელობისა და მე-ს დევალვაციის სკალებზე შიშის ინტენსივობის ქვედა ზღვრული მაჩვენებლები (ZB=3.07 და IA=3.05) იქცევა. შიშის განზომილების სკალათა განმარტების მიხედვით მე-ს დევალვაციის მაჩვენებლის დადაბლების ტენდენცია საკუთარ თავში ზედმეტ თვითდაჯერებულობას უკავშირდება. იგივე ტენდენცია ემოციური მგრძნობელობის სკალაზე სხვათა და საკუთარი ემოციების წვდომის სისუსტის გამოვლინებაა. ამ ორი პარამეტრის ერთობლიობა ეთნიკურად სომეხი მოზარდების ეგოცენტრულობისა და ასაკობრივი გარემოდან მათი ემოციური იზოლაციის, გაუცხოვების პრობლემას უნდა ქმნიდეს.

მარგინალურობის რისკის მქონე ჯგუფების ემოციური პროფილების სუბსკალების არა მაღალი, არამედ დაბალი მაჩვენებლები ამ ჯგუფების წინაშე მდგომი რეალური პრობლემების სპეციფიურობიდან გამომდინარე – ლტოლვილთა შემთხვევაში მათი განუსაზღვრელი და დაუცველი უახლოესი მომავალი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებისათვის – განსხვავებულ ძირითად კულტურასთან ადაპტაციის საჭიროება – შეიძლება შეფასდეს როგორც პარადოქსული. ჩვენი აზრით, ამ ჯგუფების დაბალი მაჩვენებლები ფსიქიკური თავდაცვითი გამოვლინებაა და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკის შეფასების თვალსაზრისით მათი შინაარსობრივი მახასიათებლებია წარმოადგენს.

როგორც მეთოდის აღწერისას იყო მითითებული, SAT-ით ინფორმაციას ვიღებთ არამარტო მოსწავლისთვის დამახასიათებელი ემოციური პროფილის სპეციფიკური თავისებურებების შესახებ, არამედ გამოვლენილი მდგომარეობის მიზეზების ან/და იმ სტრესორების შესახებ რომელის დაძლევაზეც არის მიმართული შიშის ემოციური რეაქცია. ქვემოთ მოყვანილი ცხრილები (№2 №3 №4 №5 №6) გვაძლევს სრულ სურათს როგორც თემათა ოთხი ძირითადი ბლოკისთვის (მასწავლებლი, სასწავლო პროცესი, სასწავლო ჯგუფი, ოჯახი), ისე ამ ბლოკებში შემაჯავლი ცალკეული მიზეზისთვის.

	ცდისპირთა რაოდენობა	ნაღვის დაბარბა	ლანძვბა	ფიზიკური დასჯა	უფლებების აქტა	აბრძალბა	სულ
დეჰნოლი	40	21.8	5.4	2.4	3.9	6.6	8.1
ეთნოკური უმცირესობა	31	20	4.2	1.3	1.9	2.2	5.9
საკონტროლო ჯგუფი	60	17.	3.5	1.8	1.7	1.8	5.2

ცხრილი №5 (10-ვე ბარათის ერთად) ოჯახთან დაკავშირებული მიზეზების %-ული მაჩვენებლები სამივე სამიზნე ჯგუფისთვის

	ცდისპირთა რაოდენობა	მასწავლებლის ბლოკი	ბაკანტილის ბლოკი	სასწავლო ჯგუფის ბლოკი	ოჯახის ბლოკი
დეჰნოლი	40	16.5	22.2	14.9	8.0
ეთნოკური უმცირესობა	31	11.6	18.2	12.5	5.9
საკონტროლო ჯგუფი	60	18.6	17.9	12.1	5.2

ცხრილი №6. სამივე სამიზნე ჯგუფისთვის სკოლის შიშის ოთხივე ბლოკში გაერთიანებული მიზეზების ჯამური % მაჩვენებლებელი თითოეულისთვის ცალ-ცალკე და მთლიანად, ოთხივე ბლოკის ერთად.

წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა დომინანტური სტრესორია სამივე საკვლევი ჯგუფისთვის. თუმცა სასწავლო პროცესზე რეაქცია ყველაზე გამოკვეთილია დენილთა ჯგუფში (22,24%), რაც აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში პოსტტრავმატული სტრესის ერთერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ.

მიზეზთა აქტუალობის თვალსაზრისით მეორე ადგილს მასწავლებლის თემატური ბლოკი იკავებს. ამ ბლოკში განსაკუთრებულ ყურადღებას საკონტროლო ჯგუფის, ეთნიკური ქართველების მონაცემი იმსახურებს. მათთვის მასწავლებელი ისეთივე ძლიერი სტრესორია როგორც სასწავლო პროცესი. ეს თავისებურება, სავარაუდოდ იმის მაჩვენებელია, მარგინალობის რისკის არმქონე მოზარდებისთვის მასწავლებლის პერსონა სასკოლო პროგრამის მოთხოვნებთან ასოცირდება და მხოლოდ ამ პროგრამული მოთხოვნების ნაწილად აღიქმება. ძირითად სამიზნე ჯგუფებში, საკონტროლო ჯგუფისგან განსხვავებით, მასწავლებლის როგორც სტრესორის აქტუალობა მნიშვნელოვნად მცირდება. შემცირების ეს ტენდენცია გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელი ძირითადი საკვლევი ჯგუფების მოსწავლეთათვის გარკვეული ემოციური რესურს-ფაქტორია. კერძოდ, ნაციონალური უმცირესობის ჯგუფისთვის იგი შესაძლებელია იყოს

ეთნიკური იდენტობის განმამტკიცებელი ფაქტორი, ხოლო დევნილთა ჯგუფისთვის მასწავლებელი ასრულებდეს სოციალური ჩართულობის ხელშეწყობი აგენტის როლს.

4. კვლევის შედეგების ამოსავალი დებულებები და განზოგადებული დასკვნები

კვლევაში შესწავლილია სასკოლო შიშების მახვენებლები და სკოლის გარემოსთან დაკავშირებული სუბიექტური მნიშვნელობები მარგინალობის რისკის და ამ რისკის არმქონე მოზარდებით. მარგინალობის რისკის მქონე სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილია ლტოლვილი და ნაციონალურ უმცირესობაში მყოფი მოზარდებით, მარგინალობის რისკის არმქონე საკონტროლო ჯგუფი კი ქართველი მოზარდებით საშუალო სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სრული ოჯახებიდან.

მიღებული შედეგები მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების თვალსაზრისით გაანალიზდა:

- მონაცემთა დამუშავებისას შიში, შფოთვა, მღელვარება და სხვა უსიამოვნო გრძნობები მიღწევის მოტივაციის ერთერთ მნიშვნელოვან მდგენელად განიხილება (კვლევის მეთოდოლოგია).

ამ ხედვის შესაბამისად და კვლევის მეთოდის გასაღებზე დაყრდნობით, დეზადაპტურად არის შეფასებული შიშისა და შფოთვის არა მარტო საშუალოზე მაღალი, არამედ მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლები.

- შერჩეული საკვლევი ჯგუფების მონაცემთა შედარებითი ანალიზი იმ სპეციფიურ მოთხოვნებთან დაკავშირდა, რომლებსაც აქტუალური გარემო მოზარდთა აღნიშნულ ჯგუფებს რეალურად უყენებს. კერძოდ: ლტოლვილთა შემთხვევაში – მათი განუსაზღვრელი და დაუცველი უახლოესი მომავალი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებისათვის – განსხვავებულ ძირითად კულტურასთან ადაპტაციის საჭიროება. ეკოსისტემის ორმხრივი ზემოქმედების ბუნებიდან გამომდინარე, გარემოს მოთხოვნათა ასახვისა და ქმედების დიფერენცირებულობის მეტი ხარისხი მიჩნეულია ფსიქიკურ ჯანმრთელობისა და ადაპტური ფუნქციონირების ინდიკატორად.

აღნიშნულ დებულებებზე დაყრდნობით დასკვნები შერჩეული ჯგუფების როგორც მსგავსი ისე განსხვავებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა. კერძოდ:

პროექციულ დისკურსში მარგინალობის რისკის და ამ რისკის არმქონე მოზარდებში გამოვლენილი შიშისა და შფოთვის მაჩვენებლები, აგრეთვე მათში ასახული სასკოლო გარემოს სუბიექტური მნიშვნელობები მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების თვალსაზრისით ვალიდური კრიტერიუმები აღმოჩნდა.

1. კრიტერიუმთა მსგავსების მიხედვით საგულისხმო აღმოჩნდა მოზარდთა სამივე ჯგუფებში შიშის სოციალური და სხეულებრივი ნიშნების სკალებზე გამოვლენილი სუბ-ნორმალური მაჩვენებლები.

- ეთნიკური უმცირესობის, დევნილი და ამ პრობლემების არმქონე მოზარდების ჯგუფში შიშისა და შფოთვის ნორმატიული მაჩვენებლების დადაბლების გამოვლენილი საერთო ტენდენცია საქართველოში მცხოვრებ მოზარდებში მაჩვენებელია საზოგადოების გავლენითა და მოზარდების სუბკულტურით მხარდაჭერილი ჭარბი იმპულსურობისა. შესაბამისად, ეს არასპეციფიური გადახრა დომინანტი სუბკულტურის გავლენას უნდა მიეწეროს და კვალიფიცირდეს, როგორც ეთნიკურად ქართველი მოზარდების აუთენტური ემოციური პროფილის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.
- სამივე ჯგუფის მოზარდებში სოციალურ საფრთხეთა შეუფასებლობის და შიშის სხეულებრივი ნიშნების შეუმჩნელობისაკენ გამოკვეთილი მიდრეკილება სოციალურ

ურთიერთობათა ობიექტივაციის და თვითრეფლექსიის უნარის დეფიციტად შეიძლება მივიჩნიოთ.

- აღნიშნული სკალების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნორმატიული მაჩვენებლების დადაბლების და ჭარბი იმპულსურობის მსგავსი ტენდენციები საქართველოს მრავალენიკურ და სოციალური სტატუსით დაპირისპირებულ საზოგადოებაში მათი მშვიდობიანი თანაარსებობისთვის გარკვეულ რისკფაქტორად შეიძლება შეფასდეს.

2. კრიტერიუმთა განსხვავების თვალსაზრისით მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა მარგინალიზაციის რისკის მქონე ჯგუფებში გამოვლენილი განსხვავებული ემოციური პროფილები. კერძოდ,

- დევნილი მოზარდების ჯგუფისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა მომავალთან დაკავშირებული შიშების სიმცირე, რაც მიანიშნებს მათ სამომავლო რეალური პრობლემების გათვალისწინებით საკუთარი პერსპექტივის შეფასებისა და დადაგეგმვისაგან თავის არიდებას.
- ნაციონალური უმცირესობის ჯგუფებში გამოვლენილი ჭარბი თვითდაჯერებულობა და სხვების ემოციებზე ორიენტირებულობის ნაკლებობა მიუთითებს დომინანტ კულტურასთან მორგების რეალური საჭიროების პირობებში, ამ მორგების განხორციელების სირთულეს.

დევნილი და ეთნიკური უმცირესობის მოზარდებში გამოვლენილი შინაგანი ტენდენციები, ამ ჯგუფების წინაშე მდგომი რეალურ პრობლემათა სპეციფიკურობასთან (ლტოლვილთა შემთხვევაში მათი განუსაზღვრელი და დაუცველი უახლოესი მომავალი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებისათვის – განსხვავებულ ძირითად კულტურასთან ადაპტაციის საჭიროება) არათანმხვედრი ხასიათისაა. ეკოსისტემაზე ორიენტირებული თეორიებისთვის ეს პარადოქსალურია. შესაბამისად, მარგინალობის რისკის მქონე ჯგუფების ემოციურ პროფილთა პარადოქსულობა ამ ჯგუფების ფსიქოლოგიური თავდაცვის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ხოლო, ფსიქოლოგიური რისკების შეფასების თვალსაზრისით ისინი შინაარსობრივ მახასიათებლად შეიძლება განვიხილოთ.

სასკოლო გარემოში შიშის აქტივატორებისთა სუბიექტურ მნიშვნელობათა კვლევის ნაწილში საგულისხმო განსხვავება გამოიკვეთა საკონტროლო ჯგუფისა და მარგინალობის რისკის მქონე ორი ჯგუფის მონაცემებს შორის. ეს განსხვავება უკავშირდება საკონტროლო და ძირითადი ჯგუფების მიერ მასწავლებლის განსხვავებულ შეფასებას და მის მიმართ განსხვავებულ მოლოდინებს. კერძოდ, მარგინალობის რისკის არმქონე მოზარდებისთვის მასწავლებლის პერსონა სასწავლო პროგრამის მოთხოვნებთან ასოცირდება და მხოლოდ ამ მოთხოვნების ნაწილად მოიაზრება. ძირითად სამიზნე ჯგუფების მოსწავლეთათვის კი მასწავლებელი გარკვეული ემოციური რესურს-ფაქტორია: ნაციონალური უმცირესობის ჯგუფისთვის იგი შესაძლებელია ასრულებდეს ეთნიკური იდენტობის განმამტკიცებელის ფუნქციას, ხოლო დევნილთა ჯგუფისთვის ასრულებდეს სოციალური ჩართულობის ხელშემწყობი აგენტის როლს.

ვინაიდან საზოგადოების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ეფუძნება არა იმდენად ავადმყოფ ინდივიდთა მკურნალობას, რამდენადაც ადამიანთა დიდი ჯგუფების ჯანმრთელობის დარღვევის პრევენციას/ჯანმრთელობის შენარჩუნებას მიღებული შედეგები გასათვალისწინებელია, როგორც თითოეულ ინდივიდის, ისე მთლიანად საზოგადოების ჯანდაცვისა და განათლების პოლიტიკაში.

ლიტერატურა:

1. აბულაძე თ., კოტეტიშვილი ი., ლორთქიფანიძე ნ., შოსტაკი მ. „სამყარო ჩვენი სახლი“. გაეროს ბავშვთა ფონდი. 2003.
2. ბერეკაშვილი დ., ცხვედაძე ნ. ემოციის მართვის ტრენინგი და უზნადის თეორიის მეთოდოლოგიური საფუძვლები. „მაცნე“ 2008.

3. მაყაშვილი ქ., ჯანიაშვილი ქ. მოზარდობის ხანის თავისებურებები და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრობლემა. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, თბილისი 2007. №1.
4. მაყაშვილი ქ., ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები – ფსიქოსოციალური რისკ-ფაქტორების ჯანმრთელობასთან თავსებადი ალტერნატივა, სამეცნიერო ჟურნალი “ლოგოსი” 2008 №5.
5. იმედაძე ნ., ჯაფარიძე მ., წერეთელი მ. მოზარდებთან სტრესის დაძლევის სტრატეგიების კვლევა ომის შემდგომ პერიოდში. კრებული „ფსიქოლოგია” XXI ტ. თბილისი. 2009.
6. იმედაძე ნ., ქსოველიშვილი ლ. სტრესის დაძლევის სტრატეგიები. ფსიქ. ინსტიტ-ის შრომები ტ. XIX 2004.
7. სარჯველაძე ნ., ბებერაშვილი ზ., ჯავახიშვილი დ., მახაშვილი ნ., სარჯველაძე ნ. „ტრამპა და ფსიქოლოგიური დახმარება”. ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, თბილისი, 2000.
8. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი 1974.
9. ჩხარტიშვილი შ. სოციალური პრესტიჟის განვითარება გარდამავალ ასაკში. მაცნე 1971. №3.
10. უზნაძე დ. შრომები, V ტ., ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი. 1967
11. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი. 2004.
12. უზნაძე, „შენიშვნების რვეული” მაცნე – ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია №2 1988.
13. ცხვედაძე ნ., ბერეკაშვილი დ. ემოციის, როგორც ფსიქიკური პროცესის მიმართ დამოკიდებულება და მისი როლი მიზანშეწონილი ქცევის ორგანიზაციაში. „ფსიქოლოგია” XXII ტ. კრებული, თბილისი. 2010.
14. ცხვედაძე ნ., ბერეკაშვილი დ. იძულებით ადგილნაცვალ მოზარდებთან სკოლის შიშებისა და შფოთვის თავისებურებების კვლევა. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, თბილისი, 2009. №1
15. ცხვედაძე ნ., მაყაშვილი ქ. წინასწარი მონაცემები შ თ -ის ტესტის ადაპტაციისთვის. კრებული. „ფსიქოლოგია” XXI ტ. თბილისი 2009.
16. Аронсон Э., Т. Уилсон, Р. Эйкерт, Психологические законы. Поведение человека в социуме. Санкт-Петербург. Москва. 2002.
17. Краиг Греис. Психология развития. 7- е международ. издание. «Питер». 2000.
18. Ериксон Э. – Идентичность: юность и кризис. М., 1996
19. Ериксон Э. Детство и Общество. Университетская книга. С-Петербург. 1996
20. Ньюком Т. – Развитие личности ребенка. М., СПб, 2003.
21. Стефаненко Т. Г. – Социально-психологические аспекты изучения этнической идентичности. 1999.
22. Кэрл Э. Изард – „ Психология Эмоций ”. Санкт – Петербург 2000.
23. Яковлева Э. А - „ Эмоциональные механизмы личностного творческого развития ”, „Вопросы Психологии ” 1997.
24. Х. Хекхаузен Мотивация и деятельность. Т. 1 М. 1986 с. 109–112; 244-267; 144
25. Х. Хекхаузен Мотивация и деятельность. Т. 11. М, 1986 с. 268-289
26. Aronow, Edward, Kim Altman Weiss, and Marvin Reznikoff. A Practical Guide to the Thematic Apperception Test: The TAT in Clinical Practice. Philadelphia, PA: Taylor and Francis, 2001.
27. Daniels Carla, Religious Beliefs and Psychological Well-being. APA, 2006.
28. Imedadze N., Ksovelasvili L. “Study of coping Strategies in Georgian Adolescents” 11 European conference on developmental psychology, Milano. 2003.
29. Kipiani G., Burduli N., Tskhvedadze N. Components of Social Identities of Political Activists in Ethnic Minority Youth. Conference on Caucasus Studies: Migration _Society_Language. Sweden. <http://195.178.225.22/CSms//Cauc studies Conf08 abstracts.pdf>
30. Spielberger C.D. O’Heil H.F., Hansen, D.N. Anxiety, drive theory, and computer assisted learning – In: B.A. Maher (ed) Progress in Experimental Personality Research. N.Y. 1972.
31. Spielberger C.D (ed). Anxiety and Behavior. N.Y. 1966
32. Phinney I. Ethnic identity in Adolescents and Adults: Review of research // Psychological Bulletin, 1990, Vol. 108(3).
33. Plutchik R., Emotion: A Psychoevolutionary Synthesis. _ New York, Random House, 1962.
34. Tajfel H. Turner I. C. – The Social Identity Theory of Intergroup Behavior // Psychology of Intergroup Relations. Ed. by S. Worchel, W. Q. Austin. Chicago: Nelson – Hall, 1986.
35. Jensen P. and Shaw J. Children as victims of war, Current Knowledge and Future Research Needs, Journ. of Amer. Academy of Child and Adolescent psychiatry, 32, 697-700.
36. E.Husslein. Der Schulanfangst-Test (SAT). Göttingen. Toronto. Zurich. 1978.

Paradox of School Discourse in Adolescents with Marginality Risk

Resume

The purpose of this empirical research is to evaluate mental health risks, in a wide socio-cultural context, for specific groups of adolescents living in Georgia. The adolescents covered by the research were of pre- pubertal age. School discourse was analyzed using the narratives based on a specific stimulus material.

The research aimed to reveal similarities and differences in the contents reflected in school fears in the groups of adolescents with and without marginality risk, i.e. adolescent refugees, and adolescents in national minorities versus Georgian adolescents with a typical social-economic status.

During data processing fear and anxiety were considered as one of the important components of achievement motivation; accordingly, the indexes of fear and anxiety above and significantly below the norm were evaluated as the signs of maladjustment.

Find below the results of the given research:

1. Similarly to both target groups, the control group did not show high levels of fear or anxiety. Sub-normal indexes of fear and anxiety are interesting in terms of the deviation from the normative indexes, which can be related to the excessive tendency of spontaneity, supported by the culture.
2. Reactions of the control group and adolescents with marginality risk to the valid meanings of their mezzo system (educational process, teachers, peer group, family), show both similarities and differences. Emotional reactions that are similar in both groups represent sub-normal manifestations of the adolescents in the control group. This means, that adolescents with marginality risk are close to the authentic group of adolescents that are the bearers of Georgian culture (or try to overcome their marginality) in terms of non-optimal, non-adaptive manifestations of the given culture (subnormal index of social fear and its body manifestation).
3. The indexes of the emotional profile, which distinguish marginality risk groups from the control group, are of a particular character:

According to the data, the group of refugee adolescents shows the subnormal index of future oriented fear, which implies that this group is more confident about the future.

The group of national minorities tends to lower the self devaluation index. It also shows decreased indexes on the scale of emotional sensitivity, which indicates a deficit of insight into one's own feelings as well as the feelings of other people.

4. A paradoxical character of the marginality risk groups' emotional profiles, given the specificity of real problems facing these groups (indefinite and insecure near future for refugees and the need to adapt to a different local culture for ethnic minorities), indicates hyper compensatory character of their emotions and makes it possible to consider them as content characteristics in the evaluation of mental health risks.

ღავით ჩარკვიანი, ღავით პიპიშვილი

ლიმპიტრი უზნაძის უსიპოლოგიის ინსტიტუტი

**რაოდენობრივ და ალბათურ მსჯელობაზე შეფასებითი ეტალონების
ზემოქმედება**

საკვანძო სიტყვები: შეფასებითი ეტალონები, ალბათური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა, შეფასებაში ღარწმუნაულობის ხარისხი, სუბიექტური და ობიექტური ეტალონები

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ერთერთმა ბოლო ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ, რომელიც მიზანდასახული ქცევის სხვადასხვა რეჟიმში ფუნქციონირებას ეხებოდა, გვიჩვენა, რომ ალბათური მსჯელობის პროცესში ადამიანები, ხშირად, საკუთარ ცოდნაში ჭარბ თვითდაჯერებულობას ამჟღავნებენ, რაც მათი ტენდენციურობის გამომხატველია [1]. ისიც აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი და ალბათური შინაარსის მქონე შეფასებაში ასახული სიდიდე, არც თუ ისე იშვიათად, რეალურ მონაცემებს არ ემთხვევა, ხოლო ცნობიერებაში მისი წარმოჩენა, ხშირად, უნებლიედ ხდება. შეფასებით მსჯელობებში სხვადასხვა სახის ტენდენციურობათა კორექცია, რასაკვირველია, მიზანდასახული ქცევის წარმართვის ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ექსპერიმენტული კვლევის გამოყენებითი დანიშნულება სწორედ ამგვარი კორექციის განხორციელებაში მდგომარეობს.

თეორიული თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი: რაოდენობრივ და ალბათურ მსჯელობათა მადეტერმინირებელი ფაქტორების გარკვევა, ხშირ შემთხვევაში, არც თუ ადვილია. შემეცნების სუბიექტის სააზროვნო ოპერაციების მიმდინარეობაში (დედუქციური, ინდუქციური, რეტროსპექციური, ინტუიციური, გრძნობად-ემოციური, პერცეფტუალ-ხატოვანი) ალბათურ და სისშირეობრივ მსჯელობათა ფუნქციური დანიშნულების გარკვევა უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს. მაგალითად, ამასთან დაკავშირებით პ. სლოვიცი და თანაავტორები აღნიშნავენ: "ევრისტიკათა მიმართ, როგორც ზოგადი თეორიის შესახებ გავრცელებული მიდგომა, უარყოფითი იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტული ვითარებისადმი მისი მიყენება მნიშვნელოვან სიძნელესთან იქნება დაკავშირებული" [2:6]. კ. ჰემონდის აზრით: "ჩვენი ამოცანაა რაც შეიძლება ნათლად და დამაჯერებლად აღვწეროთ გარე სინამდვილის ის პირობები, რომლებიც არაექსტენსიური ევრისტიკების თვისებათა გამოვლენის საშუალებას გვაძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ილუზიების კვლევა მხოლოდ იმ ევრისტიკების ჩამონათვალით იქნება შემოფარგლული, რომელთა გამოვლენა სხვადასხვა პირობებში მოხდება" [3:43]. როგორც ვხედავთ, სისშირეობრივ და ალბათურ მსჯელობათა გააზრების შესახებ ინტეგრაციული მიდგომის აუცილებლობას სხვადასხვა ავტორები აღიარებენ. მაგალითად, შეფასებით მსჯელობათა (რაოდენობრივი და ალბათური) საფუძვლადმდებარე რიგი პროცესების ინტეგრირება ნ. ბრაუნის და რ. ზიგელის მიერ იქნა განხორციელებული [4]. ამ ინტეგრირებული კონცეფტური მთლიანობის მახასიათებლებს „მეტრიკული და კარტოგრაფიული“ სტრუქტურა უწოდეს. ყურდღება იმაზეც უნდა გამახვილდეს, რომ შეფასებითი მსჯელობის მადეტერმინირებელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია ობიექტური და სუბიექტური ეტალონების (შეფასებითი მსჯელობის ათვისების წერტილები) ფუნქციონირება. მაგალითად, რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის შეფასებისას სუბიექტი შესაძლოა კარტოგრაფიული (რუკის კონტურები, როგორც შეფასების საყრდენი) თვისების შემცველ ცოდნას დაეყრდნოს, რომელიც, თავისი არსით, ექსპლიციტური აზროვნების ერთერთი ნიშნულია. მაგალითად, შემდეგი სახის მსჯელობა: "ლიბიაში ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უდაბნოა; ჩვეულებრივ, უდაბნო მცირედ არის დასახლებული; ამდენად, სავარაუდოა, რომ ლიბიის მოსახლეობა მცირე უნდა იყოს".

ადამიანის მიერ სხვადასხვა სახის ეტალონების გამოყენების მრავალმხრივი შესწავლა პერცეფტული აქტივობის სფეროში განხორციელდა და ინტენსიური კვლევა ამჟამადც მიმდინარეობს. ერთი და იმავე საგნების აღქმის პროცესში ადამიანი სხვადასხვა ოპერაციებს მიმართავს არა მხოლოდ იმის გამო, რომ მის წინაშე სხვადასხვა სახის ამოცანა წარმოიქმნება, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორია იმ ეტალონების ერთობლიობა (ვთქვათ, განწყობაში გამოცდილებით უკვე დაფიქსირებული ეტალონური სტრუქტურა), რომელსაც ის დაეუფლება და მათ მოცემული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებად იყენებს. ისიც აღსანიშნავია, რომ მატერიალური ეტალონების გამოყენება წარმოსახული ეტალონების ოპერირების წინაპირობად განიხილება. ესა თუ ის პერცეფტული ხატები (მაგალითად, რუკის კონტურების წარმოდგენა) სიტუაციური ეტალონების როლში გვევლინება და სიტუაციური განწყობის (კონკრეტულ ამოცანაზე მიმართული სუბიექტის აქტუალური მზაობა) ფორმირებისა და ამოქმედების ობიექტური ფაქტორია. განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ადამიანის აქტივობის სხვადასხვა დონეზე (ფსიქოფიზიკური, სოციალური) ობიექტებისა და მოვლენათა შეფასების (ასიმილაციური და კონტრასტული) კანონზომიერებები მრავალმხრივ არის შესწავლილი. ერთი მხრივ, ამ გამოკვლევებში პერცეფტულ შეფასებათა საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში ე.წ. “ბაზის-ეტალონის” მნიშვნელოვანი როლია ნაჩვენები. სათანადო კვლევებით დადგინდა, რომ ამგვარი ეტალონები ადამიანის სენსომოტორულ აქტივობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, შოთა ნადირაშვილისა და მისი კოლეგების მიერ ნაჩვენებია, რომ ბაზის ეტალონისაგან განსხვავებული მოძრაობის განმეორების დროს მისკენ მიახლოების გამოკვეთილი ტენდენცია არსებობს. ეს ტენდენცია, რომელსაც “ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების კანონი” ეწოდა, მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია განსხვავება ბაზის ეტალონსა და გასამეორებელი მოძრაობის სიდიდეთა შორის [5]. მეორე მხრივ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ ე.წ. “სემანტიკური ასიმეტრიის ეფექტი” გამოავლინა. მაგალითად, ადამიანები, ჩვეულებრივ, ვამბობთ, რომ “შვილი მამას ჰგავს” და არა პირიქით. პირველი, მეორესთან შედარებით, ფსიქოლოგიური შინაარსის თვალსაზრისით, უფრო მეტად არის “გაწონასწორებული”. შეფასებით მსჯელობათა ასიმეტრიული ხასიათი სწორედ ამგვარი ბინარული მიმართების დამყარების შემთხვევაში მქადავდება. აქ ასიმეტრიას განაპირობებს წინადადებაში შესული სიტყვების აღქმისუფლად განსხვავებული სუბიექტური წონები, კერძოდ, “შვილი” შეფასების ობიექტის როლში გამოდის, ხოლო ათვლის წერტილი, ანუ ეტალონი “მამაა” (ე.ი. >).

ნიშანდობლივია, რომ, ეტალონურ სიდიდეთა ფუნქციონირების თვალსაზრისით, ჩვენთან ალბათურ და რაოდენობრივ შეფასებათა მიმართების შესწავლა, ფაქტობრივად, არ წარმოებდა. რასაკვირველია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ობიექტური ეტალონების ფუნქციონირებასთან ერთად, სუბიექტური ეტალონების ამოქმედებაც დიდად მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ზემოთნახსენები ის წარმოდგენილი ეტალონები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული პერცეფტული ხატის სახითაა წარმოდგენილი სუბიექტის ცნობიერებაში, არამედ საგნებსა და მოვლენების შესახებ მისი, ასე ვთქვათ, “განზოგადებული” ინფორმულობის ხარისხის სუბიექტური განცდა. სწორედ ამ ცვლადის და ადამიანის მიერ უკვე გაკეთებულ შეფასებაში მისი დარწმუნებულობას შორის კავშირის შესწავლა მიგვაჩნია საჭიროდ, რაც ჩვენს წინა გამოკვლევაში იყო ხაზგასმული. ნათქვამის გარდა საგულისხმოა ისიც, რომ განუსაზღვრელობა, როგორც შეფასებათა განმაპირობებელი ფაქტორი, ფსიქიკაში სუბიექტური ალბათობის სახით არის რეპრეზენტირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც რისკის შემცველი მოვლენების, ისე “სტატიკური” ობიექტების შეფასების დეტერმინაციაში ამ ფაქტორს გარკვეული წვლილი შეაქვს. მოცემული გამოკვლევის მიზანი ალბათურ და რაოდენობრივ შეფასებებზე სიტუაციური განწყობის ზემოქმედების შესწავლაში მდგომარეობდა. სიტუაციური განწყობის ექსპერიმენტული ფორმირება გარკვეული ეტალონური სიდიდის შემოტანით ხდებოდა. დამოუკიდებელი ცვლადები იყო სხვადასხვა ფორმის ეტალონები (კონკრეტულ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა და ადამიანთა სიკვდილიანობის კონკრეტული მიზეზის ალბათური მაჩვენებელი), ხოლო დამოკიდებული ცვლადები – ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობა

(შეფასების “სტატიკური” ობიექტი) და ადამიანთა სიკვდილიანობის სხვადასხვა მიზეზები (რისკის შემცველი მოვლენები). კვლევის ზოგადი მიზნიდან გამომდინარე, ექსპერიმენტულად შემდეგი ორი საკითხია შესწავლილი: 1. როგორია ობიექტური ეტალონის ზემოქმედების ხარისხი რაოდენობრივ და ალბათურ შეფასებებზე; 2. როგორი კავშირია ობიექტების და მოვლენების შესახებ ცოდნასა (ინფორმულობას) და შეფასებაში დარწმუნებულობას შორის.

კვლევის მეთოდი

გამოკვლევაში მონაწილეობდა 157 ცდისპირი (თბილისის ერთერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები). გამოყენებული მასალა: რაოდენობრივ შეფასებათა შესასწავლად სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა იყო გამოყენებული (ჩამონათვალი 1 ცხრილშია), ხოლო ალბათურ შეფასებათა ობიექტი – ადამიანთა სიკვდილიანობის სხვადასხვა მიზეზები (ჩამონათვალი №2 ცხრილშია).

გამოკვლევის პროცედურა: ექსპერიმენტი ორი ეტაპისაგან შედგებოდა – ჯერ სათანადო ეტალონების მიწოდების გარეშე გაიზომა ალბათური, რაოდენობრივი შეფასებები და ინფორმულობა (ცოდნა), ხოლო ორი საათის შემდეგ (ვითომდაც “მონაცემების დაზუსტების” მიზნით”, იმავე ცდისპირების იმავე მასალაზე რაოდენობრივი და ალბათური შეფასებები გაიზომა, იმ განხილვებით, რომ ამ შემთხვევაში მათ სათანადო ეტალონები მიეცათ. გარდა ამისა, ცოდნის ფაქტორის ნაცვლად, შეფასებებში დარწმუნებულობა გაიზომა. ეტალონების მანიპულირების და გამოყენებული მასალის შინაარსის მიხედვით ცდისპირების ოთხი ჯგუფი გამოიყო, რომელთა რაოდენობა და მათ მიერ გაკეთებული შეფასებების მონაცემები №1 და №2 ცხრილებშია მოცემული.

ცვლადების გაზომვა: 1) რაოდენობრივი შეფასება: “თქვენი აზრით, რამდენი მილიონი ცხოვრობს X ქვეყანაში? ცდისპირთა ერთი ჯგუფი საკუთარ პასუხს 50 მილიონამდე, ხოლო მეორე ჯგუფი 70 მილიონზე მეტი მოსახლეობის ფარგლებში იძლევა. 2) ალბათური შეფასება: “სათანადო მონაცემების თანახმად, მაგალითად, აშშ-ში ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მიზეზების გამო ყოველწლიურად 2 მილიონამდე ადამიანი იღუპება. ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გასცეთ პასუხი შემდეგ შეკითხვას – “თქვენი აზრით, როგორია ალბათობა იმისა, რომ შემთხვევით აღებული ცალკეული მცხოვრები X მიზეზის გამო დაიღუპოს?” შეფასება ალბათობის 9-საფეხურიანი სკალით იზომება (“მინ.” 0.1—0.9 “მაქ.”) 3). ცოდნა: “რა იცით X ობიექტის შესახებ?” იზომება 9-საფეხურიანი სკალით (1—9). 4) დარწმუნებულობა: “რამდენად ხართ დარწმუნებული თქვენ მიერ გაცემულ პასუხში? იზომება 9-საფეხურიანი სკალით (1—9).

შეფასების ეტალონები: 1) რაოდენობრივი ეტალონი: “მაგ. ნორვეგიაში 4 მილ. 800 ათასი ადამიანი ცხოვრობს” ან მაგ. „ინდონეზიაში 228 მილ. 600 ათასი ადამიანი ცხოვრობს”. 2). ალბათური ეტალონი: “მაგ. სათანადო მონაცემების თანახმად, იმის ალბათობა, რომ ვინმე X პიროვნება კანის სიმსივნით დაიღუპოს, 0.2-ის ტოლია” ან “მაგ. სათანადო მონაცემების თანახმად, იმის ალბათობა, რომ ვინმე X პიროვნება ავტოავარიის შედეგად დაიღუპოს, 0.8-ის ტოლია”.

მიღებული შედეგების განხილვა

ჯერ განვიხილოთ შედეგები, რომლებიც რაოდენობრივ შეფასებებზე ეტალონის ზემოქმედებას ეხება. შესაბამისი მონაცემები 1 ცხრილშია მოცემული. როგორც მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, ცდისპირებმა, რომლებმაც 50 მილიონამდე ქვეყნების მცხოვრებთა რაოდენობას აფასებდნენ, პირველივე გამოკითხვაში ისეთი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა გადააფასეს, როგორიც არის აზერბაიჯანი, საბერძნეთი, ავსტრალია, კანადა და უკრაინა (გადაფასების ჯამური მაჩვენებელი 66.2 მილიონის ტოლია), ხოლო შემცირებულად შეაფასეს ისეთი ქვეყნების მცხოვრებთა რაოდენობა, როგორიც არის პოლანდია, რუმინეთი და პოლონეთი (შემცირების ჯამური მონაცემი 19.3 მილიონს უდრის). ცდისპირებმა, რომლებმაც 70 მილიონზე მეტ მოსახლეობის ქვეყნებს აფასებდნენ, შემდეგი სურათი მოგვცეს: მცხოვრებთა რაოდენობის გადაფასება მხოლოდ ორ შემთხვევაში, კერძოდ, იაპონიის და რუსეთის მიმართ მოხდა (ჯამური მონაცემი 96.8 მილიონს უდრის), ხოლო რეალურ მონაცემებთან შედარებით, ცდისპირების მიერ უფრო მცირედ თურქეთის, გერმანიის, ვიეტნამის, მექსიკის, ნიგერიის და ბრაზილიის მოსახლეობის რაოდენობა შეფასდა (ჯამური მონაცემი 200.3

მილიონს უდრის). ეს მონაცემები იმაზე მიგვითითებს, რომ ცდისპირთათვის ქვეყნების 50 მილიონამდე და 70 მილიონზე მეტი კონტექსტის, ანუ მასშტაბის თავიდანვე განსაზღვრა, რაც მათი ორ ჯგუფად დაყოფას ნიშნავდა, მართლაც აუცილებელი იყო, რამაც მათი შეფასებების (პასუხების) ვარიაციულობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ამან, თავის მხრივ, შეფასების ეტალონთა ეფექტების დადგენის უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობა მოგვცა.

განვიხილოთ №1 ცხრილში ასახული მონაცემები. ცდისპირთა პასუხებზე ეტალონის აშკარა ზემოქმედება მეორე ჯგუფში (შეფასებები 70 მილიონზე მეტი მოსახლეობის ფარგლებში ხდება) გამოძვლავნდა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა რვა შესაძლებლობიდან ექვს მათგანში იქნა დადგენილი (ცდისპირთათვის ინდონეზიის მოსახლეობის რეალური მაჩვენებლის “შთამბეჭდავი” ეფექტი). ხაზგასასმელია, რომ ცდისპირთა შეფასებებში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები მათთვის მიწოდებული ეტალონის მაჩვენებლის მიმართულებით წარიმართა. ეს შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ ცდისპირებმა შესაფასებელი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდეს, ანუ პირველად მონაცემებთან შედარებით, შეფასებები უფრო კონტრასტული გახდა, ხოლო ეს ეფექტი ეტალონის “ასიმილაციურმა” ზემოქმედებამ განაპირობა. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სურათი არ გამოვლინდა მეორე ჯგუფის ცდისპირებთან, რომლებიც ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობას “მცირე” კონტექსტში (50 მილიონამდე, ხოლო შეფასების ეტალონი ნორვეგიის მოსახლეობის მაჩვენებელი იყო) აფასებდნენ. ცდისპირთა ამ ჯგუფში შეფასებათა მნიშვნელოვანი ცვლილება საწყისი შეფასებების შემცირების მიმართულებით მხოლოდ აზერბაიჯანის და ავსტრალიის შემთხვევაში გამოძვლავნდა.

ცხრილი 1. ცდისპირთა მიერ სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის შეფასებათა საშუალო მაჩვენებლები ეტალონების მიწოდებამდე და მათი მიწოდების შემდეგ

ქვეყნები	-1	-2	t	რეალური მაჩვენებლები
50 მლნ-მდე (N=41)				
აზერბაიჯანი	14.8	9.2	2.46*	8.6
საბერძნეთი	20.2	28.3	1.83	11.2
კოლანდია	12.5	14.8	0.86	16.5
ავსტრალია	39.3	32.4	2.29*	21.5
რუმინეთი	18.6	20.2	0.63	27.5
კანადა	51.8	47.2	1.66	33.4
კოლონეთი	31.6	26.2	1.74	38.0
შპრანა	61.5	58.8	1.16	46.7
70 მლნ-ზე მეტი (N=43)				
თურქეთი	37.5	58.4	2.23*	70.5
გერმანია	70.4	93.6	2.08*	82.2
ვიეტნამი	57.2	94.6	2.20*	87.4
მექსიკა	83.3	97.2	0.77	106.7
ნორვეგია	85.7	118.6	3.29*	122.8
იაპონია	194.2	179.5	0.84	127.4
რუსეთი	172.0	208.2	2.54*	142.0
ბრაზილია	115.2	140.0	3.53*	180.0

* $P < 0.05$

-1 ეტალონის მიწოდებამდე;

-2 ეტალონის მიწოდების შემდეგ;

ნიშანდობლივია, რომ ექსპერიმენტული შედეგების ანალიზის პროცესში პოსტ პოც ტესტირებას მივმართეთ, რაც ქვეყნების ტერიტორიათა ფართობსა და მათ მოსახლეობის რაოდენობას შორის მიმართების შესახებ სათანადო დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას ისახავდა მიზნად. ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში შემოწმების ობიექტი იყო შემდეგი სახის შეფასებითი მსჯელობა: “რადგან ქვეყანას დიდი ტერიტორია უკავია, ამიტომ მისი მოსახლეობაც მრავალრიცხოვანი უნდა იყოს”. ამ საკითხს ავსტრალიის მაგალითის გამოყენებით ვარკვევდით. 41-მა ცდისპირმა დამატებით შეკითხვაზე გასცა პასუხი, რომელიც ამ ქვეყნის ტერიტორიას ათას კვ. კილომეტრის სავარაუდო მაჩვენებლის აღნუსხვით აფასებდნენ. მიღებულმა შედეგმა გვიჩვენა, რომ $r=0.63$, რაც იმის გამომხატველია, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქვეყანაში (ავსტრალია) მცხოვრებთა რაოდენობის აშკარა გადაფასების ტენდენციაში (იხ. 1 ცხრილი) წვლილი ამავე ქვეყნის ტერიტორიის შეფასებას შეაქვს. ეს უკანასკნელი, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, ფაქტობრივად, მოსახლეობის რაოდენობის შეფასების სუბიექტური ეტალონის როლში გვევლინება.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ 2 ცხრილში მოყვანილი სიკვდილიანობის მიზეზთა რანგული მაჩვენებლები მხოლოდ აშშ-ს პოპულაციას ეხება [7]. საგულისხმოა ისიც, რომ ზუსტი სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინება ჩვენი უშუალო მიზანი არ ყოფილა. ცხრილში ასახული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ცდისპირთა მიერ უბედურ შემთხვევათა მიზეზების ალბათური შეფასების პროცესში სათანადო რანგულ მაჩვენებლებისაგან აშკარა განსხვავება მხოლოდ ავიაკატასტროფების მიმართ აღმოჩნდა. საშუალო ალბათურ შეფასებებზე მიწოდებული ეტალონის ზემოქმედებამ ასეთივე შედეგი აჩვენა: სტატისტიკურად მნიშვნელობის მქონე ეფექტი მხოლოდ უბედური შემთხვევების მიზეზთა მიმართ იქნა დადგენილი. კერძოდ, ცდისპირთა შეფასებებზე ეტალონის (ავტოავარიებით შესაძლო სიკვდილიანობის ალბათური მაჩვენებელი) თვალსაჩინო გავლენა ექვსი შესაძლებლობიდან ოთხში გამოქვეყნდა, აქედან სამმა (საყოფაცხოვრებო უთანხმოებები, შრომითი ტრამეები, საკვებით მოწამვლა) ეტალონის მაჩვენებლის მიმართულებით გადაინაცვლა და მხოლოდ ერთი მონაცემი (ავიაკატასტროფები) მნიშვნელოვნად შემცირდა. დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობის მიზეზთა შეფასებებში ეტალონის შემოტანამ ცდისპირთა საწყის შეფასებებზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. ალბათ, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ჩამონათვალში მოცემული დაავადებების შესახებ ცდისპირთა ცოდნის (ინფორმულობის) მაჩვენებლები საკმაოდ დაბალი იყო (3.42). ამდენად, ზოგადი შედეგი გვიჩვენებს, რომ რაოდენობრივი, ე.ი. “სტატიკური” ობიექტების (მოსახლეობა), და ასევე ალბათური, ე.ი. სარისკო მოვლენების (უბედური შემთხვევები) შეფასებებში მომხდარი ცვლილებები მათი მაჩვენებლების გაზრდის მიმართულებით წარიმართა. ეს ნიშნავს, რომ სათანადო ეტალონების ზემოქმედება ორივე ვითარებაში ასიმილაციური იყო, ხოლო თვით შეფასებები კონტრასტული. ამავე დროს, აღნიშნული ზემოქმედების ფორმა პირველ შემთხვევაში, მეორესთან შედარებით, უფრო ძლიერი აღმოჩნდა. დაბოლოს, გამოვეყოფთ იმ შედეგს, რომელიც ცოდნის და შეფასებებში დარწმუნებულობის ფაქტორთა შორის არსებულ კავშირს ეხება. მიღებულმა ემპირიულმა შედეგმა, რომელშიც ცდისპირთა ოთხივე ჯგუფის ერთობლივი მონაცემებია გათვალისწინებული გვიჩვენა, რომ ამ ცვლადებს შორის შერეული მომენტის კორელაციის საშუალო მაჩვენებელი 0.86 უდრის.

ცხრილი 2. ცდისპირთა მიერ უბედური შემთხვევებით და დაავადებებით გამოწვეული ადამიანთა სიკვდილიანობის ალბათური შეფასებების საშუალო მაჩვენებლები ეტალონების მიწოდებამდე და მათი მიწოდების შემდეგ.

შეფასების ობიექტები	M-1	M-2	t	რეალური რანგები
შუბელური შემთხვევები (N=37)				
საყოფაცხ. უთანხმოება	5.6	6.8	2.04*	1
შრომითი ტრავმები	4.2	6.6	2.42*	2
ხანძარში მიღებული დამწვრობა	4.8	6.4	1.30	3
საკვებით მოწამვლა	5.7	6.9	2.04*	4
წყალში დახრჩობა	5.2	5.7	1.33	5
ავიაკატასტროფები	6.8	5.5	1.68*	6
სიმსივნური დაავადებები (N=36)				
ღვიძლის	5.3	5.8	1.20	1
სარძევე ჯირკვლის	6.8	6.3	1.34	2
პროსტატა	5.6	6.0	0.93	3
სწორი ნაწლავის	5.3	6.3	0.74	4
ღვიძრის	6.2	5.8	1.48	5
კანის	5.4	5.9	1.36	6

P<0.05

- 1 ეტალონის მიწოდებამდე
- 2 ეტალონის მიწოდების შემდეგ

ზოგადი დასკვნა

განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ობიექტებისა და მოვლენების შეფასების (ასიმულაციური და კონტრასტული) კანონზომიერებები მრავალმხრივ არის შესწავლილი. საკუთრივ პერცეფტულ შეფასებათა საფუძვლად მდებარე განწყობის ფუნქციონირებაში ეტალონურ სიდიდეთა (მაგალითად, სენსომოტორულ ველში ე.წ. “ბაზის-ეტალონის” და ადაპტაციის დონის) მნიშვნელოვანი როლია ნაჩვენები. თანამედროვე კვლევების თანახმად, ადამიანის მიერ განუსაზღვრელობის პირობებში რაოდენობრივი, ალბათური და თვისებრივი შინაარსის მქონე ინფორმაციის შეფასება წმინდა ლოგიკური (ნორმატიული) მსჯელობის სახით არ მიმდინარეობს.

ჩვენი თეორიული ვარაუდით, რაოდენობრივი და ალბათური შეფასებები სათანადო ამოცანაზე მიმართული სიტუაციური განწყობით უნდა იყოს დეტერმინირებული, რომლის ექსპერიმენტული მანიპულაცია გარკვეული ობიექტური ეტალონური სიდიდის შემოტანით არის შესაძლებელი. ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადები იყო სხვადასხვა ფორმის სიტუაციური ეტალონები (მაგალითად, ქვეყანაში მცხოვრებთა რაოდენობა და ადამიანთა სიკვდილიანობის მიზეზების კონკრეტული და რეალური მაჩვენებლები), ხოლო დამოკიდებული ცვლადები იყო ცდისპირთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის (“სტატისტიკური ობიექტი”) და ადამიანთა სიკვდილიანობის გარკვეული მიზეზების, კერძოდ, უბედური შემთხვევების და სხვადასხვა დაავადებათა („რისკის შემცველი მოვლენები“) შეფასებები. გამოკვლევა ცვლადების ორჯერადი გაზომვის ხერხით ჩატარდა, ხოლო მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი ეწეოდა დამოკიდებული შერჩევის მაჩვენებელთა ურთიერთშედარებით განხორციელდა. მიღებულმა ცდისუბრუნებამ მონაცემებმა შემდეგი აჩვენა: 1. როგორც მოსალოდნელი იყო, ცდისპირთა მიერ გაკეთებული ორივე (რაოდენობრივი და ალბათური) რეალური მონაცემებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება; 2. ექსპერიმენტულ ვითარებაში სათანადო ეტალონების (მოსახლეობის რაოდენობის და სიკვდილიანობის მიზეზების კონკრეტული ნიმუშები შესაბამისი მაჩვენებლებით) შემოტანამ

ალბათურ შეფასებებთან (ობიექტი – სიკვდილიანობის მიზეზები) შედარებით, რაოდენობრივ შეფასებებზე (ობიექტი – მოსახლეობის რაოდენობა) უფრო მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა; 3. რაოდენობრივ და ალბათურ შეფასებებში ცდისპირთა დარწმუნებულობასა და სათანადო შესაფასებელი ობიექტების შესახებ მათ ცოდნას შორის (ინფორმულობის სუბიექტური განცდა), როგორც მოსალოდნელი იყო, მნიშვნელოვანი კორელაცია გამოვლინდა. ამავე დროს, ამ ფაქტორებს შორის კავშირი ალბათურ შეფასებებთან შედარებით, რაოდენობრივ შეფასებათა შემთხვევაში უფრო მჭიდრო აღმოჩნდა. 4. დადგენილ იქნა მნიშვნელობის მქონე დადებითი კორელაცია ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და მისი ტერიტორიის შეფასებს შორის. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკუთრივ მოსახლეობის რაოდენობა ცდისპირთა უმეტესმა ნაწილმა მხოლოდ მისი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით შეაფასა (მაგალითად: “ავსტრალია ცალკე კონტინენტი, ამდენად მისი მოსახლეობის რაოდენობაც დიდი უნდა იყოს”). საგარეოდ, ამ შემთხვევაში ტერიტორიის ფაქტორი შეფასების სუბიექტური ეტალონის ფუნქციას ასრულებდა.

ლიტერატურა:

1. ჩარკვიანი, დ. დიდიგური, დ. მიზანდასახული ქცევის სხვადასხვა რეჟიმში ფუნქციონირება და ალბათური მსჯელობა. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, №1, 106-112.
2. Slovic, P., Fischhoff, B., Lichtenstein, S. Behavioral decision theory. Annual Review of Psychology, 1977, 1-3, MMA.
3. Hamond, K. Functonalizm and illuzionizm: Can integration be usefully achived? In: Insightes in decision making: Attribute to H.J. Einhorn. R Hogarth (ed). University of Chicago, 1900.
4. Brown, N., Siegler, R. The role availability in estimation of national population. Memory and cognition, 1992, 20, 406-412.
5. Надирашвили, Ш., Нониашвили, Т., Томеишвили, Н. Осуществление и оценка двигательной активности в сенсомоторном поле человека. Вопросы инженерной и социальной психологии. Тбилиси; 1974.
6. ჩარკვიანი, დ. სემანტიკური ასიმეტრიის თავისებურება მსგავსების და განსხვავების დამდგენ მსჯელობათა შემთხვევაში. მაცნე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, 2004, 1, 154-159.
7. Tversky, A., Khoeler, D. Support theory: A nonextensional representation of subjective probability. Psychological Review, 1996, 1, 547-567.

The impact of situational set on frequency and probabilistic evaluations

Resume

The regularities of the assimilative and contrastive evaluation of different objects and events have been extensively studied in the experimental psychology of set. In particular, the relevant research has demonstrated the importance of standard values (like *basic standard* and the *adaptation level* in the sensory-motor sphere) in the functioning of the sets underlying perceptual evaluations. According to the current research, the evaluation of quantitative, probabilistic and qualitative information in the conditions of uncertainty does not follow the pattern of logical (normative) judgment. It has to be noted that probabilistic and quantitative evaluation has never been studied from the perspective of standard values by Georgian psychology. The given experimental research aims to study the impact of situational standards on quantitative and probabilistic evaluations. According to our theoretical assumptions, quantitative and probabilistic evaluations should be determined by the situational set directed at a corresponding task. Situational set was experimentally manipulated through the introduction of a certain objective standard value.

Different situational standards (e.g. number of country population and specific and actual showings of human mortality) were introduced as the independent variable; the evaluation of the number of country residents (statistical object) and the reasons for human mortality, like accidents, different diseases, etc (risk related events) were identified as the dependent variable. The research used the pre and post test measurement design and applied the independent sample comparison method to statistically analyze the data obtained. The given research yielded the following results: 1. As expected, both evaluations - quantitative (object- number of population) and probabilistic (object – reason for mortality) turned out to be significantly different from the actual data; 2. Introduction of the above mentioned standards (number of population and concrete examples of mortality reasons with the corresponding showings) had a bigger impact on quantitative evaluations (i.e. object – number of population) than on probabilistic evaluations (object – mortality reason); 3. As expected, in quantitative and probabilistic evaluations the level of confidence and the knowledge related to the objects under evaluation (subjective experience of being informed) showed high level of correlation. Also, relationship between these factors turned out to be higher in the case of quantitative evaluation. 4. There is significant positive correlation between the number of country residents and the evaluation of the country's territory, which means that most research participants evaluated the number of population by the size of the country's territory (e.g. 'Australia is a separate continent, which means that the number of its population must be high.'). We could assume that in this case the territorial factor serves as a subjective standard for the evaluation process.

ახალი მოსაზრებები, მასალების განხილვა, მსჯელობა პერსპექტივაზე

მარინა ბალიაშვილი

დოქტორი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ობიექტივაცია ქრონიკული დეპრესიის მკურნალობაში

საკვანძო სიტყვები: ღებრესია, არააღიქვამი ქნვა, აგრძნების შორმალში ოპერაციები, ობიექტივაცია

ღებრესიის მკურნალობის კოგნიტურ და ბიჰევიორალურ მეთოდთა შორის ჩვენი ყურადღება ჯე-იმზ მაკ-კალოუს ფსიქოთერაპიის კოგნიტურ-ბიჰევიორალური ანალიზის სისტემამ მიიპერო. მასში სა-გულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული ღებრესიის რაობისა და მკურნალობის შესახებ. ავტორს მიაჩ-ნია, რომ რა მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული ღებრესია, მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშა-ნია პაციენტის დარწმუნებულობა, რომ მას არ შესწევს უნარი რაიმე შეცვალოს თავის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ადამიანებთან ურთიერთობაში, რათა მიიღოს გარემოდან ის, რაც სწადია.

მაკ-კალოუს თანახმად: 1. ქრონიკული ღებრესიის ეტიოლოგიური საფუძველია შეფერხებული განვითარება და 2. ღებრესია სისტემაში “ადამიანი – გარემო” მომხდარი შეუსაბამობის და შეუთანხმებლობის შედეგია.

შეფერხებულ განვითარებაში იგულისხმება შემდეგი: ქრონიკულ ღებრესიის მქონე ადამიანი არ რეაგირებს ლოგიკურად არგუმენტირებულ დასაბუთებაზე და კრიტიკული ანალიზის სხვა ტექნიკებზე; თერაპევტს ელაპარაკება მონოლოგის რეჟიმში, ხოლო მისი სააზროვნო პროცესები თავისი ბუნებით ალოგიკურია. პაციენტს არ შეუძლია ადამიანებთან თანაგანცდაზე დამყარებული ურთიერთქმედება, ხოლო საკუთარ ქცევაზე მიღებული რეაქციები – მეგობრების, მეუღლის, თანამშრომლების მხრიდან, გავლენას ვერ ახდენს მის ქცევაზე. ასეთი პაციენტი “დახურული” კოგნიტური სისტემაა. ერთი სიტყვით, ამბობს მაკ-კალოუ, ზრდასრული ადამიანი, რომელიც ღებრესიას განიცდის, ფუნქციონირებს პრიმიტიულ ფსიქოლოგიურ დონეზე, რაც 5-7 წლის ბავშვის დონეს შეესაბამება. აქვე შეიძლება განვსაზღვროთ: თუ ასეა, რატომ არ ემართება ღებრესია ამ ასაკის ბავშვს? იმიტომ, რომ ის სასიცოცხლო ამოცანები, რომლებიც ბავშვს უდგას, მისგან უფრო მაღალი დონის აზროვნებას არ ითხოვს.

მაკ-კალოუ მიიჩნევს, რომ ღებრესია ადამიანის და მისი გარემოს ურთიერთქმედების განმსაზღვრელი რამდენიმე ფაქტორის ერთდროული მოქმედების შედეგია. ღებრესიის ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით მაკ-კალოუ განიხილავს ღებრესიას როგორც სისტემაში “ადამიანი – გარემო” მომხდარ დარღვევას.

ამრიგად, ქრონიკული ღებრესია სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის არაეფექტური სტრატეგიების და, ამასთანავე, პერცეპტული “ბრმა ღაქის” არსებობის შედეგია, რომელიც ხელს უშლის ადამიანს გააცნობიეროს კავშირი იმას შორის, რაც მას სურს და იმ შედეგებს შორის, რას მის ქცევას მოჰყვება. თუ პერცეპტული კავშირი მის ქცევასა და გარესინამდვილეს შორის ამათუ იმ მიზეზით არ მყარდება ან წყდება, გარემო ვეღარ ახდენს გავლენას ინდივიდზე.

ღებრესიის მკურნალობისადმი მაკ-კალოუს მიდგომა ემყარება ორ საბაზისო დაშვებას:

1. ქრონიკული ღებრესია უფრო გასაგები გახდება თუ მას განვიხილავთ როგორც სტრესთან გამკლავების მრავალრიცხოვან უშედეგო მცდელობათა შედეგს;

2. პაციენტის დახმარება იქნება თუკი ვასწავლით მას განიხილოს თავისი პრობლემები “ადამიანი – გარესინამდვილე” სისტემის კონტექსტში. ეს გამოიწვევს ცვლილებებს ქცევაში, პიროვნულ ზრდას და ემოციურ რეგულაციას გააუმჯობესებს.

მაკ-კალოუს საგანგებო მითითება, რომ მკურნალობის მისი სქემა დეპრესიის ბიოფსიქოსოციალურ თეორიას ემყარება, ნიშნავს იმას, რომ განსხვავებით დეპრესიის მკვლევართა უმრავლესობისაგან, რომლებიც დეპრესიას განიხილავენ დიხოტომიურად – ან წმინდა ბიოლოგიურ დაავადებად ან როგორც ფსიქოლოგიურ დეზადაპტაციას – იგი ტვინის მოქმედების ორ, დამოუკიდებელ – ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მიმართულებას აღიარებს.

თავის თვალსაზრისს მაკ-კალოუ ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიაზე აფუძნებს.

პიაჟეს თანახმად, სოციალიზებული, ზრდასრული, სიმწიფეს მიღწეული ადამიანი გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში სამეტყველო ენას იყენებს იმისთვის, რომ გაიგოს სხვისი ნათქვამი და სხვას გააგებინოს თავისი. ამისთვის მას უნდა შეეძლოს “სხვის ადგილას დააყენოს თავი”. მართლაც, რაც უფრო განვითარებული აქვს ადამიანს აზროვნება, მით უკეთ ასერხებს მოვლენების სხვისი თვალთ დანახვას და იმის მიღწევას, რომ სხვებსაც ესმოდეს მისი. პიაჟეს ეს აღწერა სავსებით შეესაბამება ემპათიის თანამედროვე გაგებას. ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაში მყოფი ადამიანები ინფორმაციას სინქრონულად “გასცემენ” და “იღებენ”. ინტერპერსონალური როლები ავალდებულებს ადამიანს გაუგოს სხვას, გახდეს მისი მეგობარი ან ცხოვრების თანამგზავრი.

სტრუქტურის და განვითარების თვალსაზრისით ემპათიური ურთიერთქმედება გულისხმობს აბსტრაქტული აზროვნების უნარს ანუ პიაჟეს ტერმინოლოგიით – ფორმალური სააზროვნო ოპერაციების გამოყენებას. ადამიანებს, რომლებიც ვერ იყენებენ ფორმალურ სააზროვნო ოპერაციებს სოციო-ინტერპერსონალურ სფეროში და, აგრეთვე, მათ, ვინც ქრონიკული დეპრესიით იტანჯება, აუტენტური ემპათიური ქცევის გენერირება არ შეუძლიათ.

მაკ-კალოუ ემპათიური ინტერპერსონალური ურთიერთქმედების სიტუაციებში ქცევის გენერირების უნარში გულისხმობს კიდევ ერთ რამეს – ფუნქციონალობის გაცნობიერებას. ანუ იმის გაგებას, რომ ნებისმიერ ქცევას აუცილებლად მოჰყვება გარკვეული შედეგები. გაცნობიერებული ფუნქციონალობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მგრძნობიარეა იმისადმი, რა გავლენას ახდენს მისი ქცევა გარშემომყოფებზე და, აგრეთვე, რა გავლენას ახდენს სხვები მასზე.

ემპათიური ურთიერთქმედების გენერირების უნარის სრული აქტუალიზაცია მიუღწეველია, მაგრამ ნორმალური, ზრდასრული ადამიანი ამ მიმართულებით მუდმივად ვითარდება. ემპათია ადამიანთა შორის ურთიერთობის კვინტესენციაა.

პიაჟეს ნაშრომში “ინტელექტი და აფექტურობა” გადმოცემულია მისი პოზიცია, თუ როგორ ხდება კოგნიტური და, ასევე, ემოციური ორგანიზაციის (სქემის) განვითარება და მომწიფება. პიაჟეს ერთერთი უმთავრესი პრინციპი შემდეგია: შემეცნება და აფექტი მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფება და ეს ორი კომპონენტი ფაქტობრივად განუყოფელია. პიაჟე აღნიშნავს, რომ აფექტს აქვს თვისება სქემატიზირდეს (ორგანიზირდეს) დროთა განმავლობაში, კოგნიტური დიფერენციაციისა და “დეცენტრაციის” პარალელურად, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად. ბოლო ხანებში რამდენიმე მკვლევარი ანალოგიური პოზიციის მხარდასაჭერად გამოვიდა – ემოციები შემეცნებისა და ენის ეპიფენომენები კი არ არის, არამედ ქმნის დამოუკიდებელ სისტემას, რომელიც ნევროლოგიას და განვითარების პროცესებს აერთიანებს.

ნორმალური ემოციური განვითარება გულისხმობს რეგულაციის გაუმჯობესებას და, ამის პარალელურად, კოგნიტური სტრუქტურის დიფერენციაციას. განვითარების მსვლელობის დარღვევისას ადამიანის ქცევაში ემოციური გაუწონასწორებულობა ანუ კოგნიტურ და ემოციურ პროცესებს შორის შეუსაბამობა შეინიშნება. ამგვარი დარღვევის ერთერთი შედეგი იყოს დეპრესია.

ნორმალური განვითარების პროცესი მიჰყავს დეცენტრაციას. ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ბავშვი იძენს უნარს “გამოეთიშოს” ამწუთიერ განცდებს. ბავშვი გადის რეალობის

“ფოტოგრაფიული ხედვიდან” ანუ ინფანტილური აზროვნების ჩარჩოდან – როდესაც გარესინამდვილე შედგება მხოლოდ სტატიკური და კონკრეტული ხატებისაგან – და იძენს უნარს ცოდნა აქციოს წესებად და კატეგორიებად, რაც სცილდება ამჟამად შესრულებული მოქმედებების საზღვარს. დეცენტრაციის პროცესის საბოლოო მომენტი დგება მაშინ, როდესაც ბავშვი ეუფლება აბსტრაქტულ ცნებებს და მათი გამოყენების უნარს იძენს. ამ ეტაპს, რომლის მიღწევაც მოწმობს “აქ და ამჟამინდელის” ბატონობის დამხობას, ფორმალური სააზროვნო ოპერაციების ეტაპი ეწოდა.

ბავშვის ამგვარ გარდაქმნას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადაპტაციური ფუნქციის განვითარებისთვის. ნორმალურად განვითარებული ბავშვი 1) იძენს უნარს მოახდინოს გარესინამდვილის კონსტრუირება, რომელშიც ყოველი ემოციური რეაქცია (ბრაზი ან უგუნებობა) განიხილება მხოლოდ და მხოლოდ როგორც ერთერთი გამოვლინება და, ამასთანავე, ბავშვს აღარ პკონია, რომ მისი იმწუთიერი გრძნობები მასთან სამუდამოდ დარჩება; 2) ავლენს უნარს გაანაწილოს გარშემომყოფი ადამიანები სხვადასხვა კატეგორიებად და უარი თქვას შეხედულებაზე, რომ ყველა ყველას პგავს; 3) მას უკვე შეუძლია მშობლებთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირებული მოვლენები დაინახოს როგორც ინტერპერსონალური ურთიერთობების გრძელი ჯაჭვის ერთერთი რგოლი და უარი თქვას შეხედულებაზე, რომ ყოველი შემდგომი ინტერპერსონალური მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ იგივეს გამეორება იქნება.

ანალოგია ქრონიკულ დეპრესიაში მეოფ ადამიანთან სრულიად ნათელია: მასაც ახასიათებს რეალობის “ფოტოგრაფიული ხედვა;” უძნელდება მომავლის ხატის ფორმირება ან შესაძლო პერსპექტივების გააზრება წარსული გამოცდილებიდან მოწყვეტილად; დრო მისთვის, პირდაპირი გაგებით, გაჩერებულია – სწორედ ამიტომაც განსაზღვრავს წარსული მის აწმყო და მომავალ ინტერპერსონალურ ურთიერთობებს.

ტრადიციული კოგნიტურ-ბიპვეიორალური თერაპიებისაგან განსხვავებით, მაკ-კალოუს ეს მიდგომა პაციენტისა და თერაპევტის ურთიერთობას წინა პლანზე აყენებს და მაკორეგირებელი გამოცდილების განუყოფელ ნაწილად მიიხნევს. პიროვნულ, თუნდაც რეგლამენტირებულ ურთიერთობებში ჩართვით, თანაგანცდისა და ინტიმურობის ატმოსფეროს მოდელირებით, თერაპევტი ბიძგს აძლევს პაციენტის განცდებს, სრულიად განსხვავებულს იმისგან, რასაც პაციენტი იყო მიჩვეული. ფსიქო-თერაპევტთან ურთიერთობით მიღებული გამოცდილება ეხმარება პაციენტს მოიშოროს ნეგატიური ინტერპერსონალური მოლოდინები და ისწავლოს ადამიანის ნდობა.

რა მეთოდებს იყენებს თერაპევტი ამისთვის?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, უნდა ითქვას, რომ ქრონიკული დეპრესიის მქონე პაციენტის მკურნალობისთვის მოტივირებაა. უმწუბობისა და უიმედობის ყოვლისმომცველი განცდა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს პიროვნებათაშორისო ურთიერთქმედების გაუცხოებული სტილი, მხოლოდ თერაპიულ აღიანსში დაიძლება. მაკ-კალოუს აზრით, ეს ის გარემოა, რომელიც აუცილებლად სჭირდება ფსიქოთერაპევტს, რათა წარმატებით გამოიყენოს თერაპიული ტექნიკები, ისევე როგორც ანესთეზია სჭირდება ქირურგს, რომ ჩარევა განახორციელოს.

მეთოდები და პროცედურები

კოგნიტურ-ბიპვეიორალური ანალიზის ფსიქოთერაპიული პროგრამა ემყარება ვარაუდს, რომ პაციენტებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, აზროვნების განვითარების წინარეოპერაციულ სტადიაზე იმყოფებიან, დეპრესიის პრობლემა ფორმალურ სააზროვნო ოპერაციებს განმავითარებელი სავარჯიშოების გამოყენებით უნდა გადაიჭრას. ეს დაეხმარება პაციენტს გააცნობიეროს და გაიაზროს ფუნქციური კავშირი თავის ქცევასა და მის შედეგებს შორის და ამასთანავე, თავისი ინტერპერსონალური კონტაქტების ემპოთური თვალსაზრისით აღწერა ისწავლოს. თუკი პაციენტი თავს გაართმევს ამ ამოცანებს, ფორმალური ოპერაციები გავლენას მოახდენს მის სააზროვნო და ემოციურ პროცესებზე, მის მეტყველებასა და ქცევაზე. ეს სავარჯიშოები დაეხმარება მას, თვითონ განსაზღვროს, რისი გაკეთებაა აუცილებელი, რომ ამა თუ იმ სიტუაციაში ჩვეულებისამებრ დისკომფორტი აღარ განიცადოს.

თერაპიულ სესიაზე შესრულებულ სავარჯიშოებს შორის გამოვეყოფთ მთავარ კატეგორიას, რასაც სიტუაციის ანალიზი ეწოდება. იგი ორი, გამოვლენისა და გამოსწორების სტადიისგან შედგება.

სიტუაციის ანალიზი: გამოვლენის სტადია

აქ ძირითადი მიზანია ვაჩვენოთ პაციენტს, რომ ცხოვრება გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება, მაშინ როცა თვითონ მან მხოლოდ ქაოსი დაინახა – ასეთია, მაკაკალოუს მიხედვით, იმედის ოპერაციული განსაზღვრება. ამ იმედის ჩასახვა სიტუაციის ანალიზის ერთერთი ამოცანაა. სიტუაციის ანალიზის მეშვეობით პაციენტი დაინახავს, რომ თვითონ მისი როლი გადამწყვეტია სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში.

სიტუაციის ანალიზი ახდენს ქრონიკული დეპრესიის მქონე პაციენტების წინარეოპერაციული ორიენტაციის მოდიფიცირებას, აიძულებს ფუნქციონირებას ფორმალური სააზროვნო ოპერაციების უფრო სრულყოფილ დონეზე. წინარეოპერაციული ორიენტაციის მოდიფიცირება რამდენიმე მიმართულებით ხდება: პაციენტის გლობალურად აზროვნების პატერნების (მაგ., “მე არასოდეს არაფერი გამომივა”, “ჩემი ცხოვრება არასოდეს შეიცვლება უკეთესობისაკენ”) ნაცვლად, კონცენტრირება კონკრეტულ დროსა და სივრცეში მიმდინარე მოვლენებზე; ინტერპერსონალური მიზეზობრიობის წინააღმდეგობა და, აგრეთვე, პაციენტისთვის მისივე ქცევისა და გარემოს შორის ფუნქციური კავშირის დემონსტრირება; პაციენტის იძულება პირისპირ შეეჯახოს საკუთარი ინტერპერსონალური ქცევის მორჩილი სტილის დესტრუქციულ შედეგებს; პაციენტის ჩაბმა თერაპევტთან პარტნიორულ დიალოგში; უიმედობის განცდის დაძლევა იმის ჩვენებით, რომ ადაპტაციური ქცევით იგი თავს გაცილებით უკეთ იგრძნობს.

საკუთრივ სიტუაციის ანალიზი რამდენიმე ნაბიჯისგან შედგება.

ნაბიჯი პირველი – სიტუაციის აღწერა

I ნაბიჯის მიზანია ვასწავლოთ პაციენტს ყურადღების კონცენტრირება “დროის კონკრეტულ მონაკვეთზე”, რომლის განმავლობაშიც ის ურთიერთქმედებდა მეორე ადამიანთან. პირველი ნაბიჯის მსვლელობაში საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ მოვლენას ათვლის წერტილი აქვს დროში და ამასთანავე, განისაზღვროს მისი დროითი საზღვრები. ცხადია, გლობალურ მსჯელობებს მიჩვეული ადამიანისათვის ეს ადვილი არ იქნება. კიდევ უფრო ძნელად სწავლობს პაციენტი საბოლოო წერტილის ანუ სიტუაციიდან გამოსვლის მომენტის დანახვას. როდესაც სიტუაციური მოვლენა მკაცრად განისაზღვრა დროში („ეს დაიწყო მაშინ და დასრულდა ახლა“), თერაპევტს შეუძლია დაეხმაროს პაციენტს გაანალიზოს კოგნიტური და ქცევითი რეაქციები, რამაც იგი მოცემულ შედეგამდე მოიყვანა.

გარდა ამისა, სიტუაციის აღწერის ეტაპზე თერაპევტმა უნდა შეაწყვეტინოს პაციენტს მოვლენის “ტენდენციური გადმოცემა” ან სხვა ადამიანთა ქცევის მოტივების შესახებ ვარაუდების გამოთქმა. აუცილებელია ხაზგასმის, რომ პაციენტმა მხოლოდ ინტერაქციის ფაქტები უნდა გადმოსცეს.

პირველი ნაბიჯი წარმატებულად ჩაითვლება, თუ პაციენტის მონათხრობიდან თერაპევტს შეეძენება განცდა, რომ მან “მუნჯი კინო” ნახა.

I ნაბიჯზე პაციენტის მიზნები შემდეგია:

დაეუფლოს სიტუაციური მოვლენის ობიექტური და ლაკონური გადმოცემის უნარს; ამ მიზანში შედის: ყურადღების ფოკუსირება მხოლოდ ერთ სიტუაციაზე; მოვლენის ათვლის წერტილის და დასრულების წერტილის ზუსტად დადგენა; გამონათქვამებში ტენდენციურობის არდაშვება.

ერთ მოვლენაზე ყურადღების ფოკუსირების უნარის შემუშავება ხელს უწყობს წინარეოპერაციულ სტადიაზე მეოფი ზრდასრული ადამიანის გლობალური აზროვნების მოდიფიცირებას. დროსა და სივრცეში მოვლენის ფიქსირების უნარი ეხმარება პაციენტს

მაქსიმალურად ცხადად დაინახოს საკუთარი კოგნიტური და ქცევითი რეაქციები, რამაც განაპირობა სწორედ ის რეზულტატი, რაც მან მიიღო.

ნაბიჯი II – სიტუაციის ინტერპრეტაციები

პაციენტს სთხოვენ გაიაზროს სიტუაციის აღწერა, მოახდინოს მოვლენის ინტერპრეტირება და რამდენიმე ფრაზით უპასუხოს კითხვას: “მაშ, რას ნიშნავდა თქვენთვის ეს მოვლენა?” ინტერპრეტაციები შეიძლება იყოს ადაპტური ან დეზადაპტური. ადაპტურ ინტერპრეტაციები რთავს ადამიანს დროისა და სივრცის კონტექსტში, იძლევა მომხდარის დახასიათებას და ადგენს იმას თუ რა უნდა გააკეთოს და რისი გაკეთება სურს პაციენტს მოცემულ სიტუაციაში. გარდა ამისა, ადაპტაციური ინტერპრეტაციები გადადის ქცევაში, რომელიც უშუალოდ ინტერპერსონალურ ამოცანაზეა მიმართული. ერთი სიტყვით, ზუსტი და ადეკვატური ინტერპრეტაციები საშუალებას აძლევს ადამიანს “სიტუაციაში მთელი არსებით იმყოფებოდეს”.

სიტუაციის ადეკვატური ინტერპრეტირება ქრონიკული დეპრესიის მქონე პაციენტებს ძალიან უჭირთ. მათთვის დამახასიათებელია პრობლემის ფოტოგრაფიული ხედვა, ხოლო გარემოდან პერცეპტული გაუცხოება ხელს უშლის ცალკეულ მოვლენებზე კონცენტრირებაში.

ქვემოთ მოყვანილია დეზადაპტური ინტერპრეტაციის 8 კატეგორია:

1. კონფლიქტური სიტუაციების გლობალური ინტერპრეტაციები, რაც ხელს უშლის ამა თუ იმ პრობლემის უშუალო შეფასებას (მაგ., “მე არასოდეს გამიმართლებს ცხოვრებაში”);
2. განრიდების ინტერპრეტაციები, რომლებიც აქტუალურ პრობლემას ჩრდილავს და წარსულზე ან მომავალზე პაციენტის კონცენტრირებას განაპირობებს (მაგ., “როცა იყო ამის შესაძლებლობა, სხვა სამსახური უნდა ამერჩია”);
3. თვითდადანაშაულების ინტერპრეტაციები, რომლებიც ავტომატურად ბრალს სდებს ადამიანს და არ ითვალისწინებს სხვა გარემოებებს (მაგ., “ყველაფერი ჩემი ბრალია!” “ყველასთან ურთიერთობა ჩემი ხელით გავაფუჭე”);
4. “ყურით მოთრეული” ინტერპრეტაციები: სხვა ადამიანებისადმი დაუსაბუთებელი მოტივების, აზრების და გრძნობების მიწერა (“ვიცი, მას ეგონა, რომ მე არ მინდოდა ამის გაკეთება”);
5. თვითდამაკნინებელი ინტერპრეტაციები (“ვიცი, რომ სულელი ვარ, რახან ასეთი რამ გავიფიქრე”);
6. პერფექციონისტული ინტერპრეტაციები: საკუთარი თავისა და ადამიანთა მიუღწეველი სტანდარტებით შეფასება, რაც პაციენტს აქტუალურ სიტუაციასთან უშუალო კონტაქტისაგან იცავს (მაგ., “ვერასოდეს ვაკეთებ საქმეს ისე, როგორც საჭიროა”);
7. ინტერპრეტაცია-ვარაუდი – პროგნოზირება იმისა თუ რა ელის ადამიანს უახლოეს მომავალში შინ, გარეთ, სამსახურში და ადამიანებთან ურთიერთობებში (მაგ., “მე ვერასდროს ვერავის დაეუახლოვები”);
8. ინტერპრეტაცია-განცხადება, რაც ფანტაზიებში გაჭრას და არსებული პრობლემიდან გაქცევას ასახავს (მაგ., “გული მწყდება, რომ ასეთი რამ არასოდეს განმიცდია”).

II ნაბიჯზე პაციენტის მიზნებია: ისწავლოს სიტუაციების ზუსტი და ადეკვატური ინტერპრეტირება თერაპევტის დაუხმარებლად.

ნაბიჯი III – სიტუაციაში ძველა

ამ ნაბიჯის მიზანია მივიღოთ იმ მოქმედებების ვერბალური აღწერა, რაც პაციენტმა განახორციელა მოცემულ სიტუაციაში. თერაპევტი უბრალოდ სთხოვს პაციენტს: “მოყვებით რა გააკეთეთ მოცემულ სიტუაციაში”. მიღებულ ინფორმაციას თერაპევტი იყენებს იმისთვის, რომ დასახოს უნარ-ჩვევების (როგორიცაა ასერტულობა, თვითგამოხატვა, მოსმენა და სხვ.) გამომუშავების პროგრამა.

პაციენტის მიზნებია:

შესძლოს ფოკუსირება თავისი ინტერპერსონალური ქცევის იმ მხარეებზე, რომლებიც ხელს უწყობს სასურველი შედეგის მიღწევას.

IV ნაბიჯი – რეალური შედეგი

თერაპევტის კითხვა “რით დასრულდა თქვენთვის ეს მოვლენა?” პაციენტებისთვის ხშირად დამაბნეველია, რადგან ქრონიკული დეპრესიის მქონე პაციენტები, როგორც წესი, ვერ აცნობიერებენ თავისი ქცევის შედეგებს. მაშინაც, როცა ახერხებენ გაიხსენონ ამა თუ იმ სიტუაციის “კვანძის გახსნა”, ისინი მას გლობალურად აღწერენ (“მე არასოდეს არაფერი გამომდის”). თუ ადამიანი ვერ აცნობიერებს რა რეაქციას იწვევს სხვებში, იგი პერცეპტულად მოწყვეტილი რჩება გარესინამდვილეს.

მეოთხე ნაბიჯზე პაციენტი აცნობიერებს გარესამყაროსთან მისი კავშირის რავარობას. ეს ხერხდება იმით, რომ ევალუა ჩამოაყალიბოს რეალური შედეგი ქცევის ენაზე. სიტუაციური ანალიზის ეს ეტაპი შემოხრუნების წერტილია საკუთარი ქცევის შედეგების გაცნობიერების უნარის შესამუშავებლად. აქაც, ასევე, რეალური შედეგი დროისა და სივრცის პატამეტრებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მეოთხე ნაბიჯი – გადამწყვეტი მომენტია, რადგან ყველაფერი, რაც ხდებოდა მანამდე (კოგნიტური და ქცევითი კომპონენტებში), ერთიანდება ერთადერთ წინადადებად, რომელშიც რეზულტატი გადმოცემული. სიტუაციის ანალიზის მომდევნო პროცედურის ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, მოხდა თუ არა რეალური რეზულტატის კონსტრუირება ქცევის ენაზე. შემდგომში, პაციენტის ქცევის წარმატება ან წარუმატებლობა სწორედ ამ რეალური რეზულტატის მიხედვით შეფასდება.

IV ნაბიჯზე პაციენტის მიზნები:

შეძლოს ჩამოაყალიბოს რეალური რეზულტატი ერთი წინადადებით, ქცევის ენაზე. ეს ნიშნავს, რომ პაციენტს უკვე შეუძლია ყურადღების კონცენტრირება დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე და თქმა, რა იქნება მისი შედეგი ანუ გამოსავალი. პრობლემის თანმიმდევრული გადაწყვეტა პრობლემური სიტუაციის შესაცვლელად მიმართული ძალისხმევისაგან შედგება. ამისთვის წინარეოპერაციული აზროვნება პაციენტს აღარ გამოადგება – აქ მან თვალი უნდა გაადგენოს და დაინახოს რა კავშირია მის კოგნიტურ და ქცევით ტაქტიკებსა და ქცევის რეალურ შედეგებს შორის.

V ნაბიჯი – ამ ეტაპზე პაციენტმა უნდა გააგებოს ის, რაც მას ადრე, ალბათ, არასოდეს გაუკეთებია. გაიაზროს პოტენციური შესაძლებლობები და ჩამოაყალიბოს მოცემული მოვლენის სასურველი რეზულტატი. როდესაც თერაპევტი მას ეკითხება – “რით გსურდათ ეს სიტუაცია დასრულებულიყო?” – პაციენტის ყურადღება კონცენტრირდება სიტუაციის საბოლოო პუნქტზე და აღწერაზე რა შედეგისკენ ისწაფოდა იგი.

თერაპევტი ასწავლის პაციენტს ყოველი სიტუაციისთვის მხოლოდ ერთი სასურველი რეზულტატი დაასახელოს და მოკლედ ჩამოაყალიბოს იგი ქცევის თვალსაზრისით.

თერაპევტი ასწავლის პაციენტს ჩამოაყალიბოს მხოლოდ რეალისტური რეზულტატები. რეზულტატების რეალისტურობის ძირითადი კრიტერიუმია რამდენად შეუძლიათ გარშემომყოფებს პაციენტისთვის იმის მიცემა, რასაც იგი მათგან ითხოვს. ქრონიკური დეპრესიის მქონე პაციენტები, როგორც წესი, ამ კრიტერიუმებს არ სცნობენ და მათთვის ძირითადი სასურველი მიზანია “შეიცვალოს სხვა” და არა თვითონ. ხოლო რეალისტური მიზნები ისეთი მიზნებია, რომელთა განხორციელება ადამიანის შინაგან პოტენციალზეა დამოკიდებული. მათ რიგს მიეკუთვნება ქცევითი უნარ-ჩვევები, ინტელექტუალური მიღწევები, ემოციური რეაქციები და ა.შ.

ქრონიკური დეპრესიის მქონე პაციენტი ხშირად არარეალისტურ მიზნებს ისახავს. ინტერპერსონალური რიგიდობისა და სოციალური უნარ-ჩვევების ნაკლებობის გამო ნებისმიერ სოციალურ ვითარებაში ამ ადამიანის ხვედრი ფრუსტრაციაა. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ არ გააცნობიერებს მისთვის სასურველი შედეგის არარეალისტურობას.

V ნაბიჯზე პაციენტის მიზანი შემდეგია: ისწავლოს ისეთი მიზნების დასახვა, რომელთა მიღწევის უნარიც შესწევს; საკუთარ თავს წაუყენოს რეალისტური მოლოდინები და მოერიდოს არარეალისტურს.

პაციენტმა უნდა ისწავლოს აგრეთვე სასურველი შედეგის ქცევის ენაზე ერთ წინადადებად ჩამოყალიბება.

ნაბიჯი VI – რეალური და სასურველი შედეგების შედარება. ეს ნაბიჯი იწყება თერაპევტის შეკითხვით: “მიიღეთ ის, რაც გინდოდათ?” ეს კითხვა მთელი გამოვლენის ფაზის კულმინაციაა. პასუხი ამ კითხვაზე პაციენტებს, როგორც წესი, უჭირთ, რადგანაც უარყოფითი პასუხის გაცემა უწევთ. საინტერესო აქ ის არის, როგორ ხსნის წარუმატებლობას პაციენტი. ფსიქოთერაპიის მსვლელობაში პასუხი ამ კითხვაზე მნიშვნელოვნად იცვლება.

პაციენტის მიზნებია: ისწავლოს საკუთარი ქცევის შედეგების შეფასება რეალური რეზულტატისა და სასურველი რეზულტატის შედარების მეშვეობით. საკუთარი სოციალური ქცევის შეფასების უნარის ფორმირება – ამ პროგრამის ერთერთი მთავარი მიზანია. ეს ნაბიჯი გამოსწორების ფაზაზე “გადასასვლელი ხიდია”.

სიტუაციის ანალიზი: გამოსწორების სტადია

გამოსწორების სტადიის დასაწყისში პაციენტი და თერაპევტი დგანან ამოსახსნელი ამოცანის წინაშე – რა უნდა გააკეთოს პაციენტმა სხვაგვარად, ვიდრე აქამდე აკეთებდა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოს. სიტუაციის ანალიზი აძლევს პაციენტს შანსს “უკან მოიხედოს” და მიაგნოს იმ ინტერპერსონალურ მოვლენას, რომლის დარეგულირებაც მან თავის დროზე ვერ მოახერხა. ეს სავარჯიშო მშვიდად ვერ ჩაივლის, რადგანაც, სხვა თუ არაფერი, აქ კონცენტრირება წარუმატებლობაზე ხდება. მაგრამ ეს დისკომფორტი ამ შემთხვევაში სასურველია, რადგან ცვლილებას სწორედ ის ედება საფუძვლად.

გამოსწორების ნაბიჯები

ნაბიჯი I – არასწორი და არაზუსტი ინტერპრეტაციების გადასინჯვა. რეალური და სასურველი შედეგების შეპირისპირება ისევ და ისევ შეასხენებს პაციენტს საკუთარი ქცევის არაეფექტურობას. სასურველი შედეგი გვევლინება როგორც სამიზნე, რომელშიც “მოხვედრა” პაციენტის ამოცანაა. მაგრამ რეალური შედეგი უჩვენებს, რომ მიზანს ააცდინა. რეალური და სასურველი შედეგების მკაფიო დეფინიციები შედარების პროცესს აიოლებს.

I ნაბიჯის მსვლელობაში თერაპევტი ჩერდება თითოეულ ინტერპრეტაციაზე და თითოეული ინტერპრეტაციის შემდეგ უსვამს პაციენტს ერთსა და იმავე კითხვას – “რით ეხმარება ეს ინტერპრეტაცია იმის მიღწევას, რაც თქვენ გსურთ?” საკითხის ამგვარი დაყენება გულისხმობს, რომ ადამიანი აზროვნებს სქემით: “თუ – მაშინ”. როგორც ითქვა, თითოეული ინტერპრეტაცია მისი ადეკვატურობის და სიზუსტის თვალსაზრისით ფასდება. ადეკვატური ინტერპრეტაციები “ამაგრებენ” პაციენტს კონკრეტულ “დროით მონაკვეთზე”, წარმართავენ მის ძალისხმევას მოცემული მომენტისთვის აქტუალურ პრობლემაზე.

პაციენტის მიერ აგებული ინტერპრეტაციები, როგორც წესი, საჭიროებს გადამუშავებას.

მეორე ადამიანთან ურთიერთობის პროცესში საკუთარი ქცევის მოდიფიცირების უნარი მოითხოვს, რომ პაციენტს მუდმივად ჰქონდეს მხედველობაში სასურველი რეზულტატი და ფორმალური სააზროვნო ოპერაციები გამოიყენოს. გარდა ამისა, მას უნდა შეეძლოს სწრაფად გადაერთოს სხვა მიზანზე, თუკი აღმოჩნდება, რომ თავდაპირველი მიზნის მიღწევა შეუძლებელია. სწორედ ის, რომ პაციენტმა ისწავლოს სასურველი შედეგი მუდმივად იქონიოს “მიზანში ამოღებული” – პირველი ნაბიჯის არსია.

ნაბიჯი II – არადეკვატური ქცევის შეცვლა

ეს ნაბიჯი პაციენტისთვის ძნელი გასაგებელია, რადგან ჰგონია, რომ რეალურად ვერ შესძლებს ამის გაკეთებას. აქ ცვლილების შიში იჩენს თავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პაციენტი “გამოდებული კარში” შესვლისაგან თავს იკავებს. ასეთ დროს თერაპევტს შეუძლია აღუძრას

პაციენტს კოგნიტური დისონანსი შემდეგნაირად: “ახლა უკვე იცით რა არის გასაკეთებელი, მაგრამ თუ არ გინდათ ახლა, დაცადეთ, ნუ აჩქარდებით”. კოგნიტურ დისონანსს პაციენტს უქმნის ის, რომ იცის, როგორ უნდა მოიცილოს დისტრესი, მის ხელთაა ქცევის გადაწყვეტილების გამოტანა, მაგრამ თავისი უმოქმედობით იხანგრძლივებს ტანჯვას. აუცილებელია რაღაცის მსხვერპლად გაღება! ამ დისონანსის მოსახსნელად, პაციენტი მიმართავს ქცევის ახალ ვარიანტს და მას ეუფლება განცდა, რომ ამის გაკეთებას დამოუკიდებლად შესძლებს.

ამ ნაბიჯის მსვლელობაში პაციენტის მიზნებია: დაეუფლოს სიტუაციაში თავისი ქცევის შეფასებას და დამოუკიდებლად გამოასწოროს დაშვებული შეცდომები. გონებაში წარმოისახოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც სასურველი რეზულტატის მიღწევას განაპირობებს.

ნაბიჯი III: შედეგების შეჯამება და სიტუაციის ანალიზის იდეების ათვისება.

ამ ნაბიჯის დროს ხაზი ესმება იმას, თუ ზუსტად რა ცვლილებების გატარებაა საჭირო ცხოვრებაში სასურველი შედეგის მისაღებად. ამისთვის თერაპევტმა დროებით უკანა პლანზე უნდა გადაინაცვლოს და საშუალება მისცეს პაციენტს შეაჯამოს და შეაფასოს ის, რასაც იგი სიტუაციის გაანალიზებით მიხვდა.

თავის მხრივ, პაციენტი სიტუაციური ანალიზის სავარჯიშოს მთავარ კომპონენტებზე ფოკუსირებას ეუფლება. ამ დროს პაციენტი გარედან უყურებს სიტუაციას და აფასებს თავის მიღწევებს, საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, ითვისებს ახალ ცოდნას და უხარია, თუ სასურველი რეზულტატი რეალურ რეზულტატს დაამთხვია.

ნაბიჯი IV: სიტუაციის ანალიზის გადამწყვეტი ნაწილია ვასწავლოთ პაციენტს მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე გადატანა. ამისათვის საჭიროა პაციენტმა “დააფიქსიროს” წარსულში მომხდარი სიტუაცია, ამასთანავე, დაადგინოს რა იყო მასში არასწორი. ეს დაეხმარება პაციენტს მომავალში უფრო ეფექტიანად გაართვას თავი მსგავს სიტუაციებს. პაციენტს ახლა უკვე შეუძლია განცდილი მარცხის მიზეზის დადგენა და წარსული მოვლენის რეკონსტრუირება ახლად შეძენილ უნარების შუქზე. მიღებული ცოდნის გადატანა სხვა სიტუაციებზე უკვე ნიშნავს, რომ პაციენტმა შეწყვიტა უნაყოფო თვითგვემა იმის გამო, რომ საკუთარ პრობლემებს თავს ვერ ართმევდა. რაც მეტ გამოცდილებას შეიძენს პაციენტი მეოთხე ნაბიჯის გავლისას, მით უფრო იოლად დაძლევის ყოველდღიურ სტრესს.

გარდა ამისა, IV ნაბიჯი სამომავლო მოვლენების სიტუაციის ანალიზის ჩატარებას ემსახურება.

სიტუაციის ანალიზის საშუალებით შეიძლება დაიგეგმოს სამომავლო ინტერპერსონალური მოვლენები (მაგ. მნიშვნელოვანი სამუშაო შეხვედრა, მეუღლესთან სერიოზული ლაპარაკი, პაემანი და სხვ.) და წარმოსახვის პლანზე პაციენტმა მათი რეპეტიცია გაიაროს.

მოსალოდნელი მოვლენების სიტუაციის ანალიზის ჩატარების ფორმა, ამ შემთხვევაში, ოთხი ნაბიჯისაგან შედგება:

1. პაციენტი გამოჰყოფს სასურველ შედეგებს (ქცევის ენაზე);
2. პაციენტი გამოჰყოფს სიტუაციაში ყველაზე მოსალოდნელ რეალურ რეზულტატს (ქცევის ენაზე);
3. პაციენტი ადგენს ქცევის რა ფორმებია შესასრულებელი სასურველი შედეგის მისაღწევად;
4. პაციენტი ადგენს თუ რომელი ინტერპრეტაცია იქნება, სავარაუდოდ, საჭირო სასურველი მიზნის მისაღწევად.

ამრიგად, ქრონიკული დეპრესიის მეურნეობა, შემოთავაზებული თვალსაზრისის თანახმად, არის პაციენტის დახმარება გაიცნობიეროს მასსა და გარემოს შორის არსებული კავშირები ანუ, ფაქტობრივად, მოხდინოს მისთვის სასურველი ქცევის დაბრკოლებათა ობიექტივაცია: კონკრეტულად რა უშლის მას მუდმივად ხელს განახორციელოს სიტუაციისადმი ადეკვატური ქცევა და ამით საკუთარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

ფსიქიკური დარღვევების და დაავადებების შემთხვევაში ობიექტივაციის უნარის დაზიანებაზე მიუთითებდა დიმიტრი უზნაძე „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძვლებში“. აი

როგორ ახასიათებს იგი შიზოფრენიის მდგომარეობას: „შიზოფრენიის შემთხვევაში ობიექტივაციის უნარი დარღვეულია და “ობიექტივაციის უნარის დაშლასთან ერთად, რომელიც საფუძვლად უდევს ნებელობასა და ინტელექტს – აღიკვეთება ამ სისტემათა ნორმალური მუშაობაც: როგორც ინტელექტი, ისე ნებელობაც მოკლებულია თავის ჩვეულებრივ, ნორმალურ საფუძველს, მის გარეშე კი როგორც აზროვნება, ისე ნებელობა ქცევის პათოლოგიურ ფორმებში გამოვლენას იწყებს” [4:227]. საგულისხმოა კიდევ ერთი ციტატა: “ობიექტივაცია – უნარი, რომლის ბაზაზეც სპეციფიკურ – ადამიანური აქტივობა – ინტელექტი და ნებელობა აღმოცენდება – და ობიექტივაციის საფუძველზე წარმართული აქტივობის ამ მძლავრ სახეობათა ჩარევის შედეგად, სუბიექტის წინაშე შესაძლებლობა იშლება თავისი ცხოვრების მსვლელობას ნორმალური ხელმძღვანელობა გაუწიოს... მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ ობიექტივაციის ეს უნარი დაირღვა. მაშინ ცხადია, ამასთან ერთად ინტელექტისა და ნებელობის მოხსნის ფაქტიც უნდა დაეუშვათ. ამის შედეგი ის იქნება, რომ სუბიექტი ფიქსირებული განწყობის ფორმების ამარა დარჩება” [4:228].

ობიექტივაციის უნარის დაზიანებას აღნიშნავს უზნაძე ეპილეფსიის შემთხვევაშიც.

საკუთრივ დეპრესიის შესახებ დ. უზნაძის შრომებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც მიზეზი დეპრესიაში მყოფი ადამიანის ობიექტივაციის უნარის დარღვევაში უნდა ვეძიოთ, რის გამოც მას ეკარგება შესაძლებლობა თავისი ქცევის კორექცია ინტელექტის ხელმძღვანელობით მოახდინოს.

ამავე კუთხით ობიექტივაციის საკითხები განხილულია “განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებებში”. უზნაძე აღნიშნავს, რომ მცდარი აზროვნების არანაკლები ფაქტი არსებობს, ვიდრე სწორის, “ლოგიკური აზროვნება მცდარად უნდა ჩაითვალოს, როცა მისი განხორციელებისას არა გვაქვს მისთვის აუცილებელი ყველა წანამდვარი და, უპირველეს ყოვლისა, არა გვაქვს მისი ძირითადი პირობა – როცა ნამდვილი, სრულყოფილი ობიექტივაცია, არსებითად, არ ხდება [5:318]. ამრიგად, აზროვნებაში შეცდომის წყარო ობიექტივაციაშია საძიებელი. „მაგრამ საკითხავია, რა გზით შეიძლება იქცეს ობიექტივაცია საერთოდ შეცდომის წყაროდ...“ თვითონ ობიექტივაცია არც არაფერს ამტკიცებს და არც არაფერს უარყოფს. იგი წარმოადგენს მხოლოდ დაყოვნების ფაქტს, სუბიექტის მოქმედების მოცემულ პირობებში შექმნილი განწყობის შეჩერების ფაქტს და სხვას არაფერს [5:318]... ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში ადამიანი “იმდენად იმყოფება ფიქსირებული განწყობის ტყვეობაში, რომ მას დროებითაც არ შეუძლია აირიდოს იგი, რათა ნამდვილი, სრული ობიექტივაციის შესაძლებლობა მიიღოს [5:320]. ანუ ასეთი ადამიანი მოკლებულია ნამდვილი ობიექტივაციის რეალიზების უნარს. ამრიგად, არასრული, დეფექტური ობიექტივაცია არის მცდარი აზროვნების ძირითადი მიზეზი.

მაკ-კალოუს მიერ წარმოდგენილი ქრონიკული დეპრესიის სურათი სავსებით ესადაგება სხვადასხვა ფსიქიკური პათოლოგიის შემთხვევაში ობიექტივაციის უზნაძისეულ ანალიზს. ანუ პაციენტის მთავარი “ნაკლი” ის არის, რომ იგი ვერ გეგმავს და ახორციელებს ადეკვატურ პროსპექტულ ქცევას – ვერც განწყობისეულ დონეზე და ვერც ობიექტივაციის მეშვეობით ახერხებს დამოუკიდებლად მის მოდიფიცირებას. ფსიქოთერაპევტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაანაწევროს პაციენტის პრობლემა, კონკრეტულ ქცევით აქტებზე დაიყვანოს იგი. საკუთარი გამარტივებული, კონკრეტული და დროში მონიშნული პრობლემები პაციენტისთვის უფრო იოლი გადასაწყვეტია, ვიდრე პრობლემა ზოგადად, რომლის არათუ გადასაწყვეტად, დასანახადაც მას ობიექტივაციათა მთელი წყება ესაჭიროება. ფსიქოთერაპევტის დახმარება არის სწორედ ამ ობიექტივაციათა ხელშეწყობა და არა რაიმე სახის დირექტიული ზემოქმედება.

ფაქტობრივად, ფსიქოთერაპევტი პაციენტთან მისი ქცევის განწყობის დიფერენციალიზაციაზე მუშაობს.

ლიტერატურა:

1. McCullough, J.P., Treatment For Chronic Depression, Cognitive Behavioral Analysis System of Psychotherapy (CBASP), The Guilford Press, New York, 2000
2. Piaget, J., The Language and Thought of Child, New York, Harcourt, Brace, 1926
3. Piaget, J., Intelligence and Affectivity: Their Relationship during Child Development. Palo Alto, CA: Annual Reports, 1981.
4. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. შრომები, ტ.VI, “მეცნიერება”, თბ., 1967.
5. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები. შრომები, ტ.VI, “მეცნიერება”, თბილისი, 1967.

Marina Baliashvili

Objectification in the Treatment of Chronic Depression

Resume

The given article presents Cognitive Behavioral Analysis System of Psychotherapy (CBASP) in the treatment of chronic depression. The described methods and the mechanisms of treating chronic depression are compatible with the Uznadze Set Theory, namely the concept of objectification.

ნოდარ ბარამიძე

გათუმის შოთა რისთაველის სახ. უნივერსიტეტი

ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართებისათვის

საკვანძო სიტყვები: იმპულსური ქცევა, ნებელობითი ქცევა, მორალური ქცევა, მოტივი, ობიექტური ღირებულება.

ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართების პრობლემა ორი მეცნიერების ზიარი ურთულესი პრობლემაა. იგი ასე დაისვა წინამდებარე ნაშრომის ავტორის წინაშე: სტუდენტობისას სპეციალური პრაქტიკის ერთ მონაკვეთს გაედიოდით დ.უხნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. შეხვედრები გვქონდა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელებთან. შევხვდით ბატონ შალვასაც (პროფ. შ.ჩხარტიშვილი იმხანად პედაგოგიკური ფსიქოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა). სხვა საკითხებთან ერთად, მან ისაუბრა ნებისყოფის პრობლემაზე. როდესაც მომეცა შესაძლებლობა, მე მოკრძალებით ვკითხე მას: ნებისყოფის შესახებ აქ მოსმენილი შეხედულების მიხედვით (იგულისხმება ბატონ შალვას შეხედულება) როგორ უნდა გავიგოთ, მაგალითად, პიტლერს ჰქონდა თუ არა მტკიცე ნებისყოფა? მოქმედებდა თუ არა იგი გადაწყვეტილებათა მიღებისას ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულებებით, ე.ი. როგორც ნებისყოფის სუბიექტი? ბატონმა შალვამ მიპასუხა: საკითხს ასე ნუ დავსვამთო და იმჯერად საჭიროდ არ მიიჩნია საუბრის ამ ასპექტით გაგრძელება. შემდეგში ეს საკითხი, სამწუხაროდ, ამოვარდა ჩემო ცნობიერებიდან და მხოლოდ ბოლო პერიოდში დადგა ჩემ წინაშე მთელი სიმწვავეთ: როგორია მიმართება ნებელობით ქცევასა და ზნეობრივ ქცევას შორის? არის თუ არა ყველა ნებელობითი ქცევა ზნეობრივი, ანდა, პირიქით? კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ახლა უკვე ვეღარ მოვისმენთ ბატონ შალვას მოსაზრებას ამასთან დაკავშირებით. ამ დანაკლისს ვერავინ შეაგებს. საკითხი კი სერიოზულ განსჯა-გააზრებას მოითხოვს. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მოსაზრებას გამოვთქვამთ ამ პრობლემის გარშემო და ისიც საკითხის დასმის წესით.

პირველ რიგში დავაზუსტოთ ნებისყოფისა და ზნეობის, ნებელობითი ქცევისა და ზნეობრივი ქცევის ჩვენთვის მისაღები ცნებები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პრობლემა ჩვენ წინაშე დაისვა ნებისყოფის შესახებ ჩხარტიშვილისეული შეხედულების მოსმენის შემდეგ. ათეული წლების განმავლობაში მოტივაციისა და მასთან დაკავშირებული ნებისყოფის საკითხებზე მუშაობამ დავგარწმუნა, რომ შ.ჩხარტიშვილის შეხედულება ყველაზე უკეთესად გამოხატავს ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნებას [7; 8]. ამ შეხედულების არსი, ძალიან მოკლედ, შემდეგია.

ნებისყოფაზე თავისი შეხედულების აგებისას, შ. ჩხარტიშვილი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავს მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ ბუნებას და ნათელყოფს, რომ შეუძლებელია ყოველგვარი ადამიანური აქტივობის წყარო იყოს მხოლოდ მოთხოვნილება. მართალია, მოთხოვნილება არის აქტივობის ყველაზე უფრო ძირითადი ფაქტორი, რომელიც მონაწილეობს ყველა ქცევაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ქცევა ყოველთვის აღიძვრება და წარმართება მოთხოვნილების ცოცხალი პროცესით. მოთხოვნილება, როგორც ქცევის წყარო, საერთოა ადამიანისა და ცხოველისთვის. ადამიანს აქვს ამ საერთოსაგან განმასხვავებელი აქტივობის სპეციფიკური წყაროც – ნებისყოფა.

მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას შ. ჩხარტიშვილი იმპულსურ ქცევას უწოდებს, განურჩევლად იმისა, თუ როგორი მოთხოვნილებაა ეს, ცნობიერების რომელ დონეზე მიმდინარეობს ქცევა და რა წინააღმდეგობის გადალახვა უხდება მის სუბიექტს. იმპულსურ ქცევას, მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ერთადერთი მიზანი აქვს: დაკმა-

ყოფილდეს ამ ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილება. სხვა რამ (ქცევის შედეგები, მათი დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა ახლო თუ შორეული პერსპექტივისათვის, მომავალი ცხოვრებისათვის) ამგვარი ქცევის სუბიექტს არ აინტერესებს. იმპულსური ქცევის მიზანი თვით ამ ქცევაშია მოცემული. ხოლო იმპულსური ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს ემოციური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება, რომელიც მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ ქცევის აქტებთან უშუალო კავშირში იხენს თავს და რომლის სიდიდე იცვლება მოთხოვნილების სუბიექტის მდგომარეობის ცვალებადობის შესატყვისად: მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მისი დაკმაყოფილების კვალობაზე მცირდება. გარდა ამისა, ძლიერ დამოკიდებულია სუბიექტურ თვისებებზე. ამიტომ უწოდებს ავტორი მას სუბიექტურ ღირებულებას.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ნებისყოფით განსაზღვრული ნებელობითი ქცევის მიზანი ყოველთვის ქცევის შედეგზე, ამ შედეგის ობიექტურ ღირებულებაზეა მიმართული. ნებელობითი ქცევის სუბიექტს აინტერესებს იმ შედეგების ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულება, რომლებიც უნდა დარჩეს ქცევის დასრულების შემდეგ. ნებელობითი ქცევის მოტივია ნივთიერ და სულიერ ღირებულებათა შექმნის, დაცვის, გამრავლებისა და შენახვის საჭიროება.

ობიექტური ღირებულებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გაცნობიერება მხოლოდ ნებისყოფასთან მიმართებაში იძენს მოტივის ფუნქციას. ნებისყოფის სუბიექტი ობიექტურ (საზოგადოებრივ) ღირებულებათა საზომით აფასებს მოვლენებს. მოთხოვნილება მხოლოდ თავისი თავის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ხოლო ნებისყოფა ერთნაირად მოიცავს ყველა მოთხოვნილებას და პირველ რიგში ზრუნავს იმის დაკმაყოფილებაზე, რომელსაც მეტი ობიექტური ღირებულება აქვს.

ნებელობითი ქცევის მოტივი, როგორც ვთქვით, განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, არის ობიექტური ღირებულება. იგი იმით განსხვავდება სუბიექტური ღირებულებისაგან, რომ მისი არსებობა და სიდიდე არაა დამოკიდებული არც სუბიექტის მომენტურ მდგომარეობაზე და არც მის სუბიექტურ თვისებებზე და ამის მიხედვით არ ცვალებადობს. მას „ზედროული“ და „ხესუბიექტური“ არსებობის ფორმა აქვს და, ჩვეულებრივ, ლოგიკური მსჯელობის სახით ეძლევა ქცევის სუბიექტს.

ნებისყოფის სპეციფიკურ ბუნებას, შ. ჩხარტიშვილის აზრით, დ. უზნაძისაგან განსხვავებით [4], გამოხატავს „მე უნდა“ განცდა, ხოლო „მე მინდა“ განცდა მხოლოდ იმპულსური ქცევის აქტებში დასტურდება და მოთხოვნილების სუბიექტის ბუნებას უფრო გამოხატავს.

შესაბამისი საკითხების დეტალური ანალიზის საფუძველზე, შ. ჩხარტიშვილი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანმა ცნობიერების გვერდით ნებისყოფის სახით შეიძინა ისეთი სპეციფიკური თავისებურება, რომელიც საშუალებას აძლევს მას, განთავისუფლდეს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების ტყვეობისაგან, დადგეს მომენტის ინტერესებზე მაღლა, ხელში აიღოს საკუთარი ქცევის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობანი და ისეთი აქტივობა განავითაროს, რომელიც მიმართულია ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსაკენ, შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს და, ამასთანავე, პიროვნების მომავალი ცხოვრების ამოცანებს პასუხობს. სწორედ ნებისყოფა არის პიროვნების არსებობის ძირითადი ფორმა. სადაც არაა ნებისყოფა, იქ არაა არც პიროვნება.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულება პიროვნებისათვის საკაცობრიო ღირებულებასაც გულისხმობს, ვინაიდან ჭეშმარიტი საზოგადოებრივი ღირებულება, ამავე დროს, საკაცობრიო მნიშვნელობის მატარებელია და საკაცობრიო ღირებულება თავისთავად საზოგადოებრივი ღირებულებაცაა.

ასეთია, ძალიან მოკლე, შ. ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითადი აზრი ნებისყოფაზე და ნებელობითი ქცევის მოტივზე.

აღნიშნული შეხედულებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ წმინდა ნებელობითი ქცევა არის შრომა, ადამიანის ის თვისება, ის უმაღლესი სიკეთე, რომლის გარეშე არც მას შეუძლია არსებობა და არც საზოგადოებას. ამასთანავე, შრომა ისტორიული თვალსაზრისითაც უპირველესი სიკეთეა.

ადამიანმა, როგორც ასეთმა, ისტორიულად არსებობა დაიწყო სწორედ შრომით (რომელიც ნებისყოფითი ქცევაა) და დღესაც შრომაა მისი არსებობისა და ბედნიერების საფუძველი. შრომის ზნეობრივ ღირებულებას განსაზღვრავს მისი შედეგის საზოგადოებრივი ღირებულება.

ახლა, ასევე მოკლედ, დავაღაგოთ ზნეობისა და ზნეობრივი ქცევის შესახებ საყოველთაოდ ცნობილი დებულებები და ცალკეულ ავტორთა გამონათქვამები.

“ზნეობა” ეტიმოლოგიურად იმასვე ნიშნავს, რასაც “მორალი”. ესე იგი, ზნეობრივი და უზნეო იგივეა, რაც მორალური და ამორალური. თუმცა, ზოგიერთები თვლიან, რომ ზნეობრივის ცნება გამოხატავს სუბიექტურ სიკეთეს, სუბიექტურ კეთილობას, ხოლო მორალურის ცნება – ობიექტურ სიკეთეს. მაგალითად, ადამიანმა გადაარჩინა გაჭირვებისაგან თავისი ამხანაგი არა იმიტომ, რომ თანაუგრძნობს მას, ეცოდება ან უყვარს, არამედ ხალხის წინაშე გაკიცხვის შიშით, პატივმოყვარეობის გამო, ანგარებით და ა.შ. ამ შემთხვევაში ქცევა გარეგნულად, შედეგების მიხედვით, მორალურია, საზოგადოებრივად სასარგებლოა, მაგრამ მას არ აქვს შინაგანი ზნეობრივი მოტივი. უფრო მეტიც, ქცევის მოტივი შეიძლება გამოჩნდეს ბოროტება იყოს, შედეგი კი – სიკეთე. მაგალითად, ბანდიტებმა მანქანიდან კაცი გადააგდეს ხრამში მოსაკლავად, მაგრამ იგი გადარჩა, ცოტა ხანში მანქანა თავად გადაიხეხა ხრამში და ყველანი დაიღუპნენ. გამოდის, რომ ბანდიტების უზნეო ქცევა მორალური ყოფილა, ვინაიდან მას ობიექტური სიკეთე მოჰყვა შედეგად, რაც პარადოქსია.

ეთიკის ცნობილი ქართველი სპეციალისტის, გბანძელაძის სამართლიანი შენიშვნით, სწორია ის, რომ სუბიექტური და ობიექტური სიკეთე განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამის გამო ზნეობრივისა და მორალურის განსხვავება არაა მიზანშეწონილი [2].

პიროვნების ზნეობა – ეს არის სხვა ადამიანებისა და საზოგადოების სასარგებლოდ შეგნებული, მიზანდასახული მოქმედების უნარი. ხოლო როცა განსაზღვრავენ საზოგადოების ზნეობას, მასში გულისხმობენ იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც გამოხატავს პიროვნებათა შეგნებულ ზრუნვას ერთმანეთისა და საზოგადოებისათვის.

ადამიანის ზნეობაზე, უპირველეს ყოვლისა, მისი ქცევის მიხედვით მსჯელობენ. ზნეობრივი ქცევა უანგარო ქცევაა. იგი ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა. ზნეობრივი ქცევა უმაღლესი ღირებულებებისადმი სამსახურს გულისხმობს. ასეთ ღირებულებებს მიეკუთვნება თავისუფლება, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე. ზნეობრივი მოქმედება ხორციელდება ზნეობრივი შეგნების, ანუ ადამიანის უმაღლესი დანიშნულების გაცნობიერების საფუძველზე, რაც ამ ღირებულებებისადმი სამსახურია და რომელიც ადამიანის კონკრეტულ ქცევაში რეალიზდება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ზნეობრივი ქცევა გულისხმობს ქცევის მოტივებისა და მიზნების გაცნობიერებასაც და თვითრეფლექსიის მიხედვით მოქმედებას.

ზნეობრივი ქცევისა და ადამიანის ღირსების საზომია არა ქცევის შედეგი, არა საგნობრივი ფენომენი, არა ამ შედეგის შეფასება სხვათა მიერ, არამედ საკუთარი სინდისი. ქცევას, ბუნებრივია, გარკვეული შედეგი მოჰყვება, მაგრამ ზნეობრივი ქცევა, სიკეთის ქმედება გამორიცხავს რაიმე შედეგისაკენ ქცევის სუბიექტის მისწრაფებას. ზნეობრივად ადამიანი იქცევა არა რაიმე შედეგისათვის, არამედ მას არ შეუძლია სხვაგვარი მოქმედება. ზნეობრივი ქცევა ხორციელდება თავისუფალი არჩევანის საფუძველზე და უანგარო ზრუნვაა სხვა ადამიანზე, მის მომავალზე, საზოგადოების კეთილდღეობაზე, ჭეშმარიტებაზე...

ზნეობრივი ქცევა საკუთარი სინდისის მიხედვით მოქმედებაა. სინდისი სამართლიანობის ზოგადსაკაცობრიო გრძნობის გამოხატულებაა და, ამდენად, თვითონაც ზოგადადამიანური ფენომენია. სინდისი, როგორც ზნეობრივი შეგნებისა და ზნეობრივი გრძნობის უნარი, პიროვნების მორალური თვითკონტროლისა და თვითგანსჯის უმაღლესი ფორმაა. სინდისი შეიძლება გამოვლინდეს როგორც რაციონალური ფორმით საკუთარი მოქმედების ზნეობრივი მნიშვნელობის გაცნობიერებაში, ისე ემოციურადაც. ამის მაგალითია “სინდისის ქენჯნა”.

ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის ზემოაღნიშნული გაგებიდან ჩანს, რომ, ძირითადი მახასიათებლებით, ეს ქცევები ემსგავსებიან ერთმანეთს. მათი დახასიათებიდან გამომდინარე, ნებელობითი და ზნეობრივი ქცევა, ფსიქოლოგიურად, ფაქტობრივად, იდენტურია. სხვანაირად რომ

ვთქვათ, ყველა ნებელობითი ქცევა ამავე დროს ზნეობრივია და ყველა ზნეობრივი ქცევა ნებელობითია. და ეს ასეა მიუხედავად იმისა, რომ პირველს შედეგი აინტერესებს და მეორეს (ზნეობრივს) – არა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ზნეობრივი ქცევა პროცესუალურია და არა საგნობრივ-სუბსტანციური. ეს საგანი, ეს “სუბსტანცია”, სიკეთის ქმედების მიზნის სახით, იმთავითვე მოცემულია ამ ქცევის სუბიექტის შეგნებაში, გადაქცეულია ზნეობრივი ადამიანის მოქმედების მყარ მოტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზნეობრივი ქცევა მხოლოდ მომენტური კმაყოფილების მიღებით აღძრულ იმპულსურ ქცევას დაემსგავსებოდა, ან უმიზნო აქტივობის სახეს მიიღებდა. რეალურად კი იგი ადამიანის პიროვნების არსის გამომხატველი მოქმედებაა. ზნეობრივი ქცევა ყოველთვის სიკეთის კეთებისაკენ, სამართლიანობისაკენ, თავისუფლებისაკენ და სხვა ობიექტურ, საკაცობრიო თუ საზოგადოებრივ ღირებულებათა შექმნის, დაცვის და გამრავლებისაკენ არის მიმართული. ეს ღირებულებები კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნებელობითი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ზნეობრივი ქცევა ნებელობითი ქცევაა, და პირიქითაც. ამ მოსაზრებას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: როგორც აღვნიშნეთ, ზნეობრივი ქცევა ზნეობრივ შეგნებას გულისხმობს. სიკეთე რომ გააკეთო, უნდა იცოდე – რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა უნდა გააკეთო და რა არ გააკეთო, რა გევალება, რა არის უმთავრესი საზოგადოებრივი და საკაცობრიო ღირებულებები და ა.შ. მაგრამ ზნეობისა და ზნეობრივი ქცევის შინაარსი სრულიად არ ამოიწურება მხოლოდ ცოდნისეული, ინტელექტუალური ნიშნით. ადამიანმა შეიძლება იცოდეს ბევრი რამ, ჰქონდეს ზნეობრივი შეხედულებები, იდეები, წარმოდგენები, ჰქონდეს კეთილი ნება, ანუ მისი განხორციელების სურვილი, მაგრამ ვერ იქცეოდეს ზნეობრივად, უბრალოდ, არ ჰქონდეს ზნეობა. ერთია ზნეობრივი შეგნება და მეორეა ზნეობრივი მოქმედება. როგორც ვხედავთ, ზნეობრივი შეგნება ზნეობრივი მოქმედების აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი.

იმისათვის, რომ ადამიანი ზნეობრივად მოიქცეს, ზნეობის ცოდნის გარდა, აუცილებელია მისი პიროვნების ქმედითი მხარეც – ნებისყოფის სახით. მას უნდა შეეძლოს ამაღლდეს ინდივიდუალურ ნებაზე, „მე მინდა“-ზე და იმოქმედოს საზოგადოებრივი ნების, ანუ „მე უნდა“-ს მიხედვით. ეს კი შესაძლებელია ისეთი სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყაროს საფუძველზე, როგორიცაა ნებისყოფა. იგი შეგნებისადმი დამორჩილების უნარია. ნებისყოფა ის ძალაა, რომელიც ზღუდავს და იმორჩილებს ადამიანის არაგონივრულ სურვილებსა და მოთხოვნილებებს და შეგნებას უქვემდებარებს მათ. ადამიანი პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის იმიტომ, რომ აქვს ნებისყოფა. აფექტი სწორედ იმის გამო ითვლება დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად, რომ ამ დროს ნებისყოფა ბლოკირებას განიცდის. მოკლედ, ნებისყოფა ისევე აუცილებელი ხდება ზნეობრივი ქცევის განხორციელებისათვის, როგორც ზნეობრივი შეგნება.

დაისმის კითხვა: იძლევა თუ არა ნებისყოფა გარანტიას, რომ მისი მფლობელი ყოველთვის ზნეობრივად მოიქცევა, ზნეობრივი ადამიანი იქნება? ნებისყოფის შესახებ აქ დალაგებული ჩხარტიშვილისეული შეხედულების მიხედვით, ეს ძირითადად ასე უნდა იყოს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ ბუნებით ზნეობრივმა ადამიანმა უნებისყოფობა გამოავლინოს და რაიმე უზნეობა ჩაიდინოს. ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია. მაგალითად, ზოგიერთ შრომისმოყვარე და ალაღმართალ კაცს, შეიძლება, ღოთობა, ღვინისადმი ჭარბი სიყვარული ახასიათებდეს. მაგრამ ასეთი ცალკეული გამოვლინებები ვერ ცვლის საერთო სურათს, მით უფრო, რომ აბსოლუტური ზნეობრიობა ძნელი მისაღწევია. მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში, ნებისყოფისა და მოტივის ბუნების გაგებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ასეთი პიროვნული ძალის მფლობელი არსებითად ზნეობრივი ადამიანიც იყოს.

ბოლო პერიოდში, ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგიაზე უაღრესად ორიგინალური და გლობალური ხასიათის მოსაზრებები შემოგვთავაზა ამ საკითხის ცნობილმა მკვლევარმა ირაკლი იმედაძემ [3].

ახლა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რითაც დავიწყეთ წინამდებარე ნაშრომი. კერძოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორ უნდა გავიგოთ და დავახასიათოთ

ჰიტლერის, თუნდაც სტალინის, ლენინის და მათი მსგავსი ბელადების მოქმედებები ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართების თვალსაზრისით?

ერთ რამეზე წინასწარ უნდა შევთანხმდეთ: ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ მათ ავადმყოფურად სუსტი და პათოლოგიური ნებისყოფა ჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში მათი შერაცხადობისა და პასუხისმგებლობის საკითხი ეჭვის ქვეშ დადგებოდა და, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ნიურნბერგის პროცესიც მავანთათვის გაუმართლებელი იქნებოდა. მაგრამ არა. ყველაფერი კანონზომიერი იყო, ვინაიდან მათი ნებისყოფის სისუსტეზე კი არა, უფრო ხშირად მტკიცე, რკინისებური ნებისყოფის შესახებ ლაპარაკობენ. მაშასადამე, მათთვისაც, ისევე როგორც ნორმის ფარგლებში მყოფი ყველა ჩვეულებრივი ადამიანისთვის, დამახასიათებელი იყო ნებისყოფით განსაზღვრული აქტიუობა, ანუ ნებელობითი ქცევა და მოთხოვნების იმპულსით აღძრული იმპულსური ქცევა. მათთვისაც არც ნებელობითი ქცევა იყო უცხო და არც – იმპულსური.

როდესაც ვსვამთ საკითხს ამ ადამიანების ნებელობითი და ზნეობრივი ქცევის მიმართების შესახებ, ბუნებრივია, რომ მათი ზოგიერთი ნებელობითი ქცევა (ან ქცევათა რიგი) ზნეობრივიც იყო. მაგრამ ისიც ცხადია, როდესაც ეს საკითხი ისმება ცნობილ, არაორდინალურ ადამიანებთან მიმართებაში, პირველ რიგში, წარმოვიდგენთ ხოლმე მათ საყოველთაო, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილ მოქმედებებს. ბუნებრივია, ეს მოქმედებები, უმეტეს შემთხვევაში, არაზნეობრივი იყო, მაგრამ გვიჭირს დავიჯეროთ, რომ ისინი, არსებითად, იმპულსური ხასიათის ქცევები იყო და არა ნებელობითი.

ნებელობითი ქცევის მოტივი, როგორც ვიცით, ობიექტური, საზოგადოებრივი და საკაცობრიო ღირებულებებია, რომლებიც ადამიანთა ინტერესებისათვის, მათი ახლო თუ შორეული პერსპექტივისთვის და, საბოლოოდ, მათი ბედნიერებისთვის არის გამიზნული. რა იყო, მაგალითად, ჰიტლერის მოქმედების მოტივი, როდესაც იგი არაარიული რასის განადგურების ღირებულებას იძლეოდა? რომელ საკაცობრიო მოტივს ეფუძნებოდა მისი ცნობილი ღოზუნგი: გერმანია, გერმანია უპირველეს ყოვლისა! ან რომელ ობიექტურ ღირებულებაზე ფიქრობდა იგი, როდესაც იგივე გერმანელების ჩასახრჩობად ბერლინის მეტროში მდინარის ჩაშვება გადაწყვიტა – არ ყოფილხართ გერმანელები ჩემი ღირსიო. მიაქციეთ ყურადღება: „არ ყოფილხართ ჩემი ღირსიო“. აქ უკვე ჰიტლერის ჩაკეტილი მსოფლმხედველობაც ვერაფერს გვისხნის.

ჩვეულებრივ, ქცევის სუბიექტი სირცხვილს უნდა განიცდიდეს ქცევის საზოგადოებრივი მიუღებლობის შემთხვევაში. ჰიტლერი არათუ სირცხვილს არ განიცდიდა, არამედ სინდისისაგან (ამ “ქიმერისაგან”) ათავისუფლებდა გერმანელ ჯარისკაცებსაც და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა თავისი ბოროტი ღირებულებების განხორციელებისთვის ბრძოლაში. “ის ადამიანები – შენიშნავს ერის ფრომი – რომლებსაც სწამდათ ჰიტლერის მიერ გამოცხადებული იდეებისა, როცა ადამიანური ბუნებისათვის უცხო ქმედებებს ჩადიოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ სინდისიერად იქცოდნენ” [6:4].

პრინციპულად იგივე ითქმის პროლეტარიატის დიდი ბელადის, “ძია ლენინის” შესახებაც [1]. საკუთარი სამშობლოს გაყიდვის ფასად მიღწეული ოქტომბრის გადატრიალება, საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს ერთი, მისთვის მიუღებელი, ნაწილის მტრად გამოცხადება და მზადყოფნა მისი განადგურებისთვის, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით გაცემული ამაზრზენი განკარგულებები, ეკლესია-მონასტრების დანგრევა, რელიგიის მსახურთა და რელიგიურ ფასეულობათა უმოწყალო განადგურება და ა.შ. რომელი ობიექტური, სოციალური და საკაცობრიო მოტივებით იყო ნაკარნახევი? კაცობრიობის ე.წ. ნათელი მომავლისთვის ჩადენილი ეს ქმედებანი, სამყაროს ყველაზე დიდი ღირებულების – ადამიანის (ათეული მილიონობით ადამიანის) სიცოცხლის მოსპობის ფასად, ნებელობითი ქცევის მოტივის ჩვენთვის მისაღებ გაგებაში ვერ თავსდება. დასახელებული მოქმედებები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც უაღრესად ეგოისტური ხასიათის, უზნეო, წმინდა იმპულსური ქცევა, რომლის მოტივიცაა სუბიექტური ღირებულება. გავიხსენოთ ჰიტლერის გამონათქვამი: გერმანელებო, არ ყოფილხართ ჩემი ღირსი და ამიტომ უნდა დაიღუპოთ.

სიტყვა “ჩემი” აქ სწორედ უმაღლესი ეგოიზმის, საკუთარი სიდიადის გამოვლინებაა, ამისკენ მისწრაფების გამოხატულებაა.

შეიძლება იკითხოთ: ეს ადამიანები ხომ დიდ ძალისხმევას ავლენდნენ მიზნის მისაღწევად. მათთვის ე.წ. შორეული მოტივაციაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. რატომ არ უკავშირდება მათი ასეთი მოქმედებები ნებისყოფას? მაგრამ ცნობილია, რომ ძლიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ადამიანი ზოგჯერ დიდ წინააღმდეგობას გადალახავს ხოლმე, თუმცა ეს არის მოთხოვნილებით აღძრული იმპულსური ქცევა და არა ნებისყოფითი მოქმედება. განგსტერიც, ქურდიც და ახარტულად მოთამაშეც შეიძლება ავლენდეს დიდ ძალისხმევას მიზნის მიღწევის გზაზე, ისინიც ახდენენ თავისებურ შორეულ მოტივაციას, მიზნის მიღწევისათვის საჭირო გზებისა და საშუალებების გათვლას, მაგრამ ეს ამ მოტივაციის ის სახეა, რომელიც ბელადების შემთხვევაში ძალაუფლებისაკენ უძლიერესი ლტოლვის ან მისი შენარჩუნების, პატივმოყვარეობისა და შურისძიების უაღრესად ეგოისტურ მოთხოვნილებებზეა დაფუძნებული. მეორე შემთხვევაში კი, გართობისა და წუთიერი სიამოვნებისაკენ მისწრაფების სურვილითაა გაპირობებული. თუმცა, შინაგან ძალისხმევასა და წინააღმდეგობის გადალახვას ორივე შემთხვევაში აქვს ადგილი. ამიტომაც იქმნება შთაბეჭდილება, მით უფრო ქვეყნის ლიდერების შემთხვევაში, რომ ასეთი რამ მტკიცე ნებისყოფასთანაა დაკავშირებული. არადა, აქ უძლიერესი ეგოისტური ლტოლვები და მოთხოვნილებებია წამყვანი ადამიანის მთელი ფსიქო-ფიზიკური ძალებიც ბოროტი ნების აღსრულებისაკენაა მიმართული. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ეს ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობებს დაუყოვნებლივ აწყოში გადმოიტანდნენ, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელია, ისინი იძულებულნი ხდებიან ამ გზით მაინც უზრუნველყონ მათი დაკმაყოფილების საქმე. ბუნებრივია, ასეთი ქცევა, არსებითად, ახლო მოტივაციური სტრუქტურის მქონე იმპულსური ბუნების ქცევაა და არა ჭეშმარიტად შორეული, საზოგადოებრივი, ადამიანებისთვის სიკეთის მომტანი მოტივებით განსაზღვრული ნებელობითი ქცევა. დასახელებული ქცევის სუბიექტები, რა თქმა უნდა, მთლიანობაში უზნეო, ბოროტი, კაცთმოძულე ადამიანები არიან და ნებელობითი, ზნეობრივი ქცევის ცალკეული გამოვლინებები ვერ ცვლის ამ საერთო სურათს.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება დასმულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა კარგად ვგრძნობთ სირთულეებს და სისუსტეებსაც საკითხის ასეთ გაგებაში. მაგალითად, რომელი ობიექტური, საზოგადოებრივი და საკაცობრიო მოტივებით ხელმძღვანელობდა ალექსანდრე მაკედონელი თავის დაპყრობით ომებში? მაგრამ უდაბნოში, მისთვის დიდი სიძნელით ნაშოვნი წყლის ჯარის თვალწინ გადაღვრის მაგალითი ხომ ნებისყოფის გამოვლენის კლასიკურ ნიმუშადაა მიჩნეული? ეფიქრობთ, ყველა შემთხვევაში მაკედონელის ეს მოქმედება (და ადამიანთა მსგავსი კატეგორიის ქმედებები), ობიექტურად მაინც, ზნეობრივი მოქმედებას.

ლიტერატურა:

1. ნ. ბარამიძე, ფსიქოლოგიური პორტრეტები, ბათ., 2003;
2. გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1966;
3. ი. იმედაძე, ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგია, კრებული: ფსიქოლოგია, ტ. XXII, თბ., 2010;
4. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 3-4, თბ., 1964;
5. დ. უზნაძე, შენიშვნების რვეული, მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1988, 4;
6. ე. ფრომი, ავტორიტარული სინდისი, “ლოგოსი”, თბ., 1998;
7. შ. ჩხარტიშვილი, ნებელობითი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958;
8. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.

Nodar Baramidze

On Volitional and Moral Behaviour

Resume

In line with Chkhartishvili's understanding of volitional behaviour and its motive (objective, social, public values), the author thinks, that any kind of volitional behavior is a moral behaviour and vice versa.

იათაგზე კოტეტიშვილი, ლამარა უზულაგა, ქეთევან ჩიბოგიძე

დირიქტორი უზნადის უსიპოლოგიის ინსტიტუტი

**მწვრთნელ-მასწავლებელთა წიგნიერების, კოგნიტური უნარის დონისა
და კომუნიკაბელურობის განმასწავლებელი ტესტების გატარების
შედგენა – შემოწმება**

საკვანძო სიტყვები:

კოგნიტური უნარი, წიგნიერება, ტესტთა გატარება, კომუნიკაბელურობა, ანალიზ-ტირება, პროფესიული სტანდარტი, სათრეინინგო მეთოდი, ლექსიკური მარაგი, სტილისტიკა, არავერბალური ინტელექტი, ლოგიკური აზროვნება.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი – მასწავლებელთა წიგნიერების, კოგნიტური უნარის დონისა და კომუნიკაბელურობის განმასწავლებელი ტესტთა გატარების შედეგთა – შემოწმება განაპირობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განათლების სფეროში გატარებულმა რეფორმებმა. როგორც აღმოჩნდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა ნაწილი არ პასუხობდა რეფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ მათ უჭირდათ ახალი მეთოდური სტრატეგიების გათავისება, ვინაიდან გამჯდარი პროფესიული უნარ-ჩვევები ანუ ფიქსირებული განწყობები აფერხებდნენ რეფორმისა და ახალი სტანდარტის სწრაფად და სრულად ათვისებას, რამაც განაპირობა მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად მათი სპეციალური წვრთნის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მასწავლებლებთან მომზადებულიყო მწვრთნელთა გუნდი, რომლებიც თავიანთ კოლეგებს სპეციალურად შემუშავებული მიზნობრივი სათრეინინგო პროგრამის საფუძველზე დაეხმარებოდნენ იმ უნარ – ჩვევების გამომუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მეთოდური სიახლეებისა და სტრატეგიების ათვისებასა და განხორციელებას.

მიზნის განსახორციელებლად შევადგინეთ მწვრთნელთა ჯგუფის შესარჩევი სატესტო გატარება, რომელიც ეყრდნობოდა:

1. განვითარების თანამედროვე ჰუმანისტურ მიდგომაზე დაფუძნებულ ინტეგრალური კურსის ერთერთ შემადგენელ ნაწილს – "ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში". მასში მოცემულია განათლების სფეროში მომუშავე პირთა პიროვნული თავისებურებებისა და სხვადასხვა უნარების გამოსავლენად გამოყენებული ტიპური ფსიქოდიანოსტიკური პროცედურები;
2. სამუშაო ჯგუფის მიერ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გათვალისწინებით) შედგენილ ტრენერთა შესარჩევი კრიტერიუმების ნუსხას. კერძოდ, მათში აისახა ყველა ის უნარი რომელიც მასწავლებელს წარმატებული აქტიურობისათვის სჭირდება და აგრეთვე ის უნარები და თვისებები, რომლებიც აუცილებელია ტრენერის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ტრენერთა შერჩევა მათი შენეცნებით კოგნიტური პოტენციალისა და კომუნიკაციის უნარის საფუძველზე, რადგან:

პიროვნების შემეცნებითი კოგნიტური პოტენციალი განისაზღვრება მისი ლოგიკური და ანალიტიკური უნარით, იმ ინფორმაციის მოცულობითა და ხარისხით, რომელსაც იგი ფლობს და აგრეთვე იმ ფსიქოლოგიური უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფენ შემეცნებითი პროცესების პროდუქტულობას.

კომუნიკაციური უნარი გულისხმობს პიროვნების იმ პოტენციალს, რომელიც განსაზღვრავს მის ინტერპერსონალური ურთიერთობების თავისებურებებს.

ზემოთ თქმულზე დაყრდნობით ჩვენს მიერ შედგენილ იქნა შესატყვისი ტესტები, რომლებიც დაჯგუფდნენ და განაწილდნენ შემდეგნაირად:

1. პიროვნების წიგნიერების (ბანათელაშვილის) ღონის გამოსავლენად:

1. სინონიმების შერჩევა ანუ ლექსიკური მარაგი
2. ტერმინები და უცხო სიტყვები - ტერმინების მნიშვნელობების ცოდნა.
3. ტექსტში შეცდომების გასწორება - გრამატიკული წესების ცოდნა და სტილისტიკა.
4. ტექსტის შინაარსის ანალიზი - ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი

2. კომუნიკაციის უნარის გამოსავლენად:

1. არსებითი ნიშნების გამოყოფა.

ეს მეთოდიკა საშუალებას იძლევა შეფასდეს პიროვნების აზროვნების თავისებურება. კერძოდ, რამდენად შეუძლია მას საგნის ან მოვლენის თავისებურებათა დიფერენცირება – არსებითი ნიშნების გამოყოფა არაარსებითისაგან.

არითმეტიკული ამოცანები - დგინდება პიროვნების მარტივი გამოთვლების ჩატარების უნარი.

მზარდი სირთულის ტესტი - წარმოადგენს ლოგიკური აზროვნების, არავერბალური ინტელექტის კვლევის პროგნოსტულ მეთოდურას.

3. კომუნიკაციის უნარის დასახასიათებლად:

1. კომუნიკაციის ტესტი (KOC-2) – ავლენს პიროვნების კომუნიკაბელურობასა და ორგანიზატორულ უნარს.

ჩვენს მიერ შედგენილი ტესტთა ბატარეის ვარგისიანობის შესამოწმებლად 2008 წლის მაის-ივნისში ჩატარეთ საპილოტე კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის საჯარო სკოლების 80-მა მასწავლებელმა.

მონაცემთა პირველადი სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ ნედლ მონაცემებსა და ქულამინიჭებულ მონაცემებს შორის გამოთვლილი კორელაცია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი 0,765-ის ტოლია, ანუ 1-ზე ნაკლები. ეს კი იმით აიხსნება, რომ გამოყენებულ ქულათა სისტემამ გარკვეული წანაცვლება გამოიწვია და საჭირო გახდა შეფასების ახალ სისტემაზე გადასვლა.

შეფასებათა ახალი სისტემა შემუშავდა შემდეგის საფუძველზე:

- წიგნიერებისა და კოგნიტური უნარების გასაზომად განკუთვნილი ყველა ტესტის მიხედვით მაქსიმალური ქულა უნდა ყოფილიყო 100-ის ტოლი;
- შესაბამისად, ცალკე წიგნიერებისა და ცალკე კოგნიტური უნარების მიხედვით მაქსიმალურმა ქულამ 50 შეადგინა;
- წიგნიერების გასაზომად ბატარეაში შეტანილ იქნა თანაბარი სირთულის 4 ტესტი; მაშასადამე, თითოეულის მიხედვით მაქსიმალური ქულა იყო 12,5;
- კოგნიტური უნარების გასაზომად ბატარეაში შეტანილ იქნა თანაბარი სირთულის 3 ტესტი; მაშასადამე, თითოეულის მიხედვით მაქსიმალური ქულა იყო დაახლოებით 16,7.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ტესტთა ბატარეის III ჯგუფი ერთი აპრობირებული და სტანდარტიზირებული ტესტისაგან შედგება, ამიტომ არ საჭიროებს სტატისტიკურ ანალიზს. გარდა ამისა, კოგნიტურსა და კომუნიკაციურ უნარს შორის კავშირის შესახებ ერთმნიშვნელოვანი აზრი არ არსებობს. მათი პრიორიტეტი დგინდება კონკრეტული საქმიანობის არსიდან გამომდინარე.

საპილოტე კვლევის შედეგების მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება მიზნად ისახავდა შემდეგ ამოცანებს:

1. ტესტთა ბატარეის ორფაქტორიანი (ორჯგუფიანი) სტრუქტურის დადასტურება;
2. ტესტთა ბატარეის სანდოობისა და ვალიდობის შემოწმება.

შერჩეულ ტესტთა (იხ. ცხრილი 1) ბატარეის სანდოობისა და ვალიდობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკის შესაბამისი მეთოდები. მასალა დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის – SPSS – გამოყენებით.

№	ტესტი	ფაქტორი
1	სინონიმების შერჩევა	“წიგნიერება”
2	ტერმინები და უცხო სიტყვები	“წიგნიერება”
3	შეცდომების გასწორება	“წიგნიერება”
4	შინაარსის ანალიზის უნარი	“წიგნიერება”
5	არსებითი ნიშნების გამოყოფა	კოგნიტური უნარი
6	ამოცანები	კოგნიტური უნარი
7	მხარდი სირთულის ტესტი	კოგნიტური უნარი

ცხრილი 1

კერძოდ, ჩატარდა მიღებული მასალის ფაქტორული ანალიზი. მისი შედეგები წარმოდგენილია მე-2 და მე-3 ცხრილებში.

ცხრილი 2

ახსნოლი ჯამური დისპერსია

ფაქტორი	პირველადი საკუთარი მნიშვნელობა	დისპერსიის %	დაბრუნოლი დისპერსია %
1	2.581	36.867	36.867
2	1.342	19.169	56.036
3	.980	13.996	70.033
4	.800	11.428	81.461
5	.553	7.905	89.365
6	.449	6.408	95.773
7	.296	4.227	100.000

შენიშვნა: ფაქტორული ანალიზი ჩატარდა მთავარი კომპონენტების მეთოდით.

როგორც მე-2 ცხრილის მეორე სვეტიდან ჩანს, მხოლოდ ორი ფაქტორის პირველადი საკუთარი მნიშვნელობა აღემატება 1-ს. შესაბამისად, ფაქტორულმა ანალიზმა დაადასტურა შერჩეულ ტესტთა ბატარეის ორფაქტორიანი სტრუქტურა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია მიღებული ჯამური დისპერსიის მაღალი მაჩვენებელიც – 56%. ეს ნიშნავს, რომ ამ ორი ფაქტორით აიხსნება მიღებული მასალის ვარიაციის (განფანტულობის) 56%, რაც საკვებით დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია.

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია ბრუნვის შედეგად მიღებული კომპონენტები (ჩვენ შემთხვევაში – ტესტები).

ცხრილი 3

კომპონენტების მატრიცა შემოპრუნების შემდეგ

უნარი	ტესტი	ფაქტორი	
		1	2
“წიგნიერება”	სინონიმების შერჩევა	.822	
“წიგნიერება”	ტერმინები და უცხო სიტყვები	.787	
“წიგნიერება”	შეცდომების გასწორება	.750	
“წიგნიერება”	შინაარსის ანალიზის უნარი	.577	
კოგნიტური უნარი	არსებითი ნიშნების გამოყოფა TEK		.725
კოგნიტური უნარი	ამოცანები		.697
კოგნიტური უნარი	მხარდი სირთულის ტესტი		.661

შენიშვნა: ბრუნვა ჩატარდა “ვარიმაქს” მეთოდით კაიზერის ნორმალიზაციით (3 იტერაციის შედეგად).

როგორც ვხედავთ, ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ტესტები ორ ჯგუფად (ფაქტორად) დაიყო, პირველ ფაქტორში –“წიგნიერება” და მეორე ფაქტორში – "კოგნიტური უნარი" შესული ტესტები, ემთხვევა ჩვენს მიერ შერჩეულ ტესტთა ჯგუფებს წიგნიერებასა და კოგნიტურს, ანუ ზომავს ამ ორ უნარს. ასეთი შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს გასაზომად შერჩეულ ტესტთა ბატერიის ორფაქტორიან სტრუქტურას.

აღსანიშნავია აგრეთვე ყველა კორელაციის კოეფიციენტის მაღალი რიცხვითი მნიშვნელობა, რაც ორივე ფაქტორში შემავალი ტესტების მაღალი შიდა შეთანხმებულობის ნათელი დასტურია.

საპილოტო კვლევის შედეგად მიღებული მასალის მათემატიკურ-სტატისტიკური დამუშავება მიზნად ისახავდა აგრეთვე შერჩეულ ტესტთა ბატარეაში შემავალი თითოეული ტესტის სანდოობისა და ვალიდობის შემოწმებას, აგრეთვე ე.წ. "სინქრონული სანდოობის" განსაზღვრას. ამისათვის გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის (SPSS) პროგრამა – ეგრეთ წოდებული “ვარგისიანობის ანალიზი”.

ცხრილი 4

ვარგისიანობის ანალიზი

ფაქტორი “შეფასება”	შერჩევილობის კოეფიციენტი	კრონბაჰის ალფა შემსაბამისი პუნქტის ამოღების შემთხვევაში
სინონიმების შერჩევა	0.2864	0.5961
ტერმინები და უცხო სიტყვები	0.5072	0.5590
შეცდომების გასწორება	0.5098	0.5402
შინაარსის ანალიზის უნარი	0.1366	0.6714
არსებითი ნიშნების გამოყოფა TEK	0.3594	0.5844
ამოცანები	0.3741	0.5656
მზარდი სიროთულის ტესტი	0.4393	0.5385
ვარგისიანობის კოეფიციენტი: კრონბაჰის ალფა = 0.6172		

მიღებული შედეგი წარმოდგენილია მე-4 ცხრილში. კერძოდ, ტესტთა ბატერიის სანდოობის ამსახველი მაჩვენებელია ეგრეთ წოდებული “ვარგისიანობის კოეფიციენტი” – კრონბაჰის კოეფიციენტი ალფა, რომელიც გამოიყენება ტესტის შედეგების შესაფასებლად, ანუ იმისა, თუ რამდენად ზუსტად იზომება საკვლევი მოვლენა. თითოეული ტესტის სანდოობის შესამოწმებლად გამოიყენება – “შერჩევითობის კოეფიციენტი”, რომლითაც მარტივად ხდება ტესტთა ბატერიისათვის შეუთავსებელი ტესტის გამოვლენა. შეუთავსებლად მიიჩნევა ტესტი, რომელსაც აქვს 0,2-ზე დაბალი და 0,8-ზე მაღალი შერჩევითობის კოეფიციენტი. ცხრილ №3 ნათლად ჩანს, რომ ასეთი დაბალი შერჩევითობის კოეფიციენტი აქვს მხოლოდ ტესტს "შინაარსის ანალიზის უნარი" წიგნიერების ჯგუფიდან. აღსანიშნავია რომ ფაქტორული ანალიზის შედეგამაც აჩვენა მისი ყველაზე დაბალი ფაქტორული წონა 0,577 (ცხრ. №3) რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასურველია, ეს ტესტი ამოღებულ იქნეს ტესტთა ბატარიიდან. იგივეზე მიუთითებს ამ ტესტის მე-4 ცხრილის, მე-3 სვეტში წარმოდგენილი მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ ამ ტესტის ამოღება ტესტთა ბატარიიდან გამოიწვევს კრონბაჰის ალფა კოეფიციენტის, (ვარგისიანობის კოეფიციენტის), 0, 6172-იდან, 0, 6714 - მდე გაზრდას, რაც მის მაღალ მაჩვენებლად ითვლება. ამის დამადასტურებელია ამ კოეფიციენტის მაქსიმალური რიცხვითი მნიშვნელობა, იგი 1-ს უდრის, ხოლო მისი მნიშვნელობა 0,7887, ითვლება ძალიან მაღალ მნიშვნელობად [6]. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან განსხვავებით ფსიქოლოგიაში გვხვდება არა ფუნქციური სახის კავშირები, არამედ სტატისტიკური. ამდენად, პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების ამსახველი მაჩვენებელი 1, გამორიცხულია.

ამგვარად, საპილოტო კვლევის მონაცემთა სტატისტიკურმა დამუშავებამ და შედეგების ანალიზმა [1]. დაადასტურა ტესტთა ბატერიის ორფაქტორიანი სტრუქტურა და მაღალი შიდა შეთანხმებულობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტესტთა ეს ბატარეა შეიძლება გამოყენებულ იქნეს

ტრენერთა შესარჩევად; [2]. გამოავლინა ტესტთა ბატარეაში (ორივე ჯგუფში) ცვლილებების შეტანის აუცილებლობა მისი გართულების მიზნით.

ამრიგად, მიღებული შედეგები ადასტურებს ჩვენს მიერ შედგენილ ტესტთა ბატარეის ვარგისიანობას, რაც ეპასუხება დასახულ მიზანს, ანუ კონკრეტულ ტესტთა ბატარეა შეიძლება გამოყენებულ იქნას პიროვნების წიგნიერების, კოგნიტური და კომუნიკაციური უნარის შესაფასებლად. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მოცემული ტესტთა ბატარეას შეიძლება რეკომენდაცია გაეწიოს არა მხოლოდ მასწავლებელთა, არამედ სხვა მიზნობრივი ჯგუფების წიგნიერების დონის, კოგნიტური უნარისა და კომუნიკაბელურობის გამოსავლენად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენს მიერ შედგენილი ტესტთა ბატარეა მიმართული იყო იმ მწვრთნელ-მასწავლებელთა შესარჩევად, რომლებიც მომზადდებიან კოლეგების მიერ სასკოლო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის გასათავისებლად. ეს ბუნებრივად აყენებს დღის წესრიგში მათი მომზადების აუცილებლობისა და მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე აგებულ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური, სათრეინინგო მოდულის შემუშავების საჭიროებისა. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფს გააჩნია მოსაზრება ამ სათრეინინგო მოდულის თაობაზე, შემუშავებული აქვს სესიებზე განსავითარებელი პარამეტრები მწვრთნელთათვის და სათრეინინგო პროგრამა, რომელიც აერთიანებს მასწავლებლის ახალ პროფესიულ სტანდარტში შემავალ ყველა აუცილებელ პუნქტს და ჩვენი ღრმა რწმენით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ლიტერატურა:

1. Агеев В. С. Методика с оставления социально-психологической характеристики для аттестации кадров. М., 1995
2. Альманах психологических тестов. М., 1995
3. Анастаси А. Психологическое тестирование. том 2, М., 1982
4. Практическая Психодиагностика – Методики и Тесты Самара, 1998
5. Sigmar-Olad Tergan and others. A Cognitive Approach to Psychodiagnosis on Verbal Data. Knowledge Media Research centre. Tubingen, Germany, 2000
6. Дж. Хили - Статистика. Изд. "Питер", Thomson – Wadsworth.

I.Kotetishvili, L. Ugulava, K. Chigogidze

Developing a Battery of Tests that Measures Teacher - Trainers' Literacy, Cognitive Level and Communication Skills

Resume

In order to help teachers meet new professional standards, it is desirable to deliver to them pedagogical and psychological training necessary for their further development. We created a battery of tests to select potential trainers out of teachers..

გუბული მალრაპე

თბილისის ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი

ნორმალიზაცია და კონფორმიზმი

საკვანძო სიტყვები: კონფორმულობა, ინოვაცია, ნორმალიზაცია, ჯგუფის შიდაპროცესულობა, უმცირესობა, უმრავლესობა. ქმედის სტილი, კონფლიქტი.

კონფორმულობის ფენომენოლოგიაში ჩვეულებრივ აღნიშნავენ განსხვავებას გარეთა ანუ ქცევით და შინაგან კონფორმულობას შორის, რომელიც გულისხმობს გავრცელებულ ღირებულებათა და რწმენათა მიღებას. უფრო ახლოს განვიხილოთ კონფორმულობა, როგორც თამაში. აღმოჩნდება შემდეგი: ერთერთ მონაწილეს (უმრავლესობას) აქვს თავისი სპეციალური კოდი, და მატერიალური და სოციალური გარემოს ხედვათა საკუთარი ერთობლიობა. ეს განსაზღვრავს, რა იქნება საზოგადო და პირადი და რა არის სწორი შეხედულებებსა და შეფასებებში. ჯგუფის მიმზიდველობა ან შეკავშირებულობა იწვევს თვითმუც ინდივიდს, პატივი სცეს წინასწარ ცნობილ წესებს და ნორმებს. ერთობა, ერთსულოვნება, კულტურული ტრუიზმების სადღესასწაულო აღნიშვნა – ყოველივე ეს ემსახურება ტრადიციის, წინასწარი არჩევანისა და გადაწყვეტილებათა განმტკიცებას. ეს ასევე ეწინააღმდეგება სხვა წესების და ნორმების მიღების შესაძლებლობას, რაც ჩვეულებრივ აღნიშნულია, როგორც „ბარბაროსული“, „მოძველებული“, „პრიმიტიული“, „უცხო“, „საოცარი“, „არარეალისტური“ და ა.შ.

მეორე მონაწილეს თამაშისა, უმცირესობას (ინდივიდი ან ქვეჯგუფი) არ აქვს შესაძლებლობა, მონახოს რაიმე ალტერნატიული ნორმატიული ან კოგნიტური მხარდაჭერა ჯგუფის შიგნით. მიუხედავად იმისა, ჯგუფის საპირისპიროდ გადაადგილება ხდება ჯგუფის გასაუმჯობესებლად თუ არა, ჯგუფი არქმევს მას „განსხვავებულს“, „გაუგებარს“ და ა.შ. უმცირესობას არ გააჩნია არავითარი გზა, მიიღოს მორალური ჯილდო ჯგუფისაგან თავისი ქცევისთვის, არც შეუძლია იმედოვნებდეს, რომ მიღწევს თავისი შეხედულებათა მხარდაჭერას. ასეთი შესაძლებლობის არარსებობისას, უმცირესობა იტანჯება შინაგანი დაურწმუნებლობისგან, რომელიც წარმოიქმნება იმის გამო, რომ მას ვერ უგებენ. ეს მას აცალკავებს უმრავლესობისაგან. როცა განსხვავება უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ძალიან შესამჩნევი ხდება, მაშინ „ნორმალური“ ინდივიდი განსხვავდება „გადამხრელი“ ინდივიდისაგან იმ კოდისადმი პატივისცემასთან ერთად, რომელიც წინასწარ მიღებულია ყველას მიერ. უმრავლესობა განიცდის ძალდატანებას, რათა გამორიცხოს კონფლიქტი, თუ მას სურს, სიტუაციას ისევე აკონტროლებდეს. უმცირესობაც განიცდის ძალდატანებას მოქმედებისკენ. მისი განუსაზღვრელობა წინასწარ დადგენილი ნორმების მიმართ მას აყენებს რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. არცერთ მხარეს არ შეუძლია, აირიდოს კონფლიქტი. ჯგუფს არ შეუძლია, რადგან იგი უნდა ეცადოს, ხელახლა დაამყაროს თანხმობა და მყარი მიმართება თავის წევრებს და გარე სამყაროს შორის. ინდივიდს არ შეუძლია, აიცდინოს კონფლიქტი, რადგან შინაგანი კონსისტენტობა აქვს დაკარგული. ცხადია, რომ ამ ორ მონაწილეთაგან, უმრავლესობას აქვს ძალიან ვიწრო მიჯნა გადახრისთვის მისი ჩვეულებრივი პოზიციისაგან, და არ აქვს არავითარი მოტივაცია დათმობისათვის. თავის მხრივ უმცირესობასაც არ აქვს არჩევანი: ან უნდა დაემორჩილოს ან დატოვოს ჯგუფი, რაც საკმაოდ ძნელია. რაც უფრო ერთსულოვანია უმრავლესობა და დიდია მისი კონსისტენტობა, მით უფრო მკაცრად ექცევა ის ოპონენტებს და გამორიცხავს ყოველგვარ კომპრომისს ან დიალოგს. უმცირესობა ხვდება, რომ შეიძლება აიძულონ, იყოს იზოლაციაში, რასაც ახლავს საერთო რეალობის დაკარგვა, ან ის

აღმოჩნდება კანონგარეშე მდგომარეობაში, ან მას ექნება შინაგანი კონფლიქტი. ეს დაამსხვრევს მის წინააღმდეგობას და დაიყოლიებს, შეუერთდეს უმრავლესობას. უმცირესობა ემორჩილება, როცა ის თმობს თავის პოზიციას, მთლიანად ან დროებით, რათა სავსებით გაიზიაროს ჯგუფის პოზიცია, ან როცა ის თავს ანებებს მცდელობას, იყოს დისიდენტი ან ახდენს შინაგან შეკავშირებას.

ასეთი აღწერა უფრო ზუსტია „დახურული“ ჯგუფებისთვის, რომლებიც სამკედრო-სასიცოცხლოდ არიან დაპირისპირებულნი. ხშირად სიტუაციები ნაკლებ დრამატულია და კონფლიქტი არაა ასე ძლიერი. მაგრამ ეს არ აუფასურებს ზემოთ თქმულს, რადგან სინამდვილეში ბევრია დახურული ჯგუფიც და სასიცოცხლო სიტუაციებიც. ძირითადი თვალსაზრისი ისაა, რომ კონფორმული წნეხის ობიექტია იმ კონფლიქტის მოსპობა ან შემცირება, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფში გადახრადი უმცირესობის ან ინდივიდის მიერ. შესაბამისად ნაწილდება ინტერაქციის და კომუნიკაციის მთელი დინამიკა.

აღამიანები შეიძლება გავეყოთ ორ ნაწილად: ერთია ისინი, ვინც ნორმას იცავენ, მეორენი – ვინც არ იცავენ ნორმას. მაგრამ ეს გაყოფაც არაზუსტია. ძნელია იმის ცოდნა, უმრავლესობა იცავს თუ არა ნორმას. მაგალითად, ჩვენ შეთანხმებულები ვართ, რომ ქურდობა აკრძალულია მორალით, ასევე კანონით – ესაა საზოგადოებრივი ნორმა, მაგრამ ეს არ ზღუდავს დიდი ქალაქების მცხოვრებთა უმრავლესობას, რომ მათ ჩაიდინონ ქურდობა. ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე სტუდენტები იპარავენ საგამოცდო ბილეთებს, ვაჭრები იპარავენ წონაში, ტაქსის მძღოლი ახდევინებს მეტს და ა.შ. მიუხედავად ამისა, თვითნებური მათგანი ისე ფიქრობს და მოქმედებს, რომ თითქოსდა საზოგადოების მიერ გამოცხადებული წესები ძალიან გავლენიანი იყოს.

გავლენის პროცესები ვრცელდება იმ საზღვრებს გარეთ, რომლებშიც დღესაა მოქცეული გავლენის თეორიები. მხოლოდ კონფორმულობის შესწავლას არ შეუძლია, გაგვაგებინოს გავლენის პროცესი, როგორც მთლიანი, რომელიც მოიცავს გავლენის ორ მოდალობას: ნორმალიზაციას და ინოვაციას. სოციალური კონფლიქტი იღებს განსაკუთრებულ ფორმებს და ამ კონფლიქტების მოსაწესრიგებლად არსებობს გარკვეული ნორმები. ინდივიდი, რომელსაც ეწინააღმდეგება ჯგუფი, შეშფოთებულია იმით, თუ როგორ აიცდინოს უთანხმოება ჯგუფთან; შეეძლება თუ არა მას, დაიცვას თავისი აზრი, როცა ჯგუფი ან მათი ლიდერები არ ეთანხმებიან მას? იზოლაციაში ან იგნორირებულად ყოფნა ძალიან დიდი საფასურის გაღებაა და საკუთარი შეხედულებებისადმი რწმენა ვერ გადაფარავს მას.

ცნებების შინაარსების (ტერმინების მნიშვნელობათა) შეთანხმება ძირითადად იმისთვისაა, რომ გავლენა იყოს შესაძლებელი [4]. ასეთ შეთანხმებათა ჭრილში კონფორმულობა განსაზღვრავს ინდივიდის ან ქვეჯგუფის ქცევას, როცა მათი ქცევა დეტერმინირებულია კანონიერი ჯგუფის ნორმებით და მოლოდინებით – ესაა ის სიტუაცია, რომელსაც მიჰყავს ინდივიდი ან ქვეჯგუფი საკუთარ შეხედულებათა ასიმილაციისკენ ჯგუფურ შეხედულებებთან, მიუხედავად წარმოშობილი განსხვავებისა. კონფორმულობის დანიშნულებაა გამორიცხოს განსვლა, რომელიც განუწყვეტლივ ემუქრება საზოგადოების მთლიანობას. ეს დანიშნულება წარმატებით ხორციელდება, როცა:

- ა) ჯგუფის უმრავლესობა სავსებით შეთანხმებულია თავიანთ ატიტუდებსა და შეხედულებებში, ე.ი. როცა არსებობს კარგად გამოკვეთილი ერთობლიობა პასუხებისა, ნორმებისა და ა.შ.
- ბ) სოციალური ზეწოლა არსებობს ინდივიდზე ან ქვეჯგუფზე, ხოლო ჯგუფური კულტურის შიგნით თანხმობაა ან როცა არ არსებობს რაიმე ალტერნატიული კულტურა, პასუხთა ერთობლიობა, ნორმები და სხვა, რომლებმაც შეიძლება ძალდატანება მოახდინონ სხვადასხვა ფორმებით.

როგორ მოქმედებს ინდივიდების ან ქვეჯგუფების ინტეგრაცია კომპრომისზე, მათი პოზიციების დაახლოებაზე? რატომ ხდება კომპრომისი? როცა რეციპროკული გავლენა ჯგუფებში იწვევს ჯგუფის წევრებს შორის კომპრომისს, საქმე გვაქვს ნორმალიზაციასთან. ნორმალიზაცია ხდება ურთიერთგავლენების გაცვლის პროცესში, რომლის მიზანია შეფასებათა და შეხედულებათა ისეთი სტანდარტის დამყარება, რომელიც მისაღებია ყველასთვის. შერიფი [1.] რომელმაც ყველაზე ფაქიზად შეისწავლა ეს ფენომენი, ხაზს უსვამდა, რომ აქ საქმე არ გვაქვს კონფორმულობასთან, აქ

არ არის უმრავლესობა და უმცირესობა, არც რეალური და არც პოტენციური გადამხრელი. აქ არის ნორმების, შეფასებათა, პასუხების პლურალიზმის საკითხი, რომელთაგანაც ყველა განიხილება, როგორც თანასწორი. რატომღაც ამ პროცესის შედეგი გასაშუალოება, კომპრომისი?

პირველი იმიტომ, რომ ინტერაქციაში მყოფ ყველა ინდივიდს თანაბარი უნარები და კომპენტაცია აქვს, და მათ შეფასებებს თანაბარი წონა აქვთ ყველას თვალში. არავის არ შეუძლია, კანონიერად თავს მოახვიოს სხვას თავისი შეხედულება. მეორე, რადგან ყველა ინდივიდს აქვს ერთნაირი ქცევის სტილი, მათ არ აქვთ განსაკუთრებული თვითრწმენა და რაიმე მოტივი, უარი თქვან დათმობებზე. მესამე, რადგან ინდივიდების ვალდებულებანი ძალიან სუსტია, ინდივიდის პასუხები არ განამტკიცებს რაიმე ერთ გზას.

ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტი ნორმალიზაციის შესახებ. ცდებში ვთხოვდით ცდისპირებს, შეეფასებინათ ხაზის სიგრძეები, ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ წყვილებში. თვითნებური წყვილი შედგებოდა ისეთი ორი ცდისპირისგან, რომლებიც ინდივიდუალურად, ცალცალკე ჩატარებულ ცდებში ძალიან განსხვავებულ პასუხებს იძლეოდნენ. შემდეგ ცდაში ცდისპირების ნახევარს ვეუბნებოდით, რომ მათი ინდივიდუალური შეფასება არ იყო ზუსტი. შედეგად ექმნიდით 3 სახის წყვილს: ერთში ორივე ცდისპირი იღებდა დადებით განმტკიცებას, მეორეში ერთი ცდისპირი იღებდა უარყოფით განმტკიცებას და მეორე – დადებითს. მესამე წყვილში ორივეს ჰქონდა უარყოფითი განმტკიცება. თვითნებური ვარიანტის ექსპერიმენტში მონაწილეობდა 40 წყვილი. შედეგებმა უჩვენა, რომ მხოლოდ იმ წყვილს (40-დან 26-ს) აღმოაჩნდა შეთანხმების და კომპრომისის ტენდენცია, რომელთაგანაც ორივეს უარყოფითი განმტკიცება ეძლეოდა.

ცხადია, რომ ინდივიდუალური ნორმის დათმობა უშუალო მიმართებაშია ცდისპირთა ერთ ნაწილში სიმტკიცის და დარწმუნებულობის დაკარგვასთან. ასეთ სიტუაციაში არაა მოტივაცია, რომ რომელიმე შეინარჩუნოს თავისი შეფასება ან გარისკოს პარტნიორის შეფასებაზე უკეთესი შეფასების მოსაძებნად, რადგან ორივე პარტნიორი ერთიდაიმავე მდგომარეობაშია. ყველაზე მიზაშეწონილი ქცევა ასეთ შემთხვევაში არის უკიდურესი პასუხების თავიდან აცილება და ისეთი პასუხების მოცემა, რომლებიც უფრო ახლოს იქნება თვითნებულის საკუთარ პასუხთან. თუ ასე არ იქნება, ნაკლებია შანსი შეთანხმების მიღწევისა და დაძაბულობის შემცირებისა.

მეტიც, სანამ ინტერპერსონალურ პასუხებს შორის კონფლიქტის რედუქცია (ე.ი. ინტერპერსონალური შეთანხმების მიღწევა) დამოკიდებულია ინტერპერსონალურ პასუხებში კონფლიქტის რედუქციაზე, არასასურველი ან საშიშიც კია შეფასებათა დივერგენციის დაშვება. ინდივიდუალური ნორმების პლურალიზმის არსებობა იდენტურ სტიმულებზე გაგლენას ახდენს, თავის მხრივ, თვითნებური ნორმის წაშლაზე ისე, რომ განუსაზღვრელობა და შფოთვა მაღალ დონეზე რჩება. აქ არის პასუხების კოორდინაციისკენ იძულება და უსიტყვოდ გამოხატული მოლაპარაკება, რათა არიდებულ იქნას კონფლიქტი, რომელშიც არავინ არ იქნება მოგებული [2]. დათმობათა საჭიროებას თვითნებური გრძნობს და ამის შედეგია შეფასებათა კონვერგენცია და განსხვავებათა გაქრობა ან გათანაბრება. ამით აიხსნება ის, რომ ავტოკინეტიკური ეფექტის ექსპერიმენტებში [1] ინდივიდუალური შეფასებები თავიდან ძალიან განსხვავებულია, მაგრამ რამდენიმე ცდის შემდეგ იწყება კონვერგენცია საერთო შეფასებისკენ. ეს ორმხრივი დათმობები ნებას აძლევს თვითნებულ პიროვნებას ჰქონდეს პიროვნული შეფასებები, განმტკიცებული გარკვეული ზომით ისე, რომ არ ემორჩილებოდეს ტოტალურ განსხვავებულ თვალსაზრისს. თანხმობა მოდის ისეთი სიტუაციის აცილებით, რომელშიც არჩევანი უნდა იქნეს გაკეთებული. ეს მიღწეულია ნაკლებად საწინააღმდეგო პოზიციის მიღებით. აქ მოქმედებს საყოველთაოდ ცნობილი ოქროს წესი, რომ ჭეშმარიტება სადღაც შუაშია („ოქროს შუალედი“).

ეს აზრი განამტკიცა კელის და სხვა ავტორების [3] კვლევამ: „სხვა პიროვნებებზე რეაგირებისას, პიროვნება თავის შეფასებებს შეაფარდებს სხვების შეფასებებთან ისე, რომ არ იყოს სხვებისგან უკიდურესად განსხვავებული“. ინდივიდები მიმართულნი არიან, აირიდონ შესაძლო შეჯახება შეხედულებებში, იქნება ეს ეთიკური ქცევა თუ სწორი პასუხი. შეთანხმება, რომელიც

მიიღწევა, მრავალ შემთხვევაში არ არის არაფერი, გარდა შეთანხმებისა, რომ არ იყვნენ შეუთანხმებლები [4].

ამრიგად, ჯგუფის შეხედულება, ნორმა და ა.შ. გამოხატავს განსვლის პროვოცირების ორმაგ მიუღებლობას, კიდევ რომ ჭეშმარიტება მოითხოვდეს ამას ან რომ განსვლა რომელიმე პარტნიორისთვის სასარგებლო იყოს. შეთანხმების ერთადერთი ალტერნატივა არის კონფლიქტის გაგრძელება და გაელენა, რომელიც ამის შედეგად წარმოიშობა. ნორმალიზაცია შეფერულია კონფლიქტის თავიდან აცილების და უთანხმოებისგან თავდაცვის საჭიროებით. პარტნიორები ეძიებენ უფრო იმას, რა არის მისაღები, ვიდრე იმას, თუ რა არის მართებული. შესაძლებელია, არავის არ სურდეს დომინანტობა, მაგრამ არც არავის სურს დარჩეს გაცურებული და მოტყუებული. ასეთი სიტუაციაში ხდება არა მხოლოდ დადებითი მოძრაობა კოოპერაციისა და ორმხრივი ურთიერთგაგებისკენ, არამედ აგრეთვე მიუღებელი ხდება არჩევანის თავიდან აცილება. პროცესი ძირითადად შედგება განსხვავებათა დათრგუნვისა და უმცირესი საერთო მნიშვნელობის მიღებისგან. ყოველდღიური ურთიერთობები, სამართალი თუ პოლიტიკა ეყრდნობა ამ კანონზომიერებას, რომელიც საკმაოდ ღრმად არსებობს სოციალურ და იდეოლოგიურ სისტემაში.

ლიტერატურა:

1. Sherif M. A Study of Some Social Factors in Perception. Archives of Psychology, 27, #187, 1935.
2. John Paul Lederach, Building Peace : Sustainable Reconciliation in Divided Societies, United State Institute for Peace Press, Washington DC, 2004
3. Kelly H.H. Two Functions of Reference Groups in Swanson G.E., Newcomb T.M. and Hartly E.L.: Readings in Social Psychology. New York, Holt, 1952.
4. Kelly H.H. and Shapiro M.M. An Experiment on Conformity to Group Norms Where Conformity is Detrimental to Group Agreement, American Sociological Review. 19, 1954.
5. Nemeth C.J. Differential Contributions of Minority and Majority Influence. Psychological review, vol. 93, #1, 1986.

Guguli Magradze

Normalization and Conformity

Resume

Apart from conformity, the process of influence includes normalization and innovation. In the case of conformity pressure is directed at the reduction or elimination of the conflict caused by the existence of minorities (subgroup or individual) holding the norms controversial to the norms of the group. Normalization takes place when mutual influence is exchanged, which aims at the establishing of a standard acceptable for everyone. Normalization is caused by the need to prevent conflict and disagreement. The psychological meaning of normalization is eliminating differences and finding a minimal common content.

ლიმიტრი ნადირაშვილი

ლიმიტრი უზნაძის უსიქოლოგიის ინსტიტუტი

მიზნის ფენომენი განწყობის უსიქოლოგიაში

საკვანძო სიტყვები: სოციალურ-უსიქოლოგიური განწყობა, მიზანი, ობიექტივობა, განწყობის მეორე ღონე, ავროვნების განწყობა, მიზანშეწონილობა, მოთხოვნა.

განწყობის ფსიქოლოგიაში ზოგი მკვლევარი ნათლად აცნობიერებს იმ უპირატესობებს, რომელიც ამ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას აქვს სხვებთან მიმართებაში. ამგვარი მაგალითია მონოგრაფია „სოცალურ-ფსიქოლოგიური განწყობა“, რომელშიც ამ სფეროში შემავალი ნებისმიერი გავლენა ახსნილია განწყობის თეორიის კანონზომიერებებით. ამის საშუალებას იძლევა ის მასშტაბი, რომელიც ამ თეორიას აქვს. მიუხედავად ამისა, განწყობის თეორიაშიც მოიძებნება თეთრი ლაქები, რომლებიც თანამედროვე მკვლევარებისგან მოითხოვს ახალ მიგნებებს და აღმოჩენებს. ამის ნიმუშია მომავალში განსახორციელებელი ქცევის განწყობის საკითხი, რომელიც მიზნის კატეგორიაში ფორმულირდება. მიზანზე, მომავალზე ორიენტირებული ქცევა სპეციფიკურ განწყობას მოითხოვს, ხოლო ასეთი განწყობის შექმნა განსაკუთრებულ მზაობას საჭიროებს. ჩვენს ნაშრომში სწორედ ეს მოვლენა გვინდა ფოკუსში მოვაქციოთ.

პედაგოგიური თვალსაზრისით, მიზანზე ორიენტირება, მომავალზე მიმართული ცხოვრება სწავლებას საჭიროებს. იმისათვის, რომ ბავშვმა მსგავსი ქცევა შეასრულოს, შესაბამისი მზაობა უნდა ჰქონდეს. რაც მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან სპეციფიკურ მიმართებებს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სრულებით არაა, რომ ჩვენი ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრება ჩვეულებრივ მხოლოდ აწმყოზეა მიჯაჭვული. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი კვერცხით ვკმაყოფილდებით, მომავლის მიზნები არ გაგვანია, და ეს იმ დროს, როდესაც დასავლური სამყარო მომავლის დაგეგმვა-შექმნითაა უმთავრესად დაკავებული. ამგვარი დამოკიდებულება არსებობასთან სპეციფიკურ-ადამიანურია და გამოარჩევს მას ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებებისაგან. ამიტომაც ეს პრობლემა ჩვენი კვლევის არეალში აღმოჩნდა.

ადამიანის ქცევის განხილვისას ნათელი გახდა, რომ ის გარკვეული განწყობის საფუძველზე ხორციელდება.

განწყობის გავლენით ქცევაში გათვალისწინებულია მოთხოვნა, საჭირო საგნობრივი გარემო და მომზადებული ოპერაციული შესაძლებლობები. ამის გამო ქცევა, როგორც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაშია ცნობილი, მიზანშეწონილ ხასიათს იძენს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ტერმინი „მიზანშეწონილება“ უადგილოდ მიგვანია, რადგან განწყობაში სულაც არ არის გათვალისწინებული ინდივიდის მიზანი. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ცოცხალი ორგანიზმის ქცევა აწმყოში მიმდინარეობს, არსებულ მოთხოვნილებას, დანაკლისის დაკმაყოფილება-შევსებას ემსახურება. ამიტომ განწყობას, რომელიც მოცემულ მომენტში იქმნება და არსებულ ქცევას უდევს საფუძვლად, „სიტუაციური განწყობა“ ვუწოდებთ. იგი მოცემულ მომენტში თავს უყრის ქცევისათვის საჭირო ძალებს. ქცევა შეუფერხებლად და განწყობისეულად მიმდინარეობს, თუკი არ არის დამაბრკოლებელი საგანი და სუბიექტს არც ცნობიერად, წარსული ცოდნის სახით ეძლევა ის მიზეზი, რომელიც მის ქცევას აფერხებს.

მაგრამ თუკი წამოიჭრება დაბრკოლება, მაშინ სუბიექტი ობიექტივაციას მიმართავს და აზროვნებას იწყებს. ინტელექტუალური ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ სუბიექტი აცნობიერებს

დაბრკოლების მიზეზებს და მის შესახებ ცოდნას მეხსიერებაში ინახავს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას მომავალში მსგავს განწყობებათა ჩამოყალიბების დროს.

ინტელექტუალური აქტივობის პროცესში სუბიექტი იყენებს წარსულში და აწმყოში მოცემულ არსებულ მონაცემებს საჭირო ქცევის შესატყვისი განწყობის ფორმირებისათვის.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს განწყობის მესამე დონეზე, სოციალური აქტივობის პროცესში. პიროვნება პირველი და მეორე დონის განწყობათა გამოყენების გარდა ქმნის და იყენებს სოციალური აქტივობის განწყობას. მის შინაგან ფაქტორს მოთხოვნას, თავად აყენებს. მოთხოვნის შესატყვისი ფაქტორებია სოციუმის თანხმობა და შინაგანი შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია სოციალური განწყობის ფორმირებისათვის. ისინი შემდგომში უნდა გამოინახოს. ამ პროცესში უკვე იგულისხმება მომავლის ერთგვარი მოცემულობა. მასში უკვე ელემენტარული სახით არის წარმოდგენილი მომავალი, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება პიროვნების აქტივობაში.

მომავლის განცდა პიროვნების ფსიქიკურ აქტივობაში სრულყოფილად არის წარმოდგენილი. პიროვნება მომავლის საშუალებით აგებს ფსიქიკურ წარმნაქმნებს, რომელთა საფუძველზე იგი ისახავს სამომავლო მიზნებს და ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში.

პიროვნების ფსიქიკურ აქტივობაში უკვე გამოყენებულია წარსული, აწმყო და მომავალი. ამის საფუძველზე მას საშუალება ეძლევა, დაუფლოს სინამდვილეს და გამოიყენოს იგი თავის მოთხოვნილებათა და მოთხოვნათა შესაბამისად.

განწყობის ფსიქოლოგიაში განწყობა არაცნობიერ ფენომენად იყო მიჩნეული, ის ადამიანის როგორც იმპულსურ, ისე გააზრებული და ნებელბითი ქცვის საფუძველად იყო მიჩნეული. ამიტომ განწყობის როგორც ცნობიერი ფაქტორების საფუძველზე აღმოცენებული მოვლენის განხილვა გარკვეულ უხერხულობას იწვევს. არადა მომავალი მიზანდასახული ქცევის განსახორციელებლად საჭირო განწყობა შეუძლებელია პიროვნების მიერ სრულიად გაუცნობიერებლად ყალიბდებოდეს.

შეუძლებელია, პიროვნებამ მომავალი ქცევა მოთხოვნისა და შესაძლებლობათა გაუცნობიერებელი გამოყენების სახით ჩამოაყალიბოს. ცხადია, პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს, თუ მომავალში რა ქცევის განხორციელებას აპირებს. ამიტომ მომავალი ქცევა, რომლის განხორციელება პიროვნებას მიზნად აქვს დასახული, მომავალზე მიმართულ ფსიქიკურ საშუალებათა საფუძველზე უნდა აიგოს. ის მიმართება, რომელიც მიზნისეულ ქცევაში აისახება, მხოლოდ ცნობიერების გამოყენებით შეიძლება აისახოს. მომავალი, გამიზნული ქცევა პიროვნებას მხოლოდ ცნობიერი სახით შეიძლება ჰქონდეს მოცემული.

განწყობის ფსიქოლოგიაში ობიექტივაციის საფუძველზე განხორციელებული ქცევის შესატყვისი განწყობის შესახებ. იგულისხმებოდა, რომ ქცევის შეფერხებისა და ვითარების ობიექტივაციის შემდეგ სუბიექტი აცნობიერებდა დამაბრკოლებელ საგნებსა და იმ მიმართების შემეცნებას ახდენდა, რომელიც გათვალისწინებული არ იყო ქცევაში.

განწყობის მეორე დონის დახასიათების დროს ჩვენ იძულებული ვიყავით, გამოგვეჩვენა აზროვნების განწყობის ფაქტორები, რომელთა ერთდროულად მოცემულობის დროს იქმნება აზროვნების განწყობა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს აზროვნება. ასეთ ფაქტორებად ჩვენ გაურკვეველი სიტუაცია, გარკვევის მოთხოვნილება და აზროვნების განხორციელების ოპერაციული შესაძლებლობები – ლოგიკური კანონები ჩავთვალეთ.

განწყობის მოქმედების მეორე დონეზე ჩვენ უკვე შესაძლებლად ჩავთვალეთ აზროვნების განწყობის გარკვეული მხარეების გაცნობიერების შესაძლებლობა.

შემეცნების განწყობის საფუძველზე ჩვენ ვაცნობიერებთ იმ მიმართებებს, რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ხდება ქცევის შეფერხება. აზროვნების მიერ გაუთვალისწინებელი მიმართების გაცნობიერების შედეგად მოპოვებული ცოდნა შეგვაქვს შეფერხებული ქცევის განწყობაში. შესაძლებელი ხდება წარმატებული ქცევის განხორციელება.

ზურაბ ვახანიამ აზროვნების განწყობის ფორმირება შესაძლებლად მიიჩნია ოდნავ განსხვავებული ფაქტორების საფუძველზე. მისი აზრით, აზროვნება ყოველთვის ქცევის დაბრკოლების საფუძველზე არ ხორციელდება [1]. ჩვენ ხშირად საკუთარ შეხედულებებს ვხვეწავთ იმ მთლიან შეხედულებათა მოთხოვნით, რომლებიც გარკვეულ ვითარებებში გვინდება.

ობიექტივაციის დონეზე განწყობის ფორმირებაში ცნობიერების მონაწილეობა ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ. იგივე შეიძლება ითქვას მესამე დონის სოციალური განწყობის შესახებ.

ეს ვითარება კიდევ უფრო ნათლად ჩანს მიზანდასახული ქცევის დროს. შეუძლებელია, პიროვნებამ დაისახოს მომავალში ქცევის განხორციელება, თუ მას გაცნობიერებული არ ექნება ის ობიექტური ვითარება, რომელთან მიმართებაშიც მან უნდა განახორციელოს მომავალი ქცევა. როდესაც პიროვნება მიზანს ისახავს, ამ მიზანს ის საკუთარი თავისადმი მოთხოვნის სახით განიცდის. ის იძულებულია, გამონახოს საშუალებები, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საგნები და მოვლენები. ეს საშუალებები ხშირად ამჟამინდელ გარემოში არ არსებობს, ამიტომ მათი წარმოსახვაა საჭირო, რაც ცნობიერების საშუალებით შეიძლება იქნეს მიღწეული. ასევე წარმოსახული უნდა იყოს ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომლითაც მიზანდასახული ქცევა უნდა განხორციელდეს. მიზანდასახული ქცევის განწყობის ფორმირების პროცესში გამოყენებული უნდა იქნას ცნობიერების გარკვეული პროცესები – წარმოსახვა და ნებელობა.

ამრიგად, ჩვენ წინაშე დგება ამოცანა, გავარკვიოთ მიზანდასახული ქცევის განწყობის სტრუქტურა. უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, რა შინაგანი ფაქტორია აუცილებელი პირობა მომავალი ქცევის განწყობის შესამუშავებლად. ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გაცნობიერდეს, თუ რა ქცევის განხორციელება სურს პიროვნებას მომავალში. პიროვნების განვითარებაში ეს ის საფეხურია, როდესაც ის ცდილობს, თავის აქტივობაში მომავალი შეიტანოს. ჩვეულებრივ, ყოველ ქცევაში აწმყოსა და წარსულის მონაცემების გათვალისწინება ხდება. პიროვნება იწყებს მომავლის ბარიერის დაძლევას. მას თავის აქტივობაში შემოაქვს წარსულისა და აწმყოს მონაცემები და მათ ამდიდრებს იმ ამოცანებით, მიზნებით, რომლებიც მან მომავალში უნდა განახორციელოს. მას უკვე შეთვისებული აქვს სივრცითი მიმართებები, რომლებსაც ქცევაში იყენებს. გარკვეული ასაკიდან იწყება დროითი მიმართებების გაცნობიერება და დაუფლება. ბავშვი იწყებს იმ მიზნების და ამოცანების გაცნობიერებას, რომლებიც მან მომავალში უნდა შეასრულოს. ამისათვის საჭიროა დროითი მიმართებების გაცნობიერება [1].

მომავალი ამოცანების გადაწყვეტა, გარკვეული ქცევის ორგანიზების გარდა, საჭირო საშუალებათა გამონახვას გულისხმობს. მათი ერთობლიობის საფუძველზე პიროვნებამ აწმყოში უნდა განახორციელოს საჭირო ქცევა. მოთხოვნა, რომელიც ამ ქცევის საფუძველზე უნდა შესრულდეს, მომავალ ქცევაზეა გათვლილი. ხოლო მის რეალიზაციას პიროვნება აწმყოში ახდენს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ისეთი ქცევა უნდა შესრულდეს, რომლის იმპულსები მომავალში თავსდება. ინდივიდის და სუბიექტის ქცევაზე წარსული და აწმყო ფაქტორები ზემოქმედებდა. ხოლო მიზანდასახულ ქცევაში მომავალი ზემოქმედებს აწმყოზე. ინდივიდის ქცევაში მიზეზშედევობრივი კავშირები აისახება და ქცევა მათ საფუძველზე ხორციელდება, ხოლო პიროვნების მიზნობრივ ქცევაში მიზანსაშუალებათა მიმართებაა ასახული და აწმყოს აქტივობაში მათი საშუალებით ხორციელდება.

ინდივიდის ქცევაში წარსულია მთავარი, პიროვნების ქცევაში კი არსებითი მომავალია.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მომავალი ქცევის განწყობის შინაგანი პირველი ფაქტორი არის მომავალში შესასრულებელი ქცევის მოთხოვნილება. მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდება, თუ ამისათვის სათანადო გარე პირობები არ არსებობს. ამ პირობების გამონახვა თავად პიროვნებას ეკისრება. განწყობის ფორმირების მეორე ფაქტორია სიტუაციური საშუალებები, რომლებშიც შესაძლებელია არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიზნობრივი ქცევის მესამე ფაქტორია ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომლებიც პიროვნებას სოციალურ გარემოში აქვს შეძენილი. ამ ფაქტორების ერთობლიობა ქმნის პირობას მიზნობრივი ქცევის განწყობის ფორმირებისათვის.

ასეთ განწყობათა სისტემის არსებობა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად არის მომზადებული პიროვნება მომავალი სოციალური ცხოვრებისათვის.

პიროვნების სამომავლო წარმატებული ქცევებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ამ მხრივ მომზადებას. სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში პიროვნების აღსაზრდელად მიზანზე ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ, ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში ამ საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცევა.

სკოლის მაღალ კლასებში და სტუდენტებთან ჩვენ ვატარებდით მუშაობას, რათა ისინი დაუფლებოდნენ მიზნის დასახვის სტრატეგიას. შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ახალგაზრდამ დასახოს უახლოესი და შორეული მიზნები და მოახდინოს მათი რეალიზაცია, რასაც პიროვნების შემდგომი განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ამ საკითხებზე ჩვენ შემდგომში საგანგებოდ გვექნება მსჯელობა.

ლიტერატურა:

1. ვახანია ზ. ძირითად მიმართებათა იერარქია და ცნება „მიზნობრიობა“. მაცნე 2007, №1.
2. ბალიაშვილი მ. სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა. თბილისი. მეცნიერება, 1980.
3. ბალიაშვილი მ. ობიექტივაციის კვლევის პერსპექტივა. „მაცნე“, 2003, №1, გვ. 15-19.
4. ნადირაშვილი დ. ზეგავლენა ფსიქოთერაპიაში. „მაცნე“, №1, გვ. 117-125, 2004.
5. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი. მეცნიერება, 1979.
6. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. I თბილისი. მეცნიერება, 1983.
7. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, სოციალური განწყობა. ტ. II თბილისი. მეცნ., 1985.
8. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. 2001. თბილისი.
9. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV. თბილისი. მეცნ. აკად. გამომცემლობა. 1964.
10. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ტ. VI. 1949.
11. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1925.
12. უზნაძე დ. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ტ. 5; თბილისი 1967.
13. ქვარცხავა რ. გადაწყვეტილების მიღებისა და ატიტუდის შეცვლის ურთიერთობის საკითხისათვის. თსუ, შრომები, სერია „სამართალი, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა“. 1975.
14. Надирашвили Ш. Понятие установки в общей и социальной психологии. Тб. 1974.
15. Надирашвили Ш. Психология пропаганды, изд. «Мецниереба» Тб. 1978.

Dimitri Nadirashvili

The Phenomenon of Goal in the Theory of Set

Resume

The article points out that goal directed behavior has its specific set. Performance of such behavior needs learning. Out of the three levels (individual, subject, personality) established in set psychology, goal directed behavior corresponds to the personality level. Goal directed set enables the personality to detach himself /herself from the present and behave in a future oriented way.

დიმიტრი ნადირაშვილი, შოთა ნადირაშვილი

დიმიტრი უზნაძის უსიძოლობის ინსტიტუტი

შემოქმედების უსიძოლობიური ბუნება განწყობის თეორიის თვალსაზრისით

პირითაღი სიტყვები:

განწყობის ღონეები, სოციალური განწყობა, შემეცნების განწყობა, შემოქმედებითი განწყობა, ნაპოვობა, თავისუფლება.

შემოქმედება ადამიანის სპეციფიკური აქტივობაა. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ სიმდიდრეს, ძვირფას ლითონებს, ქვებს, ადამიანისათვის დიდი ღირებულება აქვს, პიროვნულ შემოქმედებას, რომელიც კაცობრიობის კულტურულ ღირებულებას ქმნის, ფასეულობით ვერ შეედრება. ხშირად მატერიალურად შეუფასებელია ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა ლეონარდოს ფერწერა, მიქელანჯელოს სკულპტურები, შექსპირის და რუსთაველის ნაწარმოებები. მათი როლი კაცობრიობის განვითარებაში ფანტასტიკური და მატერიალური თვალთა მართლაც შეუფასებელია. ამიტომაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში აქტუალურია, გაეცეს პასუხი, თუ რა ძალა, რა მექანიზმი, რა მიზანი დევს შემოქმედებით აქტსა და პროცესში. ამ მხრივ ფსიქოლოგია ახსნა-ანალიზის მხრივ ბევრს ვერ დაიკვეხნის, თუმცა ფსიქოანალიზს და ეგზისტენციალიზმს შემოქმედების ბუნების ახსნის პრეტენზია აქვთ.

საინტერესოა ამერიკელი ეგზისტენციალისტის როლო მეის შემოქმედების გაგების ფორმულა, როდესაც ის შემოქმედებას პიროვნულ სიამაყედ დ გმირობად წარმოაჩენს.

შემოქმედების არანაკლებ საინტერესო გაგებას გვთავაზობს ფროიდი ესეში – „ლეონარდო და ვინჩი – ბავშვობის მოგონება“. ის შემოქმედებას სექსუალური ენერგიის, რომელიც თავის მხრივ სიცოცხლის ინსტინქტის გამოხატულებაა, სუბლიმაციად წარმოგვიდგენს. ფსიქოანალიზის მიხედვით სექსუალური ენერგია ადამიანში არამარტო სექსუალური აქტით გამოიხატება, არამედ მას უნარი აქვს შეიცვალოს სახე და იგივე ენერგია ხელოვნების სხვადასხვა ფორმაში დაიხარჯოს და გამოიხატოს. თუმცა ფროიდი აღიარებს, რომ ფსიქოანალიზი უძლურია ახსნას, თუ რატომღა, რომ ერთი ადამიანის სექსუალურ ძალას მხოლოდ პირდაპირ ბიოლოგიურად გამოხატავს, ხოლო მეორე მას სუბლიმირებს და თანაც ამით მხატვრულ შედეგებს ქმნის.

განწყობის თეორიის მიხედვით, ცოცხალი არსება სიცოცხლის შესანარჩუნებლად აქტივობას მიმართავს. სასიცოცხლო პროცესები ცოცხალ ორგანიზმებში ბიოლოგიური კანონზომიერებათა საფუძველზე ხორციელდება. ორგანიზმები სასიცოცხლო პროცესებს ფიზიკურ გარემოში ახორციელებენ. ორგანიზმი იმ ნივთიერების ასიმილირებას ახორციელებს, რაც სიცოცხლისაა აუცილებელი. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ინდივიდი სინამდვილესთან ურთიერთობისთვის ფსიქიკურ აქტივობას იყენებს. ფსიქიკური პროცესების საშუალებით ორგანიზმები სივრცითი და დროითი დისტანციის დაძლევის აღწევენ.

მხედველობის და სმენის საშუალებით ორგანიზმები ინფორმაციას იღებენ საგნობრივი რეალობის შესახებ. მათ უყალიბდებათ დისტანციური დამოკიდებულება სიცოცხლისათვის გამოსაყენებელ და გამოუსადეგარ საგანთა მიმართ. მოთხოვნილების, საგნის და სათანადო საშუალებათა თანხვედრისას მათ ექმნებათ მზაობა, დაეუფლონ საგნებს და მათი საშუალებით დაიკმაყოფილონ მოთხოვნილება.

მიზანშეწონილი მოქმედების საფუძვლადმდებარე განწყობა არის პირველი ფსიქიკური აქტივობა, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს უჩნდებათ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში. იგი ცნობიერების ჩარევის გარეშე მიმდინარეობს.

ადამიანის განვითარების დონეზე ჩნდება სინამდვილესთან ურთიერთობის მაღალი ფორმები. ქცევის დაბრკოლების დროს ადამიანი იწყებს სინამდვილის ობიექტივაცია-გაცნობიერებას. იგი არკვევს დამაბრკოლებელ გარემოებებს. ადგენს მიმართებას ქცევისა და საგნობრივ სინამდვილეს შორის, აცნობიერებს საგანთა შორის კავშირებს; ამდიდრებს ქცევას განწყობის ახალი შინაარსებით და ის გააზრებული და მიზანდასახული ხდება.

ამ პროცესის განხორციელება ინტელექტუალური განწყობის საფუძველზე ხორციელდება.

ინტელექტუალური განწყობა აღმოცენდება სამი ფაქტორის საფუძველზე. ესენია: 1) გაურკვეველი სიტუაცია, 2) გარკვევის მოთხოვნილება, 3) აზროვნების ინსტრუმენტული შესაძლებლობები (ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები).

შემეცნების განწყობის საფუძველზე ადამიანი სინამდვილის ისეთ ასპექტებს ითვალისწინებს, რომლებიც მარტივი სასიცოცხლო პროცესების დაკმაყოფილებისას ვერ მიიღწევა. მაგრამ შემეცნების საშუალებით დაძლეული პრობლემების და სინამდვილის არსებითი მხარეების გათვალისწინების შედეგად განხორციელებული აქტივობა საკმარისი არ არის მორალურ-ესთეტიკური და სოციალური გარემოს შესაქმნელად. ადამიანი იყენებს ცნობიერების ისეთ უნარებს, როგორიცაა ემოციები, წარმოსახვა, ნებელობა.

სათანადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა შეიქმნას წარმოსახული სინამდვილე, რომელშიც ადამიანი გაცილებით ღრმად შეძლებს თავისი პიროვნული მოთხოვნების და მიზნების რეალიზებას.

ამის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის სპეციალური უნარებისა და პოტენციალის გარეშე. ადამიანურ შესაძლებლობათა საფუძველზე იქმნება ისეთი სინამდვილე, რომელშიც მისი შემოქმედებითი ძალები რეალიზდება.

თავისუფლების ერთერთ გზას ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა ქმნის. შემოქმედებაში თავისუფალი ადამიანის ტენდენციები ხორციელდება.

ამ პროცესში იქმნება კულტურული ღირებულების მქონე ნაწარმოებები. როგორც სამართლიანად აღნიშნავს რივერტი, ბუნებრივი პროდუქტების გვერდით არსებობს ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული პროდუქტები.

შემოქმედებითი ქცევის განწყობის ფორმირებით პიროვნებამ უნდა შექმნას ისეთი სინამდვილე, რომელშიც ის შეძლებს უმაღლეს ადამიანურ ღირებულებათა დაკმაყოფილებას. ამის საშუალებები გარე აქტივობაში არ მოიპოვება. ამიტომ ადამიანისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა სინამდვილის აღქმითა და გააზრებით მოპოვებული მონაცემები, არამედ საჭირო გახდა წარმოესახა და შეექმნა ისეთი სინამდვილე, რომელიც განსხვავდება და აღემატება ინტელექტით ასახულ რეალობას. ამისათვის პიროვნებამ დაიწყო იდეალიზირებული სინამდვილის წარმოსახვა და შექმნა.

შემოქმედება მრავალი მიმართულებით განვითარდა. მხატვრული ლიტერატურა ენაში ასახული შემოქმედებაა, რომელშიც წარმოსახული, ფანტაზიის მეშვეობით შექმნილი, არარსებული რეალობაა წარმოდგენილი. იგი ადამიანის კულტურულ, მორალურ-ესთეტიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ავსებს არსებულ სინამდვილეს მორალურ-ესთეტიკური ღირებულებებით.

ეს პროცესი ადამიანისთვის იმდენად ღირებული იყო, რომ შეიქმნა ხელოვნების ცალკეული მიმართულებები, რომლებშიც დიფერენცირებულად გამოხატულია ის იდეალური და სასურველი ცხოვრების ფორმები, რომლისკენაც ადამიანი იღტვის. შემოქმედების ასეთი მიმართულებებია ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, ცეკვა (ქორეოგრაფია), ლიტერატურა და სხვა.

შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო განწყობას საფუძვლად უდევს ადამიანისეული ესთეტიკური გარემოს არსებობის მოთხოვნილება, მისწრაფება იმისკენ, რომ ცხოვრობდეს მაღალ მორალურ-ესთეტიკურ სოციალურ გარემოში, რომელიც მის პიროვნულ ღირებულებებს დააკმაყოფილებს.

შემოქმედებითი პროცესისკენ ლტოლვა იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანისთვის არ არის საკმარისი სასიცოცხლო, შემეცნებით და სოციალურ ღირებულებათა და მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ადამიანი წარმოსახავს მიმართავს, რომელიც მას არსებული რეალობიდან

შექმნილ სასურველ რეალობაში გადაიყვანს. ეს ის წარმოსახული რეალობაა, რომელშიც, ნამდვილი რეალობისაგან განსხვავებით, ადამიანის არარეალიზებული მოთხოვნილებები და მოთხოვნები შეიძლება განხორციელდეს.

სოციალური ქცევა სოციალური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. სოციალური განწყობა იქმნება პიროვნების მოთხოვნისა და სოციალური რეალობის თანხმობის პირობებში. უთანხმოების დროს, როცა პიროვნების სოციალური მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას სოციალური გარემო არ აძლევს, პიროვნებას ექმნება უარყოფითი განწყობა სოციალური გარემოს მიმართ, მასში მონაწილე მოვლენებისა და ადამიანებისადმი. ისინი პიროვნების უარყოფით განწყობათა მტევანს ქმნიან.

რეალობისადმი დამოკიდებულების დადებითი და უარყოფითი მტევნები ერთმანეთთან შერწყმით ქმნიან ახალ წარმოსახულ სინამდვილეს, რომელიც განსხვავდება რეალობისგან; ამგვარი სინამდვილე შემოქმედებითი აქტივობის ნაყოფია. იგი რეალობასაც ასახავს და ამავე დროს ისეთი სინამდვილეც შემოჰყავს, რომელიც არარეალიზებული მოთხოვნების შინაარსიდან მომდინარეობს.

ამ გზით შექმნილი წარმოსახული სინამდვილე შემოქმედ პიროვნებას არარეალიზებული მოთხოვნების რეალიზაციის საშუალებას აძლევს.

დადებით და უარყოფით განწყობათა მტევნებიდან პიროვნება არჩევს – აერთიანებს ისეთ განწყობებს, რომლებითაც, რეალობის გამოხატვასთან ერთად, შემოქმედებაში, წარმოსახული არარეალიზირებული მოთხოვნების შესატყვისი სინამდვილეც შემოაქვს. ესაა პიროვნების შემოქმედებითი აქტივობის პროდუქტი. ეს პროცესი ნებელობითი აქტივობით ხორციელდება. ნებელობა იმაში გამოიხატება, რომ პიროვნება დადებით და უარყოფით განწყობათა მტევნებიდან თავისუფალი არჩევანით მისთვის მისაღებ განწყობებს იღებს და ახორციელებს ქცევაში. ამ ქცევაში რეალური და წარმოსახული სინამდვილეც არის ასახული. ეს პიროვნების თავისუფალი ნების, შემოქმედებითი აქტივობის გამოხატულებაა.

შემოქმედებით აქტივობაში თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პიროვნება თავად ირჩევს მხატვრული სინამდვილის აგების ფორმას და შინაარსს. იგი აუცილებლობით არ არის მოცემული. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი აქტივობა რეალობიდან მომდინარე იმპულსებით არ არის გაპირობებული, არამედ პიროვნების შინაგანი იმპულსით არის წარმართული, რომელიც წარმოსახული სინამდვილის პიროვნებისეულ აგებაში გამოიხატება. ამიტომ ხელოვნების ნაწარმოებები, სინამდვილის აღწერის გარდა, უმთავრესად პიროვნების მიერ აგებული სინამდვილის ბუნებას გამოხატავს. მხატვრული ნაწარმოების შინაარსი შემდგომში ბადებს სინამდვილის შესატყვისი რეალობის აგების ტენდენციას. ამიტომ იგი მომავალში საფუძვლად ედება საზოგადოების განვითარებას. ხელოვნებაში გააზრებული სინამდვილე პრინციპულად განსხვავდება მეცნიერების მიერ მიზეზ-შედეგობრივად აგებული სინამდვილისაგან, მაგრამ მასთან ერთად ის საზოგადოებას საშუალებას აძლევს, ადამიანურად მოაწიოს საარსებო გარემო. იგი სერიოზული სტიმული ხდება კაცობრიობის განვითარებისათვის.

ახლა შემოქმედებითი განწყობის ფაქტორებს გვინდა შევეხეთ. შემოქმედებით აქტივობას, როგორც ყველა ქცევას, გარკვეული განწყობა უდევს საფუძვლად. ამ განწყობის შინაგანი ფაქტორია რეალობაში დაუკმაყოფილებელი პიროვნული მორალურ-ესთეტიკური მოთხოვნები. ეს ადამიანური მოთხოვნებია, რომელთა დამაკმაყოფილებელი გარემო, საგნობრივი რეალობა არ არსებობს. ეს მოთხოვნილება სინამდვილეში არსებული პიროვნული უკმარობის განცდაა. რადგან პიროვნული მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი რეალური გარემო არ არსებობს, ამიტომ პიროვნებამ წარმოსახვის საშუალებით თავად უნდა შექმნას მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი სიტუაცია. ამის საშუალებად პიროვნება წარმოსახვას იყენებს. ხდება მხატვრული ნაწარმოების სინამდვილის რეალობაში ჩანაცვლება.

შემოქმედებითი განწყობის მესამე ფაქტორია შემოქმედი პიროვნების ინსტრუმენტული საშუალებები და უნარები, რომელთა საშუალებითაც ყალიბდება წარმოსახული სიტუაცია და იგი რეალური სიტუაციის ადგილს იკავებს.

ეს უკმარობა გამოწვეულია არა საგნების და მოვლენების არარსებობის გამო, არამედ სოციალური ცხოვრების ვითარებით, რომელშიც ჯეროვნად ვერ ხორციელდება პიროვნების მორალური და ესთეტიკური ღტოლვები და სურვილები.

პიროვნების მოთხოვნილება მხატვრულ შემოქმედებაში მუზის სახელით არის ცნობილი. რაც იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებით აქტივობას მუზის არსებობა განაპირობებს. მაგრამ, რადგან მუზა გულისხმობს პიროვნებისათვის გარე დამხმარე საშუალებას, ხოლო შემოქმედება პიროვნების აქტუალურობით ხორციელდება, ამიტომ მუზა ზუსტად ვერ გამოხატავს შემოქმედებისთვის საჭირო შინაგანი აქტივობის ფაქტორს, ჩვენი აზრით, შემოქმედის აქტივობის შინაგან ფაქტორად ადეკვატური იქნება ტერმინი „პიროვნული შთაგონება“.

შთაგონებაში ნაგულისხმევია გონების ისეთი მოქმედება, რომელიც წარმოსახულ მოვლენებს გონიერულად ალაგებს და რეალობად წარმოგვიდგენს.

ამგვარად, შემოქმედების პიროვნულ ფაქტორად შთაგონება გვევლინება. ტერმინი შთაგონება საუკეთესოდ გამოხატავს შემოქმედების გამომწვევ შინაგან ფაქტორს.

ობიექტივაციის დონეზე განხორციელებულ აქტივობაში ჩვენ განვიხილეთ რეალობის შემმეცნებელი საქმიანობა, რომელიც, მაგალითად, სუბიექტის მეცნიერულ კვლევაში რეალიზდება.

სოციალური აქტივობის დონეზე ჩვენ დავახასიათეთ პიროვნების შემოქმედებითი საქმიანობა, რომლითაც რეალობისაგან განსხვავებული ახალი სინამდვილე იქმნება. იგი არსებულ რეალობას ამდიდრებს.

ამგვარად, ჩვენ დავახასიათეთ შემმეცნებელი სუბიექტისა და შემოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიური ბუნება განწყობის თეორიის თვალსაზრისით.

მეცნიერება და ხელოვნება კულტურის ორი მიმართულებაა, რომელიც ადამიანს ცხოვრების უკეთ მოწყობა-ორგანიზებაში ეხმარება. ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გარემოს ორგანიზებაა. ადამიანმა პრიმიტიული მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, დაიწყო სინამდვილის ობიექტივაცია, შემეცნება, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება. კაცობრიობის დასაწყისში, ადამიანმა მითოლოგიის შექმნა დაიწყო, რომელშიც სინამდვილე თავისებურად იყო ორგანიზებული. მითოლოგიურ სამყაროში ერთმანეთისგან იზოლირებული არაა მატერიალური და სულიერი სამყაროები, სუბიექტი და ობიექტი დიფერენცირებული არ არის ერთმანეთისაგან. ზევსი რომ რაიმე ქცევას ახორციელებს, ეს სუბიექტის მოქმედებაა და ბუნების მოვლენაც. ადამიანი რომ გარკვეულ საქმიანობას ეწევა, ის ამავე დროს მითოლოგიურ ღმერთთან, სულიერ სამყაროსთან არის დაკავშირებული. მითოლოგიური მსოფლმხედველობით მოქმედების დროს ადამიანის განწყობაში, სუბიექტისა და პიროვნების დონეთა დიფერენციაცია ჯერ არ მომხდარა. ადამიანის მოქმედებაში ჩართულია მითოლოგიური ღმერთი. კაცობრიობის განვითარება ამ ერთიანობის დიფერენციაციისკენ წავიდა. სუბიექტის ობიექტისადმი დამოკიდებულება და პიროვნების დამოკიდებულება სოციალური სინამდვილის მიმართ მკვეთრად გაიყო ერთმანეთისაგან. ამ დიფერენციაციამ ადამიანი მიიყვანა იმ რეალობაში, რომელშიც მეცნიერება რეალური სინამდვილის შემსწავლელ საქმიანობად იქცა, ხოლო ხელოვნება ადამიანური ახალი სინამდვილის შექმნას და გამოხატვას ემსახურება. შედეგად, ადამიანს ჩამოუყალიბდა ინტელექტუალური საქმიანობის განწყობა და სულიერი სამყაროს შექმნის შემოქმედებითი განწყობა. ადამიანის სულიერი ცხოვრებისთვის რეალობის შემეცნებასთან ერთად ასეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედებით შექმნილ სინამდვილეს. ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრება მათი შედეგების გაერთიანებაა.

1. ნადირაშვილი დ. გეშტალტთერაპიის და განწყობის თეორიის მონაცემთა გამოყენება ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში. ვლ.ნორაკიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1999.
2. ნადირაშვილი დ. ზეგავლენა ფსიქოთერაპიაში. ჟ. „მაცნე“, №1, გვ. 117-125, 2004.
3. ნადირაშვილი დ. არაცნობიერი ზეგავლენა განწყობის თეორიის თვალსაზრისით. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი №7, თბილისი, 2004. გვ. 67-82.
4. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი. მეცნიერება, 1979.
5. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. I თბილისი. მეცნიერება, 1983.
6. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, სოციალური განწყობა. ტ. II თბილისი. მეცნიერება, 1985.
7. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. 2001. თბილისი.
8. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV. თბილისი. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1964.
9. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI. 1949.
10. უზნაძე დ. „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი, 1925.
11. უზნაძე დ. პედაგოგიური ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 5; თბილისი 1967.
12. მირცხულავა რ. ფუნქციონალური ტენდენციის მნიშვნელობა არტ-თერაპიული პრაქტიკისათვის. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2007, №1. თბილისი.

Dimitri Nadirashvili, Shota Nadirashvili

The Nature of Creativity from the Perspective of the Theory of Set

Resume

The article describes the set satisfying the individual's needs, the set underlying the individual's creative activity and the set determining the personality's social activity. Out of the social sets we have singled out one of its varieties – creativity set. At the objectification level creativity and cognitive sets form cultural products accumulated in science and art.

შოთა ნაღირაშვილი

დოქტორი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სოციალური განწყობის თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები:

სოციალური განწყობა, სოციალური მოთხოვნა, სოციალური თანხმობა-უთანხმობა, განწყობის პალანტოზა, განწყობის მიღების გონა, შეწყნარების გონა.

სოციალური განწყობა განწყობის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს. იგი პიროვნების ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველია. განწყობათა სახეები ადამიანის განვითარების დონეებთან არის დაკავშირებული.

ადამიანები განვითარების პროცესში სამ საფეხურს გადიან. ესენია: ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტივობის დონეები. ამ დონეებზე ადამიანის აქტივობის ფსიქოლოგიური შინაარსები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ინდივიდის აქტივობის დონეზე ადამიანი ძირითადად თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს ემსახურება; სუბიექტის დონეზე ის სინამდვილის შემეცნებას ახდენს. პიროვნების ფსიქიკური აქტივობის დონეზე ადამიანი სოციალურ არსებად ყალიბდება. ის შედის სოციალური ცხოვრების პროცესებში, სოციალურ გარემოს უყენებს თავის მოთხოვნებს, თავის მხრივ იღებს სოციალური გარემოს მოთხოვნებს და მოქმედებს მათ შესასრულებლად. ინდივიდის ფსიქიკური პროცესები აქტივობის პირველ დონეზე ხორციელდება. ისინი პირველი დონის განწყობის საფუძველზე სრულდება. სუბიექტის დონეზე ადამიანი შემეცნების პროცესს ახორციელებს, და შეფერხებული ქცევების წარმატებით გაგრძელებას ახერხებს. პიროვნების აქტივობის, ანუ მესამე დონეზე ადამიანი ქმნის და ერთვება სოციალურ პროცესებში.

დ. უზნაძემ ფსიქიკური აქტივობის ორი დონის სახით წარმოადგინა: იმპულსური აქტივობისა და ობიექტივაციის დონეზე განხორციელებული ქცევის სახით. ობიექტივაციის დონის ფსიქიკური პროცესები ჩვენ ორი სხვადასხვა სახით წარმოვადგინეთ. ობიექტივაციის დონეზე ადამიანი ქცევის შემაფერხებელი ფიზიკურ მოვლენებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს აცნობიერებს, შემეცნებით პროცესებს მიმართავს. ამ პროცესებისაგან განსხვავებით ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ერთმანეთისგან გაგვეჩრია ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე პროცესები, რომელთაგანაც ერთნი ქცევის შემაფერხებელი ფიზიკური სინამდვილის თავისებურებებსა და მიმართებებს აცნობიერებენ, ქმნიან ცოდნათა სისტემას ობიექტური სამყაროს შესახებ.

ადამიანთა სოციალური ურთიერთობის შესახებ არსებული აზრების და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბება, მათი ინტელექტუალური გააზრების გარდა ისეთ პროცესებს გულისხმობს, რომლებსაც მხოლოდ ცოდნის სახე არა აქვთ. სოციალური განწყობები სწორედ ასეთ აქტივობას ედება საფუძველად. ისინი ძირითადად ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავენ სოციალური მოვლენების მიმართ და სოციალური ქცევის ფორმებს ედებიან საფუძველად.

სოციალური ქცევა არსებითად საგნობრივ სინამდვილესთან არ არის დაკავშირებული. სოციალური განწყობა და სოციალური ქცევა სულ სხვა შინაარსით ხასიათდება. ამ დროს ადამიანი სოციალურ გარემოსთან, ადამიანებთან ამყარებს და აწესრიგებს თავის ურთიერთობას. ის ერთვება სოციალურ პროცესებში და პიროვნება ხდება. სოციალური აქტივობის ფაქტორებს საგნები და მათ მიმართ მოთხოვნილებები როდია. სოციალური ქცევის საფუძველზე ადამიანი შედის სოციალური ურთიერთობის პროცესში, ითვალისწინებს სოციალური სინამდვილის მოთხოვნებს და საკუთარ მოთხოვნებს აყენებს სოციალური სინამდვილის წინაშე.

სოციალური განწყობის და მის საფუძველზე განხორციელებული ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსის დახასიათებისათვის აუცილებელია ამ ქცევის ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი. როგორც ცნობილია, პიროვნება სოციალურ ქცევებს დამოუკიდებლად არ ახორციელებს. ის თვითონ სოციალური ცხოვრების პროცესში ყალიბდება უფროსი თაობის ზემოქმედებით.

ადამიანის სწავლისა და აღზრდის პროცესში უფროსები ასწავლიან ბავშვებს შემეცნებით და სოციალურ ქცევებს. იმპულსური ქცევის ფორმირების, გამომჟღავნების პროცესში უფროსებს ნაკლები წვლილი შეაქვთ, ვიდრე შემეცნებითი და სოციალური ქცევების სწავლების დროს. სასკოლო ასაკამდე ოჯახში უფროსების გავლენით ეუფლებიან მოხმარების ქცევას. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო მოქმედებებს. ბავშვებში ამ დროს ხდება სასიცოცხლო მოთხოვნილებისთვის საჭირო მოქმედებათა დახვეწა, განვითარება. ისინი თანდაყოლილი ქცევის ბიოლოგიური ფორმების დახვეწა-განვითარებას ახდენენ. ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, სასკოლო ასაკში ხდება ბავშვების, სასკოლო ასაკის შესატყვისი სწავლება და აღზრდა. ამ დროს ხდება მოზარდების შემეცნების და აზროვნების უნარების განვითარება, რის საფუძველზეც ღრმავდება ბავშვებში ინტელექტუალური უნარები და საგნობრივი სინამდვილესთან ურთიერთობა თანდათან სრულყოფილი ხდება.

12-16 წლის ასაკში დიდ მნიშვნელობას იძენს ბავშვების სოციალურ ურთიერთობათა განვითარება. ამ ასაკში მოზარდი სწავლობს თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის საჭირო ფორმებს. მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ მოზარდებს ამ ასაკში შეუძლიათ დამოუკიდებელ სოციალურ ურთიერთობათა დამყარება ადამიანებთან და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა. ამ პერიოდში ხდება მათი ერთგვარი შემზადება დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის ჯერ არ არიან მზად. პიროვნების ჩამოყალიბების შემდეგ ადამიანები ახერხებენ სოციალური ქცევების განხორციელებას. პიროვნების ჩამოყალიბების შემდეგ 16-17 წლის ასაკში ადამიანები თვითონ დამოუკიდებლად ახერხებენ საკუთარი მოთხოვნების დასახვას. ამ პერიოდიდან იწყება ადამიანის მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება. ახალგაზრდა ამ დროს ძირითადად ცნობილი ადამიანების მიბაძვით აყალიბებს თავის საქმიანობას. სოციალური გარემო მას როგორც ზრდასრულს უყენებს მოთხოვნებს და პიროვნება იძულებული ხდება, საკუთარი ძალებით განახორციელოს სასიცოცხლო ამოცანები. ასევე სოციალური გარემო მას, როგორც პიროვნებას, უყენებს თავის მოთხოვნებს და ის ვალდებულია, შეასრულოს ეს მოთხოვნა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც არ ეთანხმება ამ მოთხოვნებს, თავის ქცევას აყალიბებს ამ მოთხოვნების წინააღმდეგ თავისი მიზნების განსახორციელებლად. სოციალური აქტივობის დონეზე აქტუალური ხდება სინამდვილის მიმართ დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება. მათ საფუძვლადმდებარე განწყობები საზოგადოების მოთხოვნების მიმართ დადებით და უარყოფით მოქმედებას ახორციელებს.

სოციალური განწყობა, იმპულსური და ინტელექტუალური განწყობებისაგან განსხვავებით, სინამდვილის მიმართ დადებით და უარყოფით დამოკიდებულებას იძენს. განწყობის ეს თვისება დიდ როლს თამაშობს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში და სინამდვილის დადებითად და უარყოფითად განხილვის უნარის განვითარებაში.

ამრიგად, სოციალური განწყობა არის ადამიანის განვითარების უმაღლეს დონეზე სინამდვილესთან ურთიერთობის ფსიქიკური აქტივობის საფუძველი. ამ დროს პიროვნება დაკავშირებულია სოციალურ გარემოსთან და მასთან ურთიერთობაში ახორციელებს მისთვის დამახასიათებელ საქმიანობას. ამ ვითარების გამო სოციალური განწყობა თავისი შინაარსით განსხვავდება იმპულსური და შემეცნებითი განწყობებისაგან. მისი ფაქტორები მკვეთრად განსხვავდება ადრე აღნიშნულ განწყობათა ფაქტორებისაგან. მისი ფაქტორებია: 1) პიროვნების მოთხოვნა სოციალური სინამდვილის მიმართ; 2) სოციალური გარემოს მოთხოვნა (თანხმობა-უთანხმობა) და 3) საჭირო განწყობის ფორმირებისათვის აუცილებელ ოპერაციულ შესაძლებლობათა აქტივაცია. სტრუქტურულად ამავე სახისაა სოციალური განწყობა, როცა მისი ფორმირება სოციალური მოთხოვნით იწყება. სოციალური მოთხოვნის, პიროვნების თანხმობა-

უთანხმოების და საჭირო ქცევის შესატყვის ოპერაციულ შესაძლებლობათა გაერთიანებით პიროვნება ისევე სოციალურ ქცევას მიმართავს და ისიც სოციალური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულთ გარდა სოციალური განწყობები ყალიბდება სხვაგვარ ვითარებებშიც. ეს შესაძლებლობა იმ თავისებურებებითაა განპირობებული, რასაც ჩვენ სოციალური განწყობის დადებით და უარყოფით ნიშანს – განწყობის ვალენტობას ვუწოდებთ.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ სოციალური განწყობის მოქმედების დროს, როცა წარმატებით და რამდენჯემე ხორციელდება განწყობა, ის განწყობა განმტკიცდება და ინახება ფსიქიკაში. განმტკიცებული განწყობის შინაარსში ყალიბდება დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება ქცევაში ჩართული საგნების, სოციალურ ფასეულობათა და ადამიანების მიმართ. მაშასადამე, განწყობის ეს ნიშნები გადადის იმ საგნებზე და ადამიანებზე, რომლებიც აღნიშნულ ქცევაში იყვნენ ჩართულნი. ის განწყობები, რომელთა საფუძველზე პიროვნება დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს საგნებისა და ადამიანების მიმართ, ერთიანდება დადებით განწყობათა სისტემაში, დადებით განწყობათა მტევანში და შემდგომ დადებით ქცევას ასრულებს მსგავს განწყობებში ასახული მოვლენების მიმართ. ხოლო საგნებისა და ადამიანების მიმართ ფორმირებული უარყოფითი განწყობები ერთიანდება უარყოფით განწყობათა სისტემაში, უარყოფით განწყობათა მტევანში და უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს განწყობაში ასახული მოვლენების მიმართ. აღმოჩნდა, რომ ადამიანს ექმნება დადებითი ან უარყოფითი განწყობა შემდეგი კანონზომიერებით:

- 1) როდესაც A-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, ხოლო B-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-სა და C-ს შორისაც დადებითი დამოკიდებულების ტენდენცია ჩნდება:

$$(A+B) \bullet (B+C) \rightarrow (A+C)$$

- 2) როდესაც A-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, ხოლო B-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-ს ექმნება უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია C-ს მიმართ:

$$(A+B) \bullet (B-C) \rightarrow (A-C)$$

- 3) როდესაც A-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, ხოლო B-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-ს ექმნება უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია C-ს მიმართ:

$$(A-B) \bullet (B+C) \rightarrow (A-C)$$

- 4) როდესაც A-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, და B-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-ს უჩნდება დადებითი დამოკიდებულების ტენდენცია C-ს მიმართ:

$$(A-B) \bullet (B-C) \rightarrow (A+C)$$

მაგალითები: იჭავჭავაძეს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ. ჩვენი დადებითი დამოკიდებულება ი. ჭავჭავაძის მიმართ იწვევს ჩვენს დადებით დამოკიდებულებას საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. ჩვენი დადებითი დამოკიდებულება დასავლეთის პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ და დასავლეთის უარყოფითი განწყობა ტერორიზმის მიმართ იწვევს ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას ტერორიზმის მიმართ. ჩვენი უარყოფითი განწყობა ქურდული სამყაროს მიმართ და მათი უარყოფითი დამოკიდებულება მორალური ცხოვრების მიმართ იწვევს და აძლიერებს ჩვენს დადებით განწყობას მორალური ცხოვრებისადმი. ეს მაგალითები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ სოციალური განწყობები იქმნებიან ადამიანთა სოციალური პირობების ურთიერთობის პროცესშიც, როდესაც მათ შემუშავებული აქვსთ გარკვეული განწყობები ერთმანეთის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში არსებული სოციალური განწყობები ადამიანთა ფსიქიკაში ახალ სოციალურ განწყობებს განსხვავებული გზებითაც იწვევენ. ექსპერიმენტული

მონაცემები გვიჩვენებს, რომ როდესაც A სუბიექტი დადებით განწყობას ამჟღავნებს ერთმანეთთან დაკავშირებული B და C სუბიექტების მიმართ, სოციალური აქტივობის შემდეგ B და C სუბიექტებს შორისაც დადებითი განწყობა ჩნდება.

როდესაც A სუბიექტი ერთდროულად ამჟღავნებს ურთიერთობაში მყოფ B სუბიექტთან დადებით განწყობას და C სუბიექტთან უარყოფით განწყობას, მაშინ B-ს და C-ს შორის უარყოფითი განწყობა იქმნება.

იმ შემთხვევაში, როდესაც A სუბიექტი ერთმანეთთან დაკავშირებული B და C სუბიექტების მიმართ, ორივესადმი უარყოფით განწყობას ამჟღავნებს, ამ შემთხვევაში B და C სუბიექტებს შორის დადებითი განწყობა იქმნება.

აღნიშნული კანონები ერთ მთლიან სისტემას ქმნის. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე პოლიტიკური პროცესების მართვის დროს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, სოციალური განწყობები ვალენტობით ხასიათდება. მათ დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური (ნულოვანი) ნიშანი აქვთ. ტურსტონისა და ლაიკერტის თეორემტსაფეხურიანი სკალების გამოყენებით მოვახდინეთ გარკვეულ სოციალურ განწყობათა რიცხობრივი დახასიათება. რაც უფრო უკიდურესი რიცხვითით ხასიათდება სოციალური გამოწყობა (-5-დან +5-მდე), მით უფრო დიდი ინტენსიურობისაა იგი და მკვეთრად ავლენს თავის შინაარსს. მკვეთრად დაპირისპირებულ განწყობათა საფუძველზე სუბიექტები მკვეთრად დაპირისპირებულ, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს ამჟღავნებენ. არსებობს დაპირისპირებათა განსხვავება, რომლის დროსაც პიროვნებები ვერ ახერხებენ თანამშრომლობას, ნორმალურ ურთიერთობას. თუმცა არსებობს დაპირისპირებათა სიდიდეები, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება პიროვნებათა თანამშრომლობა. ამ თვალსაზრისით სოციალური განწყობები დავახასიათოთ, როგორც უკიდურესი და ზომიერი.

აღმოჩნდა, რომ A პიროვნებას შეიძლება აღმოაჩნდეს მიღების ზონა, რომლის ფარგლებში მყოფი განწყობები შესაძლებელია მისაღები გახდეს მისთვის. ხოლო ამ ზონის გარეთ არსებული განწყობები მიუღებელია მოცემული A პიროვნებისათვის. მიღების ზონის გარეთ არსებული განწყობის მქონე C პიროვნებასთან A პიროვნებას კონფლიქტური ურთიერთობა ექმნება. მათ შორის არსებული კონფლიქტის დაძლევა განწყობათა შეცვლის საინტერესო კანონზომიერებით ხასიათდება (მათ შესახებ შემდგომში საგანგებოდ გვექნება საუბარი).

ექსპერიმენტის საფუძველზე გაირკვა ისიც, რომ ზოგჯერ შეწყნარების ზონაში ხდება განწყობები, რომლებიც ვალენტობით განსხვავდება სუბიექტის განწყობისაგან. ე. ი. ხდება მათი შეწყნარება. A პიროვნება შეწყნარების ზონაში მყოფი განწყობის მქონე C პიროვნებასთან ახერხებს თანამშრომლობას, კონფლიქტის აცილებას.

კიდევ ერთი საინტერესო კანონზომიერება აღმოჩნდა: საშუალო-სტატისტიკურად რაც უფრო უკიდურესი განწყობა აქვს პიროვნებას, მით უფრო მცირე მიღების ზონა აქვს მას და თითქმის არავითარი შეწყნარების ზონა არ გააჩნია.

სოციალური განწყობის კიდევ რამდენიმე კანონზომიერება იქნა აღმოჩენილი ნ. ბურდულის, ე. ჩომახიძის, ნ. ცხვედაძის, მ. კეკელიას გამოკვლევებში. ადამიანებს შორის ურთიერთობაში იქმნება მორალური, კულტურული, საზოგადოებრივი ღირებულებები. სოციალურ სიტუაციებში იქმნება სიტუაციურ-სოციალური განწყობები და მათ საფუძველზე წარმატებით განხორციელებული ქცევების გავლენით ხდება მათი განმტკიცება, დისპოზიციურ განწყობებად გადაქცევა, პიროვნების ფსიქიკურ სტრუქტურაში შესვლა.

სოციალურ განწყობათა საფუძველზე ფორმირდება ადამიანთა შემოქმედებითი საქმიანობა, რაც სინამდვილეში არარეალიზებული განწყობის გავლენით ხორციელდება. ინტელექტუალურ და სოციალურ განწყობათა საფუძველზე ადამიანი ახდენს სინამდვილის შემეცნებას და შევსებას ახალი ურთიერთობებით, რითაც ის მორალურ და შემოქმედებით ცხოვრებას ახორციელებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ცნების საფუძველზე, რომელიც დ. უზნაძემ ფსიქოლოგიის ზოგად თეორიას დაუდო საფუძვლად, შესაძლებელი გახდა სინამდვილის და პიროვნების ურთიერთობის პრობლემების გადაწყვეტა. ამ თეორიამ თავი დააღწია სუბიექტივისტურ,

იდეალისტურ და ობიექტივისტურ ფიზიოლოგიურ გაგებას. განწყობა აერთიანებს სულიერ და მატერიალურ მონაცემებს და შესაძლებელს ხდის, ფსიქიკა გაგებული იქნეს როგორც რეალურ სინამდვილეში გაშლილი პროცესი, რომელიც აწესრიგებს ადამიანის საქმიანობას.

ლიტერატურა:

1. ბურდული ნ., მ. კეკელია. მიღების ზონის მიმართება პიროვნების მახასიათებლებთან. კრ. ფსიქოლოგია XX ტ. 2007. თბილისი.
2. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. 2001. თბილისი.
3. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ტ. VI. 1949.
4. უზნაძე დ. „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი, 1925.
5. ნადირაშვილი დ. საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის ეფექტები. ჟურნალი „ფსიქიკა“, №1, გვ. 17-25. თბილისი, 2004.
6. ნადირაშვილი დ. ზეგავლენა ფსიქოთერაპიაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის) ჟურნალი „მაცნე“, სერია „ფსიქოლოგია“, №1, გვ. 117-125, 2004.
7. ნადირაშვილი დ. ბავშვობის პერიოდში განცდილი ზეგავლენის ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის) ჟურნალი „მაცნე“, სერია „ფსიქოლოგია“, №1, გვ. 126-134, 2004.

Sh. Nadirashvili

Peculiarities of Social Set

Resume

Social set is formed on the basis of the combination of the following components: person's requirement, social environment's acceptance / rejection of this requirement and the operational means necessary for the performance of the given behavior. Social set is sometimes formed in response to the combination of the following components: social environment's requirement, acceptance/rejection of this requirement by the person and the operational means necessary for the performance of the given behavior. Social set is also formed under the influence of interpersonal attitudes that rely on a complex psychological system.

Social set has the following characteristics: valency, intensity, polarity, zones of acceptance. It is possible to understand the purposeful social behavior, resolve conflict and establish cooperation using the abovementioned characteristics.

მარინე ჯაფარიძე, მაია ბიჭაძე, მაია ჟერეთელი

*ოლიას სახელმწიფო უნივერსიტეტი***მასწავლებლის პროფესიული გამოფიტვა - გამოფიქვები ფაქტორები, პიროვნული და სოციალური მახასიათებლები****საკვანძო სიტყვები:** სტრესი, ლისტრესი, გამოფიტვა, სტრესის ღაძლევა, ღეპერსონიზაცია

შესავალი

თანამედროვე სკოლაში პედაგოგის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნები ბევრი მასწავლებლისთვის რთული და ზოგჯერ სტრესის გამომწვევია. გახანგრძლივებული სტრესი გადაღლას და შემდგომ პროფესიულ გამოფიტვას იწვევს. ამას კი სერიოზული შედეგები მოაქვს მასწავლებლის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის, მოსწავლეების, თანამშრომლებისა და საკუთარი ოჯახებისთვის, რომლებთანაც ისინი ყოველდღიურად ურთიერთობენ. კვლევები ადასტურებს, რომ მასწავლებლები, რომლებსაც გამოფიტვის სინდრომი აღენიშნებათ, უფრო დოგმატურები არიან სამასწავლებლო პრაქტიკის მიმართ და ხისტად ეპერობიან სტრუქტურასა და რუტინას [9]. რითაც ისინი სკოლის რეფორმირების ნებისმიერ მცდელობას ანელებენ. გამოფიტვის პრევენცია და მასთან ბრძოლა ერთერთი სერიოზული საკითხია განათლებაში. მოსწავლეთა მოსწრების ასამაღლებლად აუცილებელია, სკოლაში მუშაობდნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც პოზიტიურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ საკუთარი თავის, სამსახურისა და მოსწავლეების მიმართ. ამ სასურველ შედეგამდე მისვლა კი გამოფიტვის სინდრომის უფრო ფართო და ღრმა კვლევით შეიძლება.

ადრე მასწავლებლები საკუთარ პროფესიას უფრო მეტად მიიჩნევდნენ საყვარელ საქმედ, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდნენ, მაგრამ დღეს მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ პედაგოგობა ძალზე სტრესულ საქმიანობად გადაიქცა [40] [10] [23] [24]. ფარბერის [16] მიხედვით, ამერიკელი მასწავლებლების 30-35% ძლიერ უკმაყოფილოა თავიანთი პროფესიით და მათი დაახლოებით 20% პროფესიულად გამოფიტულია. აშშ-ს გარდა, მასწავლებლის პროფესიული გამოფიტვის შესახებ კვლევები ჩატარებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: კანადა, ინგლისი, ფინეთი, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, საბერძნეთი, მალტა, კვიპროსი, შოტლანდია, შვედეთი, ნიგერია, ისრაელი, ავსტრალია და სხვა. ამ კვლევების მონაცემები აჩვენებს, რომ დასავლურ სამყაროში და ასევე აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მასწავლებლების დაახლოებით 10-40% მწვავე სტრესის ან გამოფიტვის მსხვერპლია. ეს მაჩვენებელი 50%-ია აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა იაპონია და ტაივანი [26]. მეტად მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნას არა მარტო გადაღლის წყაროები და პრედიქტორები, არამედ მათ შორის ურთიერთკავშირებიც, ასევე კულტურის გავლენა სტრესორებზე, გადაღლის კომპონენტებზე და სტრესის დაძლევის სტრატეგიებზე. გადაღლის სინდრომის შესწავლა დაეხმარება ადამიანებს, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ, განახორციელონ განათლების ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს პროფესიული გამოფიტვის შემცირებასა და სწავლების ეფექტიანობის ამაღლებაში.

პროფესიული გამოფიტვის დროს მასწავლებელს არ შეუძლია ყოველდღიურ მოვალეობათა შესრულება ფრუსტრაციის ან უიმედობის გამო. ასეთ შემთხვევებში მასწავლებელი ან მიდის პროფესიიდან, ან რჩება იმავე პოზიციაზე და საზოგადოდ, წარუმატებელი ხდება.

ცნება „გამოფიტვა“ (ინგ. „Burnout“-პირდაპირი მნიშვნელობით „გადაწვა“) პირველად გამოიყენა კლინიკურმა ფსიქოლოგმა ჰერბერტ ფროიდენბერგერმა (Herbert Freudenberger). 1974 წელს მან სტატია გამოაქვეყნა სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილ ჟურნალში [43]. სადაც გამოფიტვას განიხილავდა გარკვეული პროფესიის მუშაკებისათვის დამახასიათებელ დაავადებად, მაგალითად, როგორებიც არიან სოციალური მუშაკები, ფსიქიატრიის სფეროში მომუშავენი, ექთნები და მასწავლებლები. სამსახურებში ისინი აწყდებიან სტრესის გამომწვევ მრავალგვარ ფაქტორებს, ემოციურად იღლებიან, ეკარგებათ მიზნისა და მიღწევის განცდა, რაც გრძნობების „გაცვეთას“ იწვევს.

გამოფიტვის დინამიკის გასარკვევად ერთერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ არ არსებობს ამ ცნების ერთი, ყველასაგან აღიარებული განსაზღვრება [20]. ლიტერატურაში ცნებას „გამოფიტვა“ სხვადასხვანაირად განმარტავენ: „მასწავლებლის მიერ იდეალიზმისა და სამუშაო ენთუზიაზმის დაკარგვა“ [29], „როდესაც დაკავშირებული გაუცხოების ექსტრემალური ფორმა. ეს განსაკუთრებით ეხება ურთიერთგაზიარების იმ უნარს, რომლის წყალობითაც მასწავლებელი კარგად უგებს მოსწავლეს“ [43], „სინდრომი, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ მასწავლებელს არ შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი იმ საფრთხეებისაგან, რომელიც ემუქრება მის თვითრწმენას და კეთილდღეობას“ [21].

სკოლები განსაზღვრებენ მასწავლებლის გამოფიტვას, როგორც დეპერსონიზაციით, გადაქანცვით და მიღწევის მოთხოვნილების შესუსტებით გამოწვეულ მდგომარეობას [34]. ამ დროს მასწავლებელი თავს არა პროფესიონალად, არამედ დაქირავებულ თანამშრომლად მიიჩნევს.

ფროიდენბერგერი და რიჩელსონი [17] გამოფიტვას განიხილავენ, როგორც "დაქანცულობის ან იმედგაცრუების მდგომარეობას, გამოწვეულს იმით, რომ ვერ მიიღე სასურველი ჯილდო საქმის, ცხოვრების წესის ან ურთიერთობისადმი ერთგულების მიუხედავად".

თანამედროვე განმარტებით, გამოფიტვა – ეს არის სინდრომი, რომელიც ქრონიკული სტრესული მდგომარეობიდან მომდინარეობს და ადამიანის ენერგეტიკული რესურსების გამოფიტვას იწვევს. იგი იწყება უარყოფითი ემოციების დაგროვებით, რომლებიც ვერ პპოვებენ გამოსავალს. გამოფიტვის პროცესში ყველაზე სახიფათო ის არის, რომ იგი ნელა მიმდინარეობს და ადამიანის შინაგან სამყაროს “ფერფლად” აქცევს ხოლმე. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ძალზე უარყოფითი შინაგანი ფონი ახასიათებს, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება. ადამიანის შინაგანი სამყარო დაურწმუნებლობით და დაუკმაყოფილებლობის განცდით ივსება, რაც მის ქცევაში და საუბარში გამოიხატება ხოლმე.

გამოფიტვის საკითხებზე ინტენსიურად მუშაობენ კრისტინა მასლაჩი და აიალა პაინსი კალიფორნიაში. მასლაჩი [28:16], ასე განმარტავს გამოფიტვას: „პროფესიონალებს არ ადარდებთ ის პიროვნებები, რომლებისთვისაც ისინი მუშაობენ“. 1980-იან წლებში მასლაჩმა და ჯექსონმა დახვეწეს “გამოფიტვის” ცნების მნიშვნელობა და მისი გაზომვის საშუალებები [29] [26] [27] [32]. მათ გამოფიტვაში გამოჰყვეს სამი არე: (1) **დეპერსონიზაცია**, როდესაც პიროვნება საკუთარი თავის სხეულისაგან დისტანცირებას ახდენს და სხვას არ განიხილავს, როგორც პიროვნებას. იგი შეიძლება გამოიხატოს მოსწავლეებისა და სამუშაო გარემოსადმი ცინიკური დამოკიდებულებით. (2) **პროფესიული მიღწევების რედუქცია** – მუშაკს უვითარდება საკუთარ პროფესიულ სფეროში არაკომპეტენტურობის, წარუმატებლობის განცდა, მიღწევის დაბალი მოთხოვნილება. პიროვნება საკუთარ სამუშაოს დაბალ შეფასებას აძლევს, (3) **ემოციური გამოფიტვა**, როდესაც პიროვნება გრძნობს, რომ პირადი ემოციური რესურსი ამოწურა და სტრესორებისადმი ძლიერ მოწყვლადია, უჩნდება დაღლილობის შეგრძნება, რომელიც გამოწვეულია სამუშაოს სპეციფიკით.

მასწავლებლები დეპერსონიზაციის მაღალი რისკის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდნენ იმის გამოც, რომ მათი ყოველდღიური სამუშაო თავიანთი კოლეგებისაგან დიდი ხნით იზოლაციას განაპირობებს. დღის განმავლობაში ისინი რეგულარულად ურთიერთობენ მოსწავლეებთან და არა თავიანთ

კოლეგა მასწავლებლებთან ან სკოლის სხვა თანამშრომლებთან, რომლებიც უკეთ იცნობენ იმ პრობლემებს, რაც მათ აწუხებთ. ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა სკოლის შენობა (სადაც მასწავლებლები მარტო მუშაობენ საკლასო ოთახებში) და გადატვირთული სამუშაო გრაფიკი (რომელიც თითქმის არ აძლევს მათ საშუალებას ეურთიერთონ თავიანთ კოლეგებს), შესაძლოა იზოლაციის განცდა გაუჩინოს მასწავლებლებს [3]. დეპერსონიზაცია შესაძლოა დაცვითი მექანიზმიც გახდეს, როგორც ამას აღწერენ თავად მასწავლებლები, რომელთა ცინიკური შეხედულებები მოსწავლეებზე და სწავლებაზე მათ საშუალებას აძლევს დარჩნენ პროფესიაში, თუმცა შესუსტებული უნარებით [15]. დეპერსონიზაცია, ერთის მხრივ, იცავს მასწავლებელს, ხოლო მეორეს მხრივ, მას შეუძლია გააღრმავოს იზოლაცია და გააძლიეროს პროფესიული გამოფიტვის რისკი.

ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, ძლიერი გამოფიტვის რისკის მქონე მასწავლებლები თავიანთ სამუშაოს უყურებენ როგორც ფუჭსა და შეუთავსებელს იმ იდეალებთან, ან მიზნებთან, რომლებიც მათ დაისახეს, როდესაც დამწყები მასწავლებლები იყვნენ [6]. სხვა კვლევები მიუთითებენ როლურ კონფლიქტზე და როლის ბუნდოვანებაზე, რაც მჭიდრო კორელაციაშია გამოფიტვასთან [12].

ლეკომპტმა და დვორკინმა [25] განავითარეს „გამოფიტვის“ ცნება და განიხილეს იგი, როგორც როლთან დაკავშირებული გაუცხოების უკიდურესი ტიპი-ფოკუსირებული საკუთარი საქმიანობის უახრობის განცდაზე. ეს განსაკუთრებით ეხება მასწავლებლის უნარს წარმატებით გაუგოს მოსწავლეებს. იგივე შედეგი დაადასტურა ფარბერმაც [15]. ლეკომპტმა და დვორკინმა მიუთითეს ძალაუფლების უქონლობაზე, რაც, თავის მხრივ, სტრესს იწვევს. ფიზიკური და გონებრივი ძალების ამოწურვა ძლიერდება იმის გამოც, რომ მასწავლებლებისადმი მოლოდინები განუწყვეტლივ იცვლება ან ეწინააღმდეგება ადრე არსებულ შეხედულებებს. ეს ფაქტორი მრავალ მკვლევარს აქვს აღნიშნული [6] [5] [22] [14] [41].

მასლანისა და სხვა მკვლევარების თვალთახედვით გამოფიტვა ხდება მაშინ, როდესაც დიდი სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანები ემოციურად ინდიფერენტულნი ხდებიან სამუშაო გარემოს მიმართ. გრძნობენ, რომ მათ საქმიანობას სარგებლობა არ მოაქვს იმათთვის, ვისთვისაც მუშაობენ და ვის დახმარებასაც ცდილობენ და არც საკუთარი თავისთვის. იწყებენ თავიანთი კლიენტების, პაციენტებისა თუ მოსწავლეების დადანაშაულებას იმაში, რომ კლიენტები ვერ ვითარდებიან, პაციენტები ვერ ჯანმრთელდებიან, მოსწავლეები ვერ სწავლობენ და პროფესიული მიღწევებიც ამის გამო არ აქვთ.

სხვა მკვლევარები, მათ შორის ფაინსი [31] გამოფიტვაში ხედავდა უსაგნობის განცდასთან დაკავშირებულ ეგზისტენციალურ კრიზისს. პროფესიონალები თავიანთ სამუშაოს უშუალოდ უკავშირებენ საკუთარ თვითშეფასებას. პირობები, რომლებიც საკუთარი საქმიანობის ღირებულების პიროვნულ შეფასებას დაბლა წევს, ამავე დროს, თვითშეფასების დაწევასაც განაპირობებენ. „რატომ ვაკეთებ ამას?– კითხვა ასახავს საკუთარ თავში დაეჭვებას და ყოფიერების კრიზისს.

გამოფიტვის შესწავლისას გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური. ფსიქოლოგიურ ხედვაში ერთ ელემენტზე ყველა თანხმდება - გამოფიტვა განიხილება, როგორც სტრესთან გამკლავების უუნარობა. მკურნალობას ხედავენ იმაში, რომ დაეხმარონ პიროვნებას სტრესის დაძლევის სტრატეგიების დაუფლებაში. ფსიქოლოგები გამოფიტვის მსხვერპლთ ურჩევენ სცადონ სხვადასხვა კლინიკური მეთოდების გამოყენება, დაწვეული სტრესის მართვით [8] [39] [19] [31] და დამთავრებული ჰოლისტური ჯანმრთელობის პროგრამებით [42], როგორებიცაა იოგა, სუნთქვითი ვარჯიშები, დასვენება, ძილი. სოციოლოგები გამოფიტვას ცოტა სხვაგვარად ხედავენ და მიიჩნევენ მას გაუცხოების ფორმად, რომელშიც შედის სიმენის [34] [35] [36] მიერ აღწერილი განზომილებები: „უღონობა, უსაგნობა, ნორმების არარსებობა, იზოლაცია და გაუცხოება“. მათი აზრით, გაუცხოებას ორგანიზაციული და სოციალური ფესვები აქვს და მასთან გამკლავება შეიძლება არა სტრესის დაძლევის ტექნიკებით, არამედ სტრუქტურულ ცვლილებებთან გატარებით. სტრესი აქაც მთავარი ფაქტორია გამოფიტვის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც ფსიქოლოგიურ მოდელებში, მაგრამ გადაწვის გამომწვევ მიზეზებს სკოლის ან განათლების სისტემის ორგანიზაციის სტრუქტურის შიგნით ეძებენ [12] [11] [25] [13]. როდესაც

მასწავლებელს არ შეუძლია გაარკვიოს ორგანიზაციაში თავისი როლი პასუხისმგებლობათა და მოლოდინთა მხრივ, მას უნდება უმწიფობის განცდა [37], რასაც მალე მოსდევს ყოფის უაზრობის განცდა. შემდეგ იწყება ადამიანის იზოლაცია სოციალური ურთიერთობებიდან, გაუცხოება და ჩნდება კითხვა - ღირს თუ არა ამ ორგანიზაციაში დარჩენა. გამოფიტული პროფესიონალები გრძნობენ, რომ ორგანიზაცია, სადაც მუშაობენ, ხასიათდება დაუდგენელი ნორმებით. იგრძნობა, რომ წესები ან არ არსებობს, ან მათი მიყოლა დისფუნქციურია. სპარკსი და ჰამონდი [38] აღნიშნავენ, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი პროფესიონალები მიუთითებენ მათ ორგანიზაციებში წესების დაუცველობასა და მათ გაუმჭირვალობაზე.

ამგვარად, გამოფიტვასთან გამკლავების მიზნით, ფსიქოლოგი იძლევა რეკომენდაციებს სტრესის დაძლევის უნარების განვითარებასთან, სოციოლოგი კი – სკოლაში ადმინისტრაციის ქცევის სტილისა და მართვის შეცვლასთან დაკავშირებით.

გამოფიტვასა და სტრესს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. სპეციფიკური სტრესორები (მაგ. როლური კონფლიქტი, ბუნდოვანება, გადაჭარბებული სტიმულაცია) იწვევს სტრესს მოკლე ხნით, მაგრამ დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთში აკუმულირების ეფექტს წარმოქმნიან, რასაც გამოფიტვამდე მივყავართ [4] [7] [18] [19]. გამოფიტვა ხანგრძლივი სტრესის შედეგია. სტრესი იქიდან მომდინარეობს, რომ მასწავლებელი ხდება მის ხელთ არსებული რესურსები სტრესთან გამკლავებისთვის არ არის საკმარისი და ადეკვატური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტრესორები (სამუშაოს მოთხოვნები) გადაწონის რესურსებს. მაგ. „მასწავლებლებს ყოველდღიურად უხდებათ მოსწავლეებით გადავსებულ კლასებში მუშაობა, პოტენციურად სტრესის გამომწვევი ურთიერთობა მშობლებთან, ადმინისტრაციასთან, სხვა მასწავლებლებთან, ამასთან ერთად, აქვთ სხვა სამსახურებთან შედარებით დაბალი ხელფასი და სკოლის ბიუჯეტიც წლიდან წლამდე მცირდება. ამავე დროს, ევალუბათ უზრუნველყონ, რომ მოსწავლეები შეესაბამებოდნენ სულ უფრო და უფრო მზარდ მკაცრ სტანდარტებს" [43].

მასწავლებლის გამოფიტვას მნიშვნელოვნად განაპირობებს ისიც, რომ ახალგაზრდა მასწავლებლებს არასაკმარისი დახმარებას უწევენ მენტორობის თვალსაზრისით.

გამოფიტვის გამომწვევი ძირითადი მიზეზები შემდეგია: 1. პიროვნული თვისებები-ფსიქოლოგიური, ემოციური და ფიზიკური პროფილი, 2. სოციალური ფაქტორი-ოჯახი, ახლო წრე და ა.შ. 3. ორგანიზაციული ფაქტორი - სამსახური, თანამშრომლები, მოვალეობების არასწორი გადანაწილება და სხვა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიონალური გამოფიტვა – ეს არის სინდრომი, რომელიც ქრონიკული სტრესული მდგომარეობიდან მომდინარეობს და მას ადამიანის ენერგეტიკული რესურსების გამოფიტვა ახასიათებს. ის შინაგანად დაგროვილი უარყოფითი ემოციებით იწყება, რომლებიც ვერ პოულობენ გამოსავალს და ღრმად არიან გამჯდარნი ადამიანში. ყველაზე სახიფათო კი ის არის, რომ ეს პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და ადამიანის შინაგან სამყაროს “ფერფლად” აქცევს ხოლმე. ამ მდგომარეობისას ადამიანს ძალზე უარყოფითი შინაგანი ფონი ახასიათებს, რაც სხვადასხვა სახით იჩენს თავს გარე სამყაროში. ადამიანი პროფილი შინაგანი დაურწმუნებლობით და დაუკმაყოფილებლობით ივსება, რაც მის ქცევაში და საუბარში გამოიხატება ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს ქვეცნობიერი პროცესია, რომელიც, შესაძლებელია, სავალალო შედეგითაც დასრულდეს, თუ ამ მდგომარეობას ცნობიერი ბრძოლა არ შეაგებეს.

მასწავლებლის გამოფიტვის სიმპტომებია: წუხილი და იმედგაცრუება, არაპროდუქტული მუშაობა, ცუდი პიროვნებათშორისი ურთიერთობები სამსახურსა და სახლში [43]. მასწავლებლის სტრესმა, რომელიც შემდეგ შესაძლოა გამოფიტვაში გადაიზარდოს, სხვადასხვა ფორმა შეიძლება მიიღოს [5]. რამდენიმე კვლევაში [5] [22] [23] [41], აღწერილია მისი ადრეული სიმპტომები-დაღლილობა, შეუძლოდ ყოფნა, უძილობა, ნეგატიური დამოკიდებულება სამუშაოს, კოლეგების, კლიენტების მიმართ, აგრესიული (აუტოაგრესიული) განცდები და განზრახვები, უგუნებობა და მასთან დაკავშირებული ემოციები –ცინიზმი, პესიმიზმი, დეპრესია, დაურწმუნებლობის და უსუსურობის განცდა. მასწავლებელს: ეზარება სამსახურში წასვლა და აცდენს დღეებს; უჭირს ამოცანებზე კონცენტრირება; აქვს განცდა, რომ სამსახურებრივი დატვირთვა ზედმეტად დიდია,

დავადებები - არადექვატური; მასწავლებელი არ ურთიერთობს კოლეგებთან ან კონფლიქტური ურთიერთობა აქვს თანამშრომლებთან; სკოლის მიმართ ზოგადად გაღიზიანებულია; აწუხებს უძილობა, კუჭ-ნაწლავის მოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები, თავის ტკივილები ან არითმია; აღარ აქვს უნარი კომპეტენტურად იმოქმედოს სტრესულ სიტუაციებში.

გამოფიტვაზე ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ მისგან დაზღვეული არავინაა, იმუნიტეტი ვერავის ექნება. გამოფიტვა შეიძლება დაემართოს მასწავლებლებს, ადმინისტრატორებს, ექიმებს, ლიდერებს, მოსამსახურეებსა და რელიგიის მსახურებსაც კი. როგორც ცნობილია, ზოგჯერ სტრესი შეიძლება პოზიტიურიც კი იყოს ადამიანის მდგომარეობისთვის. გამოფიტვის შემთხვევაში კი აქცენტი გადადის სტრესის ნეგატიურ მხარეზე-დისტრესზე, რომელსაც მიყვარათ გამოფიტვამდე.

სისტემური კვლევა მასწავლებლის პროფესიული გამოფიტვის შესახებ ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია. შვაბმა და ივანიცკიმ [33] თავიანთ კვლევაში აღმოაჩინეს, რომ მხოლოდ გარკვეული პიროვნული და კონტექსტუალური ცვლადებია კორელაციაში მასწავლებლის გამოფიტვასთან. მას განაპირობებს ორგანიზაციული მახასიათებლები: სტრესული სამუშაო პირობები, მოსწავლეები ქცევითი პრობლემებით, პრესტიჟის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა, სოციალიზაციის დაბალი დონე, ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა სიმრავლე, არასაკმარისი რესურსები, კოლეგებთან ურთიერთობის, სოციალური მხარდაჭერის დეფიციტი და სხვა.

ინდივიდუალური ცვლადებიდან მნიშვნელოვანია, როგორც დემოგრაფიული ცვლადები: (ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა), ისე პიროვნების სტრუქტურა: (სტრესის დაძლევის სტრატეგიების ფლობა, თვითშეფასების განცდა), დადასტურებულია გამოფიტვის კავშირი ნევროტიზმთან, ინტროვერსიასთან და ფსიხოტიზმთან. პიროვნული მახასიათებლის დიდი ხუთეულიდან ემოციური გამოფიტვა კორელაციაშია ისეთ საბაზისო ფაქტორებთან, როგორიცაა ნევროტიზმი, შეთანხმებისადმი მიდრეკილება და კეთილმოსურნეობა, ხოლო დეპერსონალიზაცია-შეთანხმებისადმი მიდრეკილებასთან.

გამოფიტვაში განსხვავებები არ აღმოჩნდა, როდესაც მასწავლებლები დააჯგუფეს იმის მიხედვით, თუ რამდენ წელს ასწავლიდნენ, სად ასწავლიდნენ (ქალაქის, გარეუბნის თუ სოფლის სკოლებში), დაოჯახებულები იყვნენ, დაოჯახებულები შეიღებოთ თუ მარტოხელები, ჰქონდათ ბაკალავრის, მაგისტრის თუ უფრო მაღალი აკადემიური ხარისხი. განსხვავებები აღმოჩნდა გენდერული თვალსაზრისით, რომელ კლასს ასწავლიდნენ და მასწავლებელთა ასაკის მიხედვით. ახალგაზრდა მასწავლებლებს უფრო ინტენსიური განცდები ახასიათებდათ [2] [33]. ეს შედეგები სხვა პროფესიის მუშაკების გამოკითხვის შედეგების მსგავსია [29].

მასწავლებლის დეპერსონალიზაციის გრძნობასთან კავშირში აღმოჩნდა სქესი და ის, თუ რომელ კლასს ასწავლის. მამაკაც მასწავლებლებს უფრო ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ მოსწავლეების მიმართ, ვიდრე ქალ მასწავლებლებს. საშუალო სკოლის მასწავლებლებს უფრო ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ, ვიდრე დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს [33]. დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს უფრო მაღალი ჰქონდათ მიღწევის მოთხოვნილებები, ვიდრე საშუალო სკოლის მასწავლებლებს. ანდერსონის [2] კვლევაში შესწავლილ იქნა დამოკიდებულება გამოფიტვასა და საბაზისო მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის განცდას შორის. დაუკმაყოფილებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც პიროვნებას ეუფლება განცდა, რომ ორგანიზაციის მუშაობა შეუსაბამოა მის ფიზიოლოგიურ, უსაფრთხოების, სოციალურ, თვითრწმენის და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებთან. ანდერსონმა შენიშნა, რომ იმ ორგანიზაციებში, სადაც არ ხდებოდა აღიარებისა და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილება, უფრო მეტად იყო გამოხატული მასწავლებლის გამოფიტვა. მაკინტიარმა [30] გამოიკვლია კავშირი მასწავლებლის კონტროლის ღოკუსსა და გამოფიტვის ასპექტებს შორის. კონტროლის შინაგანი ღოკუსის მქონე მასწავლებლები გრძნობენ, რომ ხელთ უპყრიათ თავიანთ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების სადავეები. მათ, ვისაც კონტროლის გარეგანი ღოკუსი აქვთ, ფიქრობენ, რომ იღბლიანობა, ბედი, შანსი ან „ძლიერი ამა ქვეყნისანი“ მართავენ მოვლენებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კონტროლის გარეგანი ღოკუსის მქონე მასწავლებლები, უფრო მეტად ექვემდებარებიან გამოფიტვას, ვიდრე კონტროლის შინაგანი ღოკუსის მქონენი.

გამოფიტვა, როგორც რეაქცია გახანგრძლივებულ, მაღალი დონის სტრესზე, საბოლოოდ მთავრდება გაუცხოებით და ნაკლები მზრუნველობით, მეტიც, ხშირად მექანიკური მუშაობით, გადაქანცვით [16].

გამოფიტვის პრევენცია მასთან ბრძოლის ყველაზე კარგი სტრატეგიაა. მასწავლებლებს მეტი კონტროლი უნდა ჰქონდეთ გარემოზე და მეტ რესურსებს ფლობდნენ, რომ გაუმკლავდნენ იმ მოთხოვნებს, რასაც მასწავლებლობა გულისხმობს. ეს უფრო მეტ შედეგს იძლევა, ვიდრე გამოფიტვის გამოვლენის შემდეგ ჩატარებული ინტერვენციები.

ჩატარებული კვლევები ძირითადად ეძღვნება გამოფიტვის წყაროებსა და მის შედეგებს, ნაკლები რაოდენობის კვლევები ეხება გამოფიტვასთან გამკლავების სტრატეგიებს. ამასთანავე ეს კვლევები გვთავაზობენ ორგანიზაციებში არსებულ სტრესის შემამცირებელ პროგრამებს, რომელთა შორის ცოტა თუ ეხება განათლების სფეროში მომუშავეებს.

გამოფიტვასთან გასამკლავებლად სხვადასხვა სტრატეგიებიდან ყველაზე წარმატებულ სტრატეგიებად მიიჩნევა სტრესის შესახებ ინფორმირებულობა, ფიზიოლოგიური ტრენინგები, გარემოს შეცვლა და გონების კონტროლი.

სტრესთან და გამოფიტვასთან გამკლავების წარმატებული პროგრამების უმეტესობა იწყებოდა მონაწილეებისათვის სტრესისა და გამოფიტვის შესახებ ცოდნის მიწოდებით. სესიები ტარდებოდა დაცულ, მშვიდ გარემოში. მონაწილეებს აწვდიდნენ ინფორმაციას გამოფიტვის ბუნების, ნიშნების, მიზეზებისა და სიმპტომების შესახებ. ამ ეტაპის შემდეგ იწყებოდა უფრო თანამშრომლობითი მეთოდებით მუშაობა, რაც ეხმარებოდა მონაწილეებს განესაზღვრათ, ამოეცნოთ და გაეგოთ სტრესის წარმომავლობა, დაკვირვებოდნენ იმ ფიქრებს, რომლებიც ფიზიოლოგიურსა და ემოციურ რეაქციებს იწვევდა, ამოეცნოთ ეს რეაქციები, როგორც სტრესის მანიშნებლები, სისტემატურად შეეფასებინათ სტრესის გამომწვევი მოვლენები სამსახურში და სტრესის გამომწვევი მავნე აზრები ჩაენაცვლებინათ უფრო რაციონალური აზრებით.

პროგრამების მონაწილეებს ასევე სთავაზობდნენ სტრესის დაძლევის ფიზიოლოგიური სტრატეგიების სწავლას, როგორებიცაა: ბიოუკუკავშირი, კუნთების დაჭიმულობის, ნაწლავების მოქმედების, სისხლის მოძრაობის, სუნთქვისა და გულისცემის ელექტრონული ხელსაწყოებით გაზომვა და იმ ტექნიკების სწავლება, რომლებითაც შეიძლება მათი კონტროლი; კუნთების მოდუნება, აუტოტრენინგი, ფოკუსირებული მედიტაცია; სუნთქვითი ტექნიკები რელაქსაციისათვის; ასევე აერობიკა, ველოსიპედით ვარჯიში, ცურვა ან სირბილი.

პროგრამის მონაწილეებს ასევე სთავაზობენ სტრესის დაძლევის სიტუაციური სტრატეგიების დაუფლებას – როგორ შეცვალონ თავიანთი რეაქცია სტრესულ სიტუაციებში ან შეცვალონ სამუშაო გარემო. ისინი ითვისებენ თავდაჯერებულობის, თანამშრომლობის, სტრესული სიტუაციების შეცვლის ტექნიკებს.

გამოფიტვასთან გამკლავების მნიშვნელოვანი ნაწილია აგრეთვე სტრესის დაძლევის კოგნიტური სტრატეგიების შესწავლა: დესტრუქციული აზრების ჩანაცვლება კონსტრუქციული, რეალისტური აზრებით; ბარიერების ამოცნობა, პირად ღირებულებებთან გააზრება, მიზნების დასახვა; დროის განაწილების და პრიორიტეტების განსაზღვრის, პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების დაუფლება, ემოციების მართვა, ცხოვრებისეულ ცვლილებებთან გამკლავების უნარ-ჩვევები და სხვა.

ამგვარი პროგრამების განხორციელების შედეგად ძლიერდება ურთიერთდახმარება, მიღწევის მოთხოვნილება, მცირდება სომატური ჩივილები, სამსახურებრივი სტრესი, როლის ბუნდოვანება და საბოლოოდ, სამსახურით კმაყოფილების ხარისხი იზრდება.

მეცნიერები სტრესის დაძლევის საუკეთესო საშუალებად პრობლემებზე (სტრესის გამომწვევი მიზეზებზე) ორიენტირებულ მიდგომას გვთავაზობენ, კერძოდ, ასეთ სტრატეგიებს:

- თუ გამოფიტვა სამუშაოს სპეციფიკიდან მომდინარეობს, ყოველნაირად ეცადეთ სიტუაციის გამოსწორება პრობლემების თანმიმდევრული გადაჭრით.

- შეეცადეთ დაკავდეთ რაიმე განსხვავებული საინტერესო საქმიანობით, როგორცაა – სპორტი, შემოქმედება, რაიმე ჰობი.
- ეცადეთ გამოიმუშაოთ სტრესის პოზიტიური დაძლევის უნარები – სიძნელეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, პასუხისმგებლობა, მაღალი თვითშეფასება, ოპტიმიზმი, ინიციატიურობა.
- ეცადეთ იცხოვროთ საკუთარი და არა სხვისი ცხოვრებით. ეს არ არის „ეგოიზმი“, უბრალოდ დაეხმარეთ სხვას ბუნებრივად, როდესაც ამის მოთხოვნილება (ინტერესი) გიჩნდებათ, და არა მაშინ, როდესაც ძალაუწევრად გიწევთ ამის გაკეთება.
- ეცადეთ გამიჯნოთ სამსახურის სამყარო და პირადი სამყარო. მაგალითად, შინ დაბრუნებული ამერიკელები სახლის ზღურბლზე ღრმად შეისუნთქავენ და იფეროხავენ “სამსახურს” – ეს მიდგომა, ერთი შეხედვით, ძალზე პრიმიტიული და არაბუნებრივია ჩვენი მეტალობისტის, მაგრამ ზოგ შემთხვევებში იგი “მუშაობს”.
- მონიტორინგის და გამოფიტვის აცტივების საუკეთესო საშუალებაა ზემოცანის დასახვა და სამუშაოს მიმართ შემოქმედებითი მიდგომა – სიახლის შეტანა, საკუთარი ინიციატივა და ა.შ.
- კარგ შედეგებს იძლევა სუნთქვითი ვარჯიშები, რელაქსაცია და პოზიტიური ვიზუალიზაცია
- გამოფიტვის ეფექტის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია შრომის დოზირება. უნდა ისწავლოთ სამუშაოს დროული დამთავრება.
- სტრესის დროს ალკოჰოლის, მედიკამენტის და თამბაქოს გამოყენება მყარ შედეგს არ იძლევა და მხოლოდ ილუზორულ, დროებით შეებას გვაძლევს. არც ერთი არ გამოიყენოთ დარდის ან ბრაზის გასაქარწყლებლად.
- გაუზიარეთ თქვენი განცდები კოლეგას, ოჯახის წევრს, პრობლემა ანალიზის საგანად აქციეთ.
- მიეცით თავს უფლება იოცნებოთ! შექმენით რაც შეიძლება მეტი პოზიტიური ხატები. პოზიტიურ ხატს რეალურ ცხოვრებაზე ზემოქმედება შეუძლია.
- ხშირად მიმართეთ ე.წ. „ტაიმა-აუტს“ (მცირე შესვენებებს მუშაობის პროცესში) – შეეცადეთ გადართოთ ფიქრები სამუშაოსგან განყენებულ საკითხებზე.
- სხვადასხვა სახის ტრენინგებში და გასვლით სემინარებში მონაწილეობა კიდევ ერთი საშუალებაა სამუშაოს რუტინისა და გამოფიტვის გადასაღებად[1]

საქართველოში ემპირიული კვლევები მასწავლებელთა პროფესიული გამოფიტვის შესასწავლად არ ჩატარებულა. რასაკვირველია, აღნიშნული ფენომენი ცნობილია, თუმცა მისი მეცნიერული კვლევა მომავლის საქმედ გვესახება.

კვლევის ჰიპოთეზა, მიზანი, მეთოდი და შედეგების ანალიზი

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა მცირე მოცულობის საპილოტე კვლევა. კვლევის **ჰიპოთეზა** ასეთია: საქართველოში (ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, სადაც კი კვლევაა ჩატარებული) მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი პროფესიული გამოფიტვის სიმპტომებით უნდა ხასიათდებოდეს. კვლევის მიზანი იყო: 1. მოგვეპოვებინა პირველადი მონაცემები, თუ რა დონეზე ახასიათებთ ჩვენს პოპულაციაში მასწავლებლებს გამოფიტვის სიმპტომები; 2. რა დონეზე ფლობენ ისინი სტრესის პროაქტიული/პოზიტიური დაძლევის უნარს; 3. მოგვეხდინა აღნიშნული საკითხების საკვლევად შემოთავაზებული ორი ყველაზე ცნობილი მეთოდის შემცირებული ვერსიის ადაპტაცია-აპრობირება:

1.K.Maslach-Teacher Burnout Inventory (5 ქულიანი სკალა)

2.E. Greenglass-Proactive Coping Inventory (4 ქულიანი სკალა)

მასწავლებელთა პროფესიული გამოფიტვის კითხვარის დებულების ნიმუში: „გრძნობთ თუ არა, რომ დაქანცული, ფიზიკური და ემოციური რეაქციებისგან დაცლილი ხართ?“:

სტრესის პროაქტიული დაძლევის დებულების ნიმუში: დარწმუნებული ვარ, შევძლებ, წარმატებით ვასწავლო საგანთან დაკავშირებული ყველა საკითხი რთულ მოსწავლეებსაც კი.

პროცედურა: გამოკითხვა ჩატარებული იქნა რამდენიმე ტრენერის მიერ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ ტრენინგებზე. გამოკითხვაში ნებაყოფლობით მონაწილეობდა დედაქალაქისა და რეგიონების 85 მასწავლებელი.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში.

ცხრილი 1. გამოფიტვის კითხვარის შედეგები

ცვ რაოდენობა	გამოფიტვა არ ახასიათებს	გამოფიტვის მცირე ნიშნები	გამოფიტვის რისკის ქვეშაა	გამოფიტვის მძიმე ფორმა	გამოფიტვის უმძიმესი ფორმა
85	3 (4%)	50 (59%)	32 (37%)	0	0

ცხრილი 2. სტრესის დაძლევის კითხვარის შედეგები

ცვ რაოდენობა	სტრესის პროაქტიური დაძლევის მაღალი დონე	სტრესის პროაქტიული დაძლევის საშუალო დონე	სტრესის პროაქტიული დაძლევის დაბალი დონე
85	61 (72%)	24 (28%)	0

მონაცემებიდან ჩანს, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმეტესობა თვლის, რომ ახასიათებთ გამოფიტვის მცირე ნიშნები (59%) ან რისკის ჯგუფშია (37%), გამოფიტვის გამოხატული და მძიმე ფორმა არ გამოვლინდა. ასევე, მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ გამოფიტვის სიმპტომებს სულ არ გრძნობენ. სტრესის დაძლევის პროაქტიულ სტრატეგიების მაღალ დონეზე ფლობას ადასტურებენ ჩვენს მიერ გამოკითხული პედაგოგების 72%, ხოლო საშუალო დონეზე – 28%. ამ ორ მახასიათებელს შორის ლოგიკური ურთიერთმიმართება გამოვლინდა: მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გამოფიტვისაგან თავდაცვის (სტრესის პროაქტიული დაძლევის ამ უმნიშვნელოვანეს) უნარს მაღალ ან საშუალო დონეზე ფლობს, შესაბამისად, ისინი გადაწყვიტა მცირე საშიშროების (59%) ან, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, რისკის ჯგუფში (37%) აღმოჩნდნენ.

მიღებული შედეგები არსებითად განსხვავდება ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევის მონაცემებისგან და არ ადასტურებს ჩვენს პიპოთეზას-საქართველოში მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი გამოფიტვის სიმპტომებით უნდა ხასიათდებოდეს.

რა შეიძლება ითქვას ამ მწირი, მაგრამ საინტერესო მონაცემების მიხედვით? პირველყოფლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოლოდინი განსხვავებული იყო. დღეს, როდესაც პედაგოგები უკიდურესად მცირე ანაზღაურების პირობებში ურთულესი რეფორმების გატარებას ცდილობენ და, ამავე დროს, მძიმე სტრესულ მდგომარეობაში არიან მოსალოდნელი სასერტიფიკაციო გამოცდების და სამსახურის დაკარგვის, სასწავლო მასალის დიდი მოცულობის, სირთულისა და დროის შეზღუდულობის გამო, ველოდით, რომ მათი უმრავლესობა, საუკეთესო შემთხვევაში, გამოფიტვის რისკის ჯგუფში მოხვდებოდა. სტრესის დაძლევის პროაქტიული სტრატეგიის გამოყენების თვალსაზრისითაც შედეგები მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა. გამოდის, რომ დღეს ჩვენს მიერ გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა საკუთარ ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობას კარგად ან დამაკმაყოფილებლად აფასებს და შესაბამისად, სტრესსაც ეფექტიანად უმკლავდება. ამ მონაცემთა სანდოობა შესაძლოა ეჭვქვეშ არ დაგვეყენებია, რადგან ტრენინგებში და შესაბამისად გამოკითხვაშიც მონაწილეობდა მასწავლებელთა დიდი არმიიდან ყველაზე მოტივირებული და გამბედავი შემადგენლობა, რიმდენიც ზრუნავენ განვითარებაზე და დიდი შიშის მიუხედავად, ბედავენ კიდევ გამოცდაზე გასვლას, რომ არა შემდეგი გარემოება: ტრენინგების ჩატარების დროს

(მასწავლებლებთან უშუალო გასაუბრებისას) უმეტესობას აშკარად აღენიშნებოდა ჩივილები, რომელიც გამოფიტვის სიმპტომატიკას მიეკუთვნება: რომ უჭირთ ამოცანებზე კონცენტრირება, გრძნობენ, რომ სამსახურებრივი დატვირთვა ზედმეტად დიდია და აქვთ განცდა, რომ მოთხოვნები არადექტაურია; გამოცდები ზედმეტია და გადაღლილობის გამო სწავლაც უჭირთ, სიამოვნებით გავიდოდნენ პენსიაზე, რომ არა მისი სიმცირე, სვამდნენ უამრავ შეკითხვას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ კრიტიკულ სიტუაციაში, რომლებსაც მიზეზთა გამო ვერ უმკლავდებიან. ბევრი მათგანი დიდ სინანულს გამოთქვამდა, რომ მათი შრომა დაუფასებელია მოსწავლეების, მათი მშობლებისა და, ზოგადად, საზოგადოების მხრიდან, ჯანმრთელობა შესწირეს პროფესიას, რომელიც დღეს არაპრესტიჟული გახდა და ა.შ.

განვიხილოთ კვლევაში გამოყენებული კითხვარების რამდენიმე კონკრეტული შეკითხვა/დებულება და მასზე გაცემული პასუხები:

მასწავლებელთა გამოფიტვის კითხვარის №11 კითხვა: “სამსახური თქვენში ერთგვარ იმედგაცრუებას იწვევს?” დადებითად პასუხობს გამოკითხულთა მხოლოდ 2%. შეკითხვა №12: “გრძნობთ თუ არა, რომ ორგანიზაციული პოლიტიკა ან ბიუროკრატია ხელს გიშლით კარგად მუშაობაში?” დადებითად პასუხობს გამოკითხულთა 10%.

სტრესის პროაქტიული დაძლევის დებულება №1: “დარწმუნებული ვარ, შევძლებ წარმატებით ვასწავლო საგანთან დაკავშირებული ყველა საკითხი რთულ მოსწავლეებსაც კი”. 85% ამბობს, რომ ამაში დარწმუნებულია ან სრულად დარწმუნებულია. დებულება №8: “დარწმუნებული ვარ შემოიძლია შემოქმედებითად გაუმკლავდე სისტემის შეზღუდვებს (ბიუჯეტის შეკვეცა, სხვა ადმინისტრაციული პრობლემები) და გავაგრძელო კარგად სწავლება”. გამოკითხულთა 67% ამბობს, რომ უმკლავდება ან სრულად უმკლავდება ბიუროკრატიულ სირთულეებს და ეფექტიან სწავლებას ახერხებს.

მიღებული შედეგები გვაფიქრებინებს, ხომ არა გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევასთან, როდესაც მოსალოდნელი გამოცდებით, სამსახურის დაკარგვის, არასათანადო კომპეტენტურობის გამოვლენის შიშით გამოწვეული სტრესი, გადაჭარბებული მობილიზების და დაძაბულობის მიზეზი ხდება, რაც, შესაძლოა არადექტაურს ხდის მასწავლებელთა თვითშეფასებას ან იძულებულს ხდის, არ იყოს ბოლომდე გულწრფელი. ეს გარემოება ხომ არ განაპირობებს შედარებით „სიმშვიდეს“- ასახულს კვლევის მონაცემებში? საკვლევა შემდეგი საკითხიც - ხომ არა გვაქვს საქმე ე.წ. აკუმულირების ცნობილ ეფექტთან, რაც იმას გულისხმობს, რომ ასეთ გადაჭარბებული სტიმულაციის პირობებში მიღებული მონაცემები ამ მომენტში სწორად ასახავს ვითარებას, მაგრამ შესაძლებელია, მისი გრძელვადიანი შედეგი არც თუ სასურველი აღმოჩნდეს და მოგვიანებით გამოფიტვა გამოიწვიოს. რასაკვირველია, ეს საკითხი საგანგებო ღონისძიებულ კვლევას მოითხოვს.

ტრენინგის მონაწილე მასწავლებლებთან ჩატარებული იქნა კიდევ ერთი გამოკითხვა: რესპოდენტებს ვთხოვდით დაესახელებინათ ის ფაქტორები, რომლებიც, მათი აზრით, განაპირობებს მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. სულ გამოკითხული იქნა 300-მდე მასწავლებელი. ყველაზე ხშირად დასახელებულ იქნა შემდეგი ფაქტორები (ფაქტორები დალაგებულია სისშირის მიხედვით, პირველ ადგილზე – ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი და ა.შ.): მატერიალური კეთილდღეობა და მასწავლებელთა სოციალური დაცვა, ჰარმონია ოჯახში, ჯანმრთელობა, სტაბილურობა სამსახურში და წარმატება კარიერაში, მშვიდობა ქვეყანაში, სამართლიანობა, კეთილგანწყობილი ურთიერთობები, თავისუფლება და რწმენა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტორებიდან მასწავლებლები ყველაზე მეტად განიცდიან მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის და სტაბილურობის განცდის ნაკლებობას, აღნიშნავენ, რომ მუდმივი შიში აქვთ არ დაეკარგოთ სამსახური, რის გამოც მათი ცხოვრება დაძაბულია და, როგორც ერთი მათგანი ამბობს: „სულ დაძაბულ მდგომარეობაში ვგრძნობ თავს“.

მიღებული მონაცემები მრავალ კითხვაზე უფრო კვალიფიციური პასუხის გაცემას მოითხოვს და გვარწმუნებს, მივმართოთ მეცნიერულად გაცილებით სანდო კვლევის მეთოდოლოგიას (მეთოდების სრულ და არა შემცირებულ ვარიანტს), როგორც გამოფიტვისა და სტრესის დაძლევის მექანიზმების, ისე ფსიქოლოგიური კეთილდღეობის კვლევის მიმართულებით. ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდება გამოფიტვის ფენომენის კვლევას. ამასთან ერთად, შერჩეული იქნას

მასწავლებელთა პოპულაციის სხვადასხვა სეგმენტი და არა მხოლოდ ის ნაწილი, ვინც სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ემზადება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოფიტვის პრობლემა დიდ ყურადღებას საჭიროებს და ადამიანს მასთან ბრძოლის უნარი სჭირდება. გამოფიტვის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც რთული წარმონაქმნი, სადაც სტრესული მდგომარეობების ნამრავლი იგულისხმება. ასეთ სტრესულ მდგომარეობებს თავდაპირველად ყურადღება არ ექცევა და პატარ-პატარა ტვირთებისაგან ერთ ძალზე დიდ, მიიმე ტვირთად გროვდება, რომელსაც ადამიანი გვიან ამჩნევს, ამჩნევს იმ დროს, როდესაც მასთან ბრძოლა უკვე ძალზე ძნელია და მის ტარებას დიდი ძალა სჭირდება. ცნობილია, რომ სტრესი, შესაძლებელია, მეტი მოტივაციისა და პიროვნული ზრდის მთავარ სტიმულად მოგვევლინოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისდამი სწორ დამოკიდებულებას ვისწავლით [11].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ამჟამად მიმდინარეობს ტესტების სრულ ვერსიებზე მუშაობა. ვიმედოვნებთ, კვლევის შედეგები მეცნიერულად უფრო ზუსტ და საინტერესო ტენდენციებს გამოავლენს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ადეკვატურად დაიგეგმოს პრევენციის ხერხები მასწავლებელთა პროფესიული გამოფიტვის თავიდან ასაცილებლად. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ჩარევისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტიანი ფორმები დაინერგოს.

ლიტერატურა:

1. ზ.ქარჩავა. პროფესიული ფსიქოფიზიკური გადაწვის პროფილაქტიკის ფსიქოთერაპიული პრინციპები, www.lib.ge, 2009
2. Anderson, M.G. A Study of the differences among perceived need deficiencies, perceived burnout, and select background variables for teachers. Doctoral dissertation, University of Connecticut,. 1980. (Dissertations Abstracts International, April 1981, Vol. 1 41/10, p. 4218-A. University Microfilms International, No. 810672).
3. Bennett, K. P. & LeCompte, M. D. (1990). *The Way Schools Work: A Sociological Analysis of Education*. New York: Longman. ED 324 740
4. Brill, P.B. (1984). The need for an operational definition of burnout. *Family and Community Health*, 6, 12_/24.
5. Brown, M. & Ralph, S. (1998). The identification of stress in teachers. In J. Dunham & V. Varma (Eds.) *Stress in Teachers: Past, Present and Future*. (pp. 37-56) London: Whurr Publishers Ltd.
6. Bullough, Jr., R. V., & Baughman, K. (1997). "First Year Teacher" Eight Years Later: An inquiry into teacher development. New York: Teachers College Press.
7. Caldwell D.S, Dorling E. 1991. Preventing burnout in police organizations. *The Police Chief* April: 156-159.
8. Cedoline, A.J. (1982). *Job Burnout in Public Education: Symptoms, Causes, and Survival Skills*. NY:Teachers College Press.Cherniss, Egnatios, & Wacker 1976;
9. Cunningham, W. J. (1983). Teacher burnout – solutions for the 1980's: A review of the literature. *The Urban Review*, 15(1), 37- 49.
10. Dunham, J. & Varma V. (Eds) (1998). *Stress in Teachers: Past present and future*, (London, Whurr).
11. Dworkin, A.G. (1997). Coping with reform: The intermix of teacher morale, teacher burnout, and teacher accountability. In B. J. Biddle, T.L. Good, and I.F. Goodson. (Eds) *International Handbook of Teachers and Teaching*. London: Kluwer Academic Publishers, 459-498.
12. Dworkin, A. G. (1986). *Teacher Burnout in the Public Schools: Structural Causes and Consequences for Children*. New York: State University of New York Press.
13. Dworkin A, G and Townsend M (1994). Teacher burnout in the face of reform: Some caveats in breaking the mold. In B.A Jones and K. M Borman (Eds) *Investing in schools: Directions for Educational Policy* (pp. 68 -86), Norwood, NJ, Ablex
14. Esteve, J. M. (2000). The transformation of the teachers' role at the end of the twentieth century: new challenges for the future. *Educational Review*, 52(2). EJ 609 284
15. Farber, B. A. (1998). Tailoring treatment strategies for different types of burnout. Paper presented at the Annual Convention of the American Psychological Association, 106th, San Francisco California, August 14-18. ED 424 517
16. Farber, B. A. (1991). *Crisis in education: Stress and burnout in the American teacher*. San Francisco: Jossey-Bass.
17. Freudenberger, H. J. 1974. Staff burn-out. *Journal of Social Issues*, 30, 159-165.
18. Freudenberger H. J. and Richelson G., *Burnout: The High Cost of High Achievement* (Garden City, New York: Doubleday and Company, 1980),
19. Gmelch WH. (1993). *Coping with Faculty Stress*, Vol. 5. Sage: London.
20. Gold Y, Roth RA. (1993). *Teachers Managing: Stress and Preventing Burnout-The Professional Health Solution*. The Falmer Press: London.
21. Gold, Y. (1984). The factorial validity of the Maslach Burnout Inventory in a sample of California elementary and junior high school classroom teachers. *Educational and Psycho- logical Measurement*, 44: 1009-1016.

21. Haberman, M. (1987). Recruiting and selecting teachers for urban schools. Urban Diversity Series No. 95. New York: Teachers College, ERIC Clearinghouse on Urban Education; Reston, VA: Association of Teacher Educators. (ED 292 942)
22. Hinton, J. W. & Rotheiler, E. (1998). The psychophysiology of stress in teachers, in J. Dunham, & V. Varma (eds.) *Stress in Teachers: Past, Present and Future*. (pp. 95-119) London: Whurr Publishers Ltd.
23. Kyriacou C. (2001). Teacher stress: directions for future research. *Educational Review*, 53(1), 27-35.
24. Kyriakides, L., Campbell, R.J., & Christofidou, E. (2002). Generating criteria for measuring teacher effectiveness through a self-evaluation approach: A complementary way of measuring teacher effectiveness. *School Effectiveness and School Improvement*, 13 (3), 291-325.
25. LeCompte, M. D., & Dworkin, A. G. (1991). *Giving Up on School: Student Dropouts and Teacher Burnouts*. Newbury Park, California: Corwin Press. ED 340 809
26. Maslach, C., Schaufeli, W. B. & Leiter, M. P. (2001). Job Burnout. *Annual Review Psychology*, 52, 397- 422
27. Maslach, C., & Jackson, S.E. The measurement of experienced burnout. *Journal of Occupational Behavior*, 1981, 2, 99-113.
28. Maslach, C. Burnout. *Human Behavior*, September 1976, 5 (9), 16-22.
29. Matheny, K. B., Gfroerer, C. A., & Harris, K. (2000). Work stress, burnout, and coping at the turn of the century: An Adlerian perspective. *Journal of Individual Psychology*, 56(1), 74-87
30. McIntyre, T. An investigation of the relationships among burnout, locus of control, and selected personal/professional factors in special education teachers. Unpublished doctoral dissertation, University of Connecticut, 1981.
31. Pines A. 1993. Burnout: an existential perspective. In *Professional Burnout: Recent Developments in Theory and Research*, Schaufeli WB, Maslach C, Marek T (eds). Taylor and Francis: Washington, DC.
32. Schaufeli, W. B., Maslach, C., & Marek, T. (Eds.) (1993), *Professional burnout: Recent developments in theory and research*. Washington, DC:
33. Schwab, R.L., & Iwanicki, E.F. Who are our burned out teachers? *Educational Research Quarterly*, Summer 1982, 7(2), 5-17.
34. Schwab, R. L., Jackson, S. E., & Schuler, R. S. 1986. Educator burnout: Sources and consequences. *Educational Research Quarterly*, 10: 14-30.
35. Seeman 1959, Seeman, M. (1959) 'On the Meaning of Alienation'. *American Sociological Review* 24, 783-791.
36. Seeman, M. (1975). Alienation studies. *Annual Review of Sociology* 1, 91-123.
37. Shinn, M. (1982). Methodological issues: Evaluating and using information. In W.S. Paine (Ed.) *Job Stress and Burnout: Research, Theory, and Intervention Perspectives*. CA: Sage, 61-82.
38. Sparks, D. and Hammond, J. (1981). *Managing Teacher Stress and Burnout*. Washington, DC: ERIC Clearinghouse on Teacher Education.
39. Swick, K.J. and Hanley, P.E. (1983). *Teacher Renewal: Revitalization of Classroom Teachers*. Washington, DC: National Education Association.
40. Travers, C. J. & Cooper, C. L. (1996). *Teachers Under Pressure: stress in the teaching profession*, (London, Routledge).
41. Troman, G. & Woods, P. (2001). *Primary Teachers' Stress..* New York: Routledge/Falmer.
42. Tuebsing, N.L. and Tubesing, D.A. (1982). The treatment of choice: Selecting stress skills to suit the individual and the situation. In W.S. Paine (Ed.) *Job Stress and Burnout: Research, Theory, and Intervention Perspectives*. Beverly Hills, CA: Sage, 155-171
43. Wood, T, McCarthy, Ch. (2000) Understanding and Preventing Teacher Burnout. ERIC Digest. ERIC Clearinghouse on Teaching and Teacher Education. Washington, DC

Marine Japaridze, Maya Bitsadze, Maya Tsereteli

The factors causing teacher burnout - personal and social characteristics

Resume

The article discusses the essence of the teacher burnout concept, overviews the history of burnout research and identifies the main findings of teacher burnout studies conducted in various countries. The need to carry out similar research with Georgian population has been identified. A pilot, small-scale study has been conducted in Georgia. The study shows that in contrast to the teachers from other countries, most teachers participating in the given study do not think they experience burnout syndrome and believe that they have positive stress coping strategies. To increase the reliability of the data received, the authors plan to conduct a large scale survey using the full version of the research instrument.

ნანა ცხვედაძე, დიდი ბერეგაშვილი

დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

განწყობის თეორიისა და ემპირიული მასალის გამოყენებითი
ასპექტები

საკვანძო სიტყვები:

თეორია, განწყობა, ემოციონალიზმი, დამოკიდებულება, პარაფაზიკური განწყობა, განწყობის შეცვლა, ემოციის იდენტიფიცირება, სოციალური პერსონა, გრამატიკული შაბლონი, წინადადების სიღრმე, ქმედის ვალდებულება, კომპრომისული ქმედა, ტრენინგი, გაპროექტებული და განუპროექტებელი შესრულება.

1. საკითხის დასმა და მისი აქტუალობა

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია თითქმის საუკუნოვანი გამოცდილების მქონეა. ის შეიქმნა და ვითარდებოდა ისეთი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციების პარადელურად, როგორიცაა ფსიქონალიზმი, ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია, ჰუმანიტური ფსიქოლოგია და სხვა. ამ თეორიებმა განვითარების გარკვეული გზა განვლო და დღესაც გავლენიან მიმდინარეობებად რჩებიან. მათგან განსხვავებით უზნაძის თეორია და მის საფუძველზე აღმოცენებული სკოლა თავისი მდიდარი თეორიული და ექსპერიმენტული ტრადიციის მიუხედავად, შესაბამისი პოპულარობით ვერ სარგებლობს და დღემდე სათანადო პრაქტიკული გამოყენება ვერ პოვა.

ქართველ ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მოხსენებულ ზოგადფსიქოლოგიურ კონცეფციებთან შედარებით განწყობის თეორიისა და შესაბამისად სკოლის მოკრძალებული პოზიცია განაპირობა იმ ისტორიულმა რეალობამ, რომელშიც მას უხდებოდა განვითარება [9:10]. საკმე იმაშია, რომ საბჭოთა იდეოლოგიით გაჯერებულ სივრცეში ქართული ფსიქოლოგიური სკოლა ერთგვარი კონსერვაციის გზით ცდილობდა თვითგადარჩენასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ამ მოსაზრების საფუძვლიანობის დასტურად საკმარისია გაეცხნოთ გასული საუკუნის 50-იანი წლების ცნობილი ფაქტი – ე. წ. „დისკუსია“ განწყობის თეორიის მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან შესაბამისობისა თუ შეუსატყვისობის შესახებ. მსგავსი, პრინციპულად არასამეცნიერო ხასიათის თავდასხმებისა და შემოტევებისგან თეორიის დაცვის ამოცანამ განაპირობა ის, რომ განწყობის სკოლის წარმომადგენლები პრინციპული სადისკუსიო თეორიული საკითხების საჯაროდ გამოტანას რიგ შემთხვევებში ერიდებოდნენ ან მხოლოდ შენიღბული სახით განიხილავდნენ; თანდათანობით სკოლა ერთგვარ დახურულ, გერმეტულ სისტემად ჩამოყალიბდა, რამაც საბოლოო ჯამში, მისი გამოყენებითი მიმართულებით განვითარება და პოპულარიზაცია შეაფერხა.

თანამედროვე ეტაპზე, განწყობის სკოლის წინაშე აქტუალურად მდგარი ამოცანები პირობითად ორ კატეგორიად ან ძირითად მიმართულებად შეიძლება გავიანოთ. პირველი ეხება განწყობის თეორიის სამომავლო განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივის საკითხს, რაც სკოლის შიგნით არსებულ ზემოთხსენებული ინერციებისა და დოგმატური დებულებების დაძლევის გულისხმობს. მეორე – განწყობის სკოლის მდიდარი თეორიული და ემპირიული გამოცდილების პრაქტიკულ გამოყენებას.

ორივე ამ მიმართულების ამოცანათა რეალიზების პერსპექტიულობას განაპირობებს განწყობის თეორიის პარადიგმათა სიახლოვე (რიგ შემთხვევებში - იდენტურობა) თანამედროვე მეცნიერების დომინანტურ პარადიგმებთან (მაგალითად, მოვლენათა ანალიზის ინტერაქციონისტური მოდელი), აგრეთვე, აღნიშნული თეორიის შემოქმედებითი პოტენციალი სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მოვლენათა თუ ფენომენთა აღწერასა და ახსნაში. ნათქვამის ნათელი ილუსტრაციაა ის დროის წინმსწრები აღმოჩენები, რომლებიც დღეს დამკვიდრებულია თანამედროვე ფსიქოლოგიაში.

მაგალითად, უზნადის მიერ წამოწეული ცნება ფუნქციონალური ტენდენციის შესახებ ნახევარ საუკუნეზე მეტით უსწრებს წინ ე.წ. „შინაგანი მოტივებისა“ (Intrinsic motivation) და „ფუნქციონალური მოტივაციის“ მსგავსს თანამედროვე პოპულარულ ცნებას [23;24]. პრაქტიკულად იგივე ითქმის განწყობის თეორიის ჩარჩოში გააზრებული ემოციის, როგორც სასიგნალო ფუნქციის მქონე მათორგანიზებული და მადაპტირებელი ფენომენის შესახებ. ეს შეხედულება ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა იმდროინდელ ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ აზრს, რომელიც ემოციაში, უპირატესად ქცევის მადეზორგანიზებელს ხედავდნენ.

ამრიგად, წინამდებარე შრომაში მიზნად დავისახეთ, ერთი მხრივ, თეორიის შემდგომი განვითარება, მეორე მხრივ, განვითარების ამოცანებთან მიმართებაში განწყობის სკოლის თეორიული და ემპირიული გამოცდილების გამოყენებითი ასპექტების კვლევა. განწყობის სკოლის წარმომადგენლებში საკითხის ამგვარი დაყენება აქტუალური რომ არის ეს ბოლო პერიოდის შრომების ანალიზითაც დასტურდება. მაგალითად ირაკლი იმედაძე და რამაზ საყვარელიძე განწყობის თეორიის განვითარების პოტენციალს დეტერმინიზმის მეცნიერული პარადიგმის კონტექსტში განიხილავენ და აქცენტს იმ ლოგიკურ შეუსაბამობებსა და წინააღმდეგობებზე სვამენ, რომელიც ამ მიმართულებით განწყობის თეორიული კონსტრუქტის შიგნით ჩნდება არსებითი სამეცნიერო საკითხების ანალიზისას. კერძოდ, განწყობის თეორიული სისტემისა და მისი ცენტრალური ელემენტის – განწყობის ცნების მიმართ. [9];[10];[11]. ეს ავტორები განწყობის ცნების დეტალური ანალიზის საფუძველზე ასკვნიან, რომ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შემდგომი განვითარება მოითხოვს სკოლის სტერეოტიპების დადგენას და მისი ინერციებისგან განთავისუფლებას.

გარკვეული თვალსაზრისით სკოლის სტერეოტიპებისგან განთავისუფლების მცდელობად შეიძლება შეფასდეს ფსიქიკური აქტივობის სამ დონეზე მომქმედი განწყობის ორი სახის (სიტუაციური და დისპოზიციური) კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შოთა ნადირაშვილის მიერ შემოთავაზებული განწყობათა ტიპოლოგიის უახლესი კლასიფიკაცია [7]. განწყობათა იმპულსურ-სიტუაციურ, იმპულსურ-დისპოზიციურ, ინტელექტუალურ-სიტუაციურ, ინტელექტუალურ-დისპოზიციურ, სიტუაციურ-სოციალურ და სოციალურ-დისპოზიციურად დაყოფით ავტორს წამოწეული აქვს განწყობის ცნების კლასიკური გაგების უკმარისობა ადამიანის ფსიქიკური თავისებურებების გაგებაში და „ადამიანის იმ რთული ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სოციალური ქცევის ფორმების“ შესწავლაში, რომელსაც „სუბიექტი და პიროვნება ახორციელებს“.

განწყობის თეორიის გამოყენებითი ასპექტების თვალსაზრისით საყურადღებოა ვახტანგ ნადარეიშვილის მიერ შემოთავაზებული დევიაციური ქცევის გენეზისისა და რეკონსტრუქციის განწყობისეული მოდელი. ამ მოდელით ავტორს წამოწეული აქვს თეორიის პროდუქტულობისა და შემოქმედებითობის იდეა. მხედველობაში გვაქვს დაძაბულობის კონცეფციების სხვა მოდელებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნა იმ წვლილის შესახებ, რომელიც განწყობის თეორიას შეუძლია შეიტანოს დევიაციის ტრადიციული პრობლემის ახლებურ გააზრებაში, აღწერასა და ახსნაში [5].

როგორც ვხედავთ განხილული შრომების არსებითი თავისებურება იმაშია, რომ განწყობის სკოლის შემდგომი განვითარების ამოცანები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული პრობლემების დასმა, შესწავლა და ანალიზი ძირითადად, თეორიულ პლანში მიმდინარეობს. ამ ავტორებისგან განსხვავებით, **მიზნად** დავისახეთ განწყობის სკოლის არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილების პრაქტიკაში იმპლემენტაციის შესაძლებლობის კვლევა.

მიზნიდან გამომდინარე, სკოლის **თეორიული რესურსიდან** ყურადღება შევაჩერეთ ემოციისადმი განწყობისეულ პოზიციაზე, რადგან აღნიშნული პოზიციის მიხედვით ემოციას მიეწერება სასიგნალო, მათორგანიზებული და მადაპტირებელი ფუნქცია, რაც ემოციის თანამედროვე კონცეფციების და ხედვების თანხვედრია [18];[20];[22];[23];[24]; აგრეთვე, ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში ემოციების იმ მაღალი როლისა და მნიშვნელობის გამო, რომელიც მას ენიჭება გამოყენებითი ფსიქოლოგიის ისეთ დარგებსა და მიმართულებებში, როგორიც არის ფსიქოთერაპია, ფსიქოკორექცია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია, განვითარების, რეკლამის

ფსიქოლოგია და ა.შ. **ემპირიულ რესურსად** – ქართველი ფსიქოლოგების ექსპერიმენტული კვლევები და ამ კვლევების შედეგები. ხოლო, თეორიულ და ემპირიულ რესურსთა **პრაქტიკული გამოყენების სფეროდ** შევარჩიეთ ტრენინგპრაქტიკა, რადგან: ა) სადღეისოდ ერთიდაიმავე სამიზნე ობიექტზე მიმართული მრავალი ალტერნატიული ტრენინგმოდული არსებობს, რომელთა ნაწილი წარმოდგენილია საკუთარ თეორიულ თანახმობებთან ერთად, ხოლო მათი დიდი ნაწილი ასეთ მყარ კონცეპტუალურ საფუძვლებს მოკლებულია. ეს გარემოება სასარგებლო ფონს ქმნის იმისთვის, რომ სხვა ტრენინგ მოდულებთან შედარების გზით მოხდეს განწყობის საფუძველზე შემუშავებული სატრენინგო პროგრამის შესახებ მსჯელობა და შეფასება [19].

ბ) ემოციის ტრენინგი – ემოციის მართვა, სხვადასხვა მიზნით და აქცენტით, ფართოდ გამოიყენება განსხვავებული მიმართულების სატრენინგო სწავლებაში. ამასთან, სატრენინგო პრაქტიკაში ის გვხვდება როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ტრენინგ-პროგრამის სახით, ისე ამა თუ იმ ტრენინგის, მაგ. კონფლიქტის მოგვარების, ან ეფექტური კომუნიკაციის ნაწილი [19:21]. ეს გარემოება ქმნის იმის წინაპირობას, რომ განწყობის თეორიის ჭრილში გააზრებული ემოციები, აგრეთვე, ემოციის მართვის პროცედურული მოდელი სხვადასხვა ტიპის ტრენინგ პროგრამების კონტექსტში იქნას განხილული, აპრობირებული და შესაბამისად ადაპტირებული (რაც საბოლოო ჯამში შესაძლებელს გახდის სტანდარტიზებული და ვალიდიზირებული მეთოდოლოგიისა და მეთოდების შემუშავებას).

ამრიგად, წინამდებარე შრომის მიზანი საბოლოოდ დაგვიკონკრეტდა, როგორც ემოციის მართვის ტრენინგისთვის განწყობის თეორიისა და ექსპერიმენტული მონაცემების ბაზაზე **მეთოდოლოგიის შემუშავების ამოცანა**.

2. ემოციის მართვის ტრენინგის სტრუქტურა და მიზანი

უზნადის განწყობის თეორიის ბაზაზე გაგებული ემოციის ტრენინგში იგულისხმება როგორც მისი თეორიული ნაწილი, ისე პრაქტიკული მხარე. თეორიულ ნაწილში არსებითი მნიშვნელობის მქონეა განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიის ჭრილში გაგებული ემოცია – კონცეპტი ემოციის ბუნების, აღმოცენებისა და ფუნქციის შესახებ. რადგან ამ მიმართულებით უზნადის ძირითადი თეორიული შეხედულებების სისტემა ვრცლად განხილული გვაქვს სხვა შრომებში [1][16] აქ მხოლოდ იმ ძირითადი ასპექტების მოხსენიებით შემოვიფარგლებით, რომელიც საფუძვლად დაედო განწყობის თეორიის საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებული ემოციის ტრენინგმოდულს, ანუ იმ ჩარჩოს, რითაც განისაზღვრა ტრენინგის მთლიანი სტრუქტურა, ამ სტრუქტურის ერთეულები – მოდულები, მათ შორის კავშირები, აგრეთვე ზემოქმედების პროცედურა და თანმიმდევრობა.

გამომდინარე იქიდან, რომ განწყობის ზოგადი თეორიის კონსტრუქტში უზნადე ემოციის „სამკვიდროდ“ განწყობისა და ცნობიერების მიჯნას მიიჩნევს [13], ემოციის საფუძვლად – განწყობათა ფორმირების, სტრუქტურობისა და რეალიზაციის პროცესებს [13][14], ხოლო, მისი როლი და მნიშვნელობა ქცევის ორგანიზაციაში ემოციის სასიგნალო, მორგანიზებელი და მარეგულირებელი ფუნქციით განისაზღვრება [14], ემოციის ტრენინგის განწყობის თეორიული მოდულის აგების მთავარი პრინციპი ჩვენთვის ცნობიერებისა და განწყობის ურთიერთზემოქმედების უზნადისეული მოდელია. კერძოდ, უზნადის დებულებები: ა) ცნობიერება განწყობის ნიადაგზე ყალიბდება – განწყობა განსაზღვრავს მას. ბ) ცნობიერებას თვითონ შეუძლია განწყობის გამოწვევა: წარმოდგენა და აზრი თვითონ ქმნიან სათანადო განწყობას [6:15]. რაც შეეხება განწყობა – ცნობიერების ორმხრივი ზემოქმედების საფუძველზე გაგებული ემოციის ტრენინგის ზოგად სტრუქტურაში შემავალ ელემენტებს, მათი კავშირებისა და სამანიპულაციო პროცედურების მოდულებს, მათ საფუძველად დავუდეთ ემოციის სასიგნალო, მორგანიზებელი და მარეგულირებელი ფუნქციები, რაც გულისხმობს: ემოციისადმი, როგორც ფსიქიკური ფენომენისადმი, **დამოკიდებულების შეცვლას ობიექტივაციის აქტების დახმარებით** და მის მიმართ **ახალი განწყობის შემუშავებას** ქცევის ორგანიზაციაში ემოციის **ღირებულების გაცნობიერების** საფუძველზე.

რადგან ემოცია განწყობის რეალიზაციის პროცესის მანევრებელია ჯერ განცდაში (გრძნობები), შემდეგ ქცევაში (პლიუს, დადებითი ემოცია განწყობის ქცევაში შეუფერხებელ რეალიზაციას, ქცევის მიზნის მიღწევას ე.ი. კმაყოფილებას ნიშნავს, ხოლო უარყოფითი (მინუს ემოცია) – განწყობის ქცევაში რეალიზაციის შეფერხებას, ე.ი. ქცევის მიზნის მიუღწევლობას) [14], განწყობის რეალიზების/მოქმედების დინამიკის ლოგიკა გვკარნახობს, რომ უზნადის განწყობის თეორიის საფუძველზე შემუშავებული ემოციის სატრენინგო პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს შემდეგს:

ა) ზოგადად ემოციისადმი, როგორც ასეთისადმი (და არა კონკრეტული ემოციებისადმი), როგორც ფსიქიკური პროცესისადმი, **დამოკიდებულების შეცვლას** – მის მიმართ ახალი განწყობის შემუშავებას. იგულისხმება მისი მნიშვნელოვანი, პოზიტიური და ადაპტაციური ფუნქციის აღიარება.

ბ) ამ შემუშავებული განწყობის საფუძველზე ემოციათა მართვის უნარ-ჩვევების შექმნას.

გ) შეძენილი უნარების გამოყენებას.

თუ გავითვალისწინებთ, იმასაც, რომ უარყოფითი ემოციის წყარო, უზნადის თანახმად, აქტუალური განწყობების ქცევაში ბლოკირებაა, ხოლო ბლოკირების მიზეზი – ობიექტური, სიტუაციური ფაქტორების გარდა, აქტუალური განწყობის არადიფერენცირებულობა, დიფუზურობა ან აქტუალური და დისპოზიციური/ფიქსირებული განწყობების კონფლიქტი/შეუთავსებლობა [14];[16];[17], მაშინ ამ მიზეზების ლოკალიზებისა და ინტერვენციისთვის სრულიად კონკრეტულ მნიშვნელობას და ფუნქციას იძენს ადამიანის **ქცევის ორგანიზაციაში ემოციის პოზიტიური სასიგნალო ფუნქციის მართვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ემოციური კომპეტენციების¹ გაფართოება. მოცემულ შემთხვევაში ემოციური კომპეტენტურობა ნიშნავს პიროვნების აღჭურვას იმ ინსტრუმენტური შესაძლებლობებით, რომლის დახმარებით მან უნდა შეძლოს განწყობათა არარეალიზებულობის შემცირება, მომენტალური განწყობის სიტუაციის შესატყვისად სწრაფი მოდიფიკაცია და სტრუქტურაცია, აგრეთვე, პიროვნების არსენალში მყოფი ფიქსირებული განწყობების ცვლილება ან მათი რეკარმონიზაცია. ყოველივე აღნიშნული კი გრძელვადიან პერსპექტივაში ინდივიდის როგორც მუდმივად ცვალებად გარემოსთან, ისე საკუთარ თავთან ეფექტიან ადაპტაციაში უნდა აისახოს.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ფსიქოკორექცია ან ფსიქოთერაპია გულისხმობს როგორც გარკვეული პრინციპით შედგენილ პროცედურებს, ისე ზემოქმედების განსახორციელებელი ამ პროცედურისთვის საჭირო ემპირიულ დასაყრდენს, ანუ იმ ემპირიულ მოცემულობას რომლის მანიპულირებაც შესაძლებელს ხდის კორექციის ან თერაპიის მიზნის/შედეგის მიღწევას. სხვა სიტყვებით, კლიენტის/პაციენტის მიერ ისეთი ახალი ინფორმაციის მიღებას, რომელიც მის ფსიქიკაში პიროვნების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და გარემოსთან მის ჰარმონიული ურთიერთობისთვის საჭირო განწყობებს აყალიბებს [12];[19]. თუ ამ უკანასკნელის კონტექსტში განვიხილავთ განწყობის თეორიის საფუძველზე კონკრეტული თერაპიული ან კორექციული მოდელების შემუშავების საკითხს/ამოცანას, განწყობის თეორიულ კონსტრუქტში ასეთი მოდელების შედგენა/მიზანს, ჩვენი აზრით, განწყობის შინაარსებზე სასურველი გაგვლენის/ზემოქმედების მოხდენა უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ზემოქმედების პროცედურებისთვის ემპირიული საყრდენის ფუნქცია ემოციას უნდა დაეკისროს. როგორც განწყობის საფუძველზე გაგებული ემოცია და უზნადის მიერ შემოთავაზებული მათი ქვალიტეტური ანალიზის² პრინციპი

1 ემოციური კომპეტენტურობის თანამედროვე ცნება, რომელიც გულისხმობს საკუთარ და გარშემომყოფთა ემოციებში ადეკვატურ გარკვევას, სიტუაციის ზუსტი აღიარებას ადამიანის უნარს, უზნადის კონცეფციის ჩარჩოში შეიძლება გავიაზროთ, როგორც ზოგადად ემოციის (და არა კონკრეტული ემოციებისადმი), როგორც ფსიქიკური პროცესის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების ფორმირება ან მის მიმართ **დამოკიდებულების შეცვლა** – მის მიმართ ახალი, ადეკვატური განწყობის შემუშავება (იგულისხმება ქცევის ორგანიზაციაში ემოციის პოზიტიური სასიგნალო ფუნქციის აღიარება, მართვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება).

2 ემოციური განცდების რომელიმე სპეციფიკის ანალიზი, უზნადის მიხედვით, ყოველთვის ითხოვს მიზნის და მისი შეფერხების თუ ხელშემწყობი პირობების თავისებურებების დადგენას. იმდენად, რამდენადაც ყოველ მოცემულ შემთხვევაში ეს პირობები განსხვავებულია, მისი აზრით, განსხვავებული უნდა იყოს მასთან დაკავშირებული

აჩვენებს, თუ სპეციფიკურ ფსიქოკორექციულ ჩარევით სტრატეგიებს მივმართავთ ემოციების იდენტიფიცირების, მათი მართვისა და რეგულაციისკენ, ვფიქრობთ, ამით გვეძლევა შესაძლებლობა (ანუ, კონკრეტული გზა, ხერხი, ან ინსტრუმენტი) ვცვალოთ განწყობა გავლენის (კორექციის ან თერაპიის) მიზნისა და ამოცანების მიმართულებით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ზოგადთეორიულ ჩარჩოში თუ დგება საკითხი კონკრეტულ თერაპიულ ან საკორექციო მოდელებსა და ტექნიკებზე შემუშავებაზე, პირველ რიგში ლაპარაკი უნდა იყოს **ემოციაზე ცენტრირებულ სტრატეგიაზე, რომელიც გაიშლება განწყობათა ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის დიფერენცირებად პროცედურებში.**

განწყობის თეორიის საფუძველზე შემუშავებული ემოციის მართვის ტრენინგმოდულის **ვალიდიზაციისა და სტანდარტიზაციის მიზნით, ჩვენს მიერ განხორციელდა** ა) სხვადასხვა კონცეფციების ჩარჩოში მოქცეული ემოციის პროცესის მიმდინარეობის თეორიულ მოდელთა შედარებითი ანალიზი ბ) ტრენინგის მონაწილეების ემოციისადმი სოციალური განწყობის კვლევა მისი სამივე კომპონენტის გათვალისწინებით (აფექტურის, კოგნიტურის, ქცევითის). გ) ტრენინგში მონაწილე პირთა სუბიექტური ემოციური გამოცდილების კვლევა. კვლევის მასალა უშუალოდ ტრენინგის მსვლელობის დროს ბლიცგამოკითხვების გზით იქნა მოპოვებული (კვლევების დეტალური ანალიზი [1][16].

გამოკითხვის პასუხების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგებმა აჩვენა რომ: 1) ტრენინგის მონაწილეთა უმრავლესობის განწყობა ემოციისადმი უარყოფითია განწყობის არსებობა. **2) მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებაში** ემოციისადმი განწყობა ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აქტუალური განწყობის რეალიზება-ბლოკირების პროცესში და მონაწილეობს: სიტუაციური განწყობის ფორმირებაში, როგორც მასში შემავალი ერთერთი ფაქტორი; განწყობის ცნობიერებაზე გავლენის მქონე ერთერთი ფაქტორი და განწყობის ცვლილებაში, როგორც მისი რეკონსტრუქციის პროცესში მონაწილე ასევე ერთ ერთი ფაქტორი.

ეს უკანასკნელი შედეგი მიღებული იქნა ტრენინგის მონაწილეთა სუბიექტური გამოცდილების ანუ განცდების თვისობრივი ანალიზის შედეგად, როგორც ემოციების ქცევაში რეალიზების ისე მათი ბლოკირების შემთხვევებში. რეალიზება-ბლოკირების თვალსაზრისით რესპოდენტთა პასუხები ოთხ კატეგორიად დაჯგუფდა. ეს კატეგორიები ჩვენს მიერ განიხილება, როგორც განსხვავებული მოტივაციური კონტექსტები, ხოლო ემოციის გამოხატვის თავისებურებები, როგორც ემოციოგენურ სიტუაციებში პიროვნების ემოციური რეაგირების დომინანტური სტილი ან ქცევითი მოდელი. ამრიგად;

I კატეგორიაში გაერთიანდა პასუხები, რომლებიც ასახავენ ემოციოგენურ სიტუაციაზე სუბიექტის მყისიერი ემოციური რეაგირების ფორმებს ანუ ეს ვითარებებია, როცა ემოცია რეალიზდება იმავე სიტუაციაში, რომელშიც ის გაჩნდა. ამ შემთხვევაში ემოციის გამოხატვა/მანიფესტაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც **აქტუალურ სიტუაციაზე სუბიექტის რეაქცია/პასუხი.**

II კატეგორიაში შევიდა, პასუხები, რომლებიც ასახავს ემოციის გადავადებული რეალიზების ვითარებას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ემოციის ისეთ არაადეკვატურ მანიფესტაციასთან, რომლის დროსაც სუბიექტი ერთ სიტუაციაში აქტივირებულ ემოციებს სხვა სიტუაციაში გამოხატავს. ამ ვითარებას, პირობითად, შეიძლება **ემოციის გადავადებული მანიფესტაცია ვუწოდოთ.**

III კატეგორიაც, პასუხების II კატეგორიის მსგავსად, ასახავს ემოციის არაადეკვატური რეალიზების ვითარებებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩანაცვლებული ემოციების ან ემოციის რეალური ინტენსივობის შეცვლილ რეალიზებასთან. რაც იმას ნიშნავს, რომ სიტუაციურად აქტივირებული ემოციის ნაცვლად სუბიექტი ემოციოგენურ სიტუაციაზე სხვა ემოციით რეაგირებს. ემოციების ქცევაში მანიფესტაციის ეს ფორმა შეიძლება განვიხილოთ როგორც **ჩანაცვლებული ემოციის მანიფესტაცია.**

ემოციური განცდებიც. ამრიგად, უზნადის თქმით „გამოდის, რომ მიზნის და მისი მიღწევის შეფერხების ბუნების ანალიზი, „იმაჯდროულად არის ემოციის ქვალიტეტური სპეციფიკის“ ანალიზიც [14].

IV კატეგორია აერთიანებს პასუხებს ვითარებებზე, რომლის დროსაც სიტუაციურად აქტივირებული ემოციების ქცევაში **მანიფესტაცია ბლოკირებულია**.

ამ ოთხი ვითარების ამსახველი პასუხების კონტენტანალიზმა აჩვენა, რომ: ა) როგორც ემოციების მანიფესტაციის, ისე მათი ბლოკირების შემთხვევაში სუბიექტები ერთგვაროვანად აფასებენ ქცევებს მათი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით; ბ) ორივე შემთხვევაში, როგორც ემოციების მანიფესტაციის, ისე მათი ბლოკირების შედეგად/შემდეგ აფიქსირებენ იდენტურ განცდებს; გ) განსხვავებულ მოტივაციურ კონტექსტში (ვითარება I, II და III) მიმართავენ იდენტურ ქცევით სტრატეგიებს; დ) ემოციების ბლოკირების შემთხვევებში (ვითარება II, III, IV) მიუთითებენ ემოციების რეალიზების პროცესებში ცნობიერების აქტიურ მონაწილეობაზე ან ამ პროცესებზე ცნობიერების კონტროლზე.

მიღებული შედეგი განწყობის თეორიის მიხედვით, შეიძლება გაგიაზროთ, როგორც ემოციის ბუნებრივი აქტივატორებისადმი რესპონდენტთა ფიქსირებული განწყობების უნიფორმულობის გამოვლინება, რაც დაკავშირებული უნდა იყოს განწყობების ფორმირების პროცესებთან. განწყობის თეორიის მიხედვით კი მათი ფორმირების რამდენიმე გზა არსებობს. კერძოდ, ფიქსირებული განწყობები იქმნება, როგორც საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, ისე კულტურის ინტერიორიზაციის გზით. ამრიგად, ჩვენი რესპოდენტების მიერ ემოციებისადმი გამოვლენილი განწყობების ერთგვაროვნების საფუძველი, შესაძლებელია, სწორედ ინტერიორიზებული კულტურის გზით ფორმირებული განწყობებია.

უზნადის კონცეფციაში განსაკუთრებული სიგნიფიკაციური ფუნქცია უარყოფით ემოციებს აქვს მინიჭებული. ისინი ქცევის მიზანთან/შედეგთან სიახლოვე-სიშორეს გამოხატავენ და განწყობის ქცევაში რეალიზაციის თავისებურებებს ასახავენ. ტრენინგში მონაწილეების პასუხების მიხედვით განხილულ თითოეულ ვითარებაში რესპოდენტები გამოყოფენ უარყოფითი ემოციების ორ კატეგორიას: 1) უარყოფით განცდებს მიზნის მიღწევის პირობებში, 2) უარყოფით ემოციებს აქტუალური პრობლემების არსებობის პირობებში. მიღებული შედეგის (უარყოფითი განცდების არსებობა როგორც მიზნის მიღწევის ისე მიუღწევლობის პირობებში) საფუძველად შესაძლოა მივიჩნიოთ ემოციისადმი, როგორც ფსიქიკური პროცესის მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულება/ემოციური არაკომპეტენტურობა, რომელიც თავისი მახასიათებლებით განწყობის დიფერენცირებული ფსიქოლოგიის ჩარჩოში შესაძლოა სტატიკური განწყობის ანალოგ ფენომენად განვიხილოთ.

მონაცემთა შეჯერების საფუძველზე გამოიკვეთა ტრენინგისთვის აქტუალური პრობლემატიკა და მიზანი – ა) ემოციებისადმი დამოკიდებულების ანუ განწყობის ფორმირების (ან შეცვლის) გზით აქტუალური განწყობების რეალიზების უზრუნველყოფა. ბ) ქცევის მიზანშეწონილობისთვის ემოციის სასიგნალო ფუნქციის ცოდნა-გამოყენება და მისი ეფექტიანად მართვა-რეგულაცია. ამრიგად, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ემოციის მართვის განწყობის თეორიული მოდული რელევანტურია ტრენინგის მიზნების, ხოლო ტრენინგის სქემის შემდგომი სტანდარტიზებისთვის (გამოკვეთილი ზემოთაღნიშნულ ოთხ მოტივაციურ კონტექსტზე მორგებული ემოციის მართვა – რეგულაციის მეთოდოების შემუშავება) ის ნაყოფიერ ფონს ქმნის.

რაც შეეხება ტრენინგის სტრუქტურას იგი შემდეგია:

1. ემოციის აღიარება, გაცნობიერება, რომ მას ყოველთვის რაღაც ღირებული მოაქვს ჩვენთვის, მისი, როგორც ასეთის, მიმართ დამოკიდებულების (განწყობის) შეცვლა;
2. ემოციათა იდენტიფიკაცია, საკუთარი და სხვათა ემოციების ზუსტი ამოცნობის სწავლა;
3. იმ ემოციათა კორექცია-თვითრეგულაცია, რომლებიც მიზანშეწონილების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ (მსგავსად განწყობის ილუზიებისა, რომლებიც რეალურ სურათს “ამახინჯებენ”, თუმცა ეს სულაც არ ცვლის განწყობის მთავარ ფუნქციას – საფუძველად დაედოს სწორედ მიზანშეწონილ ქცევას).

ვალიდიზაციისა და სტანდარტიზაციის კონტექსტში საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი ტრენინგის სქემის შედარებითი ანალიზი “ემოციური ინტელექტის “ ცნების ავტორების, სალოვეისა და მაიერის, სქემასთან, რომელიც გოლემანის მიერ იქნა ადაპტირებული – ხუთი საბაზისო ემოციური

და სოციალური კომპეტენციის სახით [1]. სქემების შედარებამ აჩვენა, რომ გოლემანის ადაპტირებული სქემა და ჩვენ მიერ განწყობის თეორიის საფუძველზე შემუშავებული ტრენინგის სქემა მსგავსია, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ, ჩვენს შემთხვევაში, სქემის სტრუქტურა მთლიანად უზნადის კონცეფციის შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე იქნა აგებული. ამ ორი სქემის მსგავსება ჩვენი მიმართულების სისწორეში გვარწმუნებს.

ემოციის მართვის ტრენინგმოდულისა და სტრუქტურის შემუშავების შემდეგ ჩვენი ამოცანა ამ სტრუქტურის კომპონენტების, მათ შორის კავშირების და ზემოქმედების პროცედურების მოდელირებაა. ამ შემთხვევაში აქცენტი უკვე ტრენინგის პრაქტიკულ მხარეზე - ემოციის მართვის ეფექტური ხერხებისა და მეთოდების შემუშავებაზე გადადის. შესაბამისად, ჩვენთვის აქტუალური ხდება განწყობის სკოლის ის ექსპერიმენტული კვლევები, რომლებიც აღნიშნული ამოცანის რეალიზებაში დაგვეხმარება.

3. ემოციის მართვის ტრენინგი და განწყობის სკოლის ექსპერიმენტული კვლევების პრაქტიკული ასპექტები (ემოციის მართვის ტრენინგისთვის განწყობის თეორიისა და ექსპერიმენტული მონაცემების გაზაზრა მეთოდის გამოყენებით)

ახალი მეთოდების შესამუშავებლად ყურადღება ქართველ მკვლევართა იმ ექსპერიმენტულ შრომებზე შევაჩერეთ რომლებიც ამა თუ იმ ასპექტით ეხება ტრენინგის სტრუქტურულ ერთეულებსა და ეტაპებს: ემოციის გაცნობიერებას (ობიექტივაციას/რეფლექსიას), იდენტიფიკაციას (ექსპრესიას – არავერბალურს, ვერბალურს), ემოციის მართვას (ცვლილებას). წინამდებარე შრომაში, ემოციებისადმი დამოკიდებულების შეცვლისა და მართვის ეტაპთან დაკავშირებით განვიხილავთ მარინა ბალიაშვილის ექსპერიმენტულ კვლევებს სოციალური განწყობების ცვლილების შესახებ (რადგან, როგორც ვნახეთ უზნადის თეორიის მიხედვით, ემოციის მართვა განწყობების ფორმირებისა და შეცვლის კანონზომიერებებთან არის დაკავშირებული) [4], ხოლო ემოციების იდენტიფიკაციის ეტაპთან დაკავშირებით – რუსუდან მშვიდლობაძის ექსპერიმენტულ კვლევებს, მეტყველების გაუცნობიერებელი პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციების შესახებ [8].

მარინა ბალიაშვილის ექსპერიმენტული კვლევების მთავარ სამიზნეს სოციალურ ფიქსირებულ განწყობაზე აქტუალური განწყობის ზემოქმედების კანონზომიერებების დადგენა – შესწავლა წარმოადგენდა. ამ ავტორის კვლევებისადმი ჩვენი ინტერესი განაპირობა: ა) ბალიაშვილის მიერ საკითხის განსხვავებულმა დასმამ (ფიქსირებულ განწყობაზე აქტუალური განწყობის გავლენა და არა პირიქით, როგორც ეს ქართველ მკვლევართა შრომათა უმრავლესობაში გვხვდება [6][15]); ბ) ამ საკითხის შესწავლად ე.წ. კომპრომისული ქცევის გამოყენებამ.

ცნობილია, რომ კომპრომისული ქცევა, როგორც იმპულსურსა და ნებისმიერ ქცევას შორის შუალედური ფორმის ქცევა, თავისი ბუნებით წინააღმდეგობრივია და მისი მიზანშეწონილი მიმდინარეობა პიროვნების სისტემის შინაგან ტრანსფორმაციათა ვრცელ რიგს საჭიროებს. ამათგან ერთერთია ამ ქცევასთან შინაარსეულად დაკავშირებული სოციალური ფიქსირებული განწყობის სისტემის რეორგანიზაცია, სოციალური ობიექტებისადმი მისაღებობა – მიუღებლობის პიროვნული დამოკიდებულების ფარგლების შევიწროვება-გაფართოვება, რაც, ბალიაშვილის აზრით, აქტუალურ და ფიქსირებულ განწყობათა ურთიერთგავლენის ერთერთ შედეგია.

როგორც ვნახეთ, უზნადის მიხედვით, აქტუალურ და ფიქსირებულ განწყობათა ურთიერთგავლენის ერთერთ შედეგს წარმოადგენს ემოციაც, რადგან იგი არის ან არადიფერენცირებული, დიფერენცირებული განწყობის საფუძველზე გაშლილი ქცევის შედეგი ან აქტუალურ და ფიქსირებულ განწყობებთან კონფლიქტის შედეგად ბლოკირებული განწყობის მაჩვენებელი. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპრომისულ ქცევაში აქტუალურ და ფიქსირებულ განწყობებთან კონფლიქტი და წინააღმდეგობრივი ტენდენციები იმთავითვე მასში იმანენტურად არის მოცემული, ბუნებრივია, კომპრომისული ქცევა და მისი მომზადების თავისებურებები ემოციის პროცესების შესწავლისთვის მნიშვნელობის მქონეა იმდენად, რამდენადაც მასში კომპლექსურად არის წარმოდგენილი უზნადის კონცეფციის მიხედვით გაგებული ემოციის

საფუძვლები – განწყობის რეალიზებისა და ბლოკირების მიზეზები, დაკავშირებული განწყობის ქმნადობასთან, ცვლილებებთან, განწყობებს შორის კონფლიქტთან და ა.შ. [4];[5];[6];[10];[11];[15].

სატრენინგო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის მეთოდებიც, რომელიც აღნიშნული ტიპის ქცევის შესწავლის დროს გამოიყენება. ეს მეთოდებია: ე.წ. „იძულებითი თანხმობის სიტუაციები“ (მაგალითად, განსხვავებული პოზიციების არგუმენტირებული დაცვა), როლის თამაში, თვითდარწმუნება, გადაწყვეტილება, ინსტრუქტაჟი (აღგორითმული სწავლება) და სხვა. ჩამოთვლილი მეთოდებიდან თითოეული, როგორც სატრენინგო ზემოქმედების ინტრუმენტი, ფართოდ გამოიყენება ნებისმიერ სატრენინგო პროცედურებში. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური განსხვავებების მიუხედავად, აღნიშნულ მეთოდებს, ყოველ კონკრეტულ ტრენინგ-სიტუაციაში ტრენინგის მონაწილისთვის ან ქცევითი ვალდებულების ადების ან ქცევის შესრულების ფუნქცია აკისრია და ამით იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპრომისული ქცევის მომზადებაში (აქტუალური განწყობის შექმნაში), წარმართვასა და მსვლელობაში.

ბალიაშვილს ექსპერიმენტებში კვლევის მეთოდად გამოყენებული აქვს კომპრომისული ქცევის ერთი სახე – პიროვნების სოციალური განწყობისაგან განსხვავებული პოზიციის დაცვა, არგუმენტაცია, რადგან, მისი აზრით, „იგი აქტუალური და ფიქსირებული განწყობის პოლარულობა – ვალენტობის დაპირისპირების შესაძლებლობას იძლევა და რადგან ამგვარი ქცევიდან არამართო ადვილია სოციალური განწყობის იმპლიკაცია, არამედ ეს უკანასკნელი მასში უშუალოდ არის მოცემული“ [4:62]. გარდა ამისა, ფიქსირებულ განწყობაზე აქტუალური განწყობის ეფექტების ანალიზისთვის, მის მიერ, ქცევის სტრუქტურაში ორი მომენტია გამოყოფილი – ვალდებულება (გადაწყვეტილება) და ქცევის შესრულება, რომელთაგან თითოეული ბალიაშვილის მიერ მომენტალური განწყობის აქტუალიზაციისა და რეალიზაციის ეტაპების შესაბამის მომენტებად არის მიჩნეული.

ქცევის ამ ეტაპის – გადაწყვეტილებისა და ქცევის შესრულების – სოციალურ განწყობაზე გავლენის საკვლევად, მის მიერ, გამოყენებული იქნა ვალდებულებით მანიპულაცია: 1) ქცევის ვალდებულების¹ ალება, 2) ქცევის გაპიროვნებული შესრულება (ქცევის შესრულება წინასწარი ვალდებულების ადებით ანუ ადებული ვალდებულების შესრულება) და 3) ქცევის განუპიროვნებული შესრულება (შესრულება გადაწყვეტილების გარეშე).

სამივე შემთხვევაში ექსპერიმენტული მანიპულაცია მდგომარეობდა შემდეგში: სუბიექტი გარკვეულ შეფასებით მსჯელობას, სოციალური მოვლენის შესახებ გარკვეული დებულების მართებულობის არგუმენტიაციას აწარმოებდა (ზეპირი ან წერილობითი ფორმით). მაგრამ დებულება განსხვავებული იყო მისი საწყისი განწყობისეული პოზიციისგან ან ეწინააღმდეგება მას. განწყობის საწინააღმდეგო აგიტაცია ამრიგად, იმაში მდგომარეობდა, რომ ცდისპირებს „გარკვეული დებულებების ან მისი წანამდგრების ყველა pro და cintra მოსაზრებების ანალიზი მოეთხოვებათ, რომელიმე მიმართულებით თავისი შეხედულების შეცვლის რაიმე იძულების გარეშე“ [4:62].

ექსპერიმენტში მიღებული ზოგადი შედეგების თანახმად, განწყობის შეცვლაზე, ცვლილების მიმართულებისა და სიდიდეზე ქცევის შინაარსეული განსხვავების გარდა დამოუკიდებელი მნიშვნელობის აღმოჩნდა კონკრეტულად განხორციელებული ქცევის რაგვარობა: ვალდებულების ალება, ადებული ვალდებულების რეალიზება, მისი შეუსრულებლობა, გადაწყვეტილების ანონიმურობა. აღმოჩნდა, ისიც, რომ ვალდებულება მისი შემდგომი რეალიზაციის გარეშე უფრო ძლიერ გავლენას ახდენდა ფიქსირებულ სოციალურ განწყობაზე, ვიდრე ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაც ავტორის თქმით „მოწმობს იმას, რომ განწყობის შეცვლის გადამწყვეტი ფაქტორი არის ვალდებულება, ქცევის მიღების პიროვნული დონე“ [4:61-76]

1 ექსპერიმენტში სოციალურ ვალდებულებაზე ლაპარაკია მაშინ, როდესაც არსებობს ცდისპირის მხრიდან მომავალში ქცევის გარკვეული კურსის შესრულების აშკარა გადაწყვეტილება, მიღებული აუდიტორიის წინაშე, რაც ქცევას გაპიროვნებულ სახეს აძლევს. ხოლო როცა ქცევა სრულდება დავალებით, მაგრამ გაპიროვნების გარეშე, როდესაც სიტუაცია ანონიმურია და გადაწყვეტილება ფარული, ვალდებულებას ადვილი არა აქვს, ქცევის მიღება და შესრულება უფრო დაბალი დონის სოციალურ აქტივობაზე არის დაფუძნებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ბალთაშვილის ექსპერიმენტებისა და მისი შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა, ჩვენი ტრენინგის ფარგლებში, ემოციებისადმი განწყობის შექმნას (ან შეცვლას) უკავშირდება. რადგან/ვინაიდან კომპრომისული ქცევები განწყობის შექმნის ერთერთი მექანიზმია, ხოლო ტრენინგი ამ ტიპის ქცევების განხორციელებისთვის ბუნებრივი სიტუაცია, სატრენინგო სიტუაციაში ბალთაშვილის ექსპერიმენტული კვლევებისა და მათი შედეგების მანიპულირებით მივაჩნია, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვქმნება ემოციისადმი განწყობის ფორმირება—ცვლის პროცესს სასურველი მიმართულება მივცეთ. კერძოდ, ვცვალოთ ტრენინგის მონაწილეთა ემოციისადმი უარყოფითი განწყობა დადებითი მიმართულებით.

ტრენინგის მონაწილეებში ემოციებისადმი განწყობათა ცვლისა და ფორმირების მეთოდის შესამუშავებლად, შევეცადეთ, ტრენინგის მიზნის შესატყვისად მოგვეხდინა ქცევის განუპიროვნებელი და განპიროვნებელი შესრულების ბალთაშვილის ექსპერიმენტული სქემის მოდიფიცირება. რისთვისაც ჩვენ, პირველ რიგში, შევიმუშავეთ ემოციისადმი განსხვავებული ვალენტობის მქონე თერთმეტი გამონათქვამი. ამ გამონათქვამებიდან თითოეული შეესაბამება ტურსტოუნის სოციალური განწყობის სკალის გარკვეულ სკალურ პოზიციას. ხოლო ამ დებულებებისა და ბალთაშვილის ექსპერიმენტული დასკვნების საფუძველზე ჩვენს მიერ დამუშავდა/შეიქმნა ცალკეული სამანიპულაციო პროცედურების სცენარები როგორც სავარჯიშოების, ისე თამაშების სახით ზემოთმოსხენიებული ოთხი კონტექსტის გათვალისწინებით. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული დებულებები ამავე დროს წარმოადგენს ემოციებისადმი განწყობის გასაზომ ტურსტოუნის ტიპის სკალას – მეთოდს, რომლის დახმარებით ჩვენ შესაძლებლობა გვქმნება ტრენინგში გამოყენებული მეთოდის ეფექტიანობის დადგენა.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდის არსი, საინტერესოდ ერთერთ მათგანს მოვიყვანთ. ტრენინგის მონაწილეებს, მას შემდეგ, რაც ბლიცგამოკითხვის შედეგად ემოციებისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით დავაჯგუფებთ, ამ დამოკიდებულების გათვალისწინებით ვახდენთ თითოეული ჯგუფისთვის დასაცავი დებულებების შერჩევას. დებულებების შერჩევა ჩვენს მიერ შემუშავებული ემოციისადმი დამოკიდებულების სკალიდან ხდება. ტრენინგის პირველი დღის ბოლოს ტრენინგის მონაწილეებს ვთავაზობთ სავარჯიშოს, რომელიც ემოციების შესახებ გარკვეული შეხედულებების სისწორეს დაასაბუთებენ, რისთვისაც მათ ევალებათ მოიყვანონ შტამპეჭდავი მაგალითები და არგუმენტები. შემდეგ, ვითომ შემთხვევითი პრინციპით ხდება დასაცავი დებულებების განაწილება. ვალდებულების აღება ხდება ასე: თითოეული ტრენინგის მონაწილე ჯგუფის წინაშე ასახელებს მის მიერ დასაცავ თემას და თავის სახელსა და გვარს—აკეთებს წინასწარ განაცხადს. მას მერე, რაც ცდისპირები იღებდნენ ვალდებულებას და 10-15 წუთის განმავლობაში ასრულებდნენ მას, ერთერთი ტრენერი სატრენინგო მუშაობის გაგრძელებამდე სთავაზობს მათ რაიმე ტიპის გასართობ თამაშს, ე.წ. ენერჯიზერს. ამ საყოველთაო მხიარულების ფონზე სხვა ტრენერი აგრეთვე, ვითომ შემთხვევით აღმოაჩენს, რომ სატრენინგო მუშაობის დრო ამოწურულა. ტრენერები და ჯგუფის წევრები შესრულებული სამუშაოს განხილვის გადავადებაზე თანხმდებიან თუმცა განხილვის დროს წამყვანები ტრენინგის დღისწესრიგში განზრახ არ აზუსტებენ. ამით ისინი ქმნიან სიტუაციას – ვალდებულების, მისი შემდგომი რეალიზაციის გარეშე. ქცევის ეს ფორმა კი, ბალთაშვილის ექსპერიმენტების თანახმად, ყველაზე უფრო ძლიერი ფაქტორია ფიქსირებულ სოციალური განწყობის შეცვლისთვის. ამრიგად, ამ მანიპულაციის სავარაუდო შედეგი ემოციებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დადებითი მიმართულებით შეცვლაში უნდა გამოვლინდეს. მოსალოდნელი შედეგის ატესტაცია და კონტროლი ტრენინგის შემდგომი მსვლელობის დროს ხდება ტრენინგის მონაწილეთა სხვადასხვა აქტივობებზე დაკვირვებით.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე შრომა, რომელიც ემოციის მართვის ტრენინგის მეთოდის შესამუშავებლად შევარჩიეთ, რუსუდან მშვიდობაძის ექსპერიმენტული კვლევაა მეტყველების გაუცნობიერებელი ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციების შესახებ. ამ შრომაში ავტორი, განწყობის თეორიიდან გამომდინარე ყურადღების ცენტრში აქცევს მეტყველების გრამატიკულ პარამეტრებს, რომლებიც ცნობიერების გარეშე აღიქმება და მოიხმარება. ავტორის

თქმით სოციალური პერცეფციის გაუცნობიერებელ ფაქტორთა შესწავლისას ყველაზე ხელსაყრელია იმ შემთხვევებზე დაკვირვება, როდესაც პერცეფციის ფაქტორს სხვა ადამიანის მეტყველება წარმოადგენს. ნაშრომში ექსპერიმენტულად არის ნაჩვენები რომ:

1) პიროვნების დამოკიდებულება გავლენას ახდენს მეტყველების გრამატიკულ შაბლონზე. კერძოდ, სინტაქსური პარამეტრების მიხედვით დადებითი განწყობის დროს უარყოფითთან შედარებით მეტია ა) წინადადებების სიგრძე ბ) წინადადებების სიღრმე. გ) რთული წინადადებების რიცხვი, მასთან მარტივი წინადადებების რიცხვი უარყოფითში მეტია. მორფოლოგიური პარამეტრებიდან ა) უარყოფითი დამოკიდებულების დროს დადებითთან შედარებით იზრდება ნაცვალსახელების რაოდენობა. ბ) დადებითი განწყობის დროს მეტყველებაში იზრდება მომავალი დროის ხმარების შემთხვევები, უარყოფითთან შედარებით. გ) უარყოფითი დამოკიდებულების დროს დადებითთან შედარებით მეტყველებაში იზრდება პასიური კონსტრუქციების რაოდენობა. დ) უარყოფითი დამოკიდებულების დროს, დადებითთან შედარებით, მეტყველებაში იზრდება პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ – ს ხმარების სიხშირე. ამ შედეგების საფუძველზე მთავარი დასკვნა, რომელსაც ავტორი აკეთებს შემდეგია: „ინდექსალური ინფორმაცია (ინფორმაცია ინდივიდის დადებითი და უარყოფითი განწყობების შესახებ) აისახება ენობრივი არხის არა მარტო ლექსიკო-სემანტიკური საშუალებებით, არამედ ისეთი ფორმალური პარამეტრებითაც, რომლებიც მოსაუბრის ცნობიერებაში ამ დატვირთვის მატარებელნი არ არიან. მეტყველი ხმარობს მათ განწყობისეულ დონეზე, გაუცნობიერებლად” [8:35].

2) მხოლოდ მეტყველების გრამატიკული შაბლონით მსმენელმა შეიძლება გამოიცნოს მოსაუბრის დამოკიდებულება ისე, რომ ვერ გააცნობიეროს რამ იმოქმედა ამოცნობაზე

3) მეტყველების გრამატიკული თავისებურებები გავლენას ახდენს აღმქმელის მოტივაციასა და ქცევაზე. კერძოდ ასპირაციის დონის ტესტში ამოცანის არჩევაზე. ამრიგად, მეტყველების გრამატიკულ პარამეტრებს აქვთ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია.

4) მეტყველების ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციები შეიძლება იცვლებოდეს ხვადასხვა ენის ფარგლებში.

5) სოციალური განწყობის გავლენა გრამატიკულ პარამეტრებზე ფაქტიურად ერთნაირია წერითსა და ზეპირ მეტყველებაში.

ამ ექსპერიმენტული კვლევის შედეგების გამოყენება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენი ტრენინგის მეორე სტრუქტურული ერთეულის – ემოციების იდენტიფიკაციისა და საკუთარი და სხვათა ემოციების ზუსტი ამოცნობის სწავლებისთვის. ამ მიზნით, ემოციის ამოცნობის არავერბალურ პარამეტრებით აგებულ სავარჯიშოების მსგავსად, ტრენინგში ჩავრთეთ ჩვენს მიერ შემუშავებული მეტყველების ექსპრესიული პარამეტრებით აგებული სავარჯიშოები.

ემოციის მართვის ტრენინგში განწყობის სკოლის ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე შემუშავებული პროცედურული და ინსტრუმენტალური ხერხების ეფექტიანობის დასადგენად, აგრეთვე მათი დახვეწის მიმართულებით მუშაობა გრძელდება, რომლის შედეგებს მომდევნო შრომაში ავსახავთ.

ლიტერატურა:

1. ბერეკაშვილი დ., ცხვედაძე ნ. ემოციის მართვის ტრენინგი დ. უზნაძის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ჭრილში. მაცნე №1, თბილისი 2008.
2. დ. ბერეკაშვილი, ნ. იმედაძე. „ემოციის ფსიქოლოგია“ ფსიქოლოგიის საფუძვლები. რედ. ი. იმედაძე. თავი X. თბილისი, 2005.
3. ბერეკაშვილი დ. ემოციის გავება განწყობის ფსიქოლოგიაში თანამედროვეობის ჭრილში. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი №1, თბილისი, 1999.
4. ბალიაშვილი მ. სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა. „მეცნიერება“ თბილისი, 1980.
5. ნადარეიშვილი ვ. დევიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდელი დ. უზნაძის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ჭრილში. მაცნე №1, თბილისი, 2008.
6. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია II ტომი. „მეცნიერება“, თბილისი, 1985.
7. ნადირაშვილი შ. განწყობის ორი სახე და სამი დონე. მაცნე №1, თბილისი, 2008.

8. მშვიდობაძე რ. მეტყველების გაუცნობიერებელი ფორმალური პარამეტრების ფსიქოლოგიური ფუნქციები. „მეცნიერება“, თბილისი, 1990.
9. იმედაძე ი. არის თუ არა ცნობიერების ცნება ზედმეტი ცნება მაცნე №1, თბილისი, 2008.
10. საყვარელიძე რ. თავისუფლების პრობლემა: დასავლური მეცნიერების აღმოსავლური რელიგიების და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პარადიგმები ნაწილი-II მაცნე №1, თბილისი, 2008.
11. საყვარელიძე რ. თავისუფლების პრობლემა: დასავლური მეცნიერების აღმოსავლური რელიგიების და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პარადიგმები ნაწილი-I მაცნე №1, თბ., 2007.
12. საყვარელიძე რ. შესავალი ფსიქოთერაპიაში. სალექციო კურსი,
13. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია III-IV ტომი თბილისი, 2004.
14. უზნაძე, „შენიშვნების რეკუილი“ მაცნე – ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია №2 1988.
15. უზნაძე, შრომები, VI ტომი. თბილისი, 1977.
16. ცხვედაძე ნ., ბერეკაშვილი დ. ემოციის, როგორც ფსიქიკური პროცესის მიმართ დამოკიდებულება და მისი როლი მიზანშეწონილი ქცევის ორგანიზაციაში. „ფსიქოლოგია“ XXII ტ. კრებული, თბილისი 2010.
17. ცხვედაძე ნ., ბერეკაშვილი დ. ემოციის მართვის ტრენინგისთვის განწყობის თეორიისა და ექსპერიმენტული მონაცემების ბაზაზე მეთოდოლოგიის შემუშავება. წლიური შრომა.
18. Daniel Goleman – Working with Emotional Intelligence. A Bantoman Book. Publishing History -1998. New York / Toronto / London / Sydney
19. Н.Н. Васильев - „Тренинг Преодоления Конфликтов“ Санкт – Петербург 2002.
20. В.Т Кондрашенко, Д.И Донский - „Общая Психотерапия“ Минск 1997.
21. Кэрл Э. Изард – „Психология Эмоций“. Санкт – Петербург 2000.
22. Яковлева Э. А - „Эмоциональные Механизмы Личностного Творческого Развития“ , „ Вопросы Психологии“ 1997.
23. Х. Хекхаузен Мотивация и деятельность. Т. 1 М. 1986 с. 109–112; 244-267; 144
24. Х. Хекхаузен Мотивация и деятельность. Т. 11. М, 1986 с. 268-289

Nana Tskhvedadze, Dali Berekashvili

Developing methodology based on set theory and its empirical material

Resume

The present work aims to study the possibilities of the practical implementation of the theoretical and empirical experience accumulated within the Uznadze school. The specific purpose is to develop methods and techniques for emotion management training based on the theory of set and its experimental data.

The use of the existing data for the purpose of the elaboration of new methodology, its validation and standartization, stimulates the development of set thory.

The training is based on the idea of interaction between set and consciousness. The aim of the training is to change attitude to emotion as a mental phenomenon and form a new attitude through realizing the value of emotions.

To elaborate new methods we used: 1) M. Baliashvili's experimental research on attitude change in the condition of compromise behavior. In the case of our experiment, this method was used to **change the attitude towards emotions and master emotions**. In our version the trainees had to defend the opinion opposite to the opinion held by them; 2) R. Mshvidobadze's experimental study on the unconscious character of some aspects of language to **identify emotions**.

6060 ჯავჯავაძე

ლიმპირი უზნაძის უსიძოლობის ინსტიტუტი

მედიაგანათლების ძირითადი თეორიები

საკვანძო სიტყვები: მედიაგანათლება, მედიაგანსწავლულობა, პიროვნების მედიაკომპეტენტურობა, ღანვიში მიღვობა, ანალიტიკური მიღვობა, პრაქტიკული მიღვობა

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათი მნიშვნელობა სხვადასხვა განწყობის ჩამოყალიბების, ქცევის განხორციელებისა თუ უფრო მეტიც – სუბიექტური რეალობის შექმნის პროცესში ეჭვგარეშეა. ამიტომაც პიროვნების ფორმირებისა და აქტივობის განმაპირობებელი სოციალური ფაქტორების შესწავლისას მასმედიის ფუნქციონირების თავისებურებათა გამოვლენა და კვლევა ობიექტური აუცილებლობაა.

მასმედიასთან ურთიერთობა კომუნიკაციის ახალი სახეა. მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ სხვადასხვა ხასიათისა თუ ფორმის ინფორმაციის მიღებასთან ერთად, კონტაქტის შედეგად, ხშირად, ადამიანისთვის მოქმედების ახალი არეალი – ვირტუალური სივრცე იხსნება, რომელიც სუბიექტის ფუნქციონირების ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება და მისგან გარკვეულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. სწორედ ამიტომ თანამედროვე სამყაროში საკმაოდ პოპულარულია მედიაგანათლება და იგი განიხილება, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით პიროვნების განვითარების პროცესი, რომლის მიზანია მედიასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, შემოქმედებითი, კომუნიკატორული თვისებების, კრიტიკული აზროვნების, მედიატექსტების სრულფასოვანი აღქმის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასების უნარების ფორმირება და მედიატექნიკის გამოყენებით თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმის სწავლება. ამდენად, მედიაგანათლება რამდენიმე მომიჯნავე მეცნიერების (ფსიქოლოგიის, პედაგოგიის, კულტუროლოგიის) მონაცემებს ეყრდნობა, რომელთა შორისაც, პედაგოგიურთან ერთად, კულტურულ-ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. მათ კონცეპტუალურ ბაზისს მედიაგანათლების თეორიები ქმნიან. კომუნიკაციის აგების თავისებურებები განსხვავებული თეორიების წარმომადგენლებისთვის სხვადასხვაა. სწორედ არაერთგვაროვან მიდგომებზეა დამოკიდებული მედიასთან ურთიერთობის პროცესში სხვადასხვანაირი სოციალური მოლოდინები, მონაწილე მხარეებს შორის როლების განაწილება, განწყობათა შექმნა უნარ-ჩვევების ათვისებისა და გამტკიცების, სამომავლო პერსპექტივების დასახვისა და გამოცდილების გაზიარების დროს, შემოქმედებითი აქტივობისა. ამიტომაც მედიაგანათლების თეორიები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი: “მედიაგანსწავლა” (media literac). იგი გულისხმობს ისეთი, “მედიაგანსწავლული” ადამიანის მომზადების პროცესს, რომელსაც აქვს მედიატექსტების აღქმის, ანალიზის, შექმნის, შეფასების, თანამედროვე სამყაროში მედიის ფუნქციონირების სოციოკულტურული და პოლიტიკური კონტექსტებისა და მედიაში გამოყენებული კოდური და რეპრეზენტაციური სისტემების გაგების უნარი. პიროვნების მედიაკომპეტენტურობა არის მოტივების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთიანობა, რომელიც ეხმარება ადამიანს საზოგადოებაში მედიის ფუნქციონირების რთული პროცესების ანალიზისა, უადვილებს მას არჩევანის გაკეთებას სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის მედიატექსტების აღქმისა და შეფასების დროს.

მედიაგანათლება, მედიაგანსწავლულობა და მედიაკომპეტენტურობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია: სამივე ეხმარება ადამიანებს მედიის ენის გაგებაში და საშუალებას

აძლევს მათ ტელევიზიის, რადიოს, ვიდეოს, ინტერნეტის, პრესის, კინემატოგრაფის საინფორმაციო ველის გამოყენებით აქტიურად დაამყარონ საჭირო და სასურველი სხვადასხვა ტიპის კომუნიკაცია.

მედიის ფუნქციისა და დანიშნულების გათვალისწინებითა და მედიისადმი გამოკვეთილი ატიტუდების შესაბამისად, მსოფლიოში არსებობს, ძირითადად, რვა კონცეფცია, რომლებიც სამ ჯგუფად ერთიანდება. [8:13-24].

ეს თეორიებია:

I. „დაცვითი“; II. „ანალიტიკური“; III. „პრაქტიკული“

დაცვითი მიდგომის საფუძველია (უფროსების, პედაგოგების) უარყოფითი ატიტუდი მედიის მიმართ და, აზრი, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, უმეტესად, დაბალი ხარისხის და საზიანოა მორალური, კულტურული და ა.შ. თვალსაზრისით. ამ ტიპის კონცეფციების მიზანია მედიის გავლენისგან მოზარდების დაცვა და გავლენის ჩანაცვლება “კლასიკური კულტურული ღირებულებებით”. ამ თეორიის მომხრეებისათვის მედიასთან ურთიერთობის პროცესში კომუნიკაციის ორივე მხარე თანაბარუფლებიანი არ არის და მოქმედების საშუალება მხოლოდ მედიას აქვს. მეორე მხარე კი – უმეტესად ბავშვები, გავლენის ობიექტები არიან და ამ პროცესში პასიურ როლს ასრულებენ.

“დაცვით თეორიებს მიეკუთვნება რამდენიმე თეორია:

1. **მედიაგანათლების იდეოლოგიური თეორია.** ამ თეორიის ბაზისური არგუმენტის მიხედვით, მედია მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების (ერის, კლასების, კლანების და ა.შ). სასარგებლოდ. ბავშვები ყველაზე ადვილად ექცევიან მათი გავლენის ქვეშ და ამიტომ მედიაგანათლების პროირიტეტული მიზანი უნდა იყოს: ა) მაყურებელთა აუდიტორიაში მასობრივი კომუნიკაციის სისტემის შეცვლის სურვილის გაჩენა. (თუ კი ხელისუფლება შორსაა ტოტალიტარული თეორიებისაგან), ან პირიქით: ბ) ჩააგონო ადამიანებს, რომ არსებული მედიასისტემა საუკეთესოა (თუ ხელისუფლება არადემოკრატიულია) და აკრიტიკონ დემოკრატიული მედიის სისტემა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში არსებობდა იდეოლოგიური კონცეფციის ორი ვარიანტი – “დასავლური” და “აღმოსვლეთ-ევროპული”. “დასავლური” თეორიის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებდნენ მედიატექსტების კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების კრიტიკულ ანალიზზე, “აღმოსავლურ-ევროპული” თეორიები კი, რომლებიც სოციალისტური ქვეყნებისთვის იყო მნიშვნელოვანი, ხაზს უსვამდნენ კაპიტალისტური ქვეყნების, ანუ დასავლური მედიის კრიტიკული ანალიზის აუცილებლობას [6: 89-134].

ამჟამად მედიაგანათლების იდეოლოგიური თეორია აქტუალური არ არის. მან ტრანსფორმაცია განიცადა. ახლა ყურადღება ექცევა მედიაინფორმაციის არა კლასობრივ შინაარსს, არამედ-პოლიტიკურ-სოციალურ და ნაციონალურ-რეგიონალურ ასპექტებს; აღსანიშნავია, რომ მცირე სახელმწიფოებში მიმდინარეობს აქტიური ზრუნვა მედიაგლობალიზაციისაგან თავისდასაცავად.

2. მედიაგანათლების “პროტექციონისტური” თეორია (“ინექციური”, “დამცველი”, “აცრითი”, “კულტურული ღირებულებების თეორიასაც” თეორია). ზოგჯერ მას მისი წარმომადგენლები ადამიანებზე მედიის უარყოფით ზეგავლენას უპირისპირებენ კლასიკური კულტურული მემკვიდრეობის მარადიულ ღირებულებებს. (მაგ., ანტიკურ ან რენესანსის ხელოვნებას) და მაყურებლის ყურადღების გადატანას სწორედ მათზე ახდენენ. ამ თეორიის მიხედვით, მაყურებელთა აუდიტორია პასიურია, მისთვის ძირითადად გაუგებარია მედიატექსტის არსი (მაგ.: ბავშვები ვერ ხვდებიან, რომ ძალადობის სცენების ჩვენებით მათ ასწავლიან აგრესიულობას) და ამდენად მაყურებლის მედიასთან ურთიერთობა არის პასიურ მომხმარებელზე უარყოფითი ზემოქმედების პროცესი. [9:54].

“პროტექციონისტური” თეორიის თვალსაზრისით, მედიაგანათლების მიზანია შერბილდეს მედიით ზედმეტად გატაცებულობის უარყოფითი ეფექტი, რაც აუცილებლად გულისხმობს

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რეალობასა და მიწოდებულ ინფორმაციას შორის განსხვავების ჩვენებას და კონკრეტული აუდიტორიისთვის გასაგებ ენაზე მედიის უარყოფითი მხარეების წარმოჩენას. ამ თეორიის მომხრეები თავიანთ პროგრამებში ყველზე მეტ ადგილს უთმობენ სექსიზმისა და ძალადობის უარყოფით გავლენასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-ში, სადაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-40-იან წლებში მედია განიხილებოდა, როგორც “კულტურის დეგრადაციის აგენტი”. ეს თეორია ბრალს სდებდა კომიქსებს, “ყვითელ” პრესას საზოგადოებაში უარყოფითი სტერეოტიპების გავრცელების გამო” [3] .

პროტექციონისტურ თეორიას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს დასავლეთში, რომლებიც თვლიან, რომ მედია ჩვენი ცხოვრების ნაწილია და ასახავს იმას, რაც არის ირგვლივ [2].

3. მედიაგანათლების ესთეტიკური (მხატვრული) თეორია. მისი თვალსაზრისით მედიაგანათლების ძირითადი მიზანია დაეხმაროს აუდიტორიას და გასაგები გახადოს მისთვის ხელოვნებასთან დაკავშირებული მედიაინფორმაციის მრავალფეროვანი სპექტრის ენა და ძირითადი კანონები, განავითაროს მაყურებლის გემოვნება, ესთეტიკური აღქმისა და მხატვრული მედიატექსტების კვალიფიციური ანალიზის უნარები [10: 3-5].

აღსანიშნავია, რომ მედიაგანათლების ესთეტიკური მიდგომისას უფრო ხელსაყრელ და პრივილეგირებულ მდგომარეობას იკავებს კინოხელოვნება, ვიდრე პრესა და ტელევიზია. “მასწავლებლების მიერ არჩეული ზოგიერთი მედიატექსტი ითვლება “კარგად”, მოსწავლეების საყვარელი ტექსტები კი – “ცუდად”. ღირებულებითი საკითხები – “კარგი “ “ცუდის “წინააღმდეგ – მთავარ პოზიციებს იკავებს [7:291]. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად L.Masterman თვლის, რომ ეს თეორია, თავისი არსით, დისკრიმინაციურია, რადგან ის მედიაგანათლების საბოლოო მიზნად აცხადებს მაყურებელთა “კვალიფიციური მსჯელობის უნარის განვითარებას” მედიაინფორმაციის მხოლოდ ხელოვნების სპექტრთან მიმართებაში. მკვლევარი მიიჩნევს, რომ მედიაგანათლების ძირითადი საქმე უნდა იყოს არა მედიატექსტის ხარისხის შეფასება, არამედ მაყურებლების დახმარება, რათა მათ გაიგონ, როგორ ფუნქციონირებს მედია, ვის ინტერესებს წარმოადგენს ის, რა შინაარსისაა მედიატექსტები, როგორ ასახავს ისინი რეალობას და როგორ აღიქვამს მათ აუდიტორია [4: 15-68.]

მედიაგანათლების ესთეტიკური თეორია ძალზე პოპულარული იყო XX საუკუნის 60-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. 70-იანი წლებიდან კი მან დაკარგა პოპულარობა, რადგან მკვლევართა საზოგადოებაში შეიცვალა დამოკიდებულება ამ თეორიის ძირითადი არგუმენტებისადმი და ფართოდ გავრცელდა ატიტუდი თანამედროვე სამყაროში მედიის მხატვრული ღირებულების მნიშვნელობის შემცირების შესახებ.

“დაცვითი” თეორიების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მედიაგანათლებისთვის მთავარი უნდა იყოს მაყურებლის პიროვნება, უნდა ითვალისწინებდნენ მის ინტერესებსა და გემოვნებას, რისთვისაც აუდიტორიას უნდა განუვითარონ არა მარტო კრიტიკული აზროვნების უნარი, არამედ მისცენ მედია სივრცეში საკუთარი არჩევანის დაცვის შესაძლებლობაც.

II. მედიაგანათლებისადმი ანალიტიკური მიდგომა გულისხმობს მაყურებლის კრიტიკული დამოკიდებულების ფორმირებას. “ანალიტიკურ თეორიებს “მიეკუთვნება:

1. **“კრიტიკული აზროვნების ფორმირების” თეორია.** ამ თეორიის კონცეპტუალური საფუძველია მედიის წარმოდგენა “მეოთხე ხელისუფლების” სახით, რომელიც ადამიანთა სხვადასხვაგვარ მასაში ავრცელებს სოციალურ ღირებულებებსა და ქცევის მოდელებს. აქედან გამომდინარეობს მედიაგანათლების მთავარი მიზანიც: დაიცვას საზოგადოება მედიის მანიპულაციური ზემოქმედებისაგან, ასწავლონ თოთოეულ წევრს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციულ ნაკადში ორიენტირება.

ამ თეორიის წარმომადგენლები საჭიროდ მიიჩნევენ მოსწავლეებსა და საერთოდ, მაყურებლებს მიეწოდოთ ცოდნა ინდივიდებსა და საზოგადოებაზე ე.წ. “კოდების “ საშუალებით მედიის ზემოქმედების ნიუანსების შესახებ (მაგალითად, გააცნონ რეკლამის დროს გამოყენებული

სიმბოლოები და პირობითი ნიშნები) და გამოუმუშავდეს მედიატექსტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. ითვლება, რომ მრავალმხრივი ინფორმაციის სიჭარბის პირობებში აუდიტორიას უნდა მიეცეს, ერთი მხრივ, ორიენტირი და მეორე მხრივ – კონკრეტული ცოდნა მაყურებლებზე, მკითხველებსა და მსმენელებზე მედიის გავლენის მექანიზმებისა და შედეგების თაობაზე. მათ უნდა შეეძლოს მიწოდებული ინფორმაციის (ხშირად ცალმხრივი და დამახინჯებულის) კრიტიკული ანალიზი და შეფასება, განსაზღვრონ ინფორმაციის წყაროს შესაძლო და შეუძლებელ მტკიცებულებათა სანდოობა, გამიჯნონ სიმართლე და მსჯელობის მიკერძოებულობა, ბუნდოვანი ან ორაზროვანი არგუმენტები; არ წამოეგონ პროპაგანდას, რასაც, ბევრ შემთხვევაში, დიდი წარმატებით ეწევა ტელევიზია.

L.Masterman მიიხსენებს, რომ რადგანაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქცია გაცნობიერებული მოღვაწეობის შედეგია, მაშინვე შესაძლებელია გაირკვეს: 1) ვინ იღებს პასუხისმგებლობას პროდუქციის შექმნაზე, ვინ ფლობს მასმედიას და ვინ აკონტროლებს მას; 2) როგორ მიიღწევა სასურველი ეფექტი? 3) როგორია ასეთი სამყაროს ღირებულებითი ორიენტაცია? 4) როგორ აღიქვამს მას აუდიტორია.

ამრიგად, Masterman ცდილობს კრიტიკული აზროვნებისაკენ განაწიოს აუდიტორია, რათა შეეძლოს ზემოქმედების მექანიზმისა და ინფორმაციის ღირებულებითი ორიენტაციის განსაზღვრა [4: 15-68].

2. **მედიაგანათლების** კულტუროლოგიური თეორია. ამ თანახმად მედია თავს კი არ ახვევს მაყურებელს თავის მოსაზრებებს, არამედ სთავაზობს ინფორმაციას. აუდიტორია მუდმივად დიალოგის პროცესშია მედიატექსტებთან და მუდმივად აფასებს მათ [3: 122]. აუდიტორია უბრალოდ კი არ იღებს ინფორმაციას, არამედ გარკვეულ აზრს დებს ყოველ ცნობასა თუ ნიშანში და დამოუკიდებლად აანალიზებს აღქმულს. სწორედ ამიტომ კულტუროლოგიური თეორიის მიმდევრები მედიაგანათლების მთავარ მიზნად მიიხსენებენ დაეხმარონ მაყურებელს იმის გაგებაში, თუ როგორ შეუძლია მედიას გაამდიდროს მათი აღქმა, წამოღგენები, ცოდნა. მედიაგანათლების ძირითად შინაარსს შეადგენს მისი საკვანძო ცნებები – მედიის მიერ გავრცელებული სტერეოტიპები. აქაც მედიაგანათლების ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, ასწავლოს მაყურებელს მედიატექსტების კრიტიკული აღქმა და შეფასება

მედიაგანათლების კულტუროლოგიური თეორია საკმაოდ პოპულარულია [1: 91-135][5:52-90.]. კანადაში, ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

3. **მედიაგანათლების** სემიოტიკური თეორია. სემიოტიკოსები ამტკიცებენ, რომ მასმედიის საშუალებები ცდილობენ, დაფარონ თავიანთი ტექსტების მრავალმნიშვნელოვანი ნიშნური ხასიათი, ეს კი აფერხებს ინფორმაციის თავისუფალ გამოყენებას. აუდიტორია, მითუმეტეს ბავშვები, ძალიან პასიურია მედიატექსტების კითხვის თვალსაზრისით, ამიტომ მედიაგანათლების ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ასწავლოს მაყურებელს მედიატექსტების ამოკითხვა [3:120]. ამდენად, მედიაგანათლების ძირითადი შინაარსი ხდება მედიატექსტების კოდები და “გრამატიკა”, ანუ მედიის ენა, ხოლო განათლების სტრატეგია კი – მედიატექსტის დეკოდირების წესების სწავლება, მისი შინაარსის, ასოციაციის, ენის თავისებურებათა და ა.შ. აღწერა.

მედიატექსტებისადმი ანალიტიკური მიდგომით სემიოტიკური თეორია, ისევე, როგორც ესთეტიკური თეორია, ჰგავს “კრიტიკული აზროვნების ფორმირების” თეორიას, ოღონდ იგი არ მოითხოვს საზოგადოებაში მედიის მანიპულაციური როლის შესწავლას.

სემიოტიკური თეორია მედიაგანათლების იდეოლოგიური თეორიის საპირისპიროა, რადგან ყურადღებას ამახვილებს მედიის ენის პრობლემებზე და არა მედიატექსტის პოლიტიკურ ან ეკონომიკურ შინაარსზე.

III. მედიაგანათლების “პრაქტიკული თეორია”. ამგვარი მიდგომა სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება სახელწოდებით: “მედიაგანათლება, როგორც გამრავლების ტაბულა” (მხედველობაში აქვთ ის ფაქტი, რომ მედიააპარატურის პრაქტიკული გამოყენების უნარი მოითხოვს ისეთივე

ზუსტ ცოდნას, როგორც გამრავლების ტაბულა). “პრაქტიკული თეორიის” მომხრეები მიიჩნევენ, რომ მედიის გავლენა აუდიტორიაზე შეზღუდულია და განათლებისას მთავარია მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, მასწავლებლებმა, ანუ მომხმარებლებმა, ისწავლონ აპარატურის გამოყენება. სწორედ ამის გამო, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მედიააპარატურის ტექნიკური მოწყობილობის შესწავლას და მათი დახმარებითსაკუთარი მედიატექსტების შექმნას.

მედიაგანათლებისადმი პრაქტიკული მიდგომა XX სუკუნის 30-50-იან წლებში იყო პოპულარული რუსეთში. თავისი მნიშვნელობა ამ თეორიას დღესაც არ დაუკარგავს და რუსეთში ბევრი მიიჩნევს, რომ ტექსტების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, ტექნიკური უნარების განვითარება კი მეტად პრაქტიკული და საჭიროა [8:17].

მედიაგანათლებისადმი პრაგმატულ მიდგომას თავისი დადებითი მხარე უთუოდ გააჩნია, რასაც ბევრი მეცნიერი აღიარებს. მაგალითად, აუდიოვიზუალური მედიაგანათლების ევროპული ასოციაციის პრეზიდენტმა D.Schretter-მა შეიმუშავა ვიდეოსიუვეტის შექმნის პროცესში მსმენელთა ჩართვით ვიდეოკამერის, ვიდეომაგნიტოფონის და ტელემონიტორის საშუალებით მედიის ენის სწავლების სისტემა. მისი აუდიტორია პრაქტიკული საქმიანობით სწავლობს ეკრანის ხელოვნების თეორიულ საკითხებს (“რაკურსი”, “კადრი” და ა.შ.). პრაქტიკული საქმიანობით შემოქმედებითი უნარების განვითარება უდაოა და ამდენად, მედიაგანათლების ამგვარი პრაქტიკული მიდგომაც, გარკვეულწილად, გამართლებულია. ამას არ უარყოფენ მედიაგანათლების სხვა თეორიების წარმომადგენლებიც. ოღონდ მათთვის პრაქტიკული საქმიანობა მეორადი აქტივობაა. ამრიგად, ამ თეორიის მიმდევრებისთვის მაყურებელი აქტიური სუბიექტია, კომუნიკაციის დამყარება კი გულისხმობს მოცემული აპარატურის გამოყენების პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას. მედიასთან ურთიერთობა განიხილება, როგორც მიღწევის საშუალება და ისინი, მასმედიას გავლენის ერთერთ მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორად არ მიიჩნევენ.

მედიაგანათლების პრაქტიკული თეორია კონცეპტურად ახლოს დგას კიდევ ერთ თეორიულ მიდგომასთან, რომელიც მედიაგანათლებას მიიჩნევს “აუდიტორიის მოთხოვნათა დაკმაყოფილების წყაროდ”. ამ თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მედიის გავლენა აუდიტორიაზე შეზღუდულია და აუდიტორიას თვითონ შეუძლია მედიატექსტის არჩევა საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად. ამდენად, მედიაგანათლების ფუნქციაა დაეხმაროს მომხმარებელს საკუთარი სურვილებისა და მიდრეკილებების შესატყვისად მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მედიისაგან. ეს კონცეფცია მოთიანად ეწინააღმდეგება “ინექციურ” თეორიას: თუ იგი კონცენტრირებულია მედიის უარყოფით გავლენაზე, “აუდიტორიის მოთხოვნათა დაკმაყოფილების წყაროს” თეორია მნიშვნელობას ანიჭებს მედიის მოქმედების დადებით შედეგებს.

თეორია “მედიაგანათლება, როგორც მოთხოვნათა დაკმაყოფილების წყარო” ახლოს არის მედიაგანათლების, როგორც “კრიტიკული აზროვნების” ფორმირების თეორიასთან, რადგან ორივეს მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს მედიატექსტის კრიტიკული შეფასებისა და სწორად არჩევის უნარი. თუმცა, განსხვავება მაინც არის: პირველ შემთხვევაში მედიაპედაგოგები აქცენტს აკეთებენ მედიაინფორმაციის “დადებით” მხარეებზე, მეორე შემთხვევაში კი – უარყოფითზე, ანუ ცდილობენ აუდიტორიის დაცვას მედიის მანიპულაციებისგან. ამრიგად, მედიაგანათლების პროცესში თეორიული კონცეფციის შესატყვისი კომუნიკაციის მიზნები, ამოცანები და რეალიზაციის საშუალებები ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ლიტერატურა:

1. Barthes, R. (1964). Elements de Semiologie. Communications, 4, 91-135.
2. Bazalgette, C., Bevort, E., Savino, J. (Eds.) (1992) Media Education Worldwide: UNESCO, 256 p.
3. Kubey, R. (Ed.). (1997). Media Literacy in the Information Age. New Brunswick (USA) and London (UK): Transaction Publishers, 484 p.
4. Masterman, L. (1997). A Rational for Media Education. In: Kubey, R. (Ed.) Media Literacy in the Information Age. New Brunswick (USA) and London (UK): Transaction Publishers, 15-68.
5. Metz, C. (1964). Le Cinema: Langue ou language? Communication, N 4, 52-90.

6. Piette, J. & Giroux, L. (1997). The Theoretical Foundation of Media Education. In: Kubey, R. (Ed.). Media Literacy in the Information Age. New Brunswick (USA) and London (UK): Transaction Publishers, 89-134.
7. Tyner, K. (1998). Literacy in the Digital World: Teaching and Learning in the Age of Information. Mahwan, NJ: Lawrence Erlbaum Associates, 291 p.
8. Федоров А.В. Медиаобразование в зарубежных странах. Таганрог: Изд-во Кучма, 2003. 13-24.
9. Federman, J. (Ed.) (1997). National Television Violence Study. Vol. 2. Santa Barbara: Center for Communication and Social Policy University of California, 54 p.
10. Fehlman, R. (1999). Reflections of a Classroom Film Teacher. In: Telemedium. Vol. 45. N 2., 3-5.

Nino Chavchavadze
On the Main Theories of Media Education

Resume

When studying the social factors determining the individual's formation and activity, it becomes necessary to look at the specificity of mass media functioning because of its impact on the individual's everyday activity.

Relationship with the mass media is a new type of communication requiring, from the individual, certain skills. Media education is believed to be a personality development process through mass communication means.

Media education theories provide a conceptual basis for the cultural-psychological and social-psychological aspects of media education.

The theoretical ground for the 'practical' approach is treating media as a customer satisfaction resource. The function of media education is to develop in viewers necessary practical skills.

Different theoretical approaches determine the peculiarities of social expectations in the process of communication, distribution of roles among the participants, acquisition of skills and formation of dispositions for creative activity.

მიმოხილვა, რეფერატი, რეცენზია

ნოდარ ბელქანია

თბილისის ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი

ნეოსოკრატული საუბარი როგორც ჯგუფური დისკუსიის მეთოდი

პირითაღი ტარმინები: მაივეტიკა, ნეოსოკრატული საუბარი, ჯგუფური დისკუსია, სამოქალაქო საზოგადოება.

საუბარი

ძველი ბერძნები განასხვავებდნენ ფილოსოფიური საუბრის ორ სახეს – ერისტიკას და დიალექტიკას. სიტყვა „ერისტიკა“ მომდინარეობს კამათის, განხეთქილების ქაღალმერთ *Ερις* -იდან და ნიშნავს ისეთ კამათს, რომელშიც მოკამათე ცდილობს სხვადასხვა ნამდვილი თუ ფსევდო არგუმენტების მოხმობით ჩიხში შეიყვანოს მოწინააღმდეგე და მიაღწიოს გამარჯვებას. კამათის ამ მეთოდს ფართოდ იყენებდნენ სოფისტები. დიოგენე ლაერტი ამგვარი კამათის შემომტანად პირველ სოფისტ პროტაგორას მიიჩნევს [2; IX, 52].

უფრო გავრცელებულია სიტყვა „დიალექტიკა“. ძველბერძნული *διαλεκτική τεχνη* ნიშნავს საუბრის ხელოვნებას, საუბრის ტექნიკას. ანტიკურობიდან დღემდე დიალექტიკის ცნებამ არაერთი სახეცვლილება განიცადა. სოკრატესთვის ის ფილოსოფიური დიალოგის სინონიმი და გულისხმობს საუბარს, რომელიც მიმდინარეობს არგუმენტირებული კითხვა-პასუხის ფორმით და რომლის მიზანიც მოსაუბრეთა მიერ ჭეშმარიტების ერთობლივად დადგენაა. ერისტიკისგან განსხვავებით, მისი მიზანი არ არის თანამოსაუბრის დამარცხება ან რამენაირი დამცირება. პირიქით, დიალოგიდან ორივე მხარე გამარჯვებული და გაძლიერებული გამოდის, მაშინაც კი, როდესაც მთავარი მიზანი – ჭეშმარიტების გარკვევა – მიღწეული არაა, როგორც ეს არაერთხელ ხდება, მაგალითად, პლატონის ე. წ. აპორეტიულ დიალოგებში.

დიალოგი, საუბარი, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ძირითადი ფორმა, მომდევნო ეპოქებშიც იქცეოდა ფილოსოფოსთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ყურადღებას. არსებობს მრავალი ბრძნული გამონათქვამი, რომელიც მხატვრული ფორმით გამოხატავს სიტყვის, საუბრის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანებისთვის. გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის „უტკესი და უმწარესი“ ან „ენით დაკოდილი“ ან თუნდაც გოეთეს ცნობილი ზღაპარი [3; გვ. 15], რომელშიც ოქროს მეფე ეკითხება გველს, როგორც სიბრძნის მატარებელს: – „რა არის ოქროზე ღირებული?“. – „სინათლე“, პასუხობს გველი. – „რა არის სინათლეზე ცხოველმყოფელი?“ – „საუბარი“.

ლოკოთერაპიის შემქმნელი, ავსტრიელი ფსიქიატრი ვიქტორ ფრანკლი პირველ ფსიქოთერაპევტად სოკრატეს მიიჩნევდა. სოკრატე საუბრისას იყენებდა ე. წ. მაივეტიკის მეთოდს (ძველბერძნ. *μαιευτική τεχνη* - ბებიაქალის ხელოვნება). სოკრატე ამ მეთოდის წყალობით ახერხებდა იმას, რომ მისი თანამოსაუბრე თავად მიდიოდა ისეთ ჭეშმარიტებამდე, რომელიც მანამდე მისთვის უცნობი და მიუწვდომელი იყო. სოკრატეს, მისივე სიტყვებით, აქ მხოლოდ დამხმარის, ბებიაქალის ფუნქცია ეკისრებოდა. სხვა სიტყვებით, ის თანამოსაუბრეს გამზადებულ პასუხებს კი არ აძლევდა, არამედ კითხვა-პასუხის მისეული მეთოდით მხოლოდ ეხმარებოდა, სინათლეზე გამოეტანა მასში აპრიორულად მოცემული ჭეშმარიტებანი [6:359-360].

საუბარი სულ ცოტა ორ მონაწილეს გულისხმობს – წყაროს და მიმღებს, როგორც მათ ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგიაში უწოდებენ – რომელთაგან ერთი ლაპარაკობს და მეორე უსმენს. შემდეგ კი როლები იცვლება. თითქოს თავისთავად ცხადია, რომ ლაპარაკი უფრო აქტიური პროცესია, ვიდრე მოსმენა. მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა ასე, კერძოდ მაშინ, როდესაც საუბრის პროცესს მხოლოდ გარეგნულად ვაკვირდებით, მასში ჩაღრმავების გარეშე. შინაგანად კი მოსმენა ბევრად უფრო აქტიური პროცესია, ვიდრე ლაპარაკი, განსაკუთრებით ისეთი მოსმენა, რომელიც თანამოსაუბრის პიროვნების სიღრმეებს სწვდება. აქტიურ მოსმენას თერაპიული ეფექტიც ახლავს. ასეთი მოსმენის უნარი განვითარებადი. უფრო მეტიც, ის საგანგებო გაწვრთნას, გაგარჯიშებას საჭიროებს, რის შედეგადაც მოსაუბრე ეუფლება კითხვის დასმის და მოსმენის განსაკუთრებულ ტექნიკას. როცა მოსმენა მხოლოდ პასიურად ხდება, შინაგანი კონცენტრაციის გარეშე, ის, რასაკვირველია, უფრო ნაკლებად აქტიური პროცესია, ვიდრე ლაპარაკი. და, როგორც წესი, სწორედ ასე პასიურად უსმენს თანამოსაუბრეს ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა.

აქტიური, ემპათიური მოსმენის მეთოდი ფსიქოთერაპიაში ამერიკელმა ფსიქოლოგმა კარლ როჯერსმა შემოიტანა და ის მას მომავლის მეთოდად მიიჩნევდა, ვინაიდან აქტიური მოსმენით ადამიანი თანამოსაუბრეს ეხმარება საკუთარი პრობლემების, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში და, ამდენად, თვითშემეცნებაში. ამ თვალსაზრისით აქტიური მოსმენა სოკრატული მეთოდის ერთგვარი გაგრძელებაა, თუმცა მასში ყურადღება უფრო ადამიანის ემოციურ მხარეზეა გამახვილებული და არა მის აზროვნებაზე, როგორც ეს სოკრატულ საუბრებში ხდებოდა.

მეთოდის ისტორია

სოკრატე. პლატონთან მაიევიტიკის მეთოდი ჯერ „მენონში“ გვხვდება, დაწერილებით კი აღწერილია „თეეტეტში“ [8]. „თეეტეტში“ [148d – 151a] სოკრატე აგულიანებს ახალგაზრდა თეეტეტს, განუმარტოს მას, თუ რა არის ცოდნა. მასთან საუბარში სოკრატე აღნიშნავს, რომ მას აქვს ერთი მეთოდი, რომელსაც ის სხვას არ უმხელს და მხოლოდ თვითონ იყენებს სხვებთან საუბარში. მას სოკრატე ბებიაქალის ხელოვნებას უწოდებს, „ოღონდ ბებიაქალებისგან განსხვავებით მე კაცების მიმართ ვიყენებ ამ მეთოდს, კერძოდ კითხვების დასმით ვეხმარები შემეცნების მსურველს შეცდომის ჭეშმარიტებისგან განსხვავებაში. ბებიაქალის ხელოვნებისკენ ღმერთი მიბიძგებს ისე, რომ ჩემი საკუთარი აზრი კი არ გამოვთქვა, არამედ თავად ახალგაზრდამ იპოვოს ჭეშმარიტება საკუთარ თავში“. მისი თქმით, ამის გამო ბევრი მას ბრიყვად თვლის, რადგან ის პასუხებს კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ კითხვებს უსვამს ახალგაზრდებს. ის ღმერთთან ერთად მხოლოდ ეხმარება ჭეშმარიტების დაბადების პროცესს. სოკრატე ჩვეული ირონიით დასძენს: „ზოგს პგონია, თითქოს ჩემი წვლილი ამ ჭეშმარიტებათა დაბადებაში უმნიშვნელოა და ძირითადად საკუთარ დამსახურებად მიიჩნევენ ჭეშმარიტების წვდომას. ხშირად ასეთები ჩიხში ექცევიან, შეცდომას ველარ ასხვავებენ ჭეშმარიტებისგან და კვლავ ბრუნდებიან ჩემთან, მე კი ზოგს ვეხმარები და ზოგს – არა, იმი-სდამიხედვით თუ რას ჩამაგონებს ჩემი ღვთაებრივი ხმა. ამასთან ბევრი აღშფოთებულია ჩემით, რადგან მათ მრავალი უაზრობისგან ვათავისუფლებ. ეს კი ისეთივე მტკივნეული პროცესია როგორც მშობიარობა. მე კიდევ არავისთვის მინდა ტკივილის მოტანა, უბრალოდ თავისთავად გამოდის ასე, რადგან არ მაქვს უფლება შეცდომა მოვიწონო და ჭეშმარიტება უარყო“. ასე აგულიანებს სოკრატე თეეტეტს, სცადოს ცოდნის დეფინიცია და დაარწმუნებს კიდევ რომ ღირს მეცდელობა.

ლეონარდ ნელსონი. გერმანელმა ფილოსოფოსმა, იაკობ ფრიდრიჰ ფრიზის (1773-1843) სკოლის წარმომადგენელმა ლეონარდ ნელსონმა (1882-1927) მაიევიტიკის სოკრატულ მეთოდზე ააგო თავისი პედაგოგიური კონცეფცია [7]. ის მეთოდს სოკრატულს იმიტომ კი არ უწოდებს, რომ სოკრატე იდეალურად ახორციელებს მას პლატონის დილოგებში. ნელსონის აზრით, სოკრატეს ბევრი ხარვეზი ჰქონდა მაიევიტიკური მეთოდის გამოყენებისას. ის ხშირად სუბესთიურად ზემოქმედებდა მსმენელზე, ზოგჯერ მანიპულაციასაც მიმართავდა და არ უტოვებდა თავისუფლებას, ეპოვნა პასუხი საკუთარი ძალებით. მაგრამ სოკრატეს სახელს ნელსონისთვის ეს მეთოდი იმიტომ უკავშირდება, რომ ის იმავე დიდაქტიკური და შემეცნებისთეორიული წანანამდგრებიდან

ამოდიოდა, რაც ნელსონისთვისაც უმნიშვნელოვანესი იყო. კერძოდ, იმის გაცნობიერებიდან, რომ თანამოსაუბრე თვითონ უნდა მიიყვანო ჭეშმარიტებამდე, რომ ეს ყველა სადად მოაზროვნე და კეთილი ნების ადამიანისთვის მისაწვდომია და რომ ჭეშმარიტების პოვნა მოითხოვს სიმამაცეს, დავერდნო საკუთარ გონებას და დაძლიო კონვენციური მოსაზრებები, აკვიტებანი, ილუზიები, აზროვნების სიზანტე და კონფორმიზმი [1;:7]. ასე რომ, ნეოსოკრატული საუბარი სოკრატული მეთოდის შემდგომი გაფართოება-განვითარებაა და წარმოადგენს ჯგუფური დისკუსიის განსაკუთრებულ მეთოდს.

თუ სოკრატული მეთოდი პლატონთან ძირითადად დიალოგის ჩარჩოებში რჩებოდა, ნეოსოკრატული საუბარი მიმდინარეობს ჯგუფში, სადაც თითოეული წევრი ცდილობს სხვა წევრების აზრთა განვითარებისთვის „ბებიაქალის“ როლი ითამაშოს და ამგვარად ხელი შეუწყოს არა მარტო ცალკეული თანამოსაუბრის, არამედ ჯგუფის ყველა წევრის მიერ შემეცნების მიღწევას.

დიალოგიდან ჯგუფზე გადასვლა ძირფესვიანად ცვლის წამყვანის როლს. ის უკვე აღარაა ერთადერთი „ბებიაქალი“, ვინაიდან ყველა ერთმანეთის „ბებიაქალი“ ხდება. მეორეს მხრივ კი, წამყვანის ამოცანა რთულდება სიტუაციის კომპლექსურობის გამო, რაც ქმნის საფრთხეს, ჯგუფმა გადაუხვიოს ძიების მიმართულებას და დაივიწყოს ამოსავალი კითხვა.

ნელსონის მოწაფემ **გუსტავ ჰეკმანმა** (1898-1996) შემდგომ განავითარა ნეოსოკრატული საუბრის მეთოდი [4]. კერძოდ, მან შეასუსტა ნელსონის პრინციპი, რომ ჯგუფურ საუბარში მიღწეული თანხმობა შესაძლოა გაიგივებული იქნეს ჭეშმარიტებასთან. მისი აზრით, ჯგუფში მიღწეული კონსენსუსი შეუძლებელია ჭეშმარიტების კრიტერიუმად ჩაითვალოს. ჯგუფური საუბრისას ჰეკმანისთვის შემეცნებითი მიზნების გარდა მნიშვნელოვანია არგუმენტაციული კომპეტენციის განვითარება. ის ამასთან ხაზს უსვამს რაციონალობის, სიცხადის, ავტონომიურობის და აუთენტურობის კანტისეულ პრინციპებს. დისკუსიის ყოველმა მონაწილემ უნდა გამოთქვას მხოლოდ ის, რასაც სინამდვილეში ფიქრობს და არ წამოაყენოს ესა თუ ის თეზისი რაიმე სტრატეგიული მოსაზრებით ან მხოლოდ დისპუტის გულისთვის. ნელსონის მსგავსად ჰეკმანიც იყენებს რეგრესული აბსტრაქციის ფრიზისეულ მეთოდს, რომელიც არსებითად ინდუქციური მეთოდის ვარიანტია და უფრო გოეთეს **ფენომენოლოგიურ** მეთოდს ჰგავს, ვიდრე ბეკონისეულ ინდუქციას. კერძოდ ხდება არა განზოგადება ცალკეული შემთხვევებიდან, არამედ ზოგადის დანახვა კერძოში და ანალიზის გზით კერძოდან მისი გამოყოფა. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხდება არა თეორიული, წიგნებიდან აღებული პრობლემების, არამედ ისეთი კონკრეტული საკითხების განხილვა, რომელთაც საფუძვლად უდევს ჯგუფის წევრთა საკუთარი გამოცდილება. მხოლოდ ამის შემდეგ და აქედან გამომდინარე ხდება საყოველთაო მნიშვნელობის მქონე დებულებების, წესების თუ პრინციპების შემუშავება.

ნეოსოკრატული მეთოდი

ნეოსოკრატული საუბრისთვის იდეალურია მცირე ჯგუფები (8-15 ადამიანი). დისკუსიის ყოველი მონაწილე ცდილობს:

- ცოდნა კი არ გადაიღოს სხვისგან, არამედ იაზროვნოს თავად
- განიხილოს არა ზოგადი შეხედულებები, არამედ იაზროვნოს კონკრეტულად
- არა აკრიტიკოს სხვისი აზრები, არამედ იაზროვნოს სხვასთან ერთად
- ეძებოს ჭეშმარიტი შემეცნება და არ დასჯერდეს მხოლოდ სხვებისთვის მოსაზრებათა გაზიარებას

შესაბამისად, ნეოსოკრატული საუბარში:

- დისკუსიის მონაწილე მხოლოდ საკუთარ აზრებს გამოთქვამს; ავტორიტეტთა მოსაზრებები არგუმენტად არ ითვლება

- თემის ანალიზი ხდება კონკრეტულიდან თანდათანობით აბსტრაქტულზე გადასვლით. ამიტომ ამოსავალია, როგორც წესი, კონკრეტული მაგალითი რომელიმე მონაწილის საკუთარი გამოცდილებიდან
- მონაწილეთა მიერ ერთმანეთის აზრთა გაგებას უპირატესობა ენიჭება სწრაფ შედეგებთან შედარებით
- წინსვლა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ ყველას მონაწილეობით
- ხდება საუბრისას გამოთქმული აზრების და ვარაუდების განმამტკიცებელი და საწინაარმდეგო არგუმენტების შემოწმება
- მონაწილეები ერთობლივად ეძებენ დებულებებს (აზრებს), რომლებსაც ყველა დაეთანხმება

როდესაც ჯგუფი აგნებს ისეთ მსჯელობას, რომელსაც ყველა ეთანხმება, კონსენსუსიც მიღწეულია. თუმცა ასეთი კონსენსუსი სასურველია, ეს არ ნიშნავს დისკუსიის მონაწილემ არ გამოთქვას საფუძვლიანი ეჭვი, თუკი მას ის უნდებოდა, თუნდაც ამ ეჭვმა მოგვიანებითაც იჩინოს თავი. კონსენსუსის შემთხვევაში მონაწილეები იჭერენ მნიშვნელოვან აზრობრივ ნაბიჯებს, რომლებიც ერთობლივად იქნა გავლილი.

სოკრატული საუბარი ნიშნავს, გაიფართოვო აზროვნების ჰორიზონტი, ერთმანეთს შეუსაბამო საკუთარი აზროვნება და მოქმედება, განსახილველი საკითხისადმი განივითარო საკუთარი წვდომა. გუსტავ ჰეკმანი წერს: „მიზანია, მონაწილე ჩაწვდეს, გაიგოს (Einsicht), ეს კი ნიშნავს საკუთარ სულში წვდომას, საკუთარ სულში პოვნას. წვდომა, გაგება სხვა რამაა ვიდრე გრძნობადი აღქმით მოპოვებული ცოდნა ან ისეთი ცოდნა, რომელიც სხვისგანაა შეძენილი. ყველას ძალუძს რეფლექსიის გზით საკუთარ სულში მიაღწიოს გაგებას. ამას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საუბარი პარტნიორთა შორის, რომელთაგან არავინაა მეორისთვის უპირობო ავტორიტეტი“.

სოკრატული საუბრის მონაწილეები ხშირად აღნიშნავენ, რომ მისი ზემოქმედება დისკუსიის შემდეგაც გრძელდება, რომ ისინი ყოველდღიურობაშიც უფრო ცნობიერები არიან საუბრისას, უფრო ზუსტად უსმენენ, ადვილად ამჩნევენ ცარიელ ფრაზებს და დაზუსტებისთვის კითხვებს სვამენ, ნაკლებად იღებენ დოგმებს, რომ იზრდება საკუთარი თავისადმი რწმენა, რაც დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს და მოქალაქეობრივ სიმწიფეს ზრდის.

სოკრატულ დისკუსიებში მონაწილეობის წინაპირობაა არა ფილოსოფიური განსწავლულობა, არამედ ჩვეულებრივი განსჯის უნარი და მზაობა, იმუშაო ამ მეთოდით. ყოველი მონაწილე ცდილობს მხოლოდ საკუთარი აზრები გამოთქვას და არა ავტორიტეტებისა. ის ცდილობს არ წარმოადგინოს აზრები, რომელთა სისწორეშიც დარწმუნებული არ არის. ეს მონაწილეებს საშუალებას აძლევს სერიოზულად მიიღონ ერთმანეთი. არგუმენტების და საბუთების ყურადღებით მოსმენა შესაძლებელს ხდის თავდაპირველად მიუღებელი გამონათქვამებშიც კი დანახული იქნეს ჭეშმარიტების მარცვალი. ასეთი საუბრის მიზანი არ არის დაანახო სხვას, რომ მართალი ხარ, არამედ მიაღწიო უფრო ღრმა გაგებას.

წამყვანის როლი. ნეოსოკრატულ საუბარში საკმაოდ მკაცრად რეგლამენტირებული წამყვანის და მონაწილეთა ქცევა [1:10-11]. წამყვანის **უპირველესი** ამოცანაა, გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი მხოლოდ პროცედურულ და არა შინაარსობრივ საკითხებში. მან ისე უნდა წარმართოს დისკუსია, რომ წევრები არ მოსწყდნენ განსახილველ საკითხს, მოსინჯონ გადაწყვეტის სხვადასხვა გზები და შეამოწმონ არგუმენტების სიძლიერე. წამყვანს არ შეუძლია განსახილველად შემოიტანოს საკუთარი თეორიები და გადაწყვეტები. ის როგორც მხოლოდ საუბრის მოდერატორი (ინგლ. „ფასილიტატორი“), უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და ყველას უნდა მისცეს მოსაზრების გამოთქმის შანსი.

წამყვანის **მეორე** მნიშვნელოვანი ამოცანაა იზრუნოს სიციხადისა და გამჭვირვალობისთვის. სხვა სიტყვებით, როდესაც გამოითქმება ბუნდოვანი ან ბოლომდე ჩამოუყალიბებული მოსაზრება, მან ჯგუფის ძალისხმევა იქეთკენ უნდა წარმართოს, რომ თანდათან მკაფიო გახდეს გამოთქმული აზრი. ამ დროს, რასაკვირველია, წევრებსაც მოეთხოვებათ რაც შეიძლება მკაფიოდ ჩამოაყალიბონ

სათქმელი, ეცადონ ბოლომდე გაიგონ სხვების აზრი და როცა საჭიროა დაეხმარონ მათ საკუთარი აზრების ბოლომდე გააზრებასა და მკაფიოდ ჩამოყალიბებაში.

წამყვანის **მესამე** ამოცანაა ჯგუფს ხელი შეუწყოს არა ზედაპირული, არამედ საფუძვლიანი კონსენსუსის მიღწევაში. ჰეკმანისთვის მნიშვნელოვანია, აღიარებს თუ არა ყოველი წევრი ერთობლივად მიღებულ შედეგებს. ერთიანი აზრი უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მხოლოდ სუბიექტური მოსაზრება და ამიტომ ჯგუფი ცდილობს გაიაზროს მისი ყველა საფუძველი.

მეთოდური პრინციპი, რომელსაც ჰეკმანი „კონკრეტულში დაფუძნებას“ უწოდებს გულისხმობს ჯგუფის წევრთა მიერ საკუთარი გამოცდილებაზე დაყრდნობას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული.

ნეოსოკრატული საუბარი ბევრი რამით ჰგავს ჯგუფური დისკუსიის რუთ კონისეულ (Ruth Cohn) მეთოდს – თემაზე ცენტრირებულ ინტერაქციას (TZI), სადაც ასევე მნიშვნელოვანია სხვისი აზრების პატივისცემა და ყურადღების კონცენტრირება თემაზე. ორივე მეთოდისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ე. წ. მეტასაუბარი, მეტაკომუნიკაცია. მეტასაუბარი გამოიყენება ჩვეულებრივი საუბრის ჩიხში შესვლის შემთხვევაში და ნიშნავს საუბარს თავად საუბრის პროცესის შესახებ, საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საუბარი პარტნიორებს შორის. ეს, როგორც წესი, კომუნიკაციის პროცესს კვლავ ანიჭებს დაკარგულ სპონტანურობას. კომუნიკაციის ცნობილი ავსტრიელ-ამერიკელი მკვლევარი პოლ ვაცლავიკი [9:49] მიიჩნევს, რომ მეტაკომუნიკაციის უნარი – ესაა ყოველი კვალიფიციური კომუნიკაციის აუცილებელი წინაპირობა და მომავლის კომუნიკაცია. სოკრატულ საუბარში მეტაკომუნიკაცია ნიშნავს წამყვანსა და ჯგუფის წევრებს შორის საუბრის რეფლექსიის საგნად გადაქცევას, საუბრის სტრუქტურის და დინამიკის განხილვას. მეტასაუბარი საშუალებას იძლევა აგრეთვე დაიღოს შეთანხმებები, რომლებიც აიოლებენ შინაარსობრივი საუბრის პროცესს. ვინაიდან მეტასაუბარი წამყვანის ქცევასაც ხდის განხილვის საგნად, ნეოსოკრატულ საუბარში ის ჩვეულებრივ ჯგუფის ერთერთ წევრს მიჰყავს.

ლეონარდ ნელსონის დროს მის მიერ დაარსებულ სკოლაში „ვალკემიულეში“ (Walkemühle) განსახილველი თემები, როგორც წესი, ჯგუფიდან მოდიოდა, სადღეისოდ კი თემა უკვე წინასწარაა მოცემული სემინარის გამომცხადებისას. ეს ზედმეტს ხდის თემის შერჩევისთვის აუცილებელ დისკუსიებს და იზოგება დრო.

მეთოდის გამოყენება

უნდა აღინიშნოს, რომ ნეოსოკრატული მეთოდი ყველა თემისთვის ერთნაირად გამოსადეგი არაა. უმჯობესია თემები, რომლებიც არ ითხოვს განსაკუთრებული ემპირიული მასალის ან ისტორიული მონაცემების ცოდნას, რაც, შესაძლოა, ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი არ იყოს. უფრო ხელსაყრელია აპრიორული თემები, რომელთა განხილვაც „წმინდა გონებითაა“ შესაძლებელი. ამასთან, საკითხები საკმარისად კომპლექსური და გაუმჭვირვალე უნდა იყოს, რათა ჯგუფის წევრებს საშუალება მიეცეთ, შეიმუშაონ ახალი და ნაყოფიერი ხედვები. თემა ასევე უნდა იყოს საინტერესო და აქტუალური, რათა მაღალი იყოს დისკუსიის მონაწილეთა მოტივაცია და ღირდეს მათ მიერ ინტენსიური სულიერი მუშაობის ჩატარება.

ნეოსოკრატული მეთოდი უფრო ხშირად გამოიყენება უნივერსიტეტებში – თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის სემინარებში, მასწავლებელთა სასწავლო და გადამზადების ცენტრებში, მენეჯმენტის და სამედიცინო ეთიკის სემინარებში. ზოგადად მეთოდი ნაყოფიერია ყველგან, სადაც კონკრეტული პრობლემიდან ამოდიან და ზოგად გადაწყვეტას ეძებენ.

ნეოსოკრატული მეთოდის ღირსება ისაა, რომ ის აჩვენებს დამოუკიდებელ და დისციპლინირებულ აზროვნებას და იმავდროულად აკავშირებს სუბიექტურს და ინტერსუბიექტურს, ინდივიდუალურსა და ზეინდივიდუალურს.

ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. მას ხშირად აკავშირებენ კანტის ცნობილ მოწოდებასთან (თუმცა ის რომაელ პოეტ ჰორაციუსს ეკუთვნის და კანტამდეც განმანათლებლობის დევიზად ითვლებოდა), რომელიც განმანათლებლობის და სამოქალაქო

საზოგადოების დევიზად იქცა: „განმანათლებლობა – ეს არის ადამიანის გამოსვლა იმ არაზრდასრულობიდან, რომელიც მიხივე ბრალთაა. არაზრდასრულობა – ეს არის უუნარობა სხვისი გაძლოდის გარეშე გამოიყენო შენი განსჯის უნარი. მიხივე ბრალთაა ეს უმწიფრობა მაშინ, როდესაც ამის მიზეზი არა განსჯის უნარის ნაკლებობაა, არამედ ნაკლებობა გადაწყვეტილებისა და სიმამაცისა, გამოიყენო ის სხვისი გაძლოდის გარეშე. „Sapere aude! – გქონდეს სიმამაცე, გამოიყენო შენივე საკუთარი განსჯის უნარი – ესაა განმანათლებლობის დევიზი“ [5:9].

ლიტერატურა:

1. Birnbacher, D., Krohn, D., (Hrsg.): Das sokratische Gespräch. Stuttgart 2002. Einleitung.
2. Diogenes Laertius, Leben und Meinungen berühmter Philosophen. Hamburg 1990.
3. Goethe, I. W., Das Märchen. Freiburg i. Br. 1946
4. Heckmann, G., Lenkungsufgaben des sokratischen Gesprächsleiters. წიგნში: Das sokratische Gespräch. Stuttgart 2002
5. Kant, I., Beantwortung der Frage: Was ist Aufklärung? წიგნში: Was ist Aufklärung. Stuttgart, 2006.
6. Maier, H., Sokrates. Tübingen 1913.
7. Nelson, L., Die sokratische Methode. წიგნში: Das Sokratische Gespräch. Stuttgart 2002.
8. Platon, Theätet. Übersetzt von E. Martens. Stuttgart 2007.
9. Watzlavick, P. Beavin, J. H. Jackson, D. D., Pragmatics of human communication. New York 1967.

Nodar Belkania

Neo -Socratic dialogue as a group discussion method

Resume

The article presents a brief overview of the history of Socratic method from the Socrates times up to now and its modification by German philosophers Leonard Nelson and Gustav Heckman, known as *Neo-Socratic Dialogue*.

It describes the main principles of Neo-Socratic dialogue, the spheres and limits of its application and the way it proceeds in the group. It also focuses on the importance of this method in terms of developing independent thinking and, accordingly, formation of civil society.

რეზო კორინთელი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი***უსიქოთერაპიის და სოციალური უსიქიატრიის
ნეირობიოლოგიური ასპექტები****საკვანძო სიტყვები:**

ნეირომენინერგია, ლინამიკური უსიქოთერაპია, პოლისტური მიღება, ნეიროპეპტიდები, ენდორფინები.

უსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა არამარტო ფსიქოსოციალურ ასპექტებს, არამედ პიროვნების სულიერ განზომილებასა და პიროვნულ ზრდაზე მიმართულ მიდგომებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფსიქიკურ დაავადებათა ახალი კლასიფიკაცია. იგი გლობალიზაციით გამოწვეული ფსიქიკური ხარვეზების აღმოფხვრაზე მიმართული, მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ მზადდება და პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრიის სახელწოდებით იქნება ცნობილი. მისი ძირითადი პოსტულატები და პრინციპები 2007 წლის მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის რეგიონალურ კონგრესზე, შანხაიში ჩამოყალიბდა, ამ ასოციაციის პრეზიდენტის, ჯ. ე. მეზიჩის (J.E. Mezzich) მოხსენებაში პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრია (Psychiatry for the Person) შემდეგ პრინციპებს ეფუძნება (Mezzich J.E. 2007):

1. იგი მიმართულია პაციენტის **მთლიან** პიროვნებაზე, მის როგორც ავადმყოფურ, ისე ჯანსაღ ნაწილზე;
2. მკურნალობის პროცესში ჩართული უნდა იყოს ფსიქიატრის პიროვნება, მთელი თავისი ადამიანური რესურსებითა და პოტენციალით და არამარტო – მისი აბსტრაქტულ-განყენებული ნაწილი, საჭირო ინფორმაციით აღჭურვილ ტექნიკოსთან რომ ასოცირდება;
3. მკურნალობის პროცესი მიმართული უნდა იყოს პიროვნებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მკურნალობამ პაციენტის ცხოვრებისეული პროექტის განხორციელებას, მის თვითრეალიზაციას უნდა შეუწყოს ხელი;
4. მკურნალობა პაციენტის აქტიური თანამონაწილეობით უნდა მიმდინარეობდეს, რაც მკურნალობის პროცესში პაციენტისადმი პატივისცემას, მასთან თანამშრომლობას და მის დახმარებას გულისხმობს.

ეს პრინციპები აშკარად მიგვანიშნებს, რომ პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრია ფსიქოსოციალური და სულიერი განზომილების მნიშვნელოვნებას აღიარებს. თუმცა, იგი ნეირომეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ფსიქიატრიის, კერძოდ, ბიოლოგიური ფსიქიატრიის მნიშვნელობასაც არ უგულებელყოფს.

ფსიქიატრიასა და ფსიქოთერაპიაში არსებული ეს მიდგომა, ანტიკური და შუასაუკუნეების მედიცინის მსგავსად, ადამიანს პოლისტურად განიხილავს, ანუ აღიარებს პიროვნებაში ბიოლოგიური, ფსიქოსოციალური და სულიერი ასპექტების თანაარსებობას და დაავადების ეტიოლოგიაში ყველა ამ ასპექტის თანამონაწილეობას.

ფსიქოთერაპია არის ფსიქიკის ფსიქიკაზე და ფსიქიკის მეშვეობით ადამიანის სხეულზე ზემოქმედების საშუალება. ფსიქოთერაპიის ამ კლასიკური განმარტებიდან ჩანს, რომ ფსიქოთერაპია ადამიანის მხოლოდ ფსიქიკაზე როდი მოქმედებს, არამედ მის სხეულზეც, კერძოდ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეც ზემოქმედებს.

დინამიკური ფსიქიატრია და ფსიქოთერაპია ფსიქიკასა და სხეულს (Soma) განიხილავს როგორც ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც სხვადასხვა დონეზე ვლინდება, თუმცა მათ ერთმანეთთან არ აიგივებს.

მთავარი დაპირისპირება, პოლარიზაცია, რომელიც სოციალურ, დინამიკურ და ბიოლოგიურ ფსიქიატრიას შორის არსებობს, ორი ძირითადი კითხვით შეიძლება გამოიხატოს: 1. ფსიქიკურ დაავადებათა ეტიოლოგია ფსიქიკაში უნდა ვეძიოთ თუ თავის ტვინში? 2. ფსიქიკურ დაავადებათა მკურნალობა სომატური (მედიკამენტური, ელექტროშოკური, ფიზიოთერაპიული და სხვა.) უნდა იყოს თუ ფსიქოთერაპიული? ფსიქიკისა და თავის ტვინის პირველადობის საკითხი ფილოსოფიურ-რელიგიურია და მეცნიერების ფარგლებს სცილდება.

ფსიქიატრია და ფსიქოთერაპია პიროვნების ბიოლოგიური ასპექტების უზულებელყოფით, საფუძველსაა მოკლებული; ხოლო ფსიქოსოციალურისა და სულიერის უარყოფით – მნიშვნელობასა და საზრისს.

ამ სტატიის მიზანია, ნეირომეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით, ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის ზოგიერთი ნეირობიოლოგიური ასპექტის გაშუქება ანუ ურთიერთობის წარმოჩენა, რომელიც სოციუმს, ფსიქიკასა და თავის ტვინს შორის არსებობს.

თანამედროვე ნეირობიოლოგიური გამოკვლევები ამტკიცებს, რომ ნერვული სისტემის და, კერძოდ, თავის ტვინის ჩამოყალიბება იმ ჯანსაღი ურთიერთობებითაა განპირობებული, რომლებიც ადრეულ ბავშვობაში დედასა და ბავშვს და თავად მშობლებს შორის მყარდება. დენიელ სიგელის [22] მიხედვით, ინტერპერსონალურ ურთიერთობათა ნეირობიოლოგია შემდეგ პრინციპებს ემყარება:

1. ადამიანის გონება, ცნობიერება და, ზოგადად, ფსიქიკა თავის ტვინსა და ტვინთაშორის არსებული ენერგიისა და ინფორმაციის ნაკადიდან და ამ ნაკადის პატერნებიდან წარმოიშვება;

2. ადამიანის გონება, ცნობიერება და ფსიქიკა იმ ინტერაქციის შედეგია, რომელიც შინაგან ნეიროფიზიოლოგიურ პროცესს, ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და განცდებს (Experience) შორის არსებობს;

3. გენეტიკურად დაპროგრამებულ განვითარების პროცესში მყოფი თავის ტვინის სტრუქტურისა და ფუნქციონირების ჩამოყალიბება იმით განისაზღვრება, თუ როგორ ზემოქმედებს მასზე და როგორ ახდენს მის ფორმირებას გრძნობადი გამოცდილება, განსაკუთრებით კი – ინტერპერსონალური ურთიერთობებით გამოწვეული განცდები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანური ურთიერთობები აყალიბებს ნეირონულ კავშირებს, რომელთაგანაც ყალიბდება ადამიანის გონება, ცნობიერება და ფსიქიკა. მეტაღურ პროცესში განცდათა ნაკლებობამ (ე.წ. “use or lose it”), შესაძლოა, ნეირონების სიკვდილი გამოიწვიოს.

ბავშვი იბადება გენეტიკურად დაპროგრამებული ნეირონების ჭარბი რაოდენობით, ხოლო სინაპსური კავშირების პოსტნატალური ჩამოყალიბება როგორც გენებზე, ისე გრძნობად გამოცდილებასა და განცდებზეა (Experience) დამოკიდებული. გენები ატარებს თავის ტვინის სტრუქტურის ზოგად სქემას, ორგანიზაციას, ხოლო განცდები განსაზღვრავს იმას, თუ რომელი გენი როდის და როგორ უნდა გამოვლინდეს. გენების გამოვლენას პროტეინების პროდუქციისკენ მიყვარათ, რაც ნეირონების ზრდის პროცესსა და ახალი სინაპსების ფორმირებას უწყობს ხელს. განცდები – სპეციფიკური ნეირონული გზების აქტივაცია – უშუალოდ აყალიბებს გენების სპეციფიკურ გამოვლენას, რასაც კავშირების შექმნა, შენარჩუნება და გაძლიერება მოჰყვება. ეს, თავის მხრივ, გონების, ცნობიერებისა და, საერთოდ, ფსიქიკის ნეირონულ სუბსტრატს ქმნის.

ამგვარად, ადრეული ასაკის ინტერპერსონალური ურთიერთობები განცდებისა და გამოცდილების პირველადი წყაროა. ისინი თავის ტვინში გენების გამოვლენის სპეციფიკას განაპირობებს, და იმას განსაზღვრავს, თუ როგორ გამოვლინდება თავის ტვინში ეს გენები. დაბადებისას ჩვილის თავის ტვინი მისი სხეულის ყველაზე არადიფერენცირებული ორგანოა. გენებში არსებული ინფორმაცია, ადრეული განცდებისა და გამოცდილების ზეგავლენით, ნეირონთა შორის კავშირებს აყალიბებს. აგრეთვე, ისინი იმ სპეციალურ ნერვულ ბადეს წარმოქმნის, რომელიც მეტაღურ პროცესებს შობს. სწორედ ამის გამო ხდება, რომ ადრეული ასაკის

ინტერპერსონალურ ურთიერთობებს უდიდესი როლი აკისრია ფსიქიკის ყველა ფუნქციის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. დღეს ამას ექსპერიმენტული გამოკვლევებიც ადასტურებს. მაგალითად, რ. პოსტის [19] თანახმად, ადრეულ ბავშვობაში დედისაგან იზოლირება, განშორება და, საზოგადოდ, დანაკლისის განცდა რეცეპტორების გადაჭარბებულ სენსიბილიზაციას იწვევს, რაც, თავის მხრივ, იმ ნიადაგს ქმნის, რომელიც მოზრდილ ასაკში დეპრესიისაკენ მიდრეკილებაში ვლინდება. პრიმატებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ დედისაგან ერთჯერად იზოლაციაში მყოფი პრიმატების პლაზმაში კორტიზოლის რაოდენობა ნორმაზე მეტია და როცა ეს იზოლაცია მეორდება, ფიზიოლოგიური ცვლილებები მდგრად, შეუქცევად პათოლოგიურ სახეს იღებს. გამოკვლევების მიხედვით, დედასთან განშორება და სოციალური იზოლაცია ენდორფინის გამომყოფ სისტემებზე უშუალო ზეგავლენას ახდენს [28]: თირკმელზედა ჯირკვალში კატექოლამინის სინთეზში მონაწილე ენზიმებზე [8] [5] და ჰიპოთალამუსის მიერ სეროტონინის გამოყოფაზე [3][6][27]. პრიმატებზე ს. სუომის [26] ექსპერიმენტები ადასტურებს პრიმატების დეპრევიაციას, რაც გამოწვეულია დედასთან მათი იზოლირებით. ვან დერ კოლკი [28] პრიმატებზე ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად ასკვნის, რომ სოციალური დეპრევიაცია და დედასთან ემოციური კავშირების გაწყვეტა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, კერძოდ, თავის ტვინში უნატიფესი სტრუქტურების დონეზე მორფოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, თუმცა, იგი შესაძლებლად მიიჩნევა ამ ცვლილებათა შექცევად ხასიათს.

დინამიკური თვალსაზრისით, ფსიქიკური ტრავმები ნეირონებისა და სინაპსების მოქმედების სპეციფიკურ ცვლილებებს იწვევს. კანდელის მიხედვით, ფსიქოთერაპიული ჩარევა ზეგავლენას ახდენს თავის ტვინზე, რაც მოლეკულურ დონეზე ჩატარებული გამოკვლევებითაც დასტურდება [8]. ცნობილია, რომ თავის ტვინში მორფოლოგიურ ცვლილებებს სისტემატური ხასიათი აქვს და ამისათვის განსაკუთრებული სიძლიერის მასიური ფსიქიკური ტრავმა არაა აუცილებელი [11][20][21] (Levin F. 1991, Roose S., Pardes H. 1989, Sacks O. 1990).

ლიპოვსკის [12] აზრით, ფსიქიკურ აშლილობათა ახსნა მხოლოდ ბიოქიმიური დისბალანსით მეცნიერულად ზერედე, დაუსაბუთებელი და რედუქციონისტურია, რადგან ფსიქიკური აშლილობათა დროს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში არსებულ ნეიროანატომიურ და ნეიროქიმიურ ცვლილებებს არა მედიატორის, არამედ დაავადების გამომწვევი მიზეზის როლს ანიჭებს. მეორე მხრივ, ბიოლოგიური ფაქტორები ასევე ახდენს ზეგავლენას ფსიქიკის ფუნქციონირებაზე. ს. როუზი და ჰ. პარდესი [20] ამტკიცებენ, რომ ფსიქიკურ მომწიფებას, რაც პიროვნების მიერ უფრო სრულყოფილი და მომწიფებული ფსიქოლოგიური მექანიზმების გამოყენებაში ვლინდება, ხელს უწყობს ნორეპინეფრინის დაქვეითება ოცუს ცოერელეუს-ში, რასაც 40-60 წლის ასაკში ვხდებით.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში თავის ტვინის ფუნქციონირებაზე ჩატარებულმა კვლევებმა მნიშვნელოვანი ემპირიული მასალით გაგვამდიდრა, რომელიც დინამიკური და სოციალური ფსიქიატრიის ძირითად პრინციპებს ასაბუთებს.

დანიელ ლ. ალკონი [2] აღწერს იმას, თუ როგორ ახდენს ზეგავლენას თავის ტვინი მეხსიერების და დასწავლის საშუალებით ადამიანის ქცევაზე. ალკონი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რაც უნდა დახვეწილ მეთოდებს ფლობდეს მეცნიერება, იგი მაინც არ არის დამოუკიდებელი მკვლევარ-მეცნიერისაგან, რომელიც ატარებს კვლევას თუ ექსპერიმენტს. ალკონი იკვლევდა თავის ტვინის დონეზე მეხსიერების ფიქსაციის და რეტენციის ბუნებას. კერძოდ, მას აინტერესებდა, თუ როგორ ხდება თავის ტვინში ტრავმული განცდების დაფიქსირება. თავის კვლევებში ის აჩვენებს, თუ როგორ აფიქსირებს თავის ტვინი ტრავმულ განცდებს და აღნიშნავს, რომ მოზრდილ ადამიანებში განცდებს ღრმა ფსიქოლოგიურ ცვლილებათა და, ხშირ შემთხვევაში, ფსიქიკურ აშლილობათა გამოწვევაც კი შეუძლია. ალკონი სვამს კითხვას – „თუ ეს ასეა მოზრდილებში, რატომ არაა შესაძლებელი, რომ იგივე ითქვას ბავშვებზე, რომლებიც მოზრდილებზე გაცილებით მოწყვლადები არიან?“

მისი აზრით, ყველა ცნობიერი და არაცნობიერი მოვლენის მსგავსად, მეხსიერებაც რეალური პროცესია, და იგი თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიის კვლევის მეთოდებითაცაა

ხელმისაწვდომი. თავის ტვინის ნეირონებში ტრანზიტორულ და პერმანენტულ მოლეკულურ ცვლილებებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მეხსიერებისთვის. თუ ბავშვს შესაძლებლობა აქვს, მის გარშემო მყოფი ადამიანების (დედ-მამის, და-ძმის, ახლო ნათესავების) თუნდაც ლაპარაკს უსმინოს, მაშინ დაახლოებით 2 წლის ასაკში ის იწყებს ცალკეული სიტყვების გააზრებულად წარმოთქმას; თანდათან უფრო რთულ წინადადებათა წარმოთქმაზე გადადის, რასაც მოჰყვება ქვემდებარის, შემასმენლის, ზმნის და დამატების გამოყენება. ეს ყველაფერი შესაძლებელია იმის გამო, რომ ტვინის ნეირონების მოლეკულური სტრუქტურა იმ სენსორული ინფორმაციის ზეგავლენით იცვლება, რომელიც ტვინის შესაბამის ცენტრებს ელექტროქიმიური საშუალებებით გადაეცემა. თავის ტვინს არ ესაჭიროება ელექტროინჟინერი, რომელიც ისეთ მიკროსქემებს შექმნის, ინფორმაციის ამ უსასრულო ნაკადს სწორად რომ წარმართავს. ამის აუცილებლობა არაა, რადგან თავის ტვინში ეს ბუნებრივად და თავისთავად ხდება.

ტვინი, შეგროვების ორგანოებით მიღებული ინფორმაციის გარდა, აურაცხელი არაცნობიერ ინფორმაციასაც იღებს პროპრიორეცეპტორებიდან. ფუნქციონირების დაწყებისთანავე ტვინი ნეირონთაშორის კომუნიკაციის დამყარებას იწყებს. ასოციაციური პროცესები ტვინის აქტივობის 98% შეადგენს. ნეირონთაშორისი კავშირების დამყარების ეს პროცესი უმეტესად არაცნობიერ დონეზე მიმდინარეობს.

ზემოთხსენებული წიგნის გამოქვეყნების დროს ალკონი ქ. მერილენდში (აშშ), ბეთესდას ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის ნერვული სისტემის შემსწავლელ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს იყო აშშ-ის ჯანმრთელობის საჯარო სამსახურის სამედიცინო ღირექტორი და მასაჩუსეტსში, ვუდ პოლში, საზღვაო ბიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი. ალკონს სტუდენტობიდანვე უფრო მეტად ადამიანთა შორის ურთიერთობებით გამოწვეული ფსიქიკური დარღვევები აინტერესებდა, ვიდრე გენეტიკური და ორგანული ფაქტორით განპირობებული ფსიქიკური აშლილობანი. ის მიიჩნევდა, რომ ტრავმას ადამიანის ფსიქიკაში ხანგრძლივ ცვლილებათა გამოწვევა შეუძლია.

ემოციური ტრავმის გამომწვევი მიზეზი ძალიან ბევრი შეიძლება იყოს. თავის ტვინის ნეირონები ორგანიზებულად რეაგირებს ტრავმული განცდებიდან მომდინარე სენსორულ ინფორმაციაზე. მაგრამ რეაგირების ამ ფორმებს აუცილებლობით არ მიჰყავს ეს პროცესი ტრავმული მასალის კონსტრუქციული გადამუშავება-მონელებისაკენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ გვაქვს გარანტია, რომ ტრავმული მასალის გადამუშავებისა და მონელების ეს პროცესი კონსტრუქციული გზით წარიმართება.

ევოლუციური თეორიის მიხედვით, თავის ტვინის გადარჩენის უნარი განისაზღვრება ტრავმული განცდებით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისადმი მისი მდგრადობით. ადამიანს თვითგადარჩენისათვის, ასევე, სხვებთან ემპათიური ურთიერთობა ესაჭიროება.

ტრავმული განცდები მტკივნეულია და სხვადასხვა აშლილობათა გამომწვევი. ისინი იწვევენ ავტონომიური ნერვული სისტემისა და ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზურ-ადრენალინური ღერძის აღზნებას, რომლის ფუნქციაც სტრესზე რეაგირებაა. შემომავალი ინფორმაციის მიღებისა და მისი ადაპტირების შემდეგ ტვინი ჰომეოსტაზისკენ სწრაფვის თანდაყოლილ უნარს იყენებს და ცდილობს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს მშვიდი ჰომეოსტაზის მდგომარეობას. ტრავმულ ემოციურ განცდებს შეუძლია, რომ ტვინის მიერ ამ ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის უნარი დაარღვიოს. ამის შედეგად ნეირონებში განვითარებულ მოლეკულურ ცვლილებებს თავის ტვინის ფუნქციონირების შეცვლა შეუძლია. ამ ცვლილებებით შეიძლება აიხსნას პერიოდული კოშმარები და შფოთვითი მდგომარეობები, სირცხვილის და დაბალი თვითშეფასების გრძნობა, აჟიტაცია და ტრავმული განცდებით გამოწვეული ფლემბეკები, ტრავმული ინციდენტების და მათთან დაკავშირებული მოვლენების მოგონების თავიდან აცილების და არიდების სურვილი. აგრეთვე მრავალი სხვა ემოციური და მენტალური სიმპტომი თუ სინდრომი. ზემოთხსენებული ფსიქიკური დარღვევები თავის ტვინის ნეირონულ სტრუქტურაში რეალურ, ფიზიკურ, ორგანულ, პათოლოგიურ და მოლეკულურ ცვლილებათა მანიფესტაციაა.

აღკონის აზრით, მეხსიერება ასევე ჩართულია ზოგიერთი განცდისადმი მნიშვნელობის მინიჭებისა და მათი ინტერპრეტაციის პროცესში [2]. აქ იგულისხმება მეხსიერების მიერ მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირება. როდესაც განვითარების პროცესში მყოფი ტვინი გადაულახავი ტრავმული განცდების წინაშე აღმოჩნდება, შეიძლება ტვინში პროგნოზირების ისეთი ფორმა გაბატონდეს, რომლის მიხედვითაც მომავალი ცხოვრებისეული მოვლენები ყოველთვის ერთი და იმავე ტრავმული გზით განვითარდება. ამის შემდეგ ნეიროფიზიოლოგიური და სტრუქტურული ცვლილებები აძლიერებს და ამყარებს პროგნოზირების ზემოთაღნიშნულ ფორმას, რომლის თანახმადაც, ცხოვრებისეული განცდები მუდამ გადაულახავ დაუძლეველ ემოციურ ტრავმასთან იქნება დაკავშირებული. ასეთ ვითარებებში ტვინს ახალი სიტუაციის უნიკალურობის, მისი განუმეორებლობის აღქმის, მისი სწორად ინტერპრეტაციის უნარი ეკარგება და ამის გამო წარმოსახვით, არარსებულ საფრთხეზე სტრესული ჰორმონების გამოყოფით რეაგირებს. ამ დროს ეს არარეალური, წარმოსახვითი საფრთხე სტრესული ჰორმონების გამოყოფაზე ამშვეები მექანიზმის ანალოგიით მოქმედებს. ლოგიკურ დასაბუთებას, დამშვიდებას, შეგონებას, გადარწმუნებას, ტექნიკებს და წამლებს შედეგი არ მოაქვს, ანუ ისინი ამ მოვლენებზე რეაქციებს ვერ ცვლიან.

აღკონის კვლევამ [2] დაადასტურა, რომ მეხსიერების სპეციფიკური ცვლილებები ნეირონულ მემბრანებზე, მათ გეომეტრიულ სტრუქტურაზე და სპეციფიკური პროტეინების სინთეზზე მოქმედებს. ზოგიერთი ეს ცვლილება უკუგანვითარებას ადვილად არ ექვემდებარება. მნესტიკური კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ ამ ცვლილებათა უკუგანვითარებისთვის საჭირო დრო გრძელდება მინიმუმ საათებით და მაქსიმუმ დღეებით. თუ უკუგანვითარება არ მოხდა, მაშინ ეს ცვლილებები მუდმივად რჩება. აღკონის კვლევები ფსიქოდინამიკური თეორიების სისწორეს ადასტურებს.

აიოვას უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯის ნევროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი პროფესორი ანტონიო დამაზიო წიგნში “დეკარტეს შეცდომა: ემოცია, გონება და ადამიანის თავის ტვინი” [7] აღწერს თავისი კვლევის შედეგებს. ის ამტკიცებს, რომ ემოციებს კოგნიტური, რაციონალური და ლოგიკური პროცესების ევოლუციაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ემოციები სერიოზული აზროვნების ხელშემშლელი ფაქტორები კი არაა, არამედ რთული მენტალური პროცესის შემადგენელი ნაწილია. ტვინში განვითარებული დარღვევები გავლენას ახდენს როგორც გონებაზე, ისე გრძნობებზე. ეს კორელაცია, მისი აზრით, მოწმობს, რომ გრძნობები გონების ინტეგრალური ნაწილია.

დამაზიო ასკვნის, რომ გონების ფუნქციონირება ტვინის რამდენიმე სისტემაზეა დამოკიდებული, რომლებიც მეტწილად ერთობლივად, ჰარმონიულ ერთიანობაში მოქმედებს, ვიდრე განცალკევებულად – ტვინის ცალკეული ცენტრების ფუნქციონირების სახით. არსებობს მრავალი ნეირონთაშორისი კავშირი, ქერქის პრეფრონტალური ნაწილით დაწყებული, ჰიპოთალამუსით, ტვინის ღეროსა და მთელი სხეულით დამთავრებული. ეს კავშირები ინფორმაციას ორივე მიმართულებით გადასცემს და მონაწილეობს გონების ჩამოყალიბების პროცესში. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ადამიანის ორგანიზმის დაბალი სისტემები უმაღლესი სისტემების, კერძოდ კი, გონების დაქვემდებარებაშია და ამ დიდი ციკლის შემადგენელ ნაწილია.

დამაზიოს გამოკვლევები გვაფიქრებინებს, რომ:

1. ინტელექტი და განსჯის უნარი თავის ტვინისგან, მისი ფიზიოლოგიისგან განცალკევებულად კი არ მოქმედებს, არამედ მასთან ერთად.
2. სოციალური განცდები თავის ტვინის სტრუქტურასა და ნეიროფიზიოლოგიურ შესაძლებლობებზე დაბადებიდანვე ახდენს ზეგავლენას.
3. ადამიანი სოციალურ და ინტერპერსონალურ კომუნიკაციას ისევე სწავლობს, როგორც მეტყველებას.
4. ტვინის მეხსიერების აქტები, ცვლილებები ნეირონების მოლეკულურ სტრუქტურაში, დენტრიტების ურთიერთდაკავშირება და მათი ზრდა დაბადებიდან სიკვდილამდე ხორციელდება.

5. სოციალური და ინტერპერსონალური ურთიერთობით გამოწვეული განცდები ამ ზრდას წარმართავს.
6. ფსიქიკის, გონების მუშაობა გენეტიკური მექანიზმების და სოციალური განცდების ინტერაქციის შედეგია.

სოციალური განცდების, მაგ., პოსტნატალურ პერიოდში დედის შეხებისა და მისი იაენანის გარეშე ტვინის ზრდასა და განვითარებას მალე ბოლო მოეღებოდა. სხვისი გრძნობების ემპათიური განცდა, ანუ თანაგრძნობის უნარი, ცივილიზებული ქცევის განვითარებასა და ჩამოყალიბებას უდევს საფუძვლად.

კენდეს პერტი, ვაშიგტონის, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ფიზიოლოგიისა და ბიოფიზიკის განყოფილების პროფესორი, ასაბუთებს სხეულის ყველა უჯრედის ზედაპირზე განლაგებული ოპიატური რეცეპტორების არსებობას. იგი ახდენს მონოციტების ზედაპირზე განლაგებული ოპიატური რეცეპტორების არსებობის დემონსტრირებას. ამ რეცეპტორებთან დაკავშირებული ენდორფინები, რომლებიც მონოციტების ზედაპირზეა მოთავსებული, აღწევს მონოციტებში და უშუალო ზეგავლენას ახდენს მათ ფუნქციონირებაზე [18]. ნეიროპეპტიდურ რეცეპტორებს, რომელსაც თავის ტვინის ნეირონებში ვპოულობთ, აგრეთვე აღმოვაჩენთ მონოციტების ზედაპირზე. პერტი აღნიშნავს, რომ იმუნური უჯრედები წარმოქმნიან, ინახავენ და გამოყოფენ ნეიროპეპტიდებს, სხვა სიტყვებით, იმუნური უჯრედები იმავე ქიმიურ ნივთიერებებს ქმნიან, რომელთაც თავის ტვინში გუნება-განწყობის კონტროლი ევალებათ.

ამ კვლევის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ გუნება-განწყობილებაზე ზემოქმედებს არა მარტო ტვინში წარმოქმნილი, არამედ მონიციტებში არსებული ნეიროპეპტიდები. ამიტომ კლინიკური სინდრომები (მაგ. დეპრესია), იმ მრავალი ბიოქიმიური პროცესის ზემოქმედების შედეგია, რომლებიც მიმდინარეობს არამარტო ტვინის სუბსტანციაში, არამედ აგრეთვე მთელ სხეულში.

ამის მიუხედავად, კლინიკური სინდრომები რედუქციონისტულად ვერ დაიყვანება მხოლოდ ბიოქიმიურ მიზეზებზე. დეპრესიული გუნება-განწყობილების დაყვანა მხოლოდ ბიოქიმიურ მიზეზებზე რეალური სურათის დამახინჯებაა, რაც ართულებს მეურნალობის პროცესს, ამცირებს მეურნალობის ეფექტიანობას და კვლევა არასწორი მიმართულებით მიჰყავს [12]. ასეთ შემთხვევებში პოლისტური პერსპექტივა და მიდგომაა აუცილებელი, რომელიც ბიოფსიქოსოციალურ და სულიერ პერსპექტივას ითვალისწინებს.

ემოცია, როგორც ფიზიოლოგიური ფენომენი, ჩვენი სხეულის ყველა სისტემაზე ზემოქმედებს. ემოციური კომუნიკაციის სისტემა სხეულის ყველა უჯრედზე ერცვალდება და ერთგვარი შემძლებლობაა (Intelligence), რომელიც სხეულს, თავის ტვინსა და სოციალურ ურთიერთობებსაც მოიცავს [18]. ჩვენი ორგანიზმის ყველა სისტემის მსგავსად, ემოციასაც აქვს ბიოქიმიური საფუძველი, მაგრამ ემოციების დაყვანა მხოლოდ ბიოქიმიურ სუბსტანციამდე, ერთი მხრივ, რედუქციონისტურია – ანუ რთული დაჰყავს მარტივზე; მეორე მხრივ, უარყოფს ემოციის ადამიანურ ასპექტს. ასეთი მიდგომა უგულებელყოფს იმ მეცნიერულ ფაქტს, რომ ემოციური სისტემის ჩამოყალიბება ადამიანური, სოციალური განცდების საფუძველზე ხდება. გენეტიკური მასალა წარმოდგენილია დაბადებისთანავე, მაგრამ ამ მასალის გამოყენების ფორმა პოსტნატალურ განცდებზეა დამოკიდებული [22].

მანფრედ შპიტცერი, ულმის უნივერსიტეტის ფსიქიატრიული კლინიკის პროფესორი, ასაბუთებს, რომ აზროვნების სტილის შეცვლა ბავშვებში თავის ტვინის აქტივობასა და სტრუქტურას ცვლის. მეტყველების, დასწავლის და შიზოფრენიის ბუნების ასახსნელად შპიტცერი ნეირონული ქსელის თეორიას და კომპუტერულ მოდელებს იყენებს [23].

თავის ტვინი, სოციალური განცდების ზეგავლენით, ევოლუციურ ცვლილებებს განიცდის. ამასთან დაკავშირებით ჯ. ჯეინის წერს: ადრეულ ასაკში ენა და მეტყველება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ ვითარდება, აბსტრაქტულ მეტაფორებზე დაყრდნობით იქმნება. ჩვილის ან ბავშვის თავის ტვინი, რომელიც სპეციფიკური აბსტრაქციების (მეტაფორების და მათ საფუძველზე წარმოქმნილი

აბსტრაქტული აზრების) უშუალო ზეგავლენის ქვეშ მოექცა, განსხვავებული იქნება იმ ჩვილისა თუ ბავშვის ტვინისაგან, რომელიც სხვა აბსტრაქტული აზრების ზეგავლენას განიცდიდა [10].

შპიტცერი აღნიშნავს, რომ ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ არსებობდა უფსკრული ბიოქიმიასა და ფსიქოპათოლოგიის შორის და მათ შორის ხიდის გადება შეუძლებლად იყო მიჩნეული, მაგრამ დღესდღეობით არსებულმა ქსელურმა მოდელებმა მდგომარეობა შეცვალა. ნეირონები, ემოციური მოლეკულები, ემოციური სისტემები, ტვინის სინაპსური სტრუქტურა, ნეიროტრანსმისია, ნეირომოდულაცია, ნეიროპლასტიურობა, მსჯელობა, განსჯა, აბსტრაქტული აზროვნება, მუსიკალური განცდები და სხვა ურთიერთქმედებს, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი სისტემის სხვადასხვა ასპექტები. შესაძლებელია ნეირობიოლოგიური და ფსიქიკური ფაქტორების ინტეგრირება და ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების პირდაპირ დაკავშირება ტვინის ფუნქციონირებასთან. შპიტცერმა შეძლო სპეციფიკურ პირობებში ნეირონული ქსელის მოდელით შიზოფრენული სიმპტომების სიმულირება. ამ შემთხვევაში, მეცნიერებამ აბსტრაქტული ფსიქოლოგიური თეორიებიდან კონკრეტული კომპიუტერული ნეირონული ქსელების დონეზე გადასვლის საშუალება მოგვცა და – პირიქით [23].

დამაზიო ამტკიცებს, რომ ლოგიკური, რაციონალური აზროვნება, რომელსაც სოციალურად კომპეტენტური პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი აკისრია, ქერქის ფრონტალური ნაწილის სპეციფიკური არეების ნეიროფიზიოლოგიურ აქტივობას და კომპეტენციას მოითხოვს. ორბიტალურ-ფრონტალური წილების სპეციფიკური არეების უმოქმედობის დროს ადამიანს სოციალური მოთხოვნებისადმი შეგუება უჭირს. დალკონმა [2] დაამტკიცა, რომ თავის ტვინის ნეირონების მოლეკულური სტრუქტურა ტრავმული განცდების ზეგავლენით იცვლება და ეს ცვლილებები შესაძლებელია ნებისმიერ დროს მოხდეს. პერტმა კი დაადასტურა, რომ ტვინის პეპტიდებს წარმოქმნის ცირკულაციაში მყოფი მონოციტები და ემოციების ეს მოლეკულები ადამიანის ორგანიზმის ყველა უჯრედის ზედაპირზეა განლაგებული [18].

აქედან გამომდინარე, ემოციების, გუნება-განწყობილებისა და საზოგადოდ, მენტალურ აშლილობათა შესახებ დრომოჭმული ხედვა რადიკალურად უნდა შეეცვალოს. ზემოაღწერილი ინფორმაცია პოლისტური ხედვის აუცილებლობას ადასტურებს, რომელიც მოლეკულურ, ორგანულ სომატო-ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სულიერ დონეებს აერთიანებს. ასეთი ხედვა მენტალური აშლილობის მქონე პაციენტთა სამკურნალო მოდალობათა ეფექტური და კონსტრუქციული სინთეზის აუცილებელი პირობაა. ამგვარი მიდგომა ფსიქიკური დაავადების, სოციალური აგრესიის ჩათვლით, პროფილაქტიკის წამყვან პრინციპებს, მოდელებს აყალიბებს. ჰ. პერი [16] გამოჩენილი ამერიკელი ფსიქიატრის, ჰარი სტაკ სალივენის შესახებ მიუთითებს, რომ სალივენი ომს ფსიქიკური დაავადების უკიდურეს ფორმად მიიჩნევდა.

პრევენციული მეთოდების უმრავლესობა სოციოლოგიური და ინტერპერსონალურია. სოციალური ფსიქიატრიის პოლისტური და მულტიდისციპლინური მიდგომა იმ მოძველებული ცალმხრივი ხედვისაგან გვათავისუფლებს, რომელიც ფსიქიკას სხეულისაგან აცალკევებს და მათ დიქტომიურად – სხეულად და სულად ჰყოფს. ამგვარი მიდგომა ფსიქიატრიასა და ფსიქოთერაპიაში საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ ადამიანი მთლიანობაში – როგორც ბიოფსიქოსოციალური და სულიერი არსება, სადაც ტვინი, გონება, სხეული და სამყარო ერთი მთლიანობაა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ადამიანის არსების მექანიზმადე, კომპიუტერადე დაყვანის საშიშროება. პერი [16] ხაზს უსვამს, რომ მეცნიერების არცერთი სხვა მიმართულება ასე მკაფიოდ არ წარმოაჩენს თავის ტვინის ფუნქციონირებისთვის პიროვნების სუბიექტური, ფსიქიკური განცდების მნიშვნელობას, როგორც ამას ნეირობიოლოგიის კომპიუტერული მოდელი აკეთებს. ამგვარად, ნეირომეცნიერება არ ცდილობს პიროვნების დეჰუმანიზაციას. მისი აზრით, ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა ემოცია და აფექტი აქვთ საყოველთაოდ აღიარებული სუბიექტური მნიშვნელობა. ფაქტობრივად ისინი ფსიქიკური და ფიზიკური ფენომენების ფართო სპექტრს მოიცავს: მენტალურ წარმოდგენებს, ავტონომიური ნერვული სისტემის რეაქციებს, მოტორულ აქტებს და სუბიექტურ განცდებს. მაგ. ადამიანის მიერ

სასიცოცხლო საშიშროების პირველი შეგრძნება მიგაღალა-ს მეშვეობით ხდება დაუმუშავებელი შავ-თეთრი ხატების საფუძველზე, ნერვული ცენტრები საფრთხის გაცნობიერებამდე უფრო ადრე – წამების მეთასედებში იღებს და შეიგრძნობს საშიშროებას. მიგაღალა ტეხს განგაშს და ალაგზნებს ნეირომოდულაციურ ცენტრს – locus coeruleus-ს, რომელიც ნორეპინეფრინის გამოყოფს ქერქის ფართო არეების გასწვრივ. ამ დროს ხდება პორმონული სისტემების აქტივირება, რასაც შედეგად სისხლში ეპინეფრინის გამოყოფა მოჰყვება და რაც სუბიექტურ ფსიქიკურ დონეზე საშიშროებისადმი მზაობაში ელინდება. ყველა ეს და ბევრი სხვა ცვლილება აფექტისა და ემოციის კატეგორიას მიეკუთვნება და შესაბამისი სიტყვებით გამოიხატება.

სოციალურ განცდებს, ერთეულ სოციალურ ინტერაქციასაც კი შეუძლია დიდი ზეგავლენა იქონიოს ნეირომოდულატორების ფუნქციონირებაზე [16]. გაჩენის დღიდან სერატონინერგული სინაპსების ნეირომოდულაციური ეფექტი ადამიანის ტვინის აქტივობის ვიტალური შემადგენელი ნაწილია. სერატონინერგული ნეირონების რაოდენობა თავის ტვინის ღეროს რაპჰე ნუკლეი-ში ათასებს აღწევს და ეს შედარებით მცირე ნეირონები არეგულირებს 20 მილიარდ პურკინეს უჯრედებს და 8 მილიარდ გლიურ უჯრედებს, რაც თავის ტვინის ქერქს წარმოქმნის. ტვინის ყველაზე პრიმიტიული ნაწილიდან მომდინარეობს მძლავრი ნეირომოდულატორები, რომელთა აქტივაცია შესაძლებელია მოახდინოს მიგაღალა-მ. რეციპროკული პროცესის და კორტიკალური კოგნიტური პერცეპციის საშუალებით შეგვიძლია მკაფიოდ დავინახოთ საშიშროება, სწორად შევაფასოთ იგი, ხოლო იმისდა მიხედვით, არსებობს თუ არა საფრთხე, იგზავნება შესაბამისი ბრძანება ე.წ. “რეპტილიურ ტვინში”, რომელიც შეტევა- ან მოიყვანს მოქმედებაში, ან უმოქმედოდ ამყოფებს გაქცევის თანდაყოლილ რეაქციებს.

მამრი მდინარის კიბოს ტერიტორიის დაცვის ქცევაზე ჩატარებულმა კვლევამ [9] დაადასტურა სოციალური განცდების ზეგავლენა ნეირომოდულაციაზე.

ნერვული სისტემის ნეირონული ქსელის მოდელი ეხმადანება თეორიას, რომლის თანახმადაც სოციალური განცდები, მაგ., დედის მიერ ბავშვის მიტოვება და ეს მიტოვებულობის განცდა ღრმა ზეგავლენას ახდენს ნეირომოდულაციურ სისტემებზე და ეს მთელი ცხოვრების განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს.

ჰ. პერის [16] თანახმად, სოციალური განცდები თავის ტვინის ქერქსა და ტვინის სხვა არეებში სემანტიკური და ემოციური რუკების ჩამოყალიბებას იწვევს. ამ რუკების ფუნქციაა მომავალი ქცევის მართვა. ისინი ადვილად არ იცვლებიან, პირიქით, – თვითშენარჩუნების ტენდენცია აქვთ. კერძოდ, მათ ან ისეთი განცდებისაკენ მიყვავართ, რომლებიც მათ განამტკიცებენ, ან ჩვეულებრივი განცდების ისეთ ინტერპრეტაციას ახდენენ, რომელიც ამ განცდებს მათ ჩარჩოებში აქცევს. ეს ნეირობიოლოგიური კვლევები ადასტურებს იმ აზრს, რომ თეორია, რომელიც ასხვავებს და უხეშად ყოფს ორგანულ და ფსიქიკურ დარღვევებს, მოძველებულია. თუმცა ამგვარი თეორიები დღესაც ფართოდ გამოიყენება.

ზემოთ მოხსენიებული ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ ფსიქიკას და თავის ტვინს, მიუხედავად თვისობრივად გასხვავებული ბუნებისა, ერთმანეთზე ზემოქმედებისა და ზეგავლენის უნარი აქვს. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ბიოლოგიური ასპექტის უარყოფელი დინამიკური მიდგომა, ისე ფსიქოლოგიური ფაქტორის უგულებელყოფელი ბიოლოგიური ფსიქიატრია შეზღუდული და რედუქციონისტულია. რთული პროცესები ორივეს მარტივამდე დაყავს. თუმცა, მიუხედავად ბიოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებისა, ფსიქიანალიზი, სიდრმის ფსიქოლოგია და დინამიკური ფსიქიატრია ფსიქიკურ დაავადებათა წარმოშობასა და განვითარებაში გადამწყვეტ როლს მაინც პიროვნებასა და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ანიჭებს [17][13][14].

ის, რასაც რუსთაველი და შექსპირი თავიანთი შემოქმედებითი ინტუიციით გრძნობდნენ, მხოლოდ დღეს დასტურდება მეცნიერების, კერძოდ ნეიროფიზიოლოგიის ენაზე:

თუღა გახსოვს, რად უნდოდა, ისრე ავად რად გაგხადე?
მართლად უთქვამს მეცნიერთა: წყენაო ჭირთა ბადე”

[1:თავი 35/815].

“სნეულ გონებას ვერ მოუვლი?

ამოაგლიჯე მეხსიერებას სევდა მასში ღრმად ფესვგადგმული,
ჭკუას ჩაჭდული მღელვარება მთლად ამოფხიკე
და წამალი რამ მიეც სევდის გამქარვებელი
მკერდს განაშორე ტვირთი იგი სულის შემსუთი,
რაიც საზარლად ღოდებრ მიიმედ გულს დასწოლია”.

[შექსპირი, “მაკბეტი”, V მოქმედება, სურათი 3].

ამ კვლევებს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. ბავშვი გონების, ფსიქიკის და სხეულის ერთიანობაა. ბავშვი, რომელიც ისეთ სოციალურ გარემოში იზრდება, სადაც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, შექსპირისა თუ რუსთაველის ენა და, მეორე მხრივ, სამეცნიერო ენა, უკეთ განვითარდება და განსხვავებული იქნება იმ ბავშვისაგან, რომელსაც ამგვარი აგრემო აკლია.

ბგერები და სიტყვები, თავიანთი ბუნებით, ფიზიკურად აყალიბებს გონება-ტვინის ერთიან სისტემას, იდეებიც თავიანთი მხრივ აყალიბებს გონება-ტვინის ერთიან სტრუქტურას. ტვინი-გონების ცნება მხოლოდ ერთერთი ასპექტია იმ მთლიანისა, რომელიც ადამიანში სულიერ, სოციალურ, ფსიქიკურ და სხეულებრივ ასპექტებს აერთიანებს, ხოლო თავად ადამიანს მთელ სამყაროსთან აკავშირებს.

ლიტერატურა:

1. რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. გამოცემული დ. ქართველიშვილის მიერ. ტფილისი, 1888
2. Alkon ,D.L. Memory's voice: Deciphering the Mind-Brain Code. Harper Perennial, New York, 1992
3. Ciaranello RD: Neurochemical aspects of stress, in Stress, Coping and Development in Children. Baltimore, Johns Hopkins University Press, 1988, pp 85-105
4. Coe C.L., Wiener S.G., Rosenberg L. T. et al. Endocrine and Immune Responses To Separation and Maternal Loss in Nonhuman Primates, In The Psychobiology of Attachment, Ed. Be Reite M. , Field T. Oslando F, academic Press, 1985 pp. 163- 199
5. Coe C.L., Mendoza SP, Smotherman WP, et al. Mother-Infant Attachment in the Squirrel Monkey: Adrenal Responses to Separation. Behavioural Biology 22:256 263, 1978
6. Coe C.L., Glass J. C. Wiener SG, et al; Behavioral, but not Physiological, adaptation to repeated separation in mother and infant primates. Psychoneuroendocrinology 8:401-409, 1983.
7. Damasio, A., Descartes, Error: Emotion, Reason and the Human Brain, Avon Books, New York 1997
8. Kandel E. R. Psychotherapy and the Single Synapse: The Impact of Psychiatric Thoughts On Neurobiological Research N: Engl. J. Med 1979, No 301, pp: 1028-1037
9. Huber, R. Panksepp J.B., Yue Z , Delago., A. Moore, P. Dynamic Interactions of Behavior and Amine Neurochemistry in Acquisition and Maintenance of Social Rank in Crayfish *Brain Behav Evol*, 2001, V 57, N 5 pp. 271-282
10. Jaynes, J., The Origins of Consciousness in the Breakdown of Bicameral Mind, Houghton Mifflin Co. Boston, 1976
11. Levin F.M. Mapping the Mind : The Intersection of Psychoanalysis and Neuroscience. Hillsdale. NJ, Analytic. Press, 1991, 120p
12. Lipowski Z. J. Psychiatry : Mindless or Brainless, Both or Neither ? Can. J. Psychiatry, 1989, 34 : pp. 249-254
13. Marcus E. Bradley S. , Concurrence of Axis I and Axis II Illness in Treatment Resistent Hospitalized Patients. Psychiatr. Clin. North. Amer. 1987, 10 : pp. 177-184
14. Michels R., The Future of Psychoanalysis. Psychoanal Q. 1988 N 178: pp. 268-270
15. Mezzich J.E. Globalization and Psychiatry for the Person. WPA regional Conference/CSP Annual Congress. Shanghai 2007.
16. Perry, H.S. Psychiatrists of America, The Life of Hurry Stack Sullivan, Harvard University Press, Cambridge, Ma, 1982
17. Perry S. , Cooper A. M. , Michels R., Psychodynamic Formulation. Its Purpose, Structure and Clinical Application. Am. J. Psychiatry. 1987, No 144 : pp. 543- 550
18. Pert C.B. Molecules of Emotion: The Science Behind Mind-Body Medicine, Touchstone, New York 1997
19. Post R.M., Ballenger J.C, Uhde T.W et al Kindling and drug sensitization, In Psychopharmacology and of Anticonvulsants. Ed. By Sandler M. Oxford , Oxford University Press 1982, pp. 27-53

20. Roose S.P, Pades H, Biological considerations in the middle years, New Psychoanalytic Perspective. New Haven CT, Yale University Press, 1989, pp 179-190
21. Sacks O: Neurology and the soul, The New York review, Novem. 22, 1990, pp 44-50
22. Siegel Daniel J. The Developing Mind. Towards Neurobiology of Interpersonal experience The Guilford Press New York London 1999, 395 p.
23. Spitzer M., The Mind Within the Net: Models of Learning, Thinking and Acting, the MIT Press, Cambridge, MA, 1998
24. Spitzer M., The Mind Within the Net, MIT Press, Cambridge, MA, 1999
25. Suomi S.J, Seaman SF, Lewis J. K, et al; "Effect of imipramine treatment of separation-induced social disorders in rhesus monkeys. Arch Gen Psychiatry 35:321-325, 1978
26. Suomi S.J: The development of affect in rhesus monkeys, in The Psychobiology of affective development Edited by Fox N. , NJ Lawrence Erlbaum, 1984, pp 119-159
27. Timiras PS The timing of hormone signals in the orchestration of brain development, in The Development of Attachment and Affiliative Systemes Edited by Emde RN, Harmon RJ. New York Plenum, 1982, pp 47-63
28. Van der Kolk BA: Psychological Trauma. Washington, DC, American Psychiatric Press, 1987

Rezo Korinteli

On the Neurobiological Aspects of Psychotherapy and Social Psychiatry

Resume

The article describes some of the most important discoveries from Neuroscience and integrates them into our knowledge of Dynamic Psychotherapy and Social Psychiatry.

Neuroscience has undergone enormous growth during the past twenty years. It has provided important scientific facts that have confirmed the validity of the ongoing development of Dynamic Psychotherapy and Social Psychiatry. The article emphasizes the necessity of using holistic approach.

ხათუნა მარწყვიშვილი

ივ. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტი

მაია მუსტაფიშვილი

ივ. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტი

ემოციური ინტელექტი – უნარი, პიროვნული ნიშანი და კომპეტენცია –
– რას გვთავაზობენ მკვლევრები

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, ემოციური ინტელექტის თეორიული მოდელები, ემოციური ინტელექტის საკვლევი ინსტრუმენტები.

ყველაზე ადრეული ცნობები ემოციური ინტელექტის შესახებ ჩარლზ დარვინის შრომებში ჩნდება, როდესაც დარვინი საუბრობს იმ უმნიშვნელოვანეს როლზე, რომელსაც ემოციები ასრულებს გადარჩენასა და ადაპტაციაში. 1900-იან წლებში, როდესაც ინტელექტის ტრადიციულ განმარტებებში ინტელექტის მხოლოდ ისეთი კოგნიტური ასპექტები იყო ხაზგასმული, როგორიცაა მეხსიერება და პრობლემის გადაჭრა, მკვლევრები უკვე აღიარებენ არა კოგნიტური ასპექტების მნიშვნელოვან როლსაც ინდივიდის ზოგადი ინტელექტის ფორმირებაში. 1920 წელს ედუარდ თორნდაიკი იყენებს ტერმინს სოციალური ინტელექტი, რომ აღწეროს სოციალური ურთიერთობების, სხვა ადამიანთა მართვის და გაგების უნარები [30]. 1940 წელს დ. ვექსლერი მიანიშნებს არა-ინტელექტუალური ფაქტორების გაგების შესახებ ინტელექტუალურ ქცევაზე და აღნიშნავს, რომ ინტელექტის მოდელები მანამდე ვერ იქნება სრულყოფილი, თუ აღექვამურად არ იქნება აღწერილი ეს ფაქტორები [31]. 1983 პოვარდ გარდნერმა გამოიყენა ტერმინი მრავლობით ინტელექტი, რომელიც აღნიშნავდა ორივეს – ინტერპერსონალურ (სხვა ადამიანთა განზრახვების, მოტივაციის და სურვილების გაგების უნარი) და ინტრაპერსონალურ უნარებს (საკუთარი თავის გაგების, გრძნობების, განცდების, მოტივების შეფასების უნარი). გარდნერის შეხედულებით, ინტელექტის ისეთი ტრადიციული ფორმები, როგორიცაა ე.წ. ინტელექტის კოეფიციენტი (IQ), სრულად ვერ აღწერს ინდივიდის შესაძლებლობებს [10]. ამგვარად, მიუხედავად, იმისა, რომ სახელწოდებები იცვლებოდა, არსებობდა საერთო შეხედულება, რომ ინტელექტის ტრადიციული განმარტებები არაა საკმარისი ინდივიდის ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულყოფილი აღწერისათვის.

1985 წელს Wayne Payne –მა სადოქტორო დისერტაციაში „ემოციების კვლევა: ემოციური ინტელექტის განვითარება“ პირველად გამოიყენა ტერმინი – ემოციური ინტელექტი. მაგრამ ემოციური ინტელექტის ცნება პოპულარული გახდა შეერთებულ შტატებში დანიელ გოლემანის ცნობილი ბესტსელერის – *Emotional intelligence: why it matters more than IQ* - გამოქვეყნების შემდეგ [11]. თუმცა, წიგნს წინ უძღოდა ჯონ მეირის და პიტერ სალოვის ასევე, საკმაოდ ცნობილი სტატიის “ემოციური ინტელექტი“-ს გამოცემა [29]. მაგრამ კვლევების წამოწყებისთვის ბიძგის როლი სწორედ გოლემანის წიგნმა შეასრულა და სამეცნიერო კვლევები ემოციური ინტელექტის შესახებ უკვე ბოლო ათწლეულის დამსახურებას წარმოადგენს. გაჩნდა სხვადასხვა მოდელები, რომლებიც განსხვავებულ შინაარსს მოიაზრებს ემოციური ინტელექტის ცნების ქვეშ [1]; [8]; [11]; [12]; [14]; [17]; [24]. განსხვავებული მოდელების არსებობის ფონზე, ემოციური ინტელექტის ცნება სხვადასხვა მიზნებისთვის იქნა გამოყენებული: კადრების შერჩევა, პიროვნების დიაგნოსტიკა და შეფასება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევათა უმრავლესობა ორიენტირებულია ემოციურ ინტელექტზე.

როგორც ფაქტორზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროფესიულ თუ აკადემიურ საქმიანობასა და სოციალურ ურთიერთობებში მიღწეულ წარმატებაში.

ყველაზე მეტად გაგრძელებული განმარტების თანახმად, ემოციური ინტელექტი არის ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვის და რეგულირების უნარი [17] შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, ეს განმარტება აერთიანებს ყველა იმ მოდელის ძირითადი კომპონენტებს, რაც დღეს არსებობს. დღესდღეობით, კი განასხვავებენ ემოციური ინტელექტის შესახებ სამ ძირითადი მიდგომას [9], რომელიც კონსტრუქტის ერთმანეთისგან განსხვავებულ კონცეპტუალიზაციას გვთავაზობს: (1) ემოციური ინტელექტი, როგორც უნარი; (2) ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი და (3) ემოციური ინტელექტი, როგორც დასწავლილი და შეძენილი კომპეტენცია. არსებობს ამ მოდელების ერთმანეთთან შეჯერების მცდელობაც (ეკლექტური მოდელი), თუმცა, ამ უკანასკნელმა ისეთი ემპირიული დასაბუთება ვერ მოიპოვა, როგორც ცალკეულმა თეორიულმა ჩარჩოებმა. ამ მოდელების საფუძველზე შეიქმნა ემოციური და სოციალური ინტელექტის უამრავი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სახომი ინსტრუმენტიც.

I. ემოციური ინტელექტი, როგორც უნარი

ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნების უნარი, გადაამუშავოს ემოციური შინაარსის ინფორმაცია - ამ მოდელის ავტორები [17] ემოციურ ინტელექტს განიხილავენ, როგორც სტანდარტულ ინტელექტს და მათი აზრით, ის ინტელექტის ისეთივე სახეა, როგორც ანალიტიკური ინტელექტი ე.წ. IQ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ემოციური ინტელექტის შემთხვევაში აზროვნება ოპერირებს ემოციური შინაარსის ინფორმაციით - ემოციები გავლენას ახდენენ აზროვნების პროცესზე, რომ გაადვილონ გადაწყვეტილების მიღება, აზროვნება და მოქმედება. მათი განმარტებით, ემოციური ინტელექტი არის „საკუთარ და სხვა ადამიანის ემოციებზე და გრძნობებზე დაკვირვების, ემოციების შემჩნევის, სხვადასხვა ემოციის ერთმანეთისგან გარჩევის და აზროვნების და ქცევის მართვის მიზნით ამ ინფორმაციის გამოყენების უნარი“. ავტორები განასხვავებენ ემოციური უნარების 4 ჯგუფს:

(1) *ემოციების აღქმა და გამოხატვა* - მოიცავს ემოციების აღქმის და იდენტიფიკაციის უნარს. ემოციების აღქმა გულისხმობს ემოციური სიგნალებისთვის ყურადღების მიქცევასა და მათ სწორ კოდირებას. ავტორების აზრით, ინდივიდის ემოციების აღქმა მჭიდროდ უკავშირდება სხვა ადამიანის ემოციების შეფასებას, სწორედ ამის გამო, მკვლევრები [19] აღნიშნავენ, რომ ემოციური ინტელექტის აღქმის სფერო „მე“-ზე და ემოციურ თვით-ცნობიერებაზე ფოკუსირების საშუალებას იძლევა, ასევე, იძლევა საშუალებას, შეფასდეს ადამიანის უნარი - აღიქვას და იყოს მგრძნობიარე სხვა ადამიანებიდან წამოსული ემოციური სიგნალებისა და ინფორმაციის მიმართ.

ემოციური ინტელექტის ეს სფერო თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ ასპექტებს (ა) საკუთარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის თანმხლები ემოციების იდენტიფიკაციის უნარი, (ბ) სხვა ადამიანთა ემოციების იდენტიფიკაციის უნარი, (გ) ემოციების და ემოციებთან დაკავშირებული მოთხოვნილებების სწორად გამოხატვის უნარი, (დ) ნამდვილი და „ყალბი“ გრძნობების ერთმანეთისგან გარჩევის უნარი [17].

(2) *ემოციების გამოყენება* - ემოციური ინტელექტის ემოციების გამოყენების სფერო გულისხმობს ინდივიდის მიერ ემოციების კოგნიტურ პროცესებზე გავლენის მოხდენის უნარს. ეს მახასიათებელი მოითხოვს ისეთ უნარს, როგორიცაა აღქვატური ემოციების რეგულირება, რომელიც ხელს უწყობს კოგნიტურ აქტივობებს - პრობლემის გადაჭრა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, გადაწყვეტილების მიღება, სიტუაციისთვის აფექტური საპასუხო რეაქციის მორგება, რომელსაც შეუძლია პირდაპირი გავლენა იქონიოს კოგნიტურ ორგანიზაციაზე, რაც ინფორმაციის ადვილი ხელმისაწვდომობის საშუალებას იძლევა.

ემოციების გამოყენების სფერო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (ა) აზროვნების გარკვეული მიმართულებით წარმართვა ემოციების საფუძველზე, (ბ) ემოციების თავმოყრის (გენერირების) უნარი მსჯელობისა და მეხსიერების პროცესზე გავლენის მოსახდენად, (გ) ემოციური მდგომარეობის

გამოყენების უნარი აზროვნების პროცესზე გავლენის მოსახდენად და კრეატიული გადაწყვეტილების მისაღებად.

(3) *ემოციების გაგება* - გულისხმობს ემოციებს შორის მიმართების და ემოციების ერთი მდგომარეობიდან მეორეში ტრანსფორმირების წვდომის უნარს. ინდივიდებს, რომლებიც ფლობენ ამ უნარებს, აქვთ მდიდარი ემოციური ლექსიკონი, რომელიც ხელს უწყობს ემოციებს შორის კომპლექსური ურთიერთმიმართების გაგებას და სხვადასხვა გრძნობების ზუსტი აღწერის საშუალებას იძლევა.

ემოციური ინტელექტის ეს სფერო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (ა) სხვადასხვა ემოციებს შორის მიმართებების, (ბ) ემოციების მიზეზების და შედეგების, (გ) კომპლექსური ემოციური კავშირების, გრძნობების და წინააღმდეგობრივი ემოციური მდგომარეობების და (დ) ემოციების ერთი მდგომარეობიდან მეორეში ტრანსფორმირების გაგების უნარი.

(4) *ემოციების მართვა* – ემოციური ინტელექტის ეს სფერო გულისხმობს საკუთარი ემოციების ეფექტურად მართვის უნარს. მოიცავს როგორც ემოციების შენარჩუნების (მაგალითად, კარგი გუნება-განწყობილება) და ემოციების მართვის უნარს (მაგალითად, დამშვიდება გაბრაზების შემდეგ), ასევე, ემოციების გენერირების უნარს სიტუაციის შესაბამისად (მაგალითად, თანამშრომლის მოტივირება და გამხსნელება/მხარდაჭერა მნიშვნელოვანი პრეზენტაციის წინ).

ემოციების მართვა გულისხმობს, აგრეთვე, ისეთ უნარებს, როგორიცაა გარკვეული დადებითი ემოციების შემცირება/რედუცირება, რადგან ხშირ შემთხვევაში ცნობილია, რომ ზედმეტი დადებითი ემოცია, რომელიც პოზიტიური შედეგის წინასწარმეტყველების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის, შეიძლება ხელს უშლიდეს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. ემოციების მართვის უნარის მქონე ადამიანს შეუძლია სიტუაციისთვის ადეკვატური ემოციების შენარჩუნება, რასაც ის სწორ გადაწყვეტილებამდე მიჰყავს.

ემოციების მართვის სფერო მოიცავს შემდეგ ასპექტებს: (ა) როგორც სასიამოვნო, ასევე, უსიამოვნო ემოციების მიმართ ღიაობა, (ბ) ემოციებზე დაკვირვების და საპასუხო რეაქციების განხორციელების უნარი, (გ) ემოციური მდგომარეობიდან გამოცალკევების ან მდგომარეობის გახანგრძლივების უნარი, (დ) საკუთარი ემოციებზე გავლენის მოხდენის უნარი, (ე) სხვის ემოციებზე გავლენის მოხდენის უნარი.

მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის საკვლევი ტესტი (MSCEIT)

ემოციური ინტელექტის, როგორც უნარის მოდელის საფუძველზე შეიქმნა მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის საკვლევი ტესტი (MSCEIT) [18]. ტესტი წარმოადგენს ემოციური უნარების შეფასებაზე დაფუძნებულ ტესტს და ზომავს მაიერის და სალოვეის მიერ გამოყოფილ ემოციური ინტელექტის 4 ძირითად სფეროს. ტესტი მოიცავს 141 დებულებას და იძლევა 15 სხვადასხვა მაჩვენებლის შეფასების საშუალებას: ემოციური ინტელექტის ტოტალური ქულა, ოთხი ძირითადი სფეროს მაჩვენებელი და 8 დავალების ქულა, გარდა ამისა, ტესტი იძლევა სამ დამატებით შეფასებით ქულას ემოციური ინტელექტისათვის [20].

მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის ტესტი (MSCEIT) მოიცავს 4 ძირითად სფეროს: (1) ემოციების აღქმა; (2) ემოციები გამოყენება კოგნიტური პროცესების გასაადვილებლად; (3) ემოციების გაგება; (4) ემოციების მართვა.

II. ემოციური ინტელექტი, როგორც დასწავლილი და შეძენილი კომპეტენცია

ემოციური ინტელექტის, როგორც კომპეტენციების მოდელი უკავშირდება დანიელ გოლემანის სახელს [12]. ამ მოდელის ფარგლებში ემოციური ინტელექტი არ განიხილება, როგორც თანდაყოლილი ნიჭი და უნარი, არამედ როგორც დასწავლილი და შეძენილი კომპეტენციების ნაკრები, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა გამოიმუშავოს და განავითაროს ინდივიდმა იმისათვის, რომ პროფესიულ თუ აკადემიურ სფეროში წარმატებას მიაღწიოს [5]. გოლემანის აზრით, ადამიანები იბადებიან ზოგადი ემოციური ინტელექტით, რომელიც განსაზღვრავს ემოციური კომპეტენციების დაწავლის პოტენციალს [4].

ემოციური ინტელექტის, როგორც კომპეტენციის მოდელის მიხედვით, ემოციურ ინტელექტს კოგნიტურ ინტელექტთან ერთად თანაბარი წვლილი შეაქვს ინდივიდის ზოგადი ინტელექტის ფორმირებაში, მაგრამ კორელაცია ინტელექტის ამ ორ სახეს შორის ნულოვანია [13; 16; 2]. მოდელში ხაზგასმულია, რომ ემოციური ინტელექტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აკადემიურ თუ პროფესიულ წინსვლასა და კარიერაში და რაც უფრო მაღალ თანამდებობაზეა ადამიანი მით უფრო მნიშვნელოვანია ეს წვლილი [13], მაგრამ ავტორი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ ფაქტსაც, რომ ემოციური ინტელექტი აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას წარმოადგენს წარმატების მისაღწევად.

გოლემანის მოდელი ხშირად იმსახურებს მკვლევართა მხრიდან კრიტიკას, როგორც მოდელი, რომელიც "პოპ ფსიქოლოგიის" მოდელს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მეცნიერულად და ემპირიულად დასაბუთებულ თეორიულ ჩარჩოს [21] თუმცა, ავტორები აღნიშნავენ, რომ ხშირად მოდელის მცდარ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე [6].

ემოციური *ინტელექტის*, როგორც კომპეტენციის მოდელში გამოყოფილია ემოციური ინტელექტის ოთხი ძირითადი კომპონენტი: (1) თვით-ცნობიერება – ინდივიდის მიერ საკუთარი ემოციების წაკითხვის და მათი გავლენის გარკვევის უნარი და ამ ინფორმაციის გამოყენება გადაწყვეტილების მისაღებად; (2) თვით-მართვა – მოიცავს ინდივიდის ემოციების და იმპულსების კონტროლს და გარემოს გამოწვევებთან ადაპტაციას; (3) სოციალური ცნობიერება – სხვა ადამიანის ემოციების გაგების, განცდის და ამ ემოციებზე რეაგირების უნარი, რომელიც გამოიყენება სოციალურ „ქსელში“ ფუნქციონირებისათვის; (4) ურთიერთობების მართვა – კონფლიქტის მართვისას სხვა ადამიანებზე გავლენის მოხდენის უნარი. თითოეული ეს ფაქტორი თავის მხრივ, მოიცავს ემოციური კომპეტენციების მთელ რიგს.

ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი (ECI)

ემოციური ინტელექტის, როგორც ემოციური და სოციალური კომპეტენციების მოდელის [12] საფუძველზე შეიქმნა ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი (ECI) [15], რომლის საშუალებით იზომება ინდივიდის ემოციური და სოციალური კომპეტენციები ორგანიზაციულ გარემოსთან მიმართებაში. კითხვარი არ გამოიყენება პროფ-შერჩევის მიზნით, არამედ გამოიყენება განვითარების მიზნით ორგანიზაციებში ემოციური ინტელექტის ტრენინგების დასაგეგმად.

ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი მოიცავს 18 სკალას, რომელიც ოთხ კლასტერში ერთიანდება:

- (1) თვით-ცნობიერება - გულისხმობს შინაგანი მდგომარეობის, პრიორიტეტების, რესურსების, განცდების ცოდნას. ეს კლასტერი მოიცავს სამ კომპეტენციას: (ა) ემოციური ცნობიერება; (ბ) ადეკვატური თვით-შეფასება; (გ) თვით-დარწმუნებულობა.
- (2) თვით-მართვა – გულისხმობს შინაგანი მდგომარეობის, იმპულსების და რესურსების მართვას. მოიცავს 6 კომპეტენციას: (ა) ემოციური თვით-კონტროლი; (ბ) ღიაობა; (გ) ადაპტურობა; (დ) მიღწევა; (ე) ინიციატივა; (ვ) ოპტიმიზმი.
- (3) ცნობიერება - ურთიერთობების მართვის უნარი და სხვა ადამიანთა მოთხოვნილებების, საჭიროებების, გრძნობების შესახებ ცოდნა. მოიცავს სამ კომპეტენციას: (ა) ემპათია; (ბ) ორგანიზაციული ცნობიერება; (გ) მომხმარებლის საჭიროებების ცოდნა, წინასწარგანჭვრეტა და გათვალისწინება.
- (4) ურთიერთობების მართვა - გულისხმობს სხვა ადამიანთა მხრიდან არასასურველი ემოციური რეაქციების მართვის უნარს. ურთიერთობების მართვის კლასტერი მოიცავს 6 კომპეტენციას: (ა) განვითარება; (ბ) ლიდერობა; (გ) ცვლილებების მართვა და წამოწყება; (დ) სხვებზე გავლენის მოხდენის უნარი; (ე) კონფლიქტის მართვა; (ვ) ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობა.

III. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელი

(1) *ბარ-ონის სოციალურ-ემოციური ინტელექტის მოდელი* - მოდელის თანახმად, ემოციური ინტელექტი წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებული ემოციური და სოციალური

კომპეტენციების, უნარების და ჩვევების ნაკრებს, რომელიც განსაზღვრავს რამდენად კარგად წარმოაჩენს ინდივიდი თავს, რამდენად იცის საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორ ამყარებს სოციალურ ურთიერთობებს და როგორ უმკლავდება ყოველდღიურ მოთხოვნებს, გამოწვევებს და დატვირთვებს [3]. ბარ-ონის სოციალურ-ემოციური ინტელექტის მოდელში ემოციური და სოციალური კომპეტენციები, უნარები და ჩვევები ერთიანდება 5 დიდ ფაქტორად: (1) ინტერპერსონალური სფერო (თვით-ცნობიერება და თვით-ექსპრესია); (2) ინტერპერსონალური სფერო (სოციალური ცნობიერება და ინტერპერსონალური ურთიერთობები); (3) სტრესის მართვა (ემოციების რეგულაცია და მართვა); (4) ადაპტაცია (ცვლილებების მართვა); (5) ზოგადი გუნება-განწყობილება (თვით-მოტივაცია). თითოეული ეს ფაქტორი კი თავის მხრივ, მოიცავს კომპეტენციების მთელ რიგს.

ინტერპერსონალურ დონეზე, ემოციურად და სოციალურად ინტელექტუალური ქცევა ნიშნავს, რომ ინდივიდს აქვს უნარი გაიგოს სხვა ადამიანის ემოციები, გრძნობები და დაამყაროს თანამშრომლობითი, კონსტრუქციული ურთიერთობები. შესაბამისად, სოციალურად და ემოციურად ინტელექტუალური ქცევა ნიშნავს პერსონალური, სოციალური და გარემოს ცვლილებებისადმი გამკლავებას, პრობლემების გადაჭრას და გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებების მიხედვით, ამის მოსახერხებლად კი აუცილებელია ემოციების მართვა ისე, რომ ემოციები ხელს უწყობდეს ოპტიმიზტურ, პოზიტიურ და თვით-მოტივაციურ ქცევას.

მაშასადამე, ბარ-ონის სოციალურ-ემოციური ინტელექტის მოდელის თანახმად, ემოციური ინტელექტი არის არაკოგნიტური უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც განაპირობებს ყოველდღიური მოთხოვნების, გამოწვევების და დატვირთვის წარმატებით გამკლავებას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავისუფლად იყენებს ტერმინებს: უნარები და ინტელექტი, ცხადია, რომ მოდელი გულისხმობს დისპოზიციებს და უნარების თვით-აღქმას, რომელიც ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის ასპექტებს წარმოადგენს.

ბარ-ონის ემოციის კოეფიციენტის საკვლევი კითხვარი (EQ-I, EQ-360⁰, EQ-i: YV).

ემოციის კოეფიციენტის საკვლევი ინსტრუმენტი შეიქმნა ბარ-ონის ემოციურ-სოციალური ინტელექტის მოდელის შესაფასებლად [1]. არსებობს ინსტრუმენტის სამი სხვადასხვა ფორმა: (1) EQ-I წარმოადგენს თვით-ანგარიშის ტიპის საკვლევ კითხვარს და მოწოდებულია სოციალურ-ემოციურ ინტელექტთან დაკავშირებული კონსტრუქტების გასაზომად ზრდასრულ ინდივიდებში; (2) EQ-360⁰ არის 360⁰ ტიპის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს ინდივიდის ემოციური უნარები თანამშრომელთა მიერ; (3) EQ-i: YV წარმოადგენს ემოციური ინტელექტის შესაფასებელ ინსტრუმენტს ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

EQ-I შედგება 133 დებულებისაგან და საშუალებას იძლევა შეფასდეს, როგორც ემოციის საერთო კოეფიციენტი, ასევე 15 ცალკეული სკალის მონაცემი [3]. მოიცავს შემდეგ სკალებს შესაბამისი ასპექტებით:

- (1) ინტერპერსონალური სფერო (თვით-ცნობიერება და თვით-ექსპრესია): (ა) თვით-პატივისცემა; (ბ) ემოციური თვით-ცნობიერება; (გ) ემოციური დამოუკიდებლობა; (დ) თვით-აქტუალიზაცია.
- (2) ინტერპერსონალური სფერო (სოციალური ცნობიერება და ინტერპერსონალური ურთიერთობები): (ა) ემპათია; (ბ) სოციალური პასუხისმგებლობა; (გ) ინტერპერსონალური ურთიერთობები.
- (3) სტრესის მართვა (ემოციების რეგულაცია და მართვა): (ა) სტრესის მიმართ ტოლერანტობა; (ბ) იმპულსების კონტროლი.
- (4) ადაპტურობა (ცვლილებების მართვა): (ა) რეალობის შემოწმება; (ბ) ფლექსიბილურობა; (გ) პრობლემის გადაჭრა.
- (5) ზოგადი გუნება-განწყობილება (თვით-მოტივაცია): (ა) ოპტიმიზმი; (ბ) ბედნიერება.

(2) ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელი - მოდელის ავტორები [23] ემოციურ ინტელექტს განიხილავენ, როგორც „ემოციებთან დაკავშირებულ თვით-პერცეპციების ერთობლიობას, რომელიც პიროვნული იერარქიის ქვედა დონეზე მდებარეობს“ [27]. კონსტრუქტის ალტერნატიულ სახელწოდებად ავტორები გვთავაზობენ ტერმინს: „ემოციური თვით-ფექტურობა, როგორც პიროვნული ნიშანი“. მოდელის თანახმად, ემოციური ინტელექტი წარმოადგენს ემოციური

უნარების თვით-აღქმების ერთობლიობას. კონსტრუქტის, როგორც პიროვნული ნიშნის კონცეპტუალიზაცია ემოციური ინტელექტის ცნებას მთლიანად კოგნიტური უნარების ტაქსონომიის ფარგლებს აცდის [26].

ემოციური ინტელექტის არსებული მოდელების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე ავტორებმა [24; 25] ემოციური ინტელექტში გააერთიანეს პიროვნების ისეთ სფეროები როგორცაა ემპათია და ასერტულობა [11], ასევე, სოციალური ინტელექტის ცალკეული ასპექტები [30] პიროვნული ინტელექტი [10] და ემოციური უნარები [17].

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი ცალკე მდგომ კონსტრუქტს წარმოადგენს (რადგან შესაძლებელია მისი იზოლაცია პიროვნულ სივრცეზე), არის ერთი მთლიანი კონსტრუქტი და აქვს სტრუქტურა (რადგან ნაწილობრივ დეტერმინირებულია რამოდენიმე პიროვნული განზომილებით) და მდებარეობს პიროვნული იერარქიის ქვედა დონეზე (რადგან ფაქტორული ანალიზის შედეგები მოწმობს, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი დახრილ და არა ორთოგონალურ მიმართებაში იმყოფება გიგანტური სამეულის და დიდი ხუთეულის განზომილებებთან).

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელის დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ ემოციური ინტელექტის, როგორც ემოციური თვით-ეფექტურობის კონცეპტი უკავშირდება დიფერენციალური ფსიქოლოგიის ლიტერატურას.

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (TEIQue).

ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის განმარტება ხაზს უსვამს ქცევით დისპოზიციებს და უნარების თვით-აღქმას, რომელიც თვით-ანგარიშის ტიპის კითხვარით იზომება, განსხვავებით ემოციური ინტელექტის, როგორც უნარის მოდელისგან, რომლის შესაფასებელი ინსტრუმენტი შესრულებაზე დაფუძნებულ ტესტს წარმოადგენს (ისევე, როგორც ეს კოგნიტური ინტელექტის შემთხვევაშია). შესაბამისად, ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი წარმოადგენს 153 დებულებიან თვით-ანგარიშის კითხვარს [28], რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ემოციური ინტელექტის 15 ცალკეული ასპექტი, 4 ძირითად ფაქტორი და ემოციური ინტელექტის გლობალური ქულა:

- (1) კარგად ყოფნა (ჰელ-ბეინგ) - კარგად ყოფნის გენერალიზებული განცდა, ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების განცდა. ფაქტორი მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ოპტიმიზმი; (ბ) თვით-შეფასება; (გ) ბედნიერება.
- (2) თვით-კონტროლი - ცდუნებების და სურვილების კონტროლი, გარემოს ზეწოლასა და სტრესთან გამკლავება. მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ემოციების რეგულაცია (ბ) იმპულსურობა (დაბალი); (გ) სტრესის მართვა.
- (3) ემოციურობა - მრავალფეროვანი ემოციური უნარების ფლობა. საკუთარი და სხვისი ემოციების აღქმა, გამოხატვა და ახლო ურთიერთობების დამყარების უნარი, მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ემპათია; (ბ) ემოციების აღქმა; (გ) ემოციების გამოხატვა; (დ) სოც. ურთიერთობები (მჭიდრო).
- (4) სოციალურობა - სოციალური ურთიერთობების და სოციალური გავლენების უნარი, მოიცავს შემდეგ სკალებს: (ა) ემოციების მართვა; (ბ) ასერტულობა; (გ) სოციალური ცნობიერება

გარდა ამისა, ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი მოიცავს ორ სფეროს, რომელიც არ მიეკუთვნება ძირითად ფაქტორებს: (ა) ადაპტაცია და (ბ) მოტივაცია.

IV. ემოციური ინტელექტის ეკლექტიკური მოდელი

ემოციური ინტელექტის ეკლექტიკური მოდელის ავტორები [22] არ გვთვალავენ ემოციური ინტელექტის განსხვავებულ მოდელს და არც ცალკეულ და განსხვავებულ განმარტებას, არამედ ისინი ცდილობენ არსებული მოდელების კომპონენტების შეჯერებას და თეორიულად ვარაუდობენ ემოციური ინტელექტის 5 დიდი ფაქტორის არსებობას და ეს ფაქტორები წარმოადგენს ისეთ ფაქტორებს, რომელიც ფაქტობრივად სხვადასხვა ცალკეულ მოდელშია განხილული. ეს ფაქტორებია: (1) ემოციური თვით-ცნობიერება და ემოციების გამოხატვა – გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი

ემოციების აღქმის, გაგების და გამოხატვის უნარს; (2) ემოციური ცნობიერება – გულისხმობს სხვა ინდივიდის ემოციების აღქმის და გაგების უნარს; (3) ემოციური არგუმენტაცია (რეასონინგ) გულისხმობს ემოციების გამოყენების უნარს აზროვნების პროცესში; (4) ემოციური თვით-მართვა – გულისხმობს საკუთარი ემოციების მართვისა და რეგულაციის უნარს; (5) სხვა ადამიანთა ემოციების მართვა – გულისხმობს ინდივიდის მიერ სხვა ადამიანის ემოციების ეფექტური რეგულაციისა და მართვის უნარს.

აღსანიშნავია, რომ ავტორებს ემოციური ინტელექტის თითოეული კომპონენტი შესაბამისობაში მოჰყავთ სხვა ავტორების მიერ გამოყოფილ კომპონენტებთან, რომელიც განსხვავებული დასახელებებით არის მოხსენიებული ლიტერატურაში. მაგრამ ემოციური ინტელექტის ამ ფაქტორულმა კომბინაციამ ემპირიული დასაბუთება ვერ მოიპოვა ხუთივე ფაქტორისათვის. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ უმჯობესია ემოციური ინტელექტის კომპონენტები განვიხილოთ არა, როგორც ერთმანეთთან ორთოგონალურ, არამედ როგორც დახრილ მიმართებაში მყოფი ფაქტორები. ავტორების აზრით, ფაქტორული ანალიზის შედეგები ემოციური ინტელექტის, როგორც უნიფაქტორული კონსტრუქტის კონცეპტუალიზაციის სასიკეთოდ მეტყველებს.

მაშასადამე, დღესდღეობით, არსებობს ემოციური ინტელექტის შესახებ სამი ძირითადი თეორიული მოდელი, რომელიც ემოციური ინტელექტის განსხვავებულ კონცეპტუალიზაციას გვთავაზობს: (1) ემოციური ინტელექტი, როგორც უნარი; (2) ემოციური ინტელექტი, როგორც პიროვნული ნიშანი და (3) ემოციური ინტელექტი, როგორც დასწავლილი და შეძენილი კომპეტენცია. თუმცა, რიგი ავტორებისა აღნიშნავს, რომ ეს მოდელები ერთმანეთის შემავსებელ მოდელებს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ერთმანეთის საწინააღმდეგო მოდელებს [7]. არსებობს ამ მოდელების ერთმანეთთან შეჯერების მცდელობაც (ეკლექტური მოდელი), თუმცა, ამ თეორიულმა ჩარჩომ ემპირიული დასაბუთება ვერ მოიპოვა. განსხვავებულია საზოგადოებრივი ინსტრუმენტებიც, რომელიც ამ მოდელებს საფუძველზე შეიქმნა. ყველაზე ცნობილ და ფსიქომეტრულ თვალსაზრისით გამართულ ემოციური ინტელექტის საზოგადოებრივი ინსტრუმენტებს წარმოადგენს: **მაიერ-სალოვეი-კარუზოს ემოციური ინტელექტის საკვლევი ტესტი (MSCEIT)**; **ბარ-ონის ემოციის კოეფიციენტის საკვლევი კითხვარი (EQ-I)**, ემოციური და სოციალური კომპეტენციების საკვლევი კითხვარი (ECI) და ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (TEQue).

ლიტერატურა:

1. Bar-On, R. (1997). *Emotional Quotient Inventory: Technical Manual*. Toronto: Multi-Health Systems.
2. Bar-On, R. (2000). Emotional and social intelligence: Insights from the emotional quotient inventory. In R. Bar-On and J.D.A. Parker (Eds.), *Handbook of Emotional Intelligence*. San Francisco: Jossey-Bass.
3. Bar-On, R. (2006). The Bar-On model of emotional-social intelligence (ESI). *Psicothema*, (18 suppl) pp. 13-25.
4. Boyatzis, R., Goleman, D., & Rhee, K. (2000). Clustering competence in emotional intelligence: insights from the emotional competence inventory (ECI). In R. Bar-On & J.D.A. Parker (eds.): *Handbook of emotional intelligence* (pp. 343-362). San Francisco: Jossey-Bass
5. Bradberry, Travis and Greaves, Jean. (2009). "Emotional Intelligence 2.0". San Francisco: Publishers Group West
6. **Cherniss, C., Extein, M., Goleman, D., Weissberg, R. (2006)** Emotional Intelligence: What Does the Research Really Indicate? **Educational Psychologist**, 41, 4, 239 – 245)
7. Ciarrochi, J., Chan, A., & Caputi, P. (2000). A critical evaluation of the emotional intelligence construct. *Personality and Individual Differences*, 28, 539-561.
8. Cooper, R. K., & Sawaf, A. (1997). *Executive EQ: emotional intelligence in leadership and organizations*. New York: Grosset Putnum
9. Grosset PutnumEmmerling, R. J., Shanwal, V. K., & Mandal, M. K. (Eds.) (2008). *Emotional intelligence: Theoretical and cultural perspectives*. Nova Science Publishers.

10. Gardner, Howard. (1983) *Frames of Mind: The Theory of Multiple Intelligences*. New York: Basic Books.
11. Goleman, D. (1995). *Emotional intelligence: why it matters more than IQ*. New York: Bantam Books
12. Goleman, D. (1998). *Working with emotional intelligence*. New York: Bantam Books
13. Goleman, D. (2000). Emotional intelligence: Issues in paradigm building. In D. Goleman, & C. Cherniss (eds.), *The Emotionally Intelligent Workplace: How to Select for, Measure, and Improve Emotional Intelligence in Individuals, Groups, and Organizations*. San Francisco, CA: Jossey-Bass.
14. Goleman, D. (2001), "An EI-based theory of performance", in Cherniss, C., Goleman, D. (Eds.), *The Emotionally Intelligent Workplace: How to Select for, Measure, and Improve Emotional Intelligence in Individuals, Groups, and Organizations*, Jossey-Bass, San Francisco, CA, pp.27-44.
15. Hay Group McClelland Center for Research and Innovation (2005) *Emotional Competence Inventory (ECI) Technical Manual*.
16. Mayer, John. (2000). Presentation at Linkage Emotional Intelligence Conference, London, May 18.
17. Mayer, J. D. & Salovey, P. (1997). What is emotional intelligence? In P. Salovey & D. Sluyter (Eds). *Emotional Development and Emotional Intelligence: Implications for Educators* (pp. 3-31). New York: Basic Books.
18. Mayer, J. D., Salovey, P., Caruso, D. R., & Sitarenios, G. (2003). Measuring emotional intelligence with the MSCEIT V2.0. *Emotion*, 3, 97-105.
19. Mayer, J.D., Caruso, D., & Salovey, P. (2000) Selecting a measure of emotional intelligence: The case for ability scales. in R. Bar-on & J.D. Parker (Eds.), *Handbook of Emotional Intelligence* (pp. 320-342). New York: Jossey-Bass.
20. Mayer, J. D., Salovey, P. , and Caruso, D. R. (2002). "*Mayer-Salovey-Caruso Emotional Intelligence Test (MSCEIT)*", Toronto, Ontario: Multi-Health Systems, Inc.
21. Mayer, J., Roberts R. & Barsade, S.G. (2008). Human Abilities: Emotional Intelligence. *Annual Review of Psychology*, 59, 507-536
22. Palmer, B.R., Gignac, G., Ekermans, G., & Stough, C. (2008). A comprehensive framework for emotional intelligence. In R. J. Emmerling, V. K. Shanwal, M. K. Mandal, (Eds). *Emotional Intelligence: Theoretical & Cultural Perspectives* (pp. 17 – 38). New York: Nova Science Publishers.
23. Petrides, K. V., & Furnham, A. (2000). On the dimensional structure of emotional intelligence. *Personality and Individual Differences*, 29, 313–320.
24. Petrides, K. V. & Furnham, A. (2001). Trait emotional intelligence: Psychometric investigation with reference to established trait taxonomies. *European Journal of Personality*, 15, 425-448.
25. Petrides, K. V. & Furnham, A. (2003). Trait emotional intelligence: Behavioural validation in two studies of emotion recognition and reactivity to mood induction. *European Journal of Personality*, 17, 39-57
26. Petrides, K. V., Pérez-González, J. C., & Furnham, A. (2007). On the criterion and incremental validity of trait emotional intelligence. *Cognition and Emotion*, 21, 26-55.
27. Petrides, K. V., Pita, R., Kokkinaki, F. (2007). The location of trait emotional intelligence in personality factor space. *British Journal of Psychology*, 98, 273-289
28. Petrides, K.V. (2009). *TEIQue technical manual*. University College of London
29. Salovey, P. & Mayer, J.D. (1990). Emotional intelligence. *Imagination, Cognition, and Personality*, 9, 185-211.
30. Thorndike, R.K. (1920). *Intelligence and Its Uses*, Harper's Magazine 140, 227-335
31. Wechsler, D. (1940). Non-intellective factors in general intelligence. *Psychological Bulletin*, 37, 444-445.

Resume

The paper presents a short overview of Emotional Intelligence (EI), describes its theoretical models and measurement methods. It presents three different models and approaches to the concept of EI: (1) Ability-Based Model: According to this model, emotional intelligence is the ability to process emotional information. The model defines EI as the ability to perceive, understand, express, manage and regulate emotions (J. D. Mayer & P. Salovey, 1997); (2) Emotional Competencies Model. According to this model EI is a constellation of learned and acquired competencies developed throughout life (Goleman, 1998); (3) Trait EI Model (Bar-on 2006, Petrides & Furnham, 2000). Petrides and his colleagues suggest that Trait EI is ‘a constellation of emotional self-perceptions located at the lower levels of personality’. The paper also discusses the EI measurement instruments based on these three models: Mayer-Salovey-Caruso Emotional Intelligence Test (MSCEIT); Emotional and Social Competency Inventory (ECI); Bar-On Emotion Quotient Inventory (EQ-I, EQ-360⁰, EQ-i: YV); Trait Emotional Intelligence Questionnaire (TIEQue).

ТАТЬЯНА ТИТАРЕНКО

**ПРОГНОЗИРОВАННОЕ САМООСУЩЕСТВЛЕНИЕ И
КАЧЕСТВО ЖИЗНИ ЛИЧНОСТИ: украинский контекст**

*Институт социальной и политической психологии
Академии педагогических наук Украины*

Ключевые слова: прогнозирование будущего, качество жизни, жизненный выбор, притязания личности, жизненные задачи.

В Украине психологических исследований, посвященных качеству жизни, к сожалению, мало. Одна из предпосылок игнорирования проблемы, по всей видимости, кроется в недавнем марксистском прошлом с его коллективистской идеологией и полным отсутствием интереса к тому, удовлетворен ли каждый конкретный человек тем, как он живет. Теперь, когда жители нашей страны резко погрузились в стихию «дикого» капитализма, более актуальными стали проблемы жизнестойкости, предприимчивости, безопасности, выживания. Такой своеобразный социально-исторический контекст пока мешает отечественной психологической науке повернуться лицом к удовлетворенности жизнью, ее наполненности.

В работах отечественных экономистов, социологов, демографов, географов исследование качества жизни только начинаются. В работе Т.С.Стрелецкой [10] в качестве показателей качества жизни населения как совокупности жизненных ценностей, характеризующих виды деятельности, структуру потребностей и условия существования, проанализированы заработная плата, продолжительность жизни и прожиточный минимум. И.В.Гукалова [2], О.В.Машкова [7], Н.В.Парфенова [9] уделяют больше внимания пространственным, географическим аспектам формирования качества жизни населения и ищут пути улучшения уровня жизни в регионах. Региональные аспекты качества жизни предлагается анализировать по таким показателям, как этнический состав населения, социально-экономическое развитие области, интенсивность проникновения тенденций глобализации, уровень урбанизации.

Современные социологические исследования качества жизни связаны с анализом последствий трансформационных процессов – снижением уровня жизни, состояния здоровья, ухудшением социальной адаптации, рассмотрением социальной составляющей качества жизни как критериального показателя эффективности социальной политики. В то же время анализ методик измерения качества жизни, используемых в Украине, свидетельствует о том, что в большинстве случаев измеряется все же уровень жизни, а не ее качество. Количественные показатели, как отмечает А.М.Щербата, не отражают качественной характеристики удовлетворения потребностей человека, социальной группы, общества в целом. Более продуктивно рассматривать качество жизни через

призму степеней социальной свободы, возможностей развития личности, реализации ее способностей, интересов [17].

В отличие от психологов, социологи, занимающиеся качеством жизни, больше интегрированы в общеевропейский исследовательский контекст, что, безусловно, способствует интенсификации научного поиска. Так, эмпирической базой диссертации Е.Н.Плаховой [3] являются материалы международного исследовательского проекта «Условия жизни, способ жизни и здоровье населения в странах бывшего СССР» по программе Еврокомиссии “Copernicus- 2”. В этом исследовании показано, что состояние социального качества жизни зависит не только от удовлетворения базовых потребностей населения, но и от возможности со стороны государства создать благоприятные условия для формирования, развития и реализации социальных потребностей личности.

К вопросам качества жизни как эколого-психологической проблеме обращается Ю.М.Швалб [16]. Среди психологов, изучавших психологическое благополучие как важнейший показатель качества жизни, следует назвать В.Н.Духневича [4], который анализировал влияние личностных характеристик психолога на качество его профессиональных услуг. Он рассматривал самоактуализацию как базовую характеристику психологического благополучия, а симптомы профессионального выгорания – как показатель нарастания психологического неблагополучия. По данным эмпирического исследования эффективность деятельности имеет тесные корреляционные связи с такими параметрами самоактуализации, как потребность в познании, спонтанность, аутосимпатия, контактность.

ВЛИЯНИЕ ПРОГНОЗИРОВАНИЯ БУДУЩЕГО НА СУБЪЕКТИВНОЕ БЛАГОПОЛУЧИЕ

Проблема качества жизни личности, понимаемого прежде всего как высокий уровень ее прогнозируемого самоосуществления, поднимается в исследованиях, проводимых в лаборатории социальной психологии личности Института социальной и политической психологии Академии педагогических наук Украины на протяжении последнего десятилетия. Мы анализируем специфику моделирования будущего, способы самоконструирования, оказывающие влияние на удовлетворенность собой и собственной жизнью [11] [12] [13].

Чтобы проверить гипотезу о роли влияния личностного прогноза на субъективное благополучие, нашей аспиранткой Э.И.Кологривовой в 2004-2007 гг. было проведено эмпирическое исследование. В ее диссертации [6] в качестве формы прогноза были избраны личностные стремления, а субъективное благополучие определялось как удовлетворенность жизнью, проявляющаяся в превалировании позитивных переживаний по поводу настоящего и положительном отношении к собственному будущему. Мы предположили, что повышение продуктивности личностных стремлений может повысить субъективное благополучие личности.

Чтобы определить особенности влияния стремлений личности на переживание субъективного благополучия, было проведено эмпирическое исследование, в котором приняли участие 207 человек от 19 до 28 лет, среди которых 104 женщины и 103 мужчины. Для исследования специфики моделирования будущего был использован Пакет оценки стремлений Р.Эммонса и футурологический нарратив на тему «К чему я стремлюсь: мое будущее». Эмоциональная составляющая субъективного благополучия исследовалась с помощью Обновленного Оксфордского опросника счастья (Oxford

Happiness Inventory – OHI; Argyle, 1989) и Шкалы субъективного благополучия (Perrudel-Badoux, Mendelsohn, 1988). Исследование когнитивной составляющей проводилось при помощи Шкалы удовлетворенности жизнью (Satisfaction with Life Scale – SWLS, Diener, 1993) и разработанной диссертанткой Анкеты удовлетворенности жизнью.

В результате определения индекса субъективного благополучия выборка распределилась на три группы: с высоким (37%), средним (37 %) и низким (25 %) переживанием благополучия. В группе женщин оказалось практически вдвое больше неблагополучных, чем в группе мужчин, и только каждая пятая переживала благополучие на высоком уровне. Вероятно, одной из причин такого распределения является традиционный гендерный перекос в оценке жизненных перспектив, характерный для современного украинского социума.

При исследовании стремлений стало очевидным, что среди испытуемых с продуктивными стремлениями, составивших только половину выборки, значимое большинство имеет высокий уровень субъективного благополучия. Эти молодые люди уверены, что большинство их сегодняшних стремлений будут реализованы в будущем, поскольку они умеют ставить достижимые цели, соотносят их с собственными ресурсами и спецификой складывающихся обстоятельств. Стремления исполняют свою стимулирующую функцию не тогда, когда они просто желанны и приятны для человека, а когда адекватно оценивается уровень их достижимости и учитываются ресурсы, связанные с актуальной жизненной ситуацией. Направляющая функция стремлений проявляется в выборе интраперсональных и интерперсональных стремлений. Интерперсональные стремления интерпретировались как стремления к материальному благополучию, социальному признанию, популярности, влиянию на окружающих, оказались более характерными для группы испытуемых с высоким уровнем благополучия. Оказалось, что интраперсональные стремления, а именно стремления, связанные с собственным развитием, переживанием привязанности, любви, сохранением здоровья, практически не встречались в группе испытуемых с низким уровнем благополучия. Наблюдалось увеличение, от группы субъективно благополучных к группе неблагополучных, количества стремлений, связанных с позиционированием, и уменьшение стремлений к власти.

В результате анализа гендерных различий в стремлениях у женщин более продуктивной оказалась близкая и конкретная жизненная перспектива, тогда как у мужчин – более расплывчатая и отдаленная. Женщины больше направлены на решение таких актуальных жизненных задач, как создание семьи и автономизация от родителей. Стремления мужчин более глобальны, связаны с достижением жизненного успеха и требуют значительного времени для своего осуществления. Было установлено, что уровень продуктивности стремлений находится в позитивной корреляционной связи с уровнем субъективного благополучия и, соответственно, зрелые личностные стремления могут детерминировать повышение качества жизни, если одновременно проявляются в таких функциях как направляющая, стимулирующая и выдерживающая баланс адаптации и самоактуализации.

Убедившись, что прогнозирование будущего оказывает непосредственное влияние на личностное самоосуществление, мы провели комплексные исследования жизненного выбора и жизненных притязаний.

ЖИЗНЕННЫЙ ВЫБОР И ПРИТЯЗАНИЯ ЛИЧНОСТИ

В соответствии с нашими предположениями, личность оказывается готовой прогнозировать будущее, строить модели самоосуществления, когда оказывается перед необходимостью жизненного выбора. Выбор становится движущей силой, способом детерминации личностного самоконструирования, стратегическим решением, стимулируемым жизненными событиями и внутренней неудовлетворенностью происходящим, желанием изменить направление жизненного пути на определенном его этапе. Потребность в осуществлении выбора предполагает неудовлетворенность личности собой и тем жизненным миром, который она построила, неудовлетворенность способом жизни, ее продуктивностью, качеством.

Оговоримся, что в исследовании как выбора, так и притязаний, и задач мы опирались на концепцию жизненного мира личности, разработанную мною в докторской диссертации [18]. Будучи концептуальной моделью реальности, жизненный мир описывает действительность при помощи различных перцептивных, вербальных, мифологических, символических языков, придающих ему особую форму и наделяющих своеобразным содержанием. В жизненном мире сосуществуют не реальные физические объекты, а их постоянно видоизменяемые субъективные интерпретации. Личность строит свой жизненный мир, структурируя внешнюю действительность в соответствии с внутренней, а внутреннюю – в соответствии с внешней путем многократных взаимопроекций. Процесс активного приспособления личности к окружающей действительности и одновременно изменения этой действительности, приспособления к себе происходит диалогично. Личность трансформируется и самоконституируется путем обновлений и перестроек собственного жизненного мира с его пространственно-временной структурой. Единицей измерения психологического пространства являются значимые отношения, а психологического времени – мера самореализованности, самоосуществленности. Структура жизненного мира является «многоэтажным» опосредованием структуры личности, условий ее жизни, пройденного ею пути, ожидаемого будущего [11][14].

Выбор является действенным прогнозированием будущего, а каждый конкретный выбор задает очередной горизонт прогноза. Благодаря вовремя сделанному выбору происходит трансформация старых жизненных смыслов и поиск смыслов более перспективных. Делая жизненные выборы, личность начинает причинно-следственные ряды, например, ряд семейного или профессионального самоосуществления. Овладение способностью делать самостоятельные выборы, определяя таким образом направление дальнейшего самоосуществления, увеличивает вероятность повышения качества жизни.

Несостоятельность в выборе – это неспособность определить альтернативы (которых далеко не всегда две), нечеткое их осознание, сложности с самостоятельным определением критериев выбора и неактуализированная потребность в обновлении жизненного мира, изменении качества жизни. Среди показателей неспособности выбирать – непропорционально большое время, необходимое для самонастройки, неразвитая готовность к обучению, усвоению опыта прошлых неудач, а также тип личностной дисгармонии, приобретенной в процессе возрастных модификаций жизненного мира.

Самоорганизация личностью собственной жизни является упорядочиванием ее спонтанности

путем выбора направления движения в соответствии с заданными критериями оптимальности. Эти критерии можно рассматривать как систему разнокачественных фильтров, в основе которых лежат такие априори, как психологическое пространство, время, развитие. Были выделены следующие критерии готовности к совершению личностно значимых выборов:

- самоорганизационный (переструктурирование личностью собственной жизни как динамическое упорядочивание ее спонтанности путем выбора направления движения по параметрам оптимальности);
- психосемантический (выбор новых интерпретаций полученного опыта по параметрам понимания, удобства, непротиворечивости);
- субъектный (актуализация способности отвечать за себя и за свою жизнь);
- функциональный (разработка техник бытия, облегчающих деятельность выбора);
- операциональный (развитие способности начинать выбор, преодолевать сложности старта, переходить от этапа к этапу, достигая качественно нового уровня самоосуществления) [8].

В качестве важнейшего условия эффективного выбора Л.А.Лепихова изучала социально-психологическую компетентность юношества. Гендерной тематизации жизненных выборов посвящено историко-культурное исследование И.В.Лебединской. Выбор в религиозной жизни, связанный с духовным ростом и приближением к какой-либо религиозной конфессии, духовной школе, исследовался Е.О.Любченко. Влияние ролевого конфликта и аутоагрессивных тенденций на стратегии выбора экспериментально изучались П.П.Горностаем, Т.О.Лариной. Факторы личностного выбора ВИЧ-инфицированной молодежи были в фокусе внимания Б.П.Лазоренко. Профессиональным и семейным выбором молодежи посвящены поисковые исследования Н.А.Татенко, О.Я.Кляпец (см. в [8]).

Следующий этап поиска путей прогнозируемого самоосуществления был связан с анализом жизненных притязаний, являющихся способом конструирования личностью себя и собственной жизни, способом построения адекватного собственным замыслам и возможностям социальной ситуации жизненного пути. Притязания, по нашему предположению, являются сложным механизмом прогнозирования личностью будущей достойной жизни. Действие этого механизма разворачивается поэтапно и складывается из трех «подмеханизмов». Прежде всего вступает семиотический механизм, благодаря которому туманные амбиции означиваются, а расплывчатое будущее структурируется. Далее активизируется механизм нарративизации, благодаря которому создается рассказ о будущей достойной жизни. При этом внутренние и внешние ограничения, включаясь в повествование, осознаются, а собственная роль как амплуа героя, воплощающего в жизнь свои замыслы, принимается. Возможность предвидеть качество будущей жизни увеличивается, когда критерием продвижения к желанной цели становится переживание правильности выбранного на сегодня способа жить, что отражается в рассказе о себе. На завершающей фазе разворачивания жизненных притязаний включается третий механизм, получивший название самоозадачивания. Разумеется, не все притязания «дорастают», «дозревают» до этой стадии, а только имеющие шанс преобразоваться в конкретные жизненные задачи, которые становятся способом оформления, операционализации замысла, связанного с будущей достойной жизнью [12].

В выполненной под моим руководством диссертации Л.М.Долгих [3] проверялось предположение о том, что личностные притязания, определяющие изменение качества жизни, могут изменяться под воздействием социальных стереотипов. Эмпирически изучалось влияние полоролевых стереотипов на карьерные притязания молодежи. Были использованы такие методики: сочинение «Мое профессиональное будущее», авторский опросник «Мои карьерные цели», анкета для изучения полоролевых стереотипов, модификация методики «Незаконченные предложения. Я – женщина (мужчина)», опросник С.Бем (Bem Sex Role Inventory), методика исследования уровня субъективного контроля. В исследовании приняли участие 98 женщин и 93 мужчины, студенты III-V курсов пяти вузов.

Выявлено, что позитивное отношение к карьере, признание ее важности для самоосуществления и повышения качества жизни практически одинаково для мужчин и женщин, хотя мужчины ответственнее в выборе стратегий реализации профессиональных притязаний. Интересно, что молодые женщины сегодня больше мужчин сориентированы на реализацию собственных профессиональных интересов в любимой работе, тогда как для мужчин важнее должность, право принимать решения, руководить. В выборе условий жизни, марки автомобиля или дополнительной недвижимости значимых различий между мужчинами и женщинами не обнаружено. Однако женщины чаще мужчин выбирают работу без риска, с невысокой, зато постоянной зарплатой и неспешным карьерным ростом. Уровень стереотипности полоролевых представлений, затрудняющий творческое моделирование будущего, у мужчин оказался более высоким, чем у женщин [3].

Данное исследование подтвердило гипотезу о зависимости структурирования будущего от определенных социальных стереотипов. Оказалось, что такие устойчивые стереотипы, как полоролевые, заставляют человека ориентироваться не только на реализацию своих личностных притязаний, но и на существующий в обществе имидж мужчины или женщины.

Чтобы понять, каким же образом структурирование будущего, определяющее качество жизни личности, детерминируется и личностью, и социумом, было задумано и под моим руководством выполнено диссертационное исследование Е.О.Черемных [15]. Работа была направлена на изучение мотивационно-смыслового структурирования будущего, разворачивающегося в диалоге создаваемых личностью текстов и текстов культуры.

Среди методов исследования применялись нарративное интервью, анкетирование, модифицированная для исследования перспективного жизнеструктурирования методика Р.Эммонса, качественный анализ нарративных рассказов и эквивалентных им форм я-текста. В качестве эмпирического объекта исследования была сформирована выборочная совокупность студентов в количестве 95 человек возрастом от 17 до 22 лет. В связи с «качественным» объемом выборки любые количественные сравнения в рамках данного исследования рассматривались как тенденции, требующие проверки.

Персональная нарративная идентичность трактовалась в данной работе как конструирование личностью собственной семантической целостности в психологическом времени и пространстве жизненного мира. Достигаемая целостность рассматривалась как осмысленность жизни, качество которой в результате соответствующего структурирования будущего удовлетворяет.

Исследование показало, что моделирование будущего происходит как событийное структурирование жизни, ее нарративизация в разных коммуникативных контекстах, где событие является маркером жизненного горизонта, а происходящее интерпретируется (символически означает) с учетом прошлого, настоящего и будущего.

Семантическая трансспектива жизни как процессуальность осмысленности открывается человеку через мотивационно-смысловое структурирование будущего как основной механизм достижения нарративной идентичности. В сегодняшней социокультурной ситуации целостная история жизни распадается на множество нарративов, характеризующихся временной и пространственной нетождественностью. Основным содержательным проявлением динамического структурирования будущего становится свобода разворачивания диалога Я-текста и текста культуры в форме экстерииоризационных и интериоризационных процессов идентификации.

Как оказалось, личность, структурирующая собственное будущее, опирается на следующие уровни мотивации:

- I. базально-потребительский (дефицитарная мотивация благополучия, комфорта, достатка, эмоционального тепла);
- II. уровень самоутверждения (статусно-самооценочные мотивы достижения, признания, власти, ответственности);
- III. уровень самоконституирования (мотивы личностного роста, самопознания, постижения мира);
- IV. уровень жизнотворчества (мотивы преобразования, улучшения жизни).

Учет субъективных оценок студентами жизненных событий позволил выделить методом факторного анализа следующие детерминанты мотивационно-смыслового структурирования будущего: уверенность в конкретном будущем, жизненная успешность, событийная определенность временной перспективы, интегрированность картины будущего в реальную жизненную ситуацию.

Е.О.Черемных эмпирически выделила семь способов структурирования будущего. Только два из них (к сожалению, в студенческие годы еще далеко не самые распространенные) имеют непосредственное отношение к стремлению молодых людей осознанно и последовательно оптимизировать качество жизни. Речь идет, во-первых, о модели самоконституирования, когда личность переосмысливает усвоенные ценности, а источником жизненных перемен становятся изменения себя через интеграцию нового опыта. Во-вторых, о творческой модели, когда ценности уже усвоены, интегрированы, а динамика происходит за счет изменений жизненной ситуации, расширения ее интерпретативных границ, привнесения в нее результатов жизненного выбора, совершения поступков.

В то же время наиболее популярными среди студенческой молодежи являются так называемые замещающие и примитивные модели нарративной идентичности. В замещающих моделях ценности хотя и оказываются усвоенными, однако не интегрируются вследствие самооценочного дефицита. Примитивные модели нарративной идентичности строятся без усвоения недефицитарных ценностей.

Модели самоконституирования и переосмысления (творческие) были рассмотрены как стадии разворачивания нарративной идентичности, что способствует повышению качества жизни и придает ей нефинальную процессуальность. Примитивные, замещающие, инфантильные модели, которые не способствуют достижению более высокого качества жизни, были проинтерпретированы как

результат реакции на нарушение свободного разворачивания процессов экстерииоризации и интериоризации [15].

В процессе исследования способов структурирования будущей жизни, качество которой будет выше теперешнего, ведущим научным сотрудником нашей лаборатории Л.А.Лепиховой [5] проведено эмпирическое исследование жизненных притязаний подростков, юношей и молодых учителей, показавшее, что достойная жизнь понимается большинством испытуемых как сочетание высокооплачиваемой, перспективной работы, крепкой семьи и здорового образа жизни. Если у подростков основное внимание сосредоточено на комфорте и самоутверждении в общении, то у старшеклассников значимость успешной учебы как будущего профессионального старта начинает преобладать. Молодые учителя видят высокое качество жизни прежде всего в достижении социального признания, повышении профессионального статуса.

Брачно-семейные притязания студентов рассмотрены в исследовании старшего научного сотрудника О.Я.Кляпец [5] как комплекс ожиданий, желаний, надежд относительно брачного партнера, детей, взаимоотношений, моделирующий достойную семью. Качество жизни в будущей семье определяется для молодых людей как душевный комфорт, любовь и уважение. На выработку брачно-семейных притязаний непосредственно влияет родительская семья с ее установками и ориентациями, распределение ролей внутри семьи, характер взаимодействия и воспитания. Нереалистические семейные ожидания партнеров могут приводить к эмоциональному выгоранию, проявляющемуся в обесценивании семейного образа жизни, пассивности и апатии во взаимоотношениях.

В результате проведенного ведущим научным сотрудником Б.П.Лазоренко [5] анализа специфики жизненных притязаний проблемной молодежи установлены механизмы вымогания и использования. Важной составляющей деформированных притязаний становится способность манипулятивно привлекать других людей, их ресурсы к повышению качества собственной жизни. Использование действует как навязчивые просьбы, заученная беспомощность, а вымогания – как психологическое насилие, попытки заставить окружение функционировать в собственных интересах. Притязания наркозависимой молодежи определяются конфликтом между наркофильной субличностью, стремящейся несмотря ни на что мгновенно достичь желанного комфортного состояния, и более сохранной субличностью, ориентированной на отдаленные жизненные перспективы.

Длительное пребывание молодого человека в Интернете, как показано в эмпирическом исследовании научного сотрудника В.В.Посоховой [5], негативно сказывается на качестве жизни, приводя к усложнению семейных и профессиональных отношений. Развитие зависимости затрудняет проектирование будущего, поскольку лишает человека возможности отделять реальные события от виртуальных. В результате наблюдается фактическое исключение из планов такой сферы жизни, как интимно-личностная.

Работа по оптимизации жизненных притязаний, направленных на повышение качества жизни, осуществлялась как в режиме индивидуальных консультаций, так и в режиме тренинговых занятий с подростками, юношами и молодыми людьми. Технологиями оптимизации притязательной активности личности в нашем комплексном исследовании были последовательно актуализируемые семиотизация, нарративизация и самоозадачивание. По нашим данным, семиотические технологии помогают первичному структурированию будущего путем наложения на него опережающих

ожиданий, стремлений, надежд. Технологии нарративизации способствуют моделированию будущего в контексте всей жизни человека, с учетом типичных и идеальных жизненных сценариев, интенсивности усилий, которые будут необходимы для получения желаемого результата. Технологии самоозадачивания связаны с актуализацией ответственности, формированием навыков самодистанцирования, развитием приемов саморегуляции [5].

ЖИЗНЕННЫЕ ЗАДАНИЯ КАК СПОСОБ ПРОГНОЗИРУЕМОГО САМООСУЩЕСТВЛЕНИЯ

Отразив результаты исследования жизненных притязаний в коллективной монографии [5], лаборатория социальной психологии личности перешла к изучению жизненных заданий как единиц смыслового структурирования будущего, конкретных способов самопрогнозирования, направленных на поэтапное повышение качества жизни не в далеком, а во вполне обозримом будущем. Структурируя будущее при помощи жизненных задач, человек определяет, в какой срок надо уложиться, чтобы не отстать от сверстников, своевременно пройти промежуточные возрастные старты.

Жизненные задания могут быть определены как способы избирательного осуществления наиболее важных и реальных в контексте ситуационных переменных форм самоконструирования. В заданиях, преобразующих жизненный мир, взаимно структурируются как время жизни, так и пространство значимых отношений. В соответствии с видением будущего жизненного этапа и переживанием ограниченности времени, отпущенного на его достижение, определенная область самореализации становится приоритетной и кто-то приобретает для человека новый статус, стремительно приближаясь или безнадежно отдаляясь. На структуру будущего влияет также сам нарратив, в форме которого личность формулирует и обосновывает для себя очередные задания, в частности, его жанр, фабула, сюжет.

В футурологическом нарративе, которым является развернутое и аргументированное жизненное задание, фабула (или тема), о которой писал Дж.Брунер [1], может быть связана с честолюбивой надеждой, настоящей верностью, страстной любовью, жадной власти, бескорыстным служением и подобными лейтмотивами, претендующими на универсальность. Фабулу называют сущностью рассказа, его моралью, идеологией. Сюжет воплощает фабулу в конкретном событийном ряду, предполагаемым как наполненное смыслом будущее личности. Благодаря сюжету фабула становится не декларацией, а развернутым повествованием. Жанром футурологического нарратива для некоторых становится сказка, другие предпочитают приключенческую историю, третьи выбирают любовный роман, и всякий раз сюжетные линии разворачиваются в соответствии с определенными правилами, включающими и специфику языка. Сюжетные композиции становятся не только модуляторами актуального поведения, но и конструктами, задающими тональность личностного будущего.

По законам построения рассказа текст о будущем, заключенный в жизненном задании, движется от завязки к кульминации и далее до желательного промежуточного финала, развязки, а также коды. Кода возвращает рассказчика в настоящее, помогает увидеть причинно-следственные связи, те сегодняшние действия, переживания, выводы, с которых незаметно начинается воплощение намеченных планов, реализация притязаний, достижение стремлений. Особое измерение наррации – фабульно-сюжетно-жанровое – ощутимо влияет на осмысление, формулирование и исполнение жизненного задания. События, которые, кажется, никак не связаны друг с другом, в рассказе о себе в своем желанном будущем как-то рационально или иррационально объединяются. Элементы, казав-

шиеся независимыми, сливаются воедино. Удачный сюжет, благополучно объединившись с фабулой и воплотившись в соответствующем жанре, как будто заряжает рассказчика своей энергетикой. Динамика футурологического нарратива, его художественная правда стимулируют человека, и намеченное жизненное задание начинает воплощаться. Автонарративы, интерпретируя прошлое, осмысливая настоящее и предвосхищая будущее, моделируют жизненный путь человека.

Среди характеристик жизненного задания, обычно становящихся компонентами его ацентричной, неиерархичной, динамичной структуры, назовем содержательную наполненность, результативность и энергетичность, действие которых приобретает решающее значение в стабильные периоды жизни. Такие компоненты задания, как креативность, адекватность и открытость, структурируют задание во время кризисных сломов жизненной траектории.

Жизненное задание, возникающее в результате взаимодействия определенных социокультурных контекстов с контекстами индивидуального жизнетворчества в результате диалога личности со своим окружением, способствует возрастанию ценности как собственного своеобразия, так и проживаемого жизненного этапа. Вызревая и оформляясь, жизненное задание из «смыслоискателя» постепенно преобразуется в «смыслоносителя», а в дальнейшем и в «смысловоплотителя» [13].

Исходя из содержания жизненных задач, К.О.Черемных [15] при участии сотрудников лаборатории разработала методику «Жизненные задачи личности» (ЖЗО), объединяющую группы шкал. Первая группа была направлена на выявление ведущей жизненной мотивации (индивидуальной – мотивы благополучия, комфорта, материальной обеспеченности; личностной – мотивы достижений, статуса, признания; бытийной – мотивы самоконституирования, жизнетворчества). Вторая группа шкал фиксировала приоритетные для локализации задач сферы жизни как контексты самоосуществления. Пилотажное исследование показало, что для молодежи такими сферами являются семья, здоровье, обучение, работа и дружеские отношения. В третью и четвертую группы показателей вошли шкалы субъектной активности, жизнестойкости, отношения к будущему, а также шкалы, характеризующие непосредственно способ постановки жизненных задач.

В целом все шкалы указывают на организованность самоосуществления при помощи жизненных задач, на общую структурированность времени жизни, перспективность задачного моделирования будущего, стратегичность постановки задач, их согласованность.

В рамках начатого исследования было опрошено 400 молодых людей от 16 до 22 лет. Проведена факторизация шкал методики и классификация испытуемых по выраженности интегральных факторов. Первый, наиболее значимый фактор, названный фактором субъектности, объединил шкалы субъектной активности, отношения к будущему и жизнестойкости. Вторым, смысловым, фактор был назван дефицитарным, поскольку объединил прежде всего дефицитарную мотивацию, к которой присоединилась с отрицательным знаком мотивация творчества. И, наконец, третий фактор объединил шкалы организованности пространства самоосуществления (общую структурированность времени жизни, стратегичность задач и перспективность задачного структурирования будущего).

Кластерный анализ дал возможность категоризировать всех испытуемых на три группы и выделить, соответственно, три модели самоозадачивания, которые по-разному соотносятся с качеством жизни. Самой малочисленной оказалась первая группа, характеризуемая при постановке наполненных смыслом задач очень невысокой субъектностью и организованностью. Эту модель жизнеосуществления, не приводящую к высокому качеству жизни, было названо моделью

идеалистического, инфантильного самоозадачивания. Во второй группе наряду со смысловой наполненностью фиксировалась высокая субъектность и средняя организованность, в связи с чем соответствующая модель, обеспечивающая более достойную будущую жизнь, получила название зрелого самоозадачивания. Приблизительно равная ей по объему третья кластерная группа характеризовалась прежде всего высокой организованностью при ярко выраженной мотивационной дефицитности и низкой субъектности. Поскольку испытуемые, отнесенные к этой группе, пытаются при постановке задач навязывать будущему некую искусственную определенность, группа была названа защитной.

Дальнейший анализ показал, что испытуемые со зрелым самоозадачиванием в сравнении с двумя другими альтернативными моделями имеют гораздо больше шансов повысить качество своей жизни, поскольку они более позитивно относятся к своему будущему, меньше ориентированы на благополучие и комфорт, статус и признание. Эти молодые люди имеют более высокий уровень творческой мотивации, большую структурированность времени жизни и более развернутую перспективу. Интересно, что их жизненные задачи сильнее связаны со сферой здоровья, хотя в целом по выборке эта сфера оказалась самой непопулярной, уступая семье, дружеским отношениям, обучению и работе.

Предварительный анализ особенностей постановки жизненных задач женщинами и мужчинами показал преобладающую по сравнению с мужчинами ориентированность женщин на сферы обучения, работы и здоровья при невысокой ориентированности на семью. Кроме того, молодые женщины оказались более активными и ответственными при моделировании будущего, что несомненно гарантирует им достижение более высокого уровня жизни.

Сравнительное эмпирическое исследование жизненных заданий проблемной (наркозависимой, ВИЧ-инфицированной) молодежи и благополучного студенчества (Б.П.Лазоренко) показало, что по показателям отношения к будущему проблемная молодежь значительно отличается повышенным оптимизмом. По показателям целостности жизни, субъектности, стойкости по отношению к жизненным трудностям, приобретения самостоятельности, сохранения здоровья «проблемные» тоже опережают студентов, что, по всей видимости, свидетельствует о их более сложном, болезненном и разнообразном жизненном опыте, об острой неудовлетворенности качеством своей жизни. Особенно актуальны для проблемной молодежи задания по сохранению здоровья, обеспечению материального достатка и достижению успеха, что особенно заметно у наркозависимых. А вот задания, связанные с жизнетворчеством, созданием семьи, нахождением друзей, гораздо типичнее для благополучного студенчества.

Одним из результатов проводимого О.Я.Кляпец в настоящее время эмпирического исследования личностной самореализации, планируемой в будущей семье, является вывод о том, что удовлетворительное качество жизни становится возможным при условии своевременно и оптимально поставленных жизненных задач. Адекватность задач, связанных с браком и семьей, обеспечивается структурированностью образа семейного будущего, субъектной активностью, наличием стратегий решения поставленных задач и целостностью видения будущей жизни. Как оказалось, эффективное семейное самоосуществление не обязательно связано с большим количеством заданий. Важнее, чтобы молодые люди обладали развитой рефлексивностью, спонтанностью, гибкостью, контактностью, креативностью.

ВЫВОДЫ

Украинские исследования качества жизни пока чрезвычайно малочисленны, что связано как с социально-экономическим положением страны впоследствии затянувшихся трансформационных процессов, так и с логикой развития общественных дисциплин в посттоталитарных государствах.

В исследованиях Института социальной и политической психологии АПН Украины качество жизни личности, переживаемое как психологическое благополучие, рассматривается в зависимости от ее прогнозируемого самоосуществления. По нашим данным, повышение продуктивности личностного прогноза позитивно влияет на субъективное благополучие. Моделируя собственное самоосуществление, личность непосредственно влияет как на качество сегодняшней жизни, так и на собственное благополучие в будущем.

К наиболее распространенным способам прогнозирования будущего мы относим готовность личности к жизненному выбору, осознание притязаний и постановку задач.

Потребность в осуществлении выбора определяется желанием изменить направление жизненного пути на определенном его этапе, предполагает неудовлетворенность собой и собственным жизненным миром. Выбор, задающий горизонт прогноза, способствует трансформации смыслов за счет разворачивания новых причинно-следственных рядов самоосуществления.

Благодаря жизненным притязаниям как механизму самоосуществления происходит конструирование такой будущей жизни, которую личность считает для себя достойной. Составляющими данного комплексного механизма и этапами его разворачивания являются механизмы семиотизации, нарративизации и самоозадачивания. Личность, структурирующая будущее, опирается на определенные уровни мотивации, заданные притязаниями.

Механизм самоозадачивания способствует преобразованию зрелого притязания в жизненное задание, существующее в форме футурологического нарратива. В соответствии с планированием очередного жизненного этапа и осознанием ограниченности времени, отпущенного на его достижение, определенная область самоосуществления становится приоритетной. Благодаря жанру, фабуле, сюжету задание приобретает своеобразную форму и динамику. Через адекватно поставленные задания из спектра вариантов будущего выбирается тот, который способствует достижению желанного качества жизни.

Литература

1. Брунер Дж., 2005, Жизнь как нарратив. *Постнеклассическая психология*.- 1, 9-30.
2. Гукалова І.В., 2008, Якість життя населення: методологія аналізу та її застосування в дослідженні розвитку регіонів України. *Український географічний журнал*, 1, 48–54.
3. Долгих Л.М., 2007, Вплив статево-рольових стереотипів на кар'єрні домагання молоді. *Автореф. дис...канд психол. наук*.- Київ.
4. Духневич В.М., 2002, Психологічне благополуччя професіонала: модель досягнення (на прикладі професії психолога-консультанта). *Проблеми загальної та педагогічної психології*: Зб. наук. праць Ін-ту психології ім. Г.С.Костюка АПН України, т.4, ч.3, 57-63.
5. Життєві домагання особистості, 2007, Ред. Т.М.Титаренко.- Київ: Педагогічна думка.
6. Кологрізова Е.І., 2008, Функції особистісних прагнень в переживанні молодою людиною суб'єктивного благополуччя. *Автореф. дис...канд психол. наук*.- Київ.
7. Машкова О. В., 2007, Специфічні риси умов життєдіяльності сільського і міського населення регіону. *Наук. вісник Чернівецького ун-ту : зб. наук. праць*, 361, 130-138.
8. Особистісний вибір: психологія відчаю та надії, 2005, Ред. Т.М.Титаренко.- К.: Міленіум.
9. Парфенова Н.В., 2009., Класифікація факторів формування якості життя населення регіону. *П'ята Всеукраїнська науково-практична інтернет-конференція „Українська наука ХХІ століття” (17-19 червня 2009 року) // <http://intkonf.org>*
10. Стрілецька Т.С., 2008, Якість життя населення як ключовий фактор соціально-економічного розвитку міста, *Економічний простір*, 17, 86-92.
11. Титаренко Т.М., 2003, Життєвий світ особистості: у межах і за межами буденності.- К. :Либідь.
12. Титаренко Т.М., 2006, Життєві домагання особистості у сучасному потенціалістському дискурсі, *Наук. записки Ін-ту психології ім. Г.С. Костюка АПН України*, 25, 416-430.
13. Титаренко Т.М., 2008, Життєві завдання як практики самоконституювання особистості, *Соціальна психологія*, 6(32), 3–11.
14. Титаренко Т.М., 2009, Сучасна психологія особистості. К.: Марич.
15. Черемних К.О., 2008, Мотиваційно-сміслові структури майбутнього як механізм нарративної ідентичності студентської молоді. *Автореф. дис...канд. психол. наук*.- Київ, - 22 с.
16. Швалб Ю. М., 2008, Качество жизни как эколого-психологическая проблема. 5 –я Российская конференция по экологической психологии. *Тезисы*, М., 341-343.
17. Щербата Г.М., 2007, Соціальне самопочуття як інтегральний показник соціальної захищеності населення, http://www.nbuv.gov.ua/portal/soc_gum/VMSU/2007-02/07shgmiiia.htm
18. Титаренко Т.М., 1994, Жизненный мир личности: структурно-генетический подход. - Автореф. дис... доктор. психол. наук.- Київ.

Tatiana Tytarenko

PREDICTED SELF-REALIZATION AND QUALITY OF LIFE: UKRAINIAN CONTEXT

Resume

This survey presents results of the research of predicted (forecasted) personality self-realization that was conducted at the Institute of Social and Political Psychology of the Academy of Pedagogical Science of Ukraine. Findings revealed that the increase in productivity of the personality model of future is positively projected into the presently experienced and in future expected success. The study focused on life choice and level of aspiration. The choice updated in case of dissatisfaction with oneself and one's life presumes an analysis of alternatives and realization of optimality criteria. These include self-organizing, psychosemantic, subjective, functional and operational criteria. Aspirations are a way of forecasting work as periodical semiotic, narrative and self-assigned tasks.

პოლემიკური სტატია, სამეცნიერო დისკუსია

ირაკლი იმედაძე

დოქტორი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ნებისყოფის თეორიის აქტუალური პრობლემების შესახებ

(დ. ნადირაშვილის ფერილთან დაკავშირებით)

საკვანძო სიტყვები: მოთხოვნა, ბიოგენური და სოციალური მოთხოვნები, პიროვნული განწყობა, მოტივაცია, ინტელექტუალური ძნევა, ნაბეზობითი ძნევა, თავისუფლება.

“ფსიქოლოგიის” XXII ტომში, რომელიც პროფესორ შალვა ჩხარტიშვილის ხსოვნას მიეძღვნა, დაბეჭდილია დიმიტრი ნადირაშვილის წერილი: “ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის პოზიციებიდან”. ამ კრებულში მისი მოთავსება სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან შ. ჩხარტიშვილი ნებისყოფის თვალსაზრისით და აღიარებული მეცნიერი იყო. დ. ნადირაშვილი დასაწყისში ერთი წინადადებით ადასტურებს ამას, თუმცა შემდგომში აღარსად ახსენებს შ. ჩხარტიშვილს. ამიტომ მეტიხვედისთვის გაურკვეველი რჩება მისი დამოკიდებულება ჩხარტიშვილის შეხედულების მიმართ. ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ დ. ნადირაშვილი, რომელიც ბოლო ხანს დაინტერესდა ნებისყოფის მოვლენის კვლევით [9], თავის წერილში ნებისყოფის თეორიის საკვანძო პრობლემების განხილვას ჰპირდება მეტიხვედს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ისინი სათანადოდ დონეზე არ არის დამუშავებული. ამ ზოგად შეფასებაში შეიძლება დავეთანხმეთ კიდევ ავტორს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, მსოფლიო ფსიქოლოგიაში ამ პრობლემატიკის დამუშავების საერთო დაბალი დონის ფონზე, დ. უზნაძის სკოლას სწორედამ რომ საყვედური არ ეთქმის. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია არსებული პოზიციების ანალიზი და ურთიერთშეჯერება, მით უფრო, რომ ნებისყოფის ნაყოფიერ თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევას ჩვენში სამოცდაათი წლის ისტორია მაინც აქვს.

ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებასთან დაკავშირებით არსებობს ორი მკაფიოდ გამოხატული თვალსაზრისი – დიმიტრი უზნაძისა [15] და შალვა ჩხარტიშვილისა [17]. მათ აქვთ საერთო ამოსავალი წერტილი (აქტუალური მოთხოვნილებებით ნებელობითი ქცევის აღძვრის შეუძლებლობის შესახებ), მაგრამ ძირითადი ცნებებისა და საკითხების გააზრება საკმაოდ განსხვავებულია.

სამწუხაროდ, დ. ნადირაშვილმა საჭიროდ არ მიიჩნია ამ უაღრესად საინტერესო შეხედულებათა ანალიზი და ნებისყოფის პრობლემის დამუშავების არასაკმარისი დონის უბრალო კონსტატაციით შემოიფარგლა. ამასთან, მან ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირა ერთმანეთს ნებისყოფისა და განწყობის თეორიები, ხოლო ამ უკანასკნელის განვითარების დონე მასში სოციალურფსიქოლოგიური ელემენტის არსებობა-არარსებობით შეაფასა. უზნაძისეულ პერიოდში სოციალურ განწყობათა კვლევა არ მიმდინარეობდა. იგი მოგვიანებით გაიშალა შოთა ნადირაშვილის ხელმძღვანელობით. როგორც ჩანს, დ. ნადირაშვილის განზრახვა იმაშია, რომ ამ კვლევის მონაცემების გათვალისწინებით შეავსოს ნებისყოფის ფსიქოლოგიის “თეთრი ლაქები”. ის ასე წერს: “ნებელობის შესწავლა შეუძლებელია სოციალური ფსიქოლოგიის, სოციალური განწყობების, ცნობიერებისა და ობიექტივაციის, პიროვნების ფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინების გარეშე, რომელთა კვლევა დიდი ხნის განმავლობაში სსრკ-ში აკრძალული იყო, ამიტომაც დღეს განწყობის თეორიაში არსებული ცარიელი ფურცლები შევსებას საჭიროებს” [10:184]. როგორც წერილის სხვა ნაწილებში, რომელთაც ქვემოთ შევხებით, აქაც ბევრი რამ მოითხოვს დაზუსტებას და დასაბუთებას. მაგალითად, რატომ მიიჩნევს ავტორი ნებისყოფის

ზოგადფსიქოლოგიურ პრობლემას არსებითად სოციალურფსიქოლოგიურად? ან რის საფუძველზე ფიქრობს, რომ სხვა ქართველი მკვლევარები, თურმე მათ დროს აკრძალული ცნობიერების, ობიექტივაციის თუ პიროვნების ფსიქოლოგიის მონაცემების გარეშე აგებდნენ ნებისყოფის კონცეფციას? ანდა ვინ თქვა, რომ მათი კვლევა აკრძალული იყო?

თავი და თავი ამ უზუსტობათა მაინც ისაა, რომ ავტორი არ გვეუბნება გარკვევით, რას ემხრობა და რას არა ნებისყოფის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში (დ. უზნაძე, შ. ჩხარტიშვილი), სადაც სოციალური ფსიქოლოგიის მონაცემები არ ყოფილა გამოყენებული. “პრობლემის კვლევის ფოკუსშია მოსაქცევი ის ფაქტი, რომ ნებელობითი ქცევა იმპულსურისაგან განსხვავებით პროსპექტულია, მომავალზეა ორიენტირებული. მოთხოვნილების იმპულსი არ წარმოადგენს ქცევის აღმძრელ ინსტანციას. ნებელობითი ქცევა ადამიანის პიროვნული აქტივობის შედეგია, რომელიც უპირისპირდება, სჯობნის იმპულსის მოთხოვნილებასა და ძალას” [10].

ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი და მრავალჯერ ნათქვამი დ. უზნაძის, შ. ჩხარტიშვილისა და მათი მიმდევრების მიერ. ნებისყოფა რომ პროსპექციული ფუნქციაა, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. სხვა ამბავია დებულება, რომ ნებელობითი ქცევა მოთხოვნილების იმპულსით არ არის აღძრული. დ. უზნაძის შემდეგ იგი ამოსავალი გახდა ქართველი ფსიქოლოგების აბსოლუტური უმრავლესობისთვის (მათ შორის შ. ჩხარტიშვილისთვის) და, ამავე დროს, ყველაზე დიდი აზრთა სხვადასხვაობის სათავეც. საქმე ისაა, რომ თუკი აქტუალურ მოთხოვნილებაზე უარს ვამბობთ, მის სანაცვლოდ სხვა აღმძვრელი ძალა უნდა მოინახოს. დ. უზნაძე ასეთს არ უშვებს და ისევ ე.წ. “მე-ს მაღალ მოთხოვნილებებს” უბრუნდება. შ. ჩხარტიშვილი ბოლომდე მიჰყვება მოცემულ თეზისს და ადამიანში განსხვავებული ენერგეტიკული სისტემის დაშვებამდე მიდის. პიროვნებაში **მეორე ენერგეტიკული წყაროს, ავტონომიური ძალის** დაშვება **ვოლუნტარიზმის** აშკარა საფრთხის შემცველია. საიდან ჩნდება ეს ძალა და როგორია მისი მოქმედების კანონზომიერებანი? ან იქნებ ასეთები არც არსებობს და ნებელობითი ქცევა პიროვნების **თავისუფალი ან თვითნებური თვითგამორკვევის** შედეგია? სამწუხაროდ დ. ნადირაშვილი არ აანალიზებს ამ პრობლემურ საკითხებს და გაუგებარი რჩება, რა მოსაზრებას ემხრობა იგი. შესაძლოა, მას ორიგინალური პოზიცია აქვს, მაგრამ ასეც რომ იყოს, იგი ჩვენში არსებულ სხვა თვალსაზრისებთან უნდა შეჯერდეს. სხვანაირად მისი ნოვაციების გაგება და შეწყნარება გაჭირდება.

თუმცა, გავყვეთ წერილის ტექსტს. “იმპულსური ქცევა ბიოლოგიური სფეროდანაც შეიძლება იყოს აღძრული და სოციალურიდანაც” [10], გვეუბნება ავტორი. როგორც ჩანს, მას მიაჩნია, რომ ეს ახალი დებულებაა. ამაში სერიოზული გარკვევაა საჭირო. იმას, რომ იმპულსურ ქცევას ვიტალურის გარდა სხვა სახის მოთხოვნილებებიც შეიძლება აღძრავდეს, აღნიშნავდა დ. უზნაძეც და შ. ჩხარტიშვილიც. დ. უზნაძე პირდაპირ ამბობს, რომ მაღალ მოთხოვნილებებზე (ემოციებზე) დამყარებული **ზნეობრივი, ინტელექტუალური და ესთეტიკური ქცევაც შეიძლება იყოს იმპულსური** [16:54]. შ. ჩხარტიშვილი გამოყოფს **ბიოგენურ, ფსიქოგენურ და სოციოგენურ მოთხოვნილებათა ჯგუფებს** და თითოეულის მიერ მოტივირებულ ქცევას იმპულსურად მიიჩნევს [18]. ამრიგად, იმპულსური ქცევის სოციალური მოტივირება სიახლე არაა მათთვისაც, ვისაც სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები საგანგებოდ არ უკვლევია. მაშ რა სიახლე შემოაქვს ჩვენს ავტორს? რა და ეგრეთ წოდებული **მოთხოვნა**. ეს ცნება ფიგურირებსო ადამიანთა **სოციალურ თანაცხოვრებაში, ხოლო ბიოლოგიურ სფეროში – მოთხოვნილება**. “მოთხოვნა – ესაა სოციალური გავლენა, რომელიც განიცდება როგორც სოციალურ გარემოში არსებული ტენდენცია. ის ინდივიდს გარკვეული ქცევისაკენ უბიძგებს” [10; 185]. ადამიანი ადვილად ემორჩილება ამგვარ ტენდენციებს. “ამიტომ მოთხოვნისადმი დაყოლას ნებელობით ქცევად ვერ მივიჩნევთ. თუმცა ამგვარი სოციალური მოთხოვნა შეიძლება ცხოვრებაში ბიოლოგიურ მოთხოვნილებას დაუპირისპირდეს” [10].

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პასაჟების მნიშვნელობის წვდომა ფრიად გაძნელებულია. ერთადერთი, რაც ნათელია, ისაა, რომ მოთხოვნა ბიოლოგიური მოთხოვნილება არ არის. თუმცა ამას არც არავინ აყენებს ეჭვქვეშ. ამავე დროს, გაუგებარი რჩება, მაინც რა არის მოთხოვნა, როგორც **მოტივაციური ცვლადი**. მართალია, დ. ნადირაშვილი ლაპარაკობს მოთხოვნაზე, როგორც გარემოში არსებულ ტენდენციაზე, მაგრამ ეს ალბათ, მექანიკური უზუსტობაა, თორემ ინდივიდის გარეთ რომ ტენდენციები არ არსებობს ეს ნათელი უნდა იყოს. გარედან მომდინარე ზეწოლა

მხოლოდ მაშინ ხდება მოტივაციური ცვლადი, როცა იგი შინაგანში ნახავს გამოძახილს, ასე თუ ისე მისაღები იქნება მთლიანი მოტივაციური სისტემისთვის (მოთხოვნილებები, ღირებულებები, პიროვნული თვისებები და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აქტივობას ვერ გამოიწვევს, ან შეიძლება საწინააღმდეგო ეფექტიც კი მოგვცეს (მაგ., ნონკოფორმისტის შემთხვევაში). ხოლო თუკი მოთხოვნა **შინაგანი ტენდენციაა**, რომელიც ქცევისკენ უბიძგებს, რატომ არ არის იგი მოთხოვნილება ან მისი ფუნქციონალური ეკვივალენტი? ან იქნებ ავტორს მიაჩნია, რომ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა გარდა სხვა სახის მოთხოვნილება არც არსებობს. თუ ასეა, მაშინ ეს დებულება მკაფიოდ, ნათლად და, რაც მთავარია, დასაბუთებულად უნდა გამოითქვას, თორემ ისე საეჭვოა, მან მომხრეები იპოვოს. სტატიის ტექსტის მიხედვით ვითარება ასე გამოიყურება: ერთი მხრივ, ნათქვამია, რომ მოთხოვნილება ბიოლოგიის სფეროდანაა, ხოლო სოციალურში მოთხოვნილებები კი არაა – მოთხოვნებია. ხოლო მოთხოვნა ტენდენციაა და აქტივობას აღძრავს, ანუ ზუსტად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მოთხოვნილებები. ამიტომაც მათდამი დამორჩილება იმპულსურ ქცევას გვაძლევს და არა ნებელობით.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით მკითხველს ბევრი კითხვა აღმოუცენდება, მაგრამ მთავარი მაინც შემდეგია: რატომ მიაჩნია ავტორს, რომ სოციალურ სფეროს მხოლოდ **მოთხოვნები, ანუ საჭიროებები და იძულებები (“მე უნდა”)** უკავშირდება? ასე რომ იყოს, სოციალური ურთიერთობები პიროვნებისთვის მხოლოდ უმძიმესი ტვირთი იქნებოდა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის. სოციალურ ცხოვრებაში მოცემულია აგრეთვე **სურვილები, ლტოლვები, მისწრაფებები ანუ “მე მინდა”**.

საზოგადოდ, საფიქრებელია, რომ ე.წ. “მოთხოვნა” ის არის, რასაც დ. უზნაძე უწოდებს „მე-ს მორალურ მოთხოვნილებას“, ხოლო შ. ჩხარტიშვილი – „სოციოგენურ მოთხოვნილებას“. ქცევის ასეთ აღმძვრელთა არსებობა, ცხადია, არახალია, ისევე როგორც ის გარემოება, რომ ისინი ზოგჯერ უპირისპირდებიან ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ეს მომენტი ავტორს განსაკუთრებით აინტერესებს, ვინაიდან სურს დაგვარწმუნოს, რომ მაშინაც, როცა ქცევა სოციალურ მოთხოვნას (თუ მოთხოვნილებას?!) მიჰყვება, იგი იმპულსურია, ნებელობის გარეშე სრულდება. საკითხავია ოღონდ, ვის დარწმუნებას ცდილობს იგი? ყოველ შემთხვევაში, არა შ. ჩხარტიშვილის მომხრეებისა, რომლებიც იმ აზრა დგანან, რომ ყოველგვარი მოთხოვნილებით აღძრული ქცევა იმპულსურია და არა ნებელობით. ამ საკითხში დ. ნადირაშვილი არსებითად იზიარებს შ. ჩხარტიშვილის თვალსაზრისს, თუმცა ამას არ აღიარებს.

როგორც სათაურიდან ჩანს, დ. ნადირაშვილის მთავარი საზრუნავია ნებისყოფის მოვლენის გააზრება **განწყობის თეორიიდან** და თანაც მისი **დღევანდელი პოზიციიდან**. ასეთად, როგორც ჩანს, იგი მხოლოდ შ. ნადირაშვილის თვალსაზრისს მიიჩნევს¹. წერილში მსჯელობა შემდეგნაირად ვითარდება: ნებელობითი ქცევა პიროვნულ ფასეულობათა სისტემის მოცემულობას გულისხმობს. ეს ფასეულობები სუბიექტში “პიროვნული განწყობების” (ანუ ფიქსირებულ დისპოზიციურ განწყობათა) სახით არსებობს. აქედან გამომდინარე, “ნებელობითი ქცევა ესაა პიროვნული განწყობებიდან ერთერთის ცნობიერად ამორჩევა, პრიორიტეტის მინიჭება და ქცევაში განხორციელება” [10:186].

პიროვნულ ფასეულობათა არარსებობის შემთხვევაში ქცევა შინაგანი მოთხოვნილებებისა ან სოციუმის მოთხოვნების კარნახით წარიმართება, ანუ იგი იმპულსურია. მაგრამ ფასეულობის ანუ შესაბამისი პიროვნული განწყობის არსებობა, თავისთავად, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ქცევა კვალიფიკაცირებული იქნეს როგორც ნებელობითი. თუ განწყობა, თავისი ინტენსივობის

1 განწყობის ფსიქოლოგია უკვე კარგა ხანია აღარ არის მონოლითური სისტემა, მასში არის სხვადასხვა მიმდინარეობები. არსებობენ ორთოდოქსალური “უზნადისტები”; არიან ისეთები, ვინც ახალ გზებს ეძებენ და ცვლილებები შეაქვთ, ავითარებენ დ. უზნადის თეორიულ კონსტრუქციებს. ასეთთა რიგში ერთერთი პირველი, უდავოდ, არის შოთა ნადირაშვილი. მაგრამ არიან სხვებიც და ეს რეალობაა, რაზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება. მაგალითად, არსებობს საზი, ორიენტაცია შალვა ჩხარტიშვილისა, რომელმაც გაამდიდრა განწყობის თეორიის ანალიზი და შექმნა ე.წ. “განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელი”, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება დონეების სტატიკურ მოდელს (დ. უზნაძე, შ. ნადირაშვილი). ბატონი შალვას გარდაცვალების შემდეგ ეს მოდელი ერთგვარად ჩრდილში მოექცა, მაგრამ ამჟამად სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს. მის ნაყოფიერებაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც თუნდაც იმ კრებულს გადაშლის, რომელშიც თავად დ. ნადირაშვილის წერილია მონთავსებული (იხ. მაგ., [3], [8], [14]).

გამო, გაბატონდა და ქცევა თავისკენ წარმართა, ასეთი აქტივობა ნებელობითად ვერ ჩაითვლება. სხვა ამბავია, როცა განწყობის ინტენსივობის დონე არ აძლევს მას საშუალებას, დომინირებული მდგომარეობა დაიკავოს. მას სხვა განწყობები („ტენდენციები“) უპირისპირდება, „ადამიანი ყოყმანის ვითარებაში აღმოჩნდება. ყოყმანის დაძლევა პიროვნების აქტიური ჩარევის საფუძველზე ხდება შესაძლებელი“ [10:186]. თავისი ფასეულობებიდან გამომდინარე, პიროვნება გარკვეულ განწყობას ანიჭებს პრიორიტეტს. მაგრამ ფსიქოლოგიურად რას ნიშნავს უპირატესობის მინიჭება? დ. ნადირაშვილის აზრით, ესაა რთული პროცესი, რომელშიც წარმართველ როლს ეწ. **პოზიციური აზროვნება** თამაშობს. იგი არკვევს ამა თუ იმ განწყობის მიმართებას პიროვნების განწყობათა სისტემასთან (ეწ. განწყობათა მტევანთან) და ერთერთი **განწყობა აქტუალურ მდგომარეობაში გადაჰყავს**. ამაშია მოტივაციის პროცესის არსი. „მოტივაცია ინტელექტუალური პროცესია, რომელიც შინაგანი ტენდენციებიდან რომელიმეს ანიჭებს უპირატესობას. ის, თუ რა განწყობა დაედება ქცევას საფუძვლად, ამ ეტაპზე გარკვეული არ არის. ამ საკითხს საბოლოოდ პიროვნება წყვეტს. პიროვნება იღებს პასუხისმგებლობას განსახორციელებელი ქცევის შესახებ“ [10:187].

მოკლედ, პიროვნულ განწყობებს გააქტიურება ესაჭიროება. ამას ემსახურება ინტელექტუალური პროცესი, რომელსაც მოტივაცია ეწოდება. თუ პიროვნული განწყობა თავისით გააქტიურდა და შესაბამისი აქტივობა გამოიწვია, ეს აქტივობა იმპულსური იქნება. ნებელობითი ქცევის განსახორციელებლად არც მოტივაციით უპირატესობამინიჭებული განწყობის არსებობაა საკმარისი. საჭიროა კიდევ პიროვნების მიერ გადაწყვეტილების მიღება, რაც მისი თავისუფლების გამოხატულებაა. თავისუფლების საკითხს ქვემოთ მივუბრუნდებით. აქ განვიხილოთ ნებელობითი ქცევის წარმოქმნის მოცემული მოდელი. მისი განწყობისეულობა, როგორც ჩანს, იმაშია, რომ ძირითადი ცვლადი, მოტივაციური პროცესის ერთეული არის ეწ. „პიროვნული განწყობები“.

მიყვებით თანმიმდევრულად. თავდაპირველად გავიხსენოთ, რომ ნებელობის ძირითადი პრობლემაა მისი ენერგეტიკული წყაროს, აღმძვრელი ძალის გარკვევა. დ. ნადირაშვილის პოზიცია ერთი შეხედვით ასეთია – ნებელობითი ქცევის ენერგეტიკა შესაბამისი **პიროვნული განწყობიდან** (ან განწყობებიდან) მომდინარეობს, რამდენადაც, საბოლოოდ, სწორედ ეს განწყობა ედება საფუძვლად ნებელობითი ქცევის განხორციელებას. ვერც ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს და ვერც ეწ. სოციალურ მოთხოვნებს (ანუ სხვა სახის მოთხოვნილებებს), როგორც ზემოთაც ითქვა, ნებელობითი ქცევის „მოტივად“ ვერ მივიჩნევთ. მათზე დაფუძნებული ქცევა ცალსახად იმპულსურია. „იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, ნებელობითი ქცევა, ერთი მხრივ, პიროვნულ განწყობას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, მასზე ფოკუსირებას, ამორჩევას და ქცევაში განხორციელებას ახდენს“ [10:186]. მაშასადამე, ნებელობითი ქცევისთვის აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი, რომ არსებობდეს პიროვნული განწყობა. მეორე პირობა ისაა, რომ უნდა მოხდეს მისთვის პრიორიტეტის მინიჭება (ამორჩევა ანუ მოტივაციის პროცესი). მაგრამ, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ არაა გამზადებული ქცევის განწყობა, აუცილებელია კიდევ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ამორჩეულ განწყობას სულს ჩაჰბერავს, გაააქტიურებს და მოქმედების რეალურ საფუძვლად აქცევს.

პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს, ისაა, რომ იმპულსური და ნებელობითი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ხასიათდება. იმპულსური ქცევა თავის კვალიფიკაციას იმის მიხედვით იღებს, რომ იგი აღძრულია მოთხოვნილებით. ე.ი. აქ მუშაობს მხოლოდ აქტივობის დინამიკური საწყისის რაგვარობის კრიტერიუმი (ენერგეტიკული პარადიგმა). ნებელობის შემთხვევაში ამ კრიტერიუმს ემატება ის გარემოება, თუ რამდენად და როგორ არის ცნობიერებაში დამუშავებული ქცევის მოტივაციური საწყისი, პიროვნული განწყობა (რეგულაციური პარადიგმა).

იბადება კითხვა, რამდენადაა შესაძლებელი ასეთ შემთხვევაში ქცევის ამ სახეების გამიჯვნა ერთმანეთისგან. არადა, სწორედ ეს ამოცანაა ავტორისთვის პრიორიტეტული. დავეშვათ და ქცევა სრულდება რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის, მაგრამ ეწ. „მოსამზადებელ პერიოდში“ მან გაიარა მოტივაციისა და გადაწყვეტილების ფაზები [15]. რა სახის ქცევასთან გვექნება საქმე ამ შემთხვევაში? სწორედ ასეთია ჩვენი ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი. დ. უზნაძის ცნობილი მაგალითი განვიხილოთ: კონცერტზე წასვლა მინდა ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად, მაგრამ სასწრაფო სამუშაო სახლში დარჩენისკენ მიბიძგებს. იწყება მოტივაციის რთული პროცესი. ვთქვათ, ესთეტიკურმა მოთხოვნილებამ იმძლავრა და გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ მივიღე.

ენერგეტიკული კრიტერიუმის მიხედვით ეს ქცევა **იმპულსურია**, რამდენადაც **აქტუალურ მოთხოვნილებას** აკმაყოფილებს. ამავე დროს, ვინაიდან მისი განწყობა **ობიექტივაციის დონეზეა** დამუშავებული და **პიროვნების მიერ შეწყნარებული**, იგი **ნებელობითად** უნდა მივიჩნიოთ.

უზნადისეული კიდევ ერთი მაგალითი. უზნადე საგანგებოდ განიხილავს შემთხვევას, როცა ქცევა თითქოს აქტუალურ სასიცოცხლო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, და მაინც ნებელობითია. მწყურია, მაგრამ წყალი მხოლოდ მას მერე დაველივ, რაც გავიაზრე, რომ იგი მინერალურია და არ მაენებს. აშკარად მოხდა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუმცა, დ. უზნადის ანალიზით, ეს ქცევა მაინც არაა იმპულსური. ამაში იგი სრულიად მართალია. **ობიექტივაციის** პლანში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ბიოგენურ მოთხოვნილებასა და შესაბამის ქცევას ეხებოდეს. ასეთ **აქტივობასაც პიროვნება წარმართავს და არა იმპულსურ ქცევასთან დაკავშირებული ინდივიდი**.

დ. ნადირაშვილის კონსტრუქციით ამ ქცევის კვალიფიკაციაც გაჭირდება. ქცევა აშკარად **ბიოლოგიურ მოთხოვნილებას** აკმაყოფილებს, მისი ენერგიით საზრდოობს, რაც **გამორიცხავს მის მიჩნევას ნებელობითად**, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი განწყობა **ობიექტივაციის პლანშია შემუშავებული**.

სხვათა შორის, ამასთან მიახლოებულ სიტუაციას განიხილავს თავად დ. ნადირაშვილი: ერთერთი ფილმის დასიცხული უარყოფითი გმირები ურცხვად შიშვლდებიან და ისე გრილდებიან ტბაში, ხოლო დადებითი გმირები ტანზე გაუხდელად შედიან წყალში. ამით “ბიოლოგიურ მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებენ და სოციალურ მოთხოვნასაც უწევენ ანგარიშს. ამგვარი ქცევა პიროვნული ფასეულობებიდან მომდინარე განწყობის არჩევა და რეალობაში განხორციელებაა, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან ჰგავს ნებელობით ქცევას. ეს აქტივობა **ნებელობად ვერ ჩაითვლება**, რადგან ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება” [10:185].

დ. ნადირაშვილის ანალიზია არასრულყოფილება მას სწორი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ აძლევს. იგი უკრიტიკოდ მიჰყვება თეზისს, რომ ნებელობითი ქცევა გამო-რიცხულია, აღძრული იყოს მოთხოვნილებით, მით უფრო ბიოლოგიურით. ამის გამო ავტორი რეალობას ცალმხრივად და უზუსტოდ აფასებს. რეალობა კი ისაა, რომ ქცევა ამ შემთხვევაში პოლიმოტივირებულია, ანუ დინამიზირებული, სულ მცირე, ორი აღმძვრელით. ეს ვითარება ხშირად გვხვდება, როგორც იმპულსური, ისე ნებელობით ქცევის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოტივაციის პროცესში ისეთი ქცევის გამონახვა ხდება, რომელიც ერთდროულად პიროვნული დონის ტენდენციასაც დააკმაყოფილებს და ბიოლოგიურისაც, ანუ ის მოთხოვნილებითაც იკვებება. რადგანაც სწორედ პიროვნება აკეთებს შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნილების დაკმაყოფილების თაობაზე – ეს ქცევა **ნებელობითია**. მისი **პოლიმოტივაციურ-ენერგეტიკული სისტემისა და სათანადო განწყობის შექმნა ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე თვითრეგულაციის პროცესების შედეგია**.

იგივე ხდება დ. უზნადის წყლის დაღვეის მაგალითშიც. მსგავსი ვითარებაა კონცერტისა და სამუშაოს მაგალითშიც. უზნადისეულ ვერსიაში იქ მოქმედება ასე ვითარდება: სუბიექტი ჯერ სახლში დარჩენას გადაწყვეტს, მაგრამ მალე გადაწყვეტილებას შეცვლის, ვინაიდან გაიგებს, რომ კონცერტზე იქნება პირი, ვისთანაც შეხვედრა მისთვის მნიშვნელოვანია. რა მოხდა? შეიქმნა პოლიმოტივაციური სტრუქტურა, რომლის ღირებულებამ ალტერნატიული ქცევის ღირებულება გადასწონა. ეს ქცევა ნებელობითია, თუმცა მის დინამიზაციაში უთუოდ მონაწილეობს აქტუალური ესთეტიკური მოთხოვნილებაც. ასე რომ **აქტუალური (თუნდაც ბიოლოგიური) მოთხოვნილების ქცევის მოტივაციურ სტრუქტურაში ჩართვა მას ავტომატურად არც იმპულსურად ხდის და არც ნებელობითის სტატუსს უკარგავს**, როგორც ამას დ. ნადირაშვილი ფიქრობს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს – დ. ნადირაშვილი ხვდება, რომ ნებელობითი ქცევის ცალსახა დაკავშირება რაიმე მოტივაციურ ძალასთან არაა ევრისტიული. მაგრამ რატომღაც აღარ ავრცელებს ამ სწორ მიდგომას იმპულსურ ქცევაზე. ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით ავტორის ძიების შედეგი ასეთი დებულებაა: **ჩვენ გამოვყავით სოციალური ქცევის ფორმა, რომელიც მოთხოვნად მიიჩნევა**” (იქვე). უნდა ვიფიქროთ ეს ქცევა შუალედურია ცალსახად ბიოლოგიურად მოტივირებულ იმპულსურ ქცევასა და პრინციპულად არამოთხოვნილებისეულ

ნებელობით ქცევას შორის. მაგრამ მისი ნამდვილი სტატუსი მაინც ძალიან ბუნდოვანია, პირველ რიგში იმის გამო, რომ არ არის გარკვეული მოთხოვნისა და მოთხოვნილების ცნებათა მიმართება. ტექსტიდან ისე ჩანს თითქოს მოთხოვნა არსებითად მოთხოვნილების მსგავსად მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს “მოთხოვნა” დამატებითი “უცნობია”, რაც ისედაც არ აკლია ქცევის თეორიას. გარკვევით არც ის არის ნათქვამი, თუ რითი განსხვავდება ამგვარი “სოციალური ქცევა” იმპულსურისაგან. თუ მართლ იმით, რომ უკანასკნელი მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილების ნიადაგზე აიგება, ეს რეალობის იგნორაცია იქნება. ან იქნებ იმით, რომ იმპულსური ქცევა არაცნობიერად ხორციელდება, ხოლო “მოთხოვნითი” ცნობიერად? არც ეს იქნება მართებული, რადგანაც მოთხოვნაზე რეაგირება არაცნობიერადაც (უნებურად) შეიძლება (მაგ., ბავშვი). საზოგადოდ კი ის გარემოება, რომ მკითხველს ამ ვარაუდების გამოთქმა უწევს საკითხის დამუშავების არასათანადო დონეზე მეტყველებს.

საკითხში გასარკვევად საჭიროა ავტორისთვის ამოსავალი ტრიალის (ინდივიდი-სუბიექტი-პიროვნება), შესაბამისი ტრიალის მონახვა იმპულსურობა-ნებელობითობის განასერში. აუცილებელია მოინახოს შუა რგოლი ქცევის ამ სახეობებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში აქტივობის რეალური პროცესის დახასიათებას ვერ შევძლებთ (რისკენაც ისწრაფის დ. ნადირაშვილი და რაც ნამდვილად დასაფასებელია). წერილის ტექსტის მიხედვით სუბიექტის აქტივობა გამოიხატება ტერმინით “ინტელექტუალური ქცევა” (იგივეა, რაც შ. ნადირაშვილის “თეორიული ქცევა”) [11]. ყოველგვარი დასაბუთებისა და განმარტების გარეშე ასეთი თვალსაზრისის გაზიარება შეუძლებელია, ვინაიდან ინტელექტუალური (თეორიული) ქცევა, კლასიფიკაციის მოთხოვნების მიხედვით, ვერ მოთავსდება იმპულსურსა და ნებელობით შორის, რამდენადაც არ მიეკუთვნება ამავე განზომილებას. **თეორიული ქცევა უპირისპირდება პრაქტიკულს და არა იმპულსურს ან ნებელობითს.** შრომა, მაგალითად, ნებელობითი ქცევაა რეგულაციის დონის თვალსაზრისით; მასში ჩართული ფუნქციებისა და პროდუქტის (მიზნის) თვალსაზრისით კი იგი ან თეორიულია, ინტელექტუალურია (მაგ., მეცნიერის შრომა) ან პრაქტიკული (მაგ., მეშახტის შრომა). უმეტეს წილად კი ობიექტივაციის პლანში მიმდინარე ქცევა შერეულია, იგი მოტორიკასაც საჭიროებს და კოგნიციასაც (მათ შორის ინტელექტს). თუ იგი მოტივაციის პროცესის ფონზე მიმდინარეობს – მაშინ ის ნებელობითია. მაგრამ ამის გარეშეც, თუ ქცევის განხორციელების პროცესი ცნობიერად კონტროლდება, მას იმპულსური აღარ ეთქმის. ადამიანი, რომელიც სუფრაზე ხალისიანად დროს ატარებს, კერძებსაც მიირთმევს და სადღეგრძელოებსაც წარმოსთქვამს, ანუ ბიოლოგიურადაც ფუნქციონირებს და ინტელექტუალურადაც. წერილში გამოთქმული მოსაზრებები ამგვარი ქცევის ადეკვატური დახასიათების საშუალებას არ იძლევა. თავისი ბიოლოგიური კომპონენტის გამო იგი იმპულსურად უნდა შეირაცხოს, ხოლო აზრითი კომპონენტის გამო – თეორიულად. სინამდვილეში ის არც იმპულსურია და, მით უფრო არც – ინტელექტუალური. ესაა **ცნობიერი ან ობიექტივირებული ქცევის ნაირსახეობა, რომელიც რეგულაციის საშუალო დონეზეა იმპულსურსა და ნებელობით შორის** [6].

თეორიული მოდელი, რომელიც ზუსტად არ აღწერს რეალობას, ვერც მის სწორ ახსნას მოგვცემს. განწყობის თეორია ქცევის ახსნითი სისტემაა. დ. ნადირაშვილის წერილის ინტენცია ნებელობითი ქცევა განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან დახასიათებაში მდგომარეობს. ასეთად, ეტყობა, იგი მხოლოდ განწყობის სტატიკურ სტრუქტურაზე დამყარებულ სამდონოვან მოდელს მიიჩნევს. ეს მოდელი ფაქტობრივად გამორიცხავს განწყობის სტრუქტურის ცვალებადობას ქცევის მიმდინარეობის პროცესში. განწყობის სტრუქტურაში ყოველი ახალი მომენტის ჩართვის ფაქტი (ვთქვათ აზროვნებისა) გაგებულია, როგორც **მიმდინარე ქცევის განწყობის შეცვლა ახალი განწყობით**, რაც თავისთავად, **სხვა ქცევის ფორმაზე გადასვლასაც ნიშნავს.**

დ. ნადირაშვილის წერილში ვითარება ასეა წარმოდგენილი: ხორციელდება რაიმე პრაქტიკული იმპულსური ქცევა. ის შფერხდა. ეს გარემოება “აღძრავს ობიექტივაციის საჭიროებას, რათა გაცნობიერდეს წინააღმდეგობა, მოინახოს შემაფერხებელი მიზეზი, განხორციელდეს გააზრებული მიზანშეწონილი ქცევა. ინტელექტუალური ქცევის განწყობა შემდეგი ფაქტორების საფუძველზე აღმოცენდება – I. გაურკვეველი სიტუაცია; II. გარკვევის მოთხოვნილება; III. ოპერაციული შესაძლებლობები; ერთობლიობაში ყალიბდება ინტელექტუალური ქცევის განწყობა,

რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ქცევის შემაფერხებელი მიზეზის გარკვევა. ამ ცოდნის შეტანა შეფერხებული ქცევის განწყობაში სუბიექტს საშუალებას აძლევს გადაჭრას კონფლიქტი და შეასრულოს მიზანშეწონილი ქცევა” [10:187].

როგორც ვხედავთ დ. ნადირაშვილი განწყობის სტატიკური სტრუქტურის მოდელით ხელმძღვანელობს. თავი დაეანებოთ “გაურკვეველი სიტუაციისა” და “გარკვევის მოთხოვნილების” არც თუ გარკვეულ ტერმინებს (უფრო მართებულია ალბათ, “პრობლემური სიტუაცია” და “შემეცნების მოთხოვნილება” [11]; მთავარი მაინც ისაა, თუ რამდენად შეგვიძლია მივუყენოთ ეს მოდელი მეორე დონეზე განხორციელებულ ყოველგვარ აქტივობას? აქ სერიოზული სირთულეები წარმოიქმნება და რაზედაც არაერთხელ იქნა მითითებული [1][6][19][20] და სხვა. განწყობის სტატიკური მოდელის მიმართ პრეტენზიები ბოლო ხანს სულ უფრო მეტად ცნობიერდება და მკვლევარებს თეორიის ახლებური გააზრებისკენ მიმართავს [3][8][14]. გამოთქმულ შეფასებებსა და არგუმენტაციას **პასუხი უსათუოდ ესაჭიროება**, წინააღმდეგ შემთხვევაში კრიტიკამ შეიძლება “კრიტიკულ მასას” მიაღწიოს, რომლის მერე დაიწყება ამ მოდელის უარყოფის შეუქცევადი პროცესი. განწყობის ფსიქოლოგიაში დღეს არსებულ ვითარებაში გასარკვევად, ფრიად სასარგებლო იქნება, თუ კი ასეთი საინტერესო ავტორი, როგორც დ. ნადირაშვილია, გამოეხმაურება ამ მოწოდებას!

მოცემულ კონტექსტში მეტის თქმა უადგილოა. ადვინიშნავთ მხოლოდ, რომ სტატიკური მოდელი ძალზე ართულებს განწყობის თეორიის ენაზე ქცევის აღწერისა და ახსნის რეალური სურათის წარმოდგენის საქმეს. საილუსტრაციოდ აქ მხოლოდ ერთი კონკრეტული ვითარების გარკვევით დაგვმაყოფილდეთ. ვთქვათ განსხვავებით უზნაძის მაგალითებისაგან, მიმდინარე პრაქტიკული ქცევა არ წყდება, თუმცა მასში პრობლემებმა იჩინა თავი. პრობლემების ხასიათი ისეთია, რომ მათი გადაწყვეტა აუცილებელია მიზანშეწონილი ქცევისთვის. სუბიექტი აცნობიერებს, ობიექტივაციას უკეთებს ამას და იწყებს ფიქრს (აზროვნებას) იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტოს ქცევის შესრულების ტექნიკური პრობლემები. ვითარების სპეციფიკა ისაა, რომ იგი პარადელურად განაგრძობს ამ ქცევის განხორციელებას. პირველი და მეორე დონის ქცევებისა და შესაბამისი განწყობების მონაცვლეობას, როგორც ამას სტატიკური მოდელი გვიხატავს, ადგილი არა აქვს. მსგავსი რამ რეალურ აქტივობაში მეტად გავრცელებულია. ხშირია, როცა ქცევას ისე ვიწყებთ, რომ ბოლომდე არც კი გვაქვს გააზრებული მისი საშემსრულებლო ასპექტები და მათ პრაქტიკული აქტივობის მსვლელობაში ვამუშავებთ. შეიძლება სირთულე სიტუაციურად, მოულოდნელად აღმოცენდეს და ჩვენ მის გადალახვაზე ვიზრუნოთ ქცევის შეუწყვეტლად. მაგალითად, მანქანა მიგვეყავს და თან ვფიქრობთ სად დავაყენოთ იგი. დინამიკური მოდელისთვის აქ არავითარი სირთულე არ არსებობს: მოცემულია ერთი ქცევა თავისი აქტუალური განწყობით, რომელშიც ჩართულია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული აქტები. ეს უკანსკნელნი თეორიული ქცევა კი არა, მოქმედებები ან ოპერაციებია და, როგორც ასეთნი, საკუთარ განწყობას არ საჭიროებენ. სტატიკური მოდელი მოითხოვს, რომ ეს აზროვნებითი აქტივობა დამოუკიდებელ ქცევად იქნას მიჩნეული, თავისი განწყობით და ამ უკანასკნელისათვის აუცილებელი ფაქტორებით. მაშინაც, თუ ასეთები მოინახება (რაც ძალიან საეჭვოა, თუნდაც მოტივაციურ ფაქტორთან მიმართებაში – ძნელია ვინმეს დარწმუნება იმაში, რომ მანქანის პარკინგის საკითხის გადაწყვეტისას ნორმალური ადამიანი თეორიულ მოთხოვნილებას, ინტერესს განიცდის), გადასატრედი იქნება მიმდინარე პრაქტიკული ქცევის მომქმედი აქტუალური (სიტუაციური) განწყობისა და იმავედროულად მომქმედი თეორიული ქცევის განწყობის მიმართების პრობლემა. უეჭველია, რომ იგი ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით განწყობის მთლიანპიროვნულობის თეზისის გათვალისწინებით. საინტერესოა, აგრეთვე, საზოგადოდ, რა სახისა და დონის ქცევად თუ ქცევებად მონათლავს ამ აქტივობას განწყობის სტრუქტურის სტატიკური მოდელი?

მესამე, ანუ პიროვნული დონის სიტუაციური განწყობის ფაქტორებად დასახელებულია: “I – სოციალური მოთხოვნა; II – სოციალური თანხმობა ან უთანხმოება; III – სოციალური ქცევისათვის საჭირო მორალურ-ზნეობრივი, პროფესიული და სხვა ოპერაციული შესაძლებლობები” (იქვე). სოციალური განწყობა ამ სამი ფაქტორის მოქმედების შედეგად იქმნება. მთავარი აქ ისაა, რომ ნებელობითი ქცევა სწორედ ამ დონეზე იშლება. პიროვნების დონეზე შექმნილი განწყობა

ნებელობითი ქცევის განწყობაა. თუ ასეა, მაშინ როგორღა შეიძლება იყოს ამ განწყობის შინაგანი ფაქტორი “სოციალური მოთხოვნა”, რომელსაც ცალსახად უკავშირდება **არანებელობითი ბუნების მქონე** “სოციალური ქცევის ფორმა, რომელიც მოთხოვნად მიიჩნევა” [10:185]. აი ავტორის მაგალითიც: “ტოტალიტარულ ქვეყნებში, პარტიულ შეკრებაზე ხშირად არავინ გამოდის მმართველი რეჟიმის კრიტიკით, თუმცა დამსწრეებს ბევრი რამე აქვთ საპროტესტოდ სათქმელი. ამგვარ სიტუაციაში სიჩუმის შენარჩუნებას ნებელობას ვერ მივაწერთ. ესაა **სოციალური მოთხოვნის** გათვალისწინება. ასეთი ქცევა საკუთარ იმპულსებს თრგუნავს, უპირისპირდება, მაგრამ **ნებელობით აქტად მაინც არ მიიჩნევა**” [იქვე]. აშკარაა, რომ აღწერილი ქცევა ზედმიწევნით ზუსტად ხასიათდება პიროვნების დონის განწყობის მოდელით და, მაშასადამე, ნებელობითად უნდა იქნას განხილული. წინააღმდეგობა თვალში საცემია – ბოლოს და ბოლოს, რომელი ქცევის განწყობის შინაგანი ფაქტორია ეს გაურკვეველი მოტივაციური ბუნების მქონე წარმონაქმნი – სოციალური მოთხოვნა – **მოთხოვნითი ქცევისა თუ ნებელობითის?**

პროდუქტიულად არც ის დებულება გამოიყურება, რომ **მოტივაცია ინტელექტუალური პროცესია**. ეს თეზისი საერთოდ არ არის დასაბუთებული და სახტად ტოვებს იმ მკითხველს, რომელიც აქამდე შემეცნებითი, ემოციური და მოტივაციური ფსიქიკური პროცესების გამიჯვნას იყო ჩვეული. ვინაიდან დ. ნადირაშვილი არ იმოწმებს სხვა ავტორს, საფიქრებელია, რომ ეს მისი საკუთარი იდეაა. ძნელი სათქმელია რა მოსაზრება უდევს მას საფუძვლად. ყოველ შემთხვევაში წერილის კონტექსტიდან იგი არ გამომდინარეობს, სადაც მსჯელობა ასე ვითარდება: მოტივაციის არსი ისაა, რომ სუბიექტი ახერხებს არსებული განწყობებიდან რომელიმეს აქტუალურ მდგომარეობაში გადაყვანას; ამისთვის იგი ერთერთ პიროვნულ განწყობას “მოაქცევს ფსიქიკური აქტივობის ფოკუსში” და თავისი “ზოგადი ორიენტაციების საფუძველზე ანიჭებს მას უპირატესობას”; ყოველივე ეს “ხშირად ხანგრძლივი ფსიქიკური აქტივობის საფუძველზე სრულდება”, რომელიც “**ინტელექტუალური პროცესია**” [10:187].

საიდან გამომდინარეობს ეს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რანაირად შეუძლია აზროვნებას, საკუთარ ფოკუსში მოქცევით, რომელიმე განწყობა აქტუალურ მდგომარეობაში გადაიყვანოს და სხვებზე უპირატესობა მიანიჭოს. ამისთვის ხომ ძალაა საჭირო; ამიტომაც ითვლება ეს პროცესი **ვოლიტურად**. მარტო აზროვნებისთვის ეს მართლაც “ფოკუსი” იქნებოდა. ამა თუ იმ ქცევის უპირატესობის გამოვლენა, “აწონვა” ღირებულებების სასწორზე ხდება. ე.წ. “პოზიციური აზროვნების” [12] დროს არჩევანი გაკეთებულია და აზროვნება მის გამართლებაზე ზრუნავს რაციონალური საშუალებებით (იმიტომაცაა ის აზროვნება). არჩევანი, როგორც ნებელობითი პროცესის ნაწილი, როგორც ნებისყოფის პერიოდი, სხვა ბუნებისაა. ამ შემთხვევაში ქცევის ღირებულება კი არ უნდა დაამტკიცო ან გაიგო – უნდა იგრძნო, განიცადო. აქ გადამწყვეტია ემოციურ-მოტივაციური პროცესი, თუმცა მას უდავოდ აქვს სოლიდური კოგნიტური კომპონენტიც. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ფსიქოლოგია უკვე კარგა ხანია ასეთ პროცესებს, მასში მონაწილე ფსიქიკურ წარმონაქმნებს **კოგნიტურ-მოტივაციურს** უწოდებს და საკმაოდ დახვეწილად აანალიზებს [21][22].

მოტივაცია ნამდვილად რთული პროცესია, რომელსაც მრავალი კომპონენტი აქვს, მათ შორის კოგნიტური (ინტელექტუალური). მაგრამ, თუ მაინცა და მაინც უკიდურესი კოგნიტივიზმის პოზიციებზე არ ვდგავართ, იგი რჩება სპეციფიკურ და სხვაზე დაუყვანად ფსიქიკურ პროცესად, თუმცა კოგნიტურ ფსიქოლოგიაშიც კი არ ხდება ინტელექტისა და მოტივაციის სრული გაიგივება [20]. განწყობის ფსიქოლოგიაში, დ. უზნაძიდან მოყოლებული, **მოტივაცია ნებელობითი ქცევის მოსამზადებელი პერიოდის ინტელექტუალური ეტაპის მომდევნო, დამოუკიდებელ ეტაპად (პროცესად) მიიჩნევა** [10]. ძალიან სერიოზული დასაბუთების გარეშე საწინააღმდეგოს მტკიცება ნებელობის განწყობისეული თეორიის განვითარებად ვერ ჩაითვლება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ნების თავისუფლების შესახებ. წერილში არაა მოცემული არც ამ საკითხის გარშემო განწყობის ფსიქოლოგიაში არსებული მოსაზრებების ანალიზი [2][5][11][13][15] და არც საკუთარი პოზიციის დასაბუთება. უბრალოდ განცხადებულია, რომ ნებელობა, კერძოდ გა-

დაწვევტილება არის პიროვნების თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ასპარეზი¹, რაც არაერთხელ გამოთქმულა აზროვნების ისტორიაში, ისევე როგორც საწინააღმდეგო – **დეტერმინისტული** მოსაზრებაც. მაგრამ ჩვენ ხომ ის გვაინტერესებს, რამდენად გამომდინარეობს ერთი ან მეორე განწყობის თეორიიდან. დ. უზნაძის მოსაზრება მაინც რომ გაეთვალსწინებინა ჩვენს ავტორს, იქნებ არ მოხვდებოდა **ინდეტერმინიზმის** სრულ ტყვეობაში. აბა სხვას რას უნდა ნიშნავდეს შემდეგი პასაჟი: “ნებელობითი ქცევის არსებითი თავისებურება ისაა, რომ იგი არ ემორჩილება მოვლენათა მიზეზშედეგობრივ კანონზომიერებებს, იგი არც ასოციაციური კანონების საფუძველზე ხორციელდება და არც ლოგიკური გამომდინარეობის პროცესია. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანი თავისუფალი არსებაა. გადაწყვეტილების მიღება აუცილებლობით არ ხასიათდება. იგი, პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით, ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც მოცემულ მომენტში მის მიზნებსა და ამოცანებს შეესატყვისება და მომავალი ვითარების შექმნას ედება საფუძველად... პიროვნება საკუთარი ქცევის თავისუფლად ამომრჩევია. განწყობათა მრავალფეროვნებიდან პიროვნებას ძალუქს ნებისმიერის ფოკუსში მოქცევა და ამორჩევა ხელეწიფება. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს პიროვნება – არსებობს ნების თავისუფლება” [10:186-187].

ეს, რომ ამას ნიშნავდეს, არც თავისუფლების პრობლემა იარსებებდა. პრობლემა ის კი არ არის, რომ ადამიანს უნარი აქვს გადაწყვეტილება მიიღოს, არამედ ის, არის თუ არა არჩევანი და გადაწყვეტილება რაიმეთი პირობადებული, ეყრდნობა თუ არა იგი რაიმე საფუძველს. თუ არა – მაშინ ეს უბრალოდ **თვითნებობაა** (რასაც სხვათა შორის ქართული ხალხური ფსიქოლოგიური გონი არანორმალურობად მიიჩნევს – “გიჟი თავისუფალია”) ან რაღაც **ზებუნებრივი**. თუ კი – მაშინ ეს ერთი მოვლენის მეორით **განსაზღვრულობაა**, ანუ **აუცილებლობისა** და არა თავისუფლების სფერო.

მართლაც გაუგებარია, რის საფუძველზე აცხადებს დ. ნადირაშვილი, რომ **თავისუფალი ნებელობითი ქცევა არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, არც კაუზალურს, არც იმპლიკაციურს და საზოგადოდ აუცილებლობის და განსაზღვრულობის კატეგორიებთან არაფერი აქვს საერთო**. უნდა გვესმოდეს, რომ ამგვარ კატეგორიულ და დაუსაბუთებელ მტკიცებებს ლოგიკურად მიყვავართ ისეთ დებულებებამდე, რომელთაც, საფიქრებელია, თვითონაც არ მიიღებს. კერძოდ ასეთი – ვითარება, რომელიც აუცილებელი არაა – **შემთხვევითია** (გამოდის, რომ ნებელობითი ქცევა შემთხვევითი ყოფილა?!); ან ასეთი – მოვლენა, რომელიც კანონზომიერებას არ ემორჩილება, სხვა რეალურ მოვლენებთან კავშირი არ აქვს – **მისტიკურია** (გამოდის, რომ ნებისყოფის ფსიქოლოგია მისტიკის სფერო ყოფილა?!). თუ დ. ნადირაშვილს ასე აქვს წარმოდგენილი ნებელობითი ქცევა (და ნებისყოფის ფუნქცია) საკამთო არც არაფერია გვაქვს, რამდენადაც მაშინ იგი უბრალოდ მეცნიერების ფარგლებიდან გადის.

ხელოვნებასაც და თეოლოგიასაც აქვთ თავისი კანონიერი ინტერესები ადამიანური ქცევის საიდუმლოებათა წვდომის თვალსაზრისით. სხვათა შორის არსებითად იგივე პოზიციაზე დგას ეგზისტენციალური თვალსაზრისიც, რომელმაც ძალუქად შემოადწია ქართულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ აზრში და რომელსაც, დიდი ალბათობით, ჩვენი ავტორიც ემხრობა. ეგზისტენციალიზმის მიხედვით, თავისუფლება, როგორც ადამიანის კონსტიტუტური ნიშანი, მას კანონზომიერების, მიზეზისა და საფუძვლის გარეშე ტოვებს (სარტრი), ხოლო შემეცნებას საშინელ ალტერნატივას უყენებს: ან ადამიანი როგორც კვლევის საგანი – ან ადამიანი, როგორც თავისუფლება (იასპერსი) [4].

რა თქმა უნდა, ყველა “თავისუფალია” აირჩიოს მსოფლმხედველობრივი პოზიცია. მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა იყოს გაცნობიერებული, რომ მეთოდოლოგიური პოზიცია არსებითად განსაზღვრავს ფსიქოლოგიური თეორიის სახეს. **საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული** ტიპის ფსიქოლოგიების დაპირისპირების კონტექსტში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აქ მხედველობაში გვაქვს ის, რომ ერთდროულად თავისუფლების ანუ **ინდეტერმინიზმის** და განწყობის **ზოგადფსიქოლოგიური** თეორიის პოზიციებზე დგომა ერთმანეთთან შეუთავსებელია, ვინაიდან ეს უკანასკნელი ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნება **საბუნებისმეტყველო ტიპის** ფსიქოლოგიურ

1 ავტორი იმით კმაყოფილდება, რომ იმოწმებს საღვთო წერილს, “სადაც ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისი თავის სახედ და სატად, მას მისცა თავისუფლება თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, აირჩიოს ცხოვრების გზა და პასუხი აგოს საკუთარ საქმიანობაზე” [10:188]. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ მტკიცებას მეცნიერული არგუმენტაციაც დამატებოდა.

სისტემებს. იგი იზიარებს ფსიქოლოგიის ამ ვერსიის ყველა არსებით ნიშანს. მას აქვს გამოხატული **დეტერმინისტული** სულისკვეთება, მიმართულია **ზოგადი კანონზომიერებების** დადგენასა და **ახსნაზე**; მისი ძირითადი ინტენცია არის ფსიქიკური აქტივობის **ფუნდამენტური მექანიზმის** (განწყობის) გამოვლენა და დახასიათება **მეცადრი ექსპერიმენტული და გაზომვითი პროცედურების** მეშვეობით. ამ განწყობისეული მექანიზმის ფორმირება-ფუნქციონირების კანონების ცოდნა პრინციპულ შესაძლებლობას ქმნის შესაბამისი ფსიქიკური და ქცევითი გამოვლინებების **წინასწარმეტყველებისა და მართვისა**. ყოველივე ეს რადიკალურად განსხვავდება ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიის **ინდეტერმინისტურ-იდეოგრაფიული** პარადიგმისაგან [5].

დ. უზნაძის მკაფიო **დეტერმინისტულ-ნომოტეტური** პოზიცია იმაში ვლინდება, რომ მეცნიერების ძირითად ამოცანად მოვლენების **ახსნა**, ანუ მათი **მიზეზების** გარკვევაა დასახული. ქცევა “მთლიანად მიზეზობრივ რეალშია ჩართული: მიზეზ-შედეგის ჯაჭვი აქ არსად წყდება... ქცევა განწყობით არის უშუალოდ განსაზღვრული: იგი არის მისი აღმოცენების უშუალო მიზეზი” [15:89]. თავად განწყობის ფორმირებაც შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით დეტერმინირებული პროცესია. ეს ეხება ყოველგვარი ქცევის განწყობას, მათ შორის ნებელობითისას. ამავე დროს, დ. უზნაძე კარგად ხედავს ბუნების მეცნიერებებში მიღებული **მექანიკური კაუზალობის** პრინციპის ფსიქოლოგიის სფეროში პირდაპირ გადმოტანასთან დაკავშირებულ სირთულეებს და აქ დეტერმინაციის სპეციფიკური სახის არსებობასაც უშვებს [5].

თუ “ნებელობა თავისუფალი პიროვნული ქცევის მამოძრავებელი ძალაა” [10:188]¹, რომელსაც ადამიანი, “მე” თვითნებურად იყენებს მოთხოვნილებების დასათრგუნად, აქტუალური განწყობების შესაქმნელად თუ დისპოზიციურის გასააქტიურებლად, მაშინ საერთოდ რაღა საჭიროა განწყობა თავისი ფაქტორებით, აღმოცენებისა და შეცვლის კანონებით; ე.წ. **თავისუფალი ნება** თავის საქმეს მათ გარეშეც მშვენიერად მოაგვარებს, აქტივობასაც აღძრავს და წარმართავს, ქცევის საფუძველიც იქნება და მექანიზმიც. **ვოლუნტარისტულ კონცეფციებს განწყობის ტიპის დეტერმინისტული კონსტრუქციები არ ესაჭიროება.**

საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ თავისუფლების თავის თავად ძალიან მომხიბლავი ცნება განწყობის ფსიქოლოგიის სისტემაში მისაღები გახდება, თუ მას მოენახება ისეთი მნიშვნელობა, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოვა მეცნიერებისაგან მოუცილებელ კანონზომიერების (დეტერმინაციის) კატეგორიასთან. რაც მთავარია, **თეორიულად იქნება დასაბუთებული და პრაქტიკულად ნაჩვენები, თუ როგორ არის შესაძლებელი თავისუფალი ანუ ინდეტერმინირებული პროცესის მეცნიერული კვლევა.** ამის გარეშე ყოველგვარი დეკლარაციული განცხადებები ნებელობითი ქცევის თავისუფლების შესახებ ფუჭი და მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული დარჩება. თავისუფლების ურთულესი პრობლემა, რომელმაც ბევრი გენიოსი დააჩოქა, “თავისუფალ” მოპყრობას არავის პატიობს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მისასაღმებელია, რომ ნებელობის თეორიის მკვლევართა მცირე ჯგუფს ახალი წევრი შეემატა. კარგი იქნება თუ იგი ამ მიმართულებით განაგრძობს მუშაობას. პირველმა მცდელობამ, ბუნებრივია, ბევრი კითხვა აღძრა, რომელთა შესახებ ცოტაოდენი ზემოთ ვიმსჯელებთ, ბოლოს კი დაწურული ფორმით წარმოვადგენთ:

არსებობს თუ არა ბიოლოგიურის გარდა სხვა სახის მოთხოვნილებები და თუ არა რატომ?

რატომ არის ბიოგენური და ფსიქოგენური მოთხოვნილებებით აღძრული ქცევა აუცილებლად იმპულსური, მაშინაც თუ მან მოტივაციის პროცესი გაიარა და მისი რეგულაცია ობიექტივაციის პლანში მიმდინარეობს?

რას წარმოადგენს “სოციალური მოთხოვნა”, როგორც მოტივაციური ცვლადი, რითი განსხვავდება იგი, ვთქვათ, სოციოგენური მოთხოვნილებებისაგან?

რა ბუნებისაა სოციალური მოთხოვნით აღძრული ე.წ. “სოციალური ქცევის ფორმა”, იმპულსურია, ნებელობითი თუ კიდევ სხვა რამ?

რის საფუძველზეა მიჩნეული, რომ მეორე დონის, ანუ იმპულსურსა ნებელობით დონეებს

1 ავტორი ალბათ არ აცნობიერებს, რომ პიროვნებისთვის საკუთარი ავტონომიური ძალის მიწერა, რაც თითქოს მისი თავისუფლების გამოხატულებაა, არსებითად, მეორე ძალის დაშვებაა და, მაშასადამე, შ. ჩხარტიშვილის პოზიციის გაქრობა. ამასთან საეჭვოა, რომ იგი იზიარებდეს შ. ჩხარტიშვილის შეხედულებას, რომელიც წერილში ფაქტობრივად იგნორირებულია.

შორის ქცევები აუცილებლად ინტელექტუალურია (თეორიული)?

რითი მტკიცდება, რომ ქცევის შეფერხებისას დამატებითი კოგნიტური პროცესების ჩართვა აუცილებლად ახალი (თეორიული) განწყობის შექმნას საჭიროებს, როგორც ამას ე.წ. “განწყობის სტატიკური სტრუქტურის” მოდელი ითვალისწინებს?

რომელი განწყობა წარმართავს ნებელობით ქცევას, აქტუალიზებული ფიქსირებული “პიროვნული განწყობა”, თუ ახალი სიტუაციური განწყობა, რომლის სუბიექტური ფაქტორია “სოციალური მოთხოვნა”, ხოლო ობიექტური – “სოციალური თანხმობა ან უთანხმოება”?

რატომაა მოტივაციური პროცესი ინტელექტუალური, არსებობს თუ არა საკუთრივ მოტივაცია, როგორც სპეციფიკური ფსიქიკური მოვლენა?

როგორ შეიძლება ნებელობითი ქცევის მეცნიერული შეწავლა, თუ ის არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, არც კაუზალურს, არც იმპლიკაციურს და, საზოგადოდ, აუცილებლობის და განსაზღვრულობის კატეგორიებთან არაფერი აქვს საერთო?

როგორ უკავშირდება თავისუფლების კატეგორია განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას, თუ ეს უკანასკნელი დეტერმინისტულ-ნომოტეტურ-ექსპერიმენტულ პარადიგმას ეფუძნება?

ლიტერატურა:

1. ალხაიშვილი ა. ობიექტივაციის ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგია, ტ. XXII. თბილისი, 2010. გვ. 7-11.
2. ბაკურაძე ო. თავისუფლება და აუცილებლობა. თბილისი, 1964.
3. ვახანია ზ. განწყობის ცნების განსაზღვრება შ. ჩხარტიშვილის ნააზრევზე დაფუძნებით. ფსიქოლოგია, ტ. XXII. თბილისი, 2010. გვ. 84-117.
4. იმედაძე ი. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები. თბილისი, 2004.
5. იმედაძე ი., კენჭაძე ნ. ორგვარი ფსიქოლოგიის პრობლემა და განწყობის თეორია. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2006, 1. გვ. 75-91.
6. იმედაძე ი., კენჭაძე ნ. ობიექტივაცია, განწყობა და ქცევა. „მაცნე“, 2009, 1. გვ. 58-67.
7. მალრაძე მ. განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები. ქუთ., 2008.
8. ნადირაშვილი ვ. პიროვნება და ნორმატული ქცევა. (განწყობის შალავა ჩხარტიშვილისეული კონცეფციის პოზიციიდან). ფსიქოლოგია, ტ. XXII. თბილისი, 2010. გვ. 162-183.
9. ნადირაშვილი დ. იმპულსური და ნებელობითი ქცევის კვლევა ქართველ მოზარდებსა და ახალგაზრდებში. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2007, 1. გვ. 163-168.
10. ნადირაშვილი დ. ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან. ფსიქოლოგია, ტ. XXII. თბილისი, 2010. გვ. 184-188.
11. ნადირაშვილი შ. განწყობის ანთროპული თეორია. თბილისი, 2001.
12. ნადირაშვილი შ. ანალიტიკური და პოზიციური აზროვნება. „მაცნე“, 2003, 1. გვ. 83-92.
13. საყვარელიძე რ. თავისუფლების პრობლემა: დასავლური მეცნიერების, აღმოსავლური რელიგიების და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პარადიგმები. „მაცნე“, 2007-9, 1.
14. საყვარელიძე რ. მოქმედების გეგმა და განწყობა. ფსიქოლოგია, ტ. XXII. თბ., 2010. გვ. 196-204.
15. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ. 3-4. თბილისი, 1964.
16. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული. “მაცნე”, 1988, 4. გვ. 53-71.
17. ჩხარტიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. თბილისი, 1958.
18. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1974.
19. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება. თბილისი, 1975.
20. Имедадзе И.В. Категория поведения в теории установки. Тбилиси, 1991.
21. Хекхаузен Х. Мотивация и деятельность. СПб., 2003.
22. Nuttin J. Motivation, planing and action. Leuven; Hilisdale (N.J.), 1984.

Irakli Imedadze

On the Topical Issues of the Theory of Volition (In reference to D. Nadirashvili's article)

Resume

This essay has a polemic character. It refers to the questions arisen in D. Nadirashvili's article ‘The phenomenon of volition from the contemporary perspective of set theory’ published in vol. XXII of *Psychology*. The present work aims to clarify a certain set of issues: Meaning of ‘contemporary perspectives’, validity of the author's analysis of basic problems of volition which are connected with the source of volitional behavior, the difference between impulsive and volitional behavior, levels and types of activity, the set mechanism proposed for their regulation, freedom of will, the category of regularity in general, etc.

ბელა არუთინოვი, ნინო ჩხაიძე

თბილისის ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი

პერფექციონიზმის სტრუქტურა და მისი მიმართება ავმატური
სასიათის ფენომენებთან

საკვანძო სიტყვები: გლობალური პერფექციონიზმი, თვითშეფასებითი და კეთილგონიერული პერფექციონიზმი, ღირსება, თვითშეფასება, მე-რეალური, მე-იდეალური, პრაქტიკორული ღირებულება

წინამდებარე კვლევაში შევეცადეთ შეგვესწავლა პერფექციონიზმის კავშირი ღირსებისა და თვითშეფასებასთან მოზარდებსა და ახალგაზრდებში. მანამ, სანამ უშუალოდ კვლევას წარმოგიდგენდეთ, განვიხილოთ ის თეორიული საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდა კვლევის მიზნები.

“Perfectio” ლათინური სიტყვაა და ქართულად სრულყოფას, სრულყოფილებას ნიშნავს [12]. აქედან მომდინარეობს ფსიქოლოგიაში უკვე კარგად დამკვიდრებული ცნება “პერფექციონიზმი” – ერთერთი განმარტებით, ყველაფრით უმაყოფილება, რაც არ არის სრულყოფილი და რაც არ შეესაბამება უკიდურესად მაღალ სტანდარტებს [11]. პერფექციონიზმი ინტენსიური ემპირიული კვლევის საგნად ბოლო ათწლეულების განმავლობაში იქცა. როგორც ჩვეულებრივ პოპულაციაზე, ისე კლინიკურ შერჩევაზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადასტურდა პერფექციონიზმის კავშირი ავმატური სპექტრის აშლილობებთან (დებრესიასთან, კვებით დარღვევებთან, შფოთვით აშლილობებთან), გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან, ზოგადად, ადაპტაციის სირთულეებთან, პასიურობასა და შრომისუნარიანობის დაქვეითებასთან. ამავე დროს მეცნიერთა შორის ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პერფექციონიზმის ბუნებისა და მისი ფსიქოლოგიური სტრუქტურის შესახებ. პერფექციონიზმის სტრუქტურული კომპონენტების რელევანტურ ფსიქოლოგიურ ფენომენებთან ურთიერთკავშირის სისტემური შესწავლა დღესაც აქტუალურ ამოცანად რჩება, რომლის განხორციელებას არა მხოლოდ თეორიული, არამედ მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვა ექნება, განსაკუთრებით ფსიქოთერაპიული თუ საკონსულტაციო სამსახურის სფეროში.

პერფექციონიზმის ბუნების გარკვევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. უკვე ფროიდი განიხილავდა პერფექციონიზმს, როგორც ობსესიური ნევროზის ზოგად სიმპტომს, როდესაც მკაცრი და დამსჯელი სუპერეგო მოითხოვს მაღალ მიღწევებსა და შესრულებას. პირველი თეორიული დაშვებები ამ ცნებასთან დაკავშირებით XX საუკუნის შუა წლებში კარენ ჰორნიმ შემოგვთავაზა [3]. ჰორნის მიერ გამოყოფილი 10 ნევროზული მიდრეკილებიდან (1942) მეთექვსმეტი სრულყოფილების მოთხოვნილებაა. ამ ტიპს საფუძვლად უდევს დაცვითი ქცევის სტრატეგია – მოძრაობა ადამიანებისგან – რომელსაც, ჰორნის თქმით, პიროვნება მშობლების ინდიფერენტულობასთან გასამკლავებლად შეიმუშავებს – ბავშვი განდევნის სხვებისადმი ყოველგვარ გრძნობას, განსაკუთრებით კი სიყვარულსა და სიძულვილს, ცდილობს გახდეს თვითკმარი, დამოუკიდებელი და მარტოსული, მიისწრაფის გახდეს ყველა დანარჩენზე სრულყოფილი: მისთვის ყოველგვარი შეცდომა დაუშვებელია, ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, უნდა იყოს დახვეწილი და წუნდაუდებელი [2][9]. ამის შემდგომ პერფექციონიზმი, როგორც პიროვნების ერთერთი არსებითი ნიშანი, რაიმონდ კეტელის პიროვნების 16-ფაქტორიან კითხვარში (1950) შევიდა. ამ კითხვარის მიხედვით, პერფექციონიზმის სკალაზე (Q3) დაბალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ პიროვნება არის შეცდომებისადმი შემწყნარებელი, მოქნილი, არადისციპლინირებული, დაუდევარი, იმპულსური, არ ადარდებს სოციალური წესები. ამის საპირისპიროდ, მაღალი მაჩვენებელი გულისხმობს ორგანიზებულობას, დისციპლინირებულობას, კომპულსურობას, სოციალური

წესებისადმი მიდევნებასა და ა.შ [13]. 1956 წელს ადღერმა გამოთქვა აზრი, რომ სრულყოფილებისკენ სწრაფვა ნორმალურია და თანდაყოლილი. მან ერთმანეთისგან განასხვავა პერფექციონიზმის მქონე ინდივიდების ორი ტიპი. მისი აზრით, ჯანმრთელი პერფექციონისტები მიისწრაფიან მიღწევადი მიზნებისკენ, არაადაპტაციური პერფექციონისტები კი არარეალისტურ მიზნებს ისახავენ და საუკეთესო შესრულებისკენ მიისწრაფიან. ადღერმა არაადაპტაციური პერფექციონისტი აღწერა, როგორც პიროვნება, რომელსაც კრიტიკის ეშინია, მუდმივად აზვიადებს თავის შეცდომებს, გადაჭარბებულ მნიშვნელოვნებას ანიჭებს წესრიგს და საყოველთაო აღიარებას ესწრაფვის. მაშინ, როდესაც ნორმალური პერფექციონისტები ცდილობენ, მიაღწიონ ისეთ სრულყოფილებას, რომელიც მათ სარგებელს მოუტანს, არაადაპტაციური პერფექციონისტები პიროვნული უპირატესობის მიღწევისთვის იბრძვიან. თითქმის იგივე მოსაზრება გაიმეორა ჰამჩეკმა 1978 წელს იმ განსხვავებით, რომ არაადაპტაციურ პერფექციონისტებს მან ნევროზული პერფექციონისტები უწოდა, ნორმალური პერფექციონისტები კი, მისი აზრით, ასევე არარეალურად მაღალ სტანდარტებს უწესებენ თავიანთ თავს, მაგრამ უფრო მოქნილები და შეცდომების მიმართ უფრო შემწყნარებელი არიან [10]. ამ გაგებით, ნორმალური პერფექციონიზმი შეგვიძლია დავუკავშიროთ პრინციპს “მოინდომე შეუძლებელი, რათა მიაღწიო მაქსიმუმს”. ამ და კიდევ მრავალი სხვა თეორეტიკოსის მსგავს შეხედულებათა მიუხედავად, ლიტერატურაში პერფექციონიზმი, ძირითადად, უარყოფით კონტექსტში განიხილება და საუბარია უფრო მის არაჯანსაღ მახასიათებლებზე, ვიდრე პირიქით.

კლასიკურ განმარტებებში პერფექციონიზმის ცნება მხოლოდ ერთ პარამეტრს მოიცავდა – პიროვნების მიდრეკილებას, საკუთარ თავს დაუწესოს ძალზე მაღალი სტანდარტები, რის გამოც შეუძლებელი ხდება განიცადო კმაყოფილება მიღწეული შედეგით. ამერიკელმა კლინიკურმა ფსიქოლოგმა პოლენდერმა ერთერთმა პირველმა განმარტა პერფექციონიზმი, როგორც “ყოველდღიური პრაქტიკა საკუთარი თავისადმი *იმაზე მეტი* მოთხოვნების წაყენებისა, ვიდრე ამას გარემოება მოითხოვს”; შემდგომში ბერნსმა მოახდინა პერფექციონიზმის ცნების ღრმა ანალიზი და დაასკვნა, რომ ადამიანები, რომლებსაც პერფექციონიზმი აწუხებთ, “მიდრეკილნი არიან, დააწესონ არარეალურად მაღალი სტანდარტები, კომპულსურად მიისწრაფიან განუხორციელებადი მიზნებისაკენ და *საკუთარ ღირებულებას* აფასებენ მხოლოდ მიღწევისა და პროდუქტიულობის ტერმინებში” [3].

1990-იან წლებში ამ ფენომენის სტრუქტურაზე წარმოდგენა საგრძნობლად გაფართოვდა. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბრიტანელი კლინიკური ფსიქოლოგების ჯგუფს ფროსტის ხელმძღვანელობით და კანადელი მეცნიერების ჯგუფს ჰიუიტის ხელმძღვანელობით. ორივე ამ ჯგუფმა განავითარა წარმოდგენა პერფექციონიზმზე, როგორც მრავალგანზომილებიან კონსტრუქტზე, რომელსაც აქვს რთული სტრუქტურა და მაღალ პიროვნულ სტანდარტებთან ერთად მოიცავს მთელ რიგ კოგნიტურ თუ ინტერპერსონალურ პარამეტრებს [3].

ფროსტისა და მისი კოლეგების მიხედვით, პერფექციონიზმის პარამეტრებია: 1. პირადი სტანდარტები – მიდრეკილება ძალიან მაღალი სტანდარტების შემუშავებისადმი და ამ სტანდარტებთან შესაბამისობისათვის დიდი მნიშვნელოვნების მინიჭება, რის შედეგადაც ვლევულობით მერყევ თვითშეფასებასა და საკუთარი საქმიანობით ქრონიკულ უკმაყოფილებას; 2. შეცდომების გადაფასება – შეცდომებზე მწვავე რეაგირება, შეცდომების წარუმატებლობასთან გათანაბრებისადმი მიდრეკილება; 3. საკუთარ ქმედებებში დაჟეკება – მუდმივი ეჭვები შესრულებული საქმის ხარისხის თაობაზე; 4. მშობლების მოლოდინები – მშობლების შეფასება, როგორც ძალიან მაღალი მოლოდინების მქონეთა; 5. მშობლების კრიტიკა – მშობლების შეფასება, როგორც ზედმეტად კრიტიკულებისა; 6. ორგანიზებულობა – წესრიგისა და ორგანიზებულობისათვის დიდი მნიშვნელოვნების მინიჭება [3].

კანადელმა მედევარებმა პერფექციონიზმის სტრუქტურის შესახებ ალტერნატიული შეხედულება შემოგვთავაზეს და მხოლოდ ოთხი პარამეტრი გამოყვეს. ესენია: 1. მეობაზე მიმართული პერფექციონიზმი – მოიცავს ძალიან მაღალ სტანდარტებს, საკუთარი თავის მუდმივ შეფასებასა და საკუთარ ქცევებზე მუდმივად ცენზურის დაწესებას, ასევე სრულყოფილებისაკენ სწრაფვის მოტივს, რაც სხვადასხვა ადამიანებში ინტენსივობით განსხვავდება; 2. სხვა

ადამიანებისადმი მიმართული პერფექციონიზმი – გულისხმობს მნიშვნელოვანი სხვებისადმი და გარემომცველი ადამიანებისადმი არარეალისტური სტანდარტების დაწესებას, ადამიანური სრულყოფილების მოლოდინსა და სხვების მუდმივ შეფასებას. როგორც ავტორები მიიჩნევენ, ამ დროს ადგილი აქვს სხვა ადამიანების მუდმივ დადანაშაულებას, მათდამი მტრულ დამოკიდებულებასა და ნდობის ნაკლებობას; 3. მთლიანად სამყაროსადმი მიმართული პერფექციონიზმი – “იმაში დარწმუნებულობა, რომ სამყაროში ყველაფერი უნდა იყოს ზუსტი, აკურატული, სწორი და ყველა ადამიანური და საერთაშორისო პრობლემისათვის უნდა არსებობდეს სწორი და დროული გადაწყვეტა”; 4. სოციალური პერფექციონიზმი – მნიშვნელოვანი სხვების სტანდარტებისა და მოლოდინებისადმი შესაბამისობის მოთხოვნილება [3].

პერფექციონიზმი, როგორც დეპრესიის გამომწვევი მიზეზი, შეგვიძლია ზუსტად შევუსაბამოთ აარონ ბეკის დეპრესიის თეორიას – პერფექციონიზმი პირდაპირ უკავშირდება ორ კოგნიტურ შეცდომას: გადაფასება/შეუფასებლობასა და დიქტომიურ აზროვნებას – ადამიანმა, რომელიც მაღალი პერფექციონიზმით ხასიათდება, შესაძლოა გადააფასოს ის სტანდარტები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს, და სათანადოდ ვერ შეაფასოს საკუთარი შესრულება. ამავე დროს ის გაურბის წარუმატებლობას, მისი პრინციპია “ყველაფერი ან არაფერი”, რაც დიქტომიურ აზროვნებას გულისხმობს. ამრიგად, პერფექციონიზმმა შეიძლება ხელი შეუწყოს ნეგატიური ცნებების ფორმირებასა და გამყარებას, ეს კი პირველი ნაბიჯია დეპრესიის ჩამოყალიბებისათვის; საკუთარი არასათანადო შესრულებით გამომწვეულმა ფრუსტრაციებმა შესაძლოა ჩამოაყალიბოს ნეგატიური მე-ხატი, რაც კოგნიტური ტრიადის ერთერთი ასპექტია, კოგნიტური სქემა კი, რომელიც შესაძლოა ასე უდერდეს: “თუ ჩემი შესრულება არ არის ასეთი და ასეთი, მაშინ მე წარუმატებელი ვარ”, შესაძლოა გენერალიზდეს და ხელი შეუწყოს კოგნიტური ტრიადის კიდევ უფრო გამყარებას.

ამრიგად, პერფექციონიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დეპრესიის მიზეზი და მისი შენარჩუნების ან გაძლიერების განმაპირობებელი ფაქტორი.

პერფექციონიზმისა და დეპრესიის ერთმანეთთან კავშირი გაშუალებულია კიდევ ერთი ცვლადით, რომელსაც ადამიანის **თვითშეფასება** წარმოადგენს: თვითშეფასება ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც დიდწილად განაპირობებს პიროვნების კარგად ყოფნის განცდასა და ინდივიდის საკუთარი თავისა და გარემოს მიმართ დამოკიდებულების ხასიათს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ადამიანზე, რომელსაც აქვს მაღალი თვითშეფასება ანუ მცირე განსვლა არსებობს მის რეალურ (როგორ აფასებს საკუთარ თავს) და იდეალურ (როგორი სურს, რომ იყოს) თვითშეფასებებს შორის, ნაკლებ ზეგავლენას მოახდენს მის მიერვე დაწესებული მაღალი სტანდარტების ვერდაკმაყოფილება, ხოლო ადამიანისათვის, რომელსაც აქვს დაბალი თვითშეფასება ანუ მის მე-იდეალსა და მე-რეალურს შორის დიდი განსვლაა, ეს უფრო დიდი ფრუსტრაციის გამომწვევი იქნება.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც დღემდე დისკუსიის საგანია – რამდენად მართებულია შეხედულება, რომ უარყოფითი პერფექციონიზმის გვერდით, რომელიც გვევლინება ქრონიკული ფრუსტრაციისა და სტრესის წყაროდ, არსებობს პოზიტიური პერფექციონიზმი, რომელიც არათუ ნაკლებ ფრუსტრაციას გულისხმობს, არამედ ადამიანს წინსვლისა და განვითარებისკენ უბიძგებს. სლეიდისა და ოუენსის მიხედვით (1998), პოზიტიური პერფექციონიზმის მამოძრავებელი ძალაა პოზიტიური განმტკიცება და მიღწევის სურვილი მაშინ, როდესაც ნეგატიურ პერფექციონიზმს წარუმატებლობის შიში და უარყოფითი შედეგის თავიდან არიდების სურვილი ამოძრავებს. შესაბამისად, ვლებულობთ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევას: მიახლოებას თავის არიდების წინააღმდეგ (approach versus avoidance) [5].

თუ პერფექციონიზმის ორგვარი ბუნების არსებობა და მისი მასტიმულირებელი ან, პირიქით, შემაფერხებელი ზეგავლენა რეალობას შეესაბამება, სავარაუდოა, რომ ეს ვითარება უნდა აისახოს დეპრესიასთან მიმართებაში. კერძოდ, პერფექციონიზმის უარყოფითი მუხტის მატარებელი განზომილება უნდა განაპირობებდეს დეპრესიის ხარისხის მატებას, ხოლო მისი უფრო პოზიტიური ეფექტის მქონე განზომილებას ამ მხრივ გავლენა არ უნდა ჰქონდეს. დადებითი პერფექციონიზმის ერთერთი განმარტებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი გულისხმობს პიროვნების მიერ საკუთარი თავისადმი არარეალურად მაღალი სტანდარტების წაყენებას, თუმცა

ასევე შემწყნარებლობის მაღალ დონეს ამ სტანდარტების ვერდაკმაყოფილების შემთხვევაში, ვვარაუდობთ, რომ პერფექციონიზმის ამ ტიპის დადებითობას განაპირობებს ინდივიდის მაღალი თვითშეფასება, ხოლო უარყოფითი პერფექციონიზმის უარყოფითობას კი ამგვარი პერფექციონიზმის მქონე ინდივიდის დაბალი თვითშეფასება განსაზღვრავს, ვინაიდან იგი შეუწყნარებელია საკუთარი შეცდომების მიმართ და “...საკუთარ ღირებულებას აფასებს მხოლოდ მიღწევისა და პროდუქტიულობის ტერმინებში.” ასევე სავარაუდოა, რომ აღნიშნული სამი ფენომენების ბუნებიდან გამომდინარე, მათი გამოვლენის ინტენსივობა დამოკიდებული იყოს პიროვნების ძირითადი საქმიანობის ეფექტურობასთან. ჩვენს შემთხვევაში ესაა აკადემიური მოსწრება.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელია ჩვენი კვლევის ამოცანების სახით ჩამოვაყალიბოთ:

1. პერფექციონიზმის, როგორც მთლიანი კონსტრუქტის და მისი განსხვავებული განზომილებების დეპრესიასთან კავშირის შესწავლა;
2. თვითშეფასების მიმართების განსაზღვრა როგორც დეპრესიის დონესთან, ისე პერფექციონიზმის გამოხატულების ხარისხთან, იქნება ეს მთლიანი კონსტრუქტი, თუ მისი ცალკეული კომპონენტები;
3. აღნიშნული სამი ძირითადი ფენომენის ურთიერთმიმართების შესწავლა ცდისპირთა აკადემიური მოსწრების, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით. თითოეული ამ ცვლადის წილის განსაზღვრა დეპრესიის, პერფექციონიზმისა და თვითშეფასების ვარიაციულობაში;
4. პერფექციონიზმის სხვადასხვა კომპონენტებს შორის კრიტიკული მნიშვნელობის ასპექტების გამოკვეთა, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ დეპრესიის ინტენსივობის ცვალებადობაში.

ქართულ ფსიქოლოგიაში პერფექციონიზმი ნაკლებადაა შესწავლილი, მეტიც, არ არსებობს ამ ფენომენის საკვლევი ინსტრუმენტის სანდო და ვალიდური ანალოგი. ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა შესაბამისი უცხოური კითხვარის ქართული ვერსია, რომლის ფსიქომეტრული მახასიათებლები საშუალებას მოგვცემს, არ შევიტანოთ ეჭვი მიღებული შედეგების სანდოობაში.

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია, აგრეთვე იმის გარკვევა, არის თუ არა პერფექციონიზმი სტაბილური პიროვნული ნიშანი, რომელიც თანაბარი ძალით ელინდება ყოველ ასაკში. ამ საკითხის გარკვევა დაეხმარება კლინიკურ ფსიქოლოგებს უფრო ეფექტურად წარმართონ თავიანთი მუშაობა პერფექციონიზმის მქონე კლიენტებთან.

კვლევის ჩატარების პროცედურა და მეთოდი

გამოყენებულ იქნა არაექსპერიმენტული, კორელაციური დიზაინი. მონაცემების აკრეფა მოხდა 2008/2009 წწ. ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში.

კვლევის მონაწილენი

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 15-დან 24 წლამდე მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. სულ იყო 182 ცდისპირი, მათგან 80 მამრობითი, ხოლო 102 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ცდისპირთა ასაკი იყო 13-დან 25 წლამდე. 14% გახლდათ სკოლის მოსწავლე, ხოლო დანარჩენი – ბაკალავრიატის სტუდენტი (ძირითადად, თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები). მონაცემთა ანალიზისას, ძირითადად, გამოვიყენეთ ცდისპირთა ოთხ ასაკობრივ ჯგუფს: I ჯგუფი – 13-დან 17 წლამდე (14%); II ჯგუფი – 18 წლის (36%); III ჯგუფი – 19-დან 20 წლამდე (26,6%); IV ჯგუფი - 21-დან 25 წლამდე (23,4%).

ინსტრუმენტები

ბეის დეპრესიის საკვლევი სკალა (BDI) – 21 პუნქტიანი, თვით-ანგარიშზე დაფუძნებული ტესტი, რომელიც ზომავს დეპრესიის კოგნიტური, ქცევითი, ემოციონალური და სომატური სიმპტომების არსებობასა და სიმწვავეს. თითოეული პუნქტი ფასდება ქულით 0-დან 3-მდე, უფრო მაღალი ქულები სიმპტომის უფრო მეტ სიმწვავეზე მიუთითებს. BDI არის შინაგნად შეთანხმებული, მაღალი ტესტი-რეტესტი სანდოობის მქონე ინსტრუმენტი, რომლის ვალიდობა დადასტურებული როგორც კლინიკურ, ისე ნორმალურ შერჩევაზე [4][8] DI ადაპტირებულია ქართულ პოპულაციაზე [1].

პერფექციონიზმის კითხვარი [7] – 59 პუნქტიანი, თვით-ანგარიშზე დაფუძნებული კითხვარი, რომელიც 8 სკალას მოიცავს. ესენია: 1. შეცდომებზე კონცენტრირება (CM) – შეცდომის დაშვების შემდგომ დისტრესისა და შფოთვის ტენდენცია; 2. მაღალი სტანდარტების წაყენება სხვების მიმართ (HSO) – საკუთარი პერფექციონისტული იდეალების სხვებზე გავრცელების ტენდენცია; 3. დაფასების მოთხოვნილება (NA) – სხვებისაგან განმტკიცების ძიებისა და კრიტიკისადმი მაღალი მგრძნობელობის ტენდენცია; 4. ორგანიზებულობა (O) – აკურატულობისა და დისციპლინიზებულიობის ტენდენცია; 5. აღქმული ზეწოლა მშობლების მხრიდან (PP) – მშობლებისაგან დაფასების მოსაპოვებლად უნაკლო შესრულების მოთხოვნილების ტენდენცია; 6. გეგმაზომიერება (P) – წინასწარ დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების აწონ-დაწონის ტენდენცია; 7. რუმინაცია¹ (R) – სრულყოფილ შესრულებაზე ან მომავალ შეცდომებზე მეტად წარსული შეცდომების გამო ობსესიურად დელების ტენდენცია; 8. სრულყოფილებისკენ სწრაფვა (SE) – სრულყოფილი შესრულებისა და მაღალი სტანდარტების მიღწევების ტენდენცია. ეს სკალები ქმნის პერფექციონიზმის ორ მეორად სკალას: კეთილგონივრული პერფექციონიზმი (CP) – მოიცავს HSO, O, P და SE სკალებს, და თვითშეფასებითი პერფექციონიზმი (SEP) – მოიცავს CM, NA, PP და R სკალებს. ეს ორი მეორადი ფაქტორი გულისხმობს პერფექციონიზმის დადებით ანუ ადაპტაციურ და უარყოფით ანუ არადაპტაციურ განზომილებებს. კეთილგონივრული პერფექციონიზმი ავლენს ინდივიდის “პოზიტიურ მისწრაფებებს”, თვითშეფასებითი პერფექციონიზმი კი “არადაპტაციურ შეფასებით მიზნებს” [7]. ყველა სკალაზე მიღებული ქულების ჯამი გვაძლევს პერფექციონიზმის საბოლოო ქულას (PI Composite), რასაც “გლობალური პერფექციონიზმი” ვუწოდეთ.

აღნიშნული ინსტრუმენტი [7] შეიქმნა ორი წინამორბედი მრავალგანზომილებიანი პერფექციონიზმის სკალის [6] საფუძველზე, რამდენიმე ახალი ფაქტორის დამატებით. ახალი ინსტრუმენტის შექმნის მიზანი იყო პერფექციონიზმის პოტენციურად რელევანტური ფაქტორების ხელიდან გაშვების რისკის მინიმუმამდე დაყვანა, ვინაიდან პერფექციონიზმის ცნების თანდათანობით გართულების პარალელურად, ამ ნიშნის უკვე არსებული ინსტრუმენტებით გაზომვის შემთხვევაში ამის რისკი მაღალი იყო.

დემბო-რუბინშტეინის თვითშეფასების სკალა – მოცემულია ვერტიკალური, 10სმ სიგრძის მონაკვეთები, თითოეულს მიწერილი აქვს ერთერთი პიროვნული მახასიათებელი. ამ შემთხვევაში შერჩეულ იქნა თვითშეფასების შვიდი მახასიათებელი: ჯანმრთელობა, გონიერება, ბედნიერება, აქტიურობა, ემოციურობა, ნებისყოფა და ოპტიმიზმი. მონაკვეთების ქვედა უკიდურესი წერტილი ნიშნავს კონკრეტული მახასიათებლის მინიმალურ გამოხატულებას (შეესაბამება 0 ქულას), ხოლო ზედა უკიდურესი წერტილი – მაქსიმალურ გამოხატულებას (შეესაბამება 100 ქულას). თითოეული მახასიათებელი ორი თვალსაზრისით ფასდება: 1. პიროვნების აზრით, როგორაა ეს მახასიათებელი მასში გამოხატული რეალურად და 2. რა ხარისხით სურს, რომ ეს მახასიათებელი იყოს მასში გამოხატული. ცდისპირს მიეწოდება შვიდი წყვილი მონაკვეთებისა, რომელთაც მიწერილი აქვს შესაბამისი მახასიათებელი. თითოეული მახასიათებლის აღმნიშვნელ მონაკვეთზე ცდისპირმა დეფისის გასმით უნდა განსაზღვროს, თუ სად ხედავს თავს რეალურად და სად სურს, რომ იყოს. მიღებული მონაცემების დათვლა ხდება სახაზავით, მილიმეტრებში. თვითშეფასება განისაზღვრება რეალურ და იდეალურ სიდიდეებს შორის სხვაობის საფუძველზე. ეს სხვაობა შესაძლოა იყოს დადებითი ნიშნის მქონე – როდესაც იდეალური მე-შეფასება მეტია რეალურზე, ან უარყოფითი – როდესაც რეალური მე-შეფასება აღემატება იდეალურ მე-შეფასებას. შესაბამისად, აქ შეიძლება მივიღოთ ქულები -100-დან 100-მდე. მე-რეალური, მე-იდეალი და მათ შორის სხვაობა ითვლება როგორც ცალ-ცალკე მახასიათებლების მიხედვით, ასევე ჯამურად.

1 ამ ტერმინს ვერ მოუძებნეთ ქართული ეკვივალენტი, რომელიც ზუსტად გადმოსცემდა მის შინაარსს, ამიტომ იგი უცვლელი სახითაა შენარჩუნებული ტექსტში. ესა არის გარკვეული საკითხის გარშემო ერთგვარი უშედეგო ფიქრი, გონებაში მასთან არაერთხელ მიბრუნება. რუსულად ამ ტერმინის შინაარსს საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს გამოთქმა «умственная жвачка».

კვლევის ჩატარების პროცედურა

კვლევა ტარდებოდა ინდივიდუალურად. თითოეულ ცდისპირთან სამივე მეთოდი იყო გამოყენებული. გარდა დემოგრაფიული მონაცემებისა, ვაფიქსირებდით აგრეთვე ცპ-ების აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლებს.

სტატისტიკური ანალიზის მეთოდები

ძირითადად, გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკა, ფაქტორული, დისპერსიული (F-კრიტერიუმით) და რეგრესიული ანალიზი.

შედეგები

პერფექციონიზმის სკალის უსიქომეტრული მახასიათებლები

კვლევის პირველ ეტაპზე შეიქმნა პერფექციონიზმის სკალის ქართული ვერსია, რაც გულისხმობდა ორიგინალური კითხვარის თარგმნას, საექსპერტო შემოწმებასა და, ამის საფუძველზე, გარკვეული კორექტივების შეტანას რამდენიმე დებულებაში. მონაცემთა აკრეფის შემდეგ კი კითხვარის ქართული ვერსიის სანდოობისა და კონსტრუქტული ვალიდობის შემოწმების მიზნით გაკეთდა ამ მონაცემთა უსიქომეტრული ანალიზი. აღმოჩნდა, რომ ყველა ცალკეული სკალა გამოირჩევა საკმაოდ მაღალი შინაგანი შეთანხმებულობით. გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს მხოლოდ ერთი სკალა – მაღალი სტანდარტების წაყენება სხვების მიმართ (HSO), რომლის აღფა-კოეფიციენტი საშუალო სიდიდისაა, თუმცა პიროვნული კითხვარებისათვის სანდოობის ამგვარი მაჩვენებელი საესეებით მისაღებია (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

სკალის ღირებულება	ალფა კოეფიციენტი	სტანდარტიზებული ალფა კოეფიციენტი
1. შენდობა კონსტრუქტისადმი	.770	.769
2. მაღალი სტანდარტის წაყენება სხვების მიმართ	.596	.595
3. ღირსების მოთხოვნა	.846	.845
4. ორგანიზებული	.718	.725
5. აღქმული გეგმა მშობლების მხრიდან	.839	.837
6. გეგმავდები	.720	.726
7. რწმუნება	.826	.828
8. სრულყოფილების სწრაფვა	.741	.738

ასევე საკმაოდ მაღალია ამ სკალების საფუძველზე შექმნილი ორი მეორადი სკალის შინაგანი შეთანხმებულობაც (იხ. ცხრილი №2).

ცხრილი №2

სკალის ღირებულება	ალფა კოეფიციენტი	სტანდარტიზებული ალფა კოეფიციენტი	სკალის რაოდენობა
კეთილგონიერული პერფექციონიზმი	.676	.679	4
თვითშეფასებითი პერფექციონიზმი	.596	.858	4
გლობალური პერფექციონიზმი	.883	.886	10

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კეთილგონიერული პერფექციონიზმის (CP) სკალის შინაგანი შეთანხმებულობას გარკვეული ხარისხით ამცირებს პირველადი სკალა HSO. ამ სკალის გარეშე, CP სკალის აღფა-კოეფიციენტი იქნებოდა .695. აგრეთვე მაღალია გლობალური პერფექციონიზმის (PI Composite) შინაგანი შეთანხმებულობა (.886).

კითხვარის ქართული ვერსიის კონსტრუქტული ვალიდობის შემოწმების მიზნით ჩატარდა მოპოვებული მონაცემების ფაქტორული ანალიზი, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ პერფექციონიზმის ზემოთ აღწერილი 8 სკალა მართლაც ქმნის ორ მეორად სკალას – პერფექციონიზმის ორ ძირითად ფაქტორს, როგორც ეს ამ კითხვარის ავტორების მიერ არის ნაგულისხმევი (იხ. ცხრილი №3). თანაც პირველადი სკალები მაღალი დატვირთვით მუშაობენ სწორედ იმ ფაქტორებზე, რომლებიც კონსტრუქტითაა გათვალისწინებული. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ერთერთი სკალა – HSO – უფრო მეტი დატვირთვით მუშაობს არა იმ ფაქტორზე, რომლისთვისაც არის განკუთვნილი (კეთილგონიერული პერფექციონიზმი), არამედ სხვა ფაქტორზე (თვითშეფასებითი პერფექციონიზმი).

ცხრილი №3

პირველადი სკალა	კომპონენტები	
	თვითშეფასებითი პერფორმანსი (SEP)	კეთილგონივრული პერფორმანსი (CP)
1. CM (SEP)	.875	.244
2. HSO (CP)	.496	.310
3. NA (SEP)	.811	.210
4. O (CP)	.083	.841
5. PP (SEP)	.774	-.100
6. P (CP)	.127	.701
7. R (SEP)	.796	.276
8. SE (CP)	.245	.755

აღსანიშნავია, რომ როგორც საკუთრივ პირველად სკალებს, ასევე პირველად, მეორადსა და ფინალურ სკალებს შორის არსებობს მაღალი კორელაცია. გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს PP და O სკალებს შორის კავშირი.

პერფორმანსის მაჩვენებელთა მიმართება ღებრისასა და თვითშეფასებასთან

უპირველეს ყოვლისა, ერთერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ მაღალი დადებითი კავშირის არსებობა დებრისასა და პერფექციონიზმის იმ პირველადი (CM, NA, PP, R) და მეორადი (SEP) სკალების მაჩვენებლებს შორის, რომლებიც ე.წ. “უარყოფით პერფექციონიზმს” მიეკუთვნება. ნიშანდობლივია, რომ კეთილგონივრული პერფექციონიზმის არც საბოლოო სკალა (CP), არც მისი შემადგენელი პირველადი სკალები (HSO, O, P, SE) დებრისასთან არ კორელირებს (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4

	11. PI	10. SEP	9. CP	1. COM	2. HSO	3. NA	4. O	5. PP	6. P	7. Rum	8. SE
BDI	.274(**)	.302(**)	.023	.262(**)	.108	.198(**)	.019	.249(**)	-.038	.299(**)	-.020
	.000	.000	.755	.000	.145	.008	.799	.001	.612	.000	-.792

** კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (2-tailed).

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პერფექციონიზმის ეს ორი კომპონენტი თვისობრივად განსხვავებული მიმართულებისაა და, შესაბამისად, განსხვავებულ კონფიგურაციას ქმნის ნეგატიურ აფექტებთან. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის შედეგები, რომლებიც ჩვენ მიერ ნაკვლევი სამი ძირითადი ცვლადის ურთიერთკავშირებს შეეხება (იხ. ცხრილი №5). კერძოდ, აღმოჩნდა, რომ:

- გლობალურ პერფექციონიზმსა (PI Composite) და დებრისას შორის მჭიდრო დადებითი კავშირია;
- ძლიერი დადებითი კორელაციაა აგრეთვე გლობალურ პერფექციონიზმსა და თვითშეფასებას შორის (იქიდან გამომდინარე, რომ თვითშეფასების ქულა განისაზღვრება მე-იდეალურის ქულისგან მე-რეალურის ქულის გამოკლებით, თვითშეფასების მაღალი ქულა მიუთითებს ინდივიდის დაბალ თვითშეფასებაზე, დაბალი ქულა კი, პირიქით, მაღალ თვითშეფასებაზე. შემდგომში, როდესაც საუბარი იქნება *თვითშეფასებაზე*, სწორედ ეს სხვაობა იქნება ნაგულისხმევი) ანუ რაც უფრო მაღალია პერფექციონიზმი, მით დიდია განსვლა სასურველ მე-ხატსა და რეალურ მე-ხატს შორის;
- ე.წ. უარყოფითი პერფექციონიზმი (SEP) უარყოფით კავშირშია მე-რეალურის შეფასებასთან (აქ საუბარია არა მე-იდეალურსა და მე-რეალურს შორის განსვლაზე, არამედ მხოლოდ მე-რეალურის შეფასებაზე. შესაბამისად, მაღალი ქულა მიუთითებს მე-ს მაღალ შეფასებაზე და პირიქით) და, სავსებით კანონზომიერად, დადებითად კორელირებს თვითშეფასების მაჩვენებელთან – განსვალსთან მე-იდეალურსა და მე-რეალურს შორის. ცალკე აღსანიშნავია, რომ SEP-ი დადებითად კორელირებს ისეთი სკალების მე-რეალურ და მე-იდეალურ პლანში შეფასებებს შორის სხვაობასთან, როგორებიცაა ბედნიერება (.233**) და ნებისყოფა (.166*). რაც უფრო მაღალია თვითშეფასებითი პერფექციონიზმის დონე, მით უფრო მცირეა მე-რეალურის,

როგორც ბედნიერისა და ნებისყოფის მქონეს, განცდა მე-იდეალურთან შედარებით;

- არ დასტურდება კეთილგონივრული პერფექციონიზმის (CP) კავშირი მე-იდეალურსა და მე-რეალურს შორის განსვლასთან, ისევე, როგორც მე-რეალურის შეფასებასთან;
- ძლიერი დადებითი კორელაცია არსებობს დეპრესიასა და თვითშეფასებას შორის, ანუ დეპრესიის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად იმატებს სხვაობა მე-იდეალურსა და მე-რეალურს შორის. სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ დეპრესიასა და მე-რეალურის შეფასებას შორის უარყოფითი კავშირი დადასტურდა.
- დეპრესიის მაჩვენებელი დადებით სანდო კავშირშია მე-იდეალურის და მე-რეალურის თვითშეფასების ისეთ სკალებს შორის სხვაობებთან, როგორებიცაა: ჯანმრთელობა, ბედნიერება, გონიერება, ნებისყოფა, ოპტიმიზმი (ყველა ამ შემთხვევაში კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე) (ცხრილი №5).

		BDI	კეთილგონივრული პერფექციონიზმი	თვითშეფასება	მე-რეალური	სხვაობა მე-იდეალურსა და მე-რეალურს შორის
გლობალური პერფექციონიზმი	პირსონის კორელაცია	.274(**)	.618(**)	.979(**)	.082	.203(**)
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.000	.497	.006
კეთილგონივრული პერფექციონიზმი	პირსონის კორელაცია	.023	1	.461(**)	.132	-.032
	Sig. (2-tailed)	.755	.	.000	.082	.669
თვითშეფასება	პირსონის კორელაცია	.302(**)	.461(**)	1	-.182(*)	.237(**)
	Sig. (2-tailed)	.000	.000	.	.017	.002
BDI	პირსონის კორელაცია	1	.023	.302(**)	-.304(**)	.372(**)
	Sig. (2-tailed)	.	.755	.000	.000	.000
მე-რეალური	პირსონის კორელაცია	-.304(**)	.132	-.182(*)	1	-.543(**)
	Sig. (2-tailed)	.000	.082	.017	.	.000

** კორელაცია მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე (2-tailed).

რაც შეეხება ცდისპირთა დემოგრაფიული მაჩვენებლების მიმართებას პერფექციონიზმის გამოხატულებასთან, აღმოჩნდა, რომ ასაკი უარყოფითად კორელირებს როგორც გლობალურ პერფექციონიზმთან (-.200**, Sig. (2-tailed) - .007), ისე SEP-ის მაჩვენებლებთან (-.186* Sig. (2-tailed) - .012). კეთილგონივრულ პერფექციონიზმთან ეს კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს ვერ აღწევს (-.141, Sig. (2-tailed) - .057). ამრიგად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პერფექციონიზმის ტენდენცია და მისი უარყოფითი კომპონენტის გამოხატულება ასაკის მატებასთან ერთად მცირდება.

პერფექციონიზმის ტენდენცია გარკვეულ კავშირშია ცდისპირთა სქესთან. კერძოდ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ქალ და მამაკაც ცდისპირებს შორის მიღებულ იქნა კეთილგონივრული პერფექციონიზმის განზომილებაზე და რამდენიმე პირველად სკალაზე – ქალები უფრო მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან, ვიდრე მამაკაცები; გამონაკლისს წარმოადგენს ერთერთი პირველადი სკალა PP (იხ. ცხრილი №6).

	სქესი	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	SEM	Sig. (2-tailed)
4. O	მამრობითი	80	3.60	.636	.078	.008
	მდედრობითი	102	3.87	.685	.064	.007
5. PP	მამრობითი	80	3.04	.870	.106	.049
	მდედრობითი	102	2.76	.962	.090	.043
7. R	მამრობითი	80	3.17	1.008	.123	.012
	მდედრობითი	102	3.52	.843	.079	.017
8. SE	მამრობითი	80	3.75	.783	.096	.008
	მდედრობითი	102	4.03	.607	.057	.013
9. CP	მამრობითი	80	13.92	2.184	.267	.029
	მდედრობითი	102	14.59	1.839	.171	.038

შემდგომ ეტაპზე ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა მიღებული მონაცემების უფრო ფაქიზი და დეტალური ანალიზი, რაც გულისხმობდა მრავლობითი შედარებისა (Multiple Comparisons) და რეგრესიული ანალიზის ჩატარებას. ამ მიზნით ყველა ძირითადი ცვლადის (დეპრესიის, CP-ის, SEP-ის, PI-ის) ნეგლი მონაცემები დავაჯგუფეთ გამოხატულების ინტენსივობის მიხედვით. კერძოდ, თითოეული ამ ცვლადის მონაცემთა საფუძველზე გამოიყო ოთხ-ოთხი ჯგუფი (ცხადია, ამ დაყოფისას ვცდილობდით შეძლებისდაგვარად დავერდნობოდით კვარტილურ განაწილებას).

(აღნიშვნები: ჯგ – ჯგუფი; ქ – ქულა)

- დეპრესია (BDI): I ჯგ – 0-6 ქ; II ჯგ – 7-10 ქ; III ჯგ – 11-15 ქ; IV ჯგ – 16-40 ქ.
- კეთილგონივრული პერფექციონიზმი (CP): I ჯგ – 8-12 ქ; II ჯგ – 13-14ქ; III ჯგ – 15ქ; IV ჯგ – 16-18 ქ.
- თვითშეფასებითი პერფექციონიზმი (SEP): I ჯგ – 6-9 ქ; II ჯგ – 10-12ქ; III ჯგ – 13-14ქ; IV ჯგ – 15-20ქ.
- გლობალური პერფექციონიზმი (PI): I ჯგ. – 18-29 ქ; II ჯგ – 30-35ქ; III ჯგ – 36-40ქ; IV ჯგ – 41-50ქ.
- აკადემიური მოსწრება: I 51-70 ქულა; II ჯგ – 71-90 ქ; III ჯგ – 91-100 ქ.

თვითშეფასებისა და ასაკის მიხედვით ცდისპირთა დაყოფა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ორგვარი იყო, რის შესახებ მოგახსენებთ, როდესაც კონკრეტულად ამ საკითხებს შევეხებით.

რეგრესიული ანალიზის შედეგად, სადაც დეპრესიის მაჩვენებელი (BDI) დამოკიდებული ცვლადი იყო, ხოლო პერფექციონიზმის სამივე სკალა (PI, SEP, CP) – დამოუკიდებელი, აღმოჩნდა, რომ პერფექციონიზმის ეს სკალები ერთობლივად ხსნის დეპრესიის ვარიაციის 13,1%-ს. შედეგის სანდობაზე მიუთითებს $\text{sig.} = .000$, რაც ნიშნავს, რომ $p < .0005$ ($R^2_{\text{adj}} = .117$, $F = 8,876$, $p = .000$). რაც შეეხება ცალკეული ცვლადების წვლილს, აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი წვლილი დეპრესიის ვარიაციაში შეაქვს შეფასებითი პერფექციონიზმს (SEP) (სტანდარტიზებული კოეფიციენტი = .102, ანუ 10,2% , $\text{sig.} = .000$) და შემდეგ გლობალურ პერფექციონიზმს, PI პრედიქტორს (სტანდარტიზებული კოეფიციენტი = .082, ანუ 8,2%, $\text{sig.} = .000$); თითქმის არანაირი წვლილი არ შეაქვს დეპრესიის ვარიაციის წინასწარმეტყველებაში კეთილგონივრულ პერფექციონიზმს (CP, $\text{sig.} = .904$).


პერფექციონიზმის 8 პირველადი სკალა ხსნის დეპრესიის ვარიაციის 19,2%-ს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია; ყველაზე დიდი წვლილი ფაქტორთა მთელ ამ კომპლექსში შეაქვს I სკალას – შეცდომებზე კონცენტრაცია (ხსნის 8, 3%, $F = 16,6$, $\text{sig.} = .000$). ANOVA ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთლიანად ამ მოდელის პრედიქტორული ღირებულება (ყველა პრედიქტორით) სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p < 0.0005$). თუ პირველადი სკალების ცალკეულ წვლილს განვიხილავთ იმ კონტექსტში, როდესაც ყველა დანარჩენი პრედიქტორის ეფექტი ან ზედდება მოხსნილია, აღმოვაჩენთ, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რუმინაციას, რომელიც ხსნის დეპრესიის ვარიაციის 9,12%-ს ($\text{sig.} = .006$) და სრულყოფილებისკენ სწრაფვას, რომელიც ხსნის 7,56%-ს ($\text{sig.} = .002$).

ამრიგად, გლობალური პერფექციონიზმი (PI) ისევე, როგორც მისი ერთერთი კომპონენტი, თვითშეფასებითი პერფექციონიზმი (SEP), აგრეთვე ცალკეული პირველადი სკალები, დეპრესიის გამოვლენის საკმაოდ სერიოზულ პრედიქტორს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ პერფექციონიზმის ზოგიერთი ცალკეული ასპექტი (რომლებიც პირველადი სკალების სახით წარმოგვიდგება) სხვებთან ურთიერთქმედების გარეშეც მნიშვნელოვანი ეფექტის მქონეა დეპრესიის აღმოცენება-გასაძლიერებლად.

ამ კონტექსტში ერთერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ის, თუ პერფექციონიზმის გამოხატულების რა ხარისხი შესაძლებელია აღმოჩნდეს კავშირში დეპრესიის ამა თუ იმ დონესთან. ამ საკითხის გასარკვევად გამოვიყენეთ one-way ჯგუფთა შორის განსხვავების ანალიზი (Multiple Comparisons, Tukey HSD).

პერფექციონიზმის საბოლოო გამოხატულებასა და დეპრესიის დონეებს შორის მნიშვნელოვანი კავშირია; პერფექციონიზმის დაბალი მაჩვენებლების მქონე ცდისპირთა ჯგუფი (I ჯგ) დეპრესიის გამოხატულებით განსხვავდება პერფექციონიზმის მაღალი დონის მქონე ცდისპირთა ჯგუფებისგან (III და IV ჯგუფები). სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $\text{sig.} = 0.022$ (I და III

ჯგუფები) და $\text{sig.} = .02$ (I და IV ჯგუფები). ჯგუფებს შორის ჰომოგენურობა დაცულია ($\text{sig.} = .427$) ანუ არცერთთან დაკავშირებით sig არ გვაძლევს მნიშვნელოვან სხვაობას. გლობალური პერფექციონიზმის ეფექტი დებრესიის გამოხატულებაზე შემდეგნაირად გამოიყურება:



შეფასებითი პერფექციონიზმის (SEP) დაბალი (I ჯგ) და მაქსიმალური გამოხატულების (IV ჯგ) მქონე ჯგუფები ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დებრესიის გამოხატულების მიხედვით (I ჯგ – $M=8.44$, $SD=5.32$ და IV ჯგ – $M=13.04$, $SD=6.8$) ანუ, PI-ის მსგავსად, SEP-ი გარკვეულ გავლენას ახდენს დებრესიის ამ თუ იმ ხარისხით გამოხატულებაზე ($F(3,181)=4.662$, $\text{sig.} = .004$). კოპენის კლასიფიკაციით, ეფექტი საშუალო ღონისაა ($\text{eta squared} = .073$).

კეთილგონიერული პერფექციონიზმის გამოხატულების არც ერთ ღონეზე არ გამოვლინდა კავშირი დებრესიის მაჩვენებელთან ($F(3,181) = .382$; $\text{sig.} = .766$).

ამავე დროს, საინტერესოა, რომ დებრესიის ღონე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს როგორც გლობალური პერფექციონიზმის, ისე შეფასებითი პერფექციონიზმის ღონეზე. კერძოდ, დებრესიის მაქსიმალური გამოხატულების მქონე ჯგუფი (IV ჯგ) სტატისტიკურად მნიშვნელოვან ღონეზე განსხვავდება დებრესიის დაბალი ხარისხის მქონე I და II ჯგუფებისგან გლობალური პერფექციონიზმის მაჩვენებლით: IV ჯგუფი – $M=3.03$; $SD = .969$, წინააღმდეგ I – $M = 2.18$, $SD = 1.09$ და II ჯგუფებისა – $M=2.4$, $SD=1.09$ ($F(3, 181)=4.931$; $\text{sig.} = .003$); ეფექტი საშუალო სიდიდისაა ($\text{eta squared} = .077$). მსგავსი სურათია მიღებული შეფასებითი პერფექციონიზმთან დაკავშირებითაც, ოღონდ ამჯერად პერფექციონიზმის ამ ასპექტით ერთმანეთისგან სტატისტიკურად მნიშვნელოვან ღონეზე განსხვავდება დებრესიის მაქსიმალური და მინიმალური გამოხატულების მქონე ჯგუფები: SEP – I ჯგ. - $M = 2.18$, $SD = 1.07$; IV ჯგ – $M = 3.0$; $SD = 1.01$ ($\text{sig.} = .005$; $F(3, 181)=4.482$); ეფექტი საშუალო ღონისაა ($\text{eta squared} = .070$).

დებრესიის ღონე მნიშვნელოვან გავლენას ($p=.05$) ახდენს იმ ოთხივე პირველადი სკალის გამოხატულებაზე, რომლებიც წარმოადგენს თვითშეფასებითი პერფექციონიზმის ასპექტებს:

1. IV ჯგუფი ($M= 3.21$, $SD=.883$) განსხვავდება I ($M=2.60$, $SD=.868$, $\text{sig.} = .003$) და II ($M=2.75$, $SD=.683$, $\text{sig.} = .037$) ჯგუფებისგან შეცდომებზე კონცენტრაციის ასპექტით ($\text{eta squared} = .08$, $F=5$);

2. I ჯგუფი ($M=2.82$, $SD=.909$) განსხვავდება III ($M=3.30$, $SD=.913$, $\text{sig.} = .041$) და IV ($M=3.42$, $SD=.931$; $\text{sig.} = .019$) ჯგუფებისგან დაფასების მოთხოვნილების ასპექტით ($\text{eta squared} = .06$, $F=3.58$);

3. IV ჯგუფი ($M=3.39$, $SD=.960$) ასპექტით – აღქმული ზეწოლა მშობელთა მხრიდან – განსხვავდება დანარჩენი სამი ჯგუფისგან (I ჯგ – $M=2.69$, $SD=.924$, $\text{sig.} = .004$; II ჯგ – $M=2.71$, $SD=.940$, $\text{sig.} = .005$; III ჯგ – $M=2.81$, $SD=.960$, $\text{sig.} = .021$) ($\text{eta squared} = .08$, $F=4.95$);

4. რუმინაციის ასპექტით I ჯგუფი ($M=2.83$, $SD=.880$) განსხვავდება დანარჩენი სამი ჯგუფისგან (II ჯგ – $M=3.48$, $SD=.747$, $\text{sig.} = .002$; III ჯგ – $M=3.56$, $SD=.866$, $\text{sig.} = .000$; IV ჯგ – $M=3.74$, $SD=.988$, $\text{sig.} = .000$) ($\text{eta squared} = .13$, $F=8.98$).

ამ ბოლო შემთხვევაში დებრესიის ზეგავლენის ეფექტი, კოპენის კლასიფიკაციით, მაღალი ხარისხისაა ($\text{eta squared} = .13$, $F=8.98$). დანარჩენ სამ ასპექტთან დაკავშირებით საშუალო სიდიდის ეფექტია მიღებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ დეპრესიას გარკვეული პროგნოსტული მნიშვნელობა აქვს გენერალური პერფექციონიზმისა და მისი ერთერთი კომპონენტის – თვითშეფასებითი პერფექციონიზმის ცვალებადობაში. დეპრესია ხსნის გლობალური პერფექციონიზმის ვარიაბელობის 6,3%-სა ($\text{sig}=.001$ $F(1,181) = 12,08$) და თვითშეფასებითი პერფექციონიზმის ვარიაბელობის 5,8%-ს ($\text{sig}=.001$ $F(1,181) = 12,1$).

თვითშეფასებასა და პერფექციონიზმს შორის ურთიერთმიმართება

თვითშეფასების ქულათა დიაპაზონი საკმაოდ დიდი იყო და მოიცავდა განაწილებას უარყოფითიდან დიდი რიცხვებით დაწყებული დამთავრებული დადებითიდან დიდი რიცხვებით. ამ გარემოების გათვალისწინებით, უფრო დიფერენცირებული სურათის მისაღებად ცდისპირები მათი ქულების მიხედვით დაყავით როგორც 7 (I ჯგ: -65-დან -29 ქულამდე; II ჯგ: -28-დან -1 ქულამდე; III ჯგ: 0-დან 18 ქულამდე; IV ჯგ: 19-დან 51 ქულამდე; V ჯგ: 52-დან 100 ქულამდე; VI ჯგ: 101-დან 150 ქულამდე; VII ჯგ: 151-დან 565 ქულამდე), ასევე 6 ჯგუფად (I ჯგ: -65-დან -1 ქულამდე; II ჯგ: 0-დან 18 ქულამდე; III ჯგ: 19-დან 51 ქულამდე; IV ჯგ: 52-დან 100 ქულამდე; V ჯგ: 101-დან 150 ქულამდე; VI ჯგ: 151-დან 565 ქულამდე).

საგულისხმოა, რომ პერფექციონიზმი არ ახდენს გავლენას თვითშეფასების დონეზე ანუ როგორც გლობალური პერფექციონიზმი, ისე მისი შემადგენელი კომპონენტები (SEP, CP), არ ახდენს გავლენას თვითშეფასების არც ცალკეულ სკალებზე და არც მის ჯამურ ქულაზე. ერთობლივად გლობალური და თვითშეფასებითი პერფექციონიზმი ხსნის თვითშეფასების ვარიაციის მხოლოდ 3,2%-ს ($F(2,181)=3.005$) და სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს ვერ აღწევს ($\text{Sig} = .052$). ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს კეთილგონიერული პერფექციონიზმის (CP) გავლენა ჯანმრთელობის შეფასებაზე. ამ სკალაზე ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ჯგუფი (IV ჯგ) ჯანმრთელობის შეფასებით სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე განსხვავდება II ჯგუფისგან. ცდისპირები კეთილგონიერული პერფექციონიზმის მაქსიმალური გამოხატულებით ნაკლებად არიან უკმაყოფილონი თავიანთი ჯანმრთელობით, ვიდრე II ჯგუფის წარმომადგენლები (იხ. ცხრილი №7).

ჯანმრთელობა	(I) cp_4	(J) cp_4	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
	4.00	2.00	-8.528(*)	2.955	.023

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე

თავის მხრივ, კეთილგონიერული პერფექციონიზმიც განიცდის თვითშეფასების გავლენას. იმის გასარკვევად, განსხვავდება თუ არა პერფექციონიზმის რაიმე ასპექტით საკუთარი თავით ზედმეტად კმაყოფილი ცდისპირების ჯგუფი დანარჩენებისგან, თვითშეფასების მიხედვით გამოყავით ცდისპირთა 7 ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ I ჯგუფის ცდისპირები, ანუ ისინი, ვისი რეალური მე იდეალურ მე-ს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, სხვა ჯგუფებთან შედარებით კეთილგონიერული პერფექციონიზმის (CP) უფრო დაბალი მაჩვენებლით ($M=12,65$, $SD=2,6$) გამოირჩევიან. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს აღწევს III ჯგუფში გაერთიანებულ ცპ-ებთან ($M=15,33$, $SD=1,6$; $\text{sig}=.008$, $F=2,6$) მიმართებაში (იხ. ცხრილი №8), რომლებთანაც სხვაობა რეალურ და იდეალურ მე-შეფასებებს შორის ზომიერადაა გამოხატული მე-იდეალურის სასარგებლოდ, რაც, შეიძლება ითქვას, თვითშეფასების ოპტიმალურ დონეს წარმოადგენს. ევექტი საშუალოზე ოდნავ მაღალი დონისაა ($\text{eta squared}=.08$).

ცხრილი №8

დამოკიდებული ცვლადი: კეთილგონიერული პერფექციონიზმი (CP)

სხვაობა7(I)	სხვაობა7(J)	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
3.00	1.00	2.674(*)	.746	.008

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა აგრეთვე თვითშეფასების გავლენა როგორც თვითშეფასებითი პერფექციონიზმის (SEP), ისე გლობალური პერფექციონიზმის (PI) სიდიდეზე. ამჯერად I ჯგუფში გაერთიანდა ყველა ის ცდისპირი, რომელთა რეალური მე-შეფასება აღემატებოდა იდეალურს. შესაბამისად, თვითშეფასების მიხედვით გამოიყო 6 ჯგუფი. საშუალოებს შორის განსხვავება საკმაოდ გამოხატული აღმოჩნდა. ეფექტი საშუალო სიდიდისაა: eta squared (SEP) =.06, ხოლო (PI) = .05. თვითშეფასებაში ყველაზე დიდი სხვაობის მქონე ჯგუფის (VI ჯგ) SEP-ისა და PI-ის საშუალო მაჩვენებლები ($M=13,46$, $SD=3,1$ და $M=37,86$, $SD=6,77$, შესაბამისად) მნიშვნელოვნად აღემატება I ჯგუფის შესაბამის მაჩვენებლებს ($M=10,7$, $SD=3,25$ sig=.017 და $M=31,65$, $SD=7,86$ sig=.022). (იხ. ცხრილი №9)

ცხრილი №9

დამოკიდებული ცვლადები	I სხვაობა-6	J სხვაობა-6	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
10. თვითშეფასებითი პერფექციონიზმი	1.00	6.00	-2.769*	.851	.017
11. გლობალური პერფექციონიზმი	1.00	6.00	-6.205*	1.957	.022

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე

აგრეთვე აღმოჩნდა, რომ თვითშეფასება, როგორც პრედიქტორი, ხსნის გლობალური პერფექციონიზმის 3,2%-სა ($F(1,181)=5.895$, Sig. F Change=.016) და თვითშეფასებითი პერფექციონიზმის 3,0%-ს ($F(1,181)=5.653$; sig = .018). ცხადია, თვითშეფასების წვლილი ამ ორი სახის პერფექციონიზმის ცვალებადობაში არაა ძალზე გამოხატული, თუმცა, მას მაინც გააჩნია გარკვეული პროგნოსტული მნიშვნელობა, რასაც ადასტურებს მიღებული შედეგის სანდოობა. კეთილგონიერულ პერფექციონიზმზე მისი გავლენა ამ შემთხვევაშიც არ დასტურდება.

პერფექციონიზმის პირველად სკალებსა და თვითშეფასებას შორის კავშირები

რაც შეეხება თვითშეფასების გავლენას პერფექციონიზმის პირველად სკალებზე, აღმოჩნდა, რომ იმ ცდისპირებს, რომელთა რეალური თვითშეფასება იდეალურზე მეტია, ნაკლებად აქვთ გამოხატული შეცდომებზე კონცენტრაციისა (COM – $M=2,5$, $SD=.887$); sig=.026, eta squared=.06) და რუმინაციის (R – $M=2,9$, $SD=1,0$, eta squared=.06) ტენდენციები, ვიდრე დანარჩენი ჯგუფების წარმომადგენლებს (რომლებთანაც იდეალური მე-შეფასება სხვადასხვა ხარისხით უფრო მაღალია, ვიდრე რეალური მე-შეფასება), თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს აღწევს ცპ-თა იმ ჯგუფთან (მე-6 ჯგ., COM: $M=3,2$, $SD=.696$; sig=.026, eta squared=.06; Rumination: $M=3,7$, $SD=1,0$ sig=.026, eta squared=.06), რომელთაც ეს სხვაობა მაქსიმალურად აქვთ გამოხატული (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №10

დამოკიდებული ცვლადები	(I) სხვაობა-6	(J) სხვაობა-6	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
1. შეცდომებზე კონცენტრაცია	1.00	6.00	-.710(*)	.228	.026
7. რუმინაცია	1.00	6.00	-.817(*)	.263	.026

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე

პერფექციონიზმის კავშირი აკადემიურ მოსწრებასთან

დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა კეთილგონიერული პერფექციონიზმის (CP) გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე (იხ. ცხრილი №11): მათ, ვისაც რეფექციონიზმის ეს განზომილება მაქსიმალურად აქვთ გამოხატული (IV ჯგ, 16-18 კ.), უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ ($M=76,1$; $SD=15,9$), ვიდრე CP-ს განსხვავებული დონის მქონე ცპ-ებს, თუმცა ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეს აღწევს კეთილგონიერული პერფექციონიზმის შედარებით დაბალი გამოხატულების მქონე ჯგუფთან (13-14 ქულა) მიმართებაში. II ჯგუფის წარმომადგენლებს

მოსწრების ყველაზე დაბალი საშუალო ქულა აქვთ (67.1; SD=16.9). ეფექტი საშუალო სიდიდისაა, eta squared (CP)=.05.

ცხრილი №11

(I) cp-4	(J) cp-4	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
2.00	4.00	-9.01037(*)	3.18849	.027

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

თვითშეფასების ურთიერთმიმართება ღებრესიასთან

დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა თვითშეფასების მნიშვნელოვანი გავლენა ღებრესიის მაჩვენებელზე. VI ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებთან მე-იდეალურსა და მე-რეალურს შორის ყველაზე დიდი სხვაობა გამოვლინდა, სტატისტიკურად მნიშვნელოვან დონეზე განსხვავდებიან I, II, III, IV და V ჯგუფებში გაერთიანებული ცპ-ებისგან ღებრესიის მაჩვენებლით (იხ. ცხრილი №12). მათთან ღებრესიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა ($df=5$; $F=7.06$; $Mean\ Square=242.97$; $sig=.000$). საშუალოებს შორის სხვაობა საკმაოდ გამოხატულია; ეფექტის სიდიდე, ანუ eta squared =.17, რაც კოჰენის კლასიფიკაციით ძალზე მაღალი სიდიდის ეფექტად მიიჩნევა.

ცხრილი №12

დამოკიდებული ცვლადი: ღებრესიის ქულა

(I) სპარობა-6	(J) სპარობა-6	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
6.00	1.00	6.615(*)	1.709	.002
	2.00	7.813(*)	1.658	.000
	3.00	6.860(*)	1.544	.000
	4.00	6.566(*)	1.336	.000
	5.00	4.315(*)	1.467	.042

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

თავის მხრივ, ღებრესია გავლენას ახდენს თვითშეფასების დონეზე: ღებრესიის ყველაზე მცირე მაჩვენებლების მქონე ჯგუფის (I ჯგ) წარმომადგენლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თვითშეფასების ჯამური მაჩვენებლით ($M=38.69$, $SD=61.01$) ღებრესიის უფრო მაღალი მაჩვენებლების მქონე ცდისპირთა შესაბამისი მაჩვენებლებისგან (მე-3 – $M=102.08$, $SD=92.01$, $sig=.001$; მე-4 – $M=119.22$, $SD=95.4$, $sig=.000$). ამ უკანასკნელებთან სხვაობა იდეალურ და რეალურ მე-შეფასებებს შორის გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მინიმალური დონის მქონე ცდისპირებთან (იხ. ცხრილი №13). ეფექტის სიდიდე (eta squared =.13) მაღალია.

დამოკიდებული ცვლადი: იდეალურ და რეალურ მე-შეფასებებს შორის ჯამური სხვაობა
ცხრილი №13

(I) ღებრესია	(J) ღებრესია	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
1,00	2,00	-36,51111	16,00884	,106
	3,00	-63,38658(*)	15,79276	,001
	4,00	-80,51699(*)	17,70342	,000

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

ასახსა და პერფორმაციონიზმს შორის ურთიერთმიმართება

აღნიშნული საკითხის გარკვევა ნაწილობრივ მაინც უპასუხებს კითხვას, არის თუ არა პერფორმაციონიზმი სტაბილური, დროში უცვლელი პიროვნული ნიშანი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ცდისპირები დაყვავით 3 (I ჯგ – 15-17 წელი, II ჯგ – 18-19 წელი, III ჯგ. 20-24 წელი) და 4 (I ჯგ – 13-17 წელი; II ჯგ – 18 წელი; III ჯგ – 19-20 წელი; IV ჯგ – 21-25 წელი) ასაკობრივ ჯგუფად.

One-way ჯგუფთა შორის განსხვავების ანალიზმა გვიჩვენა ასაკის გავლენა გლობალურ პერფექციონიზმზე (იხ. ცხრილი №14) და მის ერთერთ მეორად სკალაზე – თვითშეფასებით პერფექციონიზმზე. ცდისპირები დაყოფილნი იყვნენ ოთხ ჯგუფად. I (13-17 წ) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან SEP-ისა და პერფექციონიზმის საბოლოო მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება II (18 წ) და IV (21-25 წ) ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა შესაბამისი მაჩვენებლებისაგან. I ასაკობრივი ჯგუფის SEP-ისა და PI-ის საშუალო მაჩვენებლები ($M=14.04$, $SD=3.09$; $M=39.23$, $SD=6.48$) აღემატება II (SEP $-M=11.93$, $SD=3.19$; PI $-M=34.80$, $SD=7.28$) და IV ასაკობრივი ჯგუფებისას (SEP $-M=11.40$, $SD=2.65$; PI $-M=33.2$, $SD=6.08$). ეფექტის სიდიდე, eta squared .08 და .075 ტოლია, რაც კოჰენის კლასიფიკაციით საშუალო სიდიდის ეფექტად მიიჩნევა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლინდა მხოლოდ III ჯგუფის ცდისპირებთან მიმართებაში, თუმცა, ამ უკანასკნელთა მაჩვენებლები სანდოდ არ განსხვავდება დანარჩენი ორი ჯგუფის მაჩვენებლებისგანაც. ასაკმა არ იქონია გავლენა მხოლოდ CP სკალის მაჩვენებლებზე.

ცხრილი №14

დამოკიდებული ცვლადი	(I) ასაკი-4	(J) ასაკი-4	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
10. თვითშეფასებითი პერფექციონიზმი	1.00	2.00	2.115(*)	.698	.015
		3.00	1.268	.730	.308
		4.00	2.638(*)	.735	.002
11. გლობალური პერფექციონიზმი	1.00	2.00	4.428(*)	1.603	.032
		3.00	2.816	1.675	.337
		4.00	6.038(*)	1.687	.002

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

დაახლოებით იმავე სურათს მივიღებთ, თუ ცდისპირებს 3 ჯგუფად დავყოფთ. კეთილგონივრული პერფექციონიზმის მიხედვით სხვადასხვა ასაკის ცდისპირები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან.

გლობალური პერფექციონიზმისა (PI) და თვითშეფასებითი პერფექციონიზმის (SEP) მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება I და II, I და III ჯგუფების შესაბამის მაჩვენებლებს შორის (იხ. ცხრილები №15 და №16) ანუ უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს გამოარჩევს გაცილებით უფრო გამოკვეთილი პერფექციონისტული ტენდენციები.

ცხრილი №15. დამოკიდებული ცვლადი: 10. თვითშეფასებითი პერფექციონიზმი

(I) ასაკი-3	(J) ასაკი-3	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
1.00	2.00	1.912(*)	.683	.016
	3.00	2.129(*)	.697	.007
2.00	1.00	-1.912(*)	.683	.016
	3.00	.218	.464	.886
3.00	1.00	-2.129(*)	.697	.007
	2.00	-.218	.464	.886

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

ცხრილი №16. დამოკიდებული ცვლადი: 11. გლობალური პერფექციონიზმი

(I) ასაკი-3	(J) ასაკი-3	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
1.00	2.00	3.976(*)	1.565	.032
	3.00	4.928(*)	1.599	.007
2.00	1.00	-3.976(*)	1.565	.032
	3.00	.951	1.063	.645
3.00	1.00	-4.928(*)	1.599	.007
	2.00	-.951	1.063	.645

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პერფექციონიზმი ერთნაირი ინტენსივობით არ ვლინდება ყველა ასაკში; განსაკუთრებული ძალით ის თავს იჩენს სკოლის ასაკში (ჩვენი მონაცემებით, უფროს სასკოლო ასაკში) და შემდგომ, ასაკისა თუ გარემოებათა ცვლილების კვალდაკვალ, ნაკლებად ინტენსიური ხდება.

ახასია ლა პირველად სკალებს შორის მიმართება

გამოყოფილია 3 ასაკობრივი ჯგუფი (ჰომოგენურობა დაცულია):

- I ჯგუფი ($M=3,31$, $SD=.732$) განსხვავდება II ($M=2,85$, $SD=.846$) და III ($M=2,76$, $SD=.707$) ჯგუფებისგან საკუთარ შეცდომებზე კონცენტრაციის ასპექტით; პირველებთან ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ($\eta^2=.05$, $F=4,4$), ეფექტი საშუალო სიდიდისაა;
- I ჯგუფი ($M=3,70$, $SD=.907$) მნიშვნელოვან დონეზე განსხვავდება II ($M=2,79$, $SD=.948$) და III ჯგუფებისგან ($M=2,68$, $SD=.796$) მშობლებისგან მომდინარე ზეწოლის პარამეტრით; ეს მაჩვენებელი მათთან გაცილებით მაღალია; ეფექტი საკმაოდ დიდია ($\eta^2=.12$, $F=11,97$);
- III ჯგუფი ($M=3,62$, $SD=.707$) განსხვავდება II ჯგუფისგან ($M=3,90$, $SD=.648$) ორგანიზებულობის ასპექტით – ამ ჯგუფის წარმომადგენლებთან ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია. ეფექტი საშუალოზე უფრო დაბალი სიდიდისაა ($\eta^2=.04$, $F=3,44$). (იხ. ცხრილი №17).

ცხრილი №17

დამოკიდებული ცვლადები	(I) ასაკი-3	(J) ასაკი-3	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
1. შენლომეზი კონსენტრაცია	1.00	2.00	.459(*)	.183	.034
		3.00	.548(*)	.187	.011
4. ორგანიზებულობა	3.00	1.00	-.165	.160	.562
		2.00	-.280(*)	.107	.026
5. აღქმული გეგმვა მშობლების მხრიდან	1.00	2.00	.905(*)	.208	.000
		3.00	1.013(*)	.212	.000

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

ოთხი ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი (ჰომოგენურობა დაცულია):

- I ჯგ ($M=3,31$, $SD=.732$) განსხვავდება II ($M=2,81$, $SD=.835$) და IV ($M=2,64$, $SD=.756$) ჯგუფებისგან საკუთარ შეცდომებზე კონცენტრაციის პარამეტრით, პირველებთან ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია. ეფექტი საშუალო სიდიდისაა ($\eta^2=.07$, $F=4,21$);
- I ჯგ ($M=3,70$, $SD=.907$) მნიშვნელოვან დონეზე განსხვავდება II ($M=2,68$, $SD=.928$), III ($M=2,88$, $SD=.851$) და IV ($M=2,68$, $SD=.846$) ჯგუფებისგან მშობლების მხრიდან მომდინარე ზეწოლის პარამეტრით – ეს მაჩვენებელი მათთან უფრო მაღალია. ეფექტი საკმაოდ მაღალია ($\eta^2=.12$, $F=8,38$);
- I ჯგ ($M=3,71$, $SD=.915$) მნიშვნელოვან დონეზე განსხვავდება IV ჯგუფისგან ($M=3,11$, $SD=.822$) რუმინაციის პარამეტრით – ეს მაჩვენებელი მათთან უფრო მაღალია. ეფექტი საშუალო სიდიდისაა ($\eta^2=.05$, $F=3,03$). (იხ. ცხრილი №18)

დამოკიდებული ცვლადები	(I) ასაკი-4	(J) ასაკი-4	Mean Difference (I-J)	Std. Error	Sig.
1. შენლომეზი კონსენტრაცია	1.00	2.00	.502(*)	.188	.040
		4.00	.666(*)	.198	.005
5. აღქმული გეგმვა მშობლების მხრიდან	1.00	2.00	1.013(*)	.215	.000
		3.00	.813(*)	.224	.002
		4.00	1.019(*)	.226	.000
7. რუმინაცია	1.00	4.00	.606(*)	.231	.047

* საშუალოებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია .05 დონეზე.

ახასია ლა თვითშეფასების მიმართება

დისპერსიული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ თვითშეფასება (ანუ სხვაობა იდეალური და რეალური მე-შეფასებებს შორის) არ არის კავშირში ასაკის დინამიკასთან.

- შეიქმნა პერფექციონიზმის გასაზომი ორიგინალური ინსტრუმენტის ქართული ვერსია, რომლის ფსიქომეტრული მახასიათებლები სავსებით აკმაყოფილებს პიროვნული კითხვარებისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ინსტრუმენტი სამუშაო ვერსიად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მას ჯერ არ გაუვლია სრული რესტანდარტიზაციის პროცედურა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ქართული პოპულაციისთვის შესაბამისი ნორმების დადგენას;
 - გლობალური პერფექციონიზმი ორ ძირითად კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან თითოეული მჭიდრო დადებით კავშირშია როგორც თავად გლობალურ პერფექციონიზმთან, ასევე ერთმანეთთან. ეს მიუთითებს მათი ბუნების მსგავსებაზე. ამ ორი კომპონენტის ურთიერთმიმართება სხვა რელევანტურ ფაქტორებთან, მათი მსგავსების მიუხედავად, განსხვავებულ კონფიგურაციებს ქმნის. საგულისხმოა, რომ გლობალური და თვითშეფასებითი პერფექციონიზმი მოქმედების იდენტურ ხასიათს ავლენს, კეთილგონივრული პერფექციონიზმი კი განსხვავებული ტენდენციებით გამოირჩევა;
 - გლობალური პერფექციონიზმი და მისი ე.წ. უარყოფითი კომპონენტი, როგორც წესი, დადებითად კორელირებს უარყოფითი მიმართულების მოვლენებთან – დეპრესიასთან და მე-იდეალურისა და მე-რეალურის თვითშეფასებებს შორის განსვლასთან. მათ აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ დეპრესიის ცვალებადობის ხარისხში და დეპრესიის მატების ერთგვარ პრედიქტორებად წარმოგვიდგებიან. მნიშვნელოვანია, რომ საკმაოდ სერიოზული წინასწარმეტყველების ძალა აქვთ აგრეთვე თვითშეფასებითი პერფექციონიზმის შემადგენელ ცალკეულ სკალებსაც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა რუმინაციის ასპექტი. თავის მხრივ, დეპრესიაც ახდენს გავლენას გლობალური და თვითშეფასებითი პერფექციონიზმის გამოხატულებაზე და იწვევს მათ მატებას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დეპრესია და პერფექციონიზმი ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენებია;
 - კეთილგონივრულ პერფექციონიზმს არ შეაქვს რაიმე წვლილი უარყოფითი აფექტების (კერძოდ, დეპრესიის ან ან მე-რეალურსა და მე-იდეალურს შორის განსვლის) გაძლიერებაში. მეტიც, თვითშეფასების კონტექსტში ის, გარკვეული აზრით, დადებით როლს ასრულებს – ძლიერ გამოხატული კეთილგონივრული პერფექციონიზმის მქონე ცდისპირები უფრო კმაყოფილნი არიან თავიანთი ჯანმრთელობით, ვიდრე ისინი, ვისაც ამ სახის პერფექციონიზმი ნაკლებად ახასიათებს; ცდისპირები ოპტიმალური დონის თვითშეფასებით (ანუ ისინი, ვისი მე-იდეალურის შეფასება ზომიერად აღემატება მე-რეალურის შეფასებას, რაც მასტიმულირებელ როლს უნდა ასრულებდეს მათ წინსვლაში) გამოირჩევიან კეთილგონივრული პერფექციონიზმის უფრო მაღალი დონით, ვიდრე თავიანთი მე-რეალურით ზედმეტად კმაყოფილი ინდივიდები; კეთილგონივრული პერფექციონიზმი დადებით გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე – მაქსიმალურად გამოხატული CP-ის მქონე ცდისპირები უფრო მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი, ვასაც ამ სახის პერფექციონისტული ტენდენცია ნაკლებად ახასიათებთ;
 - გლობალური და თვითშეფასებითი პერფექციონიზმის ინტენსივობა განსაკუთრებული მაღალია უფროსი მოზარდობის პერიოდში და შემდგომ, ასაკის მატებასთან ერთად მცირდება;
 - კეთილგონივრული პერფექციონიზმის ინტენსივობა არ განიცდის რაიმე არსებით ცვლილებას ასაკის მატებასთან ერთად და პიროვნების სტაბილურ ტენდენციად თუ თვისებად წარმოჩინდება;
- თვითშეფასების დონე საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დეპრესიასა და პერფექციონიზმთან მიმართებაში:
- მიუხედავად პერფექციონიზმის კორელაციისა მე-იდეალურისა და მე-რეალურის შეფასებებს შორის სხვაობასთან, პერფექციონიზმი არ ახდენს გავლენას ამ უკანასკნელზე და არც მისი ინტენსივობის პროგნოზირება შეუძლია. თუმცა, თავად თვითშეფასება ახდენს გავლენას

როგორც გლობალურ, ასევე თვითშეფასებით პერფექციონიზმზე და, ამავე დროს, მათ მიმართ პროგნოსტული ღირებულებაც აქვს;

- მე-იდეალურისა და მე-რეალურის შეფასებებს შორის განსვლის მატება ძლიერ გავლენას ახდენს დეპრესიის დონეზე: მაქსიმალურად დაბალი თვითშეფასების მქონე ცდისპირები უფრო მაღალი დონის დეპრესიით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი, ვისაც შედარებით მაღალი თვითშეფასება აქვთ; თავის მხრივ, დეპრესიაც ახდენს გავლენას თვითშეფასებაზე: მაღალი ხარისხის დეპრესიის მქონე ცდისპირებს გაცილებით უფრო დაბალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე მათ, ვინც დეპრესიის მინიმალური გამოხატულებით გამოირჩევა; ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ფენომენი ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენებია.

დისკუსია

ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით დასტურდება ლიტერატურაში განხილული პერფექციონიზმის ორი სხვადასხვა განზომილების არსებობა: იმდენად, რამდენადაც თვითშეფასებითი პერფექციონიზმი დადებით კავშირში აღმოჩნდა დეპრესიასთან, ხოლო კეთილგონიერი პერფექციონიზმის მაქსიმალური გამოხატულების მქონე ინდივიდები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უარყოფითი პერფექციონიზმის გვერდით, რომელიც ნეგატიური აფექტებისკენ მიდრეკილებას იწვევს, არსებობს დადებითი პერფექციონიზმი, რომელიც მამოძრავებელ ძალად და მიღწევის მოტივატორად უნდა განვიხილოთ. პერფექციონიზმის ეს ორგვარი ბუნება, უფრო სწორად კი ორი განსხვავებული მხარე, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პერფექციონისტული ტენდენციებით გამოწვეულ პრობლემებზე მუშაობისას.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თვითშეფასებითი პერფექციონიზმთან ერთად გლობალური პერფექციონიზმიც გვევლინება დეპრესიის პრედიქტორად და მისი ინტენსივობის ზრდის ერთერთ ფაქტორად. ვინაიდან გლობალური პერფექციონიზმის ინტენსივობას თანაბრად განსაზღვრავს მასში შემავალი მეორადი ფაქტორების (CP და SEP) სიძლიერე, სავარაუდოა, რომ ხშირ შემთხვევებში პერფექციონიზმის უარყოფით და არა დადებით გამოვლინებასთან გვექნება საქმე. ამას ემატება ისიც, რომ, თავის მხრივ, დეპრესიაც იწვევს პერფექციონისტული ტენდენციების გაძლიერებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თვითშეფასების კავშირი აღნიშნულ ცვლადებთან. მე-იდეალურისა და მე-რეალურის შეფასებებს შორის სხვაობა დადებით კავშირში აღმოჩნდა დეპრესიასთან. ცნობილია, რომ რეალურ მე-სა და იდეალურ მე-ს შორის უნდა არსებობდეს გარკვეული, ზომიერი ხარისხის სხვაობა, რათა ადამიანს ჰქონდეს უფრო მეტის მიღწევის, უკეთესი მე-სკენ სწრაფვის სურვილი. მაგრამ თუ ეს სხვაობა ძალზე დიდია ანუ იდეალი შორდება რეალობას, ეს უფრო ფრუსტრაციის, უკანდახევის წყაროდ იქცევა. სწორედ ამ შემთხვევაში საუბრობენ დაბალ თვითშეფასებაზე.

უარყოფითი პერფექციონიზმის მაღალი ქულების მქონე ინდივიდები გამოირჩევიან დაბალი თვითშეფასებით, რაც საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უარყოფითი პერფექციონიზმის მქონე ინდივიდების მიდრეკილებას ნეგატიური აფექტებისაკენ, ნაწილობრივ მაინც, მათი დაბალი თვითშეფასება განაპირობებს. ამის დასტურად გამოგვადგება ჩვენ მიერ მიღებული შედეგები, რომელთა თანახმად დაბალი თვითშეფასება გავლენას ახდენს როგორც გლობალური, ისე უარყოფითი პერფექციონიზმის ზრდაზე. თავად პერფექციონიზმი არ ახდენს უკუგავლენას თვითშეფასებაზე. სამაგიეროდ, დეპრესია და დაბალი თვითშეფასება ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენს. ამრიგად, თვითშეფასება შესაძლოა ერთგვარ გამაშუალებელ როლს ასრულებს დეპრესიასა და პერფექციონიზმს შორის მიმართებაში. ეს მეტად საინტერესო საკითხი, ჩვენი აზრით, შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ასევე, ერთერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ პერფექციონიზმის, უფრო ზუსტად, გლობალური და თვითშეფასებითი პერფექციონიზმის ინტენსივობის შემცირება ასაკთან ერთად. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არაა მყარი პიროვნული ნიშანი, რომელიც თანაბარი ძალით ვლინდება ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში. სავარაუდოა, რომ უარყოფით აფექტებთან

დაკავშირებული პერფექციონიზმის მაქსიმალური გამოვლენა უკავშირდება გარკვეულ, კრიტიკული ხასიათის მოვლენებსა და პრობლემებს, რომელთა ამა თუ იმ ხარისხით მოგვარების შედეგად მისი ინტენსივობა შემცირდება. ამგვარი პრობლემების წარმოშობ პერიოდს ახალგაზრდებთან წარმოადგენს უფროსი სასკოლო ასაკი, როდესაც ისინი მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან. აღნიშნული კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პერფექციონიზმი ის პიროვნული ნიშანი თუ ტენდენციაა, რომლის უარყოფითი შედეგების გარკვეული ხარისხით შემცირება (უკეთეს შემთხვევაში კი ნიველირება) შესაძლებელია სწორად შერჩეული საკონსულტაციო ან თერაპიული ჩარევის შედეგად.

ლიტერატურა

1. არუთიუნოვი ბ., გრიგოლაშვილი ა. (1999) *ბეკის დეპრესიის გასაზომი სკალის ადაპტაცია*. ვლ. ნორაკიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბილისი.
2. იმედაძე, ი. (2004). *XX საუკუნის ძირითადი მიმდინარეობები*. თბილისი: გამომცემლობა “ენა და კულტურა”.
3. Гаранян, Н.Г. *Перфекционизм и психические расстройства*. Московский НИИ психиатрии Росздрава.
4. Beck, A. T., Steer, R.A., Garbin, M. G., (1988) *Psychometric properties of the Beck Depression Inventory: Twenty-five years of evaluation*. Clinical Psychology Review.
5. Flett, G. L., & Hewitt, P. L. (2006). Behavior Modification. *Positive Versus Negative Perfectionism in Psychopathology. A Comment on Slade and Owens's Dual Process Model*. მოძიებულია 19 ოქტომბერი, 2008, <http://bmo.sagepub.com>.
6. Frost, R. O., Marten, P., Lahart, C., & Rosenblate, R. (1990). *The dimensions of perfectionism*. Cognitive Therapy and Research.
7. Hill, R. W., Huelsman, T. J., Furr, R. M., Kibler, J., Vicente, B. B., Kennedy, C. (2004). *A New Measure of Perfectionism: The Perfectionism Inventory*. Journal of Personality Assessment.
8. Lundh, L.G. Saboonchi, F. Wangby, M. (2007). *The Role of Personal Standards in Clinically Significant clinically significant Perfectionism. A Person-Oriented Approach to Study of Patterns of Perfectionism*. მოძიებულია 16 ივლისი, 2008. <http://www.who.int/hinari/en>.
9. Psychotherapy Resources. (May, 2008). *Karen Horney: Theory of Neurosis*. მოძიებულია 17 ივლისი, 2008. <http://www.psychotherapy.ro>.
10. Rice, Kenneth G. ; Preusser, Karen J. (Jan, 2002). Goliath. *Measurement and Evaluation in Counseling and Development*. მოძიებულია 17 ივლისი, 2008. <http://goliath.ecnext.com>.
11. The Free Dictionary. (2008). *Perfectionism*. მოძიებულია 18 ივლისი, 2008. <http://www.thefreedictionary.com>.
12. Wikipedia. (Jule, 2008). *Perfection*. მოძიებულია 18 ივლისი, 2008. <http://en.wikipedia.org>.
13. Wikipedia. (Jule, 2008). *16 personality factors*. მოძიებულია 18 ივლისი, 2008. <http://en.wikipedia.org/>.

Bella Arutiunov, Nino Chkhaidze

The Structure of Perfectionism and Its Relationship with the Affective Phenomena

Resume

The main goal of the research was to study the structure and display of perfectionism in the context of its relationship with depression and self-esteem. The inventory of perfectionism that was chosen for accomplishing this goal, according to its authors, gave them the opportunity to study the complex and inhomogenous structure of the phenomenon. The working Georgian version of the inventory was created, the basic psychometric properties of which indicate the reliability of the gained data. 182 participants were engaged in the study with the age range from 15 to 24 years old. Results confirmed the existence of double nature of perfectionism display and consequently its contradicted relationships with the levels of self-esteem and depression. PI composite and self-evaluative perfectionism not only predict the variability of depression but also determine its intensity. For its part, depression plays the same role towards these types of perfectionism. The same kind of interaction exists between self-esteem and depression. There is no such interaction between perfectionism and self-esteem. The latter may carry out the connective role in the interaction of perfectionism and self-esteem. Conscientious perfectionism, on the other hand, can be assumed to be one of the motivating factors of person's well-being and success.